იოანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თემურ თოდუა

ანტიკური პოლისი

თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

ნაშრომში ნარატიული წყაროების, ეპიგრაფიკული და არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე განხილულია ანტიკური პოლისის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხები. წიგნი შედგენილია საუნივერსიტეტო სილაბუსის შესაბამისად. გაშუქებულია ანტიკური პოლისის ფორმირებისა და განვითარების პროცესები, დიდი ბერძნული საკოლონიზაციო მოძრაობის აქტივობის ეტაპები, ნაჩვენებია პოლისური ეკონომიკის, სოციალური სტრუქტურის, მართვის სისტემების ჩამოყალიბებისა და მათი განვითარების პროცესების, პოლისური კონტაქტების, იმპერიისა და პოლისის ურთიერთმიმართების ასპექტები და სხვ.

ნაშრომი განკუთვნილია ბაკალავრიატის სტუდენტებისა და მაგისტრანტებისთვის. ასევე დაეხმარება ანტიკური ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს.

რედაქტორი სრული პროფესორი **ლევან გორდეზიანი**

რეცენზენტები: ასოცირებული პროფესორი **ნანა ტონია**
სრული პროფესორი **თედო თოდუა**

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011

ISBN 978-9941-13-206-3

შ ი ნ ა ა რ ს ი

I. წყაროთმცოდნეობითი ბაზა და ისტორიოგრაფია 9

1. წყაროები 9

2. ისტორიოგრაფია 15

II. ანტიკური პოლისის ფორმირებისა და განვითარების პროცესი 23

1. ათენი ძვ. წ. VIII-VI სს-ში 33

2. სპარტა ძვ. წ. VIII-VI სს-ში 43

III. მეტროპოლისი და კოლონია 49

IV. პოლისის ტოპოგრაფია. ყოფა-ცხოვრება 57

V. ელინური სამყაროს მეგაპოლისები 69

VI. პოლისური ეკონომიკა და სოციალური სტრუქტურა
ძვ. წ. V-IV სს-ში 85

1. ათენის ეკონომიკა და სოციალური სტრუქტურა
ძვ. წ. V-IV სს-ში 96

VII. პოლისური მართვის სისტემა 123

1. ათენის მართვის სისტემა 130

2. სპარტის მართვის სისტემა 136

VIII. პოლისური კონტაქტები 143

1. პოლისური სამხედრო-პოლიტიკური ალიანსები 151

IX. პოლისური სისტემის კრიზისი 163

X. პოლისი და იმპერია 170

1. აქემენიდები და პოლისები 170

2. ალექსანდრე მაკედონელი და პოლისები 181

3. ელინისტური იმპერიები და პოლისები 186

4. რომი და პოლისები 194

შესავალი

ძველი საბერძნეთის ისტორია არსებითად პოლისების ისტორიაა. ელინურმა პოლისებმა განვითარების საკმაოდ ხანგრძლივი და რთული გზა განვლო. ძვ. წ. IX-VIII სს-ში მიკენის ცენტრალიზებული სახელმწიფოს ნანგრევებზე აღმოცენებული პოლისი, როგორც სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზმის ნოვაციური და უნიკალური მოდელი, ჩაკეტილ, დახურულ სივრცეს წარმოადგენდა, მაგრამ ის პროგრესული და ჰარმონიული სისტემა იყო. სწორედ პოლისური სისტემის ფარგლებში ელინებმა შექმნეს რაციონალური და დინამიკური ეკონომიკა, მწყობრი სამოქალაქო სტრუქტურა, მრავალფეროვანი პოლიტიკური მმართველობის ფორმები, მდიდარი და განუმეორებელი ცივილიზაცია, რამაც დიდი გავლენა მოახდინა შემდეგდროინდელი მსოფლიო კულტურის განვითარებაზე. პოლისურმა სისტემამ მსოფლიო ისტორიაში ძველბერძნულ სოციუმს საპატიო ადგილი მიუჩინა. ამდენად, პოლისური სისტემის ისტორიის შესწავლა ფრიად მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

დასავლურ ანტიკოლოგიაში ბერძნული პოლისის შესახებ მრავალრიცხოვანი მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები თუ სამეცნიერო პუბლიკაციები არსებობს. ქართველმა მკვლევარ-ისტორიკოსებმა და არქეოლოგებმა ანტიკური პოლისის ისტორიის საკითხებს არაერთი ღირებული ნაშრომი მიუძღვნეს. მიუხედავად ამისა, ჩვენში აღნიშნული პრობლემა ჯერ კიდევ არ არის მონოგრაფიულად შესწავლილი. გარდა ამისა, არსებითად არ გაგვაჩნია ისეთი სახელმძღვანელო, სადაც ანტიკური პოლისის ისტორიის კურსი თანმიმდევრულად და სასწავლო პროგრამის შესაბამისად იყოს გადმოცემული. წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ მიზანს ემსახურება და ის ანტიკური პოლისის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების კომპლექსურად განხილვის პირველი ცდაა.

წიგნში სისტემური ანალიზის მეთოდის საფუძველზე, ნარატიული, ეპიგრაფიკული, ნუმიზმატიკური თუ არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, გაშუქებულია ანტიკური პოლისის ფორმირებისა

და მისი განვითარების პროცესები, დიდი ბერძნული საკოლონიზაციო მოძრაობის ეტაპები. ნაჩვენებია პოლისური ეკონომიკის, სოციალური სტრუქტურის, მმართველობის სისტემების განვითარების ეტაპები, პოლისური კონტაქტები, იმპერიისა და პოლისის ურთიერთმიმართების ასპექტები და სხვ.

ნაშრომი საუნივერსიტეტო სილაბუსის შესაბამისადაა შედგენილი და ის სტუდენტებს გაუადვილებს ანტიკური პოლისის არსის, მისი მნიშვნელობის და, საერთოდ, ძველი ქალაქ-სახელმწიფოების რთული სისტემების შემეცნებას.

I. წყაროთმცოდნეობითი ბაზა და ისტორიოგრაფია

1. წყაროები

ანტიკური პოლისის შესახებ მკვლევართა განკარგულებაშია მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი კატეგორიის ნარატიული წყაროები, ეპიგრაფიკული, ნუმიზმატიკური და არქეოლოგიური ძეგლები.

წერილობითი წყაროები. პროტოპოლისის, პოლისური სისტემის ფორმირების პროცესის შესახებ ადრეული ცნობები დაცულია ჰომეროსის პოემებში „ილიადასა" და „ოდისეაში". ჰომეროსის ლექსიკონში საკმაოდ ხშირად გვხვდება სიტყვა „პოლისი" და მას პოეტი ყველა ტიპის დასახლებების მიმართ იყენებს. როგორც ჩანს, ჰომეროსისეული პოლისი ერთდროულად ქალაქიც იყო და სოფელიც. პოემებში ასევე მოიპოვება გარკვეული ცნობები პოლისის ტოპოგრაფიისა და მისი სოციალური შემადგენლობის შესახებ.

ძვ. წ. VIII-VII სს-ის პოლისის ეკონომიკური ვითარება და მისი მოსახლეობის ღარიბი ფენის მძიმე მდგომარეობა მხატვრულ ტონალობაში აქვს აღწერილი ჰესიოდეს თავის პოემაში „სამუშაონი და დღენი". მას ეკუთვნის ასევე მეორე პოემა – „თეოგონია", სადაც დეტალურადაა აღნერილი პოლისის რელიგიური სისტემის გენეზისი და მისი იერარქია; ძვ. წ. VII-VI სს-ის პოლისის ისტორიის შესახებ საინტერესო ცნობებს გვანვდის არქილოქე, ალკეოსი, თეოგნიდე, სოლონი, არისტოფანე, რომლებიც რეალისტურად აღწერენ პოლისების ეკონომიკურ-პოლიტიკურ ვითარებას, სოციალურ კონტრასტებს, დემოსისა და არისტოკრატიის კონფლიქტებს.

ბერძნული პოლისების ისტორიის შესახებ მნიშვნელოვანი და ძირითადი წყარო ძველ ბერძენ ისტორიკოსთა თხზულებებია. ძველი ბერძენი ისტორიკოსები ცდილობდნენ პოლისების ნამდვილი ისტორია გადმოეცათ და რეალური ფაქტები შეერჩიათ. პირველი ბერძენი ისტორიკოსები იყვნენ ლოგოგრაფოსები, რომელთა ნაშრომებმა ჩვენამდე ფრაგმენტების სახით მოაღწია. ლოგოგრაფოსთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ჰეკატეოს მილეტელსა და ჰელანიკე მიტილენელს. ლოგოგრაფოსები მარტო მითოლოგიური ტრადიციების განმარტებით არ შემოიფარგლებოდნენ. ლოგოგრაფოსებს თავიანთ თხზულებებში ჩართული ჰქონდათ ხმელთაშუაზღვისპირეთისა და შავიზღვისპირეთის პოლისების გეოგრაფიული და ეთნოლოგიური ხასიათის სარწმუნო ცნობები, ხოლო მშობლიური პოლისების ისტორიას დეტალურად აღწერდნენ.

ძვ. წ. V ს-ის ბალკანეთის საბერძნეთისა და მცირე აზიის ელინური პოლისების ისტორია ვრცლადაა წარმოდგენილი „ისტორიის მამად" წოდებულ ჰეროდოტეს „ისტორიაში". მართალია, ჰეროდოტე მოვლენების გადმოცემისას ზოგჯერ მითოლოგიურ და საეჭვო ცნობებს გვანვდის, მაგრამ მისი ცნობების სანდოობა, უმეტეს შემთხვევაში, არქეოლოგიური მონაცემებით დასტურდება. ჰეროდოტეს უმცროსი თანამედროვის, „ფსიქოლოგიური ისტორიის მამის" თუკიდიდეს „პელოპონესის ომების ისტორიაში" მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული სპარტის, ათენისა და მათი მოკავშირე პოლისების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის შესახებ.

მნიშვნელოვანი ცნობების შემცველია ქსენოფონტის „ანაბასისი“ და „ჰელენიკა“. „ანაბასისში“ აღწერილია მცირე აზიის პოლისების გეოგრაფიული და ეკოპირობები, მათი ეკონომიკური ვითარება, მოქალაქეთა ზნე-ჩვეულებები, სამხედრო ტაქტიკა და შეიარაღება. „ჰელენიკაში“ მოთხრობილია საბერძნეთის ისტორია, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი შეიცავს ელადის ისტორიას ძვ. წ. 431 წლამდე და ის ობიექტურობით გამოირჩევა. მეორე ნაწილში საბერძნეთის ისტორია სპარტის პოლისის ისტორიასთანაა გაიგივებული. აღსანიშნავია, რომ ქსენოფონტი სპარტის პოლისურ წყობას აიდეალებდა, რაც ნათლად ჩანს მის „ლაკედემონელთა პოლიტიაში“. ძვ. წ. IV ს-ის ათენის ეკონომიკური ურთიერთობის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ქსენოფონტის თხზულება „შემოსავალზე“, სადაც ავტორი ათენის ადმინისტრაციის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მიანიშნებდა; ათენის სახელმწიფო წყობილება მძაფრი სატირის სახითაა გადმოცემული ფსევდოქსენოფონტის თხზულებაში „ათენელთა სახელმწიფო წყობილება“.

პოლისების ისტორიის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული ძვ. წ. IV ს-ის ისტორიკოსის ეფორეს ნაშრომში – „საბერძნეთის ისტორია“, სადაც სკრუპულოზურად აღწერილია მეტროპოლისებისა და კოლონიების პოლიტიკური ვითარების ასპექტები არქაიკიდან ძვ. წ. 340 წლამდე.

მრავალმხრივ საინტერესო ცნობებია დაცული ძვ. წ. IV ს-ის ათენელი ორატორების – ლისიასის, ისოკრატეს, ესქინეს, დემოსთენეს, ჰიპერიდეს სიტყვებში. მართალია, ეს სიტყვები ტენდენციური ხასიათისაა, მაგრამ ეპოქის რეალურ სურათს დოკუმენტურად ასახავს.

ძვ. წ. V-IV სს-ის პოლისების მრავალსახოვანი ცხოვრების ეპიზოდები ასახულია პლატონისა და არისტოტელეს თხზულებებში. პლატონის ნაშრომთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ტრაქტატები „სახელმწიფო“ და „კანონები“, რომლებშიც გაანალიზებულია პოლისების სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობანი. პლატონი ბერძნებს პოლისური სისტემის სამართლიან საწყისებზე გარდაქმნას სთავაზობს. დიდი ბერძენი მოაზროვნის არისტოტელეს მრავალრიცხოვან თხზულებათა შორის, პოლისების ისტორიის თვალსაზრისით, ღირებულ ნაშრომებს „პოლიტიკა“ და „ათენელთა სახელმწიფო წყობილება“ წარმოადგენს. პირველ მათგანში განზოგადებულია პოლისის არსი და მისი მმართველობის ფორმები, აღწერილია 158 პოლისის პოლიტიკური ისტორიის პერიპეტიები. „ათენელთა სახელმწიფო წყობილებაში“ დეტალურადაა დახასიათებული ათენის პოლისური მმართველობის სისტემა.

ძვ. წ. V-IV სს-ის ათენის საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის არისტოფანეს მრავალრიცხოვანი კომედიები. არისტოფანე კომიკურ ფორმებში გადმოსცემს ათენის ყოფა-ცხოვრებას. ეხება ომისა და მშვიდობის საკითხებს, მდიდარი და ღარიბი მოქალაქეების ეკონომიკურ მდგომარეობას, ამხელს კორუმპირებულ საჯარო მოხელეებს და უნიათო ათენელ მხედართმთავრებს.

ღირებული ინფორმაციის შემცველია პოლიბიოსის „მსოფლიო ისტორია“, სადაც სკრუპულოზურად აღწერილია ძვ. წ. 220-145 წწ-ის ბერძნული და რომაული სამყაროს სახელმწიფოების მმართველობის ფორმები, სამხედრო საქმე, სოციო-პოლიტიკური კოფლიქტები. არანაკლებ საინტერესო და ერთობ ღირებული ცნობებია დაცული დიოდორე სიცილიელის „ისტორიულ ბიბლიოთეკაში“. ნაშრომის I-V და XVIII-XX წიგნებ-

ში გადმოცემულია კლასიკური ეპოქის საბერძნეთის მმართველობის ისტორია, ბერძნულ პოლისებთან ფილიპე II-ისა და ალექსანდრე მაკედონელის ურთიერთობის ამსახველი ფაქტები.

მრავალმხრივ საინტერესო და მნიშვნელოვანი ცნობები მოიპოვება დიდი გეოგრაფოსისა და ისტორიკოსის სტრაბონის „გეოგრაფიაში". აქ აღწერილია არა მარტო ხმელთაშუაზღვისპირეთისა და შავიზღვისპირეთის ქვეყნებისა თუ პოლისების გეოგრაფიული მდებარეობა, ეკოლოგიური პირობები, ბუნებრივი რესურსები, არამედ მათი ეკონომიკური მდგომარეობა, სახელმწიფო მმართველობა, მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები, კულტურული მემკვიდრეობა.

ბერძნული პოლისების ისტორიისათვის ფასდაუდებელი წყაროა პლუტარქეს „ბიოგრაფიები". სპარტის ადრეული პერიოდის ისტორიის შესახებ ღირებული ცნობებია დაცული ლიკურგოსის ბიოგრაფიაში, ხოლო სოლონის პლუტარქესეული ცხოვრება ძვირფასი წყაროა ძვ. წ. VI ს-ის ათენის პოლისის სახელმწიფო წყობილების შესწავლისათვის. ბერძენი პოლიტიკოსების – თემისტოკლეს, არისტიდეს, პერიკლეს, ალკიბიადეს, ალექსანდრე მაკედონელის, დემოსთენეს ბიოგრაფიებთან ერთად დახასიათებულია მათი თანადროული ბერძნული პოლისების, განსაკუთრებით კი ათენისა და სპარტის, საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება.

არქაული, კლასიკური და ელინისტური ეპოქების ბერძნული კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი უნიკალური მასალებია გადმოცემული პავსანიასის „ელადის აღწერილობაში", რომელიც ათი წიგნისაგან შედგება. ნაშრომში დეტალურად აღწერილია ბალკანეთის საბერძნეთის ცალკეული რეგიონებისა თუ პოლისების მატერიალური კულტურის ძეგლები: ტაძრები, საკურთხევლები, ქანდაკებები, სურათები, არქიტექტურული კომპლექსები. პავსანიასის ცნობების სიზუსტე არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა.

ელინისტური ეპოქის პოლისების ისტორიის შესახებ საინტერესო ინფორმაციის შემცველია პომპეუს ტროგუსის „ფილიპიკების ისტორია", კურციუს რუფუსის „ალექსანდრე მაკედონელის ისტორია", ფლავიუს არიანეს „ალექსანდრეს ანაბასისი". ამ თხზულებებში დაწვრილებითაა აღწერილი არა მარტო ალექსანდრეს ლაშქრობათა მზადება, მსვლელობა და მისი შედეგები, არამედ გენიალური მეფისა და სარდლის პოლიტიკა ბერძნული პოლისებისადმი.

ბერძნული პოლისებისა და რომის რესპუბლიკის ურთიერთობის საკითხები აღწერილია აპიანეს „რომის ისტორიაში" და დიონ კასიუსის „რომის ისტორიაში". ელინისტური ეპოქის სპარტის, ათენისა და სხვა პოლისების ისტორიის ასპექტები ვრცლადაა გადმოცემული ასევე ტიტუს ლივიუსის „რომის ისტორიაში".

ეპიგრაფიკული ძეგლები. ანტიკური პოლისის შესახებ არსებულ საისტორიო წყაროთა კომპლექსში განსაკუთრებული ადგილი უკავია ბერძნულ წარწერებს. დღეისათვის 250 ათასზე მეტი ბერძნული წარწერაა გამოვლენილი და შესწავლილი. ამ მხრივ, დიდი წვლილი XIX ს-ის ინგლისელ და გერმანელ ეპიგრაფისტებს მიუძღვით. 1874-1916 წწ-ში ინგლისელმა ეპიგრაფისტებმა ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ბერძნული წარწერების კორპუსი გამოსცეს. 1825-1859 წწ-ში გერმანელი მეცნიერის ა. ბეკის ინიციატივით გამოიცა „ბერძნული წარწერების კორპუსი" ოთხ ტომად, რომელიც 10 ათასამდე წარწერას შეიცავდა. 1901 წ. გამოქვეყნდა ბერძნული წარწერების ხუთტომიანი კრებული ვ. ვუდჰედის რედაქციით, ლ. ჯეფერის არქაიკის ეპოქის წარწერე-

ბის ლოკალური ვარიანტები, რომლებიც პოლისების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის შესწავლისათვის უდავოდ მნიშვნელოვანია.

XX ს-ის 20-იან წლებში კი ინგლისელი და ფრანგი ეპიგრაფისტები თვალსაჩინო წარმატებას აღწევენ. ბ. მერიტომ, ე. ვესტმა, მ. მაკგრეგორიმ შეისწავლეს ათენის პირველი საზღვაო კავშირის დროინდელი ათენური წარწერები; 1939 წ. გამოქვეყნდა „Athenian tribute lists"-ის პირველი ტომი; 1925-1937 წწ-ში გამოიცა ფ. დიურბახის, პ. რუსელისა და მ. ლონეის ხუთტომიანი დელოსის წარწერების კორპუსი. ამავე ხანებში გამოქვეყნდა ნ. ვალმენონისა და ე. ბურჟეს დელფოსის წარწერები. ცნობილმა ფრანგმა ეპიგრაფისტმა ლ. რობერმა 1937 წ. გამოაქვეყნა მონოგრაფია: „ანატოლიური ეტიუდები. მცირე აზიის ბერძნული წარწერების კვლევა-ძიებანი".

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აშშ-სა და ინგლისში მეცნიერების ყურადღების ცენტრში მოექცა ეპიგრაფიკული ძეგლების შეგროვება, მათი კვლევა და გამოცემა. ამ მხრივ, განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა XX ს-ის 60-70-იანი წლები. ამ ხანებში გამოქვეყნდა მ. ტოდის ორტომიანი კრებული „ბერძნული საისტორიო წარწერები".

ნუმიზმატიკური ძეგლები. ანტიკური პოლისის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურის ისტორიისათვის მნიშვნელოვან წყაროდ ითვლება ბერძნული მონეტები, რომლებიც ობიექტურად აფიქსირებს ისტორიულ მოვლენებს, ზუსტად გადმოგვცემს ფაქტებს. ბერძნული სამონეტო ემისიის შესწავლაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ინგლისელ და ფრანგ ნუმიზმატებს. 1846-1937 წწ-ში ცნობილმა ბრიტანელმა მკვლევარებმა ბ. ჰედმა და პ. გარდნერმა ბერძნული მონეტების სრული ისტორია გამოსცეს.

XX ს-ის 20-30-იან წლებში ინგლისურ-ამერიკულ საისტორიო მეცნიერებაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ელინური პოლისების მონეტებისა და სამონეტო მიმოქცევის საკითხების შესწავლას. აღსანიშნავია კ. სელტმანის მონოგრაფია: „ბერძნული მონეტები. სამონეტო მიმოქცევა და მონეტების მოჭრა ელინისტური სამეფოების დაცემამდე" (1933). ცალკეული ცენტრების ზარაფხანების შესახებ სპეციალური გამოკვლევები გამოქვეყნდა. ამ მხრივ აღსანიშნავია კ. სელტმანის „ოლიმპია" (1921) და „ათენი" (1924), კ. ედვარდსის „კორინთო" (1933), დ. ჰილის „კრეტა" (1937) და სხვ.

XX ს-ის 20-იანი წლების ნუმიზმატიკურ ნაშრომებს შორის უნდა დასახელდეს გამოჩენილი ფრანგი ნუმიზმატის ე. ბაბელონის ნარკვევი „ძველი საბერძნეთის ნუმიზმატიკა" (1921). XX ს-ის 60-70-იან წლებში ინტენსიურად დაიწყო ნუმიზმატიკური მასალების შეგროვება და მათი პუბლიკაცია. ამ წლების ერთ-ერთ მთავარ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ამერიკის ნუმიზმატიკური საზოგადოების მიერ მომზადებული და გამოცემული ბერძნული სამონეტო განძების კატალოგი (რედაქტორები: მ. ტომპსონი, ო. მორკხოლმი, კ. კრეი, 1973). ათენის ნუმიზმატიკის შესწავლაში ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის ჯ. ტომპსონს, რომელმაც „ახალი სტილის" ათენურ ტეტრადრაქმებს სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა (1961); ელინისტური ეპოქის ნუმიზმატიკის შესწავლაში დიდი დამსახურება მიუძღვის ე. ბელინჯერს, რომელმაც ალექსანდრე მაკედონელის სამონეტო საქმე შეისწავლა ("ალესანდრე დიდის მონეტების ნარკვევები", 1963). მკვლევარმა გამოიკვლია არა მარტო ნუმიზმატიკური საკითხები, არამედ დიდი მეფის ეკონომიკური პოლიტიკის ასპექტები. ე. ბელინჯერის აზრით, ალექსანდრეს ეკონომიკური პოლიტიკა ექსტრავაგანტური ხასიათისა იყო, ვინაიდან რეგულარულ შემოსავლებს გასავლები აღემატებოდა; მ. ტომპსონმა და ე. ბელინჯერმა

მცირე აზიის ელინისტური ეპოქის პოლისების სამონეტო განძებს არაერთი ღირებული ნაშრომი მიუძღვნეს.

ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის პოლისების მონეტებისა და სამონეტო მიმოქცევის პრობლემები აქტუალურია რუსულ ნუმიზმატოლოგიაში. ამ საკითხებს მრავალი ფუნდამენტური ნაშრომი მიეძღვნა: ა. ზოგრაფის „ანტიკური მონეტები" (1951), პ. კარიშკოვსკის „ოლვიის სამონეტო საქმე და სამონეტო მიმოქცევა ძვ. წ. VI – ახ. წ. IV სს" (1962), დ. შელოვის „ძვ. წ. VI-II სს. ბოსფორის სამონეტო საქმე" (1956).

საქართველოში აღმოჩენილი ბერძნული მონეტებისა და სამონეტო მიმოქცევის საკითხებს ქართველმა და რუსმა ნუმიზმატებმა დ. კაპანაძემ, გ. დუნდუამ, ე. პახომოვმა, ა. ზოგრაფმა, კ. გოლენკომ საეტაპო ნაშრომები მიუძღვნეს. აღნიშნული საკითხების შესწავლაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ცნობილ ქართველ ნუმიზმატს გ. დუნდუას. მან თავის ფუნდამენტურ გამოკვლევებში „ანტიკური საქართველოს ნუმიზმატიკა" (1987) და „ქართული ნუმიზმატიკა" (თ. დუნდუასთან ერთად, 2006). გ. დუნდუამ მონოგრაფიულად შეისწავლა საქართველოში აღმოჩენილი ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი სტატერები, ათენის, სინოპეს, ამისოს, ტრაპეზუნტის საქალაქო მონეტები. მან შეადგინა მათი სრული მეცნიერული კატალოგი, შეიმუშავა აბსოლუტური და შედარებითი ქრონოლოგია.

არქეოლოგიური ძეგლები. ანტიკური პოლისის ისტორიისათვის უმთავრეს წყაროს წარმოადგენს ასევე არქეოლოგიური არტეფაქტები, როლებიც ნარატიულ წყაროებთან ერთად წარსულის დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტური მასალებია.

XIX ს-ის დასასრულს ანტიკური პოლისების არქეოლოგიურ კვლევა-ძიებაში წამყვანი პოზიცია ევროპაში ფრანგ არქეოლოგებს ეკავათ. განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდა ათენის ფრანგული არქეოლოგიური სკოლა. 1877-1880 წწ-ში აღნიშნული სკოლის მეცნიერ-თანამშრომლები არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდნენ დელოსში, სადაც გამოვლინდა ძვ. წ. VI ს-ის აპოლონის სატაძრო კომპლექსის ნანგრევები, ბაზრის მოედნის, თეატრის, ლომების მასიური ქანდაკებების ნაშთები; ელინისტური ეპოქის მოზაიკურიატაკიანი საცხოვრებელი სახლების ფრაგმენტები, რომელთა შორის გამოირჩევა ძვ. წ. II ს-ის ე.წ. „დელფინის სახლი". შედეგიანი აღმოჩნდა ფრანგული ექსპედიციის გათხრები დელფოსში (1893). აქ აღმოჩნდა გალერეას, თეატრისა და სხვადასხვა ფორმის საკულტო ნაგებობათა კომპლექსის ნაშთები, მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ქანდაკების ნიმუშები და სხვ.

1898 წლიდან იტალიური არქეოლოგიური ექსპედიცია პ. ორსის (1859-1935) ხელმძღვანელობით ფართომასშტაბიან არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა სიცილიისა და სამხრეთ იტალიის ბერძნული პოლისების ტერიტორიაზე. 1896-1907 წწ.. ეფესოში ავსტრიულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ფართომასშტაბიანი გათხრები ჩაატარა. გამოვლენილ იქნა სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობების – ბაზრის, საწყობების, გიმნასიონების, ტაძრების, თეატრებისა და ბიბლიოთეკის ნაშთები. მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ლითონისა და კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტები.

XX ს-ის დასაწყისში ბელგიელი სწავლულები არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდნენ სირიაში, მცირე აზიასა და საბერძნეთში.

XIX ს-ის დასასრულიდან ამერიკელი მეცნიერები, მიუხედავად ანტიკური ცივილიზაციების ცენტრებიდან აშშ-ის სიშორისა, არქეოლოგიურ კვლევა-ძიებაში აქტიურად ჩაერთვნენ. 1879 წ. ათენში დაარსდა ამერიკის არქეოლოგიური ინსტიტუტის

სკოლა. 1896-1913 წწ-ში აღნიშნული სკოლის არქეოლოგიური ექსპედიცია გათხრებს აწარმოებდა კორინთოში. გამოვლენილ იქნა ძვ. წ. VI ს-ის აპოლონის, პოსეიდონის, თეატრისა და რომაული ხანის ნაგებობათა ნაშთები.

XX ს-ის 20-იან წლებში ამერიკის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დ. რობინსონის ხელმძღვანელობით გათხრები ჩაატარა ოლინთოსში, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. როგორც ცნობილია, ოლინთოსი ფილიპე II მაკედონელმა მიწასთან გაასწორა და მერე ის აღარ აღდგენილა, ამიტომაც აქ არქეოლოგებს სტერილური ფენები უნდა დახვედროდათ. მართლაც, არქეოლოგებმა აქ დააფიქსირეს ელინისტური ეპოქის სტერილური ფენები, სადაც გვიანდელი ხანის არც ერთი არტეფაქტი არ დადასტურებულა.

აღნიშნულ წლებში ამერიკელი არქეოლოგები ათენის აგორას იკვლევდნენ. ინტენსიური არქეოლოგიური ძიების შედეგად აგორის ტერიტორიის ფარგლებში აღმოჩნდა გალერეას, ტაძრებისა და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა საძირკვლები. აგრეთვე აღდგენილ იქნა ძვ. წ. II ს-ის ატალოს II-ის სტოა პერგამონიდან.

გერმანელმა არქეოლოგებმა შეისწავლეს ათენის ნეკროპოლისი, რომელიც მდებარეობდა ქალაქის ფარგლებს გარეთ, ჩრდილო-დასავლეთით, ე.წ. „კერამიკოსის" უბანში. დაფიქსირდა სხვადასხვა ეპოქის სამარხები და ნაირსახოვანი სტელები; საველე-არქეოლოგიური გათხრები გაგრძელდა კორინთოშიც. რ. რიჩარდსონის რედაქციით გამოქვეყნდა 15-ტომიანი კორინთოს გათხრების ანგარიში.

1899-1914 წწ-ში გერმანული არქეოლოგიური ექსპედიცია გათხრებს აწარმოებდა ასევე მილეტში, სადაც გამოვლენილ იქნა ელინისტური და რომაული ხანის ტაძრების, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები.

XX ს-ის 20-30-იან წლებში ათენის ფრანგულმა არქეოლოგიურმა სკოლამ გათხრები განაახლა დელოსზე, დელფოსში, როდოსში, თასოსსა და კრეტაზე. გამოიცა მრავალწლიანი არქეოლოგიური გათხრების ანგარიშები და პუბლიკაციები. მათ შორის აღსანიშნავია ტ. ომოლის რედაქციით გამოცემული ნაშრომი „გათხრები დელფოსში" ასევე ა. გაბრიელის ორტომიანი „ქალაქი როდოსი"; ტ. ომოლისა და მ. ოლლოს „არქეოლოგიური ძიებანი დელოსზე".

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფართოდ გაიშალა არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი. შედეგიანი აღმოჩნდა ანგლო-თურქული არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვ., ჯ. კუკი და ე. აკურგალი) გათხრები სმირნაში. გაირკვა, რომ დასახლება აქ ძვ. წ. X ს-ში აღმოცენდა; გამოვლენილ იქნა ძვ. წ. VIII-VII სს-ის ქალაქის დაგეგმარების სისტემა, გამაგრების ხასიათი, საცხოვრებელი სახლების ტიპები და სხვ., ე. აკურგალის ხელმძღვანელობით თურქული არქეოლოგიური ექსპედიცია გათხრებს აწარმოებდა სინოპეში. გათხრების შედეგად აღმოჩნდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი სხვადასხვა დროის არქიტექტურული დეტალები, ეპიგრაფიკული ძეგლები, კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტები და სხვ.

ჩიკაგოს უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ფართომასშტაბიანი გათხრები ჩაატარა კორინთოში. საინტერესო არტეფაქტები აღმოჩნდა კორინთოს ნავსადგურ კენკრეასში. ამერიკული ექსპედიცია არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას აგრძელებდა ათენის აგორაზე. აქ მოპოვებული მასალებით დადგინდა, რომ დორიელთა ექსპანსიის დროს, განსხვავებით ელადის სხვა ცენტრებისაგან, სადაც აშკარა დაცე-

მა-დაქვეითება შეინიშნებოდა, ათენი აღმავლობის გზაზე იდგა, რაც ათენში პელოპონესელი ლტოლვილების ჩასახლებით უნდა აიხსნას.

XX ს-ის 60-90-იან წლებში არქეოლოგიური კვლევა-ძიება ინტენსიურად მიმდინარეობდა დასავლეთ და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში. რუსმა, უკრაინელმა და ბულგარელმა არქეოლოგებმა გამოავლინეს და შეისწავლეს ელინური აპოიკიების მრავალრიცხოვანი მატერიალური კულტურის ძეგლები – საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობანი, სატაძრო კომპლექსები, არქიტექტურული ანსამბლები, ლითონისა და კერამიკული ნაწარმი და სხვ.

2. ისტორიოგრაფია

ევროპულ საისტორიო მეცნიერებაში ანტიკური პოლისის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურის ისტორიის შესწავლა საუკუნეებს ითვლის, მაგრამ ამ პრობლემების კვლევა-ძიება განსაკუთრებულ მნიშვნელობას XIX-XX სს-ში იძენს.

აღნიშნულ საუკუნეებში ანტიკური პოლისის ისტორიის კვლევის მთავარი ცენტრები გერმანია, ინგლისი და საფრანგეთი იყო. ჯერ კიდევ XIX ს-ის 50-60-იან წლებში ცნობილმა გერმანელმა ანტიკოლოგმა ა. ბეკმა (1825-1859), მის მიერვე თავმოყრილი და გამოცემული ბერძნული წარნერების კორპუსის სკრუპულოზური ანალიზის საფუძველზე, ათენის ეკონომიკის ისტორიას სპეციალური მონოგრაფია – „ათენელთა სახელმწიფოებრივი მეურნეობა“– მიუძღვნა. ა. ბეკის მოწაფე იყო კ. მიულერი, რომელიც ცალკეული ელინური პოლისების ისტორიას იკვლევდა. მან ასევე სერიოზული მონოგრაფიები მიუძღვნა ეგინასა და ორქომენის ისტორიას.

გერმანულ ანტიკოლოგიაში ავტორიტეტულ ისტორიკოსად ითვლებოდა ედ. მაიერი (1855-1930). მის ხუთ ტომად გამოქვეყნებულ ნაშრომში „ძველი ისტორია“ ვრცლადაა შესწავლილი ძველი აღმოსავლეთის, საბერძნეთისა და რომის ისტორია. მისი მტკიცებით, ძველ ქვეყნებში და მათ შორის პოლის-სახელმწიფოებში არსებობდა მრეწველობა, განვითარებული იყო ვაჭრობა. ამიტომ იმ პერიოდის ეკონომიკაში კაპიტალი განსაკუთრებულ როლს ასრულებდა, პოლისი კი კაპიტალისტების ინტერესებს იცავდა. ედ. მაიერის თანახმად, ანტიკურ სამყაროში ფიქსირდება ფეოდალიზმი, კაპიტალიზმი.

გერმანული ანტიკოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ კ. ბიუხერი (1847-1930) და უ. ვილამოვიც-მელენდორფი (1848-1931), პირველმა მათგანმა გამოაქვეყნა ნაშრომი „სახალხო მეურნეობის ფორმირება“, სადაც კაცობრიობის ეკონომიკური ევოლუცია სამ ფაზადაა დაყოფილი: პირველი – ოიკოსური, კარჩაკეტილი მეურნეობა; მეორე – საქალაქო მეურნეობა; მესამე – სახალხო მეურნეობა. უ. ვილამოვიც-მელენდორფი პირველი გამოეხმაურა არისტოტელეს „ათენელთა პოლიტიის“ აღმოჩენის ფაქტს და მის საფუძველზე შექმნა მონუმენტური ნაშრომი „არისტოტელე და ათენი“. მკვლევარი იდეალისტურ პოზიციებს იცავდა და ედ. მაიერისეულ ციკლისებურ თეორიას არ იზიარებდა.

XX ს-ის 20-30-იან წლებში ანტიკური პოლისის პრობლემებზე ინტენსიურად მუშაობდნენ უ. კარშტედტი და ვ. ერენბერგი. პირველი მათგანი სისტემატურად იკვლევდა პოლისურ ინსტიტუტებსა და სამართლის პრობლემებს ("სპარტა და მისი კავ-

შირი" 1922); აღსანიშნავია, რომ მკვლევარი მოდერნიზმის თეორიის ერთგული რჩებოდა. ამის თვალსაჩინო ილუსტრაციაა უ. კარშტედტის სტატია „რომაული რევოლუციის საფუძვლები და წინამძღვარები" (1926), რომელიც პროლეტარიატისა და პროლეტარული რევოლუციის საწინააღმდეგო პამფლეტი იყო. ავტორი ძვ. წ. 149-146 წწ. კორინთოში პროლეტარიატის დიქტატურასა და ბოლშევიზმს ხედავს და ხოტბა-დიდებას ასხამს რომაულ მახვილს, რომელმაც კორინთო დაანგრია. მეორე გერმანელი მეცნიერი ვ. ერენბერგი ყურადღებას ამახვილებს პოლისური სისტემის ფორმირების ძირითად ეტაპებზე („სახელმწიფოს დამფუძნებლები", 1925). აღსანიშნავია, რომ ვ. ენერბერგმა ფაშისტური დიქტატურის პერიოდში, ისევე როგორც ბევრმა გერმანელმა ანტიკოლოგმა, დატოვა გერმანია და აშშ-ში გააგრძელა მოღვაწეობა.

მნიშვნელოვანი ნაშრომების ავტორია კ. ბელოხი (1854-1929). მის ოთხ ტომად გამოქვეყნებულ „საბერძნეთის ისტორიაში" განხილულია ელადის განვითარების პროცესი უძველესი დროიდან ძვ. წ. 217 წლამდე. ნაშრომში ვრცლადაა გაშუქებული ათენის, სპარტის, კორინთოს, სამხრეთ იტალიისა და სიცილიის ბერძნული პოლისების პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურის ისტორიის პრობლემები. კ. ბელოხმა სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა პერიკლეს ეპოქის ატიკის პოლიტიკას, სადაც პერიკლესა და ათენის დემოკრატიას უარყოფითად ახასიათებს.

აღსანიშნავია, რომ კ. ბელოხმა ძველი ისტორიის კვლევისას პირველმა გამოიყენა სტატისტიკური მეთოდი, რომლის საფუძველზე მან ელინური პოლის-სახელმწიფოების მოსახლეობის რაოდენობა განსაზღვრა. კ. ბელოხის აზრით, პოლისების ეკონომიკაში ძირითადად დაქირავებული მუშახელი გამოიყენებოდა, ხოლო მონები ნაკლებად იყვნენ დასაქმებულნი. კ. ბელოხი იზიარებდა ედ. მაიერის მოდერნისტულ თეორიას და ბერძნულ ეკონომიკას კაპიტალისტური ევროპის ეკონომიკას ადარებდა.

ცნობილი გერმანელი მეცნიერი რ. პელმანი (1852-1914) ანტიკური პოლისის ისტორიის საკითხებს იკვლევდა. თავის ნაშრომში – „მსხვილი ანტიკური ქალაქების მოსახლეობის სიჭარბე საქალაქო ცივილიზაციის განვითარებასთან დაკავშირებით" – იგი ალექსანდრიას და ძველ რომს XIX ს-ის ლონდონს, პარიზსა და ბერლინს ადარებდა.

რ. პელმანის აზრით, აღნიშნულ ქალაქებში სოციალური ავადმყოფობის სიმპტომები ერთნაირი იყო: სიღარიბე, ანტისანიტარია და ეპიდემიები.

ანტიკური პოლისის შესწავლის საქმეში განსაკუთრებული წვლილი ფრანგ მეცნიერებსაც მიუძღვით. ამ მხრივ აღსანიშნავია XIX ს-ის მეორე ნახევრის გამოჩენილი ისტორიკოსი ნ. ფიუსტელ დე კულანჟი. მისმა კაპიტალურმა ნაშრომმა „ანტიკური სამოქალაქო საზოგადოება" ევროპის საისტორიო მეცნიერებაში დიდი რეზონანსი გამოიწვია. ის მწვავედ აკრიტიკებდა ძველი ისტორიის მოდერნისტულ თეორიებს და სამოქალაქო საზოგადოება ანტიკური ცივილიზაციის ძირითად საფუძვლად მიაჩნდა. ნ. ფიუსტელ დე კულანჟმა ანტიკური პოლისის არსი ბერძენთა რელიგიური წარმოდგენებით ახსნა.

ცნობილი ფრანგი მკვლევარი ე. კავენიაკი (1876-1963) უარყოფითად ახასიათებდა ათენის დემოკრატიულ სისტემას. მისი აზრით, ათენის დემოკრატია „ანარქიული" და „ანტინაციონალური რეჟიმი" იყო, დემოსი უვიცი და მამაძაღლი, ხოლო მისი წინამძღოლები მყვირალები და უვიცები იყვნენ. სამაგიეროდ მის აღფრთოვანებას ოლიგარქიული სპარტა და დიონისე უფროსისეული სირაკუზი იწვევდა, ვინაიდან, მკვლევრის მტკიცებით, მათ „კანონიერი რეჟიმი" დაამყარეს. ეპამინონდეს ე. კავენი-

აკი უარყოფითად ახასიათებს, რადგანაც, მისი განმარტებით, მან ძირი გამოუთხარა სპარტის ჰეგემონიას და თავისი ხალხის შესაძლებლობა არ გაითვალისწინა.

ათენის დემოკრატია პოზიტიურად არის შეფასებული ა. კრუაზეს (1845-1923) ნაშრომებში: „ანტიკური დემოკრატიები" და „არისტოფანე და ათენი". ა. კრუაზეს ათენის დემოკრატია ბერძნული გენიის უდიდეს ქმნილებად მიაჩნდა. მისი მტკიცებით, ათენის დემოკრატიაზე მონობას განსაკუთრებული კვალი არ დაუჩნევია, რადგანაც ათენში მრავალრიცხოვან სოციალურ ფენას თავისუფალი მოქალაქეები შეადგენდნენ.

XX ს-ის 20-იანი წლების ფრანგული ანტიკოლოგიის ავტორიტეტული წარმომადგენელი იყო გ. გლოტცი, რომელიც წარმატებით იკვლევდა ანტიკური პოლისის პრობლემებსაც. გ. გლოტცის მონოგრაფიებმა „შრომა ძველ საბერძნეთში" (1920) და „ბერძნული ქალაქი" (1928) საყოველთაო აღიარება მოიპოვა. გ. გლოტცის აზრით, ძველ-ბერძნული პოლისი ანტიკური ისტორიის არსებითი ფენომენია. მისი ეარაუდით, პოლისური სამყაროს ფორმირება მხოლოდ გეოგრაფიული ფაქტორებით როდი განისაზღვრება, ვინაიდან საბერძნეთის ბუნებრივი პირობებისაგან განსხვავდებოდა მცირე აზიისა და იტალიის ლანდშაფტი, მაგრამ ამ რეგიონებში პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმად პოლისი რჩებოდა.

ძველი საბერძნეთის ისტორიისადმი განსაკუთრებულ ინტერესს ინგლისშიც იჩენდნენ. XVIII ს. დასასრულსა და XIX ს-ის პირველ ნახევარში, პირველად ევროპაში, დიდ ბრიტანეთში გამოქვეყნდა ძველი საბერძნეთის ისტორიის მრავალტომიანი საცნობარო ნაშრომები. ცნობილი მეცნიერი უ. მიტფორდი თავის რვატომიან ნაშრომში (1784-1794) „საბერძნეთის ისტორია" ქება-დიდებას ასხამდა კონსერვატიულ სპარტას, მის პოლიტიკას და მმართველობის სისტემას. მეორე ინგლისელი მკვლევარი ჯ. გროტი 12-ტომიან ნაშრომში „საბერძნეთის ისტორია" (1846-1856), პირიქით, ათენსა და მის დემოკრატიულ ინსტიტუტებს პოზიტიურ ტონალობაში ხატავდა. ჯ. გროტისათვის ათენის ისტორია სრულიად საბერძნეთის ისტორიის ქვაკუთხედი იყო. მეცნიერი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა პოლისების პოლიტიკური და კულტურის ისტორიის საკითხების შესწავლას.

ინგლისელმა მეცნიერმა მ. ფარნელამ პოლისების კულტების შესწავლას ხუთტომიანი ნაშრომი (1896-1907) მიუძღვნა. ნარატიული, არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული მასალების საფუძველზე გამოკვლეულია ცალკეული პოლისების პანთეონში წარმოდგენილი ღვთაებების გენეზისის, მათი ხასიათისა თუ ფუნქციების ასპექტები. აღნიშნულ ნაშრომს, თავისი მასშტაბურობით, ანალოგი ინგლისის ფარგლებს გარეთაც არ მოეპოვებოდა.

XX ს-ის 20-30 წლებში ინგლისური და ამერიკული ანტიკოლოგიის ერთიანობის ტენდენციის გაძლიერება შეიმჩნევოდა. აღნიშნულ პერიოდში, ანგლო-ამერიკელი ანტიკოლოგები განსაკუთრებულ ყურადღებას ძველი საბერძნეთის ადრეული ისტორიის, კერძოდ კი ათენის ისტორიის პრობლემების კვლევა-ძიებაზე ამახვილებდნენ. სერიოზული ნაშრომები მიეძღვნა სოლონის რეფორმებს. ამ მხრივ აღნიშვნის ღირსია კ. ფრიმენის „სოლონის ცხოვრება და მოღვაწეობა" (1936), ვ. ვუდჰაუზის „სოლონი-მხსნელი" (1938), ჯ. ლინფორტის „ათენელი სოლონი" (1919). ნაშრომებში შესამჩნევია ათენის ადრეული ისტორიის მოდერნისტული ტენდენციები. ათენის საზოგადოების ბრძოლის ანალოგად ავტორებს მოჰყავთ გვიან შუასაუკუნეების ეპოქაში „მესამე წო-

დების“ ბრძოლა ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგ. მსგავსი პოზიცია დამახასიათებელია პ. იურეის მონოგრაფიაში „ადრეული ტირანია“ (1922). მისი აზრით, ტირანები სავაჭრო კლასის, „ახალი მდიდრების“ ლიდერები იყვნენ. „ტირანების“ დაწინაურების მიზეზი კი ქონება იყო, რომელიც ვაჭრობის შედეგად დაგროვდა.

აღნიშნული პერიოდის ანგლო-ამერკულ ანტიკათმცოდნეობაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ასევე მონობის პრობლემატიკის შესწავლას. ძვ. წ. V-IV სს-ის ათენის მოსახლეობის პრობლემებს იკვლევდა ა. გომი, რომელიც ასევე შეეხო მონათა რაოდენობის ასპექტებსაც. მისი გაანგარიშებით, ატიკის მოსახლეობის უმრავლესობას მონები შეადგენდნენ, ხოლო ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა უ. ვესტერმანმა სტატიაში „მონობა“, პირიქით, მათი რიცხვი საგრძნობლად შეამცირა. ანგლო-ამერიკული ანტიკოლოგები ინტერესს იჩენდნენ ასევე რომაული ეპოქის ბერძნული ქალაქების საკითხებისადმი. ამ პრობლემებს ცნობილმა ინგლისელმა მეცნიერმა ა. ჯოუნსმა მიუძღვნა საინტერესო მონოგრაფიები – „რომის აღმოსავლური პროვინციების ქალაქები“ (1938) და „ბერძნული ქალაქი ალექსანდრედან იუსტინიანემდე“ (1940), რომლებშიც ნაჩვენებია დამოუკიდებლობადაკარგული პოლისების ბედი. ა. ჯოუნსის აზრით, პოლისების დაღუპვის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ქალაქის დამცველი მუდამ იყო მდიდარ მოქალაქეთა ვინრო წრე, რომელიც „ქალაქის პროლეტარიატს“ და გლეხობას ექსპლოატაციას უწევდა. რომაულ ეპოქაში დიდგვაროვნები საგრძნობლად შეავიწროვეს.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ახალ წარმატებებს აღწევს ანგლო-ამერიკული ანტიკოლოგია. განსაკუთრებული მრავალმხრივობით გამოირჩეოდა ინგლისელი მეცნიერი მ. ფინლი (1912-1983), რომელიც ანტიმოდერნისტი იყო. მის მრავალრიცხოვან ნაშრომთა შორის დიდ ინტერესს იწვევს „ძველი ეკონომიკა“ (1973). მ. ფინლის აზრით კაპიტალისტურისაგან ანტიკური ეკონომიკა არსებითად განსხვავდებოდა, რადგან ამ უკანასკნელთან დაკავშირებით არ შეიძლება ისეთი ცნებების გამოყენებაც კი, როგორიცაა „კაპიტალი“, „კაპიტალდაბანდება“, „პროდუქცია“, „მოთხოვნილება“, „შეთავაზება“. მკვლევრის თანახმად, ანტიკური ქალაქი არა წარმოების, არამედ მოთხოვნილების ცენტრი იყო. პოლისის ეკონომიკის საფუძველს ოიკოსური, ნატურალური მეურნეობა წარმოადგენდა. მ. ფინლის აზრით, ანტიკური საზოგადოების „დაღუპვის“ მიზეზი იყო ის, რომ პოლისური სისტემა ბიუროკრატიული მონარქიით შეიცვალა.

ათენის ეკონომიკის ისტორიის ცალკეული საკითხები ორიგინალურად და ნოვაციურადაა გამოკვლეული ჯ. ფაინის ნაშრომში „ჰოროი. მიწათმოწყობა, გირავნობა და ქონების სანიშნები ძველ ათენში“ (1951), რომელიც ბაზირებულია თავისებური კატეგორიის წყაროზე, ე.წ. „ჰოროებზე“, ქონების (მიწის ნაკვეთი, სახლი) სანიშნე ქვებზე. ჯ. ფაინის მტკიცებით, ძვ. წ. IV ს-ის ათენში, მიუხედავად მიწების კონცენტრაციის პროცესისა, აქ მსხვილი მეურნეობები არ შექმნილა და გლეხობის მასობრივ პაუპერიზაციასაც არ ჰქონია ადგილი. მართალია, მისი აზრით, სიღარიბის დონე ძალზე გაიზარდა, თუმცა მეორე სოციალურ პოლუსზე სიმდიდრის ზრდა არ შეიმჩნეოდა. ამიტომაც, ათენში სოციალური კონფლიქტი არ გამწვავებულა.

ანგლო-ამერიკელი ანტიკოლოგები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ბერძენთა საკოლონიზაციო მოძრაობის შესწავლას. ინგლისელმა მეცნიერმა ჯ. ბორდმანმა ამ პრობლემას სპეციალური ნაშრომი „ზღვისიქითა ბერძნები“ (1973) მიუძღ-

ვნა. მკვლევრის აზრით, კოლონიზაცია მუდამ ბერძნული ცივილიზაციის ჩვეული ფენომენი იყო. გ. გრეპემის ნაშრომში – „კოლონია და მეტროპოლია ძველ საბერძნეთში" (1964) შესწავლილია კოლონიებისა და მეტროპოლისების პოლიტიკური ურთიერთობანი. მკვლევრის მტკიცებით ზოგიერთი კოლონია პოლიტიკურად მთლიანად იყო დამოკიდებული თავის მეტროპოლისზე, ზოგი ნაწილობრივ, ზოგიერთი კი სრულიად დამოუკიდებელი იყო.

აღნიშნული პერიოდის ანგლო-ამერიკულ ანტიკოლოგიაში ძირითადი ყურადღება მაინც ანტიკური ეკონომიკის შესწავლას ეთმობოდა. ვ. დევისონისა და ჯ. ჰარპერის მონუმენტურ ნაშრომში – „ევროპის ეკონომიკური ისტორია", (ტ. 1, 1972), პოლისური ეკონომიკა განმარტებულია როგორც საბაზრო ეკონომიკა, სადაც არსებითად წვრილი მეწარმეები ფიგურირებენ. ჯ. სენ-კრუა თავის ნაშრომში – „პელოპონესის ომის გარემოებები" (1972), ამტკიცებდა, რომ, რაც არ უნდა ყოფილიყო პოლისების ცალკეულ ვაჭრებს შორის დაპირისპირების მიზეზი ის პოლისებს მაინც არ პროვოცირებდა. ჯ. სენ-კრუას აზრით, პოლისებისათვის მერკანტილური პოლიტიკა, საბაზრო კონკურენცია და სავაჭრო ომები უცხო იყო.

ფ. ფროსტი ნაშრომში – „ტომობრივი პოლიტიკა და სამოქალაქო სახელმწიფო" (1976) ასაბუთებდა, რომ ათენის ეკონომიკური აღმავლობა, მისი ტრადიციული მეურნეობის გარდაქმნა ათენის საზღვაო კავშირის ფორმირების შედეგი იყო. მეორე ინგლისელი მეცნიერის ა. ფრენჩის („ათენის ეკონომიკის აღმავლობა", 1964) მტკიცებით კი, პირიქით, ათენის ეკონომიკის აღმავლობა ათენის საზღვაო კავშირის ფორმირების დროს დაემთხვა, რამაც განაპირობა კიდეც ამ ალიანსში მისი ჰეგემონობა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ანგლო-ამერიკულ ანტიკოლოგიაში უმთავრეს თემას ათენის დემოკრატიის დაცვა წარმოადგენდა. ათენის დემოკრატიის თანმიმდევრული დამცველი იყო ცნობილი ინგლისელი მეცნიერი ა. ჯოუნსი. თავის მონოგრაფიაში „ათენის დემოკრატია" (1957) მკვლევარი ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ შემოსავალ-გასავალი და ჯამაგირი არცთუ ისე დიდი იყო და მშვიდობიანობის დროს ქალაქის სახსრებით იფარებოდა. ა. ჯოუნსის მტკიცებით, მოქალაქეთა ძირითადი ნაწილი თავისივე შრომის ხარჯზე ცხოვრობდა და „მდიდარი ათენელებიც კი შედარებით მოკრძალებული ხალხი იყო." ასევე ათენის დემოკრატიის არსებობის გარანტს მოქალაქეთა საშუალო ფენა წარმოადგენდა.

მოქალაქეთა საშუალო ფენის განსაკუთრებულ როლზე მიანიშნებდა ვ. ერენბერგიც. მკვლევარს („არისტოფანეს ხალხი", 1951) გაცემისა და ანაზღაურების როლის მნიშვნელობა გადაჭარბებულად მიაჩნდა. მისი მტკიცებით ისინი უღარიბესი ათენელების არსებობასაც კი ვერ უზრუნველყოფდნენ. ვ. ერენბერგის აზრით, ათენის საზოგადოების განვითარებაზე წარჩინებულებსა და მდაბიოებს, მდიდრებსა და ღარიბებს შორის განსხვავებას არ უმოქმედია, ვინაიდან ათენის სოციალური ორგანიზმი „საშუალო კლასისაგან" შედგებოდა. ვ. ერენბერგი ერთადერთ შიდა კონფლიქტად ათენში თაობათა კონფლიქტს მიიჩნევს.

ათენური დემოკრატიის განვითარებაში სამოკავშირეო ფოროსის როლის გადაჭარბებულ შეფასებას არ იზიარებს რ. მეიგზი ("ათენის იმპერია", 1972). მკვლევრის აზრით, მცდარია ის მოსაზრება, რომლის თანახმადაც ათენელებმა გაზარდეს ფოროსის რაოდენობა, რათა თავიანთი კეთილდღეობა უზრუნველეყოთ. რ. მეიგზის ვარაუდით ფოროსის ნაწილი მოკავშირეებს უბრუნდებოდათ განეული სამხედრო სამსახუ-

რისათვის, ხოლო ფოროსის გარკვეული ნაწილი მოკავშირე ქალაქებიდან ათენში ემიგრირებულ მეტოიკოსებს ხმარდებოდა, რათა მათთვის სასურველი პირობები შექმნილიყო. ათენი ზღვაზე უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა, რითაც სავაჭრო კონტაქტები ფართოვდებოდა.

ანგლო-ამერიკულ ანტიკოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სპარტის ისტორიის პრობლემების შესწავლას. მრავალრიცხოვან მონოგრაფიათა შორის გამოირჩევა კ. ჩრაიმსის „ძველი სპარტა" (1952), ხ. მიჩელის „სპარტა" (1952), ჯ. ხაკსლის „ადრეული სპარტა" (1962), ვ. ფორესტის „სპარტის ისტორია ძვ. წ. 950-192 წწ-ში" (1968), მ. ფინლის სტატია „სპარტა" (1975).

კ. ჩრაიმსის მიხედვით, სპარტის სახელმწიფოებრივმა წყობამ საუკუნეების მანძილზე მცირეოდენი ცვლილებები განიცადა. მკვლევრისათვის ადრეული სპარტა იყო ფეოდალური სახელმწიფო, რომელიც ლიკურგოსის რეფორმების შემდეგ უნიფიცირებულ სახელმწიფოდ გარდაიქმნა. ხ. მიჩელსაც სპარტა ფეოდალური ტიპის სახელმწიფოდ მიაჩნდა. მისი აზრით სპარტიატს მიწა ფეოდალი რაინდის მსგავსად უნაწილდებოდა, ასევე სპარტის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა საუკუნეების მანძილზე უცვლელი რჩებოდა და მისი კონსტიტუციური სისტემა იდეალური იყო.

ჯ. ხაკსლის აზრით სპარტა, თავდაპირველად, სწრაფად განვითარებადი სახელმწიფო იყო და მხოლოდ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში სპარსეთის პოზიციების განმტკიცების შემდეგ ხდება აქ სერიოზული ცვლილებები, რის შედეგადაც სპარტამ ამ რეგიონში გასაღების ბაზრები დაკარგა.

მ. ფინლი სპარტის მილიტარისტულ ფუნქციას უარყოფს და მას პოლიტიკურ სახელმწიფოდ მიიჩნევს. ასევე, მკვლევრის აზრით, სპარტანული სისტემა უნიკალობით არ გამოირჩეოდა, ვინაიდან იგივე ელემენტები სხვა პოლისებშიც დასტურდება, ხოლო მისი სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ ეს ელემენტები (ილოტია, სამეფო ხელისუფლება, სისისტიები) ერთად იყო კონცენტრირებული.

ელინისტური ეპოქის ათენის ისტორიას სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა ჰ. ხაბიხთმა „ელინისტური ათენი", სადაც განხილულია ათენის პოლისის ძვ. წ. IV-I სს-ის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საკვანძო საკითხები.

ანტიკური პოლისების შესწავლაში გარკვეული წვლილი მიუძღვით იტალიელ მეცნიერებს. ამ მხრივ, აღსანიშნავია გამოჩენილი ანტიკოლოგი გ. დესანკტისი (1870-1957). მის ნაშრომში „ატისი, ათენის რესპუბლიკის ისტორია" დეტალურადაა გადმოცემული ატიკის ისტორია. ავტორი ათენის დემოკრატიული მმართველობის ფორმისადმი მხურვალე სიმპათიებს ამჟღავნებდა. ანტიკური პოლისის პრობლემებზე მუშაობდა ასევე ცნობილი მეცნიერი მ. ფერაბინო. ნაშრომში „ბერძნული თავისუფლების დასასრული" ავტორი ამტკიცებდა, რომ ბერძნებისათვის თავისუფლება ავტარკიულ, დემოკრატიულ პოლისებში იყო განსახიერებული, ხოლო სპარსელებთან – მონარქიულში. სპარსეთის სახელმწიფო უფრო მყარი აღმოჩნდა, ვიდრე ბერძნული სამყარო, ვინაიდან მან ერთიანობა შეინარჩუნა. მკვლევრის აზრით, ბერძნებს თავისუფლების პრინციპებმა შეუშალეს ხელი, რომ დიდი იმპერია შეექმნათ.

XIX ს-ის დასასრულსა და XX ს-ის დასაწყისში ავსტრიასა და ბელგიაში ანტიკოლოგიისადმი გარკვეული დაინტერესება შეინიშნებოდა. ცნობილი ავსტრიელი მეცნიერი უ. შვარცი (1819-1900) თავის ნაშრომში – „ათენის დემოკრატია", უარყოფითად ახასიათებს ათენის დემოკრატიულ სისტემას. მისი მტკიცებით, ათენში თითქოსდა

ადგილი ჰქონდა ანგარებას, სისასტიკეს, კორუფციას. აქ თავისუფალი აზრი იდევნებოდა, უთანასწორობა იყო და ხელს უშლიდნენ მეცნიერების განვითარებას. ამიტომ უ. შვარცი ტირანიას და ოლიგარქიულ რეჟიმს თანაუგრძნობდა.

ბელგიელმა მეცნიერმა ა. ფრანკოტმა (1856-1918) ნაშრომების სერია მიუძღვნა პოლისების ფინანსებისა და მრეწველობის საკითხებს. ა. ფრანკოტის მტკიცებით, პოლისებში ბანკები და ფაბრიკები ფუნქციონირებდნენ. მილეტის საქალაქო ანგარიშის შესახებ არსებული ცნობა ქალაქის „ბიუჯეტად" მიიჩნია. ა. ფრანკოტს ეკუთვნის ასევე ფუნდამენტური გამოკვლევები პოლისებში მეტოიკოსებისა და პროქსენების მდგომარეობისა თუ მათი სტატუსის შესახებ.

ბერძნული პოლისის ისტორიის შესწავლაში განსაკუთრებული წვლილი თანამედროვე რუსულ ანტიკოლოგიასაც მიუძღვის. პოლისური სისტემის წინაისტორია და მისი ადრეული ფორმების ასპექტებს ეძღვნება ი. ანდრეევის ფუნდამენტური მონოგრაფია „ადრებერძნული პოლისი" (1976) და ე. ფროლოვის „ბერძნული პოლისის დაბადება" (1988). პოლისის არსი, ქალაქისა და პოლისის დეფინიციის საკითხები განხილულია გ. კოშელენკოს ნაშრომებში: „პოლისი და ქალაქი" (1980), „ძველბერძნული პოლისი" (1983); პოლისური ეკონომიკის პრობლემები გაშუქებულია ვ. ანდრეევის სტატიებში: „მინების ფასი ძვ. წ. IV ს-ის ატიკაში" (1960), „მინების კოცენტრაციის საკითხი ძვ. წ. IV ს-ის ატიკაში" (1958), „ძვ. წ. V-III სს-ის ატიკური საზოგადოებრივი მინისმფლობელობა" (1967); პოლისური სისტემის კრიზისის საკითხების შესწავლას ეძღვნება ლ. მარინოვიჩის მონოგრაფია „ბერძნული მოქირავნეობა ძვ. წ. IV ს-ში და პოლისის კრიზისი" (1975), ასევე ლ. გლუსკინას მრავალრიცხოვანი ნაშრომები: „მინის არენდა ძვ. წ. IV ს-ის ატიკაში" (1968), „ძვ. წ. IV ს-ის ათენის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის პრობლემები" (1975), „პოლისის კრიზისის პრობლემები" (1983); ელინისტური აღმოსავლეთის პოლისების ისტორიის ასპექტებია განხილული გ. კოშელენკოს ნაშრომში „პოლისი ელინისტურ აღმოსავლეთში" (1970), ასევე ლ. მარინოვიჩის „ალექსანდრე მაკედონელი და მცირე აზიის პოლისები" (1980), „პოლისი და ელინისტური მონარქია: ურთიერთობათა გენეზისის პრობლემა" (1985).

რუსმა მკვლევარებმა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის და ელინური აპოიკიების ისტორიის პრობლემებს არაერთი ღირებული ნაშრომი მიუძღვნეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვ. ლაპინის „ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია" (1966), ვ. გაიდუკევიჩის „ბოსფორის სამეფო" (1949), დ. შელოვის „ანტიკური სამყარო ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში" (1956), ვ. ბლავატსკის „არქაული ბოსფორი" (1954), „პანტიკაპეონი" (1964), ი. ვინოგრადოვის „პოლისი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში" (1983), „არქაული ოლვიის ისტორიიდან" (1971) და სხვ.

ქართულ საისტორიო მეცნიერებაში ბერძნული პოლისი მონოგრაფიულად ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი, მაგრამ ცნობილი ქართველი ანტიკოლოგების ალ. ნერეთლის, ლ. სანიკიძის, გ. ქავთარიას, რ. გორდეზიანის ("ბერძნული ცივილიზაცია") და ლ. გორდეზიანის ("ძველი ისტორიის ნარკვევები") მონოგრაფიებში პოლისური სისტემის ფორმირებისა და მისი განვითარების პროცესიცაა განზოგადებული. პოლისისა და ქალაქის დეფინიციის პრობლემები განხილულია ვ. ლიჩელის ნაშრომში „კოლხეთისა და იბერიის კულტურის საკითხები". ქართველმა ისტორიკოსებმა და არქეოლოგებმა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციისა და კოლხეთის ანტიკური ხანის ქალაქების ისტორიის პრობლემებს მნიშვნელოვანი ნაშრომე-

ბი მიუძღვნეს. ამ მხრივ, აღსანიშნავია ნ. ლომოურის „კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია“ (1962), ოთ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ბერძნული კოლონიზაციის საკითხისათვის“ (1964), გ. ლორთქიფანიძის „ძვ. წ. VI-IV სს-ის კოლხურ-ბერძნული ურთიერთობის ხასიათის საკითხები“ (1994), მ. ინაძის „კოლხეთის შავიზღვისპირეთის ქალაქები“ (1968), თ. მიქელაძის „მასალები ძველი ფასისის „ხორის“ არქეოლოგიისათვის“ (1979), გ. გამყრელიძის „კოლხოლოგიური ნარკვევები“ (2001).

აღნიშნულ ნაშრომებში შესწავლილია ძველი კოლხეთის კოლონიზაციამდელი ვითარება, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის თავისებურებანი, მისი ეტაპები, ბერძნული ახალშენებისა და კოლხეთის ზღვისპირა ქალაქების სტატუსი თუ მათი ფუნქციები.

აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის განხილვას მიეძღვნა წყალტუბოში საკავშირო სიმპოზიუმები: „ჩრდილოეთ და შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის პრობლემები“ (1977) და „შავიზღვისპირეთის მკვიდრი მოსახლეობა ბერძნული კოლონიზაციის ეპოქაში“ (1979).

II. ანტიკური პოლისის ფორმირებისა და განვითარების პროცესი

ძველი საბერძნეთის ისტორია არსებითად პოლისების ისტორიაა. ელინურმა პოლისებმა განვითარების ხანგრძლივი და საკმაოდ რთული გზა განვლეს.

პირველი სახელმწიფოები საბერძნეთში და, საერთოდ, ევროპის კონტინენტზე ჯერ კიდევ ძვ. წ. III-II ათასწლეულში აღმოცენდა, როგორიცაა კრეტულ-მიკენური სამყაროს ცნობილი ცენტრები – კნოსო, ფესტოსი, ზაკროსი, მიკენი, ტირინთოსი, პილოსი, არგოსი და სხვ. მართალია, ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტები სასახლე-სახელმწიფოებს წარმოადგენდა, მაგრამ კრეტულ-მიკენური სამყაროს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში დაახლოებით ისეთივე როლს ახორციელებდა, როგორსაც გვიანდელი ხანის ქალაქები. თითოეული მათგანი თავისივე მიკრორეგიონის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური, რელიგიური და კულტურული ცენტრები იყო. მიუხედავად ამისა, ეგეოსური სამყაროს აღნიშნული ცენტრები თავისი ბუნებით, ხასიათით პოლისების სტრუქტურისაგან ძალიან შორს იდგა. თუმცაღა პროტოპოლისის პირველი ნიშნები უკვე მიკენის ეპოქის დასასრულს გამოიკვეთა.

ძვ. წ. XII ს. დასასრულს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კატაკლიზმების შედეგად მიკენური სამყარო ქაოსმა მოიცვა. მოიშალა მიკენის კულტურული ერთობა. გაჩნდა ახალი ლოკალური კულტურული არეალები. მიკენურ ცივილიზაციაში უხვად იყო წარმოდგენილი უცხო, არამიკენური კულტურის ელემენტები. ცალკეული რეგიონების პოლიტიკური დეზინტეგრაციის პროცესიც შორს იყო წასული. ხსენებული პროცესები ე.წ. „ბნელი წლების“ (ძვ. წ. XI-VIII ს. შუა ხანები) პერიოდში კიდევ უფრო გაღრმავდა. „ბნელი საუკუნეების“ ეპოქის პირველი ეტაპი (სუბმიკენური პერიოდი) რეგიონების იზოლაციით ხასიათდება. ასე მაგალითად, არქეოლოგიური მონაცემებით, ათენი და არგოსი გარესამყაროსაგან თითქმის იზოლირებულია, თუმცა არგოსულ და ტირინთოსულ ლითონის ნაწარმზე ჩრდილოეთ ევროპისა თუ აღმოსავლეთის ცენტრების ზეგავლენა შეიმჩნევა (Snodgrass, 1971, გვ. 305). მართალია ე.წ. სუბმიკენური პერიოდის კერამიკა მიკენურთან შედარებით მდარე ხარისხისა იყო, მაგრამ ზოგიერთი ამფორისა და ლითონის ნაწარმის ნაირსახეობები მაღალ დონეზეა დამზადებული.

აღნიშნულ პერიოდშივე ინტენსიურად იწყება რკინის მოპოვება და მისი წარმოება. ძვ. წ. XI ს-ში რკინის ნაწარმი ფართოდ ვრცელდება კრეტაზე, არგოსში, ათენსა და ლევკანდოსში (Boardman, 1973, გვ. 35).

„ბნელი წლების“ მომდევნო ე.წ. „პროტოგეომეტრიული“ პერიოდისათვის დამახასიათებელია ახალი ტექნოლოგიების განვითარება და სრულყოფა; სტილისა და ფორმების კერამიკული პროდუქციის წარმოება. პროტოგეომეტრიული სტილის სამშობლოდ ათენია მიჩნეული (Desborugh, 1962, გვ. 119). ათენური სტილის კერამიკული ნაწარმი დაფიქსირებულია არგოსში, მიკენში, ტირინთოსში, ლერნეში და სხვ (Desborugh, 1962, გვ. 30-37). არგოსელი მეთუნეები არა მარტო ათენელ ოსტატთა ნაწარმს ბაძავდნენ, არამედ საკუთარი სტილის კერამიკაც შექმნეს. არგოსული კერამიკის ზეგავლენა კორინთულ კერამიკაზეც შეიმჩნეოდა; კოსური კერამიკა სიახლოვეს არგოსულ სტილთან ამჟღავნებდა.

პროტოგეომეტრიულ პერიოდში შესამჩნევად გაიზარდა რკინის საბრძოლო იარაღების წარმოებაც, რომელმაც ძვ. წ. X-IX სს-ში შეიარაღებიდან საბოლოოდ განდევნა ბრინჯაოს საბრძოლო იარაღები.

აღნიშნულ პერიოდში საკმაოდ ფართოდ ვრცელდება დაკრძალვის ახალი წესი – კრემაცია (Античная Греция, 1983, გვ. 119), მაგრამ მიუხედავად ამისა, ძვ. წ. X-IX სს-შიც საბერძნეთი ლოკალური თავისებურებების ქვეყნად რჩებოდა. მართალია, საბერძნეთის ცალკეული რეგიონის ნანარმი სტილისტურად მსგავსი იყო, თუმცა ინდივიდუალურ სტილს ინარჩუნებდა. პროტოგეომეტრიულ პერიოდში საბერძნეთის ოლქები კვლავ იზოლირებული ჩანს. მინიმუმამდეა შემცირებული სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები. ასე მაგალითად, არქეოლოგიური მონაცემებით, არგოსის გარეთ, ეპირში მხოლოდ ერთი არგოსული ვაზაა დაფიქსირებული, ათენში ასევე იმპორტული ნაწარმი არ დასტურდება, თუმცა ათენური პროდუქცია ეგეიდის არაერთ რეგიონშია წარმოდგენილი. აღსანიშნავია ისიც, რომ არგოსული და ათენური მაღალხარისხოვანი კერამიკა აღმოსავლეთის ქვეყნებში ჯერჯერობით არ არის აღმოჩენილი.

იზოლაციური ვითარება გრძელდება მომდევნო გეომეტრიულ ეპოქაში (ძვ. წ. 900-700 წწ.), მაგრამ ცალკეულ რეგიონებს შორის ურთიერთობანი ძვ. წ. IX ს-ში განახლდა. ამიერიდან ათენის პროდუქცია ვრცელდება ეგეოსის აუზის სხვადასხვა მხარეში – კრეტაზე, კვიპროსში, დელოსსა და სამოსში. მაგრამ ამგვარი კონტაქტები უმნიშვნელო იყო და აღმოსავლეთის ქვეყნებთანაც სპორადულ ხასიათს ატარებდა. მიუხედავად ამისა, IX ს-ის დასასრულს ბერძნული სამყაროს იზოლაციის ეპოქა დასრულდა. VIII ს-ის დასაწყისიდან ბერძნული სამყაროს კონტაქტები გარე სამყაროსთან კიდევ უფრო ღრმავდება. აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება-გამტკიცებით, უწინარეს ყოვლისა, ბერძნული საზოგადოება იყო დაინტერესებული, რადგან საბერძნეთის ეკონომიკური განვითარება მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან კონტაქტების გარეშე შეუძლებელი იყო.

ძვ. წ. IX-VIII სს. საბერძნეთში „დემოგრაფიული აფეთქების" ეპოქაა. როგორც ცნობილია, მიკენური სამყაროს დაღუპვას თან სდევდა საბერძნეთის მრავალი ოლქის დეპოპულაცია. მაგრამ „ბნელი წლების" დასასრულს მოსახლეობის ზრდის ნიშნები შეიმჩნევა. ოდესღაც მიტოვებული ტერიტორიები, მაგალითად, ლერნა, ბერბატოსი კვლავ დასახლებული ჩანს; ტირინთოსა და მიკენში მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა. მოსახლეობის ზრდის პროცესი ათენშიც დასტურდება (Kelly, 1976, გვ. 53).

აღნიშნული ეპოქის ყველაზე უფრო დამახასიათებელ და მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა საკოლონიზაციო მოძრაობა, რომელიც ძვ. წ.-ის VIII ს შუა ხანებში დაიწყო. ამ მოძრაობასთან გარკვეული დოზით დაკავშირებული იყო მოსახლეობის ზრდის პროცესი, მაგრამ ეს ძალზე რთული და უნიკალური მოვლენა მხოლოდ დემოგრაფიული აფეთქებით როდი იყო განპირობებული. მისი მიზეზები გამოწვეული იყო ბერძნული საზოგადოების უფრო ღრმა კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური პროცესებით, რომლებიც მიმდინარეობდა მიკენური სამყაროს დასასრულიდან საკოლონიზაციო მოძრაობის დაწყებამდე. ამ პროცესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენდა ასევე VIII ს-ის მეორე ნახევარში საბერძნეთის ტერიტორიაზე მონუმენტური ნაგებობების – ჰერას ტაძრების მშენებლობის ფაქტი. ამ ტაძრებს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ეკავათ: ჰერას ტაძარი არგოსიდან 5 კმ-ის, მიკენიდან – 3, ხოლო ტირინთოსიდან – 6 კმ-ის დაშორებით მდებარეობდა. ტაძრების

მშენებლობა საბერძნეთის ეკონომიკური პოტენციალის მაჩვენებელია. ტაძრებს რელიგიურ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

ძვ. წ. VIII ს-ის დასაწყისში, არქეოლოგიური მონაცემებით, ბერძნულ დასახლებებში სოციალური დიფერენციაციის პროცესი შესამჩნევია. ასე მაგალითად, არგოსში ღარიბული სამარხების გვერდით დაფიქსირებულია საკმაოდ მდიდრული ინვენტარის შემცველი სამარხები. ასეთივე სიტუაცია დასტურდება ტირინთოსში, ნავპილიოსში, ათენსა და სხვა ნამოსახლარების სამაროვნებზე (Античная Греция, 1983, გვ. 124).

უნივერსალური ხასიათის ინოვაციებით განისაზღვრებოდა საბერძნეთის შემდგომი განვითარების გზა. ყალიბდებოდა სრულიად ახალი კულტურა, რომლის უმთავრესი მიღწევა ადამიანთა გაერთიანების უნიკალური ფორმა – პოლისი იყო.

პოლისების ფორმირების დროს საბერძნეთი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა მიკენური ეპოქის ისეთი მემკვიდრეობის ელემენტებს, როგორებიცაა რეგიონების იზოლაცია, დეზინტეგრაცია, დასახლებათა ავტონომიურობა, სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტების სპორადული ხასიათი. მაგრამ მიკენური ბიუროკრატიული მონარქიული სისტემა საბოლოოდ წაიშალა და მის ნანგრევებზე პოსტმიკენურ პერიოდში პრიმიტიული სასოფლო თემი – დემოსი აღმოცენდა.

თავდაპირველად სასოფლო თემებს მცირე ტერიტორია ეკავათ და ერთმანეთისგან იზოლირებულნი იყვნენ. სათემო ტერიტორიების პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრი პოლისი იყო. კლასიკური ეპოქის ბერძნულ ენაში პოლისი ქალაქსაც ნიშნავდა და სახელმწიფოსაც. აღსანიშნავია, რომ ჰომეროსის ლექსიკაში, სადაც სიტყვა „პოლისი“ ხშირად გვხვდება, სოფლის აღმნიშვნელი გვიანდელი ტერმინი „კომე“ არ ფიქსირდება (Luce, 1978, გვ. 6). ეს იმას ნიშნავს, რომ მის დროს ქალაქი და სოფელი რეალურად ერთმანეთისგან გამიჯნული არ ყოფილა. ჰომეროსისეული პოლისი ერთდროულად ქალაქიცაა და სოფელიც. მას ქალაქთან აახლოვებს, ერთი მხრივ, მცირე სივრცეში კომპაქტურად განლაგებული ნაგებობანი, ხოლო მეორე მხრივ, თავდაცვითი სისტემა.

მართალია, ჰომეროსისეული პოლისების, კერძოდ ტროას ან ფეაკთა ქალაქს თავდაცვითი კედლები ჰქონდათ, თუმცა მაინც ძნელია ჰომეროსისეული პოლისი ნამდვილ ქალაქად მივიჩნიოთ, რადგან მისი მოსახლეობის ძირითად მასას მიწათმოქმედი გლეხები და მესაქონლეები შეადგენენ და არა ვაჭარ-ხელოსნები, რომლებიც ამ დროს მცირერიცხოვანი სახით იყვნენ წარმოდგენილნი. როგორც წესი, ცალკეული თემების სამფლობელოები მცირე ტერიტორიას მოიცავდა და მათ ერთმანეთისგან მთის ქედი ყოფდა.

ცალკეულ თემებს შორის დაძაბული ურთიერთობა სუფევდა. მეზობელი პოლისები ერთმანეთს ისე უყურებდნენ როგორც მტრებს. მეზობელ პოლისებს შორის ძარცვა-რბევა, მკვლელობა, სასაზღვრო კონფლიქტები ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რაც სისხლისმღვრელი ომებით მთავრდებოდა. ომის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო, მაგალითად, მეზობელი პოლისიდან საქონლის გატაცება. „ილიადაში“ პილოსის მეფე ნესტორი იხსენებდა თავის საგმირო საქმეებს, რომლებიც მან ახალგაზრდობის დროს ჩაიდინა. როდესაც ნესტორი 20 წლის იყო, პილოსი მეზობელ ელიდას თავს დაესხა და იქიდან მრავალრიცხოვანი საქონელი წაასხა. რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც ელიდელებმა პილოსში გაილაშქრეს, ნესტორმა ისინი სასტიკად დაამარცხა და მათი წინამძღოლიც სიცოცხლეს გამოასალმა.

ჰომეროსისეული პოლისის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა გვაროვნული ტრადიციები. გვარები ფილეებსა და ფრატრიებში ერთიანდებოდნენ. ისინი თემის პოლიტიკური და სამხედრო ორგანიზაციის ძირითად საფუძველს წარმოადგენდნენ. პირი, რომელიც არც ერთ ფრატრიაში არ ირიცხებოდა, საზოგადოების წევრად არ ითვლებოდა. მას ოჯახი არ ჰყავდა და კანონიც არ იცავდა. ფრატრიებისა და ფილეების საშინაო საქმეებში თემი არ ერეოდა. ხშირი იყო ცალკეულ გვარებს შორის დაპირისპირება. თემის თავისუფალი წევრები მიწის ნადელებს, კლეროსებს ფლობდნენ.

ჰომეროსის ეპოქაში და, საერთოდ, ძვ. წ. VIII ს-მდე ადრებერძნული სოციუმი მკაფიო სტრატიგრაფიულ გრადაციას მოკლებული კონგლომერატი იყო. ინდივიდები ტერიტორიულ-გენტილურ ერთობას შეადგენდნენ.

ძვ. წ. VIII-VII სს-ში საბერძნეთში ძირითადად ძვ. წ X-IX სს-ის სურათი შენარჩუნდა, მაგრამ მთელი რიგი კარდინალური ცვლილებები მოხდა: ერთხელისუფლებიანობა გაუქმდა, მაგისტრატურის სისტემა შეიქმნა და საგრძნობლად გაფართოვდა, სოციუმი სუვერენული გახდა. სოციუმები არცთუ ისე მრავალრიცხოვანი იყო და რამდენიმე ასეულ თუ ათას წევრს ითვლიდა, რაც მათ მართვას აადვილებდა. პოლისი ფორმირდებოდა მარტივი საზოგადოების წიაღში, სადაც მდიდრები და ღარიბები თითქმის თანასწორუფლებიანნი იყვნენ და ერთი სოციუმის წევრებად მოიაზრებოდნენ.კონტინენტურ საბერძნეთში, არასახარბიელო მატერიალური მდგომარეობის გამო, არქაული ეპოქის დროს ღრმა ქონებრივი პოლარიზაცია არ ფიქსირდება. ქონებრივად დაწინაურების ცალკეულ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა, მაგრამ სოციუმის განვითარებაზე გადამწყვეტ ზეგავლენას ვერ ახდენდა. ამავე დროს, არქაულ პერიოდში ქონების კონცენტრაციის მასშტაბები არცთუ ისე დიდი იყო. მაგალითად, პოლისი სიბარისი, რომელიც იმდროინდელ ბერძნულ სამყაროში სიმდიდრით გამოირჩეოდა, არქეოლოგიური გათხრების შედეგად, მის პერიფერიულ სექტორში ძვ. წ. VII-VI სს-ის მხოლოდ ადგილობრივი წარმოების მოოქროვილი ვერცხლის პექტორალი აღმოჩნდა.

ასე რომ, არქაულ ეპოქაში, ჯერ კიდევ არ იყო იმდენი სიმდიდრე დაგროვილი, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ზეგავლენა მოეხდინა. ეს იყო არა დაგროვების, არამედ წარმოებისა და მოთხოვნილების ეპოქა. ძვ. წ. VII ს-ის ცნობილი პოეტი არქილოქე პაროსელი წუხდა „ხშირად ხდებოდა, რომ დიდი ძალისხმევით აგროვებ ქონებას, ხოლო შემდეგ მას მეძავებში ხარჯავ" (Fr., 142).

არქაიკის სანყის ეტაპზე კონტინენტურ საბერძნეთში ინდივიდის წინაშე იდგა საკითხი არა იმდენად მატერიალური სიმდიდრის დაგროვებაზე, არამედ სასიცოცხლო მინიმუმის დაკმაყოფილებისათვის. ჰესიოდედან პინდარემდე არქაულ ლირიკაში ოპტიმისტური ნოტები ისმის: „იშრომებ და წარმატებას მიაღწევ", „თითოეულს სიკეთის ნაწილი ხვდება წილად რამეთუ ყველა გზა ღვთის ნებით აყვავებისკენ მიდის" (Pind. Ol. VIII, 12-14). შემთხვევითი არ არის, რომ არქაული ლირიკის საერთო თემაა შიმშილისაგან თავის დახსნა და შეძლებულად ცხოვრება, რაც მიიღწეოდა მინაზე და ზღვაზე ხეტიალით. ვაჭრობა და კოლონიზაცია, ხმელთაშუაზღვისპირეთსა და პონტოსპირეთის მდიდარი ბუნებრივი რესურსების ექსტენსიური და ინტენსიური ათვისება ხელს უწყობდა მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლებას. ამრიგად, კონტინენტურ საბერძნეთში სოციუმები სასიცოცხლო მინიმუმის დაკმაყოფილებისათვის იბრძოდნენ, ხოლო კოლონიურ რეგიონებში ცხოვრების მაღალი სტანდარტე-

ბისკენ მიისწრაფოდნენ. ეს გასაგებიცაა – ინდივიდები სამშობლოს სწორედ ქონების დაგროვებისათვის ტოვებდნენ.

კოლონიების ეკონომიკური და დემოგრაფიული ზრდა არქაიკის ეპოქის ფინალურ სტადიაში ფიქსირდება. ბერძენი ავტორები მრავალრიცხოვან და აყვავებულ ქალაქთა შორის იხსენიებენ კოლოფონს ლიდიელთა მიერ მის დაპყრობამდე (დაახლოებით ძვ. წ. 716-678 წწ), სირისს ძვ. წ. VII ს-ის დასასრულამდე და სიბარისს ძვ. წ. 510 წლამდე, ხოლო შემდეგ მილეტს, რომლის ეკონომიკური აღმავლობა ძვ. წ. 499-494 წლამდე გაგრძელდა. გვიანდელი არქაიკის პერიოდის მნიშვნელოვან და დანინაურებულ ეკონომიკურ ცენტრებს წარმოადგენდა ასევე ხიოსი, სამოსი, ნაქსოსი, კორინთო და სხვა ქალაქები.

მატერიალური ღირებულებების მოპოვების მასიური ხასიათი ნარატიული და არქეოლოგიური მონაცემებით დასტურდება. საყოველთაოდ ცნობილია ჰესიოდესა და სოლონის გამონათქვამები სიმდიდრის დაგროვებისკენ ხალხთა მისწრაფების შესახებ. ანალოგიური მოტივები ისმის აგრეთვე არქილოქეს, თეოგნიდეს, პინდარეს პოეზიაში. აღნიშნული ავტორები, ჰესიოდეს მსგავსად, მიანიშნებენ მოკვდავი ადამიანების მისწრაფებას სიმდიდრისაკენ. პოეტის სიტყვებს იმეორებს სოლონი: „თითოეული სხვადასხვა მიმართულებით მიიჩქარის – ერთნი ხომალდით ზღვაზე დაეხეტება, რათა სახლში მოგებით დაბრუნდეს, მეორენი – სეზონურად მოჯამაგირეობენ, მესამენი მძიმე შრომით სასიცოცხლო სახსრებს მოიპოვებენ“ (Sol., Fr. I, 43-55). მკვლევარები ხსენებულ ლექსებში ქონებრივი უთანასწორობის შესახებ მინიშნებებს ხედავენ, (Starr, 1965, გვ. 230), მაგრამ აქ საუბარია ქონების დაგროვებისათვის ხალხთა მიერ სხვადასხვა გზების ძიებაზე, შიმშილისაგან თავის დაღწევაზე, რასაც თეოგნიდე პირდაპირ მიუთითებს: „საჭიროა მიწაზე და ზღვაზე ვეძებოთ სიღარიბის დაძლევის საშუალებები“ (Fr., 179–180).

აღსანიშნავია, რომ ჰესიოდესთან, სოლონთან, თეოგნიდესთან, პინდარესთან სიღარიბე და სიმდიდრე ურთიერთდაკავშირებულ კატეგორიებად მოიაზრება. პერსე გაღატაკდა, მაგრამ თუ ის იმუშავებს, მაშინ, ჰესიოდეს აზრით, წარმატებას მიაღწევს. სოლონის თანახმად, ღარიბი ადამიანი ცდილობს ყველა საშუალებით მოიპოვოს კეთილდღეობა. ამრიგად, არქაული ეპოქის პირობებში, როდესაც თითოეული ადამიანი ფაქტობრივად პირისპირ აღმოჩნდა სტიქიისა და ეკონომიკური სიძნელეების წინაშე, ხოლო სამოქალაქო კოლექტივი, საზოგადოება ფორმირების პროცესში იყო, მდიდრებსა და ღარიბებს შორის გრადაცია მინიმალურ ზღვარს არ გასცილებია. არქაული ეპოქის ცხოვრებისეული სტანდარტი კლასიკურ ეპოქასთან შედარებით დაბალი დონისა იყო. „ფულის ტომრები“ არქაულ საბერძნეთში იყო, მაგრამ ქონებრივი დიფერენციაცია მასიურ ხასიათს არ ატარებდა. საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოების მოცულობა მცირე იყო. ასე მაგალითად, განვითარებულ კორინთოში კიპსელოსის დროს კორინთელთა ქონება 10 წლის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ გაიზარდა, თანაც სოლიდური დანაკარგებით.

ჯონ კუკი, რომელიც წლების მანძილზე აწარმოებდა არქეოლოგიურ გათხრებს ადრეიონიურ ცენტრებში, ასკვნიდა, რომ არქაული პერიოდის იონიაში ცხოვრების მაღალი დონე დასტურდება. ის მიუთითებდა, რომ „ბნელი წლების“ შემდეგ საბერძნეთის განვითარება ჩვეულებრივი ხაზით წარიმართა – იონიის მასალებით, მეფეებისგან ხელისუფლების გადაცემა გვაროვნულ არისტოკრატიაზე და „ფულის ტუზები“

არ ფიქსირდება. ამ დროს აქ ღარიბი მასა არ არსებობდა. მონარქიების გაუქმების შემდეგ, იონიის ქალაქები მდიდარი მოქალაქეების მიერ იმართებოდა. ბერძენ-სპარსელთა ომის დროიდან ღარიბთა რიცხვის ზრდა შეიმჩნევა, ხოლო V ს-თვის იონიური ვაჭრობის შემცირებით მდიდრებსა და ღარიბებს შორის მკვეთრი გრადაცია აშკარად ჩანს (Cook, 1962, გვ. 95-96).

არქაულ ხანაში, იონიის გარდა ცხოვრების შედარებით მაღალი დონე ფიქსირდება აგრეთვე სიცილიაში, სამხრეთ იტალიაში, კირენაში, ე.ი. ისევ კოლონიურ რეგიონებში. აქ პოლისის ფორმირების ძირითადი სოციალურ-პოლიტიკური პირობა იყო მოსახლეობის მასიური კეთილდღეობა. საკუთრივ საბერძნეთში რთული სურათი ჩანს ბუნებრივი რესურსების სიმცირის, მოსახლეობის სიმჭიდროვის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონსერვატულობის გამო.

ამრიგად, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ პოლისის ფორმირების ორი განსხვავებული პროცესი არსებობდა: კონტინენტური და კოლონიური, ამასთან მათ შორის განსხვავება ის იყო, რომ კოლონიები უფრო სწრაფად ვითარდებოდა. მთლიანობაში არქაულ საბერძნეთში პოლისის ფორმირებისა და მისი განვითარების პროცესი ევოლუციურად მიმდინარეობდა.

თითოეული პოლისი განსაკუთრებული სამყარო იყო. პოლისი გარე საფრთხეების წინაღობის ინსტრუმენტს წარმოადგენდა და ის საზოგადოების ინტეგრაციას ეფუძნებოდა. პოლისის წევრები ფალანგის წყობაში თავის ახლობლებთან და ნათესავებთან ერთად მხარდამხარ იბრძოდნენ. მდიდარი და ღარიბი, არისტოკრატი და საშუალო ფენა, ინტეგრაციის აუცილებლობის გამო, ერთიან საზოგადოებად, დემოსად ყალიბდებოდა. ახლა კი განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ თუ რას წარმოადგენდა დემოსი ადრეულ ლირიკოსთა შემოქმედებაში.

ჰესიოდესთან დემოსი პოლისის მოსახლეობას შეადგენდა (Hes. 20 p., 618), ტირტეოსთან კი ის პოლისის ეკვივალენტია. სპარტის საზოგადოება, ტირტეოსის მიხედვით, სამწევრიანია – მეფეები, გერონტები და დემოსი (Tyrt., br., IX, 15). მაგრამ აშკარაა, რომ აქ სპარტის ოლიგარქია და პლუტოკრატია, გერონტების ჩათვლით, სოციალურად ჩართულია დემოსის რიცხვში, ე.ი. ტირტეოსისეული დემოსი ყველა სრულუფლებიან მოქალაქეს ნიშნავს.

პოლისური ერთეული, მისი განვითარების ადრეული სტადია, რომლის ცენტრში თითოეული ადამიანი იდგა, ძვ. წ. VII ს-ს შუა ხანების პოეტის – არქილოქეს შემოქმედებაში განსაკუთრებულად აისახა. ქალაქ პაროსში, საიდანაც ის იყო სიღარიბე სუფევდა და ამიტომ არქილოქე შურის თვალით უყურებს სამხრეთ იტალიის მდიდარ ქალაქ სიროსს. პოეტი მართალია წარჩინებულთა წრეს ეკუთვნის, თუმცა ის პირადული მდგომარეობის გაუმჯობესებით კი არ არის დაინტერესებული, არამედ მორალური პრინციპების დამცველი და გამტარებელია. „წარჩინებულმა სიმამაცე არ უნდა დაკარგოს“ (Fr. 51, p. IV B. 15). ის თავს რიგით ხალხზე მაღლა აყენებს, მაგრამ არქილოქე ისეთივეა როგორიც ყველა პაროსელი. მისი მატერიალური მდგომარეობა არამყარია მიუხედავად იმისა, რომ მან მთელი ცხოვრება შრომაში გაატარა: „მუშა ხარი მყავს ჩემს მეურნეობაში, მაგრამ სახლს უბედურება დაატყდა და არისტოკრატი ღარიბდება... „ხელებს ვინვდენ და ვმათხოვრობ“ (fr. 18) – წერს არქილოქე.

იმ პერიოდში მრავალი ადამიანი გაღატაკდა პაროსში და გადაწყვიტეს გამგზავრებულიყვნენ კოლონია თასოსში. იქ არქილოქე სხვადასხვა წარმოებაში მსახურობდა.

იგი თრაკიელებთან ბრძოლისას გაიქცა და ფარი გადააგდო, მაგრამ პოეტი არ დარდობს, ის ოპტიმისტია: „ფარს ისევ ავიღებ და უკეთესადაც დავიჭერ“ (Fr. 130).

აქედან გამომდინარე, რასაკვირველია, ეს პირდაპირი გაგებით ჩამოყალიბებული პოლისი არ არის. ისმის კითხვა: პოლისის რა ნიშნები ახასიათებს არქილოქესეულ პაროსს? სინამდვილეში ცოტა რამ, კერძოდ თასოსში კოლონიების დაარსება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ პაროსელები ერთიანი, მთლიანი კოლექტივია. არქილოქე თანამოქალაქეებს ასე მიმართავს: „თავშესაფრის გარეშე დარჩენილო მოქალაქენო, მე მომისმინეთ“. ეს მიმართვა თასოსში პაროსელ კოლონისტებს ეხება, მაგრამ ისინი აქ თანამოქალაქენი არიან და როგორც ერთობლიობა განსაკუთრებით მოიაზრება არქილოქეს ფრაგმენტში: „ესიმიდე ყურადღებას აქცევ რა დემოსის გაკიცხვას, სურვილებს ვერ აისრულებ“ (Fr., 135). აქ დემოსი პოლისის მოქალაქეობაა, რომელიც პიროვნებასთანაა დაპირისპირებული და ის იძულებულია მიმართოს აქციას, რომელიც წინ აღუდგება ცალკეული ინდივიდის მისწრაფებას. ვფიქრობთ, დემოსის ამგვარი ავტოკრატია პოლისის ფორმირების ინდიკატორს წარმოადგენდა.

ეს მომენტი ყველაზე უკეთ ჩანს სპარტის მაგალითზე, სადაც ძვ. წ. VIII თუ VII საუკუნეებში შედგენილ იქნა რეტრა, რომელმაც ქვეყნის კონსტიტუციური წყობა დაადგინა. რეტრის შინაარსი პლუტარქესთანაა შემონახული: „ოდეს აღმართავ ტაძარს სილანიელ ზევსისა და ათენა სილანიელის სახელზე და ოდეს დაანესებ ფილეებსა და ობეებს, შენ მოაწყობ ოცდაათი კაცისაგან შემდგარ გერუსიას არქაგეტების მირიცხვით, დროგამოშვებით ჯერ არს შეკრიბო სახალხო კრება ბაბიკასა და კნაკიონს შუა. აქ საბჭო წარადგენს კანონებს კენჭის საყრელად; ხალხს დაე ეკუთვნოდეს უფლება და ძალა“ (ლიკურგოსი, 6). როგორც ჩანს, რეტრას მიხედვით, უმაღლესი ხელისუფლება დემოსს ეკუთვნოდა. დემოსი წერილობით, დოკუმენტურად აფიქსირებს თავის უპირატესობას, რათა პოლისის საქმიანობის პრინციპული მომენტები გადაწყვიტოს.

ამრიგად, პოლისი აღმოცენდა საზოგადოების წევრთა შორის ხელშეკრულებით, რომელიც არეგულირებდა საზოგადოებრივი წყობის ძირითად პრინციპებს და, ასევე, სოციუმის სუვერენიტეტს ითვალისწინებდა.

ახლა კი ჩვენ წინაშე დგება უფრო რთული საკითხი: არის კი პოლისი ქალაქი ან სახელმწიფო. თანამედროვე დასავლურ ლიტერატურაში პოლისი განისაზღვრება, როგორც ქალაქი-სახელმწიფო ან სახელმწიფო-ქალაქი (Hammond, 1972, გვ. 35-42; Ehrenberg, 1969, გვ. 106), მაგრამ უკანასკნელ ხანებში, სამეცნიერო ლიტერატურაში, ხშირად გაისმის კრიტიკული შენიშვნები პოლისის ამგვარი გაგების წინააღმდეგ (Кощеленко, 1983, გვ. 23-24; Starr, 1977, გვ. 31).

პოლისის ამგვარი განსაზღვრის დროს, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ პირველ პლანზეა წამოწეული ამ სოციალური ორგანიზმის ერთი თავისებურება, კერძოდ შედარებით არცთუ ისე დიდი ზომის ტერიტორიები, რომლებიც ერთი საქალაქო ცენტრის გარშემო ერთიანდება, რაც მართებულად არ მიგვაჩნია. ეს დასტურდება საბერძნეთში არსებული ორი ცნობილი პოლისის მაგალითზე. მაგალითად, ატიკაში არა ერთი, არამედ ორი საქალაქო ცენტრი – ათენი და პირეუსი იყო. სპარტაში კი საქალაქო ცენტრი საერთოდ არ არსებობდა და ის ხუთი სოფლის გაერთიანებას წარმოადგენდა. განსახლების იგივე სისტემა დასტურდება ტარენტუმში. საერთოდ, საბერძნეთში მრავალი პოლიტიკური გაერთიანებები არსებობდა, რომლებსაც საქალქო ცენტრები არ ჰქონდა, მაგრამ ელინთა წარმოდგენით პოლისებად მოიაზრებოდა. რო-

გორც ჩანს, ამგვარი პოლიტიკური გაერთიანებები არქაიკისათვის ტიპური მოდელი იყო, რასაც მოწმობს თუკიდიდე (I, 5.1), თუმცა ახ. წ. I საუკუნემდეც არსებობდა ასეთი გაერთიანებები. ყოველ შემთხვევაში, პავსანიასმა იცოდა ისეთი პოლიტიკური გაერთიანებები, რომლებსაც საქალაქო ცენტრები არ ჰქონდა, მაგრამ პოლისის სტატუსს ფლობდა. ასე მაგალითად, მიკროპოლისის – პანოპეას შესახებ პავსანიასი წერდა: „ხერონეადან 20 სტადიონის დაშორებით მდებარეობდა ფოკიდის პოლისი – პანოპეა, თუ შეიძლება მას პოლისი ეწოდოს, ვინაიდან აქ არ არის არც სამთავრობო ნაგებობები და არც გიმნასიონები, თეატრები, მოედნები, წყალსატევები, მაგრამ მისი მოქალაქეები ნახევრად მიწურებში ცხოვრობდნენ. თუმცა მათ მეზობლებისაგან საზღვრები ყოფს (X, 4).

პოლისსა და ქალაქს შორის სხვაობა, როგორც ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, ენაშიც აისახა. ასე რომ, დასავლურ ლიტერატურაში ერთობ პოპულარული განმარტება პოლისისა, როგორც ქალაქ-სახელმწიფოსი, ძალზე შეზღუდულ მნიშვნელობას იძენს, ის პოლისის არსებით ხასიათს არ იძლევა. ვფიქრობთ, პოლისის არსის განმარტებისას, უფრო რეალურია მის შესახებ თვით ძველი ბერძენი ავტორების შეხედულებებით ვიხელმძღვანელოთ.

ბერძენი ავტორებისათვის პოლისი, უწინარეს ყოვლისა, განსაზღრულ კოლექტივს, ხალხთა ერთობის გარკვეულ ორგანიზებულ სახეს წარმოადგენს. ამგვარმა იდეამ, ზოგადად, პირველად ძვ. წ. VII საუკუნის პოეტის ალკეოსის პოეზიაში გაიჟღერა. ალკეოსი თავის ერთ-ერთ ლექსში ხომალდსა და პოლისს ერთმანეთს ამსგავსებს. ის ხატოვნად აღწერს უბედურებაში ჩავარდნილ ხომალდს და მოუწოდებს თანამოაზრეებს ქარიშხალს ერთად გაუმკლავდნენ. ალკეოსის შემდეგ, პოლისისა და ხომალდის მსგავსებას სოლონთან (VI ს.) ვხვდებით. პლუტარქეს ცნობით, სოლონს დელფოსის მისანმა ურჩია: „ხომალდის შუა ადგილას დაჯექ და მესაჭის შეუდექ საქმეს, ათენის მრავალი მკვიდრი გეყოლება მარჯვენა ხელად“ (სოლონი, 14).

პოლისის არსი შედარებით უფრო მკაფიოდაა ფორმირებული თუკიდიდესთან: „პოლისი ეს ხალხია და არა კედლები და ცარიელი ხომალდები“ (VII, 77, 7), პლატონის მიხედვითაც „პოლისი ადამიანების ერთობლივი დასახლებაა” (Resp., 369b). პოლისის არსი უფრო დეტალურად მაინც არისტოტელემ განმარტა: „პოლისი ადამიანების ერთობაა, რომელიც აღმოცენდა საერთო კეთილდღეობის მიღწევისათვის“ (Pol., I, 1, 1, 1252). ამ ფრაზაში მთავარია ის, რომ პოლისი, უწინარეს ყოვლისა, მოქალაქეთა კოლექტივია. ამავე დროს, ის პირველად იძლევა პოლისური კოლექტივის ხასიათის დეფინიციას: „პოლისი თავისუფალ ხალხთა ერთობლიობაა“ (Pol., III, 4, 4, 1279).

ძველ ბერძენ ავტორთა წარმოდგენით, პოლისის იდეა ასე შეიძლება იყოს ფორმულირებული: „ჩვენ“, „ერთობა“, „ჩვენი“, „საერთო“. სწორედ, პოლისის ამგვარი გაგებით უნდა განვითარებულიყო შეხედულება პოლისის, როგორც მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ.

ამ ერთობის თუ გაერთიანების იდეის ფორმულირებას მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობა სოციალურ-პოლიტიკურ რეალიებს უკავშირებს, მაგრამ ვფიქრობთ, აღნიშნული იდეის ფორმირებაში გადამწყვეტი როლი რელიგიურმა დეტერმინიზმმა შეასრულა, რადგანაც საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში პირველადია არა პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციალურობა, არამედ რელიგიური და მენტალურ-კულტურული ფაქტორები. ეს პოზიცია ისტორიული განვითარების პროცესში სოცი-

ალურ-ეკონომიკური ფაქტორების როლის უგულველყოფას როდი ნიშნავს. ისინი საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს, თუმცა უმთავრესი მაინც მენტალური ფაქტორია, რამეთუ ადამიანთა ქცევას აყალიბებს მათი გარემომცველი სამყარო და მასზე დაფუძნებული ღირებულებათა სისტემა, რაც ძველი საზოგადოებისთვის რელიგიური საწყისების აღიარებას ნიშნავდა. სწორედ ამაში მდგომარეობს პრინციპული განსხვავება რელიგიურ-მენტალურ პოზიციასა და სოციალურ-ეკონომიკურ დეტერმინიზმს შორის. ამიტომ ბერძნული პოლისის რაციონალობის თემა, ამ შემთხვევაში, გამოიყენება, როგორც კლასიკური ეპოქის ჩამოყალიბება „მზა" პოლისის სახით, რომელიც არქაიკის მსოფლმხედველობრივი წარმოდგენების მთელი კომპლექსის საფუძველზე ფორმირდებოდა, რამაც პოლისი რაციონალური და უნივერსალური გახადა.

პოლისის იდეის ძიება ბერძნულ რელიგიაში რთულ და ძნელ საქმეს არ წარმოადგენს. ის ზედაპირზე დევს და ყველასთვის კარგადაა ცნობილი. ეს იდეა მდგომარეობს პოლისის არა მარტო ხომალდის, არამედ სათემო კერიის იდენტიფიცირებაშიც. ჯერ კიდევ ნ. ფიუსტელ დე კულანჟი ძველ ბერძენთა ძირითად სოციალურ წარმოდგენებსა და ინსტიტუციებს საოჯახო კერას უკავშირებდა. მანვე პირველად შენიშნა, რომ ბერძენთა წარმოდგენით, ხელისუფლება კერიის კულტისაგან აღმოცენდა და ხელისუფალნი სათემო კერას მუდამ იცავდნენ (Фюстель де Куланж, 1906, გვ. 189, 193). ბერძნული რელიგიის ცნობილმა მკვლევარმა მ. ნილსონმა ეს შეხედულება გაიზიარა და ამტკიცებდა – ოჯახი, რომლის ცენტრადაც ღვთიური კერა ითვლებოდა, ბერძნული სახელმწიფოებრივი წყობის საფუძველი იყო (Нильсон, 1998, გვ. 110). შემდგომში ეს იდეა განავითარა ხ. ტუმანსმა, რომელმაც მრავალი მაგალითის საფუძველზე დაასკვნა, რომ კერიის მითოლოგიური სახე და ღვთაება ჰესტიას სახით მისი პერსონიფიკაცია ბერძნული საზოგადოების მოდელს წარმოადგენდა როგორც ცალკეული ოჯახებისათვის, ასევე პოლისური თემებისათვის (Туманс, 2006, გვ. 96-98).

გ. ნადის აზრით, კერიის სიმბოლიკური მნიშვნელობა, როგორც ხელისუფლების წყაროსი, ინდოევროპულ ეპოქას განეკუთვნება და „დაბადების", „გამოკვების" და „საკურთხევლის" გაგებას უკავშირდება. ამ თვალსაზრისით, საოჯახო და სახელმწიფო საკურთხევლები ანალოგიურად უნდა ჩაითვალოს: როგორც ოჯახის უფროსი კვებავს თავის წევრებს, ასევე მეფე კვებავს თავის „ოჯახს" – პოლისს, ხალხთა ერთობას (Надь, 2002, გვ. 192-194).

ამრიგად, კერა ესაა საკურთხეველი, სადაც ხორციელდება ცეცხლის „გამოკვება", ასევე ის ხალხთა ერთობის საკრალური ცენტრია. ჩანს, რომ მითოლოგიური იდენტიფიცირების სიმბოლური ჯაჭვი ასე გამოისახება: კერა=ოჯახი=პოლისი. შესაბამისად, ამ კონტექსტში პოლისი აღიქმება, როგორც დიდი ოჯახი და მეთემეთა ფაქტობრივი საოჯახო ერთიანობა, სათემო კერა – საკურთხეველშია განსახიერებული. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ კერა ხელისუფლების მისტიკური წყარო იყო, რადგან ოჯახს/პოლისს ხომ კერიის მფლობელი მართავს.

სრული საფუძველი გვაქვს ვაღიაროთ, რომ უძველესი დროიდან ბერძნები პოლისს მოიაზრებდნენ, როგორც დიდ ოჯახს. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ სამეფო ხელისუფლების გაუქმების შემდეგაც კერამ თავისი საკრალური ცენტრისა და პოლისის სიმბოლოს სტატუსი შეინარჩუნა. მაგრამ აქვე ისიც უნდა დავსძინოთ, რომ მხოლოდ კერა=ოჯახი არ შეიძლება პოლისის იდეად ჩაითვალოს. მართალია, ამ იდეის ძი-

რითადი კრიტერიუმი ოჯახია, მაგრამ მას მხოლოდ კერა როდი აერთიანებს, არამედ მის გარშემო განხორციელებული საერთო რიტუალური ქმედებები, ე. ი. ტრაპეზი.

ძველ დროში ხალხთა ერთობა ორგანიზდებოდა და კონტაქტში შედიოდნენ კერიის ახლოს გამართული ტრაპეზის დროს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კერა იყო არა მარტო სოციუმის რელიგიური ცენტრი, არამედ რელიგიური და სოციალური კომუნიკაციების ადგილი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საერთო ტრაპეზები, არქაულ ეპოქაში, საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. მთელს საბერძნეთში, თვით პოლისებში მათი პოლიტიკური ინსტიტუციები ფორმირდებოდა პრიტანების ცენტრალური კერიის გარშემო. მის პარალელურად როგორც არქაულ, ასევე კლასიკურ ეპოქებში, ტრაპეზების გარშემო იკრიბებოდა თანამოქალაქეთა ლოკალური გაერთიანებები, განსაკუთრებით კი არისტოკრატები, რომ არაფერი ვთქვათ სპარტაზე, სადაც მთელი სამოქალაქო საზოგადოება თანამეინახეების – სისისტიების ჯგუფებად იყო განაწილებული.

ამრიგად, პოლისი, რომელიც პოსტმიკენურ საბერძნეთში სპეციფიკურ ვითარებაში აღმოცენდა და შემდგომ განვითარების მრავალმხრივი სტადია განვლო, საზოგადოებრივი ორგანიზაციის უნიკალური ტიპი იყო. პოლისი, უწინარეს ყოვლისა, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებაა, ხალხთა პირადული, ფსიქოლოგიური, სულიერი და პოლიტიკური ალიანსია, რომელიც „აშენდა" ადამიანთა კავშირის საწყისი მოდელისაგან, ე.ი. საერთო კერიის გარშემო გაერთიანებული ოჯახის, ტრაპეზისა და საერთო კეთილდღეობის იდეის მოდელის მიხედვით.

პოლისის ამგვარ განმარტებასთან დაკავშირებით ისმის კითხვა: რაში მდგომარეობდა პოლისის, როგორც პოლიტიკური ერთობის სპეციფიკა, რით განსხვავდებოდა ის აღმოსავლური ტიპის ქალაქ-სახელმწიფოსაგან ან გვაროვნული, საოჯახო, ტერიტორიული და სხვა ტიპის გაერთიანებისაგან. ამ კითხვაზე პასუხი საკუთრების არსის განსაზღვრაში უნდა ვეძიოთ, ე.ი. უნდა დადგინდეს საკუთრების ის ფორმა, რასაც ანტიკური პოლისი ეფუძნებოდა. ძველი ბერძენი მოაზროვნეები ანტიკური საკუთრების ფენომენის ორმაგ სტანდარტებს აფიქსირებდნენ. მაგალითად, არისტოტელე განიხილავდა რა საკითხს იმის შესახებ საკუთრების რომელი ფორმაა კოლექტიური თუ კერძო ანუ უფრო რაციონალური ასკვნიდა, რომ ორივე ფორმას უარყოფით შედეგამდე მივყავართ: „საკუთრება – საერთო უნდა იყოს მხოლოდ შეფარდებით, ხოლო კერძო აბსოლუტური" (Polit., II, 2, 4, 1263). იმავე იდეას პლატონიც იმეორებს: „დაე მიწები ისე უნდა განაწილდეს, რომ თითოეული მათგანი თავის წილს მიიღებს და მთელი პოლისის საერთო საკუთრებად ჩათვლის" (Legg., 740).

ანტიკური საკუთრების ორმაგი ხასიათი გამოიხატება იმაში, რომ არსებობს მიწების გარკვეული კატეგორიები, რომლებიც საზოგადოებრივ მფლობელობაშია, ანუ პოლისის ან მის დანაყოფებში (ფილე, ფრატრიები, დემები და ა.შ.). მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა გარემოებას, რომელიც ანტიკური საკუთრების ხასიათს მკაფიოდ ამჟღავნებს: პოლისური ტერიტორიის ფარგლებში მხოლოდ პოლისის მოქალაქეებს აქვთ უფლება მიწის ნაკვეთის საკუთრებისა. თავდაპირველად, ბერძნულ პოლისებში, მხოლოდ მიწის მესაკუთრე ითვლებოდა მოქალაქედ. თუ მას მიწა ჩამოერთმეოდა, მაშინ ის მოქალაქეობასაც კარგავდა. დაბოლოს, ძველ საბერძნეთში არსებობდა პოლიტიკური სისტემები, სადაც მიწის ნაკვეთის სიდიდე პოლიტიკური უფლებების მოცულობას განსაზღვრავდა. მაგალითად, სოლონის კონსტიტუციით, ათენში დაბალი ქო-

ნებრივი ცენზის მქონე ფენებს მხოლოდ სახალხო კრებაში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ. პოლისური მაგისტრატურების შესრულებისათვის მაღალი ქონებრივი ცენზის მქონე ფენების წარმომადგენლები უნდა აერჩიათ. ანალოგიური სისტემა ზოგიერთ სხვა პოლისებშიც დასტურდება.

ამრიგად, ანტიკური პოლისის საფუძველი მიწის მესაკუთრეობაა. შესაბამისად ადრეული პოლისი აგრარული ხასიათისაა, ხოლო მისი სტრუქტურა მიწათმფლობელთა ორგანიზაციაა და მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებები სწორედ მასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. პოლისი უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა, თავისებურ „ფოკუსს", მიწათმოქმედი მოსახლეობის ცენტრს ქმნიდა და ამიტომაც ის ხელოსნებსა და ვაჭრებს იზიდავდა. აღმოსავლური ტიპის ქალაქ-სახელმწიფოები მხოლოდ ტაძრის ან სასახლის დანამატი იყო, ხოლო სახელმწიფო სექტორმა მთლიანად დაიქვემდებარა თემი, როცა პოლისი სოციუმის სუბლიმირებული ფორმა იყო. საუკეთესო შემთხვევაში, აღმოსავლურმა ქალაქ-სახელმწიფოებმა სოციალურ-პოლიტიკური განვითარების იმ სტადიას მიაღწიეს, რაც ბერძნებმა ძვ. წ. VII-VI საუკუნეებში გაიარეს. ბერძნულ პოლისში კი გაჩნდა ახალი ფაქტორი – კერძო საკუთრება, რაც ძველაღმოსავლური სოციუმისათვის მხოლოდ სტიმულატორის ფუნქციას ასრულებდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ არქაიკის გარიჟრაჟზე, პოლისური სისტემის ფორმირების დროს, მისი სტრუქტურა იყო პირველადი. მოგვიანებით კი, პოლისური სისტემის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, მისი სტრუქტურის წიაღში ქალაქი და სახელმწიფოც აღმოცენდა.

ამ პროცესის კონკრეტული და საფუძვლიანი სურათის რეკონსტრუქცია ყველაზე უკეთ ათენისა და სპარტის მაგალითზეა შესაძლებელია, რადგან აღნიშნული ტენდენციები განსაკუთრებით ზემოაღნიშნული პოლისების ისტორიაშია ასახული.

1. ათენი ძვ. წ. VIII-VI სს-ში

ათენში პოლისური სისტემის ინსტიტუციების ფორმირება უფრო გვიან მოხდა, ვიდრე სპარტაში. მაგრამ ათენი ევოლუციური განვითარების გზით გადაიქცა არა მარტო ძლიერ პოლის-სახელმწიფოდ, არამედ ის პოლისური საბერძნეთის განსახიერება, კლასიკური ეპოქის ელადის ცენტრი გახდა.

ათენში პოლისური სისტემის ჩამოყალიბება გენტილური დაწესებულებების ტრანსფორმირებისა და მისი შიდა განვითარების პროცესის გზით წარიმართა. სპარტისაგან განსხვავებით, ანექსიისა და ოკუპაციის როლი ათენის პოლისური სისტემის ფორმირებაში მინიმალური იყო.

არქეოლოგიური მონაცემებით, ათენი და, საერთოდ, ატიკა ჯერ კიდევ ნეოლითის პერიოდში ჩანს დასახლებული. მიკენის ეპოქაში მის ტერიტორიაზე წარმოიქმნა ერთ-ერთი უძველესი სამეფო, რომელმაც არსებობა ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს შეწყვიტა. დორიელთა ექსპანსია ატიკას ზედაპირულად შეეხო. მათ ატიკაში ვერ შეაღწიეს და აქ კვლავ ავტოხტონური მოსახლეობა – იონიელები და პელასგები დარჩნენ, მაგრამ ატიკაში პელოპონესიდან დევნილმა აქეელთა გარკვეულმა კონტინგენტმა თავშესაფარი პოვა. ამ ეთნიკური ელემენტებისაგან, ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში, ჩამოყალიბდა ათენელთა სოციუმი, რომელთა სასაუბრო ენა იონიური

დიალექტი იყო. ჰომეროსის ეპოქაში ატიკის ტერიტორიაზე რამდენიმე დამოუკიდებელი გენტილური თემი არსებობდა, რომლებსაც ბასილევსები და გერონტები მართავდნენ. მოსახლეობა ოთხ ფილედ იყოფოდა. თითოეული მათგანი, თავის მხრივ, სამი ფრატრიისაგან შედგებოდა და რამდენიმე ათეულ გვარს ითვლიდა.

მიწისმფლობელობის ძირითადი ფორმა საოჯახო ნადელი – კლეროსი იყო, რომელიც არ განიყოფებოდა. ჰომეროსის პოემებიდან ჩანს, რომ სათემო მიწათმფლობელობის ფორმაც არსებობდა. საოჯახო მეურნეობაში თემის ჩარევა ზედაპირული ხასიათისა იყო. ძირითადი ეკონომიკური ტენდენცია კერძო საკუთრების ზრდითა და მიწათმესაკუთრეობის მობილობით განისაზღვრა. სათემო ორგანიზაციის ახალი ფორმის ფარგლებში საბოლოოდ ფორმირდება თავისუფალი გლეხობის ფართო ფენა, რომელიც პოლისის მთავარი სოციალური საყრდენი ხდება.

ძვ. წ. IX-VIII სს-ის მიჯნაზე, ატიკაში, ისევე როგორც მთელს ელადაში, გენტილური სისტემის, მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციის, სახელმწიფოსა და ქალაქის ფორმირების პროცესი შეიმჩნევა. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ელინური ქალაქისა და სახელმწიფოს წარმოქმნაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა არა ეკონომიკური, არამედ დემოგრაფიული ფაქტორი. მართლაც, აღნიშნული ფაქტორის როლი ფრიად მნიშვნელოვანია. ძვ. წ. VIII ს-ში მთელ საბერძნეთში დემოგრაფიული აფეთქება დასტურდება; აღნიშნული საუკუნის დასასრულს, ჯ. სტარის გაანგარიშებით, მოსახლეობა 2 000 000 შეადგენდა (Starr, 1977, გვ. 105).

არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ელინთა რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ევოლუციაც; არსებითი იყო, ასევე, ეკონომიკური პროგრესი, რაც ორმა ფაქტორმა განაპირობა: ტაძრების ინტენსიურმა მშენებლობამ და მრავალსახოვანი, ლოკალური თუ საერთობერძნული დღესასწაულების დაწესებამ. პირველი მათგანი ხელს უწყობდა ხელოსნობის განვითარებას, მეორე კი საქონლის გაცვლა-გამოცვლას.

აღნიშნულმა ფაქტორებმა ბერძნული საზოგადოების პროგრესი განსაზღვრა. ამ პროგრესის მამოძრავებელი ძალა არისტოკრატია იყო. არქაული ეპოქის არისტოკრატია გამდიდრებისკენ მიისწრაფოდა, რასაც მისი „არისტოკრატული ცხოვრების სტილი" უზრუნველყოფდა. ამიტომ არისტოკრატია როგორც საკოლონიზაციო მოძრაობაში, ასევე საზღვაო ვაჭრობაშიც აქტიურად მონაწილეობდა. თუმცა, კოლონიზაცია და საზღვაო ვაჭრობაც ჭარბი პროდუქციის კონცენტრაციით იყო შესაძლებელი, რამაც განაპირობა კიდეც არისტოკრატებს გლეხობა კონტროლქვეშ ჰყოლოდათ და მათგან პროდუქცია ამოეღოთ.

ადრებერძნულ სოციუმში განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ არისტოკრატებთან დაახლოებული, თუმცა მათი არაიდენტური სოციალური ფენები, როგორებიც იყვნენ არისტოკრატიული ოჯახის უმცროსი შვილები, ქვეყნიდან გაძევებული და არისტოკრატებზე დამოკიდებული პირები. ისინი, არისტოკრატების მსგავსად, გამდიდრებაზე ფიქრობდნენ და საზოგადოების აქტიურ ელემენტებს შეადგენდნენ.

წარჩინებული ფენების გამდიდრება ძლიერ ზეგავლენას ახდენდა არა მარტო საზოგადოების პროგრესზე, არამედ მის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე. მაგრამ წარჩინებულთა ხელში ქონების კონცენტრაცია იმას როდი ნიშნავდა, რომ კაპიტალი წარმოებაში ინვესტირდებოდა. მისი გავლენა წარმოებაზე უფრო ზომიერი იყო: არისტოკრატის მოთხოვნილება ფუფუნების საგნებისადმი სტიმულატორის ფუნქციას ასრულებდა წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა გარემოებებმა დააჩქარა ელადაში სახელმწიფოსა და ქალაქის ფორმირება – განვითარების პროცესები. ძვ. წ. IX- VIII სს-ში ატიკაში, ისევე როგორც დანარჩენ ბერძნულ რეგიონებში, გენტილური ინსტიტუტების რღვევის, მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციისა და სახელმწიფოებრიობის ნიშნები შეიმჩნევა. ატიკაში პოლისური ორგანიზაციის ჩამოყალიბება გენტილურ სამოსახლოთა შორის ათენის უპირატესობით წარიმართა. ათენი, რომელიც ნაყოფიერ, მიწათმოქმედებისათვის ხელსაყრელ ტერიტორიაზე მდებარეობდა, ხარისხიანი თიხის მარაგს ფლობდა და კერამიკული წარმოების ცენტრი გახდა. მისი ე.წ. „დიპილონის" ვაზები საბერძნეთში ფართოდ გავრცელდა. ათენი ზღვის სანაპიროდან 5 კმ-ით იყო დაშორებული და ის კლდიან აკროპოლისზე არსებული საკმაოდ ძლიერი თავდაცვითი კედლით იყო დაცული, რაც ატიკის მოსახლეობის უსაფრთხოებას უფრო უზრუნველყოფდა, ვიდრე სხვა დასახლებები. ათენის გარშემო იწყებენ გაერთიანებას ატიკის ყველა გენტილური თემები – ზოგი იძულებით, ზოგიერთი კი ნებაყოფლობით. ამგვარი გაერთიანება, ანტიკური ტრადიციით, ლეგენდარულმა ათენელმა გმირმა – თესევსმა დაასრულა. მან ყველა გვაროვნულ დასახლებებში ძველი მართვის ორგანოები უხუცესთა საბჭოები და თანამდებობები გააუქმა. ამიერიდან ატიკის მართვის სადავეები გადაეცა ბასილევსებისაგან შემდგარ უხუცესთა საბჭოს, რომლის შტაბბინა ათენში განთავსდა. ათენის მფარველი ქალღმერთი ათენა საერთო ატიკური კულტი გახდა. მის პატივსაცემად პანათენური დღესასწაულები დაწესდა. ათენში სხვა დასახლებებიდან მრავალი დიდგვაროვანი პირები გადასახლდნენ, რამაც ათენის მოსახლეობის რაოდენობის ზრდა გამოიწვია. მიუხედავად ყოველივე ამისა, ჯ. სტარის მართებული შენიშვნით, ათენი, ისევე როგორც ელადის დანარჩენი ადრეული პოლისები, ეკონომიკური თვალსაზრისით, ქალაქს არ წარმოადგენდა (Starr, 1977, გვ. 208). ვფიქრობთ, აღნიშნულ სტადიაში ათენი, კორინთო, მეგარა, ეგინა, მილეტი და ა.შ. მსხვილ აგრარულ დასახლებას ან მოდიფიცირებულ სასოფლო თემებს წარმოადგენდა, ხოლო ურბანიზაცია წინასწარულ ხასიათს ატარებდა, თუმცა საქალაქო პოლისური თემი მასტიმულირებელ ზეგავლენას ახდენდა არქაულ სტრუქტურებსა და მათ განვითარებულ ანტიკურ ქალაქად გარდაქმნაზე. აღსანიშნავია, რომ არქაიკის დასაწყისში როგორც ათენი, ასევე სხვა პოლისებიც სახელმწიფოებრივ გაერთიანებად არ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ძვ. წ. IX-VIII სს-ში სოციალურ ფენებს შორის მკვეთრი გრადაცია არ ჩანს, მართვის აპარატიც რუდიმენტულია, ის სრულყოფილი არ არის და ხალხისაგან გამიჯნული არ იყო. მართალია, ათენი და სხვა ბერძნული პოლისები, პოლიტიკური თვალსაზრისით, არისტოკრატულ რესპუბლიკას წარმოადგენდა, მაგრამ საკმაოდ მყარი პირველყოფილი სახალხო ხელისუფლების გადმონაშთებით; სოციოლოგიური თვალსაზრისით ეს იყო ერთმენეთისგან ეკონომიკურად განცალკევებული და პატრიარქალური ოჯახების დუნე, მყიფე კონგლომერატი. ერთადერთი რაც მათ აკავშირებდათ ერთიან სოციუმში გარე საფრთხეები, სამხედრო რისკები იყო. ადრეული პოლისის შიდა სტრუქტურა იერარქიზირებული იყო. წარჩინებული ფენა რიგითი მეთემე მასისაგან, დემოსისაგან გენეალოგიურად გამიჯნული ჩანს და ის მათ გენტილური ორგანიზაციების – ფილეებისა თუ ფრატრიების მეშვეობით მართავდა. თუმცა, წარჩინებულთა პრივილეგირებული მდგომარეობის მიუხედავად, არისტოკრატია ჯერ კიდევ არ იყო ისეთი ძლიერი, რომ თემი მთლიანად დაექვემდებარებინა ან ის ექსპლუატაციის ობიექტად გაეხადა. აქ არისტოკრატია არსებითად დემოსის უზენაესი

ფენა, მდიდარი გლეხები იყვნენ, რომლებიც პოლიტიკური და რელიგიური ხასიათის პრივილეგიებით სარგებლობდნენ. ეკონომიკური თვალსაზრისით, არისტოკრატიული ოიკოსი და რიგითი მეთემის ოჯახი, „მამაკაცი ხალხიდან", როგორც მას ჰომეროსი უწოდებს, იდენტური გაერთიანებებია. მათ შორის განსხვავება არა სამეურნეო მეთოდებისა და გამდიდრების წყაროები, არამედ მხოლოდ მათი გამოყენების მასშტაბები იყო. არქაული ეპოქის გვაროვნულ დიდკაცობას განვითარების იმ სტადიამდე არ მიუღწევია, როდესაც შესაძლებელი იქნებოდა მისი პროფესიონალი მეომრებისა და ქურუმების შეკრულ კასტად გადაქცევა იმგვარი ფორმით, როგორიც მიკენური სასახლის ელიტა იყო. საზოგადოების რთული ფუნქციური სტრატიგრაფიისათვის აუცილებელი იყო შესაბამისი მატერიალური ბაზა და ერთიანი საერთო-სახელმწიფოებრივი მეურნეობის არსებობა. მაგრამ ამგვარი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება არქაიკის გარიჟრაჟზე პრაქტიკულად გამორიცხული იყო.

ძვ. წ. VII ს-დან საბერძნეთში ინტენსიურად დაიწყო მონეტების ცირკულაცია; ძვ.წ. 621 წელს ათენში კანონების კოდიფიკაცია ჩატარდა. ამავე დროს გაღრმავდა სოციალური დიფერენციაცია და მართვის აპარატიც შედარებით დაიხვეწა.

ათენის საზოგადოება სამი სოციალური ფენისაგან შედგებოდა: ევპატრიდები – გვაროვნული არისტოკრატია, გეომორები – ყმა-გლეხები და დემიურგები – ხელოსნები. მოსახლეობის ძირითად მასას მეომრები შეადგენდნენ. პოლიტიკური მართვის სფეროში ბასილევსები – ტომის ბელადები ადგილს უთმობენ არქონტთა კოლეგიას, ხოლო უხუცესთა საბჭო გარდაიქმნა არეოპაგის საბჭოდ, რომლის წევრები ყოფილი არქონტებისაგან შედგებოდა. მართალია, არქონტთა კოლეგია და არეოპაგი დიდგვაროვნებისაგან კომპლექტდებოდა, მაგრამ ახალი საბჭოსა და ახალი თანამდებობების დაწესებით ტრადიციულმა გენტილურმა ინსტრუმენტებმა მძიმე დარტყმა იგემეს.

ძვ. წ. VIII-VII სს-ში ათენის პოლისური სისტემის ფორმირების დროს წამყვანი პოზიცია ევპატრიდებს ეკავათ. დიდი წილი მიწებისა, რომელიც ადრე თანამეთემეებს ეკუთვნოდათ, დიდგვაროვნებმა მიისაკუთრეს. უმიწოდ დარჩენილი ყმა-გლეხები ღარიბდებოდნენ და ევპატრიდების მფლობელობაში გადადიოდნენ, რაც ათენის მოქალაქეთა უკმაყოფილებას იწვევდა. ამიტომ დიდგვაროვნებსა და ხალხს შორის უთანხმოება ღრმავდებოდა, რის შესახებაც აღნიშნავდა არისტოტელე. ზოგადად, პოლისური წყობა ოლიგარქიული იყო, მაგრამ მთავარი ის იყო რომ არა მარტო თავად ღარიბები, არამედ მათი ცოლებიც და შვილებიც მონობაში იმყოფებოდნენ. ისინი პელატებად და ექვსმეწილეებად იწოდებოდნენ, ვინაიდან ამგვარ საარენდო პირობებში (ე.ი. 1/6-ს, ანუ მოსავლის 17%-ს მიწისმფლობელი იღებდა) მდიდრების ველ-მინდორს ამუშავებდნენ. საერთოდ კი მთელი მიწა უმცირესობის ხელში იყო. ამავე დროს, თუ ღარიბები საიჯარო თანხას არ გადაიხდიდნენ, ისინი ოჯახთან ერთად კაბალაში ვარდებოდნენ.

ძვ. წ. VII ს-ის დასასრულს ათენში სოციალური აფეთქება გარდაუვალი იყო. ევპატრიდები დათმობაზე წავიდნენ და გამოსავლის მოძებნა სოლონს მიანდეს. ძვ. წ. 594 წ. სოლონი ათენის საზოგადოებრივი სისტემის გარდაქმნის რეალიზებას შეუდგა. მისი რეფორმები ათენის სოციუმის თითქმის ყველა მხარეს – ეკონომიკურ, სოციალურ, სამხედრო საქმესა და პოლისის მართვის სფეროებს შეეხო. ეკონომიკურ სფეროში სოლონმა ათენის სამეურნეო ცხოვრება აქტიური გახადა. მან ატიკის წყლით მომარაგება უზრუნველყო. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ზეთისხილის წარ-

მოებას. ატიკიდან ზეთისხილის ექსპორტი კანონით დაშვებულ იქნა, ხოლო მარცვლეულის გატანა აიკრძალა.

ხელოსნობის განვითარების მიზნით, სოლონმა გამოსცა კანონი, რომლის თანახმად შვილი არ იყო ვალდებული მოხუცი მამისთვის ეპატრონა, თუ ის რაიმე ხელობას არ შეასწავლიდა. სოლონის ინიციატივით მოხდა ზომა-წონის ერთეულების უნიფიკაცია. ეგინის ფულადი სისტემის მაგივრად შემოღებულ იქნა ეებეის სისტემა, რომელიც უფრო მოხერხებული და გავრცელებული იყო ეგეოსის სამყაროში. ფულის რეფორმამ ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ათენის სავაჭრო ოპერაციებს. სამენარმეო საქმიანობის წახალისებასთან ერთად, სოლონი იბრძოდა უშედეგო ხარჯების წინააღმდეგ. სპეციალური კანონი მოითხოვდა გარდაცვლილის დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას, იკრძალებოდა მდიდრული აკლდამები და სტელები. სოლონის სოციალურ სფეროში გატარებულ რეფორმათა შორის რადიკალური იყო ე.წ. „სისარხია“ – „ტვირთის მოხსნა“, რომელიც ვალების გაუქმებას ითვალისწინებდა. კანონით აიკრძალა ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში ადამიანის მონად გაყიდვა. კანონის ძალით, ატიკის ფარგლებს გარეთ დავალიანების გამო გაყიდული მოქალაქეები გამოისყიდეს და სამშობლოში დააბრუნეს.

სოლონის გატარებულ სოციალურ რეფორმათა შორის უმნიშვნელოვანესი მაინც ქონებრივი ცენზის დაწესება, ანუ ტიმოკრატიული რეფორმაა. რეფორმის თანახმად, ათენის თავისუფალი მოსახლეობა, მეტოიკოსების გამოკლებითა და ყოველწლიური შემოსავლების სიდიდის მიხედვით, ოთხ სოციალურ ფენად დაიყო. პირველ ფენაში შედიოდნენ პენტაკოსიმედიმნები – ხუთასმედიმნიანები, რომელთა წლიური შემოსავალი იყო 500 მედიმნი; მეორე ფენაში – 300 მედიმნიანები, მასში შედიოდნენ მხედრები; მესამეში – 200 მედიმნიანები. აქ ერთიანდებოდნენ ძეგვიტები, რომლებიც ჯარში ჰოპლიტების ფალანგას ქმნიდნენ. მეოთხე ფენას შედგენდნენ 200 მედიმნზე ნაკლები შემოსავლის მქონე თეტები. პირველი და მეორე ფენის მოქალაქეებს შეეძლოთ ნებისმიერი თანამდებობის დაკავება. დანარჩენ სოციალურ ფენებს უფლება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში.

რაც შეეხება ათენის სახელმწიფო მართვის სისტემას, აქ ერთმანეთთან შერწყმული იყო ძველი და სოლონისეული სტრუქტურები. მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა სახალხო კრება, სადაც ათენის ყველა სრულუფლებიანი მოქალაქე ხმის მიცემის თანაბარი უფლებით სარგებლობდა. ქალებს არჩევნებში და, საერთოდ, პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ. სოლონმა დააარსა სახალხო კრების სათათბირო ორგანო – ბულე, ანუ საბჭო, რომელიც 400 წევრისაგან შედგებოდა. ბულე აგვარებდა მიმდინარე საკითხებს და სახალხო კრების მუშაობის ორგანიზაციას აწესრიგებდა. სოლონის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენდა ჰელიეია ანუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომელშიც მსაჯულები ყველა ფენის მოქალაქეთაგან ირჩეოდნენ. ჰელიეიას კომპეტენციაში შედიოდა არა მხოლოდ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საკითხების გარჩევა, არამედ ის თანამდებობის პირთა საქმიანობასაც აკონტროლებდა. ათენში არ არსებობდა სახელმწიფო ბრალმდებელი და ადვოკატი. ბრალდება და დაცვა კერძო ხასიათისა იყო. საფინანსო საქმის მონესრიგებისათვის შეიქმნა პოლეტებისა და კოლაკრეტების თანამდებობები. პოლიციურ ფუნქციას ახორციელებდა სპეციალური კოლეგია, რომელიც 11 კაცისაგან შედგებოდა.

სამხედრო სფეროშიც არსებითი გარდაქმნები გატარდა. სოლონამდე სამხედრო ორგანოებში გადამწყვეტ როლს თუ დიდგვაროვნები ასრულებდნენ, სოლონის დროს ძირითადი ფიგურა ხდება მძიმედ შეიარაღებული ჰოპლიტი, რომელიც ძევგიტებისაგან – საშუალო შეძლების მოქალაქეებისაგან კომპლექტდებოდა.

ამრიგად, სოლონის დროს ათენის მოსახლეობის სოციალური სტრატიფიკაცია აშკარაა, მეტიც ის კანონითაა განსაზღვრული, მართვის აპარატიც სრულყოფილი ჩანს. ცხადია, რომ სოლონის არქონტობის დროს, ათენის პოლისის ფარგლებში, სახელმწიფოსა და ქალაქმშენებლობის პროცესი ძირითადად დასრულდა. ეს პროცესი პისისტრატესა და, განსაკუთრებით, კლისთენეს მმართველობის დროს კიდევ უფრო გაღრმავდა.

პისისტრატე ცდილობდა ათენის მოსახლეობის ყველა ფენა დაეკმაყოფილებინა. მან გლეხობას სამიწათმოქმედო სამუშაოებისათვის შეღავათიანი კრედიტი დაუწესა. გლეხი რომ მიწათმოქმედებას არ მოსწყვეტოდა, მან დემებში მობილური სასამართლოები მოაწყო, სადაც ყველა სადავო საკითხი ადგილზე წყდებოდა.. საგადასახადო სისტემაც ლიბერალური გახდა. გლეხს სახელმწიფოსთვის მოსავლის 10% უნდა გადაეხადა. ის ზრუნავდა ხელოსნობის განვითარებაზე. საკმაოდ გაიზარდა საექსპორტო საქონლის წარმოება. პისისტრატეს დროს ათენში ინტენსიური მშენებლობა დაიწყო: აიგო ათენას, აპოლონისა და ზევსის ტაძრები. ასევე ქალაქის წყლით მომარაგების უზრუნველყოფისათვის წყალსადენი გაიყვანეს. პისისტრატეს დროს კერამიკის დეკორაციაში შავფიგურული წითელფიგურულმა სტილმა შეცვალა, რამაც კერამიკული წარმოების განვითარებას ახალი იმპულსი შესძინა. ათენის მეთუნეთა უბანში – კერამიკოსში ახალი სახელოსნოები გაიხსნა; გემთმშენებლობის საქმეც გამოცოცხლდა. პისისტრატეს არც დიდგვაროვნები დაუტოვებია ნაწყენი. მართალია, პისისტრატემ ოპოზიციას მიწების გარკვეული ნაწილი ჩამოართვა და ის ღარიბ გლეხობას გადასცა, მაგრამ წარჩინებულთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ქონება შეინარჩუნა.

პისისტრატემ ათენს კულტურისა და რელიგიური ცენტრის ფუნქციაც შესძინა. მან თავის კარზე მოიწვია ბერძნული ლიტერატურისა და ხელოვნების ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ პოეტები ანაკრეონტი და სიმონიდე. პისისტრატეს სახელს უკავშირდება ჰომეროსის გენიალური პოემების – „ილიადასა“ და „ოდისეას“ ჩანერა-რედაქტირება. პისისტრატე საზოგადოებრივი დღესასწაულების ჩატარებისათვის სახსრების ხარჯვას არ ერიდებოდა. განსაკუთრებული ზარ-ზეიმით ტარდებოდა პოლისის მფარველი ღვთაების ათენას პანათენური დღესასწაული, რომელშიც პისისტრატე და მისი ოჯახის წევრებიც მონაწილეობდნენ. არანაკლებ დიდებულად ტარდებოდა ღვინისა და მხიარულების ღვთაების დიონისეს დღესასწაულები – დიონისიები, რომელიც საერთო ატიკური კულტი გახდა.

წარმატებული და მასშტაბური იყო პისისტრატეს საგარეო პოლიტიკაც. მისი ძირითადი მიზანი შავი ზღვისაკენ მიმავალი გზების კონტროლი იყო. პისისტრატემ შეძლო პანგეას ვერცხლით მდიდარი მაღაროების ხელში ჩაგდება. მან პოზიციები განიმტკიცა კუნძულ ლემნოსსა და იმბროსზე. მეგობრული ურთიერთობა დამყარდა ნაქსოსთან, სამოსთან, არგოსთან და კორინთოსთან. ამრიგად, პისისტრატეს დროს ათენი ელადის მნიშვნელოვან სავაჭრო-ეკონომიკურ, რელიგიურ და კულტურის ცენტრად გადაიქცა.

ათენის სახელმწიფოს ქალაქმშენებლობისა და მისი დემოკრატიზაციის პროცესი კლისთენეს მმართველობის დროს გაგრძელდა. კლისთენეს რეფორმებით შეიზღუდა გვაროვნული პრივილეგიები. ატიკა 10 ტერიტორიულ ფილედ დაიყო. თითოეული ფილე იყოფოდა ტრიტიებად, ხოლო ტრიტიები დემებად. ატიკა სამ ნაწილად დაიყო: ქალაქი, სანაპირო და შიდა ნაწილი, რაც ერთ ფილეს ქმნიდა. ტრიტიების ფილეებად დანაწილება, არისტოტელეს მტკიცებით, კენჭისყრით ხდებოდა. ყველაზე პატარა, თუმცა მთავარი ადმინისტრაციული ერთეული დემი გახდა. დემებში მისი წევრების სია ინახებოდა. დემოტების საერთო კრებაზე ერთი წლის ვადით ირჩევდნენ დემის მამასახლისს – დემარხოსს. სწორედ დემებში წყდებოდა მოქალაქეობის სტატუსის მინიჭების საკითხი. დემების რაოდენობა ფილეებში ლიმიტირებული არ იყო, ხოლო დემები 100-ზე მეტს ითვლიდა. სტრაბონის ცნობით (IX, 1, 16), მისი დროისათვის 170 დემი არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ დემები ტერიტორიული ერთეულები იყო, დემის წევრობა მემკვიდრეობითი გახდა: თუ ათენელი მოქალაქე, კლისთენეს რეფორმების დროს, ამა თუ იმ დემში ცხოვრობდა, მაშინ მისი შთამომავლები იმავე დემის წევრებად რჩებოდნენ.

სამოქალაქო კოლექტივის დაყოფის პრინციპის საფუძველზე შეიქმნა ახალი საბჭო – „ხუთასთა საბჭო", რომელშიც 10 ფილე იყო წარმოდგენილი, თითოეული ფილედან კი 50 მოქალაქე. „ხუთასთა საბჭო" უმაღლესი ადმინისტრაციული ორგანო გახდა. საბჭოს წევრების არჩევა კენჭისყრით ხდებოდა. მოქალაქეს უფლება ჰქონდა საბჭოს წევრობაზე ორჯერ ეყარა კენჭი.

არისტოტელე, კლისთენეს მიერ გატარებულ რეფორმებს შორის, ასახელებს კანონს ოსტრაკისმოსის შესახებ, რომელიც კლისთენეს პოლიტიკური ოპოზიციის წინააღმდეგ იყო მიმართული (Pol., 22, 1). სპეციალურად მოწვეულ სახალხო კრების სხდომაზე წყდებოდა იყო თუ არა კანდიდატურა ოსტრაკისმოსისთვის და ვინ უნდა გაეძევებინათ. თუ კრების წევრთა უმრავლესობის პასუხი დადებითი იქნებოდა, მაშინ მათ დაურიგდებოდათ თიხის ფირფიტები, სადაც უნდა დაეწერათ იმ პირის სახელი, რომლის ათენში ყოფნა დემოკრატიას საფრთხეს უქმნიდა. პიროვნებას, რომლის სახელს ყველაზე ხშირად მიუთითებდნენ ოსტრაკონზე ათენიდან 10 წლით აძევებდნენ, მაგრამ ის მოქალაქეობას და პირად ქონებას არ კარგავდა. ამ უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებული XVს-ის ბიზანტიური ხელნაწერის ფრაგმენტიდან ირკვევა, რომ, თავდაპირველად, ოსტრაკისმოსის საკითხს ხუთასთა საბჭო იხილავდა და ფირფიტებს ბულევტერიის ეზოში ყრიდნენ. თავიდან პირის გაძევებისთვის საკმარისი იყო 200 ფირფიტა, ხოლო შემდეგ დემოსის მოთხოვნით ფირფიტების რიცხვი გაიზარდა (Codex. Vatic. Gr. 1144). ოსტრაკისმოსს მომდევნო ეპოქის ათენის პოლიტიკურ ცხოვრებაში ფართოდ იყენებდნენ. აღსანიშნავია, რომ ოსტრაკისმოსმა განვითარების ორი ეტაპი განვლო: პირველ ეტაპზე ის ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღის როლს ასრულებდა და დემოკრატიის ინტერესებს იცავდა; მეორე ეტაპზე კი შიდაპარტიული ბრძოლის ინსტრუმენტი ხდება. ოსტრაკისმოსის ინსტიტუტის დაწესება ათენში მიმდინარე მწვავე პოლიტიკურ კოლიზიებზე მიუთითებს. ის პოლისური და პიროვნული ინტერესების დაპირისპირებას ასახავდა.

კლისთენეს დროს სამხედრო სფეროც გადახალისდა. შეიქმნა ათი სტრატეგოსის კოლეგია და მას მიენდო ათენის ჯარის ხელმძღვანელობა; რეფორმა შეეხო ადმინისტრაციულ აპარატსაც: კლისთენემ კოლაკრეტების მაგივრად აპოდეკტების თანამდე-

ბობა დაანესა. შეიქმნა პრიტანიების კომიტეტი, რომელიც 50 კაცისაგან შედგებოდა. კომიტეტის შტაბბინა ბულევტერიის გვერდით, ტოლოსში განთავსდა. პრიტანიების მთავარი ამოცანა საბჭოსა და სახალხო კრების სხდომებს შორის მიმდინარე საკითხების განხილვა იყო.

ისმის კითხვა: რაში მდგომარეობდა კლისთენესეული რეფორმის მიზანი? კლისთენეს მიზანი, არისტოტელეს აზრით, იყო სოლონის მიერ დაწყებული დემოკრატიული გარდაქმნების გაგრძელება ათენის დემოსის ინტერესების სასარგებლოდ. XIX-XX სს-ის ზოგიერთი მკვლევრის აზრით, კლისთენე „ვაჭართა პარტიისა" და „კაპიტალისტთა ახალი კლასის" ინტერესების დამცველი იყო (Ure, 1962, გვ. 61; Beloch, 1926, გვ. 327-331). ზოგი თანამედროვე მკვლევარი, მაგალითად, პ. ბიკნელი, არისტოტელეს ცნობის საფუძველზე, ვარაუდობს, რომ კლისთენეს რეფორმის მიზანი იყო მოქალაქეთა რიცხვის გაზრდა და ნეოპოლიტების დაჩქარებული ადაპტაცია (Bicknell, 1969. გვ. 34-36), თუმცა საეჭვოა, რომ არისტოტელეს განკარგულებაში ყოფილიყო ზუსტი მონაცემები კლისთენესეული რეფორმების ამოცანების შესახებ. ამასთანავე, დასაბუთებულად მიგვაჩნია ის მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც არისტოტელე კლისთენესეული რეფორმის მთავარ ამოცანად მოქალაქეთა რიცხვის გაზრდას მიიჩნევდა. მართალია, არისტოტელეს მიხედვით, ათენის მოსახლეობა გაიზარდა არა მარტო სოფლებიდან გადმოსახლებული გლეხების, არამედ მეტოიკოსების ხარჯზე, მაგრამ მისი აზრით ეს იყო არა ერთადერთი, არამედ ერთ-ერთი საშუალება სახელმწიფოს ცენტრალიზაციის განმტკიცებისათვის (Polit., 21, 2). ვფიქრობთ, კლისთენესეული რეფორმა, უწინარეს ყოვლისა, მიმართული იყო იმ არისტოკრატების წინააღმდეგ, რომლებიც ატიკის სოფლებში ქონებასა და გავლენას ინარჩუნებდნენ ქალაქელ არისტოკრატთა იმ ნაწილის წინააღმდეგაც, რომლებიც ნოვაციებს ვერ ეგუებოდნენ და მხოლოდ მიწათმფლობელებად რჩებოდნენ. ის არისტოკრატთა წრე, რომელიც ახალ წესრიგს შეეგუა და ვაჭრობას მიჰყო ხელი კლისთენე მათ ანგარიშს უწევდა. არისტოკრატიის ამ ნაწილმა, ფაქტობრივად, კლისთენეს რეფორმების დროს ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციები შეინარჩუნა. ათენის ადმინისტრაციაში მაღალ თანამდებობებს დემოსის წარჩინებულ პირებთან ერთად „ახალგაზრდა" არისტოკრატიის წარმომადგენლებიც იკავებდნენ. კლისთენეს რეფორმები ობიექტურად ხელს უწყობდა დემოსის დაწინაურებული ფენისა და აღნიშნული წრის არისტოკრატთა პოლიტიკურ-ეკონომიკურ კონსოლიდაციას ერთიანი მონოლითური სოციალური ფენის ფარგლებში. მაგრამ ათენში კლეონამდე ხელისუფლების სათავეში ძირითადად არისტოკრატია რჩებოდა, რომელიც ქონების გარდა პრესტიჟს, პოლიტიკურ და სამხედრო გამოცდილებას ფლობდა. აქედან გამომდინარე, გასაგები ხდება კლისთენეს მცდელობა, რომ თითოეულ ფილეში საქალაქო ტრიბები ყოფილიყო. ამრიგად, ათენელი არისტოკრატები შეიძლებოდა სტრატეგოსებად არჩეულიყვნენ თითოეული ფილედან, ასევე ხუთასთა საბჭოსა და პრიტანებშიც ყოფილიყვნენ წარმოდგენილნი.

კლისთენეს რეფორმების შემდეგ ათენში დემოკრატია დამყარდა, რომელიც გამოიხატებოდა სახალხო კრების წამყვანი როლით, მაგისტრატურის არჩევითობითა და ა.შ. თუმცა, თვით ტერმინი „დემოკრატია" ათენში მოგვიანებით, დაახლოებით ძვ.წ. V ს-ის შუა ხანებში დამკვიდრდა, როგორც სახელმწიფო წყობის ფორმა. ისმის კითხვა: რას უწოდებენ თანამედროვენი ათენის კლისთენესეულ სახელმწიფო წყობას?

მკვლევარები დიდი ხანია, რაც ყურადღებას ამახვილებენ სიტყვა „ისონომიაზე“ (Ehrenberg, 1950. გვ. 530; Bicknell. 1969. გვ. 23), რომელიც კლისთენეს რეფორმებით შეიქმნა. ჰეროდოტეს მიხედვით, ისონომია ტირანიის საპირისპირო წესრიგია და მასში ისტორიკოსი გულისხმობს როგორც დემოკრატიას, ასევე არისტოკრატიას (III, 80, 142). ვფიქრობთ, ისონომია მმართველობის განსაკუთრებული ფორმა კი არ არის, არამედ ის პოლისური წყობის იდეალია, რომლის დროსაც ყველა მოქალაქე თანასწორუფლებიანია. კლისთენესეული ათენის პოლიტიკური წყობა კი დემოკრატიის პირველი ეტაპი იყო. მოქალაქეები თანასწორუფლებიანნი იყვნენ, მაგრამ მაგისტრატურები არნაზღაურდებოდა და ამიტომ თანამდებობების დაკავებაზე პრეტენზიას რეალურად აცხადებდნენ არისტოკრატები და დემოსის წარჩინებულები, თუმცა არისტოკრატები, თავიანთი პრესტიჟული მდგომარეობის, მაღალი დონის პოლიტიკური და სამხედრო მომზადების წყალობით, ძირითადად, სახელმწიფო თანამდებობებს იკავებდნენ. კლისთენეს მთავარი ამოცანაც სწორედ ეს იყო: დემოკრატიული სახელმწიფოს პირობებში პოლიტიკური ხელმძღვანელობა ახალი არისტოკრატიის ხელში ყოფილიყო. ამიტომ, გარკვეულწილად, საფუძვლიანია გვიანდელი ხანის ავტორების ცნობები კლისთენეს „მამობრივი კანონების“, „კლისთენეს დროინდელი არისტოკრატიის“ შესახებ (Ath., pol., 293; Plut., Cim., 15). მის რეანიმინირებას, პლუტარქეს აზრით, ძვ. წ. VI-ის ათენის ახალი პოლიტიკოსი კიმონი ცდილობდა. ამ კონტექსტში „არისტოკრატია“ ნიშნავს არა მართვის არისტოკრატიულ ფორმას, არამედ სახელმწიფოში არისტოკრატთა მონინავეობას. პლუტარქე ძვ. წ. V ს-ის ათენელ კონსერვატორ პოლიტიკოსებსა და კლისთენეს შორის კავშირს ავლებდა. არისტიდე კლისთენეს ἑταῖρος იყო. კლისთენე არისტიდეს „მასწავლებელი“ იყო, ხოლო არისტიდე–კიმონის.

როგორც აღვნიშნეთ, ძველ ავტორთა შეფასებები კლისთენეს დროინდელი არისტოკრატიის შესახებ ნაწილობრივაა მართებული, იმიტომ რომ კლისთენემ ხელისუფლების სათავეში დასვა არისტოკრატია არა როგორც სოციალური ფენა, არამედ მისი ზოგიერთი წარმომადგენელი, რომელსაც დემოკრატიული გზით ირჩევდნენ.

ამრიგად, კლისთენეს რეფორმებმა საუკეთესო პირობები შექმნეს ათენის პოლიტიკური კურსის განსაზღვრის საკითხზე „ახალი“ არისტოკრატიისა და დემოსის წარჩინებულ პირთა კონსოლიდაციისათვის, რაც საერთო ინტერესების გარშემო ახალი, ერთიანი გაბატონებული ფენების საბოლოო ფორმირებით დასრულდა. ეს სრულიადაც არ გამორიცხავდა მომავალ პოლიტიკურ კოლიზიებს, მაგრამ ის ახალ განზომილებაში გადავიდა: თუ კლისთენეს რეფორმებით ათენის პოლიტიკური განვითარების ტენდენციებს ჩაეყარა საფუძველი, ძვ. წ. V ს-ის პირველ ნახევარში კი პოლიტიკური დაპირისპირება ათენში დემოკრატიის განვითარების ხარისხის გაუმჯობესებისათვის მიმდინარეობდა.

ათენის დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა ბერძენ-სპარსელთა ომის დროსაც არ შეწყვეტილა. ათენის დემოკრატიული პარტიის ლიდერმა თემისტოკლემ შეადგინა ოპტიმალური „საზღვაო პროგრამა“, რომლის თანახმადაც ბერძნებს საბრძოლო ოპერაციები სპარსელების წინააღმდეგ ხმელეთიდან ზღვაზე უნდა ეწარმოებინათ. ამ ამოცანის წარმატებული გადაწყვეტისათვის, თემისტოკლეს მითითებით, ლავრეიონის ვერცხლით აიგო 200 სწრაფმავალი ტრიერი და ათენის ნავსადგური პირეუსიც თავდაცვითი კედლებით გაამაგრეს. პლუტარქეს სიტყვით, „თემისტოკლემ პირეუსი კი არ „მიანება ქალაქს“, როგორც ამას არისტოფანე კომიკოსი ამბობს, არა-

მედ ქალაქი მიუსადაგა პირეუსს და ხმელეთი – ზღვას" (თემისტოკლე, 19). ამით მან წარჩინებულთა ფენის საწინააღმდეგოდ დემოსი განადიდა და მხნეობით აავსო. „ძალა გადავიდა მეზღვაურთა, მენიჩბეთა წინამძღოლებისა და მესაჭეთა ხელში" (პლუტარქე, თემისტოკლე, 19). ამასთან დაკავშირებით, პლატონიც ირონიულად შენიშნავდა: „თემისტოკლემ ათენელები, რომლებიც მედგარი ჰოპლიტები იყვნენ, მეხომალდეებად და მეზღვაურებად აქცია" („კანონები" IX, 706).

როგორც ჩანს, თემისტოკლეს პროგრამას არა მარტო სამხედრო, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მისი რეალიზაციის შემთხვევაში სოლონისეული რანჟირების სქემის მეოთხე სოციალური ფენის –თეტების პოლიტიკური როლი გაიზრდებოდა. თეტებს ძვირადღირებული ჰოპლიტების აღჭურვილობის შესაძენად სახსრები არ ჰქონდათ და ამიტომ მათ ფლოტში შეეძლოთ ემსახურათ. სწორედ ამის გამო ეწინააღმდეგებოდნენ თემისტოკლეს პროგრამას ათენელი მიწათმფლობელი წარჩინებულები, რომელთა ინტერესების დამცველი არისტიდე იყო. იგი ჰოპლიტური არმიის განმტკიცებას, ათენის თავდაცვითი კედლებით გამაგრებას და პასიური საგარეო პოლიტიკის გატარებას ცდილობდა.

ძვ. წ. V ს-ის 80-იან წლებში თემისტოკლემ გაიმარჯვა, ხოლო მისი ოპონენტი არისტიდე ათენიდან გააძევეს და თემისტოკლესეული საზღვაო პროგრამაც „ამუშავდა". თემისტოკლეს ინიციატივით, გარკვეულწილად, შეიცვალა ათენის სახელმწიფოს მართვის სისტემა და ხელმძღვანელ პირთა არჩევის წესიც. კერძოდ, სტრატეგოსების როლი გაიზარდა, ხოლო არქონტების არჩევა დემოკრატიული, ფარული კენჭისყრით ტარდებოდა.

ათენის სახელმწიფოს დემოკრატიზაციის პროცესი დემოკრატიული პარტიის კიდევ ერთმა ლიდერმა ეფიალტემ გააგრძელა. მისი რეფორმა პოლიტიკური ხასიათისა იყო. ეფიალტემ ათენის არისტოკრატიულ ორგანოს – არეოპაგს ძლიერი დარტყმა მიაყენა. მან არეოპაგს ძველი და საკმაოდ ბუნდოვანი, გაურკვეველი უფლება ჩამოართვა, რაც სახელწიფო მართვაზე გავლენას ახდენდა და მას მხოლოდ რელიგიურ-სამართლებრივი ფუნქცია შეუნარჩუნა, თუმცა რეფორმის შემდეგაც არეოპაგი არსებობას განაგრძობდა, როგორც დემოკრატიული ინსტიტუტების თავისებური ალტერნატიული ორგანო.

ათენის სახელმწიფოს დემოკრატიზაციამ აპოგეას პერიკლეს მმართველობის დროს მიაღწია. პერიკლეს რეფორმებით ათენის სახელმწიფოს დემოკრატიული ინსტიტუტები და სახელმწიფო აპარატი კიდევ უფრო სრულყოფილი ხდება. პერიკლეს კანონმდებლობით, არქონტის თანამდებობა მესამე სოციალური ფენისათვის – ძევგიტებისათვის მისაწვდომი გახდა; სახელმწიფო მოხელეებისათვის დაწესდა გასამრჯელო; ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წევრებს, თითოეული სხდომისათვის, დაენიშნათ ხელფასი ორი ობოლის ოდენობით. ჯამაგირი დაენიშნათ ასევე სამხედრო სამსახურში გაწვეულ ღარიბ მოქალაქეებსაც, ხუთასთა საბჭოს წევრებს და იმ პირებს, რომლებსაც გარკვეული სახელმწიფო თანამდებობები ეკავათ. მოსახლეობის ღარიბ ფენას დაუწესდა ე.წ. „თეორიკონი" – ფული „თეატრალურ სანახაობათა" – სპექტაკლზე დასწრებისათვის. პერიკლეს ინიციატივით მიღებულ იქნა კანონი, რომლის თანახმადაც ათენის მოქალაქედ ჩაითვლებოდა ის, ვისი მშობლებიც ათენის მოქალაქენი იყვნენ.

სოლონის, პისისტრატეს, კლისთენეს, თემისტოკლეს, ეფიალტესა და პერიკლეს ნოვაციურმა რეფორმებმა გზა გაუკაფეს ათენში დემოკრატიული ფასეულობების

დამკვიდრებას. მოქალაქეებს პიროვნული ინიციატივის გამოვლენის, ქვეყნის მართვის სფეროში ანალიტიკური მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცათ. აღნიშნული რეფორმებით ძვ. წ. V-IV სს-ის ათენი გახდა არა მარტო ატიკის, არამედ მთელი ელადის დემოკრატიის ფლაგმანი და მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცენტრი.

ძვ. წ. V-IV სს-ში დემოკრატიისა და თავისუფლების დამკვიდრებას ხელი უნდა შეეწყო ათენში მოსახლეობის პროფესიული კლასიფიკაციის, წარმოების დიფერენციაციის გაღრმავების, თავისუფალი ვაჭრობის, ფულად-სასაქონლო მეურნეობისა და, საერთოდ, საქალაქო ეკონომიკის განვითარებისათვის.

2. სპარტა ძვ. წ. VIII-VI სს-ში

ათენი ჰარმონიული, დინამიკური, ღია პოლისი იყო, ხოლო სპარტა ჩაკეტილ, დისჰარმონიულ და კონსერვატორულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. სპარტის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურა ერთობ უჩვეულო იყო, ამიტომაც ის ძველ დროშივე გამოცანად იქცა. ზოგს სპარტა იდეალური წყობის პოლისად მიაჩნდა, სხვები კი ანტიჰუმანურ სახელმწიფოდ მოიაზრებდნენ. ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარიც სპარტის სახელმწიფო სტრუქტურას იდეალურად მიიჩნევს (Jones, 1967, გვ. 12-13). სხვათა აზრით, სპარტა წარმოადგენს „ანომალიას", „ისტორიულ კურიოზს" ძველი საბერძნეთის ისტორიაში (Bengtson, 1969, გვ. 118). მართლაც, თუკი ელინური პოლისების დიდი ნაწილი კლასიკური ტიპის პოლისებად მიიჩნეოდა თავიანთი აკროპოლისებითა და ქალაქური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ატრიბუტებით, სპარტა ასეთ ელემენტებს მოკლებული იყო, რადგანაც ის სპეციფიკურ ბიოგეოგარემოსა და განსხვავებულ პირობებში აღმოცენდა. სპარტა მდებარეობდა პელოპონესის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში, მდინარე ევროტასის ხეობაში. ის ლაკონიკის მთავარ ცენტრს წარმოადგენდა. ლაკონიკა პოლოპონესის დანარჩენი რეგიონებისაგან მთიანი ზოლით იყო გამოყოფილი, ასევე ზღვის სანაპიროც ნავიგაციისათვის ძნელად გამოსაყენებელი იყო, რაც სპარტას გარე სამყაროსთან იზოლირებულს ხდიდა.

სპარტა ძვ. წ. XI თუ X ს-ში ჩრდილოელმა დორიელებმა დაარსეს. ის ხუთი სოფლის გაერთიანებისაგან შედგებოდა. დორიელების განსახლებამ სპარტაში სოციალურ-პოლიტიკური ვითარება გაამწვავა. ძვ. წ. VII ს-ის შუა ხანებიდან სიტუაცია უფრო გამწვავდა, როდესაც სპარტაში, ისევე როგორც დანარჩენ ბერძნულ პოლისებში, მიწის „შიმშილი" დაიწყო. ეს პრობლემა დროულად უნდა გადაჭრილიყო. ბერძნული სახელმწიფოების უმრავლესობა ამ პრობლემის დაძლევას შორეული საკოლონიზაციო მოძრაობით ცდილობდა. სპარტამ აგრარული კრიზისი უახლოესი მეზობლების მესენიელების ნაყოფიერი ტერიტორიების მიტაცებით შეაჩერა, თუმცა საშინაო ვითარება ძალზე დაიძაბა, რამაც სპარტის შემდგომ განვითარებაზე კატალიზატორის როლი შეასრულა.

სპარტის მილიტარისტული პოლიტიკის შედეგი იყო ლაკონიკასა და მესენიაში ჰილოტების, ექსპლოატირებული მოსახლეობის თავისებური ინსტიტუტის შექმნა. ჰილოტები წარმოების საშუალებებს ფლობდნენ. მათ საკუთარი მეურნეობა, მუშა საქონელი, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი გააჩნდათ. ნორმირებული ბეგარის გადახდის შემდეგ, ჰილოტების განკარგულებაში რჩებოდა მოსავლის გარკვეული ნაწილი, რომელიც შეიძლებოდა შეხედულებისამებრ გამოეყენებინათ ან გაეყიდათ კიდეც.

არსებული მონაცემების მიხედვით, სპარტიატები ჰილოტების პირად მეურნეობაში არ ერეოდნენ. ისინი მხოლოდ მათგან მიღებული გადასახადებით კმაყოფილდებოდნენ (Plut., Moral., 216-F-217A).

ყოველივე ზემოთ აღნიშნული დეტალები, ჰილოტების სოციალური სტატუსის შესახებ, იმის მტკიცების სრულ საფუძველს გვაძლევს, რომ ჰილოტები არა მონები, არამედ ყმა-გლეხები იყვნენ, რომლებიც სახელმწიფოს ან თემის კუთვნილებად ითვლებოდნენ. სათემო-სახელმწიფო საკუთრებაში ითვლებოდა ასევე მიწაც, თუმცა სპარტის ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის როლი არცთუ ისე მნიშვნელოვანი იყო. სახელმწიფოს ეკონომიკური სუვერენიტეტი სპარტაში, ისევე როგორც მთელ რიგ ბერძნულ პოლისებში, უპირატესად, ცალკეული მოქალაქეების საკუთრების უფლების გაკონტროლებასა და შეზღუდვაში გამოიხატებოდა. ასეთ შეზღუდვათა რიცხვს განეკუთვნებოდა სპარტის ადმინისტრაციის მიერ მიღებული განკარგულება, რომლის თანახმადაც მიწების ყიდვა-გაყიდვა იკრძალებოდა, ასევე აკრძალული იყო სპარტის ფარგლებს გარეთ ჰილოტების გაყიდვა, მათი განთავისუფლება (Strabo, VIII, გვ. 365). დაბოლოს, კანონი კრძალავდა სპარტაში უცხოური მონეტების ცირკულაციას (პლუტარქე, ლიკურგოსი, 9, Xen., Pesp. Lac., VII, 5, 6).

სპარტელ კანონმდებლებს კარგად ესმოდათ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი აკრძალვები სრულ გარანტიებს არ იძლეოდა ქონების დაგროვების ზრდა და, შესაბამისად, მოქალაქეთა მასიური გაღატაკება თავიდან აეცილებინა. ამიტომაც, თეოფრასტეს თქმით, სპარტელ კანონმდებლებს ყველა ღონე უნდა ეხმარათ „სიმდიდრე აეკრძალათ, რათა ის სიმდიდრედ არ ქცეულიყო" (პლუტარქე, ლიკურგოსი, 10). სიმდიდრის აღმოფხვრისათვის, სპარტის მთავრობამ ოფიციალური აკრძალვებისა და მითითებების მთელი სერია გამოსცა, რომელიც თითოეული სპარტიატის ცხოვრებას დაბადებიდან სიკვდილამდე არეგულირებდა. ამ უჩვეულო სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდა „სისისტიები" – საერთო ტრაპეზები, სადაც თანასწორობისა და მკაცრი ურთიერთკონტროლის პრინციპი სუფევდა. კანონით დადგენილი ნორმირებული საწევრო შესატანი და სისისტიების წევრებისათვის დაწესებული მოხმარების ნორმა თანასწორობის პრინციპების დაცვის მიმანიშნებელია, რაც, ვფიქრობთ, სპარტის სახელმწიფო სისტემის საფუძველი იყო. სპარტანული აღზრდის სისტემა მოქალაქეთა მიკროკოსმოსის მეორე არსებითი ელემენტი იყო. ორივე ეს სისტემა სპარტიატების კონსოლიდაციაზე იყო გათვლილი, სხვაგვარად ისინი ვერც იარსებდნენ, რადგანაც ლაკონიკის მოსახლეობის უმცირესობას შეადგენდნენ.

ანტიკური პოლისისათვის დამახასიათებელი კორპორაციული გაერთიანებები სპარტის სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში უფრო მკვეთრად იყო ფიქსირებული. სპარტის პოლიტიკური კარიერის იერარქიაში შეინიშნება სპარტიატების ერთი კორპორაციიდან მეორეში, უფრო პრივილიგირებულ საფეხურზე გადანაცვლების პროცესი, რითაც მათი სოციალური სტატუსი განისაზღვრებოდა. ამის შესაბამისად თვით სპარტის სოციუმის სისტემა უნიფიცირებულ მამაკაცთა ალიანსისაგან შედგებოდა. ამ კავშირთა სისტემის წარმართველ და მაკოორდინებელ ორგანოს ეფორთა კოლეგია წარმოადგენდა. სწორედ ის უწევდა კონტროლს სახელმწიფოს ფუნქციონირების ყველა მხარეს, კონსტიტუციის დაცვას. ასეთი განუსაზღვრელი უფლებების გამო, ანტიკური ავტორები ეფორების მცირერიცხოვან კოლეგიას ტირანიის მსგავს ხელისუფლებას უწოდებდნენ (Xen., Pesp. Lac., VIII, 4; Plato. Legg., IX, 712D; Arist., Pol., II,. 1270b). როგორც ჰეროდოტე აღნიშნავდა ეფორთა ტირანული ერთმმართველობა იყო პერსო-

ნიფიკაცია ლიკურგოსის იმ კანონის დესპოტიისა (VII, 104), ასე რომ მბრძანებლობდა სპარტაში.

სპარტის ამ თავისებური პოლიტიკური რეჟიმის ხასიათის განსაზღვრა საკმაოდ რთულ საქმეს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ძველი ავტორები სპარტის პოლიტიკურ წყობას სხვადასხვაგვარად აფასებდნენ. ავტორთა ერთი ნაწილი, არისტოტელეს მიხედვით, ლაკედემონურ კონსტიტუციას დემოკრატიის ნიმუშად მიიჩნევდა. სხვებს, პირიქით, ოლიგარქოსების მოდელად ესახებოდათ (Pol., IV, 1294b), არისტოტელეს ის ორივე პოლიტიკური რეჟიმის სიმბიოზად წარმოუდგენია (Pol., II, 1265b35). ამასთან, მას სპარტის სახელმწიფოებრივი მოწყობის დემოკრატიულ ელემენტებად მიაჩნდა სპარტიატების თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა და ეფორატის არჩევნებში ხალხის მონაწილეობა.

არისტოტელეს თანახმად, ეფორთა არჩევნებში რიგითი მოქალაქეებიც აქტიურად მონაწილეობდნენ, რის შედეგადაც კოლეგიის შემადგენლობაში ზოგჯერ მცირე ქონებრივი შეძლების პირებიც ხვდებოდნენ. ეს პრეცენდენტი არისტოტელეს სპარტის პოლიტიკური სისტემის სერიოზულ დეფექტად მიაჩნდა, რადგანაც სიღარიბე ეფორებს კორუმპირებულს ხდიდა. ამას კი სახელმწიფოსთვის დამღუპველი შედეგი მოჰყვებოდა. ასევე სპარტანული სახელგანთქმული თანასწორობაც დემაგოგიური კომუფლიაჟი იყო, რადგანაც მასში უთანასწორობის გრადაცია იფარებოდა, რაც, დიდი მოაზროვნის შეხედულებით, „თანასწორთა საზოგადოებას" ღრღნიდა (Pol., II, 1271a).

ამრიგად, სპარტა, რომელიც არისტოტელეს იდეალური სახელმწიფოს ნიმუშად მიაჩნდა, სინამდვილეში ამგვარი იდეალისაგან საკმაოდ შორს იდგა. როგორც ჩანს, არისტოტელე იმ დროს მოესწრო, როდესაც სპარტა ღრმა ეკონომიკურ-პოლიტიკური კრიზისის ვითარებაში იმყოფებოდა. არისტოტელეს ცნობით, სპარტის სრულუფლებიანი მოქალაქეების ათას კაცამდე შემცირება მისი დემოკრატიული საწყისების დასუსტებას გამოიწვევდა (Pol., II, 1270a). არისტოტელეს მიერ თანამედროვე სპარტის ვითარების აღწერას ისიც მოწმობს, რომ, მისივე ცნობით, „არგოსში კლეომენესთან ბრძოლის მეშვიდე დღეს ლაკედემონი იძულებული იყო მოქალაქეთა რიცხვში მიეღო ზოგიერთი პერიეკი" (Pol., V, II, 1303a), რაც უდავოდ სპარტის პოლისური სისტემის კრიზისის სიმპტომების მიმანიშნებელია. თუმცა, სპარტას თავისი დიდი წარსულიც ახსოვდა. ბერძენ-სპარსელთა ომის ეპოქაში, ჰეროდოტეს სიტყვით, „სპარტა იყო პოლისი, სადაც 8000 მამაკაცი ცხოვრობდა" (Herod., VII, 234), რომელიც, როგორც ჩანს, ძვ. წ. IV ს-ის დასასრულის დაუძლურებულ სახელმწიფოს არ ჰგავდა.

ასე რომ, არისტოტელეს გვიანდელი ცნობების მისადაგება სპარტის ძლიერების ეპოქის პოლიტიკურ სისტემასთან გაუმართლებელია. აღსანიშნავია, რომ ანტიკურ ისტორიოგრაფიაში სპარტის ადრეული ისტორია ორ პერიოდად იყოფა: პირველი – „ანომიისა" და „კაკონომიის", ბუნტისა და უკანონობის ეპოქა, ხოლო მეორე – „ევნომიის", კანონიერების პერიოდი. ვფიქრობთ, აღნიშნული სქემის პირველ ფაზაში უნდა იგულისხმებოდეს ძვ. წ. VIII-VII სს., როდესაც სპარტის პოლისური სისტემის ფორმირების პროცესი საკმაოდ რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ სპარტის ეკონომიკური სისტემა სხვა პოლისებისაგან თითქმის არაფრით განსხვავდებოდა. აღნიშნულ ხანაში, ისევე როგორც ათენში, მეგარასა და კორინთოში, სპარტაშიც მრეწველობა განვითარებული ჩანს, რასაც არქეოლოგიური მონაცემები დოკუმენტურად ადასტურებს. არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ისტორიული სპარტის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ძვ. წ. VII-VI სს-ის ადგილობრივი, ლაკონიკური წარმოების მრავალრიცხოვანი მხატვრული ხელოსნობის ნიმუშები, ნატიფი მოხატული კერამიკული ნაწარმი, რომლებიც საუკე-

თესო კორინთულ და ათენურ პროდუქციას არ ჩამოუვარდებოდა. აქვე დაფიქსირდა ასევე უნიკალური ტერაკოტული ნიღბები, ოქროს, ქარვისა და სპილოს ძვლისაგან დამზადებული სამკაულები და სხვ. (Dawkins, 1929, გვ. 13-16).

აღნიშნულ პერიოდში, სპარტას მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა აკავშირებდა, როგორც ამას არქეოლოგიური მასალები მოწმობს, მეზობელ პოლისებთან (Boardman, 1970, გვ. 27) და ასევე აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან, რაზეც გარკვეულწილად ჰეროდოტე მიანიშნებს (I, 153).

როგორც ჩანს, ძვ. წ. VII-VI სს-ში სპარტა ასკეტურად როდი ცხოვრობდა და გარე სამყაროსაგან იზოლირებული არ ყოფილა. ამ დროს სპარტა ელინურ სამყაროში მხატვრული ხელოსნობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად ითვლებოდა და გარე სამყაროსთანაც სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები ჰქონდა. ვფიქრობთ, ეს ფაქტი იმით უნდა აიხსნას, რომ ამ დროს ე.წ. ლიკურგოსის კანონმდებლობის ნიველირების მექანიზმი ჯერ კიდევ არ იყო ამოქმედებული და სპარტა, როგორც ტიპური, ნორმალური არქაული პოლისი დანარჩენი ელინური პოლისების იდენტური იყო. ძვ. წ. VI ს-ს მეორე ნახევრიდან, ამ მხრივ, სპარტაში ვითარება მკვეთრად იცვლება: ხელოსნური ნაწარმის ხარისხი შესამჩნევად ეცემა, იმპორტული პროდუქცია სრულიად გამქრალია. ცხადია, სპარტის ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება, რომელსაც ძველი ავტორები „ევნომიის", კანონიერების ეპოქად მიიჩნევდნენ. ამ დროიდან ის ჩაკეტილ და ყაზარმულ პოლისად გარდაიქმნა.

ისმის კითხვა: რით იყო განპირობებული ძვ. წ. VI ს-ის მეორე ნახევრიდან სპარტის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ამგვარი, სწრაფი ტრანსფორმაცია. ამასთან დაკავშირებით, საინტერესო მინიშნება მოეპოვება პლუტარქეს. მისი ვერსიით, სპარტაში „კანონიერება" სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ დამკვიდრდა. გადატრიალებაში, პლუტარქეს ცნობით, მომავალი კანონმდებელი ლიკურგოსი და მისი თანამოაზრეთა მცირე ჯგუფი მონაწილეობდა. პლუტარქესეულ ამ ვერსიის რეალობას მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობა ერთხმად აღიარებს (Huxley, 1962, გვ. 64-65; Michell, 1952, გვ. 22). მათივე მოსაზრებით, სპარტის ადრეული ხანის ისტორიაში გარდამტეხ მომენტად მეორე მესენური ომი (ძვ. წ. VII ს-ის მეორე ნახევარი) უნდა ჩაითვალოს. მართლაც, მესენიის ოკუპაციის შემდეგ, სპარტაში უკიდურესად რთული ვითარება შეიქმნა. სპარტიატები ყოველი მხრიდან გარემოცულნი იყვნენ მათ მიერვე დამორჩილებული მრავალრიცხოვანი მოსახლეობით და ჰილოტების პერმანენტული აჯანყებების მოლოდინში იყვნენ. ამავე დროს, თვით სპარტის სამოქალაქო თემი მონოლითური არ იყო და დაპირისპირებულ მხარეებს წარმოადგენდნენ. დემოკრატიზაციის პროცესი, რომელიც სპარტაში ჯერ კიდევ მესენური ომის წლებში დაიწყო, ძვ. წ. VI ს-ის მეორე ნახევრიდან დაჩქარდა და მან მთელი სახელმწიფო მოიცვა. დემოკრატიული მოძრაობის ძირითად პრინციპში მოიაზრებოდა მოქალაქეთა შორის საყოველთაო თანასწორობა, რამაც რეფორმების მთელი სერიის გატარება მოითხოვა. სპარტაში ის ძვ. წ. VI ს-ის პირველ ნახევარში დაიწყო და ამავე საუკუნის ბოლოს დასრულდა (Finley, 1975, გვ. 144).

ვფიქრობთ, პრიორიტეტული უნდა ყოფილიყო აგრარული რეფორმა, ვინაიდან მწირემიწიანი სპარტიატებისათვის მას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. გამოიცა სპეციალური კანონი, რომლის თანახმადაც მესენიის ნაყოფიერი მიწები და ლაკონიკის მეურნეობისთვის ვარგისიანი ტერიტორიის ნაწილი სპარტიატებს შორის თანაბარ ნაკვეთებად – კლეროსებად დანაწილდა. კლეროსებს დამორჩილებული მოსახლეობა – ჰილოტები მიამაგრეს. მიწების ამგვარი დანაწილებისა და კლეროსზე ჰილო-

ტების მიმაგრების პრინციპი, მოგვიანებით სპარტანული „თანასწორთა სოციუმის“ ძირითადი მატერიალური ბაზა, მისი საარსებო წყარო ხდება. მესენიისა და ლაკონიკის მიწების დანაწილებით სამოქალაქო საზოგადოების ჩარჩოები გაფართოვდა. მის შემადგენლობაში უქონელი და მცირე შეძლების სპარტიატებიც ჩაერთვნენ, რომლებსაც შესაძლებლობა მიეცათ ჰილოტური შრომის ხარჯზე ეარსებათ. სპარტანული დემოსი პროფესიონალ მეომარ ჰოპლიტთა კარჩაკეტილ ფენად გადაიქცა და ისინი მრავალრიცხოვან ჰილოტთა მასას იარაღის ძალით იმორჩილებდნენ.

აგრარული რეფორმის პარალელურად გავლენიანმა ინდივიდებმა წარმოადგინეს სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმების პროგრამათა მთელი სერია, რომელიც რეალობად აქციეს. ამ გარდაქმნების მიზანს სპარტანული საზოგადოების გაჯანსაღება და მისი დემოკრატიზაცია წარმოადგენდა. აღნიშნული პროექტის მიზანი იყო ასევე სპარტის პოლისის სამხედრო ბანაკად გადაქცევა, რათა ჰილოტების პერმანენტული აჯანყებები თუ თავდასხმები მოეგერიებინა. ამგვარ გარდაქმნათა რიცხვს განეკუთვნებოდა „სისისტიების“, სასადილო კლუბების სისტემის, ახალგაზრდობის აღზრდის ორგანიზაცია, სიმდიდრისა და ფუფუნების საგნების აკრძალვა, ხელოვანთა გაძევება, მოქალაქეთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე პოლის-სახელმწიფოს სისტემატური კონტროლი და სხვა აქტები, რისგანაც ე.წ. „ლიკურგოსის კანონების“ კრებული შედგებოდა. აღნიშნულ მოვლენებს უკავშირდება ასევე ეფორთა კოლეგიის გავლენისა და ავტორიტეტის ზრდა, რომელიც ძვ. წ. VI ს-ის შუა ხანებამდე სახელმწიფო მართვაში უმნიშვნელო როლს ასრულებდა. პირველი პოლიტიკოსი, ვინც ეს სახელისუფლებო ორგანო ძლიერი და გავლენიანი გახადა, ბრძენი ხილონი იყო, რომელსაც ვ. ერენბერგი „ლიკურგოსის კანონების“ ავტორად მიიჩნევდა (Ehrenberg, 1927, 27), თუმცა ამ მოსაზრებამ ისტორიკოსთა მხარდაჭერა ვერ პოვა (Oliva, 1971, გვ. 133; Jones, 1967, გვ. 105). ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: ხილონმა ეფორის თანამდებობა ძვ. წ. 556 თუ 551 წწ-ში დაიკავა (Diog., Laerts., I, 68).

ლიკურგოსისეული რეფორმები, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ანტიარისტოკრატიული ხასიათისა იყო (Андреев, 1983, 215. Erhenberg. 1927, 299). ჩვენი აზრით, რეფორმის შემდეგაც არისტოკრატია გარკვეულ პრივილეგიებს ინარჩუნებდა, თუმცა ის ისე იყო დემოსის ფართო მასაში ნიველირებული, რომ სპარტაში არისტოკრატიის არსებობა საერთოდ ეჭვს იწვევს. ძვ. წ. VI ს-ის გადატრიალების შედეგად სპარტაში ფორმირებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემა მკვლევრებს მოაგონებთ „ჰოპლიტურ პოლიტიას“ ანდა დემოსური დემოკრატიის იმ ვარიანტს, რომელიც ათენში სოლონისა და კლისთენეს რეფორმების შემდეგ დამკვიდრდა (Andrewes, 1938, გვ. 102; Toynbee, 1969, გვ. 234; Oliva, 1971, გვ. 79), მაგრამ ათენისაგან განსხვავებით სპარტის დემოკრატიზაციის პროცესი შეფერხდა, ვინაიდან „ლიკურგოსის კანონებმა“ ფულად-სასაქონლო წარმოების განვითარება მკვეთრად დაამუხრუჭა, ხოლო ახალშობილი ვაჭარ-ხელოსანთა ფენა პოლისის პოლიტიკური სისტემიდან სამუდამოდ ამოირიცხა. ხელისუფლებამ წარმოება, ფულად-სასაქონლო ურთიერთობანი ლაკედემონური პოლისის ფარგლებიდან ანექსირებულ ტერიტორიაზე გადაიტანა, რითაც სპარტა ელადის ეკონომიკურად ჩამორჩენილ პოლისად ტრანსფორმირდა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ „ლიკურგოსის კანონებმა“, ამავე დროს, სპარტის ისტორიაში პოზიტიური როლიც შეასრულა: ძვ. წ. VI ს-ის დასასრულს პოლისური სისტემის ფორმირების პროცესი სპარტაში საბოლოოდ დასრულდა, სპარტანული სოციუმის სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია დანარჩენ ელინურ პოლისებთან შედარებით უფრო რაფინირებული და სრულყოფილი გახდა; პოლის-სახელ-

მნიფოს როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა. მან მოქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაზე განუსაზღვრელი კონტროლი დააწესა; მყარი და სტაბილური გახდა სპარტანული რეჟიმი, რომელსაც მთელი ორი საუკუნის მანძილზე არსებითი ცვლილება არ განუცდია. ამიტომაც მიიჩნევდნენ ძველი ავტორები და თანამედროვე მკვლევარები სპარტას, როგორც ნაშრომის ამ ნაწილის შესავალშივე აღვნიშნეთ, „ანომალიად", „ისტორიულ კურიოზად" ძველი საბერძნეთის ისტორიაში. მართლაც, ელინურ პოლისთა შორის სპარტას განსაკუთრებული ადგილი უკავია. დემოკრატიული ათენისაგან განსხვავებით სპარტაში არ ფუნქციონირებდა ლიტურგიების, დიონილების, თეორიკონისა თუ ფოროსის სისტემა, რითაც ათენში სოციალური კონფრონტაციის განმუხტვა ხდებოდა. სპარტამ ამ მხრივ, უფრო მარტივი და იოლი გზა აირჩია. მან მოქალაქეთა ერთობლივი კერძო საკუთრების პრინციპი დაამკვიდრა, მოქალაქეებზე სახელმწიფო კონტროლი დააწესა. ამგვარი სისტემა, ჩამორჩენილი ეკონომიკისა და ჰოპლიტებისაგან მუდმივი საფრთხის პირობებში, მოქალაქეთა კონსოლიდირების ერთადერთი რაციონალური და ოპტიმალური მექანიზმი იყო. თუმცა, იგივე მეთოდებმა სპარტის საზოგადოებრივი სისტემის სტაგნაცია და გარე სამყაროსაგან მისი სრული იზოლაცია გამოიწვია. მართალია, ათენთან შედარებით, კლასიკური პერიოდის სპარტა საკმაოდ პრიმიტიული პოლისია, მაგრამ ის სავსებით ჩამორჩენილი სახელმწიფო როდი იყო. პოლისური სისტემის სპეციფიკური და სწორხაზოვანი ფორმა სპარტაში განვითარების მაღალ დონეს აღწევს. გარდა ამისა, სპარტანული სამხედრო და პოლიტიკური ორგანიზაცია ეფექტური აღმოჩნდა, რაც დადასტურდა კიდეც როგორც ბერძენ-სპარსელთა ომის დროს, ასევე პელოპონესის ომის წლებში, რომელიც ელინურ სამყაროში სპარტის ჰეგემონიით დასრულდა.

სპარტის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ტიპოლოგიზაციას რაც შეეხება, ზოგიერთი დასავლელი მეცნიერი და განსაკუთრებით მარქსისტი მკვლევარ-ისტორიკოსები, ფორმაციების უნივერსალობიდან გამომდინარე, ერთხმად აღიარებდნენ, რომ სპარტა, ისევე როგორც ათენი ტიპური მონათმფლობელური სახელმწიფო იყო (Finley, 1975, გვ. 101-105; იხ. დაწვრ. Историография античной истории, 1980, გვ. 325–372), მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიაში „არაფერია უნივერსალური გარდა სახელწოდებებისა". ეფიქრობთ, სახელმწიფოების ტიპოლოგიზაციის განსაზღვრისას არსებითია მათი პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურების სპეციფიკური ელემენტების გამოვლენა და კვლევა-ძიება.

სპარტის პოლის-სახელმწიფოს საერთო სისტემის არსი, ამ მხრივ, მის მონათმფლობელურ სახელმწიფოდ კვალიფიცირებას გამორიცხავს. სპარტანული მიწისმფლობელობისა და სოციალურ ურთიერთობათა სისტემა შუა საუკუნეების ფეოდალურ წესსა და ნორმებს მოგვაგონებს: სპარტიატებს მიწები ფეოდალი რაინდების მსგავსად უნანილდებოდათ. შუა საუკუნეების ყმა-გლეხების ანალოგიურად სპარტელი ჰილოტებიც ფლობდნენ მიწის გარკვეულ ნაკვეთებს, რომლებსაც ისინი დამოუკიდებლად ამუშავებდნენ და სპარტიატ რაინდ-ფეოდალებს ნატურით უხდიდნენ გადასახადს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, სპარტა ტიპოლოგიურად ფეოდალური, ხოლო ფუნქციურად სამხედრო-პოლიციური პოლის-სახელმწიფო ჩანს.

III. მეტროპოლისი და კოლონია

ძვ. წ. VIII-VI სს. დიდი ბერძნული საკოლონიზაციო მოძრაობის ეპოქაა. მართალია, მას მიკენური საკოლონიზაციო პრაქტიკა უძღოდა წინ, მაგრამ ის ეპიზოდური იყო. დიდ ბერძნულ კოლონიზაციას კი მასშტაბური ხასიათი ჰქონდა და მან სამი კონტინენტი (ევროპა, აზია, აფრიკა) მოიცვა.

როგორც ცნობილია, დიდი ბერძნული კოლონიზაცია გულისხმობდა მეტროპოლისიდან ანუ პირველსაცხოვრისიდან მოქალაქეთა ერთი ნანილის უცხო ქვეყანაში გადასახლებას და იქ, აპოიკიის, ახალი პოლისური სისტემის შექმნას. კოლონიზაცია იძულებითი პროცესი იყო. მას ბერძნული სოციუმის შინაგანი განვითარებით განპირობებული მიზეზები ჰქონდა, რომელთა შორის უმთავრესი იყო: ეკონომიკის ინტენსიფიკაცია, გასაღების ახალი ბაზრების ძიება-ათვისება, მინის სიმცირე, დემოგრაფიული აფეთქება, მწვავე სოციალურ-პოლიტიკური დაპირისპირება. ამის შედეგად უმინოდ დარჩენილი მოქალაქენი, სოციალურ-პოლიტიკურ ბრძოლაში დამარცხებული პარტიები თუ სოციალური ფენების ერთი ნანილი, ახალი ბაზრების მაძიებელი ვაჭარხელოსნები სამშობლოს ტოვებდნენ და ბედის საძიებლად უცხო ქვეყნებში სახლდებოდნენ.

აპოიკიების დაარსება ორგანიზებულად ხდებოდა. მას პოლისის ადმინისტრაცია წარმართავდა. თავდაპირველად მოახალშენთა სიები დგებოდა, შემდეგ ისინი ირჩევდნენ ოიკისტესს, ხელმძღვანელს, რომელიც ეცნობოდა მომავალი დასახლების ტოპოგრაფიას და ადგილობრივი მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებს, მათ პოლიტიკურ მდგომარეობას. ოიკისტესი მოპოვებულ ინფორმაციას პოლისის ადმინისტრაციას ნარუდგენდა. ის თუ მას მოიწონებდა, მაშინ ხალხის გაყვანა დაიწყებოდა.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ახალშენს მისი ოიკისტესის სახელი ეწოდა. ასე მაგალითად, ტარენტუმს თავისი დამაარსებლის სახელი ტარასი უწოდეს, კიზიკოსსა და ფანაგორიას თანამოსახელე წინამძღოლის სახელი.

ელინური ახალშენები ორ ტიპად იყოფოდა: აგრარულ კოლონიებად ანუ აპოიკიებად და ემპორიონებად, კომერციულ ფაქტორიებად. აგრარული ახალშენები მეტროპოლისის დემოგრაფიული სიჭარბის დაძლევის მიზნით იქმნებოდა და მათი მთავარი ფუნქცია დამატებითი მიწის ფართობის მოპოვება იყო. ემპორიონების ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა სავაჭრო საქმიანობა, საქონლის ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების წარმართვა. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, არქაულ პერიოდში, ვაჭრობის მთავარი ობიექტი მხოლოდ ფუფუნების საგნები იყო (Старт. 1977, გვ. 205). მართალია, ეს პროდუქცია მუდამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ინარჩუნებდა, მაგრამ ვფიქრობთ, ძვ. წ. VIII ს-დან სავაჭრო ოპერაციებში ჩვეულებრივი საქონელიც (ქსოვილები, მარმარილო, ხე-ტყე, ლითონი, კერამიკა, მონები და სხვ.) იყო წარმოდგენილი. პრინციპული მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ მომენტს, როდესაც ექსპორტის სფეროში სასოფლო-სამე-

ურნეო პროდუქციაც ჩართეს, რამაც ვაჭრობის აღმავლობა გამოიწვია. ძვ. წ. 500 წლისათვის კი ბერძნებს ელადიდან, უმთავრესად, ხელოსნური ნაწარმი გაჰქონდათ.

აღსანიშავია, რომ სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტების გარეშე, ელინები რაციონალური ეკონომიკური სისტემის განვითარებას ვერ შეძლებდნენ. ბერძნული პოლისების უმრავლესობა სავაჭრო ოპერაციების ინტენსივობაზე იყო დამოკიდებული, თუმცა, ჩვენი აზრით, ვაჭრობა კოლონიზაციის შედეგი იყო და არა მიზეზი. ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ბერძნული პოლისების საშუამავლო როლს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში. აქვე ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ვაჭრობა მრავალრიცხოვან მასას იზიდავდა, ხოლო მისი განვითარება ტექნიკურ პროგრესს და ხელოსნური ნარმოების მასშტაბების ზრდას იწვევდა. თავდაპირველად ვაჭრები ბერძნული სოციუმის ელიტის წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ უკვე ძვ. წ. VI ს-ში მათ ძირითად მასას დაბალსტატუსიანი სოციალური ფენები შეადგენდნენ.

ბერძნული საკოლონიზაციო მოძრაობა ერთიანი პროცესი არ ყოფილა და მისი წარმატება განპირობებული იყო ავტოხტონური მოსახლეობის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონით. კოლონიზაციის ადრეულ ეტაპებზე ბერძენ მოახალშენეებს სხვადასხვა ქვეყანაში სულ სხვა პირობები ხვდებოდათ და შესაბამისად მათი სამხედრო-პოლიტიკური აქტივობაც განსხვავებული ჩანს. ასე მაგალითად, თუკი სამხრეთ იტალიაში, სიცილიასა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ბერძენ მოახალშენეთა აქტივობა მაღალი დონისა იყო, რადგანაც ამ რეგიონების მოსახლეობა პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დაბალ საფეხურზე იდგა, სამაგიეროდ ამ მხრივ საკმაოდ განვითარებულ ეგვიპტესა და სირიაში ბერძნები პოლიტიკური აქტივობით ვერ გამოირჩეოდნენ.

მეტროპოლისსა და აპოიკიას შორის პოლიტიკური დამოკიდებულებაც არაერთგვაროვანი იყო. მართალია, თითოეულ აპოიკიას ჰქონდა საკუთარი კანონები, მართვის სისტემა, ზარაფხანა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ ყველა ახალშენი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული იყო (Шелов, 1956, გვ. 35). ჩვენი აზრით, მეტროპოლისებსა და კოლონიებს შორის პოლიტიკური დამოუკიდებლობის სხვადასხვა ფორმა არსებობდა. ზოგიერთი კოლონია (კუმე, კროტონი, ხერსონესი) პოლიტიკურად სრულიად დამოკიდებული იყო მეტროპოლისზე – ზოგი ნაწილობრივ, ზოგი კი დამოუკიდებელი იყო.

საკოლონიზაციო მოძრაობაში უპირატესად ახალგაზრდობა მონაწილეობდა, რაც მიწის სიმცირით იყო განპირობებული. მოახალშენეს შეეძლო თან წაეღო ან მამისეულ ოიკოსში დაეტოვებინა მისი კუთვნილი კლეროსის მოძრავი ქონების ნაწილი. მაგრამ კლეროსის მიწის გაყოფა მიზანშეუწონელი იყო, რაც ამ შემთხვევაში, უქონელ მემკვიდრეებს აიძულებდა სამშობლო დაეტოვებინათ და გადასახლებულიყვნენ. კირენეს მოახალშენეების ძირითად კონტინგენტს ახალგაზრდობა შეადგენდა. მათი მონაწილეობა მთელ რიგ კოლონიებშია ასევე დაფიქსირებული (Plut., Mor., 294e).

ძველი ავტორების ცნობებითა და ახალი დროის ანალოგიებით, შობადობის ზრდა კოლონიებში მათი დაარსებისთანავე კი არ დაწყებულა, არამედ 50 წლის შემ-

დეგ. ასე მაგალითად, კირენეში, ჰეროდოტეს ცნობით, მისი დაარსებიდან 50 წლის განმავლობაში „იქ მცხოვრები კირენელები იმდენნი იყვნენ, რამდენიც დასაწყისში, როდესაც მოახალშენეებად მოვიდნენ" (IV, 159). კოლონიების დაარსებისთანავე შობადობის ზრდას შესაძლოა ადგილი ჰქონოდა ხელსაყრელი პირობების შემთხვევაში, მაგრამ ბავშვთა სიკვდილიანობაც მაღალი იყო. ზოგიერთი მკვლევრის დაკვირვებით, მაგალითად, არქაული ეპოქის ბერეზანის სამარხთა უმრავლეობა ბავშვებისაა (Лапин, 1970, გვ. 75). ნებისმიერ შემთხვევაში მოსახლეობის ზრდა კოლონიებში შესამჩნევია. მაგალითად, ჰიმერაში, რომელიც ძვ. წ. VII ს-ის შუა ხანებში დაარსდა, ძვ. წ. V ს-ის დასაწყისისათვის დაახლ. 20 ათასი კაცი ცხოვრობდა (Asheri, 1974, გვ. 230).

კოლონიებში კერძო და კოლექტიური მიწისმფლობელობის სისტემა ერთმანეთთან იყო შერწყმული. არქაული ეპოქისათვის დამახასიათებელი ამ პრინციპის მკაფიო ილუსტრაციაა არქილოქეს ერთი ცნობა ვინმე ეთიოპესის კორინთოდან სირაკუზში გადასახლების შესახებ. აი ისიც: „სიცილიაში მიმავალ გზაზე ვინმე კორინთელმა ეთიოპესმა, რომელიც თვითკმაყოფილებითა და სულსწრაფობით გამოირჩეოდა, სირაკუზში წილისყრით მისთვის გამოყოფილი კლეროსი, თავის თანამეინახეს სპილენძის კვერად მიჰყიდა" (Fr. 145). არქილოქეს ამ ცნობის საფუძველზე ზოგიერთი მკვლევარი ასკვნის, რომ როგორც არქილოქემ თავისი ფარი ძირს დაანარცხა, ასევე ეთიოპესმაც თავისი კლეროსი არარაობაზე გაცვალა და რამდენადაც არქაულ ეპოქაში სამემკვიდრეო ნადელის გასხვისება აკრძალული იყო, ეთიოპესის შემთხვევაში ეს გამონაკლისია, რაც სიახლედ უნდა ჩაითვალოს (Asheri, 1974. გვ. 233). მართლაც, აღნიშნული ეპიზოდი მიუთითებს, რომ კოლონიზაცია მიწათსარგებლობის ფართო შესაძლებლობებს ქმნიდა: ეთიოპესის მიერ კლეროსის გასხვისება ითვალისწინებდა მის შესაძლო მონაწილეობას საკოლონიზაციო ექსპედიციებსა თუ სამხედრო ოპერაციებში, სადაც ეთიოპესს შეეძლო, არქილოქეს მსგავსად, შუბით ხელში ახალი კლეროსი მოეპოვებინა. გარდა ამისა, იმავე ცნობით, ძვ. წ. VIII ს-ში მიმდინარეობდა სოციუმისაგან ინდივიდების გამოყოფის პროცესი.

ბერძნული სამყაროს პერიფერიულ რეგიონებში, უკანასკნელ ხანებში, ჩატარებული ინტენსიური არქეოლოგიური კვლევა-ძიება საშუალებას იძლევა კოლონიების ფიზიკურ-ეკონომიკური წარმოქმნის პროცესი რამდენამდე დაკონკრეტდეს. ახალშენების მოწყობისას, ჩვეულებრივი ქალაქმშენებლობის ფაქტორებთან ერთად, ხორასთან – სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიასთან კავშირსაც ითვალისწინებდნენ. მაგალითად, ქ. გელა დაარსდა ზღვასთან ახლოს ორი მდინარის შესართავთან და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიჭარბით გამოირჩეოდა. ზონების სივრცობრივი ორგანიზების გარდა კოლონია და ხორა რეგულარული დაგეგმარებით შენდებოდა. მეგარის გათხრებისას ძვ. წ. VIII ს-ის მიწურულის 11 საცხოვრებელი სახლი, რომელიც ოთხი ქუჩის ზოლზე ისე იყო განთავსებული, რომ ახალშენის ცენტრალურ ნაწილში ქმნიდა ტრაპეციული ფორმის აგორას. რეგულარული დაგეგმარებისა უნდა ყოფილიყო ასევე არქაიკის პერიოდის მეტაპონტუმი, მილეტი, ნეაპოლისი, სელინუნტი, აკრაგანტუმი, მასალია, ნავკრატისი, კირენე და სხვ. პოლისები.

ხორის ათვისება თანდათანობით ხდებოდა. მაგალითად, მეგარაში მის მომიჯნავე ორი ბორცვიდან ერთი ათვისებულ იქნა კოლონიის დაარსებისთანავე, მეორე კი ასი წლის შემდეგ პოლისის დემოგრაფიული და ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდასთან დაკავშირებით. კოლონიების სამეურნეო და მოსახლეობის ზრდამ შიდა კოლონიზაცია გამოიწვია. კოლონიების ტერიტორიების ათვისება ხდებოდა სასოფლო-სამეურნეო დასახლების ანდა ისეთი მიკრო ქალაქების დაარსების სახით, როგორიც იყო ტირიტაკა, მირმეკიონი, პატრეა და სხვ. შიდა საკოლონიზაციო მოძრაობა ზოგჯერ მეზობელი კოლონიების ტერიტორიულ ექსპანსიაში გადაიზრდებოდა. მაგალითად, სირაკუზელებმა სამხრეთ-აღმოსავლეთ სიცილიაში პოზიციები განიმტკიცეს და აქ მოგვიანებით რამდენიმე ახალშენი (აკრა, კასმენა, კამარინა) დაარსეს.

ხორის ათვისების პროცესში ახალშენების გარშემო მრავალრიცხოვანი სასოფლო-სამეურნეო დასახლებები აღმოცენდა. ტარენტუმის, სიბარისისა და სირაკუზის ხორაზე მრავალი ასეთი დასახლებებია დაფიქსირებული.

ბერძნული კოლონიების ეკონომიკურ სფეროში ადგილობრივი მოსახლეობა ფართოდ ჩანს ჩაბმული. ზოგიერთი მკვლევრის მტკიცებით, სიცილიასა და სამხრეთ იტალიაში კოლონისტებს ადგილობრივი მოსახლეობა დამონებული ჰყავდათ. ამის საილუსტრაციოდ მათ მოჰყავთ სირაკუზელთა მიერ დაარსებული დასახლებების – ფინოკიტოსა და პანტალიკონის დაცარიელების ფაქტი, რაც, მათი აზრით, იმით იყო განპირობებული, რომ სირაკუზის ხორას დამუშავებისათვის სამუშაო ძალა ამ დასახლებებიდან გაედინებოდა და ისინი კილირიები, მონები ხდებოდნენ (Vallet, 1960, გვ. 110). ჩვენ საამისო მონაცემები არ გაგვაჩნია, რომ კილირიები მონებად მივიჩნიოთ, რადგან არისტოტელე მათ ადარებს თესალიელ პენესტებსა და კრეტელ კლაროტეებს (fr., 586), რომლებიც მონებად არ ითვლებოდნენ.

ზოგიერთი მკვლევარი კი არქაულ ეპოქაში მოახალშენე ბერძნებსა და მკვიდრ მოსახლეობას შორის ურთიერთობათა ისტორიაში ოთხ ტიპს გამოყოფს: პირველი ტიპი საკოლონიზაციო მოძრაობის საწყის ფაზას განეკუთვნება, როდესაც მკვიდრი მოსახლეობა მოახალშენეებზე იყო დამოკიდებული. ამ დროს, ავტოხტონური მოსახლეობა, როგორც წესი, თავის კუთვნილ მიწაზე რჩებოდა. პირველსაცხოვრისი არ შეუცვლიათ ლაკედემონელ ჰილოტებს, თესალიელ პენესტებსა თუ კრეტელ კლაროტებს. მეორე ტიპი – მკვიდრ მოსახლეობაზე შედარებით დამოკიდებული ინსტიტუტი, რომელიც ბერძნული სამყაროს სხვადასხვა რეგიონში წარმოიქმნა. კერძოდ, ჰერაკლეაში, ნაპავტოსში, ბორისთენესში. მესამე ტიპი – კერძო მონათმფლობელობის სექტორი, რომელიც ბერძენ სამხედრო ტყვეებისა და მკვიდრი მოსახლეობისაგან შედგა. კერძო მონათმფლობელობის პროცესი ძვ. წ. VI ს-ში ფორმირდება ჯერ კოლონიურ სამყაროში, ხოლო შემდეგ მეტროპოლისებშიც დამკვიდრდა. დაბოლოს, მეოთხე და თანაც ყველაზე უფრო პროდუქტიული ვარიანტი ბერძენ კოლონისტებსა და მკვიდრ მოსახლეობას შორის ნებაყოფლობითი სამუშაო კოოპერაცია იყო (Яйленко, 1983, გვ. 150-152), რაც, აღნიშნული ტიპოლოგიის ავტორებისაგან განსხვავებით, ძირითად და არსებით მომენტად მიგვაჩნია. თითქმის ყველა ბერძნული კოლონია მკვიდრ მოსახლეობას იზიდავდა. არქაული ბერძნული სოციუმისათვის ჯერ კიდევ უცნობი იყო ცნება ელინი და ბარბაროსი. ეს ამ ორივე სამყაროს

კონტაქტებს აადვილებდა. ბერძნული კოლონიების რაციონალურ-ეკონომიკურ სისტემაში მკვიდრი მოსახლეობის მონაწილეობა მათ სასიცოცხლო სტანდარტებს უზრუნველყოფდა. კოლონიების ეკონომიკურ ცხოვრებაში მკვიდრი ელემენტების აქტიურმა მონაწილეობამ შერეული დასახლებები წარმოქმნა და ამ ორი სამყაროს მატერიალურ-კულტურული დაახლოვება გამოიწვია. ასე მაგალითად, ძვ. წ. VIII ს-ში ქალაქ გელას დაბლობი ბერძენი კოლონისტების გამოჩენამდე დაუსახლებელი და აუთვისებელი იყო. ძვ. წ. VII ს-ში გელას სამოსახლოებიდან 20-30 კმ-ის დაშორებით, ბერძენ კოლონისტთა განსახლების შემდეგ, ამ მიდამოებში ადგილობრივი მოსახლეობისა და ბერძენი ემიგრანტების თანაარსებობის პროცესი შეიმჩნევა. ანალოგიური ურთიერთობანი სხვა კოლონიურ რეგიონებშიც დასტურდება. ამის თვალსაჩინო ილუსტრაციას წარმოადგენს სიცილიაში ბერძნული ლეონტინისა და სინქრონული სიკულელთა დასახლების მშვიდობიანი თანაარსებობის ფაქტი. არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ლეონტინის დასავლეთით არსებულ გრამიკელეს ადგილობრივ სამოსახლოში ბერძნებიც ცხოვრობდნენ. ამგვარი ტიპის დასახლებები სიცილიაში ბერძენი კოლონისტების განსახლების შემდეგ ელინური საქონლით ვაჭრობდა, ხოლო ძვ. წ. 600 წლიდან ამ ნამოსახლარებზე ბერძნული ტიპის სამარხები და სამლოცველოა წარმოდგენილი. მკვიდრ მოსახლეთა სამარხებში კი ბერძნული კერამიკული ნაწარმი დაფიქსირდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბერძნულ საქონელზე მკვიდრ მოსახლეობას შორის დიდი მოთხოვნილება იყო. სიკულელთა ზოგიერთ ნამოსახლარზე დადასტურებულია ადგილობრივი წარმოების თიხის ჭურჭელი ბერძნული დეკორით, რომელიც ბერძენ ოსტატთა მიერ მკვიდრი მოსახლეობისთვის სპეციალურად მოიხატა. მართალია, სიკულებმა ტერიტორიის ნაწილი დაკარგეს, მაგრამ ბერძნებთან კონტაქტებით ცხოვრების მაღალ დონეს მიაღწიეს.

ანალოგიური ვითარება დასტურდება სამხრეთ იტალიაშიც. აპულიაში, ტარენტუმის ახლოს დაფიქსირებულია ბერძნული ორნამენტით შემკული ადგილობრივი წარმოების კერამიკული ნიმუშები. სიბარისში აღმოჩენილია იაპიგური გეომეტრიული სტილის კერამიკა, ხოლო მის ახლომდებარე ტორე მორდილიოსის ადგილობრივ ნამოსახლარზე პროტოკორინთული კერამიკა გვხვდება.

ბერძნული და მკვიდრი ელემენტების თანაცხოვრების პროცესი შეიმჩნევა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში. ბორისთენისის არქაული ხანის ნამოსახლარებზე ბერძნული გრაფიტოებია დადასტურებული, რაც აქ ბერძენთა არსებობაზე მიუთითებს. ბერეზანისა და ქვემო ბუგის ნასახლარებზე აღმოჩენილია ადგილობრივი კერამიკული ფორმების გავლენით დამზადებული ხელით ნაძერწი ბერძნული ჭურჭლის ფრაგმენტები; სკვითებში ბერძნული ემპორიების არსებობის შესახებ ჰეროდოტეც მიუთითებს (IV, 108).

ბერძნული და კოლხური ელემენტების მშვიდობიანი თანაარსებობის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს ქობულეთ-ფიჭვნარის კოლხურ-ბერძნული სამაროვანი. აქ საბრძოლო იარაღის არც ერთი ფაქტი არ დადასტურებულა, ხოლო ძვ. წ. IV ს-დან კოლხურ სამარხებში ბერძნული ნაწარმი ჩნდება, რაც მკვიდრი და ბერძნული ეთნოსის სიმბიოზის მიმანიშნებელია.

ბერძნული კოლონიზაცია სამი მიმართულებით წარიმართა: დასავლეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამხრეთით. განსაკუთრებული ინტენსივობით მიმდინარეობდა დასავლეთის კოლონიზაცია, რომელიც ცენტრალურ და სამხრეთ იტალიას, სიცილიას, სამხრეთ საფრანგეთსა და ესპანეთის აღმოსავლეთ სანაპიროებს მოიცავდა.

ცენტრალურ იტალიაში პირველ ახალშენებად ითვლება ძვ. წ. VIII ს-ის პირველ ნახევარში ევბეელების მიერ დაარსებული კუმე და პითეკუსა. ასევე სამხრეთ იტალიაში აქეელებმა დააარსეს სიბარისი, კროტონი, მეტაპონტუმი, პესტუმი; სპარტელებმა კი ტარენტუმი; კოლოფონელების კოლონია იყო სირისი, ხოლო ლოკრისელების ლოკრი. აღმოსავლეთ სიცილიაში ქალკიდელებმა დააარსეს ნაქსოსი, ლეონტინი და კატანე. სიცილიის ჩრდილო-აღმოსავლეთით ქალკიდელები აარსებენ ასევე ძანკლეს, ევბეელები მილესასა და რეგიუმს. კორინთელები აქვე აარსებენ სირაკუზს, რომელიც მოგვიანებით სიცილიის ყველაზე მდიდარი აპოიკია ხდება. აღმოსავლეთ სიცილიაში დაფუძნდა ასევე გელა, რომელიც როდოსის კოლონია იყო. დასავლეთ სიცილიაში ელინებმა სელინუნტი და აკრაგანტუმი დააარსეს.

ასე რომ, სამხრეთ იტალია და სიცილია ბერძნული ახალშენებით თითქმის მთლიანად დაიფარა. ელინებმა ისე საფუძვლიანად აითვისეს ეს რეგიონები, რომ მოგვიანებით სამხრეთ იტალიისა და სიცილიის ტერიტორიებს „მეგალე ჰელას" – დიდი საბერძნეთი ეწოდა.

საფრანგეთის სამხრეთ სანაპიროზე, ძვ. წ. VII ს. დასაწყისში დაარსდა მასალია (ახლანდელი მარსელი), რომელიც ფოკეელთა კოლონია იყო. მოგვიანებით მასალია მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო პოლისი ხდება და აქედან ბერძნული პროდუქცია (გალიის სიღრმეში) ახლანდელ პარიზამდე აღწევდა.

ესპანეთის აღმოსავლეთ სანაპიროზე ფოკეელები აარსებენ ემპორიონსა და საგუნტს, რომლებმაც პირენეს ნახევარკუნძულზე ელინური ცივილიზაციის გავრცელებაში გარკვეული როლი შეასრულეს.

საკოლონიზაციო მოძრაობა ნაკლები ინტენსივობით წარიმართა სამხრეთის მიმართულებით – ეგვიპტის, ლიბიისა და ფინიკიის სანაპიროებზე, ვინაიდან ამ რეგიონებში ფინიკიელი საზღვაო მოვაჭრეები, ახალბაბილონური თუ ეგვიპტის ფარაონების სახით, ბერძენი კოლონისტები ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდნენ. აი რატომ იყო, რომ ელინებმა აქ მხოლოდ რამდენიმე ახალშენის და ისიც სავაჭრო ფაქტორიების დაარსება მოახერხეს. ასეთი ტიპის ახალშენი იყო ალ-მინა სირიაში, სუკასი ფინიკიაში, ნავკრატისი და დაფნე ეგვიპტეში. მათ ბერძნულ სამყაროსთან სავაჭრო კონტაქტების წარმოება ჰქონდათ დაკისრებული და ადგილობრივი ადმინისტრაციის კონტროლქვეშ იმყოფებოდნენ.

განსხვავებული გზით წარიმართა კოლონიზაცია ლიბიის სანაპიროზე, რომელთა ათვისება ბერძნებმა საფუძვლიანად შეძლეს, რადგანაც ეს რეგიონი ეგვიპტელი ფარაონებისა და ფინიკიელი ზღვაოსნებისათვის ძნელად მისაწვდომი იყო. ლიბიაში ბერძენმა მოახალშენეებმა ტიპური ელინური პოლისი კირენე დაარსეს. მოგვიანებით, მის გარშემო დორიული ახალშენები არსდება და პენტაპოლისი – ხუთი ქალაქის კავშირი იქმნება. კი-

რენაიკა ნაყოფიერ ტერიტორიაზე მდებარეობდა. ის მალე გადაიქცა აყვავებულ პოლისად, რომელმაც ბალკანეთის საბერძნეთის პოლისებთან მჭიდრო კონტაქტები დაამყარა.

კოლონიზაცია მძლავრად წარიმართა ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, რომელიც პროპონტიდისა (მარმარილოს ზღვის) და შავიზღვისპირეთის სანაპიროებს მოიცავდა. აქ წამყვან როლს ასრულებდა ცნობილი იონიური პოლისი მილეტი, რომელსაც ანტიკური ტრადიცია ასამდე ახალშენის დაარსებას მიაწერს. მილეტის აქტიური და, ამავე დროს, წარმატებული საკოლონიზაციო მოძრაობა განპირობებული იყო არა მარტო მისი ეკონომიკური პოტენციალით, არამედ იმითაც რომ მილეტურ კოლონიზაციაში მეზობელი პოლისების მოქალაქეებიც მონაწილეობდნენ.

ბერძნებმა პროპონტიდის სანაპიროზე დააარსეს პერინთოსი, დორილეონი, კიზიკოსი, ხალკედონი, ბიზანტიონი და აქედან, მოგვიანებით, მეგაპოლისებად გადაიქცა. სამხრეთ სანაპიროზე მნიშვნელოვანი კოლონიები იყო სინოპე, პონტოს ჰერალკეა, ტრაპეზუნტი, ამისოსი, კერასუნტი, კოტიორა. შავიზღვისპირეთის დასავლეთ სანაპიროზე ბერძნებმა დააარსეს მესემბრია, ოდესოსი, აპოლონია, ისტროსი, ტომისი, კალატისი. ძვ. წ. VI ს დასაწყისიდან ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიც ბერძნული კოლონიებით დაიფარა. ელინებმა ყირიმისა და ტამანის ნახევარკუნძულზე შექმნეს ოლვია, ტირასი, ხერსონესი, პანტიკაპეონი, კერკინიტისი, თეოდოსია, მირმეკიონი, ტირიტაკა, ნიმფეონი, კიმერიკონი, ფანაგორია, ჰერმონასა და სხვ.

მოგვიანებით, ძვ. წ. VI ს-ის შუა ხანებისათვის საკოლონიზაციო მოძრაობის ტალღამ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, კერძოდ კოლხეთის სანაპირომდეც მიაღწია. ბერძნებმა კოლხეთის ცნობილ ზღვისპირა ცენტრებში – ფასისში, დიოსკურიასა და გიენოსში ახალშენები დააარსეს. ამ ახალშენების სტატუსის შესახებ დღემდე მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. მკვლევართა ერთი ჯგუფი მათ აპოიკიებად მიიჩნევს (გ. ლორთქიფანიძე, გ. დუნდუა, ი. ვორონოვი, ა. ბოლტუნოვა), ხოლო მეორენი ემპორიონებად, სავაჭრო ფაქტორიებად (ოთ. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, გ. კვირკველია, ი. ბრაშინსკი). დიამეტრიულად განსხვავებულ ამ მოსაზრებებს ძლიერი და სუსტი მხარეები გააჩნია. როგორც არ უნდა გადაწყდეს კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაციის პრობლემა, ერთი რამ ცხადია: აქ კოლონიზაცია განსხვავებულ პირობებში წარიმართა. ვფიქრობთ, ძვ. წ. VI-IV სს-ში კოლხეთის სამეფოს ძლიერების ვითარებაში და დემოგრაფიული სიტუაციიდან გამომდინარე, ბერძენთა აქტივობა ეპიზოდური ხასიათისა ჩანს და მათი ახალშენები ემპორიონები უნდა ყოფილიყო. ძვ. წ. III–II ს-დან კოლხეთის სამეფოს დაქვეითების შემდეგ, ელინთა სამხედრო პოლიტიკური აქტივობა ძლიერდება და აქ თავისებური მიკროპოლისური სისტემა ყალიბდება. ამას მოწმობს არა მარტო ძვ. წ. IV ს-ის ფსევდო არისტოტელესეული ექსცერპტი ფასისელთა პოლიტიის შესახებ, არამედ ძვ. წ. IV-III სს-ის კოლხური წარმოების ამფორაზე ამოტვიფრული დამღა ΔΙΟΣΚΟΥ. ამგვარ მოსაზრებას მხარს უჭერს ასევე ძვ. წ. II-I სს-ის დიოსკურიადის მონეტები, რაც ამ ქალაქში პოლისური ტრადიციების მიმანიშნებელია.

ამრიგად, ძვ. წ. VIII-VI სს დიდი ბერძნული კოლონიზაცია ბერძნული სამყაროს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების ფაქტორი

გახდა. მან არსებითად გარდაქმნა ბერძნული სამყარო. ასევე ეკონომიკა, სოციალური პროცესები, მართვის ახალი სისტემა თუ კულტურა კოლონიებში უფრო თავისუფლად და სწრაფად განვითარდა, ვიდრე მეტროპოლისებში. თავდაპირველად მცირე და ღარიბი კოლონიების უმრავლესობა ხალხმრავალ პოლისებად, მნიშვნელოვან პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად გადაიქცა. კოლონიების სწრაფმა ზრდამ ბერძნული სოციუმის განვითარებაზე მასტიმულირებელი ზეგავლენა იქონია და პოლისური სისტემაც განამტკიცა. ახალი ქვეყნების, უცხო ხალხების გაცნობამ, მათთან კონტაქტებმა ბერძენთა თვალსაწიერი გააფართოვა და ბერძნული ცივილიზაცია ნოვაციური იდეებით და ცოდნით გაამდიდრა.

IV. პოლისის ტოპოგრაფია. ყოფა-ცხოვრება

ბერძნული პოლისები ჩვეულებრივ ორი ნაწილისაგან – აკროპოლისისა და აგორასაგან შედგებოდა. აკროპოლისი ანუ ზედა ქალაქი გამაგრებულ ბორცვზე იყო გაშენებული, ხოლო აგორა ანუ ქვედა ქალაქი ვაკე ადგილზე. აკროპოლისი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სატაძრო ცენტრს წარმოადგენდა. ქვედა ქალაქი კი საცხოვრებელი, სავაჭრო-სახელოსნო და კულტურული ცენტრი იყო. პოლისის მოშორებით, ქალაქიდან გამომავალი გზის გასწვრივ ნეკროპოლისი ანუ „მიცვალებულთა ქალაქი" მდებარეობდა.

ადრეული ბერძნული პოლისები, მაგალითად, კორინთო ან ათენი ზღვის სანაპიროდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა. ამიტომაც მათი ეკონომიკის საფუძველი სოფლის მეურნეობა იყო. მოგვიანებით, ქალაქები ზღვის სანაპიროზე შენდებოდა, რაც საზღვაო ვაჭრობის განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა.

ბერძნული პოლისების ფართობი და მცხოვრებთა რაოდენობა განსხვავებული იყო. ამ მხრივ, გამორჩეული ადგილი სპარტას ეკავა. მისი ფართობი 8400 კვ. კმ-ს აღწევდა, ხოლო მცხოვრებთა რაოდენობა დაახლოებით 150-200 ათას კაცს შეადგენდა; 120–150 ათასიანი ათენის მეგაპოლისის ფართობი დაახლოებით 2500 კვ. კმ იყო. მცირე ზომის პოლისებიც არსებობდა. ასე მაგალითად, ფოკიდის პოლისი-პანოპეისის ფართობი 30-40 კვ. კმ-ს არ აღემატეოდა და რამდენიმე ასეულ კაცს ითვლიდა.

ტიპური ბერძნული პოლისის ფართობი = 100-200 კვ.კმ-ს 5-10 ათასი მცხოვრებით. „პოლისის მოსახლეობა – წერდა არისტოტელე – თვალმისაწვდომი უნდა ყოფილიყო. ასევე თვალმისაწვდომი უნდა ყოფილიყო მისი ტერიტორიაც (Pol., VII. 1, 132[a]). თვალმისაწვდომობა ნიშნავდა იმას, რომ პოლისის დაცვა გაიოლებულიყო". ტიპური ბერძნული პოლისის ტერიტორიის შემოვლა ერთ დღეში შეიძლებოდა. მისი მცხოვრებნი ერთმანეთს ცნობდნენ. პოლისის ძირითადი მოსახლეობა საქალაქო ცენტრში იყო თავმოყრილი.

საქალაქო მოედანზე, აგორაზე სახალხო კრების სხდომები იმართებოდა, აქვე ხორციელდებოდა სავაჭრო ოპერაციები, ეწყობოდა საერთოპოლისური დღესასწაულები და სპორტული შეჯიბრებები ტარდებოდა. ზღვის სანაპიროსაგან მოშორებით მდებარე პოლისებში აგორა საცხოვრებელი კვარტალების შუაგულში იყო განლაგებული. ზღვისპირა სავაჭრო ტიპის ქალაქებში, მაგალითად, მილეტში აგორა ნავსადგურთან ახლოს მდებარეობდა. ელინური პოლისების შემდგომი განვითარებისა და აგორას პოლიტიკური მნიშვნელობის გაფართოებასთან დაკავშირებით მის გარშემო სხვადასხვა დანიშნულების საზოგადოებრივი ნაგებობისა თუ ტაძრების კონცენტრირება ხდებოდა.

ძვ. წ. V ს-დან აგორამ პოლიტიკური მნიშვნელობა დაკარგა და ის მხოლოდ სავაჭრო, საქმიანი შეხვედრებისა თუ სასეირნო ადგილი გახდა.

სახალხო კრებისა და საბჭოს მიერ მიღებულ კანონებს, დადგენილებებს, საპატიო დეკრეტებს, რომლებიც სპეციალურ ხის დაფებზე, კირბებზე იწერებოდა, აგორაზე გამოფენდნენ. დადგენილებები ასეთი სიტყვებით იწყებოდა: „დღე მშვიდობისა

საბჭომ და ხალხმა გადაწყვიტა...". მნიშვნელოვანი დეკრეტები კირქვის ან მარმარილოს ფილებზე ამოიკვეთებოდა. ასეთ ფილებს სტელები ეწოდებოდა. ისინი ჩვეულებრივ აგორის თვალსაჩინო ადგილას აღიმართებოდა.

ბერძნული პოლისების მნიშვნელოვანი ნაწილი თავდაცვითი კედლებით იყო გამაგრებული. ამასთანავე, ელინური ქალაქების აკროპოლისის საფორტიფიკაციო ნაგებობებმა წინანდელი მნიშვნელობა დაკარგეს.

თითოეულ პოლისს თავისი მფარველი ღვთაებები ჰყავდა. კლასიკური პერიოდის ბერძნული პოლისების საზოგადოებრივ ნაგებობათა ძირითად ტიპს ტაძრები და საკურთხევლები წარმოადგენდა. ელინური ტაძარი ღვთაებათა სამეუფოდ ითვლებოდა და მლოცველთა თავშეყრის ადგილს არ განეკუთვნებოდა. საკულტო წეს-ჩვეულებანი ტაძრის გარეთ, საკურთხეველთან სრულდებოდა. საკულტო ადგილი, სადაც ტაძარი მდებარეობდა, ნაკრძალად ითვლებოდა და მას ელინები „ტემენოსს" უწოდებდნენ. სახელმწიფო მნიშვნელობის ღვთაებების ტაძრები აკროპოლისის ტერიტორიაზე შენდებოდა.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებით, პოლისებში გაიზარდა საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა რაოდენობა. ამ მხრივ აღსანიშნავია ე.ნ. „პრიტანები", რომლებიც ქალაქის თანამდებობის პირთა, პრიტანთა შტაბბინას წარმოადგენდა; პრიტანებში არსებობდა საქალაქო თემის კერა, სადაც მარადიული ცეცხლი ენთო. აქ ხდებოდა ელჩების მიღება, ამასთან რჩეული მოქალაქეებისა და სტუმრებისათვის ყოველდღიური სადილი იმართებოდა. ასევე საზოგადოებრივი დანიშნულების გამორჩეული ნაგებობა იყო „ბულევტერია", სადაც საქალაქო საბჭოს წევრები იკრიბებოდნენ. ქვედა ქალაქში აღმართული იყო პალესტრა და გიმნასიონი, სადაც ათლეტები ვარჯიშობდნენ. აღნიშნულ ნაგებობათა დაგეგმარება კვადრატული ან სწორკუთხა ფორმისა იყო.

საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა რიცხვს განეკუთვნებოდა აგრეთვე თეატრები. ელინურ თეატრს სახურავი არ ჰქონდა და თეატრალური წარმოდგენები ღია ცის ქვეშ იმართებოდა. თეატრალური ნაგებობა სამი ნაწილისაგან შედგებოდა: თეატრონი – ნახევარწრიული ფორმის მაყურებელთა დარბაზი; ორქესტრა – მრგვალი მოედანი, სადაც ქორო გამოდიოდა, სკენა – მსახიობთა გასახდელი ოთახი.

ელინური თეატრები მრავალრიცხოვან მაყურებელს იტევდა. ასე მაგალითად, ათენის დიონისეს თეატრი 17000 მაყურებელს ითვლიდა; მეგაპოლისის (სამხრეთ საბერძნეთი) თეატრი კი 44000. თეატრის პირველი რიგები საპატიო პირებისათვის იყო განკუთვნილი. სილამაზით, ჰარმონიითა და აკუსტიკური თვისებებით გამოირჩეოდა ეპიდავროსის თეატრი, რომელიც ძვ. წ. IV ს-ის შუა ხანებში აიგო. თეატრალური წარმოდგენები საკმაოდ პრიმიტიული იყო. ყველა წარმოდგენა დღისით იმართებოდა. ძალზე მარტივი იყო დეკორაციები, რომლებიც პირველად ძვ. წ. V ს-ში გამოიყენეს. ბერძნული თეატრისათვის უცხო იყო სცენაზე მკვლელობის ან თვითმკვლელობის ჩვენება. ყოველივე ეს სცენის მიღმა, კულისებში ხდებოდა. მაყურებელს უკვე გარდაცვლილის სხეულს უჩვენებდნენ.

ხმელთაშუაზღვისპირეთსა და შავიზღვისპირეთში ბერძნული პოლისების წარმოქმნამ არსებითად შეცვალა საქალაქო დაგეგმარების პრინციპები. ქვედა ქალაქის ადრეული, უსისტემოდ განლაგებულ ნაგებობათა სერია რეგულარულმა დაგეგმარებამ შეცვალა. ამ უკანასკნელი სისტემისათვის დამახასიათებელი იყო ქუჩების სწორ-

კუთხოვანი ქსელი. ასე რომ, ერთნაირი ზომისა და ფორმის კვარტალები ყალიბდებოდა. ამგვარი დაგეგმარება გვხვდება სიცილიისა და სამხრეთ იტალიის ქალაქებში, რომლებიც ფართობით, სიმდიდრითა და კეთილმოწყობით აღემატებოდა თავიანთ მეტროპოლისებს.

ელინური პოლისის რეგულარული დაგეგმარების ნათელი ილუსტრაციაა ოლინთოს ნაგებობათა სისტემა. ნაქალაქარის ჩრდილოეთ ნაწილში, არქეოლოგიური გათხრების შედეგად, გამოვლინდა სწორკუთხა კვარტალების მთელი ქსელი, რომელიც ოთხი ცენტრალური და ოცდაათი განივი ქუჩებით იყოფოდა. თითოეული საცხოვრებელი კვარტალი სწორკუთხოვანი ფორმისა და ათი სახლისაგან შედგებოდა. სახლების კედლის გარეთა ფასადი ყრუ იყო. სახლებს ფანჯრები მხოლოდ მეორე სართულზე ჰქონდათ.

ელინისტურ ეპოქაში ქალაქის მოედანზე განლაგებული ყოფილა პორტიკები, ტაძრები, საკურთხევლები. პორტიკებში იდგა წარწერიანი სტელები. მოედანზე განთავსებული ყოფილა ასევე აუზები, სანონები, ქვის ტრიბუნები ორატორებისათვის. ქალაქს გარს ერტყა გალავანი კოშკებითურთ, რომლებიც ნაგები იყო დიდი ზომის ქვის კვადრებით.

ელინურ ქალაქთა შორის ათენს გამორჩეული ადგილი ეკავა. ათენის განაშენიანების პროცესი ფაქტობრივად ძვ. წ. V ს-ის პირველ ნახევარში, პერიკლეს მმართველობის ხანაში დასრულდა. ამ დროს ათენის აკროპოლისზე აიგო პართენონის ტაძარი, რომელიც „ჰეკატომპედონად" იწოდებოდა. მის მშენებლობას ფიდიასი ხელმძღვანელობდა, ხოლო არქიტექტორები, პლუტარქეს ცნობით, კალიკრატე და იქტინე იყო (პერიკლე, 13). პართენონი ცხრა წლის მანძილზე (ძვ. წ. 447-438 წწ-ში) შენდებოდა. ის პროპორციულობითა და ცალკეული დეტალების ორიგინალური აღნაგობით გამოირჩეოდა.

ტაძრის სიგრძე 70 მეტრს შეადგენდა, ხოლო სიგანე 32 მ-ს. კოლონების რაოდენობა – 8 X 17, სვეტების სიმაღლე 10 მეტრს აღწევდა. ტაძარი მარმარილოსაგან იყო ნაშენი. ტაძრის ინტერიერში აღმართული ყოფილა ათენას ქანდაკება. ტაძრის გარეთა ფასადის აღმოსავლეთის ფრონტონზე გამოსახული იყო ქალაქის მფარველი ღვთაების – ათენას დაბადების სცენა, პოსეიდონის დავა ატიკისათვის, რომელიც პოსეიდონის დამარცხებით დამთავრდა. მრავალრიცხოვან მეტოპებზე გამოსახული იყო გიგანტომახიების, კენტავრომახიების, ამაძონომახიების ბრძოლებისა და ტროას ომის სიუჟეტები, ფრიზებზე კი პანათენეების პროცესია. აკროპოლისზე იდგა ერეხთეიონის ტაძარი, რომელიც ათენის ლეგენდარული მეფის ერეხთევსის სახელზე აიგო. ტაძარს კოლონების მაგივრად კარიტიდების – ქალების ქანდაკებები ამშვენებდა.

პართენონსა და ერეხთეიონს შორის აღმართული იყო ათენა – პრომაქოსის ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული გრანდიოზული ქანდაკება. აკროპოლისის აღმოსავლეთი ბორცვის ძირას მდებარეობდა ოდეიონი – საკონცერტო დარბაზი.

აკროპოლისის არქიტექტურულ ანსამბლში შედიოდა პროპილეები – ბორცვზე აღმავალი საზეიმო გზა. პროპილეების გარეთა და შიდა მხარეს აღმართული იყო დორიულ-იონიური კოლონადები. საზეიმო გზის ნაგებობებში ჩართული ყოფილა მცირე იონიური ტაძარი, სადაც ნიკე-აპტეროსის ქანდაკება იდგა. ქვედა ქალაქში, აგორას მოედანზე განთავსებული იყო საცხოვრებელი კვარტლები, ბულევტერიის, პალესტრებისა თუ გიმნასიონების ნაგებობები; ქვედა ქალაქშივე ცალკეული საზოგადოებრივი ცენტრებიც გამოიყოფოდა.

პნიქსის ბორცვი სახალხო კრების ადგილსამყოფელი იყო. არეოპაგის ბორცვზე კი არეოპაგის – არისტოკრატიული საბჭოს სხდომები იმართებოდა. საზოგადოებრივი და საკულტო დანიშნულების ნაგებობები არქიტექტურის თვალსაზრისით მდიდრულად იყო მორთული. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ აღნიშნული ნაგებობის ფონზე, ძვ. წ. V-IV სს-ში, ათენის საცხოვრებელი სახლების დიდი ნაწილი საკმაოდ ღარიბულად გამოიყურებოდა. ძვ. წ. V ს-ის ათენის გამოჩენილი სარდლები ღარიბულ სახლებში ცხოვრობდნენ. სახლების წინა ფასადი შიდა ეზოსკენ იყო მიბრუნებული, ქუჩის მხარეს სახლებს ყრუ კედლები ჰქონდა. სახლები ძირითადად ალიზის აგურისაგან იგებოდა და ორი თუ სამი ოთახისაგან შედგებოდა. იატაკი თიხატკეპნილიანი ან მოკირწყლული იყო. შედარებით უფრო მდიდრულ სახლებს მარმარილოს ფილების იატაკი ჰქონდა. სახლების უმრავლესობას საკანალიზაციო და წყალსადენის სისტემა არ გააჩნდა. სახლები დანაწევრებული ნახშირით სავსე ორყურა ჭურჭლით თბებოდა. ღამის განათებისათვის გამოიყენებოდა თიხის ან ლითონის ჭრაქები, რომლებიც სპეციალურ სადგარზე – კანდელაბრებზე ეკიდა. კანონით აკრძალული იყო ვიწრო ქუჩებში მდებარე სახლების კარ-ფანჯრების ისე დაკიდება, რომ გარეთ გაღებულიყო. არისტოტელე გვამცნობს, რომ ათენში პისისტრატეს შვილის ჰიპიასის მმართველობის დროს ასეთი აკრძალვების დამრღვევნი ჯარიმდებოდნენ.

ათენს, რომელიც ზღვის სანაპიროდან 5 კმ-ის დაშორებით მდებარეობდა, ორი ნავსადგური – ფალერონი და პირეუსი ჰქონდა. პირეუსის გამაგრებას ჯერ კიდევ თემისტოკლე ცდილობდა, მაგრამ ის მხოლოდ პერიკლეს დროს გახდა არა მარტო ათენის დიდი ნავსადგური, არამედ მთელი ბერძნული სამყაროს სავაჭრო-სანავსადგურო ცენტრი. პირეუსის განაშენება ჰიპოდამოს მილეტელის სახელთანაა დაკავშირებული. ნავსადგური მძლავრი თავდაცვითი კედლებით იყო გამაგრებული.

ელინიზმის ეპოქიდან ურბანიზაცია არნახულ მასშტაბებს აღწევს. სპარსეთის იმპერიის ყოფილ ტერიტორიაზე არაერთი ახალი ელინური და ბერძნულ-აღმოსავლური ქალაქები დაარსდა. ელინისტური ქალაქები, განსაკუთრებით კი პტოლემაიოსების მონარქიის დედაქალაქი ალექსანდრია და სელევკიდების სამეფოს მთავარი ქალაქი ანტიოქია მეგაპოლისები იყო. ალექსანდრიისა და ანტიოქიის მცხოვრებთა რაოდენობა 500000-1000000 კაცს აღწევდა. ასეთი ქალაქები არნახული ეკონომიკური პოტენციითა და კეთილმოწყობის მაღალი დონით გამოირჩეოდა. საერთოდ, ელინიზმის ეპოქის ქალაქების გარეგანი სახე პორტიკების, კოლონადებისა და ქანდაკებების სიმრავლით, მათი მდიდრული მორთულობით ხასიათდება. ასე მაგალითად, კუნძულ როდოსზე აღმართული ყოფილა ასი დიდი ქანდაკება, მათ შორის ჰელიოსის ქანდაკება. კოლოსის სიმაღლე 31 მ-ს აღწევდა და ქვეყნიერების ერთ-ერთ საოცრებად ითვლებოდა.

ძველი ავტორების ცნობებით, ელინისტური სამყაროს უდიდესი და უბრწყინვალესი ქალაქი იყო ალექსანდრია. ის მოხერხებული და კეთილმოწყობილი ქუჩებით იყო დასერილი. ორ ერთმანეთზე გადამკვეთ მთავარ ქუჩას კოლონადები ამშვენებდა. მთავარი ქუჩის სიგრძე 40 სტადიუმს (7,2 კმ) აღემატებოდა. სწორკუთხა ფორმის ქალაქის ცალკეული უბნები ბერძნული ასოებით აღინიშნებოდა. ქალაქის ყველაზე ლამაზი და მდიდარი უბანი იყო ბრუხეიონი – მეფეთა სასახლეების კვარტალი, რომელსაც ალექსანდრიის მეოთხედი ფართობი ეკავა. აქვე მდებარეობდა მეფეთა საძვალეები მათ შორის ალექსანდრე მაკედონელის; აქვე იყო ტაძრები, თეატრი, სავაჭრო მოედანი, „მუსეიონი“, სადაც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ მეცნიერები, მწერლები.

ამავე უბანში იყო სახელგანთქმული ალექსანდრიული ბიბლიოთეკა, რომლის წიგნსაცავი 500000 ეგზემპლარს ითვლიდა.

ქალაქის სიახლოვეს ზღვაში არსებული კუნძული ფაროსი ჯებირებით ხმელეთს უერთდებოდა. აქ მდებარეობდა გრანდიოზული შუქურა, რომლის მშენებლობა 20 წელი გაგრძელდა. მისი არქიტექტორი იყო სოსტრატე კნიდოსელი. შუქურა სამიარუსიანი ნაგებობა ყოფილა და მისი სიმაღლე 120 მეტრს აღწევდა. პირველი იარუსი სწორკუთხა ფორმისა იყო, მეორე – რვაწახნაგიანი, ხოლო მესამე – მომრგვალებული. გუმბათზე მოთავსებული იყო შუქურა, რომელიც 60 კმ-ის მანძილზე ანათებდა.

ელინისტური ქალაქის კლასიკური ნიმუში იყო პერგამონი. ის ბორცვის ძირში იყო გაშენებული. ბორცვის წვერზე და მის ფერდობებზე აკროპოლისი მდებარეობდა, ხოლო ქვემოთ მეფეთა სასახლეები. ფართო ტერასაზე განთავსებული იყო ათენას საკურთხეველი, ბიბლიოთეკა და აგორა. ბორცვის ფერდობზე იყო თეატრი.

მდიდარი და კეთილმოწყობილი ქალაქები არსებობდა სამხრეთ იტალიასა და სიცილიაში. ესენია: ტარენტუმი, აკრაგანტუმი, განსაკუთრებით კი სირაკუზი. ციცერონის სიტყვით „სირაკუზი ელინურ ქალაქთა შორის ყველაზე დიდი და ლამაზი იყო“.

ელინისტურ პერიოდში მაღალ დონეზე იდგა ქალაქის მოედნებისა და პარკების არქიტექტურული გაფორმება. მოედნებს ამშვენებდა დორიული და იონიური სტილის კოლონადები. ელინისტური ქალაქის აუცილებელი ატრიბუტი ხდება პარკები, სადაც სხვადასხვა სახეობის დეკორატიული მცენარეები ხარობდა. აქვე აღმართული იყო ქანდაკებები და კოლონადები.

ელინური ქალაქების უმთავრესი ატრიბუტი ტაძარი იყო. ტაძართა სიმრავლით მაინც საერთოელინური რელიგიის ცენტრი დელფოსი გამოირჩეოდა. ის შუა საბერძნეთის მთიან ნაწილში მდებარეობდა. წმინდა ქალაქში აღმართული ყოფილა აპოლონის, ათენას ტაძრები, აქვე იყო თეატრი, სტადიონი, სხვადასხვა ქალაქების საგანძური, მრავალრიცხოვანი ქანდაკებები და ა. შ.

ელინური სამყაროს სპორტული ასპარეზობის ცენტრად ითვლებოდა ოლიმპია, სადაც ოთხ წელიწადში ერთხელ იმართებოდა სპორტული შეჯიბრებები. პირველი ოლიმპიური თამაშები ძვ. წ. 776 წ. გაიმართა. პირველი ჩემპიონი ათენელი კორები გახდა. ოლიმპიაში აღმართული იყო ზევსის ტაძარი, მისი საკურთხეველი. აქ აგრეთვე განთავსებული ყოფილა სხვადასხვა ქალაქთა საგანძური, სპორტული ნაგებობანი. სპორტული პროგრამა ორი ნაწილისაგან შედგებოდა: თავდაპირველად ზევსის სახელზე მსხვერპლშენირვა ტარდებოდა, შემდეგ იწყებოდა შეჯიბრი სპორტის სხვადასხვა სახეობაში – სირბილში, ჭიდაობაში, დისკოს ტყორცნაში, ჯირითში და სხვ. მონებსა და ქალებს ოლიმპიურ თამაშებზე დასწრების უფლება არ ჰქონდათ. გამარჯვებულებს ზეთისხილის გვირგვინით აჯილდოებდნენ.

ძველი ბერძნები საკმაოდ კომუნიკაბელურნი იყვნენ. მაგრამ ქალაქელთა პირადული ცხოვრება კარჩაკეტილობით გამოირჩეოდა. მათი სახლები გარე სამყაროსაგან იზოლირებული იყო. ძვ. წ. VIII-VII სს-ში ის სადა და კეთილმოუწყობელი იყო. ძვ. წ. V ს-შიც კი გამოჩენილი ათენელი პოლიტიკოსები და სტრატეგოსები ღარიბულ სახლებში ცხოვრობდნენ, სამაგიეროდ მილეტში ნარჩინებულებისა და ტირანებისათვის პორტიკიან-მოზაიკურიატაკიანი სახლები შენდებოდა.

ელინისტურ ეპოქაში ბრძნული სახლის დაგეგმარება იცვლება. ამ დროის ნაგებობანიც წინანდებურად ღია ეზოს გარშემოა განთავსებული, მაგრამ ძვ. წ. VI-V სს-ში პო-

პულარული პასტადა იცვლება კოლონადებით, რომლებიც შიდა ეზოს გარს ერტყა, ხოლო მის ცენტრში მდებარეობდა აუზი, სადაც სახლის სახურავიდან წვიმის წყალი ჩაედინებოდა. სახლში შუქი და ჰაერი შიდა ეზოდან აღწევდა. ღარიბული სახლების იატაკის დიდი ნაწილი თიხატკეპლიანი, ხოლო მდიდართა სახლების იატაკი კი მოზაიკით იყო მოპირკეთებული. სახლების უმრავლესობას აბაზანა და საპირფარეშო ჰქონდა.

ელინიზმის პერიოდში ვილების შენებაც დაიწყეს. ვილები სილამაზითა და კომფორტულობით გამოირჩეოდა. აქ იყო: საცურაო აუზები, შადრევნები, ასენიზაციისა და წყალსადენის სისტემები, აბაზანები და საპირფარეშოები. ვილები მდიდრული ავეჯით იყო გაწყობილი. საერთოდ, ბერძნული ავეჯი სისადავითა და მოხერხებულობით გამოირჩეოდა. ძირითადად ეს იყო სკამები, მაგიდები, სარეცლები, ზანდუკები. სკამებს ჰქონდათ ჩაზნექილი, ფართოდ გადაშლილი ფეხები და მოღუნული საზურგე. იყო ასევე უზურგო სკამები და ოჯახის უფროსისათვის განკუთვნილი სავარძლები.

სარეცელს მაღალი ფიგურირებული ფეხები და დაბალი სასთუმალი ჰქონდა. მაგიდები ოთხკუთხა ან მრგვალი ფორმისა იყო. საძინებელ ოთახში იდგა უბრალო, დაბალფეხიანი და ჩარჩოიანი საწოლები, რომლებიც ტყავის თასმებით იყო შეკრული. მასზე დებდნენ მატყლის ლეიბს, ზეწარსა და ბალიშს. საწოლი საბნით, ცხვრის ტყავით და ბენეეულით იფარებოდა. ამგვარ საწოლზე ბერძნები ნახევრად მწოლიარე მდგომარეობაში წერდნენ და კითხულობდნენ.

ტანსაცმელი და სამკაული ზანდუკებში ინახებოდა; ზანდუკებს ბოქლომებს ადებდნენ. ხის ყუთებში წიგნები და პაპირუსის გრაგნილები ელაგა. ქალების ოქროს სამკაულები და ტუალეტის საგნები ზარდახებში ინახებოდა, რომლებიც გასაღებ-ბეჭდით იკეტებოდა და თითზე ჰქონდათ ჩამოცმული, ვინაიდან ტანსაცმელს ჯიბეები არ ჰქონდა. ოთახის მორთულობაში არანაკლებ როლს ასრულებდა მითოლოგიური პერსონაჟებით მოხატული დიდი ზომის დეკორატიული ვაზები, რომლებიც იატაკზე იდგმებოდა, ხოლო პატარები თაროებზე ელაგა, მცირე ზომის თასები და თეფშები კედელზე ეკიდა.

მდიდრულ სახლებში მარმარილოს ქანდაკებებიც იყო აღმართული. ოთახებში იდგა ფიმიატურები, სასაკმეველეები. საოჯახო მეურნეობასა და ყოფაში ფართოდ გამოიყენებოდა თიხის ჭურჭელი, რომელიც მრავალფეროვანი და მრავალსახიანობით გამოირჩეოდა. მაგალითად, ღვინის, ზეთისა და მარცვლეულის შესანახად დიდი ზომის ქვევრები, პითოსები გამოიყენებოდა, ხოლო მათი ტრანსპორტირებისათვის ორყურიანი და წაგრძელებულძირიანი ამფორები. წყლისათვის გამოიყენებოდა სამსახელურიანი მრგვალი ფორმის დოქი – ჰიდრა, დიდი ზომის, სარწყულას ფორმის, ხოლო ორყურიან კრატერში ბერძნები წყალსა და ღვინოს აზავებდნენ; კილიკი, ღვინის სასმელი, ფეხზე შეყენებული ფიალა იყო; რიტონი, ადამიანის ან ცხოველის თავის გამოსახულების მქონე სასმელ ყანწს წარმოადგენდა, ხოლო მაღალსახელურიანი კიათოსი კრატერიდან ღვინის ამოსახაპ ჭურჭელს. ლეკითოსი ერთსახელურიანი ვიწროყელიანი, ცალყურა, ცილინდრული ჭურჭელი ნელსაცხებლისათვის გამოიყენებოდა, კანთაროსი ორყურიანი, ქუსლიანი საღვინე თასი იყო, არიბალოსი მუცელგანიერი ჭურჭელი ნელსაცხებელისათვის, ასკოსი ჩაიდნისებური ფორმის ჭურჭელი, რომელიც ასევე განკუთვნილი იყო ნელსაცხებლისა და სხვადასხვა ზეთისათვის; გუტუსი მაღალი და ვიწროყელიანი ჭურჭელი, საიდანაც სითხე წვეთ-წვეთად იღვრებოდა, აგრეთვე გამოიყენებოდა ყოველდღიურ ცხოვრებაში წყლისა და ზეთისათვის. მას რელიგიური დღე-

სასწაულების დროს შესანირად იყენებდნენ. სკიფოსი კი ჭიქისებური საღვინე სასმისი იყო, ბალზამარია მინის სანელსაცხებლე; ოინოხოია თიხის ან ბრინჯაოს საღვინე ჭურჭელი, დოქი, ხოლო ლუთერიუმი ღარისებურტუჩიანი სამეურნეო დანიშნულების ჯამი, რომელიც ნიჟარის მოვალეობასაც ასრულებდა და ასევე გამოიყენებოდა ავზების შესავსებადაც. ლეკანები, პიკსიდები და კალპიდები სურნელოვანი ზეთისა და კოსმეტიკური ინსტრუმენტების შესანახად გამოიყენებოდა.

ძვ. წ. VI ს-დან ვითარდება ვაზური ფერნერის შავფიგურული სტილი: მოწითალო ფერის თიხის ფონზე შავი სილუეტით ნახატის გამოყვანის ტექნიკა. ძვ. წ. VI ს-ის დასასრულისათვის ის ადგილს უთმობს ახალ, წითელფიგურულ სტილს, რაც სურათის ფიგურებს უფრო რელიეფურსა და მეტყველს ხდიდა.

ძველი ბერძნები მოკრძალებულად იკვებებოდნენ. მათ რაციონში იყო პური, ბოსტნეული, ზეთისხილი, წაბლი, თევზი. ხორცეულს ნაკლებად ეტანებოდნენ. შეძლებული ათენელის პირველი საუზმე ღვინოში დამბალი პურის რამდენიმე ნაჭრისაგან შედგებოდა; მეორე საუზმე უფრო ნოყიერი იყო და ის ოჯახის უფროსის ბაზრიდან დაბრუნების შემდეგ იშლებოდა; სადილზე მიირთმევდნენ მუხუდოსა და ოსპის შეჭამანდს, სხვადასხვა სახეობის თევზეულს, ხამანწკებს და თეთრ პურს. დესერტად ლეღვი და ვაშლი ჰქონდათ. ოჯახის უფროსი მამაკაცი ნახევრად მწოლიარე მდგომარეობაში სადილობდა, ცოლი კი სკამზე იჯდა. ღარიბების ძირითადი საკვები იყო ქერის შეჭამანდი და კვერი, ცერცვის ფაფა, მარილიანი თევზი, იაფფასიანი ღვინო.

სპარტელების კვების რაციონი უფრო ღარიბული და უგემური იყო, ვიდრე ათენელებისა. სპარტელები მოქალაქეთა საერთო „სასადილოებში" – სისისტიებში სადილობდნენ. რაციონში შედიოდა ე.წ. შავი წვენი, ღორის ადულებული სისხლი, მოხარშული ღორის ხორცი, პური, ღვინო და ტკბილი ორცხობილა. პლუტარქეს ცნობით, „მოხუცი სპარტელები ხორცს თითქმის არ ეკარებოდნენ და ახალგაზრდებს უთმობდნენ, თვითონ კი სიამოვნებით შეექცეოდნენ შავ წვენს" (ლიგურკოსი, 12). ზომიერი ღრეობის შემდეგ სისისტიების მონაწილეები სახლებში ბრუნდებოდნენ სანთლის გარეშე. სანთლით ხელში სიარული აკრძალული იყო, ვინაიდან სპარტელები უნდა მიჩვეოდნენ ღამის წყვდიადში გაბედულ სიარულს.

ბერძნები ხშირად სიმპოსიონებს – მდიდრულ ნადიმებს აწყობდნენ. ამისთვის ისინი მზარეულებს, მოცეკვავეებსა და ფლეიტისტებს ქირაობდნენ. სიმპოსიონებში მხოლოდ მამაკაცები და ჰეტერები მონაწილეობდნენ. შესასვლელშივე მონა სტუმრებს ფეხსაცმელს ხდიდა და ფეხებს ბანდა, შემდეგ სტუმრები „ანდრონს" გაივლიდნენ და ლოჟებში მოკალათდებოდნენ. თითოეულ ლოჟაში პატარა, დაბალი, გაწყობილი მაგიდები იდგა. საკვებს ხელით შეექცეოდნენ. კოვზებს მხოლოდ მოლუსკებისათვის იყენებდნენ. თავიდან თევზის, ფრინველისა და საქონლის ხორცის მცირე ულუფას მიირთმევდნენ. ხელის დაბანვის შემდეგ კი ღვინოს და დესერტს – ხილსა და ნამცხვარს შეექცეოდნენ. ცეკვავდნენ, უსმენდნენ მუსიკას და ლექსებსაც კითხულობდნენ. თანამეინახეებისაგან ირჩევდნენ თამადას, რომელსაც ღვინოში წყლის გაზავების პროპორციის დაცვა ევალებოდა. სიმთვრალე უზრდელობად ითვლებოდა. ბერძენთა აზრით, პირველი თასი სასარგებლოა, მეორე – სიამოვნება, მესამე კი ძილის მომგვრელი; ღარიბებისათვის ამგვარი სიმპოსიონები ხელმისაწვდომი არ იყო.

პლატონი სიცილიის ქალაქ აკრაგანტუმის მცხოვრებთა მდიდრულ სუფრასთან დაკავშირებით შენიშნავს „აკრაგანტელები იმდენს ჭამენ, რომ თითქოსდა ხვალ სი-

ცოცხლეს ეთხოვებიან". სიმპოსიონები ზოგჯერ ღრეობაში გადაიზრდებოდა. ის სტუმრები, რომლებიც სადილის გამო თავისი მახვილსიტყვაობით საზოგადოებას არ-თობდნენ მათ „პარასიტოსენს" („პარა" – თან, „სიტოსი" – პური") უწოდებდნენ. მაგ-რამ ხშირად სიმპოსიონები მუსიკალური, ლიერატურული და პოლიტიკური დებატე-ბის შეკრების ადგილსაც წარმოადგენდა.

ბერძნების ტანისამოსი სადა და მარტივი იყო. ტანზე ეცვათ მატყლის ან სელის გრძელი უსახელო პერანგი – „ქიტონი". მასზე გადაცმული ჰქონდათ შალის ან სელის ლაბადის მსავსი წამოსასხამი „ჰიმატიონი", რომელიც მარცხენა მხარზე მაგრდებო-და, საიდანაც ის ზურგზე ისე გადაიდებოდა, რომ მისი ბოლო ქვევით ეშვებოდა.

ქუდებს მხოლოდ ქალაქგარეთ მოგზაურობის დროს ატარებდნენ, რათა წვიმისა და სიცხისაგან თავი დაეცვათ. ქალებს მრგვალ-ბრტყელი, კუნწულებიანი ქუდები ეხურათ; მამაკაცებს ე.წ. „პეტასი", ბრტყელი, თასმიანი ნაბდის ქუდები. ხელოსნები ატარებდნენ „პილოსს" – პატარა, წვეტიან ნაბდის ქუდებს.

ფეხსაცმელი მრავალფეროვანი იყო: მამაკაცებს ეცვათ ტყავის თხელი, თასმია-ნი „სანდლები", წაღები, ჩექმები; მდიდრებს კი მოოქრული და მოვერცხლილი ფეხ-საცმელი, ხოლო ღარიბებს – მძიმე, მოუქნელი. ქალებს ეცვათ სანდლები და მაღალ-ყელიანი წაღები. ფეხსაცმელს მხოლოდ ქუჩაში იცვამდნენ, ხოლო სახლში ფეხშიშვე-ლა დადიოდნენ. სხვათა შორის, სოკრატე ყველგან, შინ და გარეთ, ფეხშიშველა დაია-რებოდა. ქუჩაში მამაკაცებს ჯოხი ან „ტროსტი" ეჭირათ, ქალებს კი ქოლგა, განსა-კუთრებული ყურადღება ექცეოდა ვარცხნილობას. ძვ. წ. V ს-მდე საბერძნეთის მთელ რიგ ქალაქებში გავრცელებული იყო მამაკაცთა შორისაც კი დაწნული თმები, რომ-ლებიც სიმეტრიულად მხრებამდე ეშვებოდა. ძვ. წ. V ს-დან მხოლოდ ფილოსოფოსები და კოპწია მდიდრები ატარებდნენ გრძელ თმებს. აღსანიშნავია, რომ სპარტელები თავიანთ გრძელ თმას განსაკუთრებით უვლიდნენ. პლუტარქეს ცნობით, სპარტელე-ბი თმას ბრძოლის წინ კიდევ უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ, ნელსაცხელებლით იპრიალებდნენ და შუაზე იყოფდნენ. მათ მუდამ ახსოვდათ ლიკურგოსის სიტყვები: „გრძელი თმა ლამაზებს ამშვენებს, მახინჯებს კი უარესად ამახინჯებს" (პლუტარქე, ლიკურგოსი, 22). მოკლედ იკრეჭდნენ თმას ათლეტები. ქალების ვარცხნილობა მრა-ვალნაირი იყო: ქალები ატარებდნენ როგორც გრძელ დაწნულ, ასევე მხრებამდე ჩა-მოშვებულ თმებს. თმებს იკრეჭდნენ მხოლოდ მონა ქალები. ასევე დიდ დროს უთმობ-დნენ სახის მაკიაჟს. გამოიყენებოდა პუდრა, პომადა და ა.შ., დიასახლისის კანი თეთ-რი უნდა ყოფილიყო, მამაკაცების კი გარუჯული. მზისგან გაურუჯავ მამაკაცებს ეჭ-ვის თვალით უყურებდნენ. მამაკაცები წვერს ატარებდნენ და ის ვაჟკაცობის ნიშნად მიიჩნეოდა. წვერის გაპარსვა ალექსანდრე მაკედონელის დროიდან დაიწყო. სურნე-ლოვანი ზეთებით, როგორც სუნამო, ქალები სარგებლობდნენ, მამაკაცები კი მხო-ლოდ იონიაში.

ძვ. წ. VIII-VI სს-ში მამაკაცები და ქალები სამკაულებს ხშირად ატარებდნენ. ძვ. წ. V-IV სს-ში დიადემებს, ბეჭდებს, საყურეებს, სამაჯურებს მხოლოდ ქალები ატარებ-დნენ, მამაკაცები კი ბეჭდებს.

თავისუფალი ბერძენი მამაკაცი დროის დიდ ნაწილს ოჯახის გარეთ ატარებდა. კერძოდ, შორეულ მოგზაურობაში, ომში, სავაჭრო და სამოქალაქო საქმეებით იყო დაკავებული. დილიდანვე ის ბაზარში მიდიოდა, ფილოსოფოსებთან და ორატორებ-

თან მუსაიფობდა, სახალხო კრებისა და სასამართლოების სხდომებს ესწრებოდა, ღამით კი სიმპოსიონებში მონაწილეობდა. ბერძენი ქალები, განსაკუთრებით ათენელი მანდილოსნები, მეუღლეების საქმეებში არ ერეოდნენ, საზოგადოებრივ საქმიანობაში არ მონაწილეობდნენ. მათ სახალხო კრებაზე დასწრების უფლება არ ჰქონდათ. ისინი მუდამ მამაკაცებს ემორჩილებოდნენ. ქალები საოჯახო საქმეებს განაგებდნენ: ბავშვებს უვლიდნენ, ქსოვდნენ, კერავდნენ. ისინი ბაზარში არ დადიოდნენ. ეს მხოლოდ ქმრებსა და მონა ქალებს ევალებოდათ. ქალები ძირითადად რელიგიურ დღესასწაულებში იღებდნენ მონაწილეობას, თეატრალურ წარმოდგენებს ესწრებოდნენ, ნათესავებს სტუმრობდნენ, მაგრამ ისინი მეტწილად სახლებში იყვნენ გამოკეტილნი.

ათენელებისაგან კარდინალურად განსხვავდებოდა სპარტელი ქალების უფლება-მოვალეობანი. ისინი მეტი უფლებებით, პატივითა და თავისუფლებით სარგებლობდნენ. პლუტარქეს ცნობით, „მუდამ სალაშქროდ მყოფი მამაკაცები იძულებულნი ხდებოდნენ თავიანთი ქალებისათვის სრული თავისუფლება მიეცათ, ზომაზე მეტი პატივი ეძღვნათ და ქალბატონები ეძახათო“ (ლიკურგოსი, 14); სპარტელი ქალები სირბილში, ჭიდაობაში, შუბისა და დისკოს ტყორცნაში ვარჯიშობდნენ, რათა მათ ჯანსაღ სხეულში ჩასახული ნაყოფი ძლიერი და ღონიერი ყოფილიყო. მომავალი დედა ძალ-ღონით აღსავსე უნდა დახვედროდა მშობიარობას და ტკივილები ადვილად გადაეტანა. მათ აკრძალული ჰქონდათ ნებივრობა, სახლში ჩაკეტვა და ფუფუნებით ცხოვრება. ქალებს შეეძლოთ ზეიმზე მამაკაცებივით გაშიშვლებულნი მოსულიყვნენ და ზოგიერთ დღესასწაულზე დედიშობილა ემღერათ და ეცეკვათ მამაკაცებთან ერთად. სიშიშვლე კი ქალებს აჩვევდა უბრალოებას, უღვიძებდა მათ საკუთარი სხეულის გაკაჟებისა და გამონრთობის სურვილს.

თავისუფლად ცხოვრობდნენ ასევე ჰეტერები (კურტიზანები). ზოგიერთი მათგანი წიგნიერი იყო. ცნობილ ჰეტერებს დრამებს უძღვნიდნენ და ქანდაკებებსაც უდგამდნენ. ისინი სიმპოსიონებში მონაწილეობდნენ. მამაკაცები ჰეტერებთან ხშირად ერთობოდნენ. ბერძენ მამაკაცთა ცნობილი გამოთქმა იყო: „ცოლები გვჭირდება ბავშვები რომ გააჩინონ, გართობისათვის კი ჩვენ ჰეტერები გვყავსო“.

განსაკუთრებული თავისუფლებით სარგებლობდნენ აგრეთვე გლეხი ქალები, ხელოსანთა ცოლები, რადგანაც ქმრებთან ერთად მუშაობდნენ. ზოგიერთი ვაჭრობდა კიდეც და ძიძებადაც მსახურობდა.

ქორწინება, ბერძენთა უმრავლესობის აზრით, ეს იყო ოჯახის უფროსთა შეთანხმების შედეგი. სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქორწინების აქტს. სპარტაში უცოლოებისათვის სასჯელი იყო დანესებული. მათ აკრძალული ჰქონდათ გიმნოპედიებზე (აპოლონისადმი მიძღვნილი დღესასწაული, სადაც შიშველი ახალგაზრდები ფერხულში ებმებოდნენ) დასწრება. ზამთარში უცოლოებს ტანზე უნდა გაეხადათ და დედიშობილა მოედნის გარშემო ერბინათ, თან ემღერათ მათივე წინააღმდეგ შეთხზული სიმღერა.

სპარტელები ცოლს მოტაცებით ირთავდნენ. მოტაცებულ პატარძალს ე.წ. ნიმფევტერიას ჩააბარებდნენ. იგი პატარძალს თმას ძირამდე შეკრეჭდა, მამაკაცის ტანსაცმელში გამოაწყობდა და ბნელ კუთხეში ჩალისაგან გამზადებულ ლოგინზე მარტო დააწვენდა. ნეფე პატარძალთან შედიოდა, სარტყელს შემოხსნიდა, ხელში აიყვანდა

და საქორწინო სარეცელზე დააწვენდა. იგი ცოლთან მცირე ხნით რჩებოდა. მერე კი ბრუნდებოდა მისთვის მიჩენილ ოთახში, სადაც სხვა მამაკაცებთან ერთად იძინებდა. შემდეგ ქმარი დღე-ღამეს თანატოლებთან ატარებდა, ცოლთან კი მალულად დადიოდა. ასეთი იშვიათი შეხვედრა, პლუტარქეს მიხედვით, მარტო მოკრძალებას კი არ აჩვევდა ცოლ-ქმარს, არამედ გამრავლების უნარსაც უძლიერებდა და მათ ურთიერთობას მუდამ სიყვარულის ახალი ძალით აგზნებდა (ლიკურგოსი, 15).

ათენელებს ქორწინების განსხვავებული წესი ჰქონდათ. თავისუფალი ქალის მოტაცებისათვის ჯარიმა იყო დაწესებული. ქორწინება ნეფე-დედოფლის ოჯახების უფროსების შეთანხმებით ხდებოდა. ჯვრისწერა პატარძლის სახლში, კერიასთან ტარდებოდა. შემდეგ პატარძალს მორთავდნენ და სახედაფარული სიძის სახლში მიჰყავდათ. ნეფე-დედოფლის ასაკს შორის სხვაობა 12-14 წელი იყო. სოლონის განკარგულებით, მზითვი აკრძალული იყო. პატარძალს ქმრის სახლში შეეძლო წაეღო მხოლოდ სამი კაბა, რამდენიმე ძვირფასი ნივთი. პლუტარქეს მიხედვით სოლონს არ სურდა ქორწინება ვაჭრობას დამსგავსებოდა, მისი მიზანი გახლდათ ცოლ-ქმრის კავშირი დამყარებულიყო ბავშვების ყოლაზე, ურთიერთსიამოვნებასა და სიყვარულზე. პლუტარქე ირონიულად უყურებდა სოლონის კანონს, რომელიც ნებას რთავდა მდიდარ ქალს ეცხოვრა ქმრის ახლო ნათესავ კაცთან, თუ ქმარი ცვედანი აღმოჩნდებოდა (სოლონი, 20).

რაც შეეხება განქორწინებას, ის მამაკაცებისათვის პრობლემას არ წარმოადგენდა. მას შეეძლო ცოლი მისსავე სახლში დაებრუნებინა ან სხვისთვის მიეთხოვებინა, როგორც ეს, მაგალითად, პერიკლემ ჩაიდინა, როცა თავისი კანონიერი ცოლი სხვას მიათხოვა, თვითონ კი ჰეტერაზე, ასპასიაზე დაქორწინდა. ქალებსაც ჰქონდათ განქორწინების უფლება, მაგრამ, ფაქტობრივად, ეს შეუძლებელი იყო, რადგან მათ ამის შესახებ თხოვნით უნდა მიემართათ არქონტისათვის – ხშირ შემთხვევაში პასუხი უარყოფითი იყო.

მონებს ოჯახის შექმნის უფლება არ ჰქონდათ. მონათმფლობელის ნებართვით მათ შეეძლოთ მხოლოდ ერთად ეცხოვრათ.

სახელმწიფო ოჯახის სიმტკიცეზე და სიწმინდეზეც ზრუნავდა. სოლონის კანონი ქმარს ნებას აძლევდა ავხორცობაზე წამსწრეს იქვე მოეკლა მრუში ცოლი (პლუტარქე, სოლონი, 23). სპარტაში სიძვა-მრუშობა სასტიკად აკრძალული იყო. თუმცა, სპარტული კანონმდებლობით, ახალგაზრდა ცოლის პატრონ მოხუც კაცს უფლება ეძლეოდა, თუკი ვინმე ლამაზი ჭაბუკი მოეწონებოდა, თავის ცოლთან მიეშვა, მათი ურთიერთობის ნაყოფი კი თავისად მიეჩნია. კეთილშობილ ვაჟკაცს, რომელსაც მოეწონებოდა სხვისი ლამაზი ცოლი, შეეძლო ეთხოვა ქმრისათვის მის ცოლთან ურთიერთობის ნება, რათა ამ ქალისაგან ძვირფასი ნაყოფი მიეღო (პლუტარქე, ლიკურგოსი, 16).

ელინური კანონმდებლობა გლოვისა და დაკრძალვის წესებსაც არეგულირებდა. ათენში ქალებს აკრძალული ჰქონდათ თავ-პირში ხელის ცემა, სახის კაწვრა, წინასწარ მოფიქრებული მოთქმით ტირილი და გოდება მიცვალებულის დაკრძალვის დროს. ასევე აკრძალული იყო ხარის მსხვერპლად შეწირვა და მიცვალებულისათვის საფლავში სამ კაბაზე მეტის ჩატანება. აგრეთვე საფლავებზე მდიდრული სტელების აღმართვა. კანონი კრძალავდა მიცვალებულის აუგად მოხსენიებას, ვინაიდან იმქვეყნად წასულნი წმინდანებად ითვლებოდნენ.

სპარტაში მიცვალებულები ქალაქში იკრძალებოდნენ და ტაძრების მახლობლად მათი ძეგლები იყო აღმართული. მიცვალებულისათვის რაიმე ნივთების ჩატანება აკრძალული იყო. ცხედარი უნდა გაეხვიათ ძონისფერ მოსასხამში და შეემკოთ ზეთისხილის ფოთლებით. გარდაცვლილი პირის საფლავზე სახელის წარწერა არ შეიძლებოდა, თუ მიცვალებული ომში დაღუპული ვაჟკაცი ან ქურუმი ქალი არ იყო. გლოვის ხანგრძლივობა 11 დღეს არ აღემატებოდა.

ელადაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ახალგაზრდების აღზრდისა და განათლების სისტემას. ამ მხრივ სპარტული და ათენური სისტემები ერთმანეთისაგან დიამეტრულად განსხვავდებოდა. სპარტანული აღზრდის სისტემა სამი საფეხურისაგან შედგებოდა: 7-დან 12 წლამდე სპარტიატი ვაჟები ე.ნ. „აგელებში" (ჯოგი) იზრდებოდნენ. აი, რას წერდა ამის შესახებ პლუტარქე: „მამრობითი სქესის ბავშვებს, როგორც კი შეუსრულდებოდათ შვიდი წელი, ლიკურგოსი თავს მოუყრიდა და „აგეელებად" დაყოფდა, რათა ერთად ყოფნას მიჩვეოდნენ, ერთად გაზრდილიყვნენ, ერთად ეთამაშათ, ერთად ესწავლათ. „აგეელების" უფროსად ლიკურგოსი მას აყენებდა, ვინც გონიერებითა და ბრძოლებში განსაკუთრებული სიმამაცით გამოირჩეოდა. წერა-კითხვას ისე ასწავლიდნენ, რამდენადაც ეს აუცილებელი შემთხვევის დროს დასჭირდებოდათ. მთელი აღზრდის მიზანი იყო უსიტყვო მორჩილება, შრომაში გამძლეობა და ბრძოლაში გამარჯვების მოპოვება" (ლიკურგოსი, 16). აგეელებს ხელმძღვანელობდნენ აღმზრდელები – „პაიდომები", რომლებსაც კეთილშობილ ვაჟკაცთა წრიდან ირჩევდნენ.

12 წლიდან აღზრდისა და განათლების ახალი ეტაპი იწყებოდა. ამჯერად მოზარდები ერთიანდებოდნენ „ილებში" (რაზმებში), რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ „ირენები". აღნიშნული ასაკიდან ვარჯიშები რთულდებოდა. „რაც უფრო იზრდებოდნენ ბავშვები, მით უფრო სასტიკი ხდებოდა მათი გაწრთვნა: თმას ძირამდე კრეჭდნენ, აჩვევდნენ ფეხშიშველა სიარულს და აიძულებდნენ ტიტლიკანებს ეთამაშათ. თორმეტი წლის ასაკს რომ მიაღწევდნენ, ისინი უკვე უქიტონოდ დადიოდნენ და ამიერიდან წელიწადში თითო „გიმნატიებს" (ლაბადებს) იღებდნენ. სხეული მუდამ ჭუჭყიანი ჰქონდათ, თბილ წყალში არ ბანაობდნენ, ტანს ზეთით არ იზელდნენ. ასეთი ფუფუნების ნება ეძლეოდათ წელიწადში მხოლოდ რამდენიმე დღეს. იძინებდნენ ერთად ლერწმის საწოლებზე. ზამთარში ქვეშ იფენდნენ ლერწამთან შერეულ „ლიკოფონს", რომელიც, მათი აზრით, სითბოს შემნახავი მცენარე იყო" (პლუტარქე, ლიკურგოსი, 16). სწორედ ამ ასაკში სპარტიატები სამხედრო სწავლების რთულ კურსს გადიოდნენ: „იარაღის ფლობას, სწრაფ გადაადგილებასა და ტაქტიკურ ხერხებს სწავლობდნენ. წერა-კითხვასაც ასწავლიდნენ, თუმცა ის მეორეხარისხოვნად ითვლებოდა. ასწავლიდნენ მახვილსიტყვაობას, მოხდენილ, საზრიან და სხარტ ლაპარაკს" (პლუტარქე, ლიკურგოსი, 19).

20 წლის ასაკიდან ახალგაზრდების აღზრდის მესამე ეტაპი იწყებოდა. ამ დროიდან ისინი საერთო სასადილო კლუბების – „სისისტიების" წევრები ხდებოდნენ. 30 წლის ასაკიდან კი სპარტიატს შეეძლო დაქორწინებულიყო, საკუთარ მეურნეობაზე ეზრუნა და სახელმწიფო საქმიანობაში აქტიურად ჩართულიყო.

აღსანიშნავია, რომ აღზრდა-განათლების ანალოგიური სისტემა იყო კრეტაში. აქაც, სპარტის მსგავსად, სკოლები სახელმწიფოს ექვემდებარებოდა. სახელმწიფო სკოლები იყო დელფოსში, ათენში კი კერძო და ფასიანი.

ათენის სკოლებში რვა წლიდან 16 წლამდე მოზარდებს ასწავლიდნენ წერა-კითხვას, არითმეტიკას, მუსიკას, ასევე პოემების, განსაკუთრებით ჰომეროსის „ილიადას" დაზუთხვას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ტანვარჯიშის შესწავლას, რომელსაც სახელმწიფო აკონტროლებდა. ასწავლიდნენ ასევე სირბილს, ხტომას, ჭიდაობას, შუბისა და დისკოს ტყორცნას. ათენში მოსწავლეებს „ეფებებს" უნოდებდნენ, ხოლო მასწავლებლებს – „სოფრონისტებს", რომლებსაც დღეში 1 დრაქმას უხდიდნენ. 20 წლის ეფებოსი სწავლების სავალდებულო კურსს ასრულებდა და ათენის სრულუფლებიანი მოქალაქე ხდებოდა. მდიდარი ათენელი მოქალაქეების შვილები სწავლას აგრძელებდნენ პლატონის აკადემიაში, არისტოტელეს „პერიპატეტიკოსების" სკოლაში და მათ მსგავს უმაღლეს სასწავლებლებში.

V. ელინური სამყაროს მეგაპოლისები

ელადაში და მის ფარგლებს გარეთ, სამ კონტინენტზე (ევროპა, აზია, აფრიკა), ასეულობით დიდი და მცირე სიდიდის პოლისი არსებობდა. აქ, ამჯერად, არ შევუდგებით თითოეული პოლისის დეტალურად აღწერა-დახასიათებას, არამედ ყურადღებას გავამახვილებთ ელინური სამყაროს მნიშვნელოვანი მეგაპოლისების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის არსებით საკითხებზე.

ელინური სამყაროს ფლაგმანს, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, ათენი და სპარტა წარმოადგენდა. მათ შესახებ ნაშრომის შესაბამის თავებში საკმაოდ ვრცლად ვისაუბრეთ და ამიტომ ამ პოლისების დახასიათებაზე არ შევჩერდებით. ნაშრომის წინამდებარე თავში კატალოგის სახით წარმოვადგენთ ელინური სამყაროს ზოგიერთი მეგაპოლისების ისტორიას.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ი ა (ლათ. Alexandria) ძვ. წ. 332-331 წწ-ში ალექსანდრე მაკედონელის მიერ დაარსებული ქალაქი ეგვიპტეში, მდ. ნილოსის შესართავთან, თავდაპირველად სამხედრო-სტრატეგიული და ადმინისტრაციული ცენტრი. ძვ. წ. 323-30 წწ-ში პტოლემაიოსების დინასტიის დედაქალაქი გახდა, ასევე საერთაშორისო სავაჭრო და კულტურული ცენტრი. ქალაქი დააგეგმარა დეგინოკრატემ. „სამეფო კვარტალში" არსებობდა მმართველთა სასახლეები და აკლდამები, მუსეიონი, ბიბლიოთეკა, სერაპისის ტაძარი. კუნძულ ფაროსზე იდგა შუქურა, რომელიც 299-279 წწ.-ში აიგო და მისი სიმაღლე – 110 მეტრი იყო. ის 1326 წ. დაინგრა. ახ. წ. IV-V სს-ში ქალაქი ეკონომიკურ და კულტურულ კრიზისს განიცდიდა. მუსეიონი, ანტიკური მეცნიერების უკანასკნელი ციტადელი, 391 წ. დაინგრა წარმართებსა და ქრისტიანებს შორის ბრძოლის დროს.

ა ბ ი დ ო ს ი (ლათ. Abydus). ძვ. წ. VII ს-დან მილეტის სავაჭრო კოლონია და საყრდენი პუნქტი ჰელესპონტში. ძვ. წ. 411 წ. ათენელებმა აბიდოსთან სპარტელები დაამარცხეს. ალექსანდრეს აღმოსავლური ლაშქრობების დროს მისი პლაცდარმი იყო.

ა კ რ ა გ ა ნ ტ უ მ ი (ლათ. Agrigentum) მდებარეობდა სიცილიის სამხრეთ სანაპიროზე. გელას კოლონია. ძვ. წ. V სს-ში აკრაგანტუმის მოსახლეობა 80 ათას კაცს ითვლიდა (Diog., Laert., VIII, 7, 63). ძვ. წ. VI-V სს-ში აკრაგანტუმს ტირანები განაგებდნენ. მათ შორის განსაკუთრებულ ძლიერებას მიაღწიეს ფალაროსმა და ფერონმა. ძვ. წ. 480 წ. ჰიმერასთან ბრძოლაში აკრაგანტუმისა და გელას გაერთიანებულმა საჯარისო შენაერთებმა სასტიკად დაამარცხეს კართაგენის ძლიერი არმია. ძვ. წ. 405 წ. აკრაგანტუმი კართაგანელებმა დაიკავეს. პუნიკური ომების დროს პოლის-სახელმწიფო არაერთხელ იქნა გაძარცვული და დარბეული. ძვ. წ. 210 წ. რომაელებმა დაიპყრეს. ძვ. წ. 207 წ. რომის კოლონია გახდა. აკრაგანტუმი ემპედოკლეს სამშობლოდ ითვლებოდა. ის ბერძნულ სამყაროში სიმდიდრით ცნობილი ქალაქი იყო. აქ დიდი რაოდენობით მოჰყავდათ მარცვლეული, აწარმოებდნენ ღვინოს, ზეთს და საზღვარგარეთ გაჰქონდათ. ქალაქში მრავალი ლამაზი ნაგებობა იყო. შემორჩენილია რამდენიმე დორიული ტაძრის ნანგრევები: ჰერაკლეს, იუნონას, კონკორდის ტაძრები. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ოლიმპიელი ზევსის ტაძარი; პოლისში განთავსებული იყო საზოგადოებრივი შენობები, თევზეულის საწყობი.

გ ე ლ ა (Gela) როდოსულ-კრეტული კოლონია. დაარსდა ძვ. წ. 690 წ. სიცილიის სამხრეთ სანაპიროზე. ძვ. წ. V ს-ში აქ ტირანია დამყარდა. განსაკუთრებულ ძლიერებას ტირანი გელონი აღწევს. მან მრავალი ქალაქი დაიმორჩილა. ძვ. წ. V ს-ის 80-იან წლებში გელონმა სირაკუზი დაიკავა და ის თავის რეზიდენციად გაიხადა. მის დროს სირაკუზი სიცილიის პოლიტიკურ ცენტრად გადაიქცა.

ა მ ფ ი პ ო ლ ი ს ი. ქალაქი თრაკიაში ძვ. წ. 437 წ. დაარსდა; ათენის კოლონია. ძვ. წ. 424 წ. სპარტელებმა დაიპყრეს. ძვ. წ. 358 წლიდან მაკედონელებს ეკუთვნოდათ, ძვ. წ. 168 წ. რომაელებმა აიღეს. ქალაქის შესასვლელში აღმართული იყო ლომის ქანდაკება მსგავსი ხერონეას ლომის ქანდაკებისა.

ნ ა ვ კ რ ა ტ ი ს ი. ძველი ბერძნული ემპორიონი (სავაჭრო კოლონია) მილეტელების დაარსებული ძვ. წ. VII ს-ის შუა ხანებში. ძვ. წ. VI ს-ის დასასრულამდე ბერძნულ-ეგვიპტური სავაჭრო გზის მთავარი პუნქტი იყო. აქედან ბერძნებს გაპქონდათ ბალკანეთის საბერძნეთში მარცვლეული, სელი, პაპირუსი, ხოლო საბერძნეთიდან ეგვიპტეში შემოდიოდა ღვინო, ზეთისხილი და ნატიფი კერამიკა.

კ ო რ ნ ი თ ო. პელოპონესში, ისთმოსზე მდებარეობდა. ბერძნული მითოლოგიით სიზიფე (კორინთოს მეფე თუ დამაარსებელი) ოდისეევსის მამა იყო. მიკენის ეპოქის დასასრულს, ძვ. წ. XII ს-ში, აქ განსხვავებით თესალიისა და ლაკონიკისაგან უცხო და დამხვდურ მოსახლეობას შორის ურთიერთობა ნორმალური ჩანს. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ კორინთოში სამ დორიულ ტრიბესთან ერთად არადორიული ტრიბებია წარმოდგენილი, რაც აბორიგენი მოსახლეობის უფლებების გაზრდაზე მიუთითებს. ძვ. წ. VIII ს-ის შუა ხანებში კორინთოში მზადდება პროტოკორინთული სტილის კერამიკა. ძვ. წ. VII ს-ის შუა ხანებიდან კორინთული პროდუქცია ადგილს უთმობს ატიკურ შავლაკიან, შავფიგურულ და წითელფიგურულ კერამიკას. ძვ. წ. VIII ს-ში კორინთომ დაარსა შემდგომში ისეთი ცნობილი კოლონიები, როგორიც იყო: სირაკუზი, კერკირა და პოტიდეა. ძვ. წ. VII ს-ის 60 წლამდე კორინთოს ბაკხიადების დინასტია განაგებდა. მათი მმართველობის დროს, არისტოტელეს ცნობით, კანონმდებელმა ფიდონმა მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა დააწესა. ძვ. წ. 657 წ. არისტოკრატმა კიპსელოსმა ოლიგარქოსები დაამხო და ტირანია დაამყარა. მან მოსახლეობა დაასაქმა, უსაქმურებს სასჯელი დაუწესა, აკრძალა მონების ყიდვა-გაყიდვა. კიპსელოსის შვილი პერიანდროსი მკაცრი და დესპოტური ხასიათით გამოირჩეოდა. მის დროს კორინთო ძლიერი საზღვაო სახელმწიფო გახდა. ძვ. წ. 582 წ. ისთმური თამაშები დაწესდა. 456 წ. ეგინას წინააღმდეგ ათენის მოკავშირე იყო. მოგვიანებით ათენსა და კორინთოს შორის სავაჭრო კონკურენცია გამწვავდა, რაც პელოპონესის ომის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახდა. 395-387 წწ. კორინთოს ომში, ათენთან, ბეოტიასთან და არგოსთან ერთად, კორინთო სპარტის წინააღმდეგ იბრძოდა; 337 წ. კორინთოს კავშირის ცენტრი ხდება. 243 წ. აქეის კავშირის შემადგენლობაში შევიდა, ხოლო 146 წ. რომაელებმა ლუციუს მუმიუსის მთავარსარდლობით კორინთო დაანგრიეს. 44 წ. ნანგრევებიდან აღდგა და რომის კოლონიად გამოცხადდა. ძვ. წ. 27 წლიდან აქეის პროვინციის მთავარი ქალაქი გახდა. კორინთოში არსებობდა ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული თემი, რომელიც აპოსტოლმა პავლემ დააარსა. შემორჩენილია ძვ. წ. VI ს-ის აპოლონის დორიული ტაძრის მნიშვნელოვანი ნაწილი, ასევე რომაული ხანის ნაგებობათა ფრაგმენტები. ამერიკელი არქეოლოგების მიერ აღმოჩენილია პოსეიდონისა და თეატრის ნანგრევები.

ი ლ ი ო ნ ი . ეოლიური კოლონია ძვ. ტროას მახლობლად. განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა ელინიზმისა და რომის იმპერიის ეპოქაში. აქ აღმართული იყო ათენა ილიონელის ქანდაკება. მისი მეორე სახელწოდებაა ტროა.

კ ა ლ ხ ე დ ო ნ ი , ხალკედონი. ძვ. წ. 700 წ. მეგარელმა კოლონისტებმა დაარსეს პროპონტიდის სამხრეთ სანაპიროზე. ის მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო და ბოსფორზე მარცვლეულის გადაზიდვას აკონტროლებდა. ქალაქს სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა და ამიტომ სამხედრო კონფლიქტები სპარტასთან, ათენთან, მაკედონიასთან, გალატიასთან ხშირი იყო. ძვ. წ. 74 წ. რომაელებმა დაიკავეს.

კ ი ზ ი კ ო ს ი . მილეტელთა კოლონია პროპონტიდის სამხრეთ სანაპიროზე. მონაწილეობდა სპარსელთა წინააღმდეგ იონიის ქალაქთა აჯანყებაში. მოგვიანებით ათენის საზღვაო კავშირში შედიოდა. ძვ. წ. 410 წ. მოხდა საზღვაო ბრძოლა, სადაც ათენელებმა ალკიბიადეს მეთაურობით სასტიკად დაამარცხეს სპარტის ფლოტი.

მ ა ს ა ლ ი ა (Massalia, ახლანდელი მარსელი) იონიურმა ემპორიონმა ფოკეამ დაარსა ძვ. წ. 600 წ. მდ. რონას შესართავთან. განვითარებული იყო მევენახეობა, სელისა და ზეთისხილის წარმოება (Strabo, III, 4, 9, 16). ის დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო და ეტრუსკებსა და კართაგენელებს სავაჭრო ურთიერთობის სფეროში კონკურენციას უწევდა. ელინიზმის ეპოქაში მასალიამ მდ. რონადან ავინიონამდე ვრცელი ტერიტორია შემოიერთა. სტრაბონი მას მასალიოტიდას უწოდებს (strabo, IV, 1, 4). მისივე ცნობით, მასალიოტებმა გამაგრების მთელი სისტემა ააშენეს (strabo, IV, 1, 9). ძვ. წ. II ს-ში მასალია მეგაპოლისი გახდა.

რომაელების მიერ მასალიის დაპყრობის შემდეგ ის დასავლეთში ბერძნული კულტურის გავრცელებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა. მარსელში შემორჩენილია ანტიკურობის უმნიშვნელო ძეგლები.

მ ე გ ა პ ო ლ ი ს ი (Megapolis) არკადიის კავშირის პოლიტიკური ცენტრი, რომელიც ძვ. წ. 371 წლის ლევკტრას ბრძოლის შემდეგ დაარსდა. მან განსაკუთრებული როლი შეასრულა სპარტელებთან ბრძოლაში.

კ ო ს ი დოდეკანესის (სამხრეთ სპორადი) სიდიდით მეორე კუნძული; ის ჯერ კიდევ მიკენის ეპოქაში ჩანს დასახლებული. ძვ. წ. XII ს-ში დორიელებმა დაიკავეს. ბერძენ-სპარსელთა ომის დროს სპარსელთა მხარეს იბრძოდა; შემდეგ ათენის I და II საზღვაო კავშირის წევრი იყო, მაგრამ ათენელებს გაუნაწყენდა და ელინისტურ ეპოქაში პტოლემაიოსების დაქვემდებარებაში აღმოჩნდა. ძვ. წ. IV ს-ში ასკლეპიოსის სამლოცველო აიგო და მოგვიანებით მისი არეალიც გაფართოვდა. დღემდე შემორჩენილია აქ რამდენიმე ტაძრისა და პავილიონის ტიპის შენობათა ნანგრევები. სამლოცველოს ტერიტორიაზე 1900-1904 წწ. არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას ანარმოებდა რ. ჰერცოგი.

კოსი სახელგანთქმული იყო ტანსაცმლის წარმოებით. კოსური გამჭვირვალე ქსოვილები ექსპორტის საგანს წარმოდგენდა. ასევე ის ცნობილი იყო ღვინის წარმოებით. კოსური ღვინო წარმატებით უწევდა კონკურენციას ლესბოსსა და ქიოსს, რომლებიც საუკეთესო ღვინის მწარმოებლად ითვლებოდა მაშინდელ ოიკუმენაში (იხ., Strabo, XIV, II, 19).

დ უ რ ა – ე ვ რ ო პ ო ს ი (ბერძნ. Dura-Europos) ახლანდელი კალატეს-სალიხია, ქალაქი მდ. ევფრატზე. დაარსდა ძვ. წ. 302 წელს. ის, თავდაპირველად, სამხედრო

კოლონია იყო; ქალაქის დაარსების დროიდან დურა-ევროპოსმა პოლისის სტატუსი მოიპოვა, ხოლო სელევკიდებისა და პართელთა ბატონობის პერიოდშიც თვითმმართველობა შეინარჩუნა (Кошеленко, 1979, გვ. 94). ანტიოქოს I დროს, დურა-ევროპოსი საკუთარ მონეტებს ჭრიდა. პოლისის არსებობის მანძილზე დურა-ევროპოსის მოსახლეობის ძირითად კონტინგენტს ბერძენ-მაკედონელები შეადგენდნენ. ძვ. წ. 100 წლიდან პოლისი პართიის სამეფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა, ხოლო ახ. წ. 116 წ. მას რომაელები დაეუფლნენ. ახ. წ. II-III სს-ში აქ რომაული სამხედრო შენაერთები იდგა. ახ. წ. 242 წ. სასანიანთა სახელმწიფოს შემადგენლობაში იმყოფებოდა. ახ. წ. 363 წლისათვის ქალაქი ნანგრევებად იყო ქცეული.

დურა-ევროპოსი არქეოლოგიურად საკმაოდ კარგადაა შესწავლილი. 1928-1936 წწ-ში აქ ჯერ ფრანგული არქეოლოგიური ექსპედიცია ფ. კიუმონის, ხოლო შემდეგ ამერიკული მ. როსტოვცევის ხელმძღვანელობით არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას აწარმოებდა. აღმოჩენილია საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და სატაძრო კომპლექსები, მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი კერამიკული და ლითონის ნაწარმი, ბერძნული წარწერები, მონეტები.

ო ლ ი მ პ ი ა. ზევსის სალოცავი ელიდაში, ოლიმპიური თამაშების ადგილი. მითის თანახმად, პელოპსმა ეტლების შეჯიბრში პისის მეფე ენომაეზე გაიმარჯვა და ჯილდოს სახით ენომაეს ქალიშვილი ჰიპოპოდამოსი შერთეს ცოლად. მის საპატივსაცემოდ ეტლების შეჯიბრი დაწესდა. ზევსის სალოცავი ჰერაკლემ დააფუძნა. მანვე თავისი მამის (ზევსის) პატივისცემის ნიშნად საყოველთაო ბერძნულ თამაშებს ჩაუყარა საფუძველი. მთავარი საკულტო ნაგებობები სალოცავის ტერიტორიაზე მდებარეობდა. უძველეს ნაგებობას განეკუთვნება ჰერას ტაძარი (ძვ. წ. VII ს. შუა ხანებში), რომლის მხოლოდ საძირკველია შემორჩენილი. ზევსის პირველი ტაძარი აგებულია ძვ. წ. V ს-ში, რომელიც დორიული სტილისაა. ის მიწისძვრის შედეგად დაინგრა. ოლიმპიაში აღმართული იყო მჯდომარე ზევსის ოქროს ქანდაკება ფიდიასისა. აქვე იყო ფილიპეიონი – მრგვალი ნაგებობა, რომლის აგება ფილიპე მაკედონელმა დაიწყო და ალექსანდრემ დაასრულა, ასევე თეოკოლეონი – ქურუმთა სახლი.

კ ი რ ე ნ ა – ქალაქი და ოლქი (კირენაიკა) ჩრდილოეთ აფრიკაში. ძვ. წ. 630 წ. აქ თერას კოლონისტებმა ახალშენი დაარსეს. ის მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი გახდა. აქედან იგზავნებოდა სილფიები, რომლებიც დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა, როგორც სანელებელი და წამლის მცენარე. კირენა იყო ერთადერთი ბერძნული კოლონია, სადაც სამეფო ხელისუფლება არსებობდა. კირენამ განსაკუთრებული მნიშვნელობა სამედიცინო და ფილოსოფიური სკოლების (კალიმახე, ერატოსთენე) წყალობით მოიპოვა. ძვ. წ. IV ს-ში ის პტოლემაიოსებმა დაიმორჩილეს, ხოლო ძვ. წ. I ს-ის დასაწყისში რომაელებმა. ახ. წ. 117 წ. იუდეველთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ კირენა დაცარიელდა. შემორჩენილია ბერძნულ-რომაული არქიტექტურის ნიმუშები, მათ შორის არქაული ხანის აპოლონის ტაძრის, იმპერატორების ეპოქის თეატრისა და თერმას ნანგრევები.

კ ნ ი დ ო ს ი – დორიული საპორტო ქალაქი მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. მან სახელი გაითქვა ექიმთა სკოლითა და აფროდიტეს ტაძრით. ძვ. წ. 349 წ. ათენელმა კონონმა, რომელიც სპარსელთა ფლოტის ადმირალი იყო სპარტული ფლოტი გაანადგურა. ქალაქში აღმართული იყო აპოლონ ტრიონიის ტაძარი.

კ უ მ ე (ლათ. Cumae) ბერძენთა უკიდურესი ჩრდილოეთის კოლონია იტალიაში, დაარსებული ქალკიდის მიერ 750 წ. რომში ბერძნული კულტურის ელემენტები ძირითადად კუმედან ვრცელდებოდა. ძვ. წ. 474 წ. კუმესთან ბრძოლაში ჰიერონ I-მა ეტრუსკებზე გაიმარჯვა. 421 წ. ქალაქი სამნიტებმა აიღეს. 338 წ. კუმელებმა რომის მოქალაქეობის სტატუსი მოიპოვეს. მოგვიანებით კუმე რომის კოლონია გახდა. შემორჩენილია აპოლონის ტაძრის, სიბილას მღვიმის თაღის ფრაგმენტები, ბერძნული ნეკროპოლისი.

მ ა ნ ტ ი ნ ე ა (ლათ. Mantinea) ჩრდილო არკადიის მთავარი ქალაქი. ძვ. წ. 425-421 წწ-ში დემოკრატიული პრინციპებით იმართებოდა, რამაც სპარტასთან ურთიერთობა გაამწვავა. 418 წ. სპარტის მეფემ აგის III მანტინეასთან ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა მანტინიელების, არგივიანებისა და ათენელების კოალიციური ლაშქარი. 362 წ. აქ ეპამინონდემ დაამარცხა ანტითებეური კოალიცია (სპარტა, ათენი, მანტინეა). 223 წ. მაკედონიის მეფემ ანტიგონემ მანტინეა დაანგრია და ამიტომ მისი მოსახლეობა მონობაში აღმოჩნდა, ხოლო ქალაქს ანტიგონეა ეწოდა.

კ ო ლ ო ფ ო ნ ი – იონიელთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი ლიდიაში. გადმოცემით ის პილოსელმა ანდრემონომემ დააარსა. ქალაქი ზღვიდან 3 კმ-ის დაშორებით, მდ. ჰაკესის სანაპიროზე მდებარეობდა. ზღვის სანაპიროზე მას საკუთარი ნავსადგურ-ქალაქი ნოტიონი ჰქონდა. არქაულ ეპოქაში კოლოფონი მსხვილი და აყვავებული ცენტრი იყო; წყაროები განსაკუთრებით ხაზს უსვამს მის სამხედრო ძლიერებას. ასეთი ხატოვანი გამოთქმაც არსებობდა „აღებულია კოლოფონის დახმარებით", სხვა სიტყვებით – „გამარჯვებას უზრუნველყოფდა" (Herod. I, 142; Strabo, XIV, 1, 3, 28; Liv., XXXVII, 26). მაგრამ ძვ. წ. VI საუკუნიდან კოლოფონმა უწინდელი მნიშვნელობა დაკარგა, რაც მეზობელი ლიდიის აგრესიას უკავშირდება. დროის გარკვეულ ეტაპზე ქალაქი გიგიესის მფლობელობაში აღმოჩნდა. შემდეგ დიდი ზარალი კრეზოსმა მიაყენა (Herod, I, 14, 16). სპარტელთა მიერ ქალაქის დაპყრობას შედეგად მოჰყვა VI ს-ის მეორე ნახევრიდან კოლოფონელთა მნიშვნელოვანი ნაწილის გადასახლება სამხრეთ იტალიასა და თრაკიაში. ძვ. წ. V ს-ში კოლოფონი ათენის „არხეში" შედიოდა, ხოლო 450 და 446 წწ. ათენის გარნიზონი ჩადგა და აქ დემოკრატიული მმართველობის ფორმა დამკვიდრდა. პელოპონესის ომის დროს ქალაქი კვლავ სპარსელებმა დაიკავეს (Thuc., III, 34). ცნობილია ასევე, რომ ლისიმახემ კოლოფონელები ეფესოში გადაასახლა (Paus., I, 9; VII, 3), ხოლო ძვ. წ. I ს-ში ქალაქი მეკობრეებმა მიიტაცეს (Cic. de imp. Gn. Pomp, XII, 33).

ქალაქის ეკონომიკის შესახებ მწირი ცნობები გაგვაჩნია. არისტოტელე აღნიშნავდა, რომ კოლოფონელების უმრავლესობა, ლიდიელთა შემოესევებამდე, მნიშვნელოვან უძრავ ქონებას ფლობდა (Pol., IV, 3, 8). საფიქრებელია, რომ ასეთი დოვლათიანობის საფუძველი განვითარებული მინათმოქმედება უნდა ყოფილიყო. ძველი ავტორების ცნობებით, ჯერ კიდევ არქაიკის პერიოდში, კოლოფონელები თრაკიაში ოქროს მაღაროებს ფლობდნენ. ძველთაგანვე განთქმული იყო კოლოფონური ფისი, რომელიც „კანიფოლად" (ლათინურად „Resina Colophonia") იწოდებოდა (Plin., NH., XIV, 25, 2). მართალია, კოლოფონის „ოქროს ხანა" ძვ. წ. VI ს-ში დასრულდა, მაგრამ ის არსებობას შემდგომ საუკუნეებშიც აგრძელებდა, როგორც „საშუალო" ეკონომიკური მნიშვნელობის პოლისი, რაზეც მიუთითებს რომაელებისაგან მისთვის მინიჭებული იმუნიტეტის სტატუსი (Liv., XXXVIII, 39).

გარკვეულ ეტაპზე კოლოფონი დამღიან კერამიკულ ტარას აწარმოებდა. კოლოფონური კონუსურტანიანი ცილინდრული ამფორები ჯერჯერობით მცირე რაოდენობით დადასტურებულია ალექსანდრიაში, ფაიუმში, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებში – გორგიპიაში, ოლბიაში, ელიზავეტის ნაქალაქარზე.

მ ე გ ა რ ა – სავაჭრო ქალაქი შუა საბერძნეთში, ამასთან ათენის კონკურენტი. ათენის მიერ კუნძულ სალამინის დაპყრობის შემდეგ (600 წ.) მისი სავაჭრო მნიშვნელობა შემცირდა. ძვ. წ. 432 წ. ათენის სახალხო კრების გადაწყვეტილებით მეგარელ ვაჭრებს ათენსა და მის მოკავშირე პოლისებში პროდუქციის გაყიდვა აეკრძალათ (ე.წ. „მეგარის პსეფიზმი"). ეს პელოპონესის ომის გაჩაღების ერთ-ერთი მიზეზი იყო.

რ ო დ ო ს ი – დაარსდა ძვ. წ. 408-407 წწ-ში. არისტოტელეს ცნობით, სასჯელის თავიდან აცილების მიზნით, „ცნობილი ადამიანები აჯანყდნენ ხალხის წინააღმდეგ" (Polit. II, გვ. 16).

როდოსი ელინისტური სამყაროს არა მარტო მსხვილი ეკონომიკური და პოლიტიკური, არამედ მხატვრული ხელოსნობის ცენტრი იყო. აქ დაფუძნდა და განვითარდა მოქანდაკეთა განსაკუთრებული სკოლა. ქვეყნიერების შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთად ითვლებოდა „როდოსის კოლოსი" – მზის ღმერთის ჰელიოსის ბრინჯაოს გიგანტური ქანდაკება, რომლის სიმაღლე 31 მეტრს აღწევდა. ის ძვ. წ. 276 წ. შექმნა ლისიპეს მოწაფე ხარესმა. ქანდაკება ნავსადგურს ამშვენებდა და ერთდროულად შუქურის მოვალეობასაც ასრულებდა. ძვ. წ. 220 წ. ძლიერი მიწისძვრის შედეგად კოლოსი დაინგრა და აღარ აღდგენილა.

ქალაქი განლაგებული იყო ყურის გარშემო, როგორც „თეატრი ორქესტრას გარშემო". ქალაქს ორი ნავსადგური – სავაჭრო და სამხედრო ჰქონდა. სამხედრო ნავსადგური გულმოდგინედ იყო დაცული, ვინაიდან როდოსელები სამხედრო გემებზე ახალ ტექნოლოგიებს ინახავდნენ.

როდოსის აყვავება მნიშვნელოვნად განპირობებული იყო მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით. ის დასავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის გზაჯვარედინზე მდებარეობდა. როდოსი აქტიურ საზღვაო ვაჭრობას ეწეოდა. მისი მასშტაბები დასტურდება როდოსული დამღიანი ამფორების აღმოჩენით ანტიკური სამყაროს ყველა რეგიონში. როდოსის ექსპორტს შეადგენდა ძირითადად მარცვლეული, ხშირად ეგვიპტური წარმომავლობის, ღვინო და ზეთისხილი. ეპიგრაფიკული მონაცემებით, როდოსზე ყოფილა იარაღის მრავალრიცხოვანი სახელოსნოები, რომელთა ნაწარმი უცხოეთის ქვეყნებში გაჰქონდათ. ძვ. წ. 165 წ. რომის სენატში ცხარე დებატების დროს გაირკვა, რომ როდოსის ნავსადგურით სარგებლობისათვის, როდოსელთა წლიურმა შემოსავალმა 1 მლნ. დრაქმა შეადგინა.

როდოსი საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას ხელს უწყობდა. მან გამოაცხადა „ზღვების თავისუფლება". ამ პრინციპს ის ერთგულად იცავდა. როდესაც ბიზანტიამ შავიზღვისპირეთის სრუტეებით სარგებლობისათვის ბაჟი დააწესა, როდოსმა ბიზანტიას ომი გამოუცხადა. როდოსის მოქალაქეებს მთელ რიგ ქალაქებში უბაჟო ვაჭრობის უფლება ებოძათ. ეს იმით იყო განპირობებული, რომ როდოსს პურის ფასი არ გაეზარდა. მთელ რიგ ზღვისპირა ქალაქებში ფუნქციონირებდა როდოსელთა ტრაპეზიტების ოფისები. როდოსი შეუპოვრად ებრძოდა მეკობრეებს. მისი სამხედრო ფლოტი ხმელთაშუაზღვისპირეთში ერთ-ერთი უძლიერესი იყო. ძვ. წ. 250 წლიდან როდოსუ-

ლი ფლოტი აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში საკაბოტაჟო ნავიგაციის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. როდოსზე შეიქმნა სპეციალური „საზღვაო სამართალი“, რომელმაც რომაელებისა და ბიზანტიელების წყალობით ჩვენს დრომდე მოაღწია.

როდოსში ოლიგარქიული წყობა იყო. როდოსი სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებში გაერთიანებას გაურბოდა. ამავე დროს ის, ფაქტობრივად, კონკრეტულ მომენტში ორიენტირებული იყო ძლიერ პოლიტიკურ ძალაზე. თავდაპირველად მას მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა ეგვიპტესთან, ხოლო შემდეგ ის რომის საიმედო პარტნიორი გახდა. მაგრამ რომსა და როდოსს შორის ურთიერთობა გაუარესდა. რომის რესპუბლიკისა და მაკედონიის მეფის პერსევსის დაპირისპირების დროს, რომაელთა აზრით, როდოსმა არასაკმარისი ლოიალობა გამოიჩინა და ამიტომაც როდოსელები სასტიკად დაისაჯნენ. რომმა როდოსელებს მცირე აზიის სამფლობელოები ნაართვა, გარდა ამისა დელოსი „თავისუფალ ნავსადგურად“ გამოაცხადა, რითაც როდოსის მნიშვნელობა მკვეთრად შეამცირა.

დ ე ლ ო ს ი (ბერძნ., Delos) ახლანდელი დილოსი. ეგეოსის ზღვის კუნძული, კიკლადების არქიპელაგის ცენტრში მდებარეობდა. მითების თანახმად, ლატონმა აქ გააჩინა აპოლონი და არტემიდე. დელოსზე აპოლონის კულტი პოპულარული იყო. ის ბერძნული ამფიქტიონის მნიშვნელოვან ცენტრად ითვლებოდა. ძვ. წ. 491 ქემენიანთა იმპერიის სისტემაში აღმოჩნდა. სპარსელთაგან განთავისუფლების შემდეგ (ძვ. წ. 478-477 წწ-ში) ათენის საზღვაო კავშირის წევრი ხდება. ალიანსის ხაზინა დელოსზე განთავსდა. ძვ. წ. 425 წ. ათენელებმა კუნძულზე დააწესეს დელიური თამაშები, რომლებიც ოთხ წელიწადში ერთხელ იმართებოდა. ათენელთა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ, ძვ. წ. 314 წლიდან ის საბერძნეთის კუნძულების კავშირის ცენტრი გახდა.

ძვ. წ. 166 წ. დელოსი „თავისუფალ ნავსადგურად“ გამოცხადდა, რამაც მის ძლიერებასა და განვითარებას ხელი შეუწყო. სტრაბონის ცნობით, „თუმცა დელოსი გახდა სახელგანთქმული, მაგრამ მისი დიდება გაიზარდა, როდესაც კორინთო დაინგრა. ვაჭრები დელოსში ბაჟებს არ იხდიდნენ. მათ იზიდავდათ დელოსის მოხერხებული ნავსადგური“ (XIII, 2, 7).

დელოსის ეკონომიკის ძირითად სექტორს აპოლონის ტაძრის მეურნეობა წარმოადგენდა. ტაძრის ქონებას შეადგენდა მამულები, ასევე შენობა, რომელიც არენდით (სასტუმროები, საცხოვრებელი სახლები, სახელოსნოები) გაიცემოდა; არენდის ხანგრძლივობა, ჩვეულებრივ, ხუთი წელი იყო. ტაძრის შემოსავლის გაზრდის მიზნით, მისი ადმინისტრაცია ახალ შენობებს აგებდა. ძვ. წ. II ს-ის 60-იან წლებში ტაძრის მფლობელობაში იყო 30 სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები. ტაძრის შემოსავალი იზრდებოდა ასევე შემოწირულობებით, რომლებიც მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთიდან, უპირატესად, მეფეებისაგან იგზავნებოდა, როგორიცაა ძვირფასი ლითონის ქანდაკებები, ჭურჭელი, საკულტო საგნები. ისინი ინახებოდა დანომრილ თაროებზე, ყოველწლიურად ხდებოდა მათი ინვენტარიზაცია. მონეტები ინახებოდა ჭურჭელში. თითოეულ ჭურჭელს ერთვოდა ეტიკეტი, სადაც მონეტების რაოდენობა იყო მითითებული.

დამოუკიდებლობის პერიოდში კუნძულზე უცხოელი ვაჭრების მოზღვავება შეინიშნებოდა. მათი რიცხვი ათენელთა ბატონობის დროს განსაკუთრებით გაიზარდა. უცხოელებს კუნძულზე მიწისმფლობელობის უფლება არ ჰქონდათ. ისინი პოლიტიკური უფლებებითაც არ სარგებლობდნენ. მაგრამ მათი ეკონომიკური პოტენციალი

ისეთი დიდი იყო, რომ ათენის ხელისუფლებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდნენ. უცხოელი ვაჭრები „საძმოებში" ერთიანდებოდნენ. ასეთი საძმოების ცენტრი ტაძარი იყო. ისინი ვაჭრობდნენ სურნელოვანი ზეთით, სპილოს ძვლით, რომლებიც სირია-ფინიკიიდან და ალექსანდრიის ნავსადგურებიდან შემოდიოდა. მაგალითად, ცნობილია, რომ დელოსის გზით მარცვლეულის ტრანსპორტირება ხდებოდა მაკედონიაში, ხოლო აქედან იცვლებოდა ხე-ტყეზე და ფისზე. მაგრამ მალე ვაჭრობის მთავარი ობიექტი მონები გახდნენ. სტრაბონი წერს: „სწორედ დელოსს შეეძლო ერთ დღეში მიეღო და გაეყიდა ათასობით მონები. აქედან წარმოსდგა ცნობილი ანდაზა: „ვაჭარო შეჩერდი და დაცალე ხომალდი, ყველაფერი გაყიდულია" (XIII, 8, 9). ამის მიზეზი იყო ის, რომ კართაგენისა და კორინთოს განადგურების შემდეგ, რომაელები გამდიდრდნენ და მონათა დიდ რაოდენობას საჭიროებდნენ. ძვ. წ. 130 წ. დელოსელი მონების დიდი მღელვარება მოხდა.

კუნძულის აღმავლობა სამშენებლო სფეროში გამოიხატა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა შესანიშნავად მოწყობილი ნავსადგურის, საწყობების, ტაძრების, საცხოვრებელი ნაგებობების, აგორის ნაშთები. საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობები მოზაიკით იყო მორთული. ყველაფერი ეს ძვ. წ. 88 და 69 წწ-ში პონტოს მეფემ მითრიდატე VI ევპატორმა დაარბია, რის შემდეგაც მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი გაუკაცრიელდა. შემდგომში ის ღრმა ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა, ვინაიდან ძვ. წ. 30 წლიდან აღმოსავლეთის მთავარი სავაჭრო ცენტრი ალექსანდრია გახდა.

დელოსი არქეოლოგიურად საკმაოდ კარგადაა შესწავლილი. ფრანგმა არქეოლოგებმა აქ გამოავლინეს ძვ. წ. VI ს-ში ნაგები აპოლონის საკურთხეველი სამი დორიული ტაძრით. ტაძრების გაყოლებაზე განლაგებული ყოფილა გალერეა და მცირე ტაძარი. საკურთხევლის გარეთ დაფიქსირდა ბაზრის მოედანი, ტაძარი და თეატრი. ლატონის ტაძარსა და წმინდა ტბის შემაერთებელი გზის გასწვრივ აღმართული ყოფილა ძვ. წ. VI ს-ის ლომების მასიური ქანდაკებები. ელინისტური ხანის მრავალრიცხოვან ნაგებობათა შორის გამოირჩევა ძვ. წ. II ს-ის ე.წ. „დელფინის სახლი".

სირაკუზი – სიცილიის ქალაქთა გაერთიანების დედაქალაქი. ბერძნულ-აღმოსავლური დედაქალაქების წარმოქმნის შემდეგაც მნიშვნელოვან ცენტრად რჩებოდა. ციცერონი მას ბერძნულ ქალაქთა შორის დიდ და ლამაზ ქალაქად მოიხსენიებდა (Cic., in cerr, Secund, IV, 52); ელინისტურ ეპოქაში, სირაკუზში და, საერთოდ, სიცილიის ქალაქებში მეცნიერებამ და ტექნიკამ მაღალ დონეს მიაღწია. ჰიერონ სირაკუზელმა „ხომალდი ვილა" ააგო.

სიბარისი – სტრაბონის მიხედვით, მისი ტერიტორია 50 სტადიუმს (9,35 კმ.) აღემატებოდა (VI, 1, 13), ხოლო მოსახლეობა ფსევდოსკიმნოსის (Ps. Skumn, 341) თანახმად 100 ათასს, სტრაბონისა (VI, 1, 13) და დიოდორე სიცილიელის მიხედვით (X, 23) 300 ათასს შეადგენდა. ქალაქი კეთილმოწყობილი იყო რაციონალური საირიგაციო სისტემით. ქალაქში არსებობდა თერმები, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები, ხოლო ქუჩები მცხუნვარე მზისაგან ფარდულებით იყო დაცული. ეკოლოგიური ვითარების გაუმჯობესების მიზნით, ხელოსნური საწარმოები ქალაქის გარეუბანში იყო გადატანილი. სიბარიტელები კომფორტულად ცხოვრობდნენ. მათ ქალაქგარეთ, ზაფხულის ცხელ დღეებში დასვენებისათვის, ხელოვნური მღვიმეები ააშენეს.

ჰ ა ლ ი კ ა რ ნ ა ს ი (ბერძნ. Halikarnassos), ახლანდელი ბოდრუმი. დორიელთა დიდი ქალაქი მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე, რომელიც ძვ. წ. XII ს-ში არგოლიდელმა კოლონისტებმა დააარსეს. ჰეროდოტეს სამშობლო 560-548 წწ-ში ლიდიელთა მფლობელობაში იყო, ხოლო შემდეგში უცხო ხელისუფლების (სპარსეთი, ათენი, სპარტა, რომი) მორჩილებაში. ბერძენ-სპარსელთა ომის დროს ჰალიკარნასის მმართველი არტემიზიას I სპარსელთა მოკავშირე იყო. ლიგდამიდეს ტირანიის დროს ჰალიკარნასში შეეცადნენ, რომ დემოკრატიული მმართველობა დაემყარებინათ. 454 წ. ათენის საზღვაო კავშირში შედიოდა. ქალაქმა მნიშვნელოვან წარმატებას მეფე მავსოლის (გარდ. 353) და მისი მეუღლის არტემიზია II დროს მიაღწია. აქ იყო მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრებათაგანი – მავსოლეუმის აკლდამა. 333 წ. ალექსანდრე მაკედონელის ბრძანებით ქალაქი დაანგრიეს. ამიერიდან ქალაქმა დაკარგა პირვანდელი მნიშვნელობა.

მ ი ტ ი ლ ე ნ ა – კუნძულ ლესბოსის პოლიტიკური ცენტრი, რომელიც ათენის საზღვაო კავშირში შედიოდა. ძვ. წ. 428 წ. ათენის სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის დატოვების მცდელობის გამო, ათენელებმა ქალაქი დაიკავეს და მეამბოხეები სასტიკად დასაჯეს. მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრი იყო. აქ მოღვაწეობდნენ ალკეოსი და საფო.

ქ ი ო ს ი – იონიური საბერძნეთის ერთ-ერთი უდიდესი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი. ქიოსი შავიზღვისპირეთის ბაზარზე ღვინის ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტიური მიმწოდებელი იყო. ქიოსში მზადდებოდა ასევე სხვადასხვა ტიპის ამფორები. ანტიკურ ავტორთა ცნობებით, პირველად შავი ღვინო აქ ჩამოასხეს. ძვ. წ. VII ს-დან II ს-მდე ქიოსური ამფორები დადასტურებულია მაროკოდან შავი ზღვის სანაპიროებამდე. ამ ცენტრის ამფორების რაოდენობა გვავარაუდებინებს, რომ როდოსისა და კნიდოსის ამფორებთან შედარებით აღნიშნული ცენტრის ღვინო საკმაოდ ძვირი იყო.

ქიოსის პროდუქციის იმპორტი კოლხეთში ძვ. წ. VII ს-ის დასასრულსა და VI ს-ის დასაწყისიდან იწყება, მაგრამ მას ჯერ კიდევ არა აქვს რეგულარული ხასიათი. ძვ. წ. VI ს-ის შუა ხანებიდან შეინიშნება ქიოსის ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა კოლხეთთან.

ო ლ ი ნ თ ო ს ი – ქალაქი ქალკიდაში, ძვ. წ. 432 წლიდან ქალკიდის კავშირის ცენტრია. ძვ. წ. 379 წ. ის სპარტელებმა აიღეს. 349-348 წწ-ში ფილიპე II დაანგრია. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია მდიდრული საცხოვრებელი სახლები, დაგეგმარებული ჰიპოდამური სტილით.

ტ ა რ ე ნ ტ უ მ ი – (ლათ., Tarent, ბერძნ. Taras, იტალ., Taranto) ქალაქი – ნავსადგური სამხრეთ იტალიაში. ტარენტუმი ჯერ კიდევ მიკენის ეპოქაში ჩანს დასახლებული. ის სპარტელებმა ძვ. წ. 708 წ. დააარსეს. ტარენტუმი განთქმული იყო კერამიკულ ნაწარმითა და საფეიქრო წარმოებით. ძვ. წ. IV ს-ში პოლისი განვითარების კულმინაციას აღწევს. არხიტე ტარენტელის დროს (ფილოსოფოსი, პითაგორელი იყო), ტარენტუმი იტალიის ბერძნულ ქალაქთა კავშირის მეთაური ხდება; ძვ. წ. 272 წ. რომის მოკავშირეა. 219-208 წწ. ჰანიბალი ფლობდა. ძვ. წ. 123 წ. ტარენტუმი რომის კოლონიად გამოცხადდა. ახ. წ. VI ს-ში ბიზანტიის ქალაქად გადაიქცა. დღემდე შემორჩენილია ფორუმის, თეატრის, მუსეიონის ნანგრევები. დღესაც ფუნქციონირებს ძველი წყალმომარაგების სისტემა.

მ ი ლ ე ტ ი (ბერძნ., Miletos) ევსევის ქრონიკის თანახმად ის ძვ. წ. 1087 წ. დაარსდა. მისი მეტროპოლისის შესახებ ანტიკურ ავტორთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. მილეტი, ჰეროდოტეს ცნობით, ათენის კოლონიად ითვლებოდა (V, 97); სტრაბონის მიხედვით კი ის კარიელების ახალშენი ყოფილა (XII, 8, 5). მილეტი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მდ. მეანდროსის შესართავთან, ლატმოსის ყურის პირას მდებარეობდა. ის გაშენებული იყო კონცხზე, რომელსაც ოთხი ნავსადგური ესაზღვრებოდა და დაცული იყო კუნძულებით: ლიდეთი, დრომისკოთი და პერნეთი. მილეტში განვითარებული იყო ხელოსნობა (კერძოდ, კერამიკული წარმოება), სოფლის მეურნეობა (მეტადრე მეცხვარეობა). აქ იჭრებოდა მონეტები, მაგრამ მილეტის ეკონომიკური ძლიერების საფუძველს მაინც ვაჭრობა წარმოადგენდა. ანტიკური ტრადიცია მილეტს 80 თუ 90 კოლონიის დაარსებას მიაწერს. მრავალი მათგანი მდებარეობდა შავი ზღვისპირეთის სანაპიროებზე (აბიდოსი, კარდია, სინოპე, ოლვია, პანტიკაპეონი).

ძვ. წ. 600 წ. მილეტი ეკონომიკური და კულტურული განვითარების ზენიტს თრასიბულეს ტირანის დროს აღწევს. ქალაქი ადრებერძნული ფილოსოფიის კერად ითვლებოდა. ე.წ. ნატურფილოსოფიის კოლოსები თალესი, ანაქსიმანდრე და ანაქსიმენი მილეტელები იყვნენ, ასევე ცნობილი ლოგოგრაფოსები – ჰეკატე, კადმოსი და დიონისე.

ძვ. წ. 500 წ. მილეტი სპარსელების წინააღმდეგ იონიის ქალაქთა აჯანყებას ედგა სათავეში, რომელსაც 494 წ. სპარსელები სასტიკად ახშობენ და მიწასთან ასწორებენ. ქალაქი ნანგრევებისაგან აღდგა მიკალესთან (479 წ.) ბერძენთა გამარჯვების შემდეგ. პელოპონესის ომის დროს მილეტი ხან ათენის, ხან სპარტის მხარეზე იბრძოდა. მმართველობის ფორმაც (დემოკრატია, ოლიგარქია) ხშირად იცვლებოდა. ძვ. წ. 387 წ. კარიის მეფის მავსოლის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა. 334 წ. ალექსანდრე მაკედონელმა დაიპყრო.

ელინიზმის ეპოქაში მილეტის მოსახლეობა 70-100 ათასს შეადგენდა. ეს იყო დიდი ქალაქი, მრავალრიცხოვანი ქანდაკებებით, საცხოვრებელი სახლების კოლონადებითა და პორტიკებით. ქალაქში რამდენიმე ბაზარი იყო. კერძოდ, ჩრდილოეთის ბაზარი ოთხკუთხა ფორმის, ორსართულიანი იონიური პორტიკით, ხოლო დასავლეთის ბაზრის მოედანი კი 15 ათას კვ. მ-ს მოიცავდა. მას აღმოსავლეთით ემიჯნებოდა 78 სავაჭრო პუნქტები – დუქნები, სანყობები, ოფისები. რომის იმპერიის ეპოქაში, განსაკუთრებით ახ. წ. II ს-ში, ქალაქი სავაჭრო და კულტურული ცენტრის მნიშვნელობას ინარჩუნებდა.

1899-1914 წწ-ში გერმანელმა არქეოლოგებმა გამოავლინეს ელინისტური და რომაული ეპოქების ტაძრების, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დიანიშნულების ნაგებობათა ნაშთები.

ა მ ი ს ო ს ი (Amisos) მდებარეობდა სამხრეთ შავიზღვისპირეთში. მისი დაარსების შესახებ ძველ დროში აზრთა სხვადასხვაობა იყო. მაგ., სტრაბონის ცნობით, მისი პირველი მოახალშენენი მილეტელები იყვნენ, მეორე მოახალშენეები ჯერჯერობით დაუდგენელია, ხოლო მესამეს ათენელები შეადგენდნენ. ფსევდოსკიმნოსი კი ამისოს ფოკეელთა კოლონიად მიიჩნევდა (Ps-Skumn., 917).

ამისოს დაარსების თარიღად ძვ. წ. V ს-ის შუა ხანები, დაახლ., ძვ. წ. 560 წ. ითვლება; ამისოსი ლოკალიზდება თანამედროვე ქალაქ სამსუნის დასავლეთით, ყარასამსუნის ტაფობზე.

ამისოსი ძვ.წ. VI-I სს-ში შავიზღვისპირეთის მნიშვნელოვანი სამრეწველო-საჵარო ცენტრი იყო. აქ დიდი რაოდენობით იჭრებოდა მონეტები, რომლებიც მთელ შავიზღვისპირეთსა და, მათ შორის, კოლხეთშიც ცირკულირებდა. ძვ. წ. II ს-ში ამისოსი პონტოს სამეფოს მთავარი ცენტრი იყო. პონტოს მეფის ფარნაკე II-ის დამარცხების შემდეგ, ძვ. წ. 47 წ. გაიუს იულიუს ცეზარმა ამისოს თავისუფალი ქალაქის სტატუსი მიანიჭა (Dio Cas., XI, 64).

ამისოსში სტაციონარული არქეოლოგიური გათხრები არ ჩატარებულა. ეპიზოდური ხასიათის გათხრების შედეგად აღმოჩენილია ძვ. წ. VI ს-ის ბერძნული არქიტექტურის ნიმუშები, კერამიკის ფრაგმენტები, ძვ. წ. IV ს-ის თიხის ფიგურიანი ვაზები, ტერაკოტები, ბრინჯაოს რელიეფი, ახ. წ. 63-65 წწ. ბერძნული წარწერები და სხვა.

ბ ი ზ ა ნ ტ ი ო ნ ი – (ბერძ., ბიზანტიონი ახლ., სტამბული, ისტამბული) ქალაქი თრაკიის ბოსფორის სანაპიროზე. ის მეგარელმა კოლონისტებმა ძვ. წ. 660 წ. დაარსეს და მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ როლს ასრულებდა. ძვ. წ. VI ს-ის დასასრულიდან 478 წლამდე სპარსელებს ეკავათ. ძვ. წ. V ს-ის შუა ხანებში ათენის საზღვაო კავშირის შემადგენლობაში შედიოდა. სამჯერ გამოვიდა მისი სისტემიდან. 378 წ. ათენის მეორე საზღვაო კავშირის წევრი გახდა. 340 წ. ფილიპე II მაკედონელის არმიის ალყას გაუძლო. ხერონეას ომის შემდეგ ავტონომია შეინარჩუნა. ძვ. წ. IV ს-ში ქალაქი აღმავლობის გზაზე იდგა; ძვ. წ. I ს-ში რომის სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა. ამ დროს ის ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრი ხდება. ახ.წ. 330 წ. კონსტანტინე I-ის განკარგულებით მას ეწოდა კონსტანტინოპოლი და ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქად გამოცხადდა. 1453 წ. თურქებმა აიღეს და მას ისტამბული ეწოდა.

ა პ ო ლ ო ნ ი ა (Apollonia) მდებარეობდა დასავლეთ შავიზღვისპირეთში. მილეტის კოლონია იყო. ძვ. წ. VII ს-ის ბოლოს ანაქსიმანდრემ დაარსა. ლოკალიზდება ბულგარეთში, ბურგასის ყურის სამხრეთით, „წმინდა კირიაკის" კუნძულზე. ძვ. წ. V ს-ში ათენის საზღვაო კავშირის წევრი იყო. აპოლონია არქეოლოგიურად კარგადაა შესწავლილი. აღმოჩენილია ძვ. წ. VII-I სს-ის ტერაკოტული ქანდაკებები, ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, დამღიანი კრამიტები, ამფორები, პითოსები, კანთაროსები და სხვ., მცირე აზიის საქალაქო მონეტები. ძვ. წ. V საუკუნიდან აპოლონია საკუთარ მონეტებს ჭრიდა. რომაული ხანის მასალები აპოლონიაში ჯერჯერობით არ დადასტურებულა.

ჰ ე რ ა კ ლ ე ა (Heraclea) მდებარეობდა სამხრეთ შავიზღვისპირეთში, ბითვინიაში, მარიანდინების ქვეყანაში. ის, ქსენოფონტისა და არიანეს ცნობით, მეგარელებმა დაარსეს (Xenoph., Anab., VI, 2, 1; Arr., PPE, 18), ფსევდოსკიმნოსის მოწმობით კი ბეოტიელებმა და მეგარელებმა (Ps. – Scumn, 973), ხოლო პავსანიასის თანახმად ის ტანაგრელთა კოლონიაა (Paus., V, 26, 7). სტრაბონი მას მილეტელთა კოლონიად მიიჩნევს (Strabo., XII, 3, 4). ჰერაკლეას მეტროპოლისი იყო მეგარა და კოლონისტთა ძირითად კონტინგენტს მეგარელები შეადგენდნენ. ქალაქის დაარსების თარიღად ძვ. წ. 559-547 წწ. ითვლება. ახ. წ. I-III სს-ში ჰერაკლეა მეტროპოლისადაც ინოდებოდა.

ჰერაკლეა ლოკალიზდება ახლანდელ ქალაქ ერეგლის ადგილას.

ჰერაკლეელებმა მკვიდრი მოსახლეობა მარიანდინები დაიქვემდებარეს და მათი ტერიტორიაც შემოიერთეს. მარიანდინები ბერძენ კოლონისტებს გადასახადს ნატურით უხდიდნენ. ჰერაკლეას მოქალაქეები ქალაქგარეთ სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებს ფლობდნენ და თვითონვე ამუშავებდნენ. ჰერაკლეელები დიდი რაოდენობის ღვინოს აწარმოებდნენ, ხოლო ნამატი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში გაჰქონდათ. ღვინის ექსპორტი მოითხოვდა კერამიკულ ტარას, რომელსაც ჰერაკლეაში მრავალრიცხოვანი სახით აწარმოებდნენ. ჰერაკლეაში განვითარებული იყო ასევე გემთმშენებლობა, ლითონდამუშავება და საფეიქრო წარმოება.

ძვ. წ. IV ს-ში ჰერაკლეა მსხვილი სავაჭრო ცენტრი ხდება. აქედან პროდუქცია, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის გზით, ბალკანეთის საბერძნეთში იგზავნებოდა. შავ ზღვაზე ჰერაკლეასა და სინოპეს შორის ეკონომიკურ-პოლიტიკური გავლენის სფეროების გამიჯვნა მოხდა. ჰერაკლეას გავლენის ორბიტაში მოექცა ყირიმის ნახევარკუნძული და დასავლეთ შავიზღვისპირეთის სამხრეთი რეგიონის ქალაქები – აპოლონია, მესემბრია, კალატისი. მას მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები აკავშირებდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთთანაც. ჰერაკლეას ელინისტური და რომაული პერიოდის ამფორები მრავლადაა დადასტურებლი ბიჭვინთაში, სოხუმში, ოჩამჩირესა და ეშერაში. ჰერაკლეელებმა ჩრდილოეთ და დასავლეთ შავიზღვისპირეთში ხერსონესი და კალატისი დააარსეს. ძვ. წ. V-IV სს-ში მას მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობა აკავშირებდა ფეოდოსიასთან, რომელსაც ბოსფორის მეფეების წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარებოდა. ძვ. წ. 380 წ. ბოსფორელთა მიერ ალყაშემორტყმული ფეოდოსიის დასახმარებლად ჰერაკლეადან პროვიანტით დატვირთული 40 გემი გააგზავნეს.

ძვ. წ. V-IV სს-ში ჰერაკლეაში სამხედრო-სამინათმოქმედო არისტოკრატიასა და დემოსს შორის დაპირისპირება არსებობდა. თავიდან ძალაუფლება ოლიგარქოსების ხელში აღმოჩნდა. მათ ბატონობას 600 წევრისაგან შემდგარი საბჭო ახორციელებდა. ჰერაკლეა ათენის პირველი საზღვაო ალიანსის წევრი გახდა. ძვ. წ. V ს-ის დასასრულს დემოკრატიული მოძრაობა გაძლიერდა. ძვ. წ. 424 წ. ჰერაკლეამ ათენის საზღვაო კავშირი დატოვა. დემოკრატიული მოძრაობის შერბილების მიზნით, ოლიგარქოსებმა ტავრიდის ხერსონესი დააარსეს, მაგრამ სოციალური კონფრონტაცია გაამწვავა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის პოლისებში არსებულ კონფლიქტებში მონაწილეობამ. სოციალური პრობლემების მოუგვარებლობამ ხელი შეუწყო ტირანიის დამყარებას. ძვ.წ. 364 წ. კლეარხოსი ჰერაკლეას ტირანი გახდა. მან 600 საბჭო დაითხოვა. საბჭოს წევრთა ერთი ნაწილი სიკვდილით დასაჯა, ხოლო მეორენი პოლისიდან გააძევა. კლეარხოსმა მონებს თავისუფლება და მოქალაქეობა უბოძა; მიწები ღარიბებს გაუნაწილა. კლეარხოსმა ძალაუფლების განმტკიცების მიზნით, თავი ზევსის შვილად გამოაცხადა. კლეარხოსის ავტოკრატიული მმართველობა დიდხანს არ გაგრძელებულა. იგი ძვ. წ. 352 წ. მოკლეს, მაგრამ იქ ტირანია მყარი აღმოჩნდა. ტირანი კლეარხოსის ძმა სატიროსი ხდება, მისი გარდაცვალების შემდეგ კი ტიმოთეოსი და დიონისე. ჰერაკლეას ტირანები გაქნილი პოლიტიკოსები აღმოჩნდნენ, მათ მეგობრული ურთიერთობა დაამყარეს სპარსელ სატრაპებთან და ადგილობრივ დინასტიებთან. ძვ. წ. III ს.-ში ჰერაკლეამ მცირე აზიასა და შავიზღვისპირეთში საერთაშორისო ავტორიტეტი შეინარჩუნა. ის ძვ. წ. 280 წ. „ჩრდილოეთ ლიგის“ აქტიური წევრი ხდება, მაგრამ მალე (ძვ. წ. 278 წ.) დაიშალა. ამ დროიდან ჰერაკლეა სუსტდება და შავიზღვისპირეთში პოზიციებსაც კარგავს.

ჰერაკლეაში გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრები არ ჩატარებულა. აქ სხვადასხვა დროს აღმოჩნდა ძვ. წ. V ს-ის იონიური მარმარილოს ქანდაკების ფრაგმენტი, ძვ. წ. VI-I სს-ის ადგილობრივი და იმპორტული ამფორები, II-III სს-ის ბერძნული წარწერები და სხვ.

ს ი ნ ო პ ე (Sinope) სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მნიშვნელოვანი სამრეწველო-სავაჭრო პოლისი. ძვ. წ. 631 წ. მილეტელებმა დააარსეს. სინოპე ლოკალიზდება ახლანდელ ქ. სინოპეში. ანტიკური ხანის სინოპეში ორი დიდი და კეთილმოწყობილი ნავსადგური არსებობდა. პოლისი ბუნებრივი რესურსებით მდიდარ რეგიონში მდებარეობდა. გარშემორტყმული იყო გემთმშენებლობისათვის აუცილებელი ტყის მასივებით, აქ დიდი რაოდენობით მოიპოვებოდა რკინა, ვერცხლი, სპილენძი, ტყვია. ნაყოფიერი ნიადაგი და კლიმატი ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ზეთისხილის წარმოებისა და მევენახეობის განვითარებას.

სინოპე აქტიურად მონაწილეობდა საკოლონიზაციო მოძრაობაში. მან სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დააარსა კოტიორა, კერასუნტი და ტრაპეზუნტი, რომლებიც მნიშვნელოვან პოლიტიკურ-ეკონომიკურ პოლისებად გადაიქცა. ძვ. წ. IV საუკუნიდან სინოპე ვაჭრობისა და ხელოსნობის თვალსაჩინო ცენტრი იყო. ის შავიზღვისპირეთის ქალაქებსა და ეგეოსის მრავალ პოლისს სამშენებლო მასალებით, ლითონითა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ამარაგებდა. სინოპეში დიდი რაოდენობით იწარმოებოდა კერამიკული ტარა – ამფორები, პითოსები; არქიტექტურული დეტალები – კრამიტები, ანტეფიქსები, წყალსადენის მილები და სხვ. სინოპური ხელოსნობის ნაწარმით მოფენილია შავიზღვისპირეთი. სინოპური ამფორების, პითოსებისა და კრამიტების ფრაგმენტები მრავალრიცხოვანი სახითაა წარმოდგენილი კოლხეთის სანაპიროზე, სადაც ძვ. წ. IV-III სს-ში სინოპური ხელოსნური პროდუქციის მინაბაძებიც მზადდებოდა.

სინოპე ათენის პირველი საზღვაო კავშირის წევრი იყო. ძვ. წ. 437 წ. ათენის ესკადრამ სინოპე აიღო. დაემხო ტიმესილეოსის ტირანია და დემოკრატია დამყარდა. სინოპეში დემოკრატიული პოლისებისათვის დამახასიათებელი მმართველობის სისტემა არსებობდა. პელოპონესის ომის შემდეგ სინოპემ ათენის საზღვაო კავშირი დატოვა, ხოლო ძვ. წ. 387 წ. ანტალკიდეს ზავით ის სპარსეთის მფლობელობაში გადავიდა. ძვ. წ. 183 წ. სინოპე პონტოს მეფემ ფარნაკე I დაიკავა და ის პონტოს სამეფოს დედაქალაქი გახდა. ძვ. წ. I ს-ის 60-იანი წლებიდან სინოპეს რომაელები დაეპატრონენ და მას „თავისუფალი ქალაქის" სტატუსი მიანიჭეს.

სინოპეში სტაციონარული არქეოლოგიური გათხრები არ ჩატარებულა. 1951-1953 წწ-ში აქ არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა თურქულ-გერმანული ექსპედიცია. აღმოჩენილია ელინისტური ეპოქის ნაგებობათა ნაშთები, ძვ. წ. V-IV სს-ის სამაროვანი, მრავალრიცხოვანი კერამიკული ნაწარმი, ბერძნული წარწერები და მონეტები.

ტ რ ა პ ე ზ უ ნ ტ ი (Trapezus) სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მნიშვნელოვანი სავაჭრო-სამრეწველო და სატრანზიტო პოლისი. სინოპეს კოლონია. ის, ევსევიოსის ქრონიკის თანახმად, 756 წ. დაარსდა (Euseb.-arm. Chron. can). ლოკალიზდება ახლანდელ ქ. ტრაპიზონში. ტრაპეზუნტი განსაკუთრებულ აღმავლობას რომაულ ხანაში აღწევს. ადრიანეს დროს აქ კარგად გამართული ნავსადგური აშენდა (თოდუა, 2003, გვ. 104). ახ. წ. III ს-ში I პონტური ლეგიონი იდგა. ტრაპეზუნტს მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდა საქართველოს ზღვისპირა ცენტრებთან, რასაც მოწმობს

ნუმიზმატიკური მასალები: ბიჭვინთაში აღმოჩენილი ახ. წ. II ს-ის 50 მონეტიდან 25 ტრაპეზუნტშია მოჭრილი, ხოლო III ს-ის პირველი ნახევრის 247 მონეტიდან 191 ცალი ასევე ტრაპეზუნტის ზარაფხანას განეკუთვნება. ტრაპეზუნტი მცირე აზიის ცენტრებთან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის საშუამავლო რგოლის ფუნქციას ასრულებდა; ძვ. წ. 63 წლიდან რომის მფლობელობაშია და მას „თავისუფალი ქალაქის" სტატუსი მიენიჭა. ტრაპეზუნტში არქეოლოგიური გათხრები არ ჩატარებულა.

ხ ერ ს ო ნ ე ს ი (chersonesus) ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის პოლისი, ჰერაკლეას კოლონია. დაარსდა ძვ. წ. 422-421 წწ. ლოკალიზდება ყირიმში, ახლანდელ ქ. სევასტოპოლის ტერიტორიაზე. ძვ. წ. V ს-ის დასასრულსა და IV ს-ის დასაწყისში საშუალო სიდიდის და უმნიშვნელო გავლენის ქალაქი იყო. ძვ. წ. IV ს-ის დასასრულს შავიზღვისპირეთის მნიშვნელოვანი ეკონომიკურ-პოლიტიკურ ცენტრად გადაიქცა.

ხერსონესის გაძლიერება ოლიგარქოსებსა და დემოკრატებს შორის მწვავე კონფრონტაციის ვითარებაში მიმდინარეობდა. საბოლოოდ დემოკრატებმა გაიმარჯვეს, რამაც ხერსონესის შემდგომი აღმავლობა უზრუნველყო.

ხერსონესი არქეოლოგიურად საკმაოდ კარგადაა შესწავლილი. სხვადასხვა დროს აქ აღმოჩნდა ძვ. წ. VI – ახ. წ. IV სს-ის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მატერიალური კულტურის ძეგლები: სატაძრო და საყოფაცხოვრებო ნაგებობათა ნაშთები, კერამიკული და ლითონის ნაწარმი, სამარხეული კომპლექსები, ბერძნული წარწერები, მონეტები და სხვ.

პ ა ნ ტ ი კ ა პ ე ო ნ ი (Panticapacon) პოლისი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში. სტრაბონისა (VII, 4, 4) და პლინიუსის (NH, IV, 26) ცნობებით მილეტის კოლონია, დაარსდა ძვ. წ. VII-VI სს-ის მიჯნაზე. ლოკალიზდება ქერჩის სრუტის სანაპიროზე. პანტიკაპეონი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის დანარჩენი ბერძნული აპოიკიების მსგავსად გამუდმებულ თავდასხმებს განიცდიდა. მათი აღკვეთის მიზნით, ბოსფორის პოლისები ნიმფეონი, ფეოდოსია, ფანაგორია, ჰერმონასა, კეპი და სხვ. პანტიკაპეონის მეთაურობით გაერთიანდნენ. ამ გაერთიანებას ბოსფორის სამეფო ეწოდა. პანტიკაპეონის არქონტები ბოსფორის სამეფოს მაგისტრატები გახდნენ.

ძვ. წ. 480 წ. პანტიკაპეონისა და მთელი ბოსფორის სამეფოს გამგებლები არხეანაკტიდების დინასტია გახდა. ისინი ძვ. წ. 438 წ. სპარტოკიდების დინასტიამ შეცვალა. ამ დინასტიის მეფეების (სატიროსისა და ლევკონის) დროს ბოსფორის სამეფო განსაკუთრებით გაძლიერდა. მის შემადგენლობაში ყირიმის ბერძნული პოლისები და მკვიდრი მოსახლეობის დიდი ნაწილი აღმოჩნდა. მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ელადის წამყვან პოლისებთან. ძვ. წ. 107 წ. ბოსფორი პონტოს სამეფოს შემადგენელი ნაწილი გახდა, ხოლო ძვ. წ. 63 წლიდან რომაელთა მფლობელობაში მოექცა.

პანტიკაპეონი არქეოლოგიურად კარგადაა შესწავლილი. გამოვლენილია სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები, ნეკროპოლისი, იმპორტული და ადგილობრივი წარმოების კერამიკული ნაწარმი, ლითონის იარაღები, მრავალრიცხოვანი ბერძნული წარწერები, მონეტები და სხვ.

ო ლ ბ ი ა (Olbia) პოლისი ჩრდილო-დასავლეთ შვიზღვისპირეთში, მილეტის კოლონია, დაარსდა ძვ. წ. VI ს-ის შუა ხანებში, ლოკალიზდება ბუგის ყურის მარჯვენა სანაპიროზე სოფ. პარუტინოსთან; ძვ. წ. V ს-ში მსხვილ პოლისად გადაიქცა. ოლბიას მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა სკვითებთან, რომლებსაც ოლბიიდან

ეგზავნებოდათ ღვინო, კერამიკა და ოქროს სამკაულები, თავის მხრივ ოლბიოპოლიტებს სკვითიიდან შემოჰქონდათ სოფლის მეურნეობის პროდუქტები.

ელინებთან ერთად მკვიდრი მოსახლეობა ცხოვრობდა. ძველი ავტორები მათ სკვითოელინებსა და მიკსელინებს უწოდებდნენ.

ჰეროდოტეს ცნობით, ოლბიაში სკვითიის მეფე სკილესის საკუთარი სასახლე ჰქონდა და თავისუფალი დროის დიდ ნაწილს იქ ატარებდა; ის აქტიურად მონაწილეობდა დღესასწაულებსა და რელიგიურ რიტუალებში (IV, 7, 8).

ძვ. წ. V ს-ში ოლბიამ თავის მეტროპოლისთან ისოპოლიტიის ხელშეკრულება გააფორმა. ამავე საუკუნის მეორე ნახევარში ათენის პირველი საზღვაო ალიანსის წევრი გახდა, მაგრამ კავშირის პირობებს ნაწილობრივ ასრულებდა. ძვ. წ. I ს-ში ოლბია პოლიტიკურად და ეკონომიკურად საკმაოდ გაძლიერდა. გაიფართოვა საზღვრები, ქალაქი კეთილმოეწყო და თავდაცვითი კედლებიც აღიმართა. პოლისში ზომიერი დემოკრატიული წყობილება არსებობდა, სახელმწიფო მართვაში მოქალაქეთა ფართო ფენები იყვნენ ჩართულნი. ძვ. წ. 331 წ. ოლბიამ ალექსანდრე მაკედონელის სარდლის ზოპირიონის ალყას გაუძლო და მისი 30 ათასიანი არმია სასტიკად დაამარცხა. ძვ. წ. II ს-ის დასასრულიდან პონტოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო ძვ. წ. I-ს-ის მეორე ნახევრიდან რომაელთა დიქტატს დაემორჩილა.

ოლბია არქეოლოგიურად საკმაოდ კარგადაა შესწავლილი. აქ წარმოებული სტაციონარული გათხრების შედეგად დადასტურებულია ძვ. წ. VI – ახ. წ. IV სს-ის ნაგებობათა ნაშთები, არქიტექტურული დეტალები, სამაროვანი, ადგილობრივი და ინპორტული კერამიკული ნაწარმი, ოქროსა თუ ვერცხლის სამკაულები, მრავალრიცხოვანი მონეტები, ბერძნული წარწერები და სხვ.

მ ე ს ე მ ბ რ ი ა (Mesembria) პოლისი დასავლეთ შავიზღვისპირეთში. ძვ. წ. 493 წ. ბიზანტიელებმა და ქალკედონელებმა დაარსეს (Herod., VI, 33). ლოკალიზდება ბურგასის ყურის ჩრდილო სანაპიროზე, ახლანდელ ქ. ნესებრთან. 510 წ. ბიზანტიელთა სამხედრო ნავსადგური იყო. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა ძვ. წ. V – ახ. წ. II სს-ის სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები, დიონისესა და სერაპისის ტაძრების ნანგრევები, მცირეაზიური და ეგეოსური კერამიკის ნიმუშები, სამაროვანი, მრავალრიცხოვანი ბერძნული წარწერები და მონეტები. აღსანიშნავია, რომ ძვ. წ. V საუკუნიდან მესემბრია საკუთარ მონეტებსაც ჭრიდა. ახ. წ. I საუკუნიდან რომაელთა მფლობელობაშია.

ო დ ე ს ო ს ი (Odessos) პოლისი დასავლეთ შავიზღვისპირეთში. ძვ. წ. 570 წ. მილეტელებმა დააარსეს. ლოკალიზდება ახლანდელ ქ. ვარნასთან. ძვ. წ. VI-IV სს-ში შავიზღვისპირეთის მნიშვნელოვანი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი იყო. ძვ. წ. 50 წ. გეტებმა დაანგრიეს. რომაულ ხანაში ქვედა მეზიის პროვინციაში შედიოდა. არქეოლოგიურად კარგადაა შესწავლილი. სხვადასხვა დროს აქ აღმოჩნდა ახ. წ. II-III სს-ის რომაული თერმები, ელინისტური ეპოქის საკურთხეველი, მარმარილოსა და ქვის სარკოფაგები, სამარხის სტელები, ძვ. წ. V-I სს-ის კერამიკული და მინის ნაწარმი, ფაიანსის ჭურჭელი, ტერაკოტული ფიგურები, სხვადასხვა ხასიათის ეპიგრაფიკული ძეგლები, მონეტები და სხვ.

კ ა ლ ა ტ ი ს ი (Callatis) აგრარული პოლისი დასავლეთ შავიზღვისპირეთში. ძველი ავტორების ცნობებით პონტოს ჰერაკლეას ახალშენი იყო (Memn. Geracl., fr., XXI, Strabo, XII, 3, 6; Ps. – Skumn., 76-763). ფსევდოსკიმნოსის მიხედვით, კალატისი

მაკედონიის მეფის ამინტა I დროს დაარსებულა (Ps. – Skumn., 761 ff.), ძვ. წ. 520 წ. კალატისი ლოკალიზდება რუმინეთის ქალაქ მანგალიაში. ძვ. წ. V-IV სს-ში მჭიდრო ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობანი აკავშირებდა თავის მეტროპოლის – ჰერაკლეასთან. ძვ. წ. 313 წ. კალატისი მაკედონელთა ბატონობის წინააღმდეგ გაჩაღებულ აჯანყებას ედგა სათავეში.

კალატისი არქეოლოგიურად საკმაოდ კარგადაა შესწავლილი. არქაული და კლასიკური პერიოდის არტეფაქტები მწირადაა წარმოდგენილი. ძვ. წ. V-II სს-ში ის შავიზღვისპირეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამრეწველო-სავაჭრო ცენტრად ითვლებოდა. აქ სხვადასხვა დროს აღმოჩნდა ელინისტური და რომაული ეპოქის მრავალრიცხოვანი ძეგლები, ბერძნულ-რომაული წარწერები, თასოსის, სინოპეს, როდოსის, ჰერაკლეას, კოსის დამღიანი ამფორები, ტერაკოტული ნიღბები თუ ქანდაკებები, რომის რესპუბლიკური დენარები, რკინის ღუზები, სამარხები და სხვ.

VI. პოლისური ეკონომიკა და სოციალური სტრუქტურა ძვ. წ. V-IV სს-ში

პოლისური ეკონომიკის პრობლემების შესწავლას მკვლევარები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ და ეს გასაგებიცაა. მის შესახებ ძველ ავტორებს საკმაოდ მწირი, ფრაგმენტული ხასიათის ცნობები მოეპოვებათ. თავის დროზე ცნობილ ფრანგ ისტორიკოსს ე. ვილიას პოლისის ეკონომიკური ისტორიის რეკონსტრუქცია თითქმის შეუძლებლად მიაჩნდა (Will, 1954, გვ. 7). მიუხედავად ამისა, განმაზოგადებელ ნაშრომებში ხშირად განიხილება პოლისური ეკონომიკის ზოგადი ასპექტები. ამიტომ პოლისური ეკონომიკის საერთო დახასიათებით შემოვიფარგლებით.

ძვ. წ. VIII-VII სს-ში, პოლისური სისტემის ფორმირების დროს, საბერძნეთის ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში მნიშვნელოვანი ნოვაციები ფიქსირდება. ანტიკური ეკონომიკის უმთავრესი დარგის – სოფლის მეურნეობის სფეროში წარმოების სტრუქტურის გარდაქმნები შეინიშნება. ეს განსაკუთრებით მევენახეობისა და ზეთისხილის მრეწველობაში აისახა, რადგანაც ეს კულტურები საგულდაგულო მოვლას, მრავალრიცხოვან მატერიალურ და ხალხთა რესურსებს მოითხოვდა. საბერძნეთის მთიანი რელიეფი და ქვიანი ნიადაგი მევენახეობის, ზეთისხილის, მებოსტნეობისა და მეხილეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი აღმოჩნდა. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ელადის მეურნეობის ინტენსიფიკაციას, მის ოპტიმიზაციას და რაციონალიზაციას. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დამატებითი სახსრებისა და მუშახელის მოზიდვა ზედმეტი პროდუქციის შექმნის წინაპირობა გახდა. ჭარბი პროდუქცია ბაზარზე იყო ორიენტირებული. საბაზრო კონტაქტების შედეგად მიღებული მოგება სტიმულს აძლევდა მინათმფლობელებს წარმოების მოცულობა და მასშტაბები გაეზარდათ.

ძვ. წ. VIII-VI სს-ში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი ბირთვი მცირე გლეხური და მსხვილ გენტილურ მემამულეთა მეურნეობა იყო. არისტოკრატთა მამულებს პაუპერიზირებული მასა ამუშავებდა. დიდგვაროვანთა მამულების ნაწილი არენდით გაიცემოდა გაღატაკებულ ყმა-გლეხებზე, რომლებიც მინათმფლობელს მოსავლის ნახევარს უყოფდა. როგორც ჩანს, ძვ. წ. VIII-VI სს-ის საბერძნეთის აგრარულ სექტორში შესამჩნევია მსხვილი მიწათმფლობელობის განვითარებისა და მცირე მეწარმეთა გაკოტრების პროცესი.

აღნიშნულ პერიოდში არსებითი ცვლილებები და სიახლეები შეინიშნება კერამიკულ წარმოებაში, რომელიც სოფლის მეურნეობისაგან გამიჯნული ჩანს. ძვ. წ. XI-IX სს-ში თუ ხელოსნობა და სოფლის მეურნეობა თითოეული სამოსახლოს ფარგლებში თანაარსებობდა, ძვ. წ. VIII-VI სს-ში ხელოსნური წარმოება უკვე ქალაქებშია თავმოყრილი. სოფლის მეურნეობისაგან ხელოსნობის გამოყოფის მიზეზი მენარმეთა სპეციალიზაციისა და პროფესიონალიზმის ზრდა, წარმოების ტექნიკური პროგრესი და მისი მკაფიოდ ფორმირებული დარგების ორგანიზება იყო. განსაკუთრებული მიღწევები შესამჩნევია მეტალურგიულ წარმოებაში. ძვ. წ. VIII-VI სს-ში ბერძენმა მეტალურგებმა რკინის დამუშავების ტექნოლოგია აითვისეს. რკინისაგან მზადდებოდა მრავალგვარი დანიშნულების საბრძოლო და სამეურნეო იარაღი. ამ პერიოდში იხვეწება

უკვე ცნობილი და ფართოდ გავრცელებული ბრინჯაოს დამუშავების ტექნოლოგია, ასევე გაუმჯობესდა ბრინჯაოს ნაწარმის ხარისხი. სამოსელმა ოსტატებმა რიოკოსმა და თეოდოროსმა ბრინჯაოს ჩამოსხმის ახალი ტექნიკა აითვისეს, რამაც შესაძლებელი გახადა ქანდაკებები ჩამოესხათ, სამხედრო აღჭურვილობის სხვადასხვა საგნები, საზეიმო ხასიათის ჭურჭელი და ხომალდებისათვის აუცილებელი ლითონის მრავალი დეტალი დაემზადებინათ.

რკინის დამუშავების ტექნოლოგიების გაუმჯობესების შედეგად, შეიქმნა ისეთი ტიპის სამეურნეო იარაღები, რითაც გაადვილდა ტყეების გაჩეხვა, გამოთავისუფლებული მიწების და მთის ქანების დამუშავება. არსებითი ცვლილებები განიცადა სამხედრო ხელოვნებამ. ამიერიდან არისტოკრატიული მხედრობის მნიშვნელობა შემცირდა და ჰოპლიტების, მძიმედ შეიარაღებული ქვეითების როლი გაიზარდა. ჰოპლიტები ბერძნული პოლისების საშუალო ფენის მოქალაქეებისაგან კომპლექტდებოდა.

არქაულ ეპოქაში არნახულ დონეს მიაღწია კერამიკულმა წარმოებამ. ძვ. წ. VIII საის დასასრულიდან კერამიკული წარმოება უპირატესად ბაზარზე ორიენტირებული, მასობრივი, სერიული ხასიათისა იყო. ბერძენი მეთუნეები მრავალფეროვან საზეიმო და ყოველდღიურ მოხმარების ჭურჭელს, ჭრაქებს, კრამიტებს, სპეციალური დანიშნულების ტარას – ამფორებსა და პითოსებს ამზადებდნენ. ბერძენი ოსტატები საზეიმო ხასიათის თიხის ჭურჭლის ზედაპირს სახელგანთქმული შავი ლაკით ფარავდნენ და მათზე მითოლოგიურ თუ საყოფაცხოვრებო სცენებს გამოსახავდნენ. ისინი, ზოგჯერ, დეკორატიულ სიუჟეტებსაც იყენებდნენ. კერამიკული სახელოსნოები თითქმის ყველა მეგაპოლისებში ფუნქციონირებდა, მაგრამ განსაკუთრებით სახელი გაითქვეს კორინთოელმა და ათენელმა ოსტატებმა, რომელთა ნაწარმი ეგეოსის აუზის ფარგლებს გარეთაც იყო ცნობილი.

ძვ. წ. VIII-V სს-ში სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს გემთმშენებლობა. მართალია, ამ დროს, საბერძნეთში დიდი მოცულობის ფლოტი არ არსებობდა, ვინაიდან ბერძნები საზღვაო ბრძოლებს ჯერ კიდევ არ ანარმოებდნენ, მაგრამ ინტენსიური სავაჭრო კონტაქტები მრავალრიცხოვან სამგზავრო ფლოტს მოითხოვდა. ბერძნები სხვადასხვა ტიპის ხომალდებს აგებდნენ, როგორიც იყო პენტეკონტერები – 50 ნიჩბიანი გემები და 180 ნიჩბიანი ტრიერები, რომლებიც საათში 10 საზღვაო მილის სიჩქარეს ანვითარებდნენ.

ჰომეროსის ეპოქაში ბერძნული თემები თუ იზოლირებულად ცხოვრობდნენ, უკვე ძვ. წ. VIII-VI სს-ში პოლისური ურთიერთობანი ინტენსიური ხდება. აქტიურ ურთიერთობათა სისტემაში განსაკუთრებულ როლს ვაჭრობა ასრულებდა. მეტროპოლისებს თავიანთ კოლონიებში ღვინო, ზეთისხილი, ლითონის და კერამიკული პროდუქცია გაჰქონდათ, სამაგიეროდ შემოჰქონდათ ძვირფასი ლითონები, ტყავი, ხორბალი, ხე-ტყე და სხვ. საქონლის გაცვლა-გამოცვლის აღწარმოების გაადვილებისათვის მონეტა გამოიგონეს, რომელიც ანტიკური ცივილიზაციის ერთ-ერთი დიდი მონაპოვარი იყო. პირველად მონეტა გაჩნდა ძვ. წ. VIII-VII სს-ის მიჯნაზე, ძველი სამყაროს ორ პუნქტში: მცირე აზიის სახელმწიფო ლიდიაში და საბერძნეთში, კუნძულ ეგინაზე. ლიდიური მონეტები ელექტრუმის იყო, ხოლო ეგინური ვერცხლისა. მალე მონეტების მოჭრა მრავალმა ბერძნულმა პოლისმა დაიწყო. ძველბერძნული მონეტების ორივე მხარეზე გამოსახული იყო ღვთაებები და მათი სიმბოლოები. სამონეტო სისტემამ ხელი შეუწყო საქალაქო ცენტრების ზრდა-განვითარებას.

ძვ. წ. VIII-VI სს. საბერძნეთში „ურბანისტული აფეთქების" ეპოქაცაა; თითქმის მთელი ბერძნული სამყარო ქალაქების ქსელით დაიფარა. ქალაქები არა მარტო ადმინისტრაციული და რელიგიური, არამედ სავაჭრო-სამრეწველო ცენტრები ხდება. ქალაქებში ფუნქციონირებს ერგასტერიონები, სახელოსნოები, ხოლო აგორაზე (სავაჭრო მოედანზე) სავაჭრო ოპერაციები მიმდინარეობს. ქალაქებში ვაჭარ-მრეწველთა ფენა იზრდება. მასთან ერთად ქალაქში ცხოვრობენ და მოღვაწეობენ მსხვილი და მცირე მიწისმფლობელები. ქალაქთან მჭიდროდაა დაკავშირებული ხორის, სასოფლო ტერიტორიაზე მოსახლე მიწის მუშები, რომლებიც საქალაქო ცხოვრების რიტმში აქტიურად არიან ჩაბმულნი. ასე რომ, ქალაქი მთელი პოლისის არსებით ფაქტორად გვევლინება.

ძვ. წ. VIII-VI სს-ის ბერძნული ეკონომიკა ძველაღმოსავლური და ძვ. წ. II ათასწლეულის აქეური სახელმწიფოების ეკონომიკასთან შედარებით დინამიკურობით და რაციონალობით გამოირჩევა. პოლისური ეკონომიკური სისტემის უნიკალობა ფულად-სასაქონლო მეურნეობის ინტენსიფიკაციით გამოიხატებოდა. პოლისური ადმინისტრაცია ნაკლებად ერეოდა სამეწარმეო საქმიანობაში. ამასთან, პოლისური ეკონომიკის ხასიათმა და სტრუქტურამ მნიშვნელოვნად განსაზღვრეს მოსახლეობის იმ ფენის განსაკუთრებული როლი, რომელიც მრეწველობასა და სავაჭრო ოპერაციებთან იყო დაკავშირებული, ხოლო სოფლის მეურნეობის როლი უმნიშვნელო ჩანდა. ამგვარი სავაჭრო-სამრეწველო ტიპის პოლისებს წარმოადგენდა ათენი, კორინთო, მეგარა, მილეტი და სხვ. ამავე დროს, ჩნდება პოლისური ეკონომიკის სხვა ტიპიც, სადაც სოფლის მეურნეობას უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება, ვაჭრობასა და ხელოსნობას კი ნაკლები. ასეთი აგრარული ტიპის პოლისები იყო სპარტა, ბეოტიის, თესალიისა თუ ფოკიდის მრავალი ქალაქ-სახელმწიფო. აქედან გამომდინარე, ძვ. წ. VIII-VI სს-ში ბერძნული რაციონალური ეკონომიკური სისტემის ფორმირება და წარმოებაში მოსახლეობის აქტიურად ჩართვა საამისო პირობებს ქმნიდა სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ჩამოყალიბებისათვის. ცალკეულ სოციალურ ფენებს განსხვავებული ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები ამოძრავებდათ. სოციალური ფენებისა თუ ჯგუფების ფორმირების პროცესი საკმაოდ რთული და ხანგრძლივი იყო. ის ორ ეტაპად წარიმართა. პირველი ეტაპი, რომელიც ძვ. წ. VIII ს-ისა და VII ს-ის პირველი ნახევრით განისაზღვრება და ხასიათდება დიდგვაროვნების, არისტოკრატიის ჰეგემონობით. მან საგვარეულო მიწის ფონდის ძირითადი ნაწილი მიისაკუთრა და თავისი ნადელების დამუშავებისათვის გაღატაკებულ ყმა-გლეხებს იყენებდა.

გენტილური არისტოკრატია თავისი გაკოტრებული თანამეთემეების დაკაბალებითა და მათი შრომის გამოყენებით იყო დაინტერესებული, ვინაიდან შრომისუნარიანი მონა ძვირად ფასობდა, თანაც ამ დროს ბაზარზე მონები იშვიათად იყიდებოდა. არისტოკრატიამ მოვალეებს მაღალპროცენტიანი სესხი დაუწესა, რის გადახდასაც ისინი ვერ ახერხებდნენ და კაბალაში ვარდებოდნენ. ძვ. წ. VIII-VII ს-ის პირველი ნახევრის საბერძნეთის სოციალური ურთიერთობანი გენტილური არისტოკრატიის გამდიდრებისა და დაკაბალებული ყმა-გლეხების რაოდენობის გაზრდით ხასიათდება, თუმცა სოციუმში ღრმა ქონებრივი პოლარიზაცია არ შეინიშნება.

ძვ. წ. VII ს-ის მეორე ნახევრიდან ბერძნული სოციუმის სოციალური სტრატიფიკაციის მეორე ეტაპი იწყება. ეკონომიკის ინტენსიფიკაციამ წარმოებისა და ვაჭრობის განვითარება, პოლისების სამრეწველო-სავაჭრო ფენის ხვედრითი წილი გაზარდა. ამ

სოციალური ფენის დანინაურება და წარმატება მსხვილი მემამულე არისტოკრატიას საფრთხეს უქმნიდა, ვინაიდან პრივილეგიების დაკარგვას უქადდა. ეს იყო კონსერვატიული საზოგადოებრივი ძალა, რომელიც აქტიურად იცავდა უპირატესობას როგორც მიწაზე, ისე პოლიტიკურ ცხოვრებაზე. მრეწველები და ვაჭრები კი, რომლებმაც საკმაო რაოდენობის სიმდიდრე დააგროვეს და, შესაბამისად, დიდი გავლენა მოიპოვეს, პოლიტიკურ სფეროს მოწყვეტილნი იყვნენ. ამიტომ ისინი აქტიურად იწყებენ ბრძოლას თავიანთი სიმდიდრის შესაბამისი პოლიტიკური სტატუსის მოსაპოვებლად. კონფლიქტი პოლისის ვაჭარ-მრეწველთა ფენასა და გვაროვნულ არისტოკრატიას შორის გარდაუვალი ხდებოდა, თუმცა ის მწვავე დაპირისპირებაში არ გადაზრდილა. ახალმა ფენამ კომპრომისების გზით გვაროვნულ არისტოკრატიასთან უფლებრივ გათანაბრებას მიაღწია, ხოლო ძვ. წ. VII ს-ის მეორე ნახევრიდან არისტოკრატიის პოლიტიკური გავლენა უმნიშვნელო ხდება. ახალმა ფენამ გვაროვნულ არისტოკრატიას ჩამოართვა სახელისუფლებო ბერკეტები და თავისი პოლიტიკური უპირატესობაც დააკანონა.

განსხვავებული იყო რიგით მიწათმფლობელთა მდგომარეობა. ისინი ბერძნული სოციუმის მრავალრიცხოვან მასას შეადგენდნენ და არსებობის გარანტიებს მოითხოვნდნენ. კერძოდ, მიწების გამოყოფას, პირად თავისუფლებას და პოლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში შესაძლო მონაწილეობას, რასაც ძვ. წ. VII-VI სს-ში ნაწილობრივ კიდეც მიაღწიეს. დემოსის ფართო ფენების დიდი გამარჯვება იყო ჩვეულებრივი სამართლის კოდიფიკაცია და მოქმედი სამართლებრივი ნორმების შედგენა, რაც სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს დაარეგულირებდა. ნარატიულ წყაროებში დაცულია ცნობები ამგვარი კოდიფიკაციების შესახებ სპარტაში, ე.წ. „დიდი რეტრა"; ლოკრაში ზალევკოსის კანონმდებლობა; სიცილიის კატანაში ხარონდის კანონმდებლობა; დრაკონტის კანონები ათენში და სხვ. მოქმედი სამართლებრივი ნორმების ჩანაწერებით იურიდიული წესების თვითნებურად შესწორება აიკრძალა; ჩვეულებრივი სამართლის ნორმების შედგენა ტრადიციისამებრ არისტოკრატიის პრეროგატივა იყო. ჩაწერილი კანონების თანახმად, უძრავ-მოძრავი ქონება ხელშეუხებელი რჩებოდა; კერძო საკუთრება გვაროვნული არისტოკრატიის მიერ თვითნებური მიტაცებისაგან დაცული უნდა ყოფილიყო. ამასთან, რიგით მოქალაქეებს მიწის ნადელები დაუკანონდათ. ასევე დაფიქსირდა მოქალაქეთა კრების კომპეტენცია. უხუცესთა საბჭოს უფლებამოსილება შეეზღუდათ, კაბალა გაუქმდა და კანონი მოვალე მოქალაქის პირად თავისუფლებას უზრუნველყოფდა. მიუხედავად ამისა, ძვ. წ. VIII-VII სს. პოლისებში სოციალური კონფლიქტები არ აღმოფხვრილა და ის კვლავ გაგრძელდა.

ეკონომიკის ინტენსიფიკაციის, მისი რაციონალიზაციისა და სოციალური ურთიერთობის განვითარების პროცესი კულმინაციას ძვ. წ. V-IV სს-ში, კლასიკურ პერიოდში აღწევს. აღნიშნული პერიოდის ბერძნული ეკონომიკა ერთგვაროვანი არ ყოფილა. მრავალრიცხოვან პოლისთა შორის სტრუქტურულად ორი ძირითადი ტიპის პოლისი გამოირჩევა: პირველი, აგრარული ტიპის პოლისები, სადაც წამყვანი სოფლის მეურნეობა იყო, ხოლო მრეწველობა და ვაჭრობა სუსტად განვითარებული. ასეთი ტიპის პოლისები იყო სპარტა, არკადიის, ბეოტიისა და თესალიის პოლისები. მეორე – სამრეწველო-სავაჭრო ტიპის პოლისის სტრუქტურაში მრეწველობისა და ვაჭრობის როლი მნიშვნელოვანი იყო. ამგვარი ტიპის პოლისებში შეიქმნა ფულად-სასაქონლო ეკონომიკური სისტემა, რომელსაც გააჩნდა საკმაოდ რთული და დინამიკური სტრუქტუ-

რა, ხოლო საწარმოო ძალები განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა. ამგვარი პოლისების ნიმუშებად შეიძლება დასახელდეს ათენი, კორინთო, მეგარა, მილეტი, როდოსი და სხვ., რომლებიც ძვ. წ. V-IV სს-ში საბერძნეთის მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრებს წარმოადგენდა. თუმცა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ პოლისებში სოფლის მეურნეობა მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა. სამრეწველო-სავაჭრო პოლისებში ვაჭრობა-ხელოსნობასთან ერთად სოფლის მეურნეობას წამყვანი პოზიცია ეკავა და პოლისის ეკონომიკური სისტემის საფუძველს წარმოადგენდა.

სამრეწველო-სავაჭრო ტიპის პოლისების სასოფლო-სამეურნეო წარმოება მრავალდარგოვანი იყო: მევენახეობა, მებაღეობა-მებახჩეობა, მემინდვრეობა, ზეთის წარმოება და მესაქონლეობა. ბერძნების ძირითადი საკვები პური იყო და, ამდენად, მარცვლეული ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურას წარმოადგენდა. თუმცა, სამრეწველო-სავაჭრო პოლისების „ხორას" ნიადაგი ქვაღორღიანი იყო, რაც მემინდვრეობის განვითარებას აფერხებდა.

წამყვან მარცვლეულ კულტურად ქერი ითვლებოდა. ქერის პური, ფაფა და კვერები ძველი ბერძნების ძირითადი საკვები იყო. მაგრამ ეს კულტურაც ბერძენთა მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა და შიმშილის საფრთხე მათ რეალურად ემუქრებოდათ. კლასიკური ეპოქის სამრეწველო-სავაჭრო ტიპის პოლისებში მარცვლეულის პრობლემა იდგა. ეს დეფიციტი სიცილიიდან და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან იმპორტირებული ხორბლით ივსებოდა. დაწინაურებული ჩანდა მევენახეობა და მებაღეობა-მებაღჩეობა. სწორედ ღვინო და ხილ-ბოსტნეული შედიოდა ელინთა ყოველდღიურ რაციონში. საბერძნეთში მესაქონლეობა ნაკლებად განვითარებული იყო, ვინაიდან მთიან-ბორცვიანი ლანდშაფტი მის განვითარებას აფერხებდა, ამიტომ ხორცი და რძე მეორეხარისხოვან საკვებ პროდუქტად ითვლებოდა. ცხენები, სიმცირის გამო, გამწევ ძალად პრაქტიკულად არ გამოიყენებოდა, სამაგიეროდ მრავლად იყო ცხვარი, ხარი, ვირი, ჯორი.

ძვ. წ. V-IV სს-ში საბერძნეთის სოფლის მერუნეობაში წარმოების ძირითად უჯრედს პოლისის მოქალაქის საკუთრებაში არსებული საშუალო სიდიდის, დაახლოებით 3-5 ჰა-ის ფართობის, მამული წარმოადგენდა. ამგვარ მეურნეობებში ზედმეტი პროდუქცია ინარმოებოდა და ნამატი ან ადგილობრივ ბაზარზე იყიდებოდა, ან ექსპორტზე გადიოდა.

სამრეწველო-სავაჭრო ტიპის პოლისების ეკონომიკურ სისტემაში განსაკუთრებული პოზიცია ეკავა ხელოსნობას, რომლის საფუძველთაგანი მეტალურგია იყო. ლითონდამუშავების დაწინაურება საბერძნეთში სასარგებლო ნიაღისეულმა საბადოებმა განაპირობა. ბალკანეთის საბერძნეთის სხვადასხვა რეგიონში მოიპოვებოდა რკინა, სპილენძი, ოქრო და ვერცხლი. ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში მრავლად იყო კირქვისა და მარმარილოს კარიერები; მაღალხარისხოვანი თიხა პრაქტიკულად ყველა პოლისში იყო. მაგალითად, ლაკონიკა რკინის მადნით იყო მდიდარი, სამხრეთ ატიკაში მოიპოვებოდა რკინა და ვერცხლი, ევბეაში რკინის მადანი და სპილენძი. ერთ-ერთ მდიდარ რეგიონს წარმოადგენდა პანგეა, სადაც აქტიურად ხდებოდა რკინის მადნის, სპილენძის, ოქროსა და ვერცხლის საბადოების დამუშავება.

კლასიკურ ეპოქაში ბერძენი მეტალურგები უფრო მაღალხარისხიან ლითონს ადნობდნენ, ვიდრე მათი წინამორბედები, ხოლო რკინის იარაღები ინტენსიურად გამოიყენებოდა წარმოებასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ძველმა ბერძნებმა დიდ პროგრესს მიაღწიეს სამთამადნო საქმეში, მადნის საბადოების ძიებასა და მათი დამუშავების ორგანიზებაში. ძვ. წ. VIII-VI სს-ში მადნის მოპოვება თუ ღია კარიერებში ხდებოდა, ამჯერად მიწის წიაღიდან მისი ამოღება შესაძლებელი გახდა შახტურ-შტრეკული წესით, რაც საშუალებას იძლეოდა მადნის მთელი მარაგი ათვისებულიყო. მეტალურგიის სფეროში უმთავრესი ადგილი ეკავა საბრძოლო იარაღის წარმოებას. ბერძნული პოლისები, სადაც თითოეული მოქალაქე მეომარიც იყო, მრავალრიცხოვანი და მრავალგვარი იარაღის დამზადებას მოითხოვდა, ხოლო ამ დარგის წარმოებამ მასობრივი ხასიათი მიიღო.

ხელოსნობის ძირითადი დარგი ასევე ტრადიციული კერამიკული წარმოება იყო. ძველი ბერძენი მეთუნეები მრავალფეროვან სატრანზიტო, სუფრის, სამზარეულო, საზეიმო დანიშნულების თიხის ჭურჭელს – ამფორებს, პითოსებს, ლარნაკებს, ფიალებს, კანთაროსებს, კრატერებს და სხვ. ტიპის კერამიკულ პროდუქციას ამზადებდნენ. ამ ნაწარმის გარკვეული ნაწილი შიდა ბაზარზე და ექსპორტზე იყო ორიენტირებული.

ძვ. წ. V-IV სს-ში მშენებლობების ბუმია: შენდებოდა თავდაცვითი კედლები, კერძო და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობები, ტაძრები თუ თეატრები. ბერძნებმა აითვისეს ქვის სხვადასხვა სახეობის დამუშავება, მათ შორის ისეთი რთულად დასამუშავებელი ქვისა, როგორიც იყო მარმარილო. ის მშენებლობაში ფართოდ გამოიყენებოდა.

კლასიკურ პერიოდში არნახულ დონეს მიაღწია ასევე გემთმშენებლობამ. ბერძნული ფლოტი თავისი დროისათვის საუკეთესო ხომალდებით იყო დაკომპლექტებული. სამხედრო გემები – ტრიერები სისწრაფითა და მანევრირებით გამოირჩეოდა. იალქნიანი სავაჭრო გემები ინტენსიურ სავაჭრო ოპერაციებს უზრუნველყოფდა. სამრეწველო-სავაჭრო მეგაპოლისები სოლიდური რაოდენობის სამხედრო-სავაჭრო ფლოტს ფლობდა. მაგალითად, ათენის ფლოტი 400 საბრძოლო ხომალდს ითვლიდა, კორინთო 200, ხოლო კერკირა 150 ტრიერს.

ხელოსნობის მნიშვნელოვან დარგად რჩებოდა საფეიქრო, ტანსაცმლის, ტყავ-ფეხსაცმლის წარმოება. კლასიკურ ეპოქაში შესამჩნევად გაიზარდა და ინტენსიური გახდა პოლისური თუ საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები. ამ პროცესებმა საბანკო ოპერაციები წარმოშვა. მათ განსაკუთრებული პირები – ტრაპეზიტები ახორციელებდნენ, რომლებიც თითოეულ სავაჭრო პოლისში იყვნენ. ტრაპეზიტები სამონეტო კურსს აკონტროლებდნენ, მონეტებს ახურდავებდნენ და ინახავდნენ; ისინი ასევე კერძო კრედიტებს გასცემდნენ და ვაჭრებს შორის ანგარიშსწორებას აწარმოებდნენ. სავაჭრო ოპერაციების ორგანიზებისთვის შეიქმნა ფიასები, კომერსანტების თავისებური გაერთიანებები, რომელთა ძირითადი ფუნქცია ურთიერთდაზღვევა, ფასების გაკონტროლება და ინფორმაციების გაცვლა იყო.

იმპორტირებული პროდუქცია, უპირატესად, საცალო კომერსანტების ხელში ხვდებოდა, შემდეგ ისინი საქონელს ბაზარზე ყიდდნენ. სავაჭრო ოპერაციების გაადვილებისათვის სპეციალური საბაზრო ნაგებობები, ფარდულები შენდებოდა, მაგრამ სავაჭრო ოპერაციები ხშირად ღია ცის ქვეშ მიმდინარეობდა.

საცალო-საბითუმო კომერციის აქტივობის მაჩვენებელია ძვ. წ. IV ს-დან ხურდა ფულების და მათი მცირე ნომინალების – ობოლებისა და ხალკების ინტენსიური ცირკულაცია.

ამრიგად, ძვ. წ. V-IV სს-ის საბერძნეთში შეიქმნა ინტენსიური, რაციონალური და სასაქონლო ხასიათის ეკონომიკური სისტემა, რამაც სოციალურ ურთიერთობებში გარკვეული ცვლილებები გამოიწვია.

კლასიკური ეპოქის ბერძნული სოციუმი ძირითადად სამი სოციალური ფენისაგან შედგებოდა. პირველი, ეს იყო მდიდარი, პრივილეგირებული ფენა, მეორე – მცირე მეწარმეები, მესამე – მონები.

წარჩინებული ფენის შემადგენლობა ერთგვაროვანი არ იყო. ის რამდენიმე სოციალური ჯგუფისაგან შედგებოდა. ერთ ასეთ ჯგუფს შეადგენდა მინათმფლობელი არისტოკრატია, რომელიც გენტილურ ტრადიციებს ინარჩუნებდა. ის ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებით არ იყო დაინტერესებული. აღნიშნული კატეგორია ოლიგარქიულ სისტემას იცავდა და დემოკრატიის დაუძინებელი მტერი იყო. ეს მცირერიცხოვანი ფენა დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და პოლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა. სწორედ ამ წრიდან ირჩევდნენ მაგისტრებს. ასევე მინისმფლობელი არისტოკრატიის წარმომადგენლები ხშირად სამხედრო ექსპედიციებსაც მეთაურობდნენ.

მოგვიანებით, სამრეწველო-სავაჭრო პოლისების გვაროვნული არისტოკრატიის გარკვეულმა ნაწილმა ალღო აუღო ახალი დროის მოთხოვნებს, მათი რიგები დატოვა და დემოკრატიული ელემენტების მხარე დაიჭირა.

მეორე ჯგუფს შეადგენდა პრივილეგირებული ფენის დინამიკური ნაწილი – „ახალი ბურჟუაზია", რომელიც ერგასტერიონებს, სავაჭრო გემებს, ბანკებსა და სახლებს ფლობდა. ეს ფენა პოლისის ეკონომიკური განვითარებით, დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებითა და აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარებით იყო დაინტერესებული. მისი პოლიტიკური დოქტრინა ზომიერი და ჰარმონიული დემოკრატია იყო.

აგრარული ტიპის პოლისებში პრივილეგირებული ფენა განსხვავებული სტრუქტურით გამოირჩეოდა. მაგალითად, სპარტაში სპარტიატების ზედაფენა ერთგვაროვანი იყო და მათგან მდიდარი ვაჭარ-მრეწველთა ფენა არ გამოიყოფოდა. სპარტიატები მეურნეობის ორგანიზებით არ იყვნენ დაკავებულნი და წარმოებასთან მათი კავშირი მიზერული იყო. სპარტიატები ტიპური ფეოდალები, მინისა და ჰილოტების მფლობელები იყვნენ. მართალია, ძვ. წ. IV საუკუნიდან ამ მონოლითურ ზედაფენაში ქონებრივი პოლარიზაცია ღრმავდება, მაგრამ მას წარმოების ინტენსიფიკაცია არ გამოუწვევია.

ბერძნული სოციუმის მრავალრიცხოვან მასას მცირე მეწარმეები შეადგენდნენ. ესენი იყვნენ წვრილი მინისმფლობელები, არენდატორები, მიკრო სახელოსნოების მფლობელები, საცალო მოვაჭრეები, მეზღვაურები და ქალაქის პროლეტარიატი.

წვრილი მინის მესაკუთრენი ყმა-გლეხები იყვნენ. ამგვარი კატეგორიის ფენას ათენში თეტებს უწოდებდნენ, თესალიაში პენესტებს, კრეტაზე კლაროტებს, ჰერაკლეაში მარიანდინებს. სწორედ ამ სოციალური ფენის პოლიტიკურ და სამოქალაქო აქტივობაზე იყო დამოკიდებული პოლისური ინსტიტუტების ეფექტური ფუნქციონირება. ამავე კრიტერიუმით განისაზღვრებოდა ასევე სოციალურ-პოლიტიკური დაპირისპირების ხასიათი თუ მისი ხარისხი.

აღნიშნული ფენის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი სტატუსი ოლიგარქიულ და დემოკრატიულ პოლისებში განსხვავებული იყო. ოლიგარქიულ პოლისებში ყმა-გლე-

ხები კერძო პირების საკუთრებად არ ითვლებოდა. ყმა-გლეხებს თავიანთი საკუთარი მეურნეობა ჰქონდათ, ოჯახიც ჰყავდათ და მიწის ნადელებს თვითონვე ამუშავებდნენ. მაგრამ ისინი სახელმწიფოსა და კერძო პირებისაგან ორმაგ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ. მაგალითად, სპარტაში თითოეული სპარტიატი პოლის-სახელმწიფოსაგან ჰილოტებსა და კლეროსს, მიწის ნადელს იღებდა. პლუტარქეს ცნობით, სპარტიატი მამაკაცის გამოსაკვებად ჰილოტებს უნდა გადაეხადათ 70 მედიმნი ქერი, ხოლო დედაკაცებისათვის 12 მედიმნი ქერი და გარკვეული რაოდენობის ღვინო, ზეთი, ერბო, ყველი და სხვა პროდუქტები (ლიკურგოსი, 8). ჰილოტები საკუთარ მეურნეობას დამოუკიდებლად უძღვებოდნენ და სპარტიატებს წარმოებაში ჩარევა ეკრძალებოდათ. სპარტიატებს თან ახლდნენ ჰილოტები, რომლებსაც მათი მფლობელები ექსტრემალურ სიტუაციებში მეომრებადაც იყენებდნენ. სპარტიატებს უფლება არ ჰქონდათ ჰილოტები სიკვდილით დაესაჯათ, თუმცა სპარტაში სახელმწიფო ჰილოტების წინააღმდეგ, ე.წ. „კრიპტიებს", საიდუმლო მკვლელობათა სერიას ახორციელებდა. ხელისუფლების სანქციით სპარტიატები საიდუმლო ვითარებაში თავს ესხმოდნენ ჰილოტებს და მათ ჯანღონით სავსე ნაწილს ხოცავდნენ.

დიამეტრიულად განსხვავებული იყო მიწის მესაკუთრეთა პოლიტიკურ-საზოგადოებრივი სტატუსი დემოკრატიულ პოლისებში. ამის ერთ-ერთი მკაფიო ილუსტრაციაა ათენელი თეტების უფლებრივი ნორმები. ათენის ყმა-გლეხები პირადი თავისუფლებით სარგებლობდნენ და გადასახადებს არ იხდიდნენ. ისინი საქონელმწარმოებლები იყვნენ ანუ მოწეული მოსავლის ნაწილს ბაზარზე ყიდდნენ და სოფლის მეურნეობისათვის აუცილებელ ინვენტარს იძენდნენ. ამავე დროს, თეტები ათენის სრულუფლებიან მოქალაქეებად ითვლებოდნენ და სახალხო კრების მუშაობაშიც მონაწილეობდნენ. ათენელი გლეხობის ნაწილი განსწავლული იყო და თეატრალურ სპექტაკლებსაც ესწრებოდა. არისტოფანეს კომედიებში წარმოდგენილია ათენელი გლეხის ტიპი, რომელიც ეკონომიკურად უზრუნველყოფილია, აქტიურად მონაწილეობს სახალხო კრებაში, პოლიტიკურად განვითარებული და საკმაოდ კულტურული ადამიანია. საერთოდ, პოლისური გლეხობა დემოკრატიულ პროგრამებს მხარს უჭერდა, მაგრამ რადიკალურ-დემოკრატიულ კონცეფციებს სიფრთხილით ეკიდებოდა.

მცირე მეწარმეთა რიგებს ავსებდნენ ვაჭრები და ხელოსნები, რომლებიც დემოკრატიული პოლისების პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდნენ. ამ კატეგორიის მოსახლეობის ქონებრივი მდგომარეობა მყარი და სტაბილური არ იყო. მსხვილი ერგასტერიონების ქსელის გაფართოებასთან დაკავშირებით მრავალი მცირე მეწარმეთაგანი გაკოტრდა, თუმცა მათ სახელმწიფო ეხმარებოდა. ამგვარი კატეგორიის მეწარმეთა მიმართ ყველაზე ოპტიმალური სოციალური პროგრამები ათენში პერიკლეს დროს გატარდა. აი რას წერს ამასთან დაკავშირებით პლუტარქე: „პერიკლემ ხალხს შესთავაზა გრანდიოზულ მშენებლობათა პროექტები, რომლის ხორცშესასხმელი პირობა მრავალგვარი ხელობის ხანგრძლივი გამოყენება იყო. ამით შინდარჩენილებს მეზღვაურებზე, მეციხოვნეებსა და მოლაშქრეებზე ნაკლები საბაბი როდი ექნებოდათ, საზოგადო სახსრებიდან თავისი წილი მიეღოთ" (პერიკლე, 12).

პოლისის ადმინისტრაცია ცდილობდა მოსახლეობის ძირითად საკვებ პროდუქტზე – პურზე სტაბილური ფასები შეენარჩუნებინა. პურით მოვაჭრეებს ფასების ხელოვნურად გაზრდის შემთხვევაში აჯარიმებდნენ.

არგოლიდის, ელიდის, თესალიისა და კრეტის აგრარული ტიპის პოლისებში მცირე მეწარმეთა კატეგორიას შეადგენდნენ პერიეკები. სამეცნიერო ლიტერატურაში განსაკუთრებით კარგადაა შესწავლილი სპარტელი პერიეკების სოციალური და იურიდიული სტატუსის საკითხები. ძვ. წ. V-IV სს-ში პერიეკები სპარტანული სოციუმის ერთ-ერთ სოციალურ ფენას წარმოადგენდა. პერიეკები სპარტიატების მსგავსად ლაკედემონიელებად ითვლებოდნენ. ისინი არმიაში მსახურობდნენ და უფლება ჰქონდათ სამხედრო ნადავლი სპარტიატელებთან ერთად თანაბრად გაეინაწილებინათ, თუმცა მათი უფლებები საგრძნობლად შეზღუდული იყო. პერიეკები სახალხო კრების მუშაობაში არ მონაწილეობდნენ; ისინი ისეთი განრთვნილები და აღზრდილები არ იყვნენ როგორც სპარტიატები. პერიეკები იზოლირებულად და საკმაოდ კომპაქტურად ცხოვრობდნენ. ისინი ძირითადად მინის მუშაკები, ვაჭრები და ხელოსნები იყვნენ. სახელმწიფოს ღალასა და ბეგარას უხდიდნენ. კლასიკურ პერიოდში პერიეკთა ფენაში ქონებრივი პოლარიზაცია მოხდა, მაგრამ ისინი მონოლითურობით გამოირჩეოდნენ. პერიეკებში პროფესიები ტრადიციისამებრ მამიდან შვილს გადაეცემოდა. ჰეროდოტეს სიტყვით, „ლაკედემონიელებსა და ეგვიპტელებს ერთნაირი ჩვეულება ჰქონდათ: ფლეიტისტის შვილი ფლეიტისტი ხდებოდა, მზარეულის შვილი მზარეული, მაცნეს შვილი მაცნე, სხვებს ხმის მთელი ჟღერადობით, მათი გაძევება არ ძალუძთ, რადგან ისინი თავიანთ მოვალეობას მემკვიდრეობის წესით ასრულებენ“ (III, 54). როგორც ჩანს, პერიეკები იურიდიულად თავისუფალი ხალხი იყო, თუმცა შეზღუდული სამოქალაქო უფლებებით სარგებლობდნენ.

პოლისური მოსახლეობის გარკვეულ კატეგორიას წარმოადგენდა ასევე პროლეტარიატი, რომელიც გაკოტრებული ხელოსნებისა და წვრილი მესაკუთრეებისაგან შედგებოდა. ისინი ქალაქებში ცხოვრობდნენ და ეპიზოდური გამომუშავებით ირჩენდნენ თავს. ისოკრატეს ცნობით, „ძველად ღარიბები არ იყვნენ და პოლისისაგან წყალობას არავინ ითხოვდა. ახლა კი შემოსავლიანი პირების რიცხვს შეჭირვებული ადამიანები ჭარბობენ. ისინი მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, როგორმე სარჩო-საბადებელი იშოვნონ: სასამართლოსთან თავს იყრიან, რათა კენჭი იყარონ, თეატრებში სტატისტებად მოეწყონ, ბნელი საქმეების კეთებისთვისაც მზად არიან“ (IV, 167). როგორც ისოკრატეს ამ ამონარიდიდან ჩანს, ძვ. წ. IV ს-ში ყალიბდება მანამდე უცნობი, ახალი სოციალური ფენა ქალაქის უღარიბესი მოქალაქეებისა, რომლებსაც წარმოებასთან კავშირი დაკარგული ჰქონდათ, უქონელნი იყვნენ, თუმცა პოლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდნენ.

პოლისური ადმინისტრაცია ამ დეკლასირებულ ელემენტებზე ზრუნავდა და მათ დახმარებას უწევდა. ასე მაგალითად, ათენის ადმინისტრაცია სახალხო კრების რიგით წევრებსაც ორი ობოლის ოდენობით გასამრჯელოს უხდიდა. ათენის გავლენიანი პოლიტიკოსები პოლიტიკური აქტივობების მოპოვებისათვის პროლეტარიატზე განსაკუთრებით ზრუნავდნენ. პერიკლემ პროლეტარებს „თეორიკონი“ – „თეატრალურ სანახაობათა დასწრებისათვის გასამრჯელო დაუწესა, ვინაიდან დეკლასირებულ ელემენტებში თეატრალური წარმოდგენები პოპულარული იყო. ამგვარი სანახაობისათვის თუ რომელიმე ათენელი პოლიტიკოსი ხარჯებს არ გაიღებდა, მაშინ ის ამ პარაზიტულ წრეში ავტორიტეტს კარგავდა.

კლასიკური პერიოდის სამრეწველო-სავაჭრო პოლისების მნიშვნელოვან სოციალურ ფენას მონები შეადგენდნენ. არქაულ ეპოქასთან შედარებით, ძვ. წ. V-IV სს-

ში მონათა რიცხვი და მათი როლი წარმოებაში საგრძნობლად გაიზარდა. მონობის მთავარი ცენტრები იყო: ათენი, კორინთო, მეგარა, ქიოსი, როდოსი და მილეტი.

მონობის ძირითად წყაროს შეადგენდნენ: სამხედრო ტყვეები, „ბარბაროსული" სამყაროს სხვადასხვა ქვეყნების მმართველ არისტოკრატთაგან გაყიდული თანამემამულეები, თვითმონები, მეკობრეები, დაკაბალებულები და სხვ.

ბერძნული კანონმდებლობით, მონებს ოჯახის შექმნის უფლება არ ჰქონდათ, მაგრამ მონათა დაქორწინება არცთუ ისე იშვიათი იყო. მონების შვილებიც მათი მეპატრონის საკუთრებად ითვლებოდნენ. სიცილიის ზოგიერთ რეგიონში მემამულეებს მოუწყვიათ მონათა სანაშენები, სადაც მონებს ზრდიდნენ და შემდეგ ყიდდნენ მათთვის სპეციალურად გამოყოფილ საბაზრო მოედნებზე. მონათა ამგვარი ბაზრობები თითქმის ყველა პოლისში ფუნქციონრებდა. მაგალითად, არისტოფანეს მინიშნებით, მონათა ბაზრობები არსებობდა თესალიაში. ათენის აგორაზე გამოყოფილი იყო განსაკუთრებული ადგილი, სადაც ხელფეხშებორკილ მონებს ამოწმებდნენ, ფასს ადებდნენ და ყიდდნენ. კანონმდებლობითა და საზოგადოებრივი შეხედულებითაც მონა ნახევარადამიანად ითვლებოდა.

ძვ. წ. IV ს-ში ბერძენმა სწავლულებმა მონობისა და მონათმფლობელური იდეოლოგიის შესახებ მწყობრი თეორიები შეიმუშავეს. ამგვარი თეორია ყველაზე სრულყოფილი სახით არისტოტელემ წარმოადგინა. არისტოტელეს მონები სხვა ფიზიკური მონაცემებისა და ფიზიკური ორგანიზაციის არსებებად მიაჩნდა, ვიდრე თავისუფალი ადამიანები. „ბუნებამ ისე შექმნა, – წერდა არისტოტელე, რომ თავისუფალი ხალხის ფიზიკური ორგანიზაცია მონების ფიზიკური ორგანიზაციისაგან განსხვავდება. მონების სხეული ძლიერია, ის ვარგისია ფიზიკური შრომისათვის, თავისუფალი ხალხი კი სწორად დგას და ამგვარი სახის სამუშაოებისათვის გამოუსადეგარია, სამაგიეროდ, ისინი პოლიტიკური ცხოვრებისათვისაა ვარგისი... ადამიანთა ერთი ნაწილი ბუნებით თავისუფალია, სხვები მონები და ეს უკანასკნელნი მონები უნდა იყვნენ, რაც სასარგებლო და სამართლიანია" (Pol., I, 1, 4).

მონა მეპატრონის საკუთრებად ითვლებოდა, მონის სიცოცხლეც კი მას ებარა. ბატონს მონაზე უნდა ეზრუნა. მონა უნდა გამოეკვება, შეემოსა, რათა მას ნორმალურად ემუშავა და მეპატრონის ბიუჯეტი გაეზარდა. ძვ. წ. V-IV სს-ში ბერძენთა მოკრძალებული ყოფის პირობებში მონისა და თავისუფალი ხალხის კვება-ჩაცმულობა თითქმის ერთგვაროვანი იყო. მონისა და მისი მეპატრონის დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით, მთელ რიგ პოლისებში აიკრძალა უმიზეზოდ მონის სიკვდილით დასჯა, ვინაიდან ამგვარი ქმედება მეპატრონეს ზიანს აყენებდა.

საზოგადოებრივი აზრით, მონა ბატონის პოტენციურ მტრად ითვლებოდა. მონათა უკმაყოფილების მიზეზების დაძლევისათვის მონების მართვის სისტემა შეიმუშავეს. ბერძენი სწავლულები მეპატრონეებს ურჩევდნენ მონებს განსაკუთრებით მოპყრობოდნენ. პლატონის რეკომენდაციით „მონებისადმი მიმართვას ბრძანების ხასიათი უნდა ჰქონდეს. მონებთან ხუმრობა დაუშვებელია. ზოგიერთ ბატონს უყვარს მონებთან ლაყბობა, რაც მათ მართვას ართულებს" (Pol. I, 74). პლატონისავე რეკომენდაციით, ერთი მეურნეობისათვის სხვადასხვა ეროვნების მონები უნდა შეერჩიათ, ვინაიდან განსხვავებული ადათ-წესები, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, ენობრივი ბარიერი მათ შორის უთანხმოებას გამოიწვევდა, რაც, თავის მხრივ, მონების მართვას გაადვილებდა. პლატონი მეპატრონეებს ურჩევდა მონები უმიზეზოდ არ დაესაჯათ და

განაჩენი სამართლიანი ყოფილიყო. მონებს ერთად ცხოვრება და საქმიანობა ეკრძალებოდათ. ისინი მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. იზოლირებულად ცხოვრობდნენ და საქმიანობდნენ. ამგვარი მეთოდი მონათა დაახლოებას ხელს უშლიდა და მონათა აჯანყებების შესაძლებლობებსაც მაქსიმალურად აფერხებდა. თუმცა, ეს მეთოდი ყოველთვის როდი ამართლებდა. პოლისების სერიოზული საშინაო-საგარეო პოლიტიკური კრიზისით მონები ზოგჯერ სარგებლობდნენ და აჯანყებებსაც აწყობდნენ. მაგალითად, ძვ. წ. 494 წ. არგოსში მონებმა გამოიყენეს სპარტასთან არგოსელთა მარცხის შემთხვევა და ქალაქი დაიკავეს. ძვ. წ. 414 წ. ათენის სამხედრო შენაერთებით გარემოცულ სირაკუზში სოსისტრატეს მეთაურობით მონები აჯანყდნენ, რომელიც სირაკუზელმა სარდალმა ჰერმოკრატემ ჩააქრო; ძვ. წ. 413 წ. პელოპონესის ომის დროს 20 ათასი ათენელი მონა სპარტის მხარეზე გადავიდა, რამაც ათენი მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო; ძვ. წ. 412 წ. ქიოსზე მიმდინარე სამხედრო ოპერაციებისას მრავალმა ქიოსელმა მონამ ათენელების მხარე დაიკავა, რამაც ათენის საჯარისო შენაერთებს კუნძულის აღება გაუადვილა. მიუხედავად ამისა, მონათა აჯანყებები ეპიზოდური ხასიათისა იყო. როგორც ჩანს, პოლისური ადმინისტრაციის პრევენციული ღონისძიებები და მონების ოპტიმალური მართვის მექანიზმები მონათა მასშტაბურ აჯანყებების მოწყობას მაქსიმალურად ეწინააღმდეგებოდა.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი დასავლელი სპეციალისტი (Валлон, 1941, გვ. 167-173; Finley, 1952, გვ. 120-129) და განსაკუთრებით მარქსისტი მეცნიერ-მკვლევარები ერთხმად აღიარებდნენ ძველი საბერძნეთის სამეწარმეო საქმიანობაში მონათა მნიშვნელოვან ხვედრით წილს და, საერთოდ, მონობის სისტემის არსებობას (იხ., დანერ. Историография античной истории, 1980, გვ. 358-363). მართალია, მონური შრომა გამოიყენებოდა მშენებლობაში, სამთამადნო მრეწველობაში, ხელოსნობასა თუ სოფლის მეურნეობაში, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არა რაოდენობრივ, არამედ მათი საქმიანობის ხარისხობრივ კოეფიციენტს. ამ მხრივ კი ისინი საგრძნობლად ჩამოუვარდებოდნენ პოლისის მოქალაქეებსა და მეტოიკოსებსაც. მეტიც, ისეთ პრესტიჟულ დარგებში, როგორიც მშენებლობა, კერამიკული წარმოება და სოფლის მეურნეობა იყო, პროცენტულად მონური შრომა მინიმალურია. ამის საილუსტრაციოდ არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ერეხთეიონისა და პართენონის მშენებლობაში მონები დაბალი კვალიფიკაციის სამუშაოებს ასრულდებნენ. მათ კვალიფიციურ სამუშაოებს იმ შემთხვევაში ანდობდნენ თუ მონები მოქალაქეებთან ერთად მუშაობდნენ და მათივე ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. ეს გასაგებიცაა. ძველი ბერძნები ხომ სამუშაოების ხარისხს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. სამშენებლო წარწერებში ხშირადაა მითითებული, რომ სამუშაოები მაქსიმალურად ხარისხიანად, „საუკეთესო სახით ჩატარებულიყო“.

სოფლის მეურნეობაშიც მონების ხვედრითი წილი მიზერული იყო. ძველი ბერძენი ორატორის ლისიასის თანახმად, ერთ-ერთი მდიდარი ათენელი მემამულის ქონების ჩამონათვალში მიწის მუშაკი მონები ზოგადადაა ნახსენები, ხოლო მონა ხელოსნები კი განსაკუთრებითაა გამოყოფილი; ასევე წარწერიან სტელებზე, სადაც გერმოკოპიდოსების კონფისკებული ქონების სიაა წარმოდგენილი, თითოეული საოჯახო ნივთიც კი დეტალურადაა აღნუსხული; აქ, ზოგადად, იხსენიება 45 მონა, ხოლო მათგან 16 მეტოიკოსი კეფისიდორესის კუთვნილებაა. მართალია, ათენისა და მისი მსგავ-

სი პოლისების მდიდარ მემამულეებს გარკვეული რაოდენობის მონები ჰყავდათ, მაგრამ სოფლის მეურნეობაში თავისუფალ მოქალაქეთა შრომა მონობას არ გამოუძევებია. მონური შრომა მას კონკურენციასაც ვერ უწევდა. ასე რომ, საბერძნეთის სამეწარმეო საქმიანობაში მონების განსაკუთრებული ხვედრითი წილი და, შესაბამისად, მონობის, როგორც სისტემის არსებობა უნდა გამოირიცხოს. ვფიქრობთ, სამეწარმეო სფეროში, განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობაში, მონათა შრომის ფართოდ გამოყენებას საბერძნეთის ეკოლოგიურ-გეოგრაფიული პირობების და მცირე იზოლირებული მიწათმფლობელობის სისტემა აფერხებდა. წვრილი მემამულენი მიწის ნაკვეთებს თვითონვე ამუშავებდნენ, მსხვილი მიწათმფლობელნი ძირითადად მიწას არენდით გასცემდნენ, ხოლო მას თუ თავად ამუშავებდნენ, მაშინ მცირე რაოდენობის მონებს იყენებდნენ.

ძვ. წ. V-IV სს-ის პოლისური ეკონომიკისა და მისი სოციალური სტრუქტურების კონკრეტული სურათის რეკონსტრუირება ათენის პოლისის სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების მიხედვითაა შესაძლებელი, რადგანაც შედარებით უფრო მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ცნობები მოგვეპოვება ამ ყველაზე დაწინაურებული პოლის-სახელმწიფოს შესახებ.

1. ათენის ეკონომიკა და სოციალური სტრუქტურა ძვ. წ. V-IV სს-ში

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა . ძვ. წ. V-IV სს-ის ათენის მოსახლეობა, როგორც ეს არისტოფანეს კომედიებიდან ჩანს, სოციალურად რანჟირებულია. არისტოფანეს ერთ-ერთი კომედიის („პლუტოსი") მიხედვით, ის სქემატურად ასე გამოიყურება: მიწათმოქმედნი, ვაჭრები და ხელოსნები. ამგვარი რანჟირების რეალობა არისტოტელეს ცნობითაც დასტურდება: „სახელმწიფო, როგორც ეს არაერთხელ აღნიშნულა, მრავალი შემადგენელი ნაწილისაგან შედგება: ერთი ესაა სახალსო მასა, რომელიც კვების პროდუქტებს აწარმოებს, ისინი მეურნეობაში არიან, მეორენი – ხელოსნები, რომელთა გარეშე სახელმწიფო ვერ იარსებებს, მესამენი – ვაჭრები, რომლებიც ყიდვა-გაყიდვით, საცალო და საბითუმო ვაჭრობით არიან დაკავებულნი, მეოთხენი – დაქირავებული მუშები, მეხუთენი – მეომრები" (Pol., IV. 3, 11, 1290-1291); შრომის განაწილების აუცილებლობის და პროფესიონალიზაციის მაღალი დონის შესახებ პლატონიც მიუთითებდა („სახელმწიფო" II, 369). არისტოფანეს კომედიებში ათენის ხელოსანთა მრავალგვარი პროფესიები ფიქსირდება. ესენია: ქვისმთლელები, ტყისმჭრელები, მჭედლები, გემთმშენებელი, მეწაღე, მაუდის მთელავი, ხაბაზი, ქურქის მკერავი, მეთუნე, იუველირი, მეტყავე, ფეიქარი, მეწისქვილე, მეხალიჩე და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ხელოსანთა ზოგიერთ პროფესიაში ვიწრო სპეციალიზაციაც გამოიყოფოდა, რაც შრომის განაწილების მაღალ დონეზე მიუთითებს. ასე მაგალითად, არისტოფანეს კომედიებში ხითხუროებთან ერთად მოხსენიებულია ბორბლისა და საწოლის ოსტატები; ფეიქართა შორის კი ქსოვილის მღებავები. ხელოსან-კერამიკოსების გარდა იყვნენ ასევე მეჭრაქეები. არისტოფანესთან მჭედლებს შორის ნახსენებია თოხებისა და გუთნების, შუბების, მახაირების, მუზარადების ოსტატები.

აღნიშნული სპეციალისტების გარდა, ათენში ხელოსნობის სხვა დარგის პროფესიონალი ოსტატებიც იყვნენ წარმოდგენილნი. პლუტარქე პერიკლეს ბიოგრაფიაში სხვადასხვა ხელობის ოსტატებს ასახელებს. ესენი იყვნენ: მშენებლები, მოქანდაკენი, თოქმაჩები, სპილოს ძვლის ოსტატები, მხატვრები, მემინანქრენი, მებაგირე-მეთოკენი, სირაჯები, გზის ოსტატნი (პერიკლე, 12).

ვფიქრობთ, ხელოსნების პროფესიათა ეს სია სრული არ უნდა იყოს, ვინაიდან მრეწველობის ისეთ განვითარებულ დარგში, როგორიც კერამიკული წარმოება იყო აქ დასაქმებულ ოსტატებს არისტოფანე და პლუტარქეც მხოლოდ მეთუნეების სახელით მოიხსენიებენ, როცა ამ სფეროში რამდენიმე ადამიანი საქმიანობდა და თითოეული განსაკუთრებულ ფუნქციას ასრულებდა. მართლაც, როგორც ეს ატიკური კერამიკის მოხატულობიდან ჩანს, ერთი ადამიანი ქურასთან მუშაობს, მეორე ჭურჭლის ფორმირებითაა დაკავებული, მესამე მისი მოხატვით. ბერძნული კერამიკული ჭურჭლის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე სავარაუდოა, რომ იქ მრავალი სახეობების ოსტატები არსებობდნენ.

როგორც აღინიშნა, ძვ. წ. V-IV სს-ში ათენსა და საერთოდ ელინური პოლისების წარმოების დაწინაურებულ დარგს კერამიკული წარმოება წარმოადგენდა. სწორედ აქ ხდებოდა ყველაზე მეტად წარმოების კონცენტრაცია. ათენის ზოგიერთ სახელოსნოში 20 მხატვარი მუშაობდა. კერამიკული ქურების კონსტრუქციაში გარკვეული ცვლილებები შეინიშნება. კერძოდ, VI ს-ში წრიული ფორმის გვხვდება, V-IV სს-ში კი სწორკუთხა დაგეგმარებისაა. ამგვარი სიახლეები პროდუქციის რაოდენობის ზრდისა და, შესაბამისად, ცალკე სახელოსნოებში შრომის განაწილების მაღალი დონის მიმანიშნებელია.

არისტოფანესთან მოხსენიებულ ხელოსნებს შორის სამთამადნო წარმოებასთან დაკავშირებული ოსტატების პროფესია არ ფიგურირებს. მხოლოდ პლუტარქე იხსენიებს ამ დარგის ერთ პროფესიას – მემთამადნეს, როდესაც სამთამადნო საქმე ატიკის წარმოების არსებით დარგს წარმოადგენდა, ეს კი შესაბამისი კვალიფიკაციის და სხვადასხვა პროფესიის მუშა-მოსამსახურეებს მოითხოვდა. მაღაროებში, ალბათ, მნგრეველები და ამომტუმბველებიც შრომობდნენ. აქვე უნდა ყოფილიყვნენ ასევე საინჟინრო პერსონალის წარმომადგენლები – მარკშაიდერი და გეოლოგი.

ძველი ავტორები მშენებლების პროფესიების შესახებაც ზოგადი აღნიშვნით შემოიფარგლებიან, მაგრამ ერეხთეიონის სამშენებლო წარნერაში დასახელებულია მშენებელთა ცალკე პროფესიები: არქიტექტორები, სკულპტორები, ქვისმთლელები, ცვილის მოდელების დამამზადებლები, ხუროები, მხერხავები, დურგლები, ხარატები, შავი მუშები.

ძველ ავტორთა დიდი ნაწილი თითქმის არაფერს ამბობს საზღვაო პროფესიების შესახებ. მხოლოდ პლუტარქე, პერიკლესა და თემისტოკლეს ბიოგრაფიებში, ზოგადად, იხსენიებს აღნიშნული სფეროს სპეციალისტებს – მეზღვაურებს, მესაჭეებს (თემისტოკლე, 19; პერიკლე, 12). არადა ათენელთა ყოფაში ზღვა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, ამიტომაც ვფიქრობთ საზღვაო სფეროში მრავალრიცხოვანი და მრავალგვარი პროფესიის ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ დასაქმებულნი.

ძველი ავტორები, სამწუხაროდ, ძუნწ ინფორმაციას გვაწვდიან ელინური ქალაქების ხელოსანთა რაოდენობის შესახებ. შედარებით უფრო მეტი მონაცემები გაგვაჩნია ათენელ ხელოსნებზე. ძვ. წ. V-IV სს-ის ატიკაში, ჯ. კუკის გაანგარიშებით, ერ-

თდროულად 400 კერამიკოსი მუშაობდა (Cook. 1962, გვ. 114). ზ. ლაუფერის მიხედვით კი ლავრეიონის მაღაროში 20-30 ათასი მხოლოდ მონა იყო დაკავებული (Lauffer, 1955, გვ. 161), მაგრამ მათ გარდა აქ დაქირავებული მუშებიც საქმიანობდნენ.

ამრიგად, ყველა საფუძველი გვაქვს იმის მტკიცებისა, რომ კლასიკური ეპოქის ათენში შრომის განაწილების მაღალი დონე იყო და ხელოსნურ წარმოებაში სპეციალიზაციაც შორს წასული პროცესია.

შრომის განაწილების მაღალი დონე, როგორც ეს ძველი ავტორების ცნობებიდან (არისტოფანე, არისტოტელე, პლუტარქე და სხვა) ჩანს, ვაჭრობის სფეროშიც დასტურდება. ბერძენი ავტორები, განსაკუთრებით კი არისტოფანე ვაჭართა მარავალრიცხოვან პროფესიებს ასახელებს. ესენი იყვნენ: პურით, თაფლით, ბოსტნეულით, თევზით, იარაღით და სხვა პროდუქტებით მოვაჭრენი. ეჭვს არ იწვევს, რომ აღნიშნული ეპოქის ათენში ვაჭრობა სპეციალიზირებული ხასიათისა იყო.

აღსანიშნავია, რომ წერილობით წყაროებში ხშირადაა მოხსენიებული ტრაპეზიტები, რომლებიც საბანკო ოპერაციებს ახორციელებდნენ. ელადაში ბანკები პირველად ძვ. წ. V ს-ში ჩნდება. ბანკების უმრავლესობა საპორტო, სავაჭრო ტიპის ქალაქებში იყო განთავსებული, ასევე ფუნქციონირებდა ცნობილ რელიგიურ ცენტრებში და ისეთ მდიდარ ქალაქებშიც კი როგორიც იყო სიკიონი და თებე. ბანკების კლიენტთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ემპორებს ეკავათ. ცხადია, საბანკო ოპერაციები ფულად-სასაქონლო ურთიერთობების მაღალი დონის მიმანიშნებელია, რასაც დამატებით მოწმობს არისტოფანესეული პროდუქტების სია, სადაც ჩამოთვლილია ის საგნები, რომლებიც ათენის ბაზარზე იყიდებოდა: ფქვილი, ხორბალი, ქერი, თაფლი, ღვინო, კვერცხი, ფრინველი (ბატები, იხვები, ქათმები, მტრედები) თევზი (ქაშაყი, სარდელი, ზუთხი, ხამანწკა) ყველი, ზეთი, ხახვი, ნიორი, კომბოსტო, სანელებლები, ძმარი და ა.შ.

არანაკლებ გრძელია სია სხვა სახეობის პროდუქციის, რომელიც ათენის ბაზარზე იყო წარმოდგენილი. ესენია: კრეტული ტანსაცმელი, კიმერული ხიტონები და გიმატიები, ფრიგიული და ეკბატანური ლაბადები, მეგარული სანდალები და ლაბადები, სპარსული და ლაკონიკური ჩექმები, კერამიკა, ხალიჩები, შალი. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მილეტური შალი და ხალიჩები, სარდონული მენამული, ლაკონიკური ბოქლომი, გვირგვინი, შეშა, ნახშირი.

მართალია ეს არასრული სიაა იმ პროდუქციისა, რომელიც ათენის ბაზარზე იყიდებოდა, მაგრამ აღნიშნული ცნობები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ათენში მრეწველობის ღრმა დიფერენციის და განვითარებული ფულად-სასაქონლო ურთიერთობების შესახებ. აღნიშნულით ისიც მტკიცდება, რომ კლასიკურ ეპოქაში ათენის სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები გარე სამყაროსთან და ბერძნულ პოლისებთან ინტენსიურია. ქალაქსა და სოფელს შორის სავაჭრო ურთიერთობანიც შესამჩნევია, რასაც მოწმობს თუნდაც არისტოფანეს ერთ-ერთი კომედიის („ქალები სახალხო კრებაზე" 817-819) ის სცენა, სადაც ათენელი გლეხი ყიდის ყურძენს, რათა ნავაჭრი ფულით ფქვილი იყიდოს. ეს ფაქტი, სხვა მხრივ, ატიკის სოფელში განვითარებული ფულად-სასაქონლო ურთიერთობების მაჩვენებელიცაა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ურთიერთობანი უფრო მაღალ განვითარებას აღწევს ქალაქში, ვიდრე „ხორაში", სადაც ჯერ კიდევ ოიკოსური მეურნეობის ელემენტებია შენარჩუნებული.

მართალია, ზემოთ წარმოდგენილი ცნობები კლასიკური ეპოქის ეკონომიკის ყოველმხრივი შესწავლისათვის ვერ გამოდგება, მაგრამ ეს ცნობები უდავოდ მოწმობს ათენში ფულად-სასაქონლო ურთიერთობების, საერთაშორისო და პოლისებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტების ინტენსივობის, მრეწველობის სპეციალიზაციის გაღრმავების, ვაჭართა და ბანკირთა სპეციალური ფენის არსებობის, შრომის განაწილების ინტენსიფიკაციას. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ უკვე ძველ დროში აცნობიერებდნენ იმ ფაქტს, რომ ქალაქის სიდიდეზე იყო დამოკიდებული შრომის განაწილების ხარისხი. ეს მკაფიოდ ნაჩვენებია ქსენოფონტის „კიროპედიაში" (VIII, 2.5). ნიშანდობლივია, რომ ძვ. წ. IV ს-ში ტერმინ „ავტარკიის" შინაარსიც მკვეთრად იცვლება. არისტოტელესათვის ავტარკია ნიშნავდა იმას, რომ სავაჭრო ოპერაციებით პოლისი ყველა აუცილებელი პროდუქტებით უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი. ყოველივე ზემოთქმული შესაძლებლობას იძლევა კლასიკური ათენი ნამდვილ ქალაქად, სავაჭრო-სამრეწველო ცენტრად ჩაითვალოს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ათენში არსებული სიტუაცია უნიკალური არ იყო. ანალოგიური პროცესები ელინური სამყაროს სხვა მეგაპოლისებში –კორინთოში, მეგარაში, სიკიონში, სირაკუზში, მილეტში და სხვაგან მიმდინარეობდა. ძვ. წ. IV ს-დან ეგეოსურ სამყაროში ბრინჯაოს მონეტების გავრცელების ფაქტი ადასტურებს, რომ საბაზრო ურთიერთობებმა, სპარტა და კრეტის დორიული მიკროპოლისების გარდა, მთელი საბერძნეთი მოიცვეს. ამ პროცესებმა საბერძნეთის სოციალურ განვითარებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა. ფულად-სასაქონლო მეურნეობის განვითარებამ ხელი შეუწყო წვრილ მწარმოებელთა ემანსიპაციას და ათენური დემოკრატიის ფორმირებისათვის რეალური პირობები მოამზადა.

ისმის კითხვა: რომელმა პროცესებმა შეასრულა კატალიზატორის როლი ათენისა და დანარჩენი მეგაპოლისების საქალაქო ეკონომიკის ამგვარ კარდინალურ ცვლილებებზე ან რა შეიძლება ეწოდოს იმ პროცესებს, რომლებიც ელინურ პოლისებში მიმდინარეობდა? ცნობილი ამერიკელი მკვლევრის მ. ფინლის აზრით, ანტიკური ეკონომიკისა და სოციალური ურთიერთობების შესწავლისათვის შეუძლებელია თანამედროვე ცნებებისა და კრიტერიუმების გამოყენება. ბერძენ-რომაელებისათვის ისეთი თანამედროვე ეკონომიკური ცნებები, როგორიცაა: „კაპიტალი", „კაპიტალდაბანდება", „პროდუქცია", „მოგება" უცხო იყო. მ. ფინლის კონცეფციით ანტიკური ქალაქი არა წარმოების, არამედ მოხმარების ცენტრი იყო. მისი მტკიცებით წარმოება შესამჩნევ ზეგავლენას ვერ ახდენდა ექსპორტზე და, საერთოდ, საქალაქო ცხოვრებაზე. ანტიკური სოციალური ფსიქოლოგია დაუშვებლად მიიჩნევდა მანუფაქტურული ორგანიზაციის გზით ქალაქის გამდიდრებას; ის ასევე უარყოფდა ფულად-სასაქონლო ურთიერთობების განვითარებას (Finley, 1952, გვ. 249-269). მ. ფინლისეულ შეხედულებათა სისტემას ვერ გავიზიარებთ, ვინაიდან, ჯერ ერთი, მას აუხსნელი რჩება ანტიკური ეკონომიკის სტაგნაციის მიზეზები; ანტიკური სოციალური ფსიქოლოგიის არსიც ახსნას საჭიროებს. მეორე – მ. ფინლი პრაქტიკულად ჩქმალავს იმ ფაქტების სისტემას, რომელიც (ათენის ეკონომიკური ცხოვრების ანალიზისას) ჩემ მიერ იყო წარმოდგენილი.

იმ მკვლევრების აზრს ვემხრობით, რომლებიც აღნიშნული პროცესების მიზეზებს პოლისისა და ქალაქის დიქოტომიაში, პოლისური სისტემისა და ქალაქის ევოლუციურ განვითარებაში ეძებენ. საქალაქო ეკონომიკის განვითარებით პოლისის წიაღში ქალაქი იქმნება. ქალაქის პერმანენტული განვითარებით პოლისური სტრუქ-

ტურა დეფორმირდება. პოლისი და ქალაქი ურთიერთდაპირისპირებულ ტენდენციებს ავლენს: ქალაქი – მრეწველობის ცენტრი, ხოლო პოლისი – მიწათმოქმედებისა და მიწისმესაკუთრეთა გაერთიანება; ქალაქი, როგორც კერძო საკუთრების განვითარების ასპარეზი, პოლისი კი კერძო და სახელმწიფო საკუთრების სინთეზატორი. ქალაქი – ტენდენცია დინამიკისაკენ, პოლისი – ტენდენცია არსებული ურთიერთობებისა და პირობების რეპროდუცირებისაკენ.

პოლისი, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, მიწისმფლობელთა დასახლებისაგან შეიქმნა და მის მყარ ეკონომიკურ საფუძველს მიწისმესაკუთრეობა წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ძვ. წ. VIII-VII ს-ში საკმაოდ ძლიერი პოლისური სტრუქტურები ახლად ფეხადგმულ ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას აფერხებდა. შემთხვევითი არ არის, რომ მთელ რიგ პოლისებში მიიღეს კანონები ხელოსნებისათვის მოქალაქეობრივი უფლებების შეზღუდვის ან მათთვის ხელოსნური საქმიანობის აკრძალვის შესახებ. ეს იყო მიწისმფლობელთა საზოგადოების სტიქიური რეაქცია ხელოსნობის წინააღმდეგ, რომელიც მის მონოლითობას არღვევდა. ძვ. წ. V ს-დან ვითარება კარდინალურად იცვლება. პოლისი, რომელიც მიწათმოქმედი მოსახლეობის ცენტრს წარმოადგენდა, ხელოსნებსა და ვაჭრებს თანდათანობით იზიდავდა, რაშიც კატალიზატორის როლი ინტენსიურმა სატაძრო მშენებლობამ და პანელინურმა დღესასწაულებმა შეასრულეს. პირველი მათგანი ხელს უწყობდა ხელოსნობის განვითარებას, ხოლო მეორე – სავაჭრო ოპერაციების ინტენსიფიკაციას.

ცალკეული პოლისის ფარგლებში ქალაქის აღმოცენება ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარების პროცესზე სხვადასხვანაირად რეაგირებდა. მაგალითად, ისეთმა უნიკალურმა მეგაპოლისმა როგორიც სპარტა იყო თავისი მოქალაქეები, მეომრების გარდა, ყოველგვარი სამუშაოსაგან გაანთავისუფლა, ხოლო ხელოსნობა, ფულად-სასაქონლო ურთიერთობანი კი საკუთრივ ლაკედემონური პოლისის ფარგლებიდან ანექსირებულ ტერიტორიაზე გადაიტანა. სწორედ ამგვარმა სისტემამ სპარტულ პოლისს შეაძლებინა ფულად-სასაქონლო ურთიერთობის განვითარება აეცილებინა.

საწინააღმდეგო ვითარება დასტურდება კორინთოში, მეგარაში, სიკიონში, თებეში, მილეტში და, გასაკუთრებით, ათენში. ამ სახელმწიფოებში პოლისური სტრუქტურა განვითარებულ მრეწველობასა და ფულად-სასაქონლო სისტემას შეეგუა. კლასიკური ეპოქის ათენის მოქალაქეებს წარმოება და ვაჭრობა უკვე აღარ ეკრძალებოდათ. ამ სფეროში ათენის მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი იყო დასაქმებული. ძვ. წ. 480-322 წწ-ში ათენში პოლიტიკური რეჟიმი მეზღვაურებისა და ვაჭარ-ხელოსანთა კავშირზე იყო ბაზირებული. ნიშანდობლივია, რომ პერიკლემდე ათენის გამოჩენილი პოლიტიკოსები მიწისმფლობელები იყვნენ, მოგვიანებით კი მრეწველები.

ამრიგად, ყველა საფუძველი გვაქვს იმის მტკიცებისა, რომ პოლისი პირველადი სტრუქტურაა, რომლის ფარგლებში საქალაქო ორგანიზმის განვითარება მიმდინარეობს. ამ პროცესს როგორც საქალაქო, ასევე პოლისურ სტრუქტურებზე შესამჩნევი კვალი უნდა დაემჩნია.

ქალაქის ფორმირებისა და მისი განვითარების პროცესზე (პოლისური სისტემის ზეგავლენის ფაქტორთაგან) მნიშვნელოვანი სოციალური ფაქტორი იყო. როგორც ცნობილია, ათენის მრეწველობაში სამი სხვადასხვა სოციალური სტატუსიანი ფენაა წარმოდგენილი: მოქალაქეები, მეტოიკოსები და მონები. მართალია, ბაზარზე ისინი

წარმოჩენილნი არიან, როგორც თანასწორუფლებიანი კონტრაგენტები, მაგრამ ყოფის სხვა სფეროში მათი სტატუსი სხვადასხვაგვარია და ეს წარმოებისა და ვაჭრობისადმი მათ შეხედულებებზე გარკვეულ დაღს ასვამს.

მკვლევართა გაანგარიშებით, ძვ. წ. V-IV სს-ის ათენის მოქალაქეთა რიცხვი 30-40 ათას კაცს შეადგენდა (Gomme, 1933, გვ. 106, Кузнецов, 1990, გვ. 30). მათი გარკვეული ნაწილი, როგორც ეს ერეხთეიონის ცნობილი სამშენებლო ანგარიშებიდან (Randall, 1953, გვ. 199-210) ჩანს, ძირითადად დასაქმებულნი იყვნენ მშენებლობაში, სადაც სხვადასხვა ხასიათის სამუშაოებს ასრულებდნენ. აღნიშნულ ანგარიშში ნახსენებია ცხრა მოქალაქე ქვისმთლელი. ექვსი მათგანი მხოლოდ კოლონების კანელურებით იყო დაკავებული. თუმცა, ერთი მათგანი, ვინმე ფალაკრე პეანიელი კედლებზე ბლოკებს აწყობდა, მათ თლიდა და კოლონებსაც აკანელირებდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კვალიფიციური ქვისმთლელი ქვაზე სხვადასხვა სახის სამუშაოებს ერთდროულად ასრულებდა.

ერეხთეიონის ანგარიშებში ხუთი მოქალაქე დურგალი ფიგურირებს. ხუთივე მათგანი ისეთ კვალიფიციურ სამუშაოებს ასრულებენ, როგორიცაა ტაძრის კრამიტით გადახურვა, კარებზე წირთხლის დაყენება, ძელებისა და თამასების გამართვა და სხვ. მოქალაქე დურგლების მაღალკვალიფიციურობაზე ისიც მიუთითებს, რომ მათ ხელფასი სანაღდო წესით უნაზღაურდებოდათ. მოქალაქე ხელოსანთა მაღალ პროფესიონალიზმზე მიუთითებს ასევე ის ფაქტი, რომ ანგარიშებში არქიტექტორებად მხოლოდ ათენელი მოქალაქეებია წარმოდგენილი და თანაც ისინი მუდმივად დღეში ერთ დრაქმას იღებდნენ. როგორც ჩანს, ეს პროფესია მხოლოდ ათენის სრულუფლებიანი მოქალაქის პრეროგატივა იყო. არქიტექტორების გარდა მშენებლობაში სამი მოქანდაკე მოქალაქეც მონაწილეობდა. როგორც წარწერიდან ირკვევა, მოქანდაკენი ფრიზების პროექტის შემსრულებლები იყვნენ, რაც ასევე მაღალკვალიფიციურ სამუშაოდ ითვლებოდა. აღსანიშნავია, რომ მოქალაქე ხელოსნები სანარდო ანაზღაურების წესით მუშაობდნენ, რაც მათი პროფესიონალიზმის დამატებითი მოწმობაა.

მთლიანობაში ერეხთეიონის მშენებლობაში ჩვენთვის ცნობილი 89 სოციალური სტატუსის პირთაგან 27% ათენელი მოქალაქე იყო და ისინი, როგორც ირკვევა, მაღალკვალიფიციურ ოსტატებს წარმოადგენდნენ. მართალია, ძველი ავტორები ხელოსნობის სხვა დარგებში მათი მოღვაწეობის შესახებ ძუნწ ცნობებს გვაწვდიან, მაგრამ, ვფიქრობთ, ისინი აქაც ასეთივე წარმატებულნი იყვნენ. ზოგიერთი მოქალაქე ალბათ ერგასტერიონების მფლობელებიც იყვნენ; ზოგი კი სავაჭრო და საბანკო-საკრედიტო ოპერაციებშიც მონაწილეობდა, რაც პარადოქსულია, ვინაიდან ამგვარი პროფესიები წერილობით ტრადიციაში ნეგატიურად ხასიათდება. მიუხედავად ამისა, პოლისის მოსახლეობის ყველა ფენისათვის ეს ფაქტი მიულებელი იყო, რადგანაც მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი იძულებული გახდა თავი ხელოსნობით ერჩინა. დემოსთენეს სიტყვით, „თავისუფალ ხალხს სიღარიბე აიძულებდა მონური და მძიმე სამუშაოები შეესრულებინათ“ (LVII. 45). სავსებით მართებულად გვეჩვენება ა. ჯონსის მოსაზრება იმის შესახებ, რომ კლასიკური პერიოდის ათენში თავისუფალი მამაკაცებისა და ქალების უმრავლესობას დალხინებული ცხოვრება არ ჰქონდათ და მატერიალური წარმოების ყველა სფეროში საქმიანობდნენ (Jones, 1957, გვ. 18). თუმცა, ღარიბი მოქალაქისათვის, მაგალითად, ერეხთეიონის ან პართენონის მშენებლობაში მონაწილეობა და მისგან აღებული ჯამაგირი არსებობის ერთადერთ წყაროს

არ წარმოადგენდა. პოლისი გარკვეული დოზით თავის მოქალაქეებს გვერდში ედგა (მაგ., საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობისათვის ხელფასს უხდიდა).

არანაკლებ მნიშვნელოვანია ასევე პოლიტიკური ფაქტორი, კერძოდ კი ათენის არხეს არსებობის. აღსანიშნავია, რომ ეს ფაქტორი იმდენად არსებითია, რომ, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, აღნიშნულმა ალიანსმა ათენის აგრარული პოლისიდან სავაჭრო-სამრეწველო პოლისად ტრანსფორმაციაში გადამწყვეტი როლი შეასრულა (Frost, 1979, გვ. 67-70). მოკავშირეებისაგან აღებული საწევროები ათენში გრანდიოზული მშენებლობისათვის მიზანმიმართულად გამოიყენებოდა, რაც ათენის მოქალაქეების მნიშვნელოვან ნაწილს არსებობის შესაძლებლობას აძლევდა; გარდა ამისა, გემთმშენებლობის ინტენსივობა და საზღვაო ფლოტში სამსახური, მრავალი ათენელი მოქალაქის არსებობას უზრუნველყოფდა. ამრიგად, პოლიტიკური ფაქტორი ათენის სავაჭრო-სამრეწველო განვითარებაში თავიდანვე სტიმულირებდა. თუმცა ხელოსნობისა და ფულად-სასაქონლო მეურნეობის განვითარებაში მხოლოდ არხეს როლის აღიარება მართებული არ იქნება. ამიტომ სხვა გარემოებები უნდა იყოს გათვალისწინებული. ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში მუსირებდა შეხედულება იმის შესახებ, რომ თუ მოქალაქე ხელოსნობაშია დაკავებული, მაშინ ეს სიღარიბის შედეგია.

არხეს ფუნქციონირების პერიოდში, ათენის პოლისის მიზანი იყო რიგითი მოქალაქეების გაღარიბების პროცესი დაეძლია ან შეეჩერებინა კლერუხიების შექმნით. 450–440 წწ-ში კლერუხიებში 4 ათასი ათენელი მოქალაქე დასახლდა. ამავე დროს, პოლისი ამცირებდა სამუშაო ძალის პოტენციალს, რომელიც ხელოსნობაზე იყო ორიენტირებული; გარდა ამისა, პოლისი საბაზრო ურთიერთობებშიც ერეოდა, განსაკუთრებით კი იმ დროს, როდესაც კვების პროდუქტების მომარაგებაში პრობლემები შეიქმნებოდა.

პოლისური სისტემა ფულად-სასაქონლო მეურნეობის განვითარებასაც ამუხრუჭებდა, ვინაიდან სამონეტო მიმოქცევიდან დიდძალი ფულადი სახსრების მუდმივად ამოღება ხდებოდა. ფულის ამოღების ერთ-ერთი მექანიზმი ხელოსნობასა და ვაჭრობაში დასაქმებული ათენელი მოქალაქეების მიერ მინების შესყიდვა იყო. მართალია, მიწა ნაკლებ შემოსავლიანი იყო, ვიდრე ვაჭრობა, მაგრამ ეს შემოსავალი უფრო სანდო წყაროს წარმოადგენდა, გარდა ამისა სოციალური პრესტიჟი მიწისმფლობელობაზე იყო დამოკიდებული. მეორე მექანიზმი პოლისის მიერ დაწესებული ე.წ. ლიტურგიები, საგანგებო გადასახადებია. პოლისი ამგვარი მექანიზმებით მდიდარი მოქალაქეებისა და მეტოიკოსებისაგან ფულად სახსრებს იღებდა და მათ არანარმოებით სფეროში აბანდებდა.

განსხვავებული იყო ათენის მრეწველობაში დასაქმებული მეტოიკოსების პოლიტიკურ-ეკონომიკური სტატუსი, რომელიც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს და უდავოდ სპეციალურ შესწავლას იმსახურებს.

ძველ საბერძენთში უცხოელი მოქალაქეები „ქსენოსებად" და „მეტოიკოსებად" იწოდებოდნენ, მაგრამ ეს ტერმინები არსობრივად ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. ქსენოსში, კონკრეტულად, ამა თუ იმ პოლისში დროებითი მცხოვრები, ხოლო მეტოიკოსში ემიგრანტები და მუდმივად მოსახლე პირები იგულისხმებოდნენ.

მეტოიკოსის მსგავს ფორმას, მე-ტა-კი-ტა-ს სახით, ჯერ კიდევ მიკენურ ტექსტებში ვხვდებით. ისინი არსობრივადაც თითქმის იდენტური ტერმინებია. მეტაკიტაც „ჩამოსახლებულს", ემიგრანტს ნიშნავდა (გორდეზიანი, 2009, გვ. 212). არქაული

და კლასიკური ეპოქის საბერძნეთში კი ტერმინი მეტოიკოსი პირველად ძვ. წ. 510 წლის ერთ-ერთ წარწერაში ფიქსირდება (Whitehead, 1977, გვ. 64), ხოლო ნარატიულ წყაროებში ძვ. წ. V ს-ში იხსენიება.

ათენურ სოციუმში მეტოიკოსები უკვე სოლონის დროს ფიგურირებენ. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს ინვევს პლუტარქეს ერთი მრავალმხრივ საინტერესო ცნობა. აი ისიც: „დიდ სიძნელეს წარმოადგენს სოლონის იმ კანონის კარგად გაგება, რომელიც ათენის მოქალაქედ უცხოელის აღიარებას ეხება. სოლონი ათენის მოქალაქედ გახდომის უფლებას ანიჭებს მხოლოდ იმას, ვინც სამუდამოდაა გამოძევებული სამშობლოდან და იმ პირსაც, რომელიც მთელი ოჯახით გადმოსახლდება ათენში, რათა აქ ხელი მიჰყოს ხელოსნობას. ამბობენ, სოლონმა ასეთი კანონი სხვა უცხოელების თავიდან მოშორების მიზნით კი არ გამოსცა, არამედ იმიტომ, რომ სწორედ ზემოხსენებული პირნი დაემკვიდრებინა ათენში. ესენი, მისი აზრით, მტკიცე მოქალაქენი გახდებოდნენ და ერთგულებიც იქნებოდნენ. ერთნი საკუთარი სამშობლოს იძულებითი დაკარგვის გამო, მეორენი კი იმიტომ, რომ თავიანთი მხარე ნებით მიატოვეს“ (სოლონი, 24).

პლუტარქეს ეს ვრცელი ამონარიდი ორ დამოუკიდებელ ნაწილად შეიძლება დაიყოს. პირველი ნაწილი უშუალოდ უცხოელებისათვის ათენის მოქალაქეობის მინიჭების სოლონისეულ კანონს ეხება, ხოლო მეორე სოლონის თანამედროვეებისა თუ პოსტსოლონისეული თაობის კომენტარებს აღნიშნული კანონის თაობაზე. პირველი ნაწილიდან ჩანს, რომ მეტოიკოსებად მხოლოდ ათენში იძულებითი ან მთელი ოჯახით გადმოსახლებული პირები ითვლებოდნენ. ამასთან, კანონი სწორედ ამ კატეგორიის უცხოელებს ანიჭებდა მოქალაქის სტატუსს და არა იმ პირებს, რომლებიც ეკონომიკური თუ სხვა მოტივაციებით ინდივიდუალურად, თვითნებურად იყვნენ ათენში გახიზნულები. აღნიშნული ნაწილიდან ისიც ჩანს, რომ ათენის საპატიო მოქალაქეობა ხელოსნობის განვითარებას ეწირებოდა. სოლონი ათენში ხელოსნობის აღორძინებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. მან ათენის ეკონომიკური გაძლიერებისათვის სპეციალური კანონი გამოსცა. ამ კანონის მიხედვით შვილი არ იყო ვალდებული ერჩინა მამა, თუ იგი რაიმე ხელობას არ შეასწავლიდა (სოლონი, 22). ასე რომ, სოლონი ათენის მრენველობის განვითარების უზრუნველყოფისათვის ისეთ უკიდურეს დათმობაზე მიდიოდა, როგორიც მეტოიკოსებისათვის ათენის მოქალაქეობა იყო, ვინაიდან მის სრულუფლებიან მოქალაქეებად მხოლოდ მკვიდრი ათენელები ითვლებოდნენ. მართალია, სოლონი მეტოიკოსებს მოქალაქეობას პირდებოდა, თუმცა იმ პირობით, თუ ისინი ხელოსნობაში დასაქმდებოდნენ. მიუხედავად ამისა, ამ სფეროში დასაქმებული მეტოიკოსები ათენის სრულუფლებიან მოქალაქეებად მაინც არ ჩაითვლებოდნენ, რადგანაც ამგვარ სტატუსს მხოლოდ მინისმესაკუთრეები ფლობდნენ. მეტოიკოსებს კი მიწისმფლობელობა კანონით აკრძალული ჰქონდათ.

რაც შეეხება პლუტარქეს ზემოაღნიშნული ცნობის მეორე ნაწილს, ის სოლონის დროინდელი ან გვიანდელი პოლიტიკოსებისა თუ რიგითი მოქალაქეების (შესაძლოა მეტოიკოსების) კომენტარებია, თუმცა ამ ნაწილშიაც გარკვევით არ ჩანს სოლონი რა ხარისხის მოქალაქეობის სტატუსს ანიჭებდა ათენში გადმოსახლებულ მეტოიკოსებს.

მოგვიანებით, მეტოიკოსები კლისთენეს რეფორმების არეალში მოექცნენ. არისტოტელეს ცნობით, ათენის მოქალაქეთა რიცხვის გაზრდის მიზნით, კლისთენემ „ფილეებში მრავალი უცხოელი, მონები და მეტოიკოსები ჩართო“ (Pol., 1275b). არისტო-

ტელეს ეს ცნობა მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მ. კუტორგას მიხედვით კლისთენემ ფილეების წევრი გახადა „მრავალი მეტოიკოსი უცხოელი და მრავალი მეტოიკოსი მონები" (Куторга, 1894, გვ. 229). მაგრამ კლისთენემდე მეტოიკოსების ამგვარი გაგება (როგორც განსაკუთრებული წოდების არსებობა) მცდარ მოსაზრებაზეა დაფუძნებული. ათენელი მეტოიკოსები, როგორც წოდება პირველად ძვ. წ. 460-იან წლებში იხსენიება (IG: I, 188, 52). კ. მატიეს აზრით, კლისთენემ ფილეებში მრავალი უცხოელი ჩართო, ხოლო მონები მეტოიკოსები გახადა (ციტ. Доватур, 1965, გვ. 355), მაგრამ მის ჰიპოთეზას ზოგიერთი ენობრივი შეუთანხმებლობა აუფერულებს. მ. ჰიგნეტის მოსაზრებით, არისტოტელესეულ ტერმინს – „მონები-მეტოიკოსები" – აბუჩად აგდების ელფერი დაჰკრავდა და ჰექტემორებს განეკუთვნებოდა (Hignett, 1952, გვ. 133). ვფიქრობთ, საეჭვოა, რომ არისტოტელეს თავის თეორიულ ნაშრომში ისინი ამგვარი დამამცირებელი ტერმინოლოგიით მოეხსენიებია, თუმცა „მონები-მეტოიკოსები" IV ს-ის ბერძნული ენისათვის ჩვეულებრივი იყო. „ქსენოსები", გ. ბიკნელის ვარაუდით, ტირანთა მოქირავნეებია, რომლებმაც ტირანიის დამხობის შემდეგ დიაპსეფისის შედეგად მოქალაქეობა დაკარგეს, ხოლო მერე კლისთენეს მხარი დაუჭირეს და მოქალაქის სტატუსი ხელმეორედ მიენიჭათ (Bicknell, 1974, გვ. 146). ამგვარი მოსაზრება ძალზე ჰიპოთეზურია და წერილობითი წყაროებით არ დასტურდება.

მართალია, არისტოტელეს თანახმად, კლისთენეს რეფორმების დროს ათენის მოქალაქე მრავალი უცხოელი გახდა, მაგრამ მას ეს აქტი რეფორმატორის მთავარ მიზნად არ მიაჩნდა, რადგან ეს აქცია იყო არა ერთადერთი, არამედ ერთ-ერთი მექანიზმი პოლის-სახელმწიფოს ცენტრალიზაციის განმტკიცებისათვის. მართალია ისიც, რომ არისტოტელეს ზემოაღნიშნული ცნობა არცთუ ისე ნათელია, მაგრამ როგორც ჩანს, ის არა რეფორმების ტექსტის ჩანაწერიდან, არამედ ატიოდოგრაფიული ტრადიციებიდან გამომდინარეობდა. ნიშანდობლივია, რომ კლისთენესეული რეფორმებით ათენის მოქალაქეთა რიცხვის ზრდის ტენდენცია უფრო ნათლადაა ასახული არისტოტელეს თეორიულ ნაშრომში – „პოლიტიკაში", ვიდრე ისეთი პრაქტიკული ხასიათის თხზულებაში, როგორიც „ათენის პოლიტია" იყო. ეს მომენტი იმით აიხსნება, რომ ფილოსოფოსი ამ შემთხვევაში ამოდიოდა სახელმწიფოს დემოკრატიზაციის თეორიებიდან მოქალაქეთა რიცხვის გაზრდის ხარჯზე, ხოლო მისი ცნობა კლისთენეს დროს ახალი მოქალაქეების მიღების შესახებ განიხილებოდა, როგორც ამ სიტუაციის ილუსტრაცია.

მართლაც, ძვ. წ. IV ს-ში დემოკრატიულ გარდაქმნებს თან სდევდა მოქალაქეთა რიცხვის ზრდა, თუმცა VI-V სს-თვის ეს არ იყო დამახასიათებელი. ამის მკაფიო ილუსტრაციაა პერიკლეს დროს მოქალაქეთა სიების გადახედვა-შემოწმება. ამიტომაც არისტოტელესეული ცნობა მეტოიკოსებისათვის ფართო მასშტაბით მოქალაქეობის მინიჭება ძალზე საეჭვოა. უცნაურად ჩანს ის ფაქტი, რომ თუკი ძვ. წ. 510 წ. სახალხო კრებამ მოქალაქეთა რიცხვის შემცირების საკითხი მოიწონა, მომენტალურად შეცვალა პოზიცია და ნეოპოლიტების მასობრივ მიღებას დაუჭირა მხარი. ძვ. წ. VI ს-ში მოქალაქეობის უფლება პრივილეგია იყო, რომელიც „უცხოელებზე" უხალისოდ ვრცელდებოდა.

ვფიქრობთ, კლისთენეს დროს ნეოპოლიტების მიღების შესახებ არისტოტელესეული ცნობის საფუძველი იყო ის მომენტი, როდესაც ძვ. წ. 510 წ. ატიკის სოფლის

მოსახლეობის გარკვეულმა კატეგორიამ ტირანიის დროს დაკარგა მოქალაქეობის სტატუსი და შემდეგ ის კვლავ დაიბრუნა. შესაძლოა, მეტოიკოს-ემიგრანტების გარკვეულ ჯგუფსაც მიეღო მოქალაქეობა. აქვე იმასაც დავსძენთ, რომ კლისთენეს რეფორმების მიზანი ახალი მოქალაქეების მიღება და მათი ადაპტაცია როდი იყო, თუმცა მათ თან ახლდა სამოქალაქო საზოგადოების გარკვეული ზრდა-განვითარება.

პერიკლეს დროს მეტოიკოსებს მოქალაქეობის მიღება კიდევ უფრო უნდა გართულებოდათ, ვინაიდან პერიკლეს კანონით ათენის მოქალაქე უნდა ყოფილიყო ის, ვინც დედით და მამით ათენელი იყო. ამავე დროს, პერიკლეს რეფორმები მეტოიკოსებს ათენში შრომით საქმიანობას არ უზღუდავდა, პირიქით მის დროს მეტოიკოსები აქტიურად ჩანან ჩართულნი ხელოსნობაში. წარმოების ამ დარგში მეტოიკოსების ადგილის, მათი ხარისხობრივი და რაოდენობრივი კოეფიციენტების შესახებ, ერთობ მრავალმხრივ საინტერესო ინფორმაციის შემცველია ერეხთეიონის სამშენებლო ანგარიშები, ეპიგრაფიკული დოკუმენტები, რომლებიც ძვ. წ. 409-407 წწ-ში ტაძრის მშენებლობის ბოლო ეტაპზე შედგა (Randall, 1953, გვ. 199-210).

აღნიშნული ანგარიშიდან ირკვევა, რომ ერეხთეიონის მშენებლობაში სხვადასხვა პროფესიისა და სხვადასხვა სოციალური კატეგორიის პირები მონაწილეობდნენ. შედარებით უფრო მრავალრიცხოვან მასას ქვისმთლელები შეადგენდნენ. როგორც აღინიშნა, ხსენებული ანგარიში მშენებლობის ბოლო ფაზას განეკუთვნება, როდესაც ტაძრის კედლები უკვე ამოყვანილი იყო და მხოლოდ ჭერის გადახურვა და კოლონების კანულირება რჩებოდა. ერეხთეიონის სამშენებლო ანგარიშში დაფიქსირებულია თოთხმეტი ქვისმთლელი მეტოიკოსები, რომლებიც რაოდენობრივად ჩამორჩებოდნენ მონებს (16), ხოლო აღემატებოდნენ ქვისმთლელ მოქალაქეებს (9). ქვისმთლელი მეტოიკოსები, ათენელი მოქალაქეების მსგავსად, კოლონების კანულირებით იყვნენ დაკავებულნი, რაც მათ მაღალ კვალიფიკაციაზე მიუთითებს. მონები კი ძირითადად შავ სამუშაოს ასრულებდნენ.

ერეხთეიონის მშენებლობაში ხითხუროებს განსაკუთრებული ადგილი ეკავათ. ამ სფეროში შვიდი მეტოიკოსი, ხუთი მოქალაქე და ოთხი მონა იყო დასაქმებული. შვიდი მეტოიკოსიდან ორი ტაძრის სახურავისათვის ხის კესონებს ამზადებდა, სამი მათგანი ხეზე კვეთით იყო დაკავებული, დანარჩენი კი მოდელების დამზადებით. მეტოიკოს ხუროებს სანარდო ხელფასი ეძლეოდათ.

ერეხთეიონის მშენებელთა შორის ფიგურირებენ ასევე მოქანდაკენი. მშენებლობაში რვა მოქანდაკე იყო დაკავებული. სამი მათგანი მოქალაქე, ხუთი კი მეტოიკოსი იყო, რაც მათ მაღალ კვალიფიკაციაზე მეტყველებს. მოქანდაკეები ასაკოვანი მამაკაცის ფიგურის დამზადებისათვის 60 დრახმას, ხოლო მოზარდის ფიგურისთვის 30 დრახმას იღებდნენ. ერეხთეიონის ანგარიშებში მშენებლობისათვის უჩვეულო პროფესიის მეტოიკოსებიც გვხვდება. ერთი მეტოიკოსი დიონისოდორი მხატვარი იყო, რომელმაც ქიმატიები მოხატა; მეორე მეტოიკოსი სისიფოს მელიტელი კი მოომქროვებელი. მას როზეტები მოუვარაყებია. სისიფოსი შესაძლოა, არც ყოფილიყო პროფესიონალი მომვარაყებელი. იქნებ ის მხატვარი ან ოქრომჭედელი იყო. ამ პროფესიის ხელოსანი მეტოიკოსები დღიურად ორი დრახმის ოდენობით ჯამაგირს იღებდნენ. აღსანიშნავია, რომ ერეხთეიონის ანგარიშებში მეტოიკოსი არქიტექტორი არ არის წარმოდგენილი. აქ მხოლოდ ორი ათენელი მოქალაქე არქიტექტორი ფიგურირებს და თანაც ისინი დღეში მუდმივად ერთ დრახმას იღებდნენ. როგორც ჩანს, აღნიშნული პროფესია

მხოლოდ ათენელი მოქალაქეების პრეროგატივა იყო.

მთლიანობაში ერეხთეონის მშენებლობის ბოლო ფაზაში დასაქმებული 106 ხელოსნიდან 24 ადამიანი მოქალაქე იყო, 43 მეტოიკოსი, 22 მონა, ხოლო 17 გაურკვეველი სოციალური სტატუსის პირი, ე.ი. ჩვენთვის ცნობილი 89 სოციალური სტატუსის პირთაგან 27% ათენელი მოქალაქეა, 48,3% მეტოიკოსი, 24,7% კი მონა. როგორც ჩანს, ერეხთეიონის მშენებელთა შორის პროცენტულად მეტოიკოსები ჭარბობდნენ. მართალია ისინი ხარისხობრივი კოეფიციენტით ათენის სრულუფლებიან მოქალაქეებს ჩამოუვარდებიან, მაგრამ მეტოიკოსები საკმაოდ მაღალკვალიფიციური, პროფესიონალი ხელოსნები იყვნენ.

როგორც ცნობილია, მეტოიკოსები არა მარტო ხელოსნობაში, არამედ სავაჭრო ოპერაციებში მასიურად მონაწილეობდნენ. აღნიშნულ წარწერიან სტელაზე სხვადასხვა პროფესიის ვაჭარ-მეტოიკოსები ფიგურირებენ. ესენი იყვნენ: ზეთით მოვაჭრენი, თხილის, ხახვის, შალის, ყურძნის, ფქვილის, ტყავის, პურის გამყიდველები; მეტოიკოსები აქტიურად მონაწილეობდნენ ასევე საბანკო ოპერაციებში. ათენის ტრაპეზიტთა უმრავლესობას ბანკირი მეტოიკოსები შეადგენდნენ. პოლისური კანონმდებლობით მეტოიკოს ტრაპეზიტებს, ხელოსნებსა და ვაჭრებს მოქალაქეობის, მიწის გირავნობის, უძრავი ქონების შეძენის, მაღაროების არენდით აღების უფლებები ეკრძალებოდათ. ამგვარი უფლებები ათენის სახალხო კრების დადგენილებით მხოლოდ ცალკეულ პირებს ენიჭებოდათ პოლისის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

მეტოიკოსებს ათენის სამხედრო სამსახურშიც იწვევდნენ, თუმცა ისინი, როგორც წესი, დამხმარე ფუნქციას ასრულებდნენ და, უპირატესად, ატიკის საზღვრების დაცვა ეკისრებოდათ. ექსტრემალური სიტუაციისას მეტოიკოსების სამხედრო შენაერთები აქტიურ საბრძოლო ოპერაციებშიც მონაწილეობდნენ. ამგვარ შემთხვევას ადგილი ჰქონდა პელოპონესის ომის დროს, როდესაც, თუკიდიდეს ცნობით, „ათენელები პერიკლეს მეთაურობით, მთელი თავისი ძალებით, მოქალაქეებითა და მეტოიკოსებით მეგარიდაში შეიჭრნენ" (II, 31,1).

მეტოიკოსები ზოგჯერ ათენის პოლიტიკურ ავანსცენაზეც ჩანან. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ათენის აკროპოლისზე აღმოჩენილი სტელის ფრაგმენტზე წარმოდგენილი დეკრეტის ტექსტი „ოცდაათი" ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში ათენელი დემოკრატების მომხრეთა დაჯილდოების შესახებ (IG, II^2. 10).

როგორც ცნობილია, მეტოიკოსებს ათენის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ, მაგრამ ექსტრემალური სიტუაციისას ათენელი პოლიტიკოსები მათ მხარდაჭერას საჭიროებდნენ. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ მუნიხიასთან ბრძოლის დროს დემოკრატების ლიდერი თრასიბულე ყველას „ისოტელიას" პირდებოდა, ვინც ამ ბრძოლაში მონაწილეობას მიიღებდა. ამ მოწოდებამ გამოხმაურება პოვა, ვინაიდან თრასიბულეს მომხრეთა რიცხვი მომენტალურად გაიზარდა. ქსენოფონტის ცნობით თრასიბულემ 70-კაციანი რაზმით ფილეოსი დაიკავა; მალე მისი სამხედრო შენაერთები 700 გახდა (Hell., II, 4,2). „ოცდაათი"-ს ტირანიასთან დემოკრატების გამარჯვებისა და მათი ათენში დაბრუნების შემდეგ, თრასიბულე შეეცადა თავისი თანამებრძოლებისათვის მოქალაქეობა ებოძა. თრასიბულეს კანონპროექტი სახალხო კრებამ მოიწონა, მაგრამ დემოკრატების მეორე ლიდერმა არხინოსმა გააპროტესტა. ძველი ავტორები არაფერს გვამცნობენ იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწია თრასიბულეს პროექტს. მაგრამ, როგორც აღნიშნული დეკრეტის ტექსტიდან

ირკვევა, თრასიბულეს თანამებრძოლი მეტოიკოსების ნანილი მოქალაქეობის უფლებით დააჯილდოვეს. დაჯილდოებულ მეტოიკოსთა რაოდენობის დადგენა არ ხერხდება. ზოგიერთი მკვლევრის აზრით მათი რიცხვი 300 კაცამდე აღწევდა (Gomme, 1933, გვ. 46), ზოგი კი 400 კაცამდე ვარაუდობს (Глускина, 1958, გვ. 73). ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია, დემოკრატების არმიაში არაათენელ მეტოიკოსთა ხვედრითი ნილი საკმაოდ დიდი ჩანს. ეს გასაგებიცაა, რადგან ათენის დემოკრატიული მთავრობა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ვაჭრობისა და ნარმოების განვითარებას მეტოიკოსებს ყოველმხრივ იზიდავდა და სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობისათვის ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა. დემოკრატები მეტოიკოსების უფლებებს უზრუნველყოფდნენ. ცხადია, ხელისუფლების სათავეში ოლიგარქოსების დარჩენა მეტოიკოსების პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებს გააუარესებდა. ამიტომაც, მეტოიკოსების მთელი მასა, ერგასტერიონების მფლობელები, ემპორები, ტრაპეზიტები, ხელოსნები, მოიჯარეები ოლიგარქოსებთან ბრძოლაში დემოკრატებს თანაუგრძნობდნენ.

ათენის სახელმწიფოს ძნელბედობის დროს მეტოიკოსებმა დემოკრატებს ქმედითი დახმარება გაუწიეს. პელოპონესის ომში მეტოიკოსები ათენელთა არმიაში ჰოპლიტებად მსახურობდნენ, რაც უფრო საშიშ და რთულ პროფესიად ითვლებოდა, ვიდრე კავალერიაში სამსახური.

ათენის სამხედრო ფლოტის ეკიპაჟის მნიშვნელოვან ნანილს ღარიბი მეტოიკოსები შეადგენდნენ. მეტოიკოსები ათენის ერთგულნი დარჩნენ მაშინაც კი, როდესაც სპარტელები მათ მაღალ ანაზღაურებას შეპირდნენ. სამოქალაქო ომშიც მეტოიკოსები დემოკრატებს აქტიურად უჭერდნენ მხარს. ასე მაგალითად, ძვ. წ. 411 წ. ოლიგარქოსების ლიდერის ფრინიხოსის წინააღმდეგ შეთქმულებაში მეტოიკოსებმა განსაკუთრებული როლი შეასრულეს. მოგვიანებით, ძვ. წ. 409 წ. მათ მაღალი ხარისხის ჯილდოები ებოძათ. ერთ მეტოიკოსს მოქალაქეობის სტატუსი მიენიჭა, ხოლო დანარჩენებმა უძრავი ქონების შეძენის უფლება მოიპოვეს. ძვ. წ. 404-403 წწ-შიც მეტოიკოსები შეძლებისდაგვარად დემოკრატიას იცავდნენ. როდესაც დემოკრატებმა „ოცდაათის“ მმართველობასთან ბრძოლა გააჩაღეს, მათ მრავალი მეტოიკოსი მიემხრო. ისინი დემოკრატებს ფულით და იარაღით ეხმარებოდნენ.

სამწუხაროდ, ძვ. წ. 401-400 წწ. აღნიშნული დეკრეტის ცუდი დაცულობის გამო, დაჯილდოებულთა ზუსტი რიცხვის დადგენა, როგორც ითქვა, არ ხერხდება. სამაგიეროდ, ათენის აკროპოლისისა და ეგინური დეკრეტების ფრაგმენტებით შესაძლებელია დემოკრატების მხარდაჭერისთვის დაჯილდოებულ მეტოიკოსთა სოციალური შემადგენლობის განსაზღვრა.

როგორც წარწერებიდან ირკვევა, დაჯილდოებულთა შორის ჭარბობენ მცირე და საშუალო შეძლების მეტოიკოსები, რომლებიც ხელოსნობით, დაქირავებული შრომით, წვრილი ვაჭრობით თავს ირჩენდნენ. წარწერებში იხსენიებიან მინის მუშაკები, დაქირავებული მუშები, წვრილი მოვაჭრები, დურგლები, მთელავები, ხაბაზები, მეწაღეები და მთელი რიგი წვრილი ხელოსნები. დასაჩუქრებულთა შორის იყვნენ ვაჭრებიც, მაგრამ დაჯილდოებულთა უმრავლესობას მცირე მეწარმეები შეადგენდნენ. დაჯილდოებულთა სიაში საკმაოდ სოლიდური რაოდენობითაა წარმოდგენილი სოფლის მეურნეობის მუშაკები. ტექსტში მოხსენიებულ 69 კაციდან 19, ე.ი. 25% მეურნეა. ისმის კითხვები: რით შეიძლება აიხსნას სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მეტოიკოს-

თა მაღალი პროცენტი მაშინ, როცა მათ უძრავი ქონების შეძენის უფლება არ ჰქონდათ და მეორე – რატომაა, რომ ჩვენამდე მოღწეულ სიაში დემოკრატების მხარდამჭერთა შორის ნაკლებად ფიგურირებენ მდიდარი მეტოიკოსები, რომლებიც დემოკრატიის პირობებში მნიშვნელოვან სარგებელს ნახულობდნენ? რაც შეეხება პირველ კითხვას, ვფიქრობთ, ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ფილეში, მის მოსაზღვრე დემებიდან ადვილად შეიძლებოდა შელწევა. ნიშანდობლივია, რომ არხინოსის დეკრეტში ფილეებისა და მათი მეზობელი დემების მრავალრიცხოვანი მოსახლეა დაჯილდოებული. მეურნე მეტოიკოსები მიწისმფლობელები კი არ იყვნენ, არამედ არენდატორები, ვინაიდან დაჯილდოებული მუშები განსაკუთრებით აღინიშნებიან. მიწის არენდირების უფლება კი მეტოიკოსებს ჰქონდათ.

რაც შეეხება არამოქალაქეთა შორის ღარიბი მეტოიკოსების სიჭარბეს, ვფიქრობთ, სწორედ ამ კატეგორიის მეტოიკოსები მონაწილეობდნენ უშუალოდ დემოკრატიულ მოძრაობაში მაშინ, როცა მდიდარი მეტოიკოსები ამგვარი ქმედებებისაგან თავს იკავებდნენ და დემოკრატებს მხოლოდ ფულადი სახსრებით ეხმარებოდნენ. ამის თვალსაჩინო მაგალითია ცნობილი ორატორის ლისიასისა და მისი ძმის პოლემარხოსის თავგადასავალი. ისინი დემოკრატიულ წრეებთან იყვნენ დაკავშირებულნი და ათენი მანამ არ დატოვეს, სანამ პოლემარხოსი არ დააპატიმრეს. ლისიასმა გაქცევით უშველა თავს. მდიდარი მეტოიკოსები, რომლებიც მონებსა და ერგასტერიონებს ფლობდნენ, ათენის დატოვების შემთხვევაში თავიანთ ქონებას კარგავდნენ და ამიტომ მოცდა ამჯობინეს, სანამ ათენში სიტუაცია უკიდურესად არ დაიძაბებოდა. რაც შეეხება მეტოიკოს ემპორებს, ნავკლერებსა თუ ტრაპეზიტებს მათ ადვილად შეეძლოთ გამგზავრება და თავიანთი ქონების სხვა, მშვიდობიან ქალაქში გადატანა. ღარიბი მეტოიკოსები კი თავს ვერსად შეაფარებდნენ. მართალია დევნა-შევიწროვება პირველ რიგში შეეხო მდიდარ მეტოიკოსებს, რომელთა ქონების ჩამორთმევასაც ოლიგარქოსები ცდილობდნენ, მაგრამ ტერორი გავრცელდა ღარიბ მეტოიკოსებზეც, რომლებიც პროდემოკრატიული ორიენტაციით იყვნენ ცნობილი.

ასე რომ, მეტოიკოსების ყველა სოციალური კატეგორიის ფენები თავიანთ ბედს დემოკრატიას უკავშირებდნენ. ამიტომაც მიიღეს მათ აქტიური მონაწილეობა დემოკრატიულ მოძრაობაში, რისთვისაც მეტოიკოსებმა სხვადასხვა ხარისხის ჯილდოები დაიმსახურეს: ზოგმა ფულადი პრემია მიიღო, ზოგს მოქალაქეობის სტატუსი ებოძა, ხოლო ზოგიერთმა უძრავი ქონების შეძენის უფლება მოიპოვა.

ძვ. წ. V ს-ის დასასრულს, ათენში დემოკრატიის რესტავრაციის შემდეგ, მეტოიკოსების მიმართ უწინდელი პოლიტიკა აღდგა. ამიერიდან მოქალაქეობისა და უძრავი ქონების უფლება ნაკლებად გაიცემოდა. ამ მხრივ ვითარება რამდენადმე შეიცვალა ძვ. წ. IV საუკუნიდან, როდესაც ათენში პოლისური სისტემის კრიზისი დაიწყო.

ძვ. წ. 360 წ. ათენში, ვ. ერენბერგის გაანგარიშებით, 25-50 ათასი (Ehrenberg, 1969, გვ. 78-79), ხოლო ძვ. წ. 313 წელს, ა. გომის თანახმად, 10 ათასი მეტოიკოსი ცხოვრობდა (Gomme, 1933, გვ. 224). მათი აბსოლუტური უმრავლესობა წინანდებურად ხელოსნობა-ვაჭრობასა და საბანკო ოპერაციებში იყვნენ დასაქმებულნი. აღსანიშნავია, რომ ეს ფაქტი პოლისურ სტრუქტურებს დიდ საფრთხეს უქმნიდა, რადგან პოლისის ფინანსები არამოქალაქეების, მეტოიკოსებისა თუ ქსენოსების ხელში აღმოჩნდა. ათენის ძლიერების დროს, პოლისის ადმინისტრაცია მის განეიტრალებას მეტოიკოსებზე დაწესებული ლიტურგიების, საგანგებო გადასახადების გზით ახერხებდა და

მათ არანარმოებით სფეროში აბანდებდა. ძვ. ნ. IV საუკუნიდან ათენის ადმინისტრაციული სისტემის მოშლასთან ერთად საკუთრების ახალი ფორმა ვითარდება. ამის შესახებ ჯერ კიდევ ბერძენი მოაზროვნეები მიანიშნებდნენ. ასე მაგალითად, არისტოტელე იოკონომიკოსსა და ქრემასტიკოსს ერთმანეთისაგან მიჯნავდა (Pol., I. 3, 11-17). საკუთრების ძველი, ტრადიციული ფორმა, ჯერ ერთი, მოქალაქეობის სტატუსს უკავშირდებოდა, ხოლო მეორე, ეს, უნინარეს ყოვლისა, მინისმფლობელობაა. საკუთრების ნოვაციური ფორმა კი კერძო საკუთრება იყო. ის არანაირად არ უკავშირდება მოქალაქეობის სტატუსს და პირველ რიგში წარმოადგენდა საკუთრებას ფულსა და მონებზე, რომლებსაც ძვ. ნ. IV ს-ში ძირითადად მეტოიკოსები ფლობდნენ.

ვფიქრობთ, ამგვარმა პროცესმა პოლისის ბედზე სერიოზული ზეგავლენა იქონია, რაც პოლისური სისტემის კრიზისით დასრულდა. პოლისური სტრუქტურების კრიზისის გაღვივებასა და ათენის სოციო-ეკონომიკურ სფეროში მეტოიკოსების როლის ზრდის მიმანიშნებელია ასევე ის ფაქტი, რომ ძვ. ნ. IV ს-ში ათენის მინათმფლობელობის სისტემაში მეტოიკოსები ეტაპობრივად მკვიდრდებოდნენ. თუმცა, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, მეტოიკოსები მინის დასაკუთრებას არ ცდილობდნენ, ვინაიდან მათი საქმიანობის ძირითადი სფერო ვაჭრობა და ხელოსნობა იყო (Whitchead, 1977, გვ. 73-75). მართალია ვაჭრობა და ხელოსნობა უფრო შემოსავლიანი ჩანდა, ვიდრე მინათმოქმედება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, მინისმფლობელობა მაინც მეტოიკოსებისათვის მიმზიდველი უნდა ყოფილიყო, რადგანაც ათენში მინის შეძენის უფლების მოპოვება ჯილდოდ ითვლებოდა.

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, მეტოიკოსები შესაძლოა საზოგადოებრივი მინის არენდატორებიც ყოფილიყვნენ (Глускина, 1968, გვ. 42-43), რაც ჩვენი აზრით ეჭვს იწვევს, რადგან ჯერ ერთი, ეპიგრაფიკული მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ მეტოიკოსები უპირატესად ქალაქის დემებში ცხოვრობდნენ. გარდა ამისა, ჩვენამდე მოღწეული 30 არენდატორთა შორის არც ერთი მეტოიკოსი არ ფიქსირდება. ასე რომ, მეტოიკოსები პრაქტიკულად საზოგადოებრივი მინის ნაკვეთების საარენდო პროცესში არ მონაწილეობდნენ. აქ მხოლოდ ათენელი მოქალაქეები ფიგურირებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ მეტოიკოსები კერძო მინების საარენდო პროცესშიც ნაკლებად მონაწილეობდნენ (Padgug, 1975, გვ. 108).

ძვ. ნ. IV ს-ში ათენის პოლიტიკურ და ეკონომიკის ზოგიერთ სფეროში მეტოიკოსებისა და მოქალაქეთა უფლებების გათანაბრება ხდება. ასე მაგალითად, პირველად ათენის სასამართლო პრაქტიკაში მეტოიკოსისა და მოქალაქის უფლებები გათანაბრდა. აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნულ ეპოქაში, მეტოიკოსებსა და მოქალაქეებს შორის სოციალური კონტაქტები გაფართოვდა, რაც ტრადიციული სამოქალაქო სოციუმისთვის უცხო იყო. მოქალაქეებსა და მეტოიკოსებს ერთობლივად შეეძლოთ კრედიტირება. ათენელი მოქალაქე საკრედიტო ოპერაციების დროს მეტოიკოსების შუამავლებად ან თავდებებად გვევლინებიან; საბანკო ოპერაციებს მხოლოდ მეტოიკოსები აწარმოებდნენ.

კარგადაა ცნობილი თუ რა როლი შეასრულეს ძვ. ნ. IV ს-ის ბერძნულ პოლისებში ტრაპეზიტებმა, რომლებმაც მიმოქცევაში ჩართეს არა მარტო თავიანთი, არამედ მეანაბრეთა სახსრები. ჩვენთვის ცნობილი ძვ. ნ. IV ს-ის 26 ათენელი ტრაპეზიტიდან ორი ათენელი იყო, 14 არაათენური წარმომავლობის, თანაც 11 მათგანი მეტოიკოსი, ხო-

ლო ერთი მეტოიკოსის ვაჟიშვილი.

მეტოიკოსების აქტიური მონაწილეობა საზღვაო ვაჭრობის საკრედიტო ოპერაციებშიც არ დასტურდება. ეს გასაგებიცაა, რადგან ტრაპეზიტები მეანაბრეთა ფულით სარგებლობდნენ და ეს საკმაოდ რისკიანი ოპერაცია იყო. ამიტომაც, ტრაპეზიტების საქმიანობა ძირითადად შიდა ათენური ოპერაციებით შემოიფარგლებოდა. ზოგიერთმა მათგანმა ისეთ წარმატებებს მიაღწია, რომ ათენის სახელმწიფოს მატერიალურად ეხმარებოდნენ და მეტოიკოსისათვის მაღალი ჯილდო – ათენის მოქალაქეობის სტატუსი დაიმსახურეს. ზოგიერთი მკვლევარი მიანიშნებს, რომ ელინისტური ხანის ათენში მიმდინარეობდა მდიდარი მოქალაქეებისა და მდიდარი მეტოიკოსების შერწყმის პროცესი, რაც მათი საერთო სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების თანხვედრით იყო განპირობებული (Padgug, 1975, გვ. 108).

ძვ. წ. IV საუკუნიდან ათენის მოქალაქე არაერთი მეტოიკოსი გახდა. მიუხედავად ამისა, არც ამ დროს და არც წინა საუკუნეებში მეტოიკოსები ათენის სრულუფლებიანი მოქალაქეები არ გამხდარან. ისინი მუდამ ახალ მოქალაქეებად, „ახალ ათენელებად" ითვლებოდნენ. შესაბამისად მათი უფლებებიც შეზღუდული ჩანს. მეტოიკოსებს არასოდეს ხელი არ მიუწვდებოდათ ათენის სახელმწიფოს მაღალ თანამდებობისაზე, მათ ათენის ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის უფლებაც არ ჰქონდათ; მეტოიკოსების აბსოლუტურ უმრავლესობას მიწის შეძენის, გირავნობის და მადნეულის წარმოების უფლება არ ჰქონდათ. ასე რომ, ათენის „მოქალაქე" მეტოიკოსთა უფლებები გარკვეულწილად შეზღუდული იყო. ამ მხრივ ისინი ემსგავსებიან თანამედროვე, ე.წ. „ნატურალიზებულ" მოქალაქე ემიგრანტებს, რომლებიც მოქალაქეობას მთავრობის რეკომენდაციით იღებენ. ამგვარ სტატუსიან მოქალაქეებს იმდენი უფლებები არა აქვთ, რაც მკვიდრ მოქალაქეებს გააჩნიათ. მთელ რიგ ქვეყნებში ნატურალიზებულ მოქალაქეებს აკრძალული აქვთ პრეზიდენტობაზე კენჭი იყარონ ან პოლიტიკური პარტიები ჩამოაყალიბონ (აშშ, გერმანია, ეგვიპტე და სხვ.); ზოგიერთ ქვეყანაში კი (ავსტრია, მექსიკა, ესპანეთი და სხვ.) ნატურალიზებულ მოქალაქეებს, სასამართლოს წესით, შეიძლება მოქალაქეობა გაუუქმდეს.

როგორც ჩანს, ემიგრანტებისათვის მოქალაქეობის მინიჭების საკითხი მუდამ აქტუალური და პრობლემური იყო. მოქალაქე ემიგრანტები როგორც ანტიკურ, ასევე ზოგიერთ თანამედროვე სახელმწიფოში შეზღუდული უფლებებით სარგებლობენ. მიუხედავად ამისა, თავიანთი „მეორე სამშობლოს" სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ. სწორედ ამგვარი როლი შეასრულეს მეტოიკოსებმა ძველი ათენის განვითარებაში, თუმცა მეტოიკოსთა ამგვარმა აქტივობამ პოლისური სტრუქტურების დეფორმაცია გამოიწვია, რაც, საბოლოოდ, ძვ. წ. IV ს-ში ათენის სახელმწიფოებრივი სისტემის კრიზისით დასრულდა.

რაც შეეხება მონებს, მათი რიცხვი ძვ. წ. V ს-ის ათენში საგრძნობლად გაიზარდა. სამეცნიერო ლიტერატურაში ათენელი მონების რაოდენობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. მაგ., ათენში ი. ბელოხის აზრით, მონები 75 ათასს შეადგენდა (Beloch, 1926, გვ. 109); ედ. მაიერის თანახმად 50 ათასიდან 150 ათასამდე მერყეობდა (Meyer, 1937, გვ. 156); ე. გომის გაანგარიშებით 115 ათასი (Gomme, 1933, გვ. 212), ხოლო ვ. ერენბერგის მიხედვით 80-100 ათასი მონა ცხოვრობდა (Elvenberg, 1969, გვ. 93). მკვლევარები ერთხმად აღიარებდნენ, რომ ძვ. წ. V ს-ში ათენის მოსახლეობის 25-43%-ს მონები

შეადგენდნენ. მონური შრომა მრეწველობის სხვადასხვა სფეროში გამოიყენებოდა. როგორც ცნობილია, ლავრეიონის ვერცხლის მაღაროებსა და ერგასტერიონებში ათასობით მონა მუშაობდა. აღნიშნულ მაღაროში, ზ. ლაუფერის გაანგარიშებით, მისი ინტენსიური ფუნქციონირების დროს 20-30 ათასი მონა იყო დასაქმებული (lauffer, 1955, 38-39). მარტო ერთ მდიდარ ათენელ მოალაქეს ნიკიასს ლავრეიონის მაღაროში 1000 მონა ჰყავდა დასაქმებული, ხოლო ჰიპონიოკესს 600 მონა, მაგრამ ეს გამონაკლისი იყო. მცირე სახელოსნოებში 5-10 მონა იყო დასაქმებული. მართალია ეინმე ლისიასის ფარების საწარმოში 120 მონა შრომობდა, მაგრამ ის დიდი ერგასტერიონი იყო. ათენში ამგვარი სახელოსნო არცთუ ისე ბევრი იქნებოდა. შეძლებულ მოქალაქეთა პირად მეურნეობაში 102 მონა იყო დაკავებული. ძვ. ნ. IV ს-ის ცნობილ ორატორს – ლისიასს 12 მონა ემსახურებოდა, არისტოტელეს – 13, ფილოსოფოს თეოფრასტეს კი 10 მონა.

მრავალი მონა მამაკაცი მეტყავისა და ფეხსაცმლის მკერავის პროფესიას ფლობდა, ხოლო მონა ქალების ნაწილი ძაფის მრთველები ყოფილან; მონებს ზოგჯერ ექსტრემალურ სიტუაციებშიც იყენებდნენ. თუკიდიდესთან დაცულია ერთი საინტერესო ცნობა – როდესაც ათენელები მეგარიდაში შეიჭრნენ მათ ნისეას თავდაცვითი კედლების მშენებლობისათვის „ათენიდან ჩამოიტანეს რკინა და სხვა აუცილებელი მასალები, ასევე ჩამოიყვანეს λιθουργοι (Thuc., IV, 69, 2), რომელთა შორის შესაძლოა მონებიც ყოფილიყვნენ.

მონები დასაქმებულნი იყვნენ ასევე ისეთ პრესტიჟულ სფეროში, როგორიც მშენებლობა იყო. ჩვენ მიერ არაერთგზის ხსენებულ ერეხთეიონის სამშენებლო ანგარიშებში მონები ქვისმთლელთა და მხერხავთა სახით არიან წარმოდგენილნი. ქვისმთლელთა შორის 16 მონა იხსენიება, 4 კი ხითხუროა. თექვსმეტ ქვისმთლელ მონათაგან თოთხმეტი კოლონების კანელურებაში იღებდნენ მონაწილეობას. ერთი ბლოკებს თლიდა, ხოლო ორი შავ სამუშაოს ასრულებდა. მონები მათი მფლობელების მხარდამხარ მუშაობდნენ. ასე მაგალითად, ვინმე მეტოიკოსს – სიმიასს შვიდკაციანი ბრიგადიდან ექვსი პირადი მონა ჰყავდა.

ჩვენი აზრით, ერეხთეიონის მშენებლობაზე მონები კოლონების კანელურების გარდა არანაირ ქვის სათლელ სამუშაოებს არ ასრულებდნენ. მონებს კვალიფიციურ სამუშაოებს იმ შემთხვევაში ანდობდნენ თუ ისინი მოქალაქეებთან ერთად მუშაობდნენ ანდა მათივე ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. ქვისმთლელი მონა არ იყო დაინტერესებული სამუშაო ხარისხიანად შეესრულებინა, რადგან ჯამაგირს მონა კი არ იღებდა, არამედ მისი მეპატრონე. ამ მხრივ ინტერესს იწვევს ერთ-ერთი მონის ლისიასის საქმიანობის ფუნქცია. ის, როგორც ერეხთეიონის სამშენებლო ანგარიშიდან ირკვევა, ბლოკების გამოთლით იყო დაკავებული. ნიშანდობლივია, რომ ლისიასი ისეთ ქვებს ამუშავებდა, რომლებიც ანტაბლემენტის შიდა მხარეს ეწყობოდა, გარედან არ ჩანდა და ნატიფად დამუშავებას არ მოითხოვდა, როგორც შენობის ექსტერიერის ჭოჭონაქები. მონათა არაკვალიფიციურობაზე ისიც მეტყველებს, რომ ერეხთეიონის ანგარიშებში ისინი არ არიან წარმოდგენილი არა თუ ისეთი პრესტიჟული სპეციალობების სახით, როგორიც იყო არქიტექტორი ან მოქანდაკე, არამედ ისეთი ნაკლებად მნიშვნელოვანი პროფესიების – ხარატის, მხერხავისა თუ დურგლის კატეგორიითაც კი. ანგარიშებში მონები ხუროებად ფიგურირებენ, თუმცა დაბალკვალიფიციური ოსტატები უნდა ყოფილიყვნენ, ვინაიდან მათ ჯამაგირი დღიურად ეძლეოდათ. სწო-

რედ ამგვარი წესით გაიცემოდა ხელფასები არაკვალიფიციურ ოსტატებზე. ნიშანდობლივია, რომ ხის მეჩუქურთმეთა შორის, რომლის პროფესიაც მაღალ კვალიფიკაციას მოითხოვდა, ერეხთეიონის ანგარიშებში მონა საერთოდ არ იხსენიება.

როგორც ჩანს, მშენელობაში მონური შრომის ხარისხობრივი კოეფიციენტი საკმაოდ დაბალია. პროცენტულადაც ამ სფეროში დასაქმებული მონათა რიცხვი მოქალაქეებისა და მეტოიკოსების რაოდენობას არ აღემატება. მშენებელ მონათა რიცხვი დაახლოებით 18-20%-ს შეადგენს, ხოლო მეტოიკოსებისა და მოქალაქე მშენებელთა რაოდენობა შესაბამისად 40-25%-ს ითვლის. ანალოგიური ვითარება დასტურდება ათენის მრეწველობის სხვა სფეროებშიც. აქაც მონებს კვალიფიციურ სამუშაოებს იშვიათად ანდობდნენ და ძირითადად უხარისხო, შავ სამუშაოებს ასრულებდნენ, რაც გამორიცხავს კიდეც ათენში მონური შრომის სისტემის არსებობას.

ფულად-სასაქონლო მეურნეობის განვითარებაზე პოლისური სტრუქტურების ზეგავლენა ეკონომიკის სხვა დარგებშიც შეიმჩნევა. როგორც ცნობილია, ათენელი ტრაპეზიტების უმრავლესობას ათენის მოქალაქეობის სტატუსი არ ჰქონდა და, პოლისური პრინციპების თანახმად, მათ უძრავი ქონების გირავნობის უფლება ეკრძალებოდათ. ანალოგიური სიტუაცია ფიქსირდება სამთამადნო წარმოებაში, კერძოდ ლავრეიონის მაღაროებში. არამოქალაქეებს მადნეულის წარმოების უფლება არ ჰქონდათ. ამრიგად, პოლისი ფულად-სასაქონლო მეურნეობის განვითარებას ეწინააღმდეგებოდა, ზღუდავდა და მის დეფორმაციას იწვევდა.

საქალაქო ორგანიზაცია პოლისურ სისტემაზე, თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენდა. ფულად-სასაქონლო მეურნეობის განვითარება, ბაზრის როლის ზრდა, ვაჭარ-ხელოსანთა ბაზარზე ორიენტაცია, პოლისური იდეოლოგიის ტრადიციულ ღირებულებებს ანგრევდა. ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებამ განაპირობა ის, რომ სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო მინას მოსწყდა, უპირატესად, საქალაქო საქმეების მოგვარებით იყო დაკავებული. საქალაქო ორგანიზაცია პოლისურ სტრუქტურებზე ზეგავლენას სახალხო კრების მეშვეობითაც ახდენდა. როგორც ცნობილია, სახალხო კრების შემადგენლობის ნაწილი ვაჭარ-ხელოსნებისაგან შედგებოდა, რომლებსაც, ბუნებრივია, თავიანთი ლოკალური ინტერესები გააჩნდათ და აქ ერთი ფრაქციის სახით უნდა ყოფილიყვნენ წარმოდგენილნი, რაც სამოქალაქო საზოგადოების ჰომოგენურ პრინციპებს არღვევდა. მოქალაქე-ქალაქელები სახალხო კრების მსვლელობაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდნენ. ნიშანდობლივია სოკრატეს მტკიცება იმის შესახებ, რომ ათენის სახალხო კრება თითქმის მთლიანად ვაჭარ-ხელოსნებისაგან შედგებოდა. ყოველ შემთხვევაში, ატიკის გლეხობასა და მოქალაქე-ქალაქელებს შორის დაპირისპირება ეჭვს არ იწვევს. არისტოტელეს მინიშნებით პირეუსის მცხოვრებნი უფრო დემოკრატიულად იყვნენ განწყობილნი, ვიდრე ათენელები (Pol., V, 2, 12, 1303).

გასათვალიწინებელია ასევე ის გარემოებაც, რომ ათენში ხელოსნობა-ვაჭრობასა და საკრედიტო ოპერაციებში ძირითადად არაათენელი მოქალაქეები, მეტოიკოსები იყვნენ დაკავებულნი. ეს კი პოლისურ სტრუქტურებს დიდ საფრთხეს უქმნიდა, ვინაიდან პოლისის ფინანსური სახსრები არამოქალაქეების ხელში აღმოჩნდებოდა. ვფიქრობთ, აღნიშნულმა პროცესებმა პოლისის ბედზე სერიოზული ზეგავლენა იქონია, რაც ძვ. წ. IV ს-ის დასაწყისში პოლისური სისტემის კრიზისით დასრულდა.

ამრიგად, პოლისის ფარგლებში საქალაქო სტრუქტურების განვითარებამ ათენის პოლისური სისტემის კრიზისი გამოიწვია. ამ თვალსაზრისით აღნიშნული მოვლენის არსებით მომენტს წარმოადგენდა ის, რომ ძვ. წ. IV ს-ში პოლისის ჩარჩოში ვითარდებოდა და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა ფულად სისტემაზე დაფუძნებული კერძო საკუთრების ახალი ფორმა, რომელმაც პოლისის ტრადიციული მიწისმესაკუთრეობის ფორმა დაარღვია.

დაბოლო კითხვა, რომელიც ამ თავის შესავალ ნაწილშივე დავსვით: რა შეიძლება ეწოდოს იმ პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობდა კლასიკური ხანის ათენში და მის მსგავს სავაჭრო-სამრეწველო ტიპის პოლისებში? როგორც უკვე აღინიშნა, ძვ. წ. V-IV სს-ის ათენში უნიკალური პროცესები ფიქსირდება: პოლისის ფარგლებში ვითარდება საქალაქო სტრუქტურები და მათი მნიშვნელობაც იზრდება, გაღრმავებულია პროფესიული კლასიფიკაციისა და წარმოების დიფერენციაცია, შესამჩნევია შრომის განაწილების მაღალი დონე, განვითარებული ჩანს ფულად-სასაქონლო ურთიერთობანი, შეინიშნება კაპიტალბრუნვა და წარმოების ინტენსიფიკაცია, მკვიდრდება საკუთრების ახალი ფორმა, საქალაქო ეკონომიკის საფუძველი ფულად-სასაქონლო სისტემა ხდება. ყოველივე ეს ძვ. წ. V-IV სს-ში ათენსა და მისი მსგავსი ტიპის პოლისებში ინდუსტრიალიზაციისა და საბაზრო ეკონომიკის ევოლუციური განვითარების მიმანიშნებელია.

ა გ რ ა რ ი ზ ა ც ი ა. ათენისა და, საერთოდ, ანტიკური პოლისების ეკონომიკის უმთავრეს სფეროს სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა. ანტიკური ქალაქები, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, მიწისმფლობელთა დასახლებებისგან აღმოცენდა. მოქალაქე პირველ რიგში მიწის ნადელის მფლობელი იყო. უცხოელებს და პოლისში მუდმივად მცხოვრებ მეტოიკოსებსაც უძრავი ქონების ფლობა ეკრძალებოდათ, თუ სახალხო კრების სპეციალური დადგენილებით ამგვარი უფლება არ მიეცემოდათ.

მიწა საკუთრების ძირითად ფორმად ითვლებოდა. უძრავი ქონება ყველაზე უფრო საიმედო და საკუთრების რესპექტაბელურ სახეობად მიიჩნეოდა. სოციუმის აზრით, მიწის ნადელები ათენის პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეებსაც უნდა ჰქონოდათ. ერთი სიტყვით, ანტიკურ საზოგადოებაში მიწათმოქმედება ყველაზე უფრო „კეთილშობილურ“ და პრესტიჟულ საქმიანობად ითვლებოდა. ძველ ბერძნულ ენაში „მიწათმოქმედის აღსანიშნავად გამოიყენებოდა ტერმინი γεωργός, ხოლო გლეხი ἀγροῖκος-ად იწოდებოდა“. მიწის ნაკვეთი, ოფიციალურ დოკუმენტებში, ორი ტერმინით აღინიშნებოდა: ხშირად გამოიყენებოდა სიტყვა χωρίον, იშვიათად ἐσχατιά. პირველი მათგანი ნიშნავდა „მამულს“, „კარმიდამოს“, „ფერმას“ და ა.შ., მეორე კი „განაპირას“, „ნაკვეთის გარეუბანს“. ბერძნული ტექსტებიდან ჩანს, რომ ესა თუ ის მიწის ნაკვეთი სხვადასხვა ზომის ფართობისაგან შედგებოდა. ასე რომ, აღნიშნული ტერმინები მიწისმფლობელთა სოციალური სტატუსის დადგენისათვის ვერ გამოდგება. აღსანიშნავია, რომ რომაული „ლატიფუნდიების“ – მსხვილი მიწათმფლობელობის შესატყვისი ტერმინი ძველი ბერძენი ავტორებისათვის უცნობია. „ხორიონი“ მიწისმფლობელობის ოპტიმალური და საერთო აღმნიშვნელი ტერმინია, მაგრამ აქ ერთი პარადოქსული რამ ჩანს. ადრეულ ბერძნულ წყაროებში სიტყვა „ხორიონი“ არ ფიქსირდება. ჰომეროსისა და ჰესიოდეს პოემებში მიწის ნაკვეთი, κλῆρος-ად იწოდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არქაიკის დასაწყისში მიწების დიდი

ნაწილი წილისყრით, თანაბრად იყო განაწილებული. კლასიკურ ეპოქაში აღნიშული სიტყვა საერთოდ არ იხმარებოდა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში „კლეროსი", ტერმინ „ხორიონმა" შეცვალა. „ხორიონი" შეიძლება უკავშირდებოდეს არა მარტო სიტყვა „ხორას" („ქვეყანა" ან „ხოროსს" „ადგილი", „სივრცე"), არამედ ზმნა χωρίζω-ს „გამოყოფას", „შემოღობვას". აქედან გამომდინარე, „ხორიონი" ნიშნავდა ასევე გამაგრებულ ადგილს, სიმაგრეს, რაც არქეოლოგიური მონაცემებითაც დასტურდება. ატიკის მთელ რიგ მიკრორეგიონებში დადასტურებულია ქვის გალავნები, რომლებიც ოდესღაც მიწის ნაკვეთებს გარს ერტყა. ვფიქრობთ, მიწის ნაკვეთების აღმნიშვნელი ახალი სახელწოდება „ხორიონი" ამგვარი „შემოღობვის" შედეგად გაჩნდა, რაც, სხვა მხრივ, მიწისმესაკუთრეობაც იგულისხმება. ასე რომ, ჩემი აზრით, ხორა პოლისური ტერიტორიის უბრალო დანამატი კი არ იყო, არამედ χωρίον-ის, მცირე ქალაქური ტიპისა, ხოლო εσχατιά სოფლის ტიპის დასახლებებს წარმოადგენდა.

მკვლევართა გაანგარიშებით, ატიკის ტერიტორია დაახლოებით 2500 კვ.კმ.-ს შეადგენდა. აქედან მიწათმოქმედებისათვის ვარგისი იყო დაახლოებით 25/30% (Cooper, 1977–1978, გვ. 170-173), დანარჩენი ტერიტორია მთებს, ტყეებს, ჭაობებსა და ა.შ. ეკავათ. ვარგისიანი მიწის დიდი ნაწილი მარცვლეული კულტურებისათვის გამოიყენებოდა, თუმცა მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი ხეხილს, ვენახის პლანტაციებსა და ბაღ-ბოსტნებს ჰქონდა დათმობილი.

როგორც აღინიშნა, ძვ. წ. VII-VI სს-ში ატიკის საუკეთესო მიწები ევპატრიდების, მსხვილი მიწათმფლობელების განკარგულებაში იყო. დემოსის უმრავლესობა ევპატრიდებს ემორჩილებოდა. არისტოტელესა (Pol., II, 2, 3) და პლუტარქეს (სოლონი, 13, 4-5) ცნობებიდან ჩანს, რომ დამონებული მოსახლეობის ძირითად მასას შეადგენდნენ სოფლელები, რომლებსაც მიწა ან არ გააჩნდათ, ან არასაკმარის ნაკვეთს ფლობდნენ, ამიტომ ისინი იძულებულნი იყვნენ სხვისი მიწები დაემუშავებინათ. სოლონს, პრინციპში, მიწები არ გაუნაწილებია; მხოლოდ პისისტრატემ მოახერხა თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების კონფისკებული მიწების გლეხობისათვის გადაცემა, თუმცა ამ აქტს აგრარულ ურთიერთობაში რადიკალური გარდაქმნები არ მოჰყოლია. უმინო და მცირემინიანი გლეხობის ფენა, როგორც ჩანს, ძვ. წ. V საუკუნემდე არსებობდა.

ატიკის მოსახლეობის უმრავლესობას თეტები – ღარიბი ფენა შეადგენდა. სოლონმა მართალია ისინი სავალო კაბალისაგან გაანთავისუფლა, მაგრამ მიწისმფლობელებად არ გაუხდია. ისინი თავდაპირველად წვრილ არენდატორებად და დაქირავებულ მუშებად რჩებოდნენ. არ არის გამორიცხული, რომ პისისტრატეს დროს თეტების ნაწილს მიწები დაურიგდათ, ზოგი ქალაქში გადასახლდა, რასაც შედეგად ღარიბთა ფენის რაოდენობის შემცირება უნდა მოჰყოლოდა.

მსხვილ მიწათმფლობელებს, რაც შეეხება სოლონამდე მათ ევპატრიდები განასახიერებდნენ. სწორედ ისინი ფლობდნენ ატიკის საუკეთესო მიწებს, მაგრამ V ს-ის მეორე ნახევრიდან ევპატრიდები სცენიდან ქრებიან. როგორც ჩანს, პოსტსოლონისეულ ეპოქაში მიწათმოქმედი არისტოკრატიის გარკვეული ნაწილი პოლიტიკური დაპირისპირებისა და ომების შედეგად ფიზიკურად ნადგურდება, ზოგიერთი ქვეყნიდან გარბის, უძლურდება და ღარიბდება, ზოგიერთი მათგანი კი ახალ ვითარებას ეგუება. სამიწათმოქმედო არსტოკრატიის განკარგულებაში არსებული მიწების დიდი ნაწილი

დანაწილდა და ახლო ნათესავების ხელში გადავიდა, ხოლო გარკვეული ნაწილი „ახალმა ათენელებმა“ შეისყიდეს. შესაძლოა, ეს მინები შეადგენდნენ იმ „მოძრავ“ სამიწო ფონდს, რომელიც მოგვიანებით ხელიდან ხელში გადადიოდა.

ისმის კითხვა: რა ვითარებაა ამ მხრივ ძვ. წ. V-IV სს-ის ატიკის აგრარულ ურთიერთობაში? რა და როგორი იყო ქვეყნის აგრარული პოტენციალი, მეურნეობის ინტენსიფიკაციის დონე, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული სოციალური ფენების სტატუსი და, საერთოდ, აგრარიზაციის ხასიათი? აი საკითხების ის წრე, რომლებიც მკვლევართა შორის დღემდე აზრთა სხვადასხვაობას ინვევს. მარცვლეული კულტურების რაოდენობის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს ძვ. წ. V-IV სს-ის წლიური პროდუქცია. ა. გომის ვარაუდით, ატიკაში ყოველწლიურად 2,5 მილიონ მედიმნის (მედიმნი დაახლ. 52 ლიტრი) ხორბალს მოინევდნენ (Gomme, 1933, გვ. 65); ა. ვალონმა ეს რიცხვი 1 მილიონამდე დაიყვანა (Валлон, 1941, გვ. 168). მაგრამ ელევსინის სატაძრო კომპლექსში ეპისტოსების (მეთვალყურენი) საფინანსო ანგარიშის ერთმა მრავალმხრივ საინტერესო წარწერის (IG, II, 2, 1972) აღმოჩენამ აღნიშნულ მკვლევართა გაანგარიშებები თავდაყირა დააყენა. ელევსინის წარწერიდან ირკვევა, რომ ძვ. წ. 329 წ. ატიკის მოსავალი 40 ათას მედიმნ ხორბალსა და 360 ათას მედიმნ ქერს შეადგენდა. ამასთან, ეს რიცხვი იმაზე მიუთითებს, რომ დანარჩენ რეგიონებთან შედარებით ატიკაში, უპირატესად, ქერი მოჰყავდათ, რაც ძველი ავტორების ცნობებითაც დასტურდება. ათენი, ცხადია, კლასიკურ ეპოქაში მოსახლეობას საკუთარი პურით ვერ უზრუნველყოფდა. ცნობილია, რომ ათენს ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან, კვიპროსიდან და სიცილიიდან მუდმივად დიდი რაოდენობის ხორბალი შემოჰქონდა. ბოსფორის სამეფოდან, დემოსთენეს ცნობით, ათენში ყოველწლიურად 400 ათასი მედიმნის პური შემოდიოდა (Dem., XX, 31-32). ასე რომ, ათენელები ძირითადად იმპორტული ხორბლით იკვებებოდნენ. რაც შეეხება ათენის მოქალაქეთა რაოდენობას, ინგლისელი მკვლევრის ა. გომის გაანგარიშებით 480-431 წწ-ში ათენში მოქალაქეთა რიცხვი 22 ათასამდე გაიზარდა, პელოპონესის ომის შედეგად მოქალაქეთა რიცხვი 22 ათასამდე შემცირდა, შემდეგ თანდათანობით გაიზარდა და 323 წ. 28 ათასს მიაღწია, ხოლო 313 წ. კვლავ 21 ათასს შეადგენდა (Gomme, 1933, გვ. 75-79). აზრთა სხვადასხვაობაა მონათა რაოდენობის შესახებ. ანტიკური ეპოქის ისტორიკოსი-ტესიკლოსი ძვ. წ. IV ს დასასრულს ათენში მონათა ფანტასტიკურ რიცხვს – 400 ათასს ასახელებს, ჰიპერიდე კი 150 ათასს. თანამედროვე მკვლევრების მიხედვით მონათა რიცხვი ათენში 75-80 და 150 ათასს შორის მერყეობდა (Глускина, 1975, გვ. 260).

საინტერესოა, ასევე ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის თანაფარდობის საკითხი. ა. გომის ვარაუდით, ძვ. წ. 430 წ. ათენში, პირეუსში და მათ გარშემო არსებულ სასოფლო რეგიონებში ატიკის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობდა. ძვ. წ. 330 წ. სამოქალაქო მოსახლეობისათვის ეს პროპორცია საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება: 430 წ. 60 ათასი, 330 წ. 50 ათასი, ე.ი. ორივე შემთხვევაში მოსახლეობის ნახევარზე ნაკლები. ა. გომი ამ რიცხვების უზუსტობას აღიარებდა, მაგრამ, მისი აზრით, ისინი ჭეშმარიტებასთან ახლოს უნდა ყოფილიყო (Gomme, 193, გვ. 73). ასე თუ ისე ერთი რამ ცხადია, კლასიკურ ეპოქაში ატიკა, ათენისა და პირეუსის გარეშე, კომპაქტურად დასახლებულ ქვეყანას წარმოადგენდა.

საისტორიო მეცნიერებაში დიდი ხანი მუსირებდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ატიკელები მიკროქალაქებსა და დასახლებებში ცხოვრობდნენ. მაგრამ უკანასკნელი ხანების კვლევა-ძიებამ უჩვენა, რომ ატიკაში და, საერთოდ, საბერძნეთში გავრცელებული იყო ასევე „საკარმიდამო" ტიპის დასახლებები, სადაც მინათმფლობელთა სამსახურებრივი ნაგებობები და საცხოვრებელი სახლები იყო განთავსებული. ამგვარი დასახლებები იზოლირებული „ფერმების" მსგავსი იყო, რაც წერილობითი (Dem., LV; Menan., Georg. 46-48) და არქეოლოგიური (Pecirka, 1973, გვ, 113-147) მონაცემებით დასტურდება. ვფიქრობთ, საბერძნეთში აგრარული დასახლებების ორივე ფორმა საკმაოდ დიდხანს ფუნქციონირებდა, მაგრამ რომელ მათგანს ენიჭებოდა უპირატესობა, წერილობითი წყაროების სიმცირის გამო, ეს საკითხი ღიად რჩება.

საკმაოდ რთული და, ამავე დროს, საინტერესო საკითხია მიწათმფლობელთა სტატუსის შესახებ არსებული ცნობები. როგორც აღინიშნა, ატიკაში მიწათმოქმედებისათვის ვარგისიანი ტერიტორია 600-800 კვ/კმ-ს, ე.ი. 68-80 ათასს ჰა-ს შეადგენდა; 10 ათასი მეურნეობიდან ერთ კონკრეტულ მეურნეობაზე 6-8 ჰა მოდიოდა. აქ საშუალო ნორმა უფრო ნაკლები უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ჯერ ერთი, მეურნეობის რიცხვი პელოპონესის ომამდე საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო, მეორე, ამგვარი გაანგარიშებისას უნდა გავითვალისწინოთ საზოგადოებრივი მიწების ფართობიც. ძველი ავტორების ფრაგმენტული ხასიათის ცნობებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ – სახელმწიფოს, ტაძრების, მოქალაქეთა სხვადასხვა გაერთიანებების განკარგულებაში არსებული საზოგადოებრივ მიწებს ვარგისიანი მიწების 1/5-ზე მეტი ფართობი არ უნდა ჰქონოდა დაკავებული. ამრიგად, ერთ კერძო მეურნეობაზე მიწის საშუალო ნორმა 4-5 ჰა-მდე უნდა შემცირებულიყო. მიწისმესაკუთრეთა გარკვეული ნაწილი, ალბათ, მიწის მნიშვნელოვან ნაკვეთებსაც ფლობდნენ და ისინი მსხვილ მიწათმფლობელებს წარმოადგენდნენ. აღსანიშნავია, რომ კლასიკურ ეპოქაში, როგორც მართებულად შენიშნავს ვ. ანდრეევი, 1000 ჰა-ის ოდენობის მიწის ნაკვეთის ფლობა წარმოუდგენელია. 100 ან 200 ჰა იშვიათი იყო (Андреев, 1960, გვ. 49-51). პლატონიც ერთ-ერთ დიალოგში საუბრობს, რომ ათენის ელიტის წარმომადგენელს – ალკიბიადეს 300 პლეტერის მიწაც არ ჰქონდა. 300 პლეტერი კი 26 ჰა-ს არ აღემატებოდა. პლატონთან დაცული პასაჟის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ, სპარსეთის მეფის საგანძურთან შედარებით, ალკიბიადეს ქონება არარაობაა (Alcib., 1, 123); დიონისოს ჰალიკარნასელის ცნობით, მდიდარმა ათენელმა მოქალაქემ არისტოფანემ 300 პლეტერი მიწა შეისყიდა. ამ ზომის მიწის ფლობა, დიდ ქონებად ითვლებოდა. ხსენებულ ავტორთა ცნობები საკმარისია იმისათვის, რომ ატიკურ „მსხვილ მიწათმფლობელობის" დონის შესახებ გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნას. ცხადია ისიც, რომ ატიკაში მსხვილი მემამულენი არცთუ ისე მრავალრიცხოვანია. პროცენტულად მათ აღემატებოდათ წვრილი მესაკუთრენი, მაგრამ ორივე მათგანს საშუალო შეძლების მესაკუთრეები აჭარბებდნენ. ეს უკანასკნელნი ძირითადად გლეხებისაგან შედგებოდნენ. ისინი სოფლებში მუდმივად ცხოვრობდნენ და მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებით იყვნენ დაკავებულნი. ამ კატეგორიის გლეხობა 4 ჰა მიწას ფლობდა, წყვილი ხარი და რამდენიმე მონა ჰყავდა. წვრილ მესაკუთრე გლეხს კი მცირეოდენი ნაკვეთი ჰქონდა და მძიმე შრომას ეწეოდა, მაგრამ ზოგიერთ მათგანს მონა ჰყავდა,

არავისზე დამოკიდებული არ იყო და მხოლოდ სასიცოცხლო მინიმუმის გამომუშავებით კმაყოფილდებოდა.

ძველი ავტორების ცნობებიდან ჩანს, რომ ქალაქელი მიწათმფლობელები, მათ შორის მსხვილი მემამულენიც, ბიზნესითაც იყვნენ დაკავებულნი: სახლებს, სახელოსნოებს, აბანოებს და სხვ. აგირავებდნენ; გარდა ამისა, ისინი ვაჭრობდნენ, მევახშეობდნენ, სახელმწიფოსაგან მაღაროებს არენდით იღებდნენ. ასე რომ, ყველა ნიშანი არსებობს იმისა, რომ ამ ტიპის მესაკუთრეებს „მემამულე-კაპიტალისტები" ვუწუდოთ. მესაკუთრეთა ეს ახალი ტიპი იმდენად ხშირად გვხვდება წყაროებში, რომ ატიკაში მათი მრავალრიცხოვანი ფენის არსებობა შეიძლება ვივარაუდოთ. აშკარაა, რომ მათთვის მიწა შემოსავლის ერთ-ერთი დამატებითი წყარო იყო. ამგვარი კატეგორიის პირები იყვნენ ათენის პოლიტიკური და სამხედრო ელიტის ისეთი ნარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ ალკიბიადე, კიმონი, პერიკლე, რომლებიც საკმაოდ დიდი ზომის მიწის ნაკვეთებს ფლობდნენ. ამ კატეგორიის ხალხი ქალაქში ცხოვრობდა და მათი ქონება მხოლოდ მიწისმესაკუთრეობით არ შემოიფარგლებოდა. ქალაქის მოსახლეობის წრეში იყვნენ ჩართულნი ასევე ნვრილი მიწათმფლობელებიც, რომლებიც თავიანთ ნაკვეთებზე პირადად მუშაობდნენ. ამგვარი ტიპის მესაკუთრედ შეიძლება დასახელდეს ევფილეტესი, რომელიც ცნობილი ლისიასის „მოხსენებაშია" ნახსენები. ევფილეტესი ქალაქში ორსართულიან სახლში ცხოვრობდა, პყავდა მონები და მონაქალები, მაგრამ ის და მისი ახლობელი სოსტრატესი ხშირად მიემგზავრებოდნენ სოფელში და ზოგჯერ იქ დიდი ხნით რჩებოდნენ (Lis., I, 20, 22, 39).

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ანტიკურ საბერძნეთში ქალაქსა და სოფელს შორის ზღვარი თითქოს ნაშლილი იყო და იქ (ქალაქისა და სოფლის) ურთიერთშეღწევის პროცესი მიმდინარეობდა (Андресв, 1983, გვ. 275), რასაც ვერ გავიზიარებთ. მართალია, ზოგიერთი ქალაქელი დიდხანს ცხოვრობდა სოფელში, გლეხები ხშირად მინიმუმის დაკმაყოფილებისათვის ზრუნავდა, ხოლო „მემამულე-კაპიტალისტებისათვის" ქალაქსა და სოფელს შორის გრადაცია თვალსაჩინო იყო. წერილობით წყაროებში ოდნავი მინიშნებაც კი არ არის იმისა, რომ წარჩინებული და მდიდარი მოქალაქეები სოფელში დიდხანს დარჩენილიყვნენ, ან იქ მეურნეობისათვის ეხელმძღვანელათ. პირიქით, პლუტარქეს ცნობით, პერიკლემ თავისი მამულის ორგანიზაცია ვინმე ევანგელოსს დააკისრა (პერიკლე, 16); არისტოფანეს კომედიებიდან ჩანს, რომ რაფინირებული ქალაქებისათვის სოფლელები ხშირად დაცინვის ობიექტები ხდებოდნენ. გარდა ამისა, ქალაქისა და სოფლის აღმნიშვნელი სხვადასხვა ტერმინები ბერძნულ ლექსიკაში არ აისახებოდა.

საშუალო და მცირე მიწის მფლობელი გლეხობა მიწებს ან თვითონ ამუშავებდა, ან მონებთან და დაქირავებულ მუშებთან ერთად. მსხვილი მიწათმფლობელები კი თავიანთ მიწებს არენდით გასცემდნენ ძირითადად მოსახლეობის მდიდარ და გავლენიან პირებზე, რომლებიც სამუშაო ძალად მონებსა და დაქირავებულ მუშებს იყენებდნენ, მაგრამ მათი რაოდენობრივი თანაფარდობის შესახებ მონაცემები არ გაგვაჩნია. ზოგიერთი მკვლევრის მტკიცებით მსხვილ მეურნეობაში ძირითად სამუშაო ძალად მონები გამოიყენებოდა (Андресв, 1983, გვ. 280), რასაც ვერ გავიზიარებთ. მართალია, ის ათენელი მსხვილი მემამულეები, რომლებიც პოლისის ელიტარულ

ნაწილს შეადგენდნენ და მეურნეობის გაძღოლის შესაძლებლობა არ ჰქონდათ, როგორც ძველი ავტორები გადმოგვცემენ, მათ მამულებში გარკვეულწილად მონები იყვნენ დასაქმებულნი. ასე მაგალითად, პლუტარქეს ცნობით, პერიკლეს მეურნეობას მონა ევანგელოსი უძღვებოდა (პერიკლე, 16); ქსენოფონტის მიხედვით კი ისხომასოსი ხშირად ჩადიოდა სოფელში, თუმცა სამუშაოებს მონები უძღვებოდნენ (Xen., Oecon., XII, 2). მიუხედავად ამისა, ეს მხოლოდ იშვიათი შემთხვევებია, ვინაიდან ძველ ავტორებს ოდნავი მინიშნებაც კი არა აქვთ მსხვილ მეურნეობაში მონების ფართოდ გამოყენების შესახებ; მეორე, გათვალისწინებული უნდა იყოს ასევე მონათა არაკვალიფიციურობა და მეპატრონეებისაგან მათი გაქცევის გარემოებები. ნიშანდობლივია, რომ წერილობით წყაროებში ხშირად გხვდება მინიშნებები მონების სიზარმაცის, მეპატრონისაგან მათი გაქცევისა თუ ურჩობის შესახებ. ამიტომ მემამულეები ხშირად დაქირავებულ მუშებს მიმართავდნენ, რადგანაც ისინი უფრო ხარისხიან პროდუქციას აწარმოებდნენ, ვიდრე მონები. მეურნეობაში დაქირავებული მუშახელის ფართოდ გამოყენების შესახებ არაერთი მონაცემი მოწმობს. მენანდრეს ცნობით, მდიდარი სოფლელი კლეონეტესი თავად მუშაობდა; ასევე მეურნეობას უძღვებოდა „თავისუფალი გორგიასი, რომლის ოჯახი ქალაქში ცხოვრობდა (Men., 46-58); პლატონის ერთ-ერთ დიალოგში – „ევტიფრონისში" (4c) საუბარია ათენის მოქალაქეზე, რომელიც მიწას ამუშავებდა კუნძულ ნაქსოსზე მონებთან და დაქირავებულ მუშებთან ერთად. ძვ. წ. IV ს-ის ერთ-ერთ დოკუმენტში ორი დაქირავებული მუშახელი იხსენიება (Dem., III, 20-21). ვფიქრობთ, სოფლის მეურნეობაში მონების, როგორც მთავარი და განმსაზღვრელი სამუშაო ძალის სისტემა არ არსებობდა. მონათა შრომა მხოლოდ დაქირავებული მუშახელის დანამატს წარმოადგენდა, რომლის ძირითად მასას შეადგენდნენ განთავისუფლებული პირები, უცხოელები, თავისუფალი ათენელები და ნაწილობრივ მონებიც.

საკამათოა როგორც სასოფლო-სამეურნეო წესი, ასევე ქალაქსა და სოფელს შორის კონტაქტები. ზოგიერთი მკვლევარი უპირატესობას ნატურალური ხასიათის წესს ანიჭებს და ქალაქსა და სოფელს შორის სპორადულ სავაჭრო-ეკონომიკურ კონტაქტებს ვარაუდობს (Андреев. 1983, გვ. 292-293). ცნობილია, რომ ატიკაში იმპორტული ხორბალი საკმაოდ დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ. იმპორტირებულ პროდუქციათა შორის უნდა ყოფილიყო გარკვეულწილად სხვა საკვები პროდუქტები, ასევე ხე-ტყე და მონები. ქვეყანას საკუთარი პროდუქტის ექსპორტით იმპორტი უნდა აენაზღაურებინა. როგორც ცნობილია, ათენის უმთავრეს საექსპორტო საგნად კერამიკული ნაწარმი ითვლებოდა, თუმცა გარკვეული რაოდენობის ღვინო და ზეთისხილიც გაჰქონდათ. მიუხედავად ამისა, ატიკის სავაჭრო ბალანსი პასიური რჩებოდა, ექსპორტი იმპორტს ვერ ფარავდა.

კლასიკური ეპოქის ატიკის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის შესახებ თითქმის არავითარი მონაცემები არ გაგვაჩნია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ამ დროს ატიკაში ხორბალი შემოდიოდა. ზეთისხილის ექსპორტის შესახებ მხოლოდ ორიოდე ცნობაა შემონახული, მაგრამ ის კლასიკური ეპოქის ქრონოლოგიურ ჩარჩოს სცდება. სოლონისეული კანონით, ზეთისხილის გარდა, ატიკიდან ყველა პროდუქციის გატანა იკრძალებოდა (სოლონი, 24, 1); ახ. წ. II ს-ში, (IG, II(2)

1100) ატიკიდან ზეთისხილის გატანა რეგულირდებოდა. ზეთისხილის გატანის უფლება, გვიანდელი ავტორის ცნობით, მხოლოდ სპორტულ შეჯიბრებებში გამარჯვებულებს დართეს (Schol. Pind. Nem., X, 64);

სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესახებ რაიმე გარკვეული ცნობები არ მოგვეპოვება. ასევე არანაირი საფუძველი არ გვაქვს ატიკიდან ღვინის ექსპორტი ვივარაუდოთ, ვინაიდან ატიკური ღვინო ათენშიც კი არ იყო პოპულარული. ამ მხრივ საინტერესოა ერთი სასამართლო დოკუმენტი, სადაც ორატორი მოსამართლეებს ეკითხება: ნუთუ „თქვენ სადმე მოისმინეთ, რომ ვინმეს შავიზღვისპირეთიდან ათენში ღვინო შემოეტანოს? პონტოში ღვინო ჩვენი მეზობელი ადგილებიდან კოსიდან, თასოსიდან და მენდედან შემოაქვთ" (Dem., XXXV, 35). ერთი სიტყვით, ატიკიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფართომასშტაბიანი ექსპორტირება ეჭვს იწვევს. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები კიდევ ერთი გარემოება. თუ მოქალაქე-მიწათმფლობელს ზედმეტი პროდუქცია ექნებოდა, ათენისა და პირეუსის ბაზარზე გაიტანდა. ამავე დროს, საზღვაო ვაჭრობა ძირითადად არამოქალაქეთა ხელში იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ ათენელი მიწათმფლობელები იძულებულნი იყვნენ უცხოელებთან ერთად იმ შემოსავლის ნაწილი გაეყოთ, რომელიც უცხოეთში საქონლის გატანისაგან მიიღებოდა. სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია ატიკაში ძვ. წ. VI ს-ში ფიქსირდება, ხოლო ძვ. წ. V-IV სს-ში ექსპორტისა და იმპორტის თანაფარდობა შედარებით დარღვეულია: ათენელები სხვადასხვა მექანიზმებით, ვერცხლის მაღაროებისა და „მოკავშირეთა" საწევროების მითვისების გარდა, განსაკუთრებით კი კერამიკული ნაწარმის ექსპორტირებით, უცხოეთში დიდძალ ფულს შოულობდნენ.

რაც შეეხება საშინაო ვაჭრობას ძველი ავტორები ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობებს გვთავაზობენ. მსხვილი მემამულე ფენიპე თავის ნაკვეთზე მოწეულ პურსა და ღვინოს ორმაგ და სამმაგ ფასში ყიდდა, ხოლო მის მეურნეობაში 1000 მედიმნის ხორბალსა და 800 ლ. ღვინოს აწარმოებდნენ. შესაძლოა ეს რიცხვი გადაჭარბებულია, მაგრამ აშკარაა, მთლიანობაში პენიპეს მეურნეობა ბაზარზე ორიენტირებული ჩანს. პლუტარქეს ცნობით, პერიკლემ მეურნეობის რაციონალური ორგანიზაციის პროგრამა შეიმუშავა: „მრავალი საქმით დატვირთულს მასზე ზრუნვით ბევრი დროც, რომ არ დაჰკარგვოდა, წლის მთელ მოსავალს ერთდროულად ჰყიდდა, ხოლო შემდეგ, რაც ჭირდებოდა, ბაზარზე ყიდულობდა. ამ წესს ყოველდღიურ ცხოვრებაში იცავდა. მის მონიფულ ვაჟებს არ უყვარდათ იგი და არც მათი ცოლები თვლიდნენ მას ოჯახის გულუხვ მეთაურად" (პერიკლე, 16). აღსანიშნავია, რომ ანალოგიურად ახასიათებს ატიკურ მიწისმესაკუთრეობას „ეკონომიკის" ანონიმი ავტორი: „ატიკური მეურნეობის წარმოება მდგომარეობს იმაში, რომ მისი მეპატრონეები ყიდიან და ყიდულობენ" (Oec., 1344, 32-33). როგორც ჩანს, მეურნეობა სასაქონლო ურთიერთობაშია ჩართული. ატიკელი მეპატრონეები აუცილებელ საგნებს ყიდულობდნენ ვაჭრობით მოპოვებული ფულით. საქალაქო ხელოსნური ნაწარმი კი სოფელში იგზავნებოდა. დემაგოგ კლეონს, რომელსაც ტყავის სახელოსნო ჰქონდა, არისტოფანე საყვედურობს გლეხებისათვის უხარისხო ფეხსაცმლის მიყიდვაში („მხედრები", 315-321). მართებულია გ. აუდრინგის მოსაზრება, რომ ქალაქთან ვაჭრობაში განსაკუთრებით ჩართული იყო საგარეუბნო მეურნეობები, სადაც ყვავილები, ხილი, ბოსტნეული და

ა.შ. მოჰყავდათ (Audring, 1977, გვ. 32); აღსანიშნავია ისიც, რომ ქალაქთან ახლო მდებარე სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები უფრო ძვირადღირებული იყო, ვიდრე მისგან მოშორებით არსებული კლეროსები. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობდნენ როგორც მიწათმფლობელები, ასევე გადამყიდველები. პლატონის ცნობით, წვრილი ვაჭარი მიწათმფლობელისაგან პროდუქტს ყიდულობდა (Politic; 317). დემოსთენე მოსავლის შემსყიდველს იხსენიებს (XVIII, 262). ვაჭრობის ამ ორი ფორმის არსებობის შესახებ მოწმობს ვაჭართა სხვადასხვა კატეგორიების აღმნიშვნელი ტერმინები. მაგალითად, ბერძნულ ენაში სიტყვა αὐτοπώης ნიშნავს ადამიანს, რომელიც საკუთარ პროდუქციას ყიდდა, ხოლო κάπηλος წვრილ, გადამყიდველ ვაჭარს (Arist., pol.. 1155; plato.. polit., 260).

ამრიგად, კლასიკურ ეპოქაში ქალაქსა და სოფელს შორის ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობანი ფიქსირდება. მაგრამ ბერძნულ წერილობით წყაროებში გვხვდება ისეთი გლეხები, რომლებსაც ქალაქთან არანაირი კავშირები არ ჰქონდათ. არისტოფანეს კომედიებში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სოფელი იძლევა ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვისაა აუცილებელი (Philem., 105k). ხსენებული კომედიოგრაფის ნაწარმოებში – „ახარნანიანელში" ხოტბას ასხამს დემის პატრიარქალურ ცხოვრებას, სადაც ყველაფერია ცხოვრებისათვის და მყიდველ-გამყიდველი არ არსებობს (33-35).

ასე რომ, ატიკაში სამეურნეო წარმოების ორი ფორმა არსებობდა – სასაქონლო და ოიკოსური ანუ ნატურალური მეურნეობა. მაგრამ, როგორც ზემოაღნიშნული ავტორების ცნობებიდან ჩანს, კლასიკურ ეპოქაში ძვ. წ. VII-VI სს.-თან შედარებით, როდესაც პროდუქციის მნიშვნელოვანი წილი ოიკოსურ ფარგლებში მზადდებოდა, სასაქონლო წარმოება დომინანტი ხდება.

ძვ. წ. V ს-ის დასასრულსა და IV ს-ში ყველაზე უფრო სადისკუსიო და ერთ-ერთი მწვავე პრობლემა ატიკის აგრარიზაციის პროცესი, განსაკუთრებით კი მიწების კონცენტრაციის საკითხი იყო. აღნიშნულ ეპოქაში, მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ატიკაში მიწის საკუთრება ძალზე დანაწევრებული იყო. აქ ადგილი ჰქონდა მეურნეობის ინტენსიფიკაციას, მიწის ნაკვეთების კონცენტრაციას, გლეხობის პაუპერიზაციას და მის პროლეტარიატად გადაქცევას (ა. ბეკი, რ. პელმანი, ედ. მაიერი, ი. ბელოხი), მეორე ნაწილის აზრით კი ძვ. წ. V-IV სს-ში ატიკაში მიწის საკუთრება თანაბარი იყო. ამ პერიოდისათვის არ დასტურდება გლეხობის უმიწოდ დარჩენა და მიწების ინტენსიური კონცენტრაცია (მ. ფინლი); მესამენი აღიარებენ მიწათმესაკუთრეობის დაქუცმაცებას, თუმცა მათი მტკიცებით დომინანტს წვრილი მიწათმფლობელები შეადგენდნენ და ხაზგასმით აღნიშნავენ საერთო ბერძნული ეკონომიკის ჩამორჩენილობას (ვ. ერენბერგი).

ვფიქრობთ, ამ პრობლემის შესწავლისათვის ამოსავალ პუნქტად უნდა ჩაითვალოს პელოპონესის ომი, რომელთანაც დაკავშირებულია სპარტელთა არაერთგზისი შემოსევები ატიკაში; ომმა აგრარული კრიზისის დაწყებაში კატალიზატორის როლი შეასრულა. სოფლის მოსახლეობა იძულებული გახდა ქალაქში გაიზნულიყო. სპარტელებმა, ბერძნული წესისამებრ, ქვეყანა განადგურების პირამდე მიიყვანეს – ნარგავები აკაფეს, მოსავლის მარაგი გაანადგურეს, სასოფლო ნაგებობები დაანგრიეს. ერთი სიტყვით, სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების ნორმალური რიტმი დიდი ხნით

შენყდა. ამის შესახებ პირდაპირ მიუთითებს თუკიდიდე. ის მუქ ფერებში აღწერს ძვ. წ. 427 წ. სპარტელთა მიერ ატიკის დარბევას (III, 26, 3-4); ანონიმი ისტორიკოსის ცნობით „დეკელეის ომის" დროს სპარტელებმა ატიკა დაარბიეს და გაძარცვეს (Hell. Oxyr., XVII, 4-5).

პელოპონესის ომმა, როგორც ჩანს, ატიკის გლეხობის მდგომარეობა ძალზე გააუარესა. ვფიქრობთ, გლეხობის ნაწილი, როგორც ეს ანონიმი ისტორიკოსის ცნობიდან ირკვევა, ქალაქში გადასახლდა და ომის შემდეგაც იქ უნდა დარჩენილიყო; გარკვეული ნაწილი კი შესაძლოა სოფელში დაბრუნებულიყო.

IV ს-ში ატიკის მეურნეობაში ასევე სხვა ხასიათის უნიკალური სიახლეები დასტურდება. ქსენოფონტის ცნობით, როდესაც ქვეყანაში ბევრი პური და ღვინოა, შესაბამისად სოფლის მეურნეობის პროდუქტები იაფდება, მიწათმოქმედება უსარგებლო ხდება, ამიტომ ბევრმა მიწები დაუმუშავებელი დატოვა, ვაჭრობასა და მევახშეობას მიჰყო ხელი (Vect., IV, 6). ცხადია, რომ ამ დროისათვის ატიკაში წვრილ და მსხვილ მეურნეობებს შორის კონკურენციაა. თუ რით და როგორ დასრულდა ეს კონკურენცია ამის შესახებ ძველი ავტორები საკმაოდ მწირ ინფორმაციას გვაწვდიან. არისტოფანეს კომედიებში საკმაოდ მუქ ფერებშია დახატული გლეხური ცხოვრება: მძიმე შრომა, ღარიბული საკვები, ვალები და უფულობა. ლისიასის ცნობით კი ვინმე ავანტიურისტი ფრონისოსი, რომელიც ღარიბი იყო, სოფელში საქონელს მწყემსავდა, საცხოვრებლად ქალაქში გადავიდა და სტრატეგოსი გახდა (Lys., XX, 11-12); არისტოფანეს გადმოცემით სოფლელი სტრეპსიადე ქალაქელ გოგონაზე დაქორწინდა და ამიტომ ქალაქში დასახლდა („ღრუბლები", 43-50); ალკიფრონეს ცნობით (II, 5) ატიკელი გლეხები კრედიტის აღებისთვის მიწებს აგირავებდნენ.

როგორც ჩანს, გლეხობის გარკვეული ნაწილი, განსაკუთრებით კი წვრილი მეურნენი, ნაწილობრივ კრედიტის გადაუხდელობის, ხოლო ნაწილობრივ მცირე შემოსავლიანობის გამო სოფელს ტოვებდა, ათენში სახლდებოდა და „ლუმპენ-პროლეტარი" ხდებოდა. მათი მიწის ნაკვეთები ან კრედიტორების განკარგულებაში გადადიოდა, ან ჩალის ფასად იყიდებოდა. გამონთავისუფლებული ტერიტორიები ზოგჯერ სპეკულაციის ობიექტი ხდებოდა. ამასთან დაკავშირებით, ქსენოფონტი აღნიშნავს: „მდიდარი ათენელი მოქალაქე ისხომახოსი და მისი მამა დაუმუშავებელ და ცარიელ მიწის ნაკვეთებს იაფად ყიდულობდნენ და შემდეგ მათ ორმაგ ფასად ყიდდნენ" (Vect., XX, 22-29). როგორც ვხედავთ, ისხომახოსის გამდიდრების წყარო მიწის სპეკულაცია ყოფილა. ამრიგად, ქსენოფონტის ცნობა მოწმობს ძვ. წ. V ს-ის ატიკაში „მიწის ბრუნვის" ინტენსივობას და „მიწების კონცენტრაციას". ამის საილუსტრაციოდ წერილობით წყაროებში კიდევ რამდენიმე ცნობებს ვხვდებით. ერთ-ერთი მათგანი ეხება ტრაპეზიტ პასიონს, რომელსაც, დემოსთენეს ცნობით (XXXVI, 5), საკუთრებაში 20 ტალანტის ღირებულების მიწა ჰქონდა, რაც უდავოდ მსხვილი მიწისმესაკუთრეობის არსებობასა და მიწის კონცენტრაციაზე მიუთითებს. ცნობილი კომედიოგრაფი არისტოფანე, ლისიასის ცნობით (Lys., XIX, 28-39), უმნიშვნელო ქონებას ფლობდა, ხოლო შემდეგ მამამისი სამხედრო ნადავლის გზით გამდიდრა, მან შეისყიდა 3 პლეტერის მიწა, ე.ი. მსხვილი მიწათმფლობელი გახდა; დემოსთენეს ცნობით – „ზოგიერთი მათგანი, რომელიც საზოგადოებრივი საქმეებითაა დაკავებული, მოსამართლეებზე

უფრო მეტ მიწას ყიდულობენ" (Dem., XXIII, 208). ერთ-ერთი ასეთი მდიდარი ორატორი, დემოსთენეს მიხედვით, ფილოკრატე იყო, რომელმაც უცხოეთში ბევრი მიწის ნაკვეთი ფილიპე მაკედონელისაგან ძღვნად მიიღო; ათენში აღმოჩენილი ერთ-ერთი წარნერით (ძვ. წ. 342 წლით თარიღდება) ირკვევა, რომ ვინმე ფილოკრატე ატიკის ფარგლებში შვიდ მიწის ნაკვეთს, სამ სახლსა და ორ სახელოსნოს ფლობდა (Hesperia, 1936, V, გვ. 393-413). ორივე ეს პერსონაჟი „ახალ ადამიანებად" უნდა ჩაითვალოს, ისინი სწრაფად გამდიდრდნენ და მსხვილი მესაკუთრენი გახდნენ.

მართალია, ძვ. წ. V-IV სს ატიკაში, ქვეყნის სპეციფიკური გეოგრაფიული პირობებისა და საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების განცალკევების შედეგად, რომაული „ლატიფუნდიური" ტიპის მეურნეობა არ შექმნილა, მაგრამ აღნიშნულ ეპოქაში მიწების კონცენტრაციის თავისებური სისტემა უდავოდ არსებობდა.

ამრიგად, ძვ. წ. VI-IV სს ატიკაში განვითარებული ჩანს სასაქონლო ეკონომიკა, შესამჩნევია მსხვილ და წვრილ მესაკუთრეთა შორის კონკურენცია, მეურნეობის ინტენსიფიკაცია, მიწების კონცენტრაცია და სპეკულაცია, გლეხობის პაუპერიზაცია და მისი გაპროლეტარება, რაც „კაპიტალიზაციის" პროცესებზე მიუთითებს.

VII. პოლისური მართვის სისტემა

ელინური პოლისების მართვის სისტემები არსობრივად თითქმის იდენტური იყო. მათ შენარჩუნებული ჰქონდათ ფილეები და ფრატრიები, სახალხო კრება, გერუსია, ბულევტრია. მაგრამ მართვის ფორმები სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარი იყო და, ამავე დროს, ტრადიციული სახელისუფლებო ინსტიტუტებიც ამა თუ იმ პოლიტიკური ფორმის პოლისებში განსხვავებულ როლს ასრულებდა.

ძველ საბერძნეთში პოლიტიკურ სტრუქტურათა ხუთი ტიპის მოდელი დასტურდება: მონარქიული, ტირანული, არისტოკრატიული, ოლიგარქიული, დემოკრატიული. მონარქიულმა მმართველობამ საბერძნეთში არქაული ეპოქიდან მოყოლებული ფეხი ვერ მოიკიდა, ვინაიდან ელინთა მენტალობისთვის ავტორიტარული მმართველობა შეუთავსებელი იყო. ასევე ითქმის არისტოკრატიულ და ტირანულ მართვა-გამგეობაზეც. სამაგიეროდ დემოკრატიული და ოლიგარქიული მართვის სისტემები ბერძნულ პოლისებში მყარად დამკვიდრდა.

ადრეული ტირანია და პოლისი. პოლისურ სისტემაში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების გარდა, პოლიტიკური ლიდერებიც მოიაზრებოდნენ. პოლისი აქტიურ ინდივიდებს ფართოდ უღებდა კარს. ის ლიდერს მოითხოვდა. ძლიერი პიროვნება პოლისის ეფექტური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ინსტრუმენტი იყო, თუმცა ზოგჯერ მას შეეძლო პოლისის პრინციპებისათვის ძირი გამოეთხარა. მაგალითად, დემოსის სუვერენიტეტი ავტორიტარული ხელისუფლებით შეეცვალა. ამის შესახებ ჰესიოდეც აღნიშნავდა, რომ ერთი ბოროტი პიროვნების გამო შეიძლებოდა მთელი პოლისი დატანჯულიყო. მართალია, აქ არ არის საუბარი ტირანიაზე, მაგრამ პოლისის ფორმირების ეპოქაში პიროვნების როლი მნიშვნელოვნადაა გაზრდილი. არქილოქე წუხდა, რომ პაროსელებში ძალაუფლება ერთი პირის ხელშია: „ამჯერად ლეოფილე მართავს, ლეოფილე მბრძანებლობს, ყველაფერი ლეოფილეს ხელშია, ლეოფილეს უსმენენ" (fr., 70). პოლისს ლიდერები სჭირდებოდა, რადგანაც მასის მართვა, გასაგები მიზეზების გამო, რთული იყო. მაგრამ პიროვნების ამბიციები პოლისის მიზნებს შეიძლება დასცილებოდა.

ტირანიის აღმოცენების მექანიზმების კლასიფიკაციას არისტოტელე გვთავაზობს. მისი აზრით, ტირანია მონარქიისაგან, მაღალჩინოსანი ან დემაგოგების წრიდან აღმოცენდა. რეალურად ტირანია პოლისური სისტემის განვითარების კრიზისულ სიტუაციაში, განსაკუთრებით კი სოციალური დაპირისპირების დროს ძვ. წ. VII ს-ში ჩნდება. ტირანია თავდაპირველად უარყოფითი შინაარსის მატარებელი ტერმინი როდი იყო, არამედ ის მმართველს, წინამძღოლს ნიშნავდა, მაგრამ მალე ტირანი ერთპიროვნული მმართველის სინონიმი გახდა. არქაული ელადის ტირანები იყვნენ წარჩინებული, დიდგვაროვანი პირები, რომლებიც არისტოკრატიას უპირისპირდებოდნენ და ღარიბთა ფენებსა თუ ვაჭარ-ხელოსნებზე დაყრდნობით პოლისის ერთმმართველები ხდებოდნენ.

ჩვენთვის უცნობია სად და როდის აღმოცენდა პირველად ელადაში ტირანია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ძვ. წ. VII ს-ში ტირანია დამყარდა ისეთ მეგაპოლისებში,

როგორიც იყო კორინთო, სიკიონი, მეგარა, ეპიდავროსი და არგოსი. მათ შორის გამორჩეული ადგილი კორინთოს ტირანებს ეკავათ.

ძვ. წ. 657 წ. კიპსელოსმა კორინთოში ბაკხიადების მმართველობა დაამხო და კიპსელიდთა ტირანია დააფუძნა. მის სახელს უკავშირდება კორინთოს პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის დაწყება. მან კორინთოში რიგი რეფორმა გაატარა: ბაკხიადების ქონება დემოსს გადასცა, კორინთოს მოსახლეობა დაასაქმა, უსაქმურებს სასჯელი დაუწესა, აკრძალა მონების ყიდვა-გაყიდვა. კიპსელოსი დემოსის სრული მხარდაჭერით სარგებლობდა. არისტოტელე მას „დემაგოგს", „დემოსის ბელადს" უწოდებდა და მიუთითებდა, რომ კიპსელოსი მთელი თავისი მმართველობის მანძილზე დაცვის გარეშე დადიოდა. კიპსელოსის შვილი პერიანდროსი (ძვ. წ. 627-585 წწ.) მკაცრი და დესპოტური ხასიათით გამოირჩეოდა. ჰეროდოტე აღნიშნავს, რომ მას არაერთი ბოროტმოქმედება ჩაუდენია. პერიანდროსის მსხვერპლი მისივე ოჯახის ზოგიერთი წევრიც გამხდარა. არისტოტელეს პერიანდროსი ნამდვილ ტირანად მიაჩნდა. მკაცრი დესპოტის რეპუტაციის მიუხედავად პერიანდროსი უდავოდ გამოცდილი და წარმატებული პოლიტიკოსი იყო. მის დროს კორინთო ძლიერი საზღვაო სახელმწიფო გახდა. დაწინაურდა ხელოსნობა, გაიზარდა ვაჭრობა. პერიანდროსი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ხელოვნებისა და მეცნიერებისადმი. მის დროს დაარსდა ისთმიური თამაშები. კორინთო დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის სავაჭრო კონტაქტების მნიშვნელოვან ცენტრად აქცია. ანტიკურმა ტრადიციამ პერიანდროსს „შვიდ ბრძენთა" შორის მიუჩინა ადგილი. პერიანდროსის გარდაცვალების შემდეგ კორინთოს ტირანი გახდა მისი ძმიშვილი პსამეტიხოსი, მაგრამ იგი მალე მოკლეს, რის შემდეგაც კიპსელიდთა დინასტიამ არსებობა შეწყვიტა და მათ მიერ შექმნილი იმპერიაც დაიშალა.

კორინთოს მეზობელ სიკიონს ორთაგორიდების დინასტია თითქმის საუკუნე (დაახლ., ძვ. წ. 670-570 წწ.) განაგებდა. სიკიონის ტირანთაგან გამორჩეული იყო კლისთენე, რომელიც პოლისს 600-570 წწ-ში მართავდა. მან მთელს საბერძნეთში სახელი გაითქვა ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებებითა და სიმდიდრით. განსაკუთრებული პოპულარობა მან „პირველი საღვთო ომის" დროს (დაახლ., 590 წ.) მოიპოვა, როდესაც მიიტაცა და დაანგრია ქალაქი კირუ, რომელიც დელფოსის აპოლონის ტაძრის ქურუმებს მტრობდა. ამ გამარჯვების შემდეგ სიკიონის ტირანმა ე.წ. დელფოსის ამფიკტიონში წამყვანი პოზიცია დაიკავა. კლისთენე ავიწროებდა და დევნიდა ძველ დორიელ დიდგვაროვნებს. ასე მაგალითად, მან გილეების, დიმანების და პანფილების დორიულ ფილეებს დამამცირებელი სახელები – ღორი, ვირი და გოჭი დაარქვა. თავის საკუთარ ფილეს „არხელაები", ე.ი. „ხალხთა მეუფენი" უწოდა. ამგვარი ქმედებები გვაროვნული არისტოკრატიის დისკრედიტაციისათვის იყო გათვლილი, თუმცა აღნიშნული ზომები ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა, ვინაიდან კლისთენეს მოქმედი დაწესებულებები არსებითად არ შეუცვლია და წინანდელი საზოგადოებრივი სტრუქტურა ხელუხლებელი დატოვა.

ელინელ ტირანთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი ეკავა არგოსელ ფიდონს, რომლის დროსაც არგოსი ძვ. წ. VII ს-ის პირველ ნახევარში ძლიერი სახელმწიფო გახდა. ფიდონმა შეძლო მიკენისა და ტირინთოსის დაპყრობა. მას ემორჩილებოდა ზოგიერთი ზღვისპირა სახელმწიფო, მაგალითად, ეგინა. სამხრეთით ფიდონმა აღკვეთა სპარტის მცდელობა არგოლიდისაგან მოეწყვიტა თირეატიდის ნაყოფიერი რეგიო-

ნი. ძვ. წ. 669 წ. ჰისიასთან ბრძოლაში ფიდონმა სპარტის არმია სასტიკად დაამარცხა. სწორედ ამ ბრძოლაში არგოსელთა მიერ პელოპონესში პირველად გამოიყენეს მძიმედ შეიარაღებული ჰოპლიტთა შემჭიდროებული წყობა ანუ ე.წ. ფალანგა. ჰისიასთან გამარჯვების შემდეგ ფიდონმა სპარტელებს წაართვა ლაკონიკის აღმოსავლეთი სანაპირო და კუნძულ კითერაზე გამაგრდა. ამით სპარტა ეგეოსის ზღვის სანაპირო ზოლს მოსწყდა.

არანაკლებ წარმატებული იყო მისი საგარეო პოლიტიკა პელოპონესის დასავლეთის მიმართულებითაც. აქ მან მოახერხა სახელგანთქმული ოლიმპიის გაკონტროლება. ფიდონმა მოგვიანებით ოლიმპიაში სამხედრო შენაერთები განალაგა და ოლიმპიურ თამაშებსაც თვითონ ხელმძღვანელობდა. ამ რისკიანი ნაბიჯით ფიდონის პრესტიჟი ბერძნულ სახელმწიფოებში მნიშვნელოვნად ამაღლდა. მან თავის ვრცელ სამფლობელოში ზომა-წონის ერთიანი სისტემა დააწესა, რომლის ეტალონი რკინის ღერო, ნაჭერი იყო. ფიდონისეული ზომა-წონის ერთეული მოგვიანებით დანარჩენ ბერძნულ პოლისებში ფართოდ გავრცელდა. ძვ. წ. 657 წ. ფიდონის ნარმატებების სერიას წერტილი დაესვა. კორინთელებთან ერთ-ერთი ბრძოლის დროს ფიდონი დაიღუპა და მისი იმპერიაც მალე დაიშალა. ძვ. წ. VII ს-ის მეორე ნახევრიდან პელოპონესში სპარტა ძლიერდება.

ტირანიამ განსაკუთრებული როლი შეასრულა მიტილენის ისტორიაში. ძვ. წ. VII ს-ის დასასრულს აქ პენფილიდების მონარქიული მმართველობა გაუქმდა, რის შემდეგაც ძალაუფლება ხელში აიღო ტირანმა მელანხრემ. მაგრამ ის მალე დაამხეს პიტაკოსმა და ლირიკოსი პოეტის ალკეოსის ძმებმა. მიტილენის ტირანი კი მირსილი გახდა. მისი გარდაცვალების შემდეგ მიტილენელებმა ტირანად პიტაკოსი გამოაცხადეს, რომლის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო, მაგრამ პიტაკოსმა გაიმარჯვა. ამის შემდეგ მიტილენში მშვიდობა დამყარდა. პიტაკოსმა მიტილენელებს კანონები შეუქმნა, ამის შემდეგაც ხელისუფლებას ჩამოშორდა და ძვ. წ. 570 წ. გარდაიცვალა. ანტიკური ტრადიცია მას „შვიდ ბრძენთა“ შორის მოიხსენიებდა.

ადრეულმა ტირანიამ არქაული ეპოქის საბერძნეთის ისტორიაში უდავოდ პროგრესული როლი შეასრულა. მან პოლისური სისტემა და დემოსის სუვერენიტეტი განამტკიცა. ტირანები მხარს უჭერდნენ პოლისის სავაჭრო-სამრეწველო წრეს და მცირე მეწარმეებს. ხალხს ასაქმებდნენ და არისტოკრატიას პრივილეგიებს უზღუდავდნენ, ხელს უწყობდნენ ვაჭრობის, ხელოსნობისა თუ კულტურის განვითარებას; ზრუნავდნენ პოლისების კეთილმოწყობაზე, აგებდნენ სავაჭრო ხომალდებს, ჭრიდნენ მონეტებს და სავაჭრო გზების უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ. მაგრამ ტირანია იძულებითი მოვლენა იყო და მალე ის დესპოტიზმში გადაიზარდა, რამაც პოლისის მოქალაქეთა თავისუფლება შეზღუდა. ეს კი ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში პოვებდა გამოხატულებას, რაც პოლისების ისტორიაში ხშირი იყო. მაგალითად, როგორც კი კრიზისი გადაილახებოდა, პოლისი ტირანიისაგან თავისუფლდებოდა. არისტოტელეს სიტყვით „უმჯობესია კანონებით მართვა, ვიდრე ერთი მოქალაქის მბრძანებლობა“ (Pol., II, 11, 3). ამიტომაც ადრეული ტირანია ხანმოკლე აღმოჩნდა და ის, ჩვეულებრივ, რამდენიმე წელს გაგრძელდა. ძვ. წ. VI ს-ის დასასრულს ტირანიამ თავისი რესურსები ამოწურა და თითქმის ყველა პოლისში გაუქმდა. ამიერიდან კორინთოში სიკიონში, მეგარაში და მთელ რიგ პოლისებში ზომიერი ოლიგარქიული მმართველობის სისტემა დამყარდა.

გვიანდელი ტირანია და პოლისი. მიუხედავად ამისა, ტირანული მმართველობის იდეა ბერძნებში მაინც არ ჩამქრალა, პირიქით მას ხშირად მიმართავდნენ სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური კოლიზიების დროს, მწვავე კრიზისულ სიტუაციებში. ტირანული მმართველობა მთელი თავისი სიმძლავრით აღდგა ძვ. წ. IV ს-ში, როდესაც პოლისური სისტემა ღრმა კრიზისში აღმოჩნდა. ელინური პოლისების გარკვეული ნაწილის გავლენიანი პოლიტიკოსები კრიზისიდან თავის დაღწევის ერთადერთ მექანიზმად ტირანიის რესტავრაციას მიიჩნევდნენ.

პელოპონესის ომის შემდეგ, ტირანიის აღორძინებისათვის შესაბამისი პირობები მთელი ბალკანეთის საბერძნეთში არსებობდა. დემოკრატიული ათენი ძვ. წ. 407 წ. ალკიბიადეს ავტოკრატიას გადაურჩა. მაგრამ ის რაც ალკიბიადემ ვერ გაბედა ძვ. წ. 411 წ. ოთხასთა საბჭომ და ძვ. წ. 404-403 წწ-ში ოცდაათის კომისიამ შეძლო. მართალია, ისინი არ წარმოადგენდნენ ტირანებს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მაგრამ აღნიშნული კომისია და საბჭო არსობრივად მათი იდენტური იყო.

სპარტის ტრადიციული რეჟიმისათვის პოლოპონესის ომის გმირის ლისანდრეს პოპულარობა და მისი ქმედებები საშიში გახდა. იგი შეეცადა ტრადიციული სპარტანული პოლიტიკა და ავტორიტარული ტენდენციები შეეხამებინა, რათა სპარტის ინტერესები დაეცვა და, ამავე დროს, პირადი ძალაუფლება უზრუნველეყო. მაგრამ ლისანდრეს ეს მცდელობა კონსერვატიული ძალების წინააღმდეგობას წაანყდა და იძულებული გახდა პოლისის ადმინისტრაციის ნებას დამორჩილებოდა, სამაგიეროდ პელოპონესის ომის მეორე მთავარი გმირი კლეარხოსი სპრატის მოკავშირე ბიზანტიონში ტირანი გახდა. სპარტის ადმინისტრაციამ ურჩი მხედართმთავრის წინააღმდეგ არმია გაგზავნა. კლეარხოსი იძულებული გახდა მცირე აზიაში გაქცეულიყო.

ძვ. წ. IV ს-ის 80-იან წლებში თებეში ხელისუფლების სათავეში ოლიგარქია აღმოჩნდა. ის არსებითად ისეთივე კორპორატიული ტირანია იყო, როგორც „ოცდაათი" ათენელის რეჟიმი, მაგრამ ეს მმართველობა პელოპიდეს მეთაურობით თებელმა დემოკრატებმა დაამხეს. მიუხედავად ამისა, ტირანული რეჟიმები ბალკანეთის საბერძნეთის მრავალ რეგიონსა და ქალაქში მაინც დამყარდა. ამ მხრივ, განსაკუთებით გამოირჩეოდა თესალიის, ფოკიდის, სიკიონისა და კორინთოს ტირანია.

კლასიკურ ეპოქაში, თესალია ბალკანეთის საბერძნეთის ეკონომიკურად ჩამორჩენილ მხარედ ითვლებოდა. ძვ. წ. V ს-ის დასასრულს თესალიაში სოციალურ-პოლიტიკური კონფლიქტები მწვავე გახდა და ის რეგიონის სამხრეთ-აღმოსავლეთით, თერაში ტირანიის დამკვიდრებით დასრულდა. წერილობითი ტრადიციის თანახმად, თერას პირველი ტირანი ლიკოფრონი იყო, ხოლო აქ ტირანული რეჟიმი აპოგეას მისი შვილის იასონის მმართველობის დროს აღწევს. იასონის ძალისხმევით თესალია ძლიერი სახელმწიფო ხდება. მის შემადგენლობაში ჩართულ იქნა მარაკებისა და დოლოპების რეგიონები. მის კონტროლქვეშ აღმოჩნდა ეპირი და მაკედონია. თესალიის სამხედრო ძლიერების წყაროს 6-ათასიანი მოქირავნეების სამხედრო შენაერთები და 20-ათასიანი სახალხო მოლაშქრენი შეადგენდა. იასონის საბოლოო მიზანი საბერძნეთში თესალიის ჰეგემონობის დამყარება და აღმოსავლეთის ქვეყნების ანექსია იყო, მაგრამ მის მიზნებს განხორციელება არ ეწერა. ძვ. წ. 370 წ. იასონი შეთქმულებმა მოკლეს. თესალიის ტირანები იასონის ძმები პოლიდორე და პოლიფრონე გახდნენ, მაგრამ ისინი უნიათო მმართველები აღმოჩნდნენ. სწორედ მათი ტირანიის დროს დაიწყო თერულ-თესალიური სახელმწიფოს დაცემა-დაქვეითება, რომელიც კიდევ უფრო

გაღრმავდა მათი მემკვიდრეების ტისიფონისა და პიფოლაიდეს მმართველობის ხანაში. ძვ. წ. 353 წ. ფილიპე II მაკედონელმა დაამხო ტირანია და თერა მაკედონელთა კონტროლირებად თესალიის კავშირში ჩართო.

„ნაციონალური“ ტირანიის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენდა ფოკიდის ტირანია, რომელიც ეროვნული წიაღიდან აღმოცენდა. მეზობელი ძლიერი ბეოტიის კავშირის ზეწოლამ ფოკიდელთა პოლიტიკური ძალები კონსოლიდირებული გახადა, ხოლო როდესაც დელფოსის ამფიკტიონის დახმარებით გავლენიანი ფოკიდელები დაადანაშაულეს, ფოკიდაში აჯანყებამ იფეთქა. ფოკიდელებმა ამფიქტიონის ულტიმატუმი უარყვეს და თავიანთ წინამძღოლებად ნაციონალური დაჯგუფების ლიდერები ფილომელა და ორომარხოსი აირჩიეს, ამავე დროს დელფოსის სამლოცველოზეც პრეტენზიები განაცხადეს. ფილომელასა და ორომარხოსის მეთაურობით ფოკიდა ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო ხდება. ფოკიდელი დემოსის თანაგრძნობითა და სპარტის ფინანსური დახმარებით ფოკიდის ადმინისტრაციამ არმიის გადახალისება და გაძლიერება შეძლო, ხოლო შემდეგ 356 წ. დელფოსი დაიკავა. თებელებმა ფოკიდელებს საღვთო ომი გამოუცხადეს. ომი ძვ. წ. 356 წ. დაიწყო და 354 წლამდე ფოკიდელთათვის წარმატებით მიმდინარეობდა, მაგრამ მომდევნო წელს ფილიპე II მაკედონელის თესალიაში ლაშქრობამ აიძულა ისინი ბეოტიელების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციები შეეწყვიტათ. ძვ. წ. 346 წ. ფილიპე II ფოკიდელები სასტიკად დაამარცხა და მან, როგორც სუვერენულმა სახელმწიფომ, არსებობა შეწყვიტა.

ჩვეულებრივი ტირანიის ნიმუშად ითვლება სიკიონისა და კორინთოს ავტორიტარული რეჟიმები. ძვ. წ. 368 წ. სიკიონში ანტიოლიგარქიული და ანტისპარტანული მოძრაობების ფონზე ხელისუფლების სათავეში ევფრონე მოვიდა. ის თავდაპირველად თითქოსდა დემოსის ინტერესებს იცავდა, მაგრამ შემდეგ დაქირავებული ჯარის შენახვისათვის სიკიონის მოქალაქეებს დიდძალი გადასახადები დაუწესა და დემოკრატების წინააღმდეგაც გაილაშქრა. სტრატეგოსების კოლეგია დაითხოვა და სახალხო კრების მუშაობაც შეაჩერა. ევფრონეს მმართველობა სამ წელინადს გაგრძელდა. ის ძვ. წ. 365 წ. შეთქმულებმა მოკლეს. მისი გარდაცვალების შემდეგ სიკიონს დემოკრატები მართავდნენ.

სიკიონის მეზობელ კორინთოში ძვ. წ. 365 წ. ადგილი ჰქონდა ტირანიის დამყარების მცდელობას. აქაც, სპარტანული სუპრემატიის მსხვრევის შემდეგ, მმართველი ოლიგარქიის პოზიციები დასუსტდა. კორინთოს ათენისა და თებესაგან საფრთხე ემუქრებოდა. ქალაქის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის 400 დაქირავებული მებრძოლი შეკრიბეს და მის მეთაურად წარჩინებული მოქალაქე ტიმოფანე დანიშნეს. ტიმოფანემ, რომელიც პატივმოყვარეობითა და ამბიციებით გამოირჩეოდა, გადაწყვიტა ძალაუფლება ხელში აეღო. ის შეეცადა გადატრიალებისათვის სახალხო მოძრაობის ელფერი მიეცა, ღარიბებს იარაღს ურიგებდა და თავის სამსახურში აყენებდა. მოქირავნეებისა და დემოსის ნაწილის დახმარებით მან მოახერხა ქალაქის ძირითადი უბნების გაკონტროლება. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მას მხარი არ დაუჭირა. რესპუბლიკელებმა ამით ისარგებლეს და ერთ-ერთი ბრძოლის დროს ტიმოფანე მოკლეს.

ძვ. წ. IV ს-ში ტირანული, ავტოკრატიული რეჟიმი ბერძნული სამყაროს პერიფერიებშიც დამყარდა, სადაც სწრაფად აღმოცენდა, განვითარდა და უფრო თვითგამოსახვის სრულყოფილ ფორმას მიაღწია, ვიდრე საკუთრივ საბერძნეთში. ამგვარი რე-

ომის კლასიკურ ნიმუშს სირაკუზის ტირანია წარმოადგენს. ძვ. წ. V ს-ის დასაწყისში სირაკუზი სიცილიის პოლიტიკური ცენტრი ხდება და სიცილიის ქალაქების გაერთიანების სათავეში ჩადგა. პელოპონესის ომის დროს სირაკუზი სპარტის მხარეზე იბრძოდა. ძვ. წ. 427-424 წწ-ში ათენელებმა სიცილიაში გაილაშქრეს, მაგრამ სირაკუზმა აგრესია მოიგერია, თუმცა ეს მას ძვირად დაუჯდა. სირაკუზის სამხედრო და ეკონომიკური მდგომარეობა სერიოზულად შეირყა. გამწვავდა დაპირისპირება დემოკრატებსა და ოლიგარქოსებს შორის. ამით ისარგებლა ახალგაზრდა და ამბიციურმა დიონისემ, რომელიც სტრატეგოს ავტოკრატად გამოცხადდა. სირაკუზში ტირანია დამყარდა. დიონისე 40 წელი განაგებდა ქალაქს. მისი მმართველობის დროს პოლიტიკური დაპირისპირება შენყდა. სირაკუზელებმა კართაგენელთა აგრესია მოიგერიეს და ეკონომიკური მდგომარეობაც გაუმჯობესდა. დიონისეს ტირანია ერთნაირად იცავდა დემოსისა და არისტოკრატიის ინტერესებს. დიონისე სასტიკად უსწორდებოდა ანტიტირანელებს, მათ სიკვდილით სჯიდა და ქონებას ართმევდა. კონფისკირებული ქონების ნაწილს ღარიბებს უნაწილებდა. ტირანი დემოკრატიას მფარველობდა, თუმცა მან დემოკრატიული მართვის ორგანოებზე მკაცრი კონტროლი დააწესა.

დიონისეს ძლიერების დასაყრდენი მოქირავნეთა არმია იყო. მეომრებს ბერძნულ პოლისებში აგროვებდნენ. სირაკუზელთა არმიაში მნიშვნელოვან როლს ათიათასიანი პროფესიონალი მეომრები ასრულებდნენ.

ძვ. წ. 392 წ. სიცილიიდან კართაგენელების განდევნის შემდეგ, სირაკუზის არმიამ სიცილიის ცენტრალური რეგიონები დაიკავა. ამავე დროს, დიონისემ სამხრეთ იტალიის პოლისები: რეგიუმი, კროტონი და კავლონია დაიმორჩილა. მან შექმნა გრანდიოზული იმპერია, რომლის შემადგენლობაში დიდი საბერძნეთის დასავლეთის ბერძნული პოლისები და მკვიდრი მოსახლეობის ტერიტორიებიც აღმოჩნდა. დიონისეს მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა სპარტასთან და ათენის საზღვაო კავშირთან.

დიონისეს დროს სირაკუზი ბერძნული სამყაროს კულტურისა და მეცნიერების მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა. აქ ელინურ სამყაროში სახელგანთქმული პოეტები, მხატვრები, ფილოსოფოსები და მეცნიერები მოღვაწეობდნენ. დიონისეს კარზე ერთ დროს პლატონიც ცხოვრობდა. ამგვარი წარმატებების მიუხედავად დიონისეს იმპერია მყარი გაერთიანება არ აღმოჩნდა. დიონისეს უნიათო მემკვიდრეებმა, მისმა შვილმა დიონისე II უმცროსმა და სიძემ დიონმა სირაკუზელები ხელისუფლების საწინააღმდეგოდ განაწყვეს. ამავე დროს, დიონისესა და დიონს შორის სერიოზული უთანხმოება ჩამოვარდა, რაც სამოქალაქო ომში გადაიზარდა. ერთ-ერთი ბრძოლის დროს დიონი იღუპება. სირაკუზში დაწყებული არეულობით ისარგებლა კართაგენმა და ელინურ პოლისებზე სამხედრო აგრესია განაახლა. სირაკუზმა დახმარებისათვის თავის მეტროპოლისს – კორინთოს მიმართა. კორინთომ თხოვნა დააკმაყოფილა და ტიმოლეონტის მეთაურობით იქ სამხედრო შენაერთები გაგზავნა. ტიმოლეონტმა აიძულა დიონისე უმცროსი კორინთოში გაქცეულიყო. მან სირაკუზში დემოკრატია აღადგინა. ძვ. წ. 341 წ. ტიმოლეონტმა შეძლო კართაგენელების დამარცხება. სირაკუზში ვითარების მოწესრიგების შემდეგ ტიმოლეონტი ხელისუფლებას ჩამოცილდა. სირაკუზის ტირანი აგათოკლე გახდა და რეპრესიებიც დაიწყო. ანტიკური ტრადიციით იგი მდიდრებს დევნიდა და ღარიბთა მფარველი იყო. აგათოკლეს ოპოზიციამ დახმარება კართაგენს სთხოვა. კართაგენმა თხოვნა დაკმაყოფილა და სირაკუზში მრავალრიცხოვანი საჯარისო შენაერთები გაგზავნა. აგათოკლე დამარცხდა, მაგრამ იგი აფ-

რიკაში გადავიდა და კართაგენელები დაამარცხა. მან აქ არაერთი ქალაქი დაიმორჩილა, თუმცა სირაკუზში დაწყებულ არეულობასთან დაკავშირებით მან აფრიკა დატოვა და სამშობლოში დაბრუნდა. აგათოკლემ სირაკუზში ვითარება მოაწესრიგა და სახელმწიფოს შელახული პრესტიჟი აღადგინა. მაგრამ იგი მალე, ძვ. წ. 289 წ. გარდაიცვალა, მისი და დიონისესეული სირაკუზის იმპერიაც დაიშალა. ძვ. წ. 201 წ. სირაკუზმა, როგორც სუვერენულმა სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა და ის რომის რესპუბლიკას დაექვემდებარა.

ამრიგად, გვიანდელი ტირანიის აღმოცენება პოლისური სისტემის კრიზისს უკავშირდება. ყველა ცნობილ შემთხვევაში ტირანული რეჟიმის დამყარება მწვავე საშინაო და საგარეო კონფლიქტური სიტუაციებით იყო განპირობებული. ავტოკრატიული რეჟიმის პოლიტიკური ფორმა პოლისურ პრინციპებსა და ტრადიციებს ეწინააღმდეგებოდა. რეალურად ტირანიის რესტავრატორები იყვნენ სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის კონკრეტული პირები, პარტიები თუ მოსახლეობის ფენები. უმცროსი ასაკის ტირანიის ისტორია გვიჩვენებს, რომ არც ერთ ტრადიციულ პოლიტიკურ პარტიას პოლისებში ავტოკრატიული რეჟიმი მიზანმიმართულად არ მოუმზადებია. ეს რეჟიმი სახალხო მღელვარებების, სამოქალაქო დეპრესიებისა და რთული საგარეო ურთიერთობების პირობებში აღმოცენდა. ტირანიებს არ ჰყავდათ მტკიცე შემოქმედი და მყარი პოლიტიკური პარტიები თუ სოციალური ფენები. ის ტრადიციული პოლისური ინსტიტუტების გაკოტრების დემონსტრირებას ახდენდა, ხოლო ახალი დროის მოთხოვნებს ერთხელისუფლებიანობის წარმოშობისათვის საამისო პირობები შეექმნა.

ტირანიის დასაყრდენი იყო არა ესა თუ ის სოციალური ფენები და მათი შესაბამისი პოლიტიკური პარტიები, არამედ ძალების სპეციფიკური, დროებითი კომბინაცია, რომლის ძირითად ბირთვს ტირანი, მისი უახლოესი მეგობრები, მოქირავნეთა რაზმები და ღარიბი ფენა წარმოადგენდა. ხელისუფლება თუ კონკრეტულ სოციალურ ფენასთან არ არის დაკავშირებული და სოციუმის ინტერესებს არ ემსახურება, მაშინ ის მარცხისთვისაა განწირული. ვერც იასონმა და ვერც დიონისე უფროსმა, მიუხედავად მათი იმპერიული პოლიტიკის პოზიტიური შედეგებისა, ვერ შეძლეს მყარი მონარქიული სისტემის შექმნა, რათა მას ტირანიის ფუძემდებელთა გარდაცვალების შემდეგ სრულფასოვნად ეარსება. მხოლოდ ტრადიციული რესპუბლიკური ტიპის ბერძნული პოლისების ამარა ავტოკრატიული რეჟიმის დიდი ხნით შენარჩუნება შეუძლებელი იყო. სწორედ ამით იყო განპირობებული ის, რომ როგორც ადრეულ, ასევე გვიანკლასიკური პერიოდის ტირანიას დიდხანს არ უარსებია და მცირე მონაკვეთში პოლიტიკური ავანსცენიდან გაქრა.

ბერძნულ სამყაროში, არსებულ მრავალგვარ პოლიტიკურ სტრუქტურათა შორის, მოქმედებდა ოპტიმალური, ერთობ პოპულარული და ხანგრძლივი დემოკრატიული და ოლიგარქიული მართვის ფორმები.

არისტოტელე დემოკრატიისა და ოლიგარქიის დამკვიდრების მიზეზებს საკმაოდ მარტივად განმარტავდა: „დემოკრატია წარმოიშვა რაღაც კონკრეტული თანასწორობიდან, რაც მათ აბსოლუტურ თანასწორობად ჩათვალეს. რამდენადაც თავისუფალი ადამიანები ერთმანეთს ჰგვანან, ამიტომ ისინი ფიქრობდნენ, რომ მთლიანად თანასწორნი არიან. ოლიგარქია კი წარმოიშვა იმის შედეგად, რომ რაიმე ერთი თვისებით არათანასწორი ადამიანები მთლიანად არათანასწორად ჩათვალეს. მაგალითად, თუ ადამიანები ქონებით არათანასწორნი არიან, მიიჩნიეს ყველაფერში არათანასწო-

რად. დემოკრატიაში ყველანი არათანასწორად ითვლებიან. ამიტომ ყველა მიისწრაფვის თანასწორი უფლებების მოპოვებისაკენ. ოლიგარქიაში კი, რადგან მოქალაქენი არათანაბარნი არიან, ამიტომ ყველა ცდილობს, რაც შეიძლება მეტი უფლებები მოიპოვოს" (Pol., V, I, 1301a). არისტოტელეს ამ ვრცელი ამონარიდიდან ჩანს, რომ დემოკრატიისა და ოლიგარქიის აღმოცენება კონკრეტული, სპეციფიკური პირობებით იყო განპირობებული. მართალია არისტოტელე ამ გარემოებებს არ ასახელებს, ვინაიდან ის ბერძნული სოციუმისთვის ცნობილი ფაქტია. ესაა მიწისმფლობელობის განსაკუთრებული სისტემა, რომელიც პოლისის ფორმირების პროცესს თან ახლდა. პოლისის ტერიტორიის ნადელის მფლობელ მოქალაქეს პოლიტიკური უფლებები გარანტირებული ჰქონდა, მაგრამ პოლისური სისტემის ფორმირებისა და მიწისმესაკუთრეობის პროცესი ყველგან ერთნაირი როდი იყო. ის ზოგან ინტეგრირების, ხოლო ზოგიერთ პოლისში დიფერენციაციის წესით მიმდინარეობდა. პირველ მათგანში იგულისხმებოდა გარკვეულ ტერიტორიაზე მიწისმესაკუთრეობის საერთო სისტემა, მისი ერთობლივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მართლმსაჯულების ერთიანი სისტემა, ასევე საერთო კულტმსახურებაში, გენტილურ თანამეგობრობაში მონაწილეობა და სხვ. დიფერენციაციის პროცესთა რიცხვს კი განეკუთვნება სოციალური გრადაცია, პირადი თუ გენტილური ამბიციები, არისტოკრატიისა და პლუტოკრატიის სპორადული ოპოზიცია, ურთიერთდამოკიდებულების ფორმა და ა.შ. სწორედ ინტეგრაციისა და დიფერენციაციის ფაქტორებით იყო განპირობებული ორპოლუსიანი პოლისის აღმოცენება: ინტეგრირების პროცესით დემოკრატიული, ხოლო დიფერენციაციის მექანიზმით ოლიგარქიული ტიპის პოლისების წარმოშობა.

დემოკრატიულ პოლისებში, არისტოტელეს მინიშნებით, თითოეული მოქალაქე მიწას ფლობდა და განურჩევლად ქონებრივი ცენზისა სახელმწიფო მართვაში აქტიურად მონაწილეობდა; უმაღლეს ორგანოდ სახალხო კრება ითვლებოდა, მიმდინარე საკითხებს მაგისტრატები და ბულე, საბჭო წყვეტდა (Pol., V, VIII, 1319a). ოლიგარქიულ პოლისებში კი მიწისმფლობელობის სისტემა სრულუფლებიანი მოქალაქეობის გარეშე ტოვებდა პირებს, რომლებიც მიწას მემკვიდრეობით არ ფლობდნენ, ე.ი. ისინი „საცენზო ნაკვეთს" მოკლებულნი იყვნენ. გარდა ამისა, რამდენადაც მიწა ყიდვა-გაყიდვის ობიექტი იყო, მიწისმფლობელთა ნაწილი, სხვადასხვა გარემოებების გამო, თავიანთ ნადელებს კარგავდნენ და, შესაბამისად, სოციუმის სრულუფლებიანი წევრის სტატუსიც ჩამოერთმეოდათ; სახელმწიფო მართვაში მოსახლეობის მცირე რაოდენობა მონაწილეობდა და სახალხო კრება მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა.

დემოკრატიული და ოლიგარქიული ტიპის პოლისების კლასიკურ ნიმუშებს წარმოადგენდა ათენი და სპარტა, რომელთა მართვის სისტემაც დიამეტრიულად ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა.

1. ათენის მართვის სისტემა

ანტიკური ტრადიციის თანახმად, თავდაპირველად ათენს მეფეები მართავდნენ. ათენის უკანასკნელი მეფე იყო კოდროსი. ლეგენდის მიხედვით კოდროსს დელფოსის მისანმა უწინასწარმეტყველმა, რომ ათენელებსა და დორიელებს შორის მოსალოდნელი ომის დროს ათენი არ დაეცემოდა თუ ის ამ ბრძოლაში დაიღუპებოდა. ღარიბუ-

ლად ჩაცმული კოდროსი მტერთან ხელჩართულ ბრძოლაში შეგნებულად ჩაება და მოკლულ იქნა. ათენი გადარჩა და დამოუკიდებლობა შეინარჩუნა.

ძვ. წ. VIII-ში სამეფო ხელისუფლებამ არსებობა შეწყვიტა და მეფის ფუნქციები გადავიდა ევპატრიდების, დიდებულების ხელში, რომლებიც ირჩევდნენ თავიანთი წრიდან თანამდებობის პირებს – არქონტებს. არქონტების რაოდენობა იყო ცხრა. მათ ევალებოდათ აღმასრულებელი ხელისუფლების, სამხედრო და სასამართლო საქმეების წარმართვა. არქონტების ინსტიტუტი იყო კოლეგიალური. კოლეგიას მეთაურობდა არქონტი-ეპონიმი, იერარქიული კიბის მომდევნო საფეხურზე არქონტი-პოლემარქოსი იდგა და სამხედრო საქმეს განაგებდა; არქონტი-ბასილევსის ფუნქციებში საკულტო საკითხები შედიოდა. დანარჩენი ექვსი არქონტი, რომლებსაც თესმოთეტები ერქვათ საკანონმდებლო ადათების დამცველები იყვნენ. არქონტის თანამდებობა თავდაპირველად მუდმივი იყო. ძვ. წ. VI ს-ში მას ირჩევდნენ ათი წლით, ხოლო ძვ. წ. V-IV სს-ში ერთი წლით.

ათენის ადმინისტრირების სისტემაში ავტორიტეტული იყო ათი სტრატეგოსის კოლეგია, რომელიც ათენის სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციას განაგებდა. მის კომპეტენციაში შედიოდა მოქალაქეების არმიაში გაწვევა, სამხედრო ოპერაციებისა და გარნიზონების მეთაურობა; ასევე ის სამხედრო ფინანსებსა და ალაფს განკარგავდა. ძვ. წ. V-IV სს-ში, პერმანენტული ომების დროს, სტრატეგოსების კოლეგია სახელმწიფო პოლიტიკის საკვანძო საკითხებს წყვეტდა, ხოლო ათენის გავლენიანი პოლიტიკოსები არქონტის თანამდებობას სტრატეგოსობას ამჯობინებდნენ.

სამხედრო საქმის გაძღოლაში სტრატეგოსებს ეხმარებოდნენ ათი ტაქსიარხოსები, რომლებიც ჰოპლიტთა კონტინგენტს მეთაურობდნენ, ორი ჰიპარქოსი – კავალერიის მხედართმთავრები და ათი ფილარქოსი – კავალერიის მცირე შენაერთების მთავარსარდლები. ამ თანამდებობებზე სამხედრო საქმის მცოდნე და გამოცდილ მოქალაქეებს იწვევდნენ. მათ ღია კენჭისყრის წესით ირჩევდნენ, ხოლო საჯარო მოხელეთა არჩევა მხოლოდ ფარული კენჭისყრით ხდებოდა. ღია კენჭისყრას საპასუხისმგებლო სამხედრო თანამდებობებზე არაკომპეტენტური პირების დანიშვნის რისკი უნდა გამოერიცხა.

ათენის ადმინისტრაციულ აპარატში წარმოდგენილი იყო მრავალრიცხოვანი საფინანსო კოლეგიები. ეს გასაგებიცაა. ინტენსიური ეკონომიკისა და აქტიური სახელმწიფო პოლიტიკის პირობებში ბიუჯეტის შედგენას, ღონისძიებების დაფინანსებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ათენში ფუნქციონირებდა რამდენიმე სპეციალური საფინანსო კოლეგია, რომლებიც პოლის-სახელმწიფოს სხვადასხვა ფისკალურ სფეროს ხელმძღვანელობდა: პოლეტების ათკაციანი კოლეგია სახელმწიფო ხაზინას განაგებდა, ათი აპოდეკტი შემოსავალ-გასავალს კურირებდა, ათი ლოგისტი კი თანამდებობის პირთა ფინანსურ მდგომარეობას რეგულარულად აკონტროლებდა. საფინანსო უწყებათა შორის გამორჩეული პოზიცია ეკავა „თეორიკონის“ – „სანახაობათა ფონდის“ კოლეგიას, რომელიც პერიკლემ დაარსა და ძვ. წ. IV ს-ის 50-30 წლებში ინტენსიურად აგრძელებდა ფუნქციონირებას. მას სხვადასხვა დროს ათენის გავლენიანი პოლიტიკოსები – კეფისოფონტი, ევბულე, ლიკურგოსი და დემოსთენე ხელმძღვანელობდნენ. „თეორიკონმა“ ათენის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. აღნიშნული ფონდიდან სახსრები გაიცემოდა არა მარტო თეატრალურ სანახაობათა დასწრებისათვის, არამედ ის ხმარდებოდა სამხედრო ფლოტისა თუ საზო-

გადოებრივი დანიშნულების ნაგებობების მშენებლობას, ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებას, რამაც პოლისური ეკონომიკა და ათენური დემოკრატიის სოციალური ბაზა განამტკიცა. ძვ. წ. IV ს-ის 50-30 წლებში „თეორიკონი" ათენის ეკონომიკაში თითქმის იმავე როლს ასრულებდა, როგორც ძვ. წ. V ს-ში „ფოროსი", თუმცა ეს უკანასკნელი ათენის საზღვაო ალიანსის წევრი პოლისების შენატანებით ივსებოდა, ხოლო ათენის ეკონომიკის გაჯანსაღება შიდა რესურსების მობილიზებით მოხერხდა. ძვ. წ. 322 წლიდან, ათენური დემოკრატიის კრიზისის დაწყებისთანავე, „თეორიკონმა" ფუნქციონირება შეწყვიტა (იხ., Кондратюк 1989, გვ. 137-144).

საქალაქო ცხოვრების მართვისათვის ათენში მრავალრიცხოვანი კოლეგიები არსებობდა. ათკაციანი ასტინომოსთა კოლეგია ქალაქის სანიტარულ ვითარებას მეთვალყურეობდა, ათი აგორანომოსი საბაზრო ვაჭრობის წესებს არეგულირებდა, ათი მეტრონომოსი ზომა-წონის სისტემას აკონტროლებდა, ხოლო ათი სიტოფილაკოსი პურის ფასებს მეთვალყურეობდა. მართლწესრიგს თერთმეტკაციანი საპოლიციო კოლეგია იცავდა. მათ განკარგულებაში იმყოფებოდა სახელმწიფო მონებისაგან დაკომპლექტებული 300 კაციანი რაზმი, რომელიც მშვილდ-ისრებით იყო შეიარაღებული.

ასე რომ, ათენის ადმინისტრაციული აპარატი საკმაოდ მრავალრიცხოვანი და განშტოებული იყო. მაგრამ ის დემოსისაგან გამიჯნული არ ყოფილა. თანამდებობის პირებს ერთი წლით ირჩევდნენ. ერთი და იგივე თანამდებობაზე მოქალაქის ორჯერ არჩევა კანონით აკრძალული იყო. მაგისტრატურები კოლეგიალური იყო და ერთპიროვნული ძალაუფლება გამოირიცხებოდა. ათენში არჩევნების დემოკრატიული პროცედურები მკაცრად რეგლამენტირებული იყო: საჯარო მოხელეების არჩევა, სამხედრო მაგისტრატების გარდა, ფარული კენჭისყრით ხდებოდა. მაგისტრატები ჯამაგირს იღებდნენ 3-5 ობოლის ოდენობით, რაც პოლისის მართვაში დაბალ ქონებრივ ცენზიანი მოქალაქეების მონაწილეობას უზრუნველყოფდა. რამდენადაც განმეორებითი არჩევნები იკრძალებოდა, ხოლო კოლეგიები მრავალრიცხოვანი იყო, პრაქტიკულად თითოეულ მოქალაქეს შეეძლო ერთი ან რამდენიმე თანამდებობა დაეკავებინა და პოლისის მართვაში აქტიური მონაწილეობა მიეღო.

ათენის ადმინისტრაციული აპარატი მართალია ოპტიმალური, იდეალური არ იყო, მაგრამ ის შედარებით უფრო გამართული და სრულყოფილი ჩანს, ვიდრე რესპუბლიკური რომის ადმინისტრირების სისტემა. რესპუბლიკურ რომს საკმაოდ მცირერიცხოვანი სამოხელეო აპარატი ემსახურებოდა, მაშინ როცა ძვ. წ. V-IV სს-ის ათენის 40 ათასიანი სრულუფლებიანი მოქალაქეების მომსახურებისათვის, არისტოტელეს ცნობით, ყოველწლიურად 700 სხვადასხვა თანამდებობის პირებს ირჩევდნენ. რომის რესპუბლიკის სახელმწიფო სამსახური არაკვალიფიციური კადრებით იყო დაკომპლექტებული, ათენისა კი შედარებით უფრო კვალიფიციური მოქალაქეებისაგან შედგებოდა და ადმინისტრაციული აპარატი განშტოებული და იერარქიული იყო. რომის ადმინისტრაცია ამგვარ სისტემას მოკლებული იყო; ათენის საჯარო მოხელეები ჯამაგირს იღებდნენ, ხოლო რომაული მაგისტრატურა კი არაანაზღაურებადი იყო. ასე რომ, რესპუბლიკური რომის სახელმწიფო აპარატი მრავალრიცხოვანი, სტრუქტურულად ქაოტური და რუდიმენტული ჩანს, ვიდრე კლასიკური ეპოქის ათენის ადმინისტრაციის სისტემა.

ძვ. წ. V-IV სს-ის ათენის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს ეკლესია, სახალხო კრება წარმოადგენდა. სახალხო კრებას, განურჩევლად ქონებრივი ცენზისა, ათენის,

პირეუსისა და ატიკის ყველა სრულუფლებიანი მოქალაქენი ესწრებოდნენ. ქალებს არა მარტო სახალხო კრებაზე დასწრება ეკრძალებოდათ, არამედ მათ, მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეებად ითვლებოდნენ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ.

სახალხო კრება ფართო უფლებამოსილებით სარგებლობდა: კრებაზე ხდებოდა პოლისური კანონების მიღება, ის ამტკიცებდა ომის გამოცხადებას და ზავის დადებას, ასევე სხვა პოლისებთან წარმოებულ მოლაპარაკებებს; კრებაზე ირჩევდნენ თანამდებობის პირებს, პოლისის მაგისტრატებს; განიხილებოდა საჯარო მოხელეების ერთწლიანი საქმიანობის ანგარიშები; სახალხო კრებაზე წყდებოდა პოლისის პროვიანტით მომარაგების საკითხები; ის აკონტროლებდა საარენდო სისტემას და ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემებს, ასევე კრების კომპეტენციაში შედიოდა ოსტრაკისმოსის გატარება.

სახალხო კრების უმთავრეს საკითხად მაინც პოლისის ბიუჯეტის მიღება-დამტკიცება, აგრეთვე მეტოიკოსებისა და უცხოელებისათვის მოქალაქეობის სტატუსის მინიჭება წარმოადგენდა. სახალხო კრება მხოლოდ საკანონმდებლო ორგანო როდი იყო, ის ადმინისტრაციის საქმიანობასაც აკონტროლებდა.

ათენში სახალხო კრებას იწვევდნენ 36 დღეში ოთხ ან ცხრაჯერ, ხოლო მისი წლიური საქმიანობა 10 ციკლისაგან შედგებოდა. სახალხო კრების მუშაობის ორგანიზებისათვის სხდომებზე არსებითი საკითხები თანმიმდევრობით განიხილებოდა. პირველ სხდომაზე სამხედრო, სასურსათო, საგანგებო განცხადებები ირჩეოდა; მოწმდებოდა მაგისტრატთა არჩევების სისწორე, მეორე სხდომაზე პირადული და საზოგადოებრივი საქმეების შესახებ შუამდგომლობებს განიხილავდნენ.

სახალხო კრების დღის წესრიგი დემოკრატიული პრინციპით მტკიცდებოდა. თითოეულ მოქალაქეს უფლება ჰქონდა სახალხო კრებაზე თავისი კანონპროექტი წარმოედგინა და საკუთარი აზრი გამოეთქვა. კრება მკაცრად მოითხოვდა ანგარიშებს ნებისმიერი თანამდებობის პირებისაგან. ამიტომაც ისინი ამისათვის საგანგებოდ ემზადებოდნენ. პლუტარქეს ცნობით, ათენის ყველაზე გავლენიანი და ავტორიტეტული პიროვნება, პირველი სტრატეგოსი პერიკლე ისე საგულდაგულოდ ამზადებდა სახალხო კრებაზე წარსადგენ ანგარიშს, რომ მუშაობის დროს ახლობელ ადამიანებსაც კი არ იღებდა (პერიკლე, 7), ხოლო ბერძნული ფილოსოფიის კოლოსი – სოკრატე სახალხო კრებას ხშირად ირონიულად მოიხსენიებდა.

ძვ. წ. IV ს-ის დასაწყისში სახალხო კრების წევრებს ჯამაგირი დაენიშნათ 3 ობოლის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ სახალხო კრებაზე დასწრებისა და მის მუშაობაში მონაწილეობის უფლების გამოყენება ყველა მოქალაქეს არ ძალუძდა, ვინაიდან კრების მრავალი წევრი ათენიდან საკმაოდ მოშორებით, სადღაც ელევსინში, მარათონში, იმბროსში ან სკიროსში ცხოვრობდა. ამიტომ ისინი კრების სხდომებს ხშირად ვერ ესწრებოდნენ. კრების მუდმივი დამსწრეები იყვნენ ათენის, პირეუსისა და მათ მახლობლად მცხოვრები მოქალაქეები. ათენის 40-ათასიანი მოქალაქეთაგან კრებაზე დაახლოებით 3-5 ათასი კაცი ესწრებოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისათვის, მაგალითად, ოსტრაკისმოსთან დაკავშირებით 6 ათასკაციანი კვორუმი იყო სავალდებულო.

სახალხო კრების სათათბირო ორგანოს წარმოადგენდა ბულე ანუ საბჭო, რომელიც სოლონმა დააარსა და მის დროს 400 წევრისაგან შედგებოდა, ხოლო კლისთენეს

მმართველობისას 500-მდე გაიზარდა. ყოველი ფილედან 50 კაცს ირჩევდნენ. საბჭოს შევსება მოქალაქეთა ყველა ფენიდან ხდებოდა. მის წევრებს ერთი წლით ირჩევდნენ. ბულეს წევრად განმეორებითი არჩევა ერთი და იმავე პირისა რამდენიმე წლის შემდეგ შეიძლებოდა. საბჭოს წევრების გასამრჯელო 5-6 ობოლს შეადგენდა.

ბულე ათენის პოლისის გავლენიანი და ავტორიტეტული ორგანო იყო. მის კომპეტენციაში შედიოდა სახალხო კრების მომზადება და მისი მუშაობის ორგანიზება. საბჭო ადგენდა სახალხო კრების დღის წესრიგს, განიხილავდა ომისა და ზავის, გადაწყვეტილებების პროექტებს, სახელმწიფო ბიუჯეტს, სამხედრო საკითხებს და სხვ. საბჭოს წევრები სახელმწიფო საქმეებით მუდმივად იყვნენ დაკავებულნი.

ათენის მმართველობის სისტემაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა არეოპაგი – უხუცესთა საბჭო, რომელიც ჯერ კიდევ ძვ. წ. IX-VIII სს-დან ფუნქციონირებდა. ის თავდაპირველად უმაღლეს მაკონტროლებელ და სასამართლო ორგანოდ ითვლებოდა. ბულესაგან განსხვავებით, არეოპაგი არისტოკრატიული ორგანო იყო და დაახლოებით 60-70 კაცისაგან შედგებოდა. არეოპაგის წევრებს არ ირჩევდნენ. მის შემადგენლობაში არისტოკრატები შეჰყავდათ კოოპტაციით და ეს მუდმივი იყო. ათენის დემოკრატიის ლიდერებმა არეოპაგის ანულირება ვერ მოახერხეს, მაგრამ მისი უფლებამოსილებანი შეზღუდეს. ძვ. წ. V-IV სს-ში არეოპაგი ჩვეულებრივი სასამართლო ინსტანცია ხდება. მას მხოლოდ განზრახ მკვლელობების, ცეცხლის წაკიდების, რელიგიური ნორმების დარღვევების საქმეების გარჩევა შეუნარჩუნდა. არეოპაგი ასევე ტრადიციული წეს-ჩვეულებების დაცვის პირობებსაც აკონტროლებდა.

ათენის მნიშვნელოვან და, ამავე დროს, ყველაზე დემოკრატიულ ორგანოს წარმოადგენდა ჰელიეია – ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომელიც სოლონმა შექმნა. ძვ. წ. V-IV სს-ში ჰელიეიას როლი და გავლენა პოლისის ცხოვრებაში ძალზე გაიზარდა. ნაფიც მსაჯულთა რაოდენობა ექვსი ათას კაცს შეადგენდა, სასამართლოს წევრად არჩევის უფლება ენიჭებოდა ყველა მოქალაქეს, რომელსაც ოცდაათი წელი შეუსრულდებოდა. ჰელიასტებს უნდა ჰქონოდათ გარკვეული ცხოვრებისეული გამოცდილება და განათლება. სასამართლოს წევრები 10 დიკასტერიებში ნაწილდებოდა. თითოეული დიკასტერია 600 კაცს ითვლიდა. აქედან 500 კაცი სისხლის სამართლის საქმეებს არჩევდა, ხოლო 10 სათადარიგო იყო. სასამართლოს წევრების სიმრავლე მოსამართლეთა მოსყიდვის თავიდან აცილების მიზნით იყო გამოწვეული. მკაცრად ისჯებოდა კორუფციაში მხილებული მოსამართლე. კორუმპირებული მოსამართლენი ჯარიმდებოდნენ ან სიკვდილით ისჯებოდნენ.

განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხები დიკასტერიების გაერთიანებულ სხდომებზე განიხილებოდა. ჰელიაეია ათენის უზენაესი სასამართლო ორგანო იყო და ამიტომ ის ფართო უფლებამოსილებით სარგებლობდა. სასამართლო საქმეების გარდა ჰელიეიას კომპეტენციაში ათენის დემოკრატიული სისტემის დაცვა შედიოდა. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უნდა დაედგინა „გრაკე პარანომონის" ანუ უკანონობის წინააღმდეგ საჩივრის კანონიერება; ჰელიაეია ასარჩევ საჯარო მოხელეთა დოკიმასიას, შემოწმებასაც აწარმოებდა.

სასამართლოს წევრად მრავალჯერ შეიძლებოდა არჩევა, რაც მოსამართლეთა პროფესიონალიზმსა და კომპეტენტურობას ზრდიდა. ჰელიაეიაში სასამართლო გარჩევები შესაბამის მაგისტრატებთან ერთობლივად წარმოებდა. არქონტი, სტრატეგო-

სი ან სხვა კოლეგიის წევრი ამა თუ იმ დიკასტერიის სხდომებს თავმჯდომარეობდა, რაც პროცედურული საკითხების განხილვას ამარტივებდა და აუმჯობესებდა.

ათენში არ არსებობდა სახელმწიფო ბრალმდებელი და ადვოკატთა ინსტიტუტი. ბრალდება და დაცვა კერძო ხასიათისა იყო. მომჩივანი შესაბამისი მაგისტრატის სახელზე განცხადებას წერდა და ბრალდებული მასთან მიჰყავდა. მაგისტრატი წინასწარ მოკვლევას ატარებდა, შემდეგ საქმეს სასამართლოში გადაგზავნიდა და შესაბამის დიკასტერიაში მისი განხილვისას სხდომას თავმჯდომარეობდა. სასამართლო პროცესი შეჯიბრის სახით ტარდებოდა: ბრალმდებელი დანაშაულის მტკიცებულებებს წარადგენდა, მოპასუხეს ისინი უნდა გაებათილებინა. ბრალმდებლისა და ბრალდებულის მტკიცებულებების მოსმენის შემდეგ ხმის მიცემის პროცედურა იწყებოდა. საქმე ამოწურულად ჩაითვლებოდა, თუ მას ჰელიასტთა 1/3 ხმას მისცემდა. ბრალდებულს ან სასჯელი მოეხსნებოდა, ანდა დაისჯებოდა. სასამართლო დამნაშავეს უსჯიდა პატიმრობას, ფულად ჯარიმას, ქონების კონფისკაციას. განსაკუთრებით მკაცრ სასჯელად ითვლებოდა გაძევება, მოქალაქის უფლების ჩამორთმევა და სიკვდილით დასჯა.

სასამართლო პროცესის ოპტიმალური პროცედურა, მოსამართლეთა მაღალი პროფესიონალიზმი და ანტიკორუფციული მექანიზმების მდგრადობა ათენის სასამართლო სისტემას სტაბილურსა და დემოკრატიის ეფექტურ ორგანოდ ხდიდა. ძველ ავტორთა ცნობებში ოდნავი მინიშნებაც კი არ არის, რომ ჰელიაეიას რაიმე არაობიექტური განაჩენი გამოეტანოს. პირიქით, ანტიდემოკრატებიც კი ერთხმად აღიარებდნენ ათენელი მოსამართლეების ობიექტურობასა და მათ კომპეტენტურობას. შეიძლება ითქვას, რომ ანალოგიური სახის სასამართლო არც ერთ ეპოქაში არ არსებულა, რაც, სხვა მხრივ, ათენური დემოკრატიის სრულყოფილებისა და რაფინირების მიმანიშნებელია.

ათენის პოლისის მართვაში მნიშვნელოვან და ზოგჯერ გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ ისეთი გავლენიანი პოლიტიკური ლიდერები, როგორებიც სოლონი, კლისთენე, პისისტრატე, თემისტოკლე, ეფიალტე, კიმონი, პერიკლე და სხვ. იყვნენ, რომლებიც მართვის თავისებური სტილით გამოირჩეოდნენ. ასე მაგალითად, სოლონმა, როგორც აღინიშნა, სახელმწიფო მართვის თითქმის ყველა სფერო გააუმჯობესა და ოპტიმალური გახადა; კლისთენემ მართვის დემოკრატიული სტილი აირჩია, ხოლო პისისტრატემ – ავტოკრატიული; ათენის ზოგიერთი გავლენიანი პოლიტიკოსი დემოსის მიმხრობისათვის მათ გარკვეულ შეღავათებს უწესებდა. პლუტარქეს ცნობით, კიმონი „ხელმოკლე ათენელებს ყოველდღიურად სადილზე იწვევდა, მოხუცებს აცმევდა, თავის ადგილ-მამულებს ღობეები დახსნა, რათა იქაური ნაყოფი ყოველ მსურველს მოენია“ (პერიკლე, 9), ხოლო კიმონის ახლობელი თუკიდიდე ალეპოკელი „კიმონივით ომის მოყვარული არ იყო; უპირატესად თავყრილობასა და პოლიტიკურ საქმიანობას ეტანებოდა“ (პერიკლე, 11).

დიდი სტრატეგოსი თემისტოკლე კი მიზანმიმართულად ანგრევდა ტრადიციულ წეს-ჩვეულებებს და პანელინიზმს აღიარებდა. ამგვარ პოლიტიკას მხარს არ უჭერდა არისტიდე და კონსერვატიული ძალები, თუმცა მათ მალე პოზიცია შეცვალეს და თემისტოკლეს საზღვაო პროგრამა მოინონეს.

ათენის დემოკრატიის გამოჩენილმა ლიდერმა და მისმა პირველმა სტრატეგოსმა პერიკლემ, რომლის მმართველობა თუკიდიდეს ავტოკრატიულად მიაჩნდა, ათენის მართვის სისტემის დემოკრატიზაციის პროცესი დაასრულა. სწორედ მან პირველმა

ათენში დაანესა „თეორიკა“, „თეორიკონი“ და „მისტოფორიები“ – ჯამაგირის სისტემა, რამაც ათენის დემოკრატიის გახანგრძლივებასა და მის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თუ არა „თეორიკონი“ და „მისტოფორიები“ ათენური დემოკრატიის სიცოცხლისუნარიანობა ხანმოკლე იქნებოდა. ჭეშმარიტი დემოკრატი პერიკლე ზოგჯერ „პური და სანახაობის“ მეთოდსაც მიმართავდა. პლუტარქეს ცნობით პერიკლე „გამუდმებით მართავდა პოლისში რაიმე საყოველთაო სანახაობას ან ლხინს, ანდა საზეიმო სვლას და მოქალაქეებს საამო ხელოვნებას აჩვევდა“ (პერიკლე, 11). ასე რომ, სწორედ აღნიშნული პოლიტიკური ლიდერების ძალისხმევით, ძვ. წ. V-IV სს-ში ათენი ბერძნული სამყაროს დემოკრატიის ფლაგმანი გახდა.

2. სპარტის მართვის სისტემა

დიამეტრულად განსხვავებული იყო სპარტის მართვის სისტემა, რომელიც სამხედრო ორგანიზაციის შესაბამისად იყო მოწყობილი. სპარტის სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა სახალხო კრება – „აპელა“. მის მუშაობაში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ სპარტის სრულუფლებიან მოქალაქე სპარტელებს. სახალხო კრება განიხილავდა და წყვეტდა ომის, ზავის თუ სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობის საკითხებს. ის ირჩევდა თანამდებობის პირებს და სამეთაურო კორპუსის შემადგენლობასაც ამტკიცებდა. მაგრამ სახელმწიფო ორგანოების სისტემაში ათენურ ეკლესიასთან შედარებით ის უმნიშვნელო როლს ასრულებდა, ვინაიდან საკანონმდებლო ინციატივის დაყენება არ შეეძლო.

რეალურ სახელისუფლებო ბერკეტებს ფლობდა „გერუსია“, უხუცესთა საბჭო, რომელშიც შედიოდა 60 წელს გადაცილებული 28 სპარტიატი და ორი 30 წელს გადაცილებული მეფე. გერუსიის სხდომები ყოველდღიურად იმართებოდა. ის ფართო უფლებამოსილებით იყო აღჭურვილი: გერუსია სამხედრო, საფინანსო და სასამართლო ორგანოებს განაგებდა. მას უფლება ჰქონდა აპელას მიერ მიღებულ დადგენილებებზე ვეტო დაედო, მოქალაქეები გაეძევებინა, სიკვდილით დაესაჯა ან მოქალაქეობის უფლებები ჩამოერთვა. გერუსიას შეეძლო სისხლის სამართლის საქმე მეფეებზეც კი აღეძრა. ყოვლისშემძლე ეფორატი ვალდებული იყო გერონტებისათვის ანგარიში ჩაებარებინა. ასე რომ, პრაქტიკულად სახელმწიფო მართვის სადავეები გერონტებს ეკავათ ან მათ კონტროლს ექვემდებარებოდა.

სპარტის მართვის სისტემაში ერთ-ერთი გავლენიანი და ავტორიტეტული მეფეთა ინსტიტუტი იყო. სპარტას განაგებდა ორი მეფე აგიადებისა და ევრიპონტიდების დინასტიიდან. სპარტანელი მეფეები უმაღლეს, ერთპიროვნულ ხელისუფლებად არ ითვლებოდნენ, ხოლო სპარტანული სახელმწიფოებრივი წყობა მონარქიას არ წარმოადგენდა. ორივე მეფე თანასწორუფლებიანი იყო. მონარქებისაგან განსხვავებით, სპარტანელი მეფეები აპელასა და გერუსიას ემორჩილებოდნენ, მაგრამ ისინი ეფორთა კოლეგიის მკაცრი და ყოველდღიური კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ. მიუხედავად ამისა, მეფეები საკმაოდ მნიშვნელოვან სახელისუფლებო ბერკეტებს ფლობდნენ. ომის დროს ისინი იყვნენ უმაღლესი მთავარსარდლები, ხოლო მშვიდობიანობის პერი-

ოდში ქურუმები და მსაჯულები, მაგრამ ისინი იყვნენ გერუსიის წევრები და, ამდენად, სახელმწიფო მართვაში რეალურად მონაწილეობდნენ.

მეფეებთან მუდმივად იმყოფებოდა მხევალთა კასტა, რომელიც მათ პოლიტიკურ პრესტიჟს იცავდა. მეფეს თან ახლდა ორი პითიასი, რომლებსაც ის დელფოსის ორაკულთან აგზავნიდა. მეფეები მიწების დიდ ნადელებს ფლობდნენ და ქსენოფონტის სიტყვით „პერიეკების ქალაქში მეფეებს უფლება ჰქონდათ ერცელი მინის ფართობი მიესაკუთრებიათ". საზოგადოებრივ ტრაპეზებზე მეფეებს საპატიო ადგილს უთმობდნენ, გარკვეულ დღეებში ისინი საქონელს, ღვინისა და ფქვილის სახით ორმაგ ულუფას იღებდნენ. მეფეები ნიშნავდნენ პროქსენებს, ობლად დარჩენილ ქალიშვილებს აქორწინებდნენ. გარდაცვლილ მეფეებს საზოგადოება დიდ პატივს მიაგებდა. რაც შეეხება გარდაცვლილი მეფის პატივგებას, წერდა ქსენოფონტი, ლიკურგოსის კანონებიდან ჩანს, რომ ლაკედემონელ მეფეებს გმირებად მოიხსენიებდნენ. ცხადია, სპარტელ მეფეთა ამგვარი მდგომარეობის გამო, პოლისში სამეფო ხელისუფლების ნამდვილ მონარქიაში გადაზრდის რეალური საფრთხე მუდმივად იარსებებდა. აი რატომ იყო, რომ სპარტელ მეფეებს განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდნენ.

სპარტის სახელისუფლებო იერარქიაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ეფორატების კოლეგია, რომელიც ხუთი წევრისაგან შედგებოდა და მათ ერთი წლის ვადით ირჩევდნენ. ეფორთა კოლეგია ძვ. წ. VIII-VII სს-დან ფუნქციონირებდა. ძვ. წ. VI ს-ის მეორე ნახევრიდან ის გავლენიანი და ავტორიტეტული ორგანო ხდება. არისტოტელეს მინიშნებით ეფორები ტირანულ, ერთპიროვნულ ძალაუფლებას ფლობდნენ (Pol; II, 38, 2). ეფორთა კოლეგია კონტროლს უწევდა სახელმწიფოს ფუნქციონირების ყველა მხარეს, ქვეყნის კონსტიტუციის დაცვას. მას უფლება ჰქონდა მეფეთა საქმიანობაც გაეკონტროლებინა. ორი ეფორი სპარტის მეფეებს ლაშქრობის დროს მუდამ თან ახლდა; ისინი ცდილობდნენ მეფეთა შორის უთანხმოება ჩამოეგდოთ, რათა მათ ერთმანეთი გაეკონტროლებინათ. ეფორთა მთავარ ამოცანას პოლიტიკური გადაწყვეტილების შესრულება წარმოადგენდა და ისინი სპარტანულ პოლიტიკაზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენდნენ, ვინაიდან კოლეგიის წევრები ყოველწლიურად იცვლებოდნენ. ეფორებს, მართალია, ერთი წლით ირჩევდნენ, მაგრამ ყოფილი ეფორები გერუსიის წევრები ხდებოდნენ. გერუსია და ეფორატი პოლისის სახელისუფლო ორგანოები იყო. ასე რომ, ისინი თავიანთ გავლენას საბოლოოდ მაინც არ კარგავდნენ. გარდა ამისა, ეფორებს თავიანთი მემკვიდრეებისათვის ანგარიში უნდა ჩაებარებინათ, რაც მათ პოლიტიკურ ავტორიტეტს უნარჩუნებდა. ვფიქრობთ, ეფორატი სპარტის საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის განსაზღვრაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა, რაც ზოგჯერ სამეფო ხელისუფლებასთან კონფლიქტს ინვევდა.

ძველი ავტორების ცნობებით, სამეფო ხელისუფლებასა და ეფორატს შორის კონფრონტაციას სპარტის ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში ჰქონდა ადგილი. ერთ-ერთი ასეთი კონფლიქტი ჯერ კიდევ ძვ. წ. VI ს-ის შუა ხანებში მომხდარა, როდესაც ეფორატი, მემკვიდრის საბაბით, მეფე ანაქსანდრიდესს დაუპირისპირდა (Herod., V, 39). ეფორები აიძულებდნენ ანაქსანდრიდესს მეორე ცოლი შეერთო, რადგანაც მას პირველი ცოლისგან შვილები არ ჰყავდა. ეფორებს სურდათ მეორე ცოლად ანაქსანდრიდესს ეფორი ხილონის ქალიშვილი შეერთო, რადგანაც მეფე მათი მორჩილი იქნებოდა, მაგრამ ანაქსანდრიდესი ეფორთა შორსმიმავალი მიზნების არსში ჩაწვდა და მათი წინადადება არ მიიღო. მაშინ ეფორები და გერონტები, როგორც ჰეროდოტე

გადმოგვცემს, მეფეს დაემუქრნენ და აიძულეს ის მათ დამორჩილებოდა, თუმცა ეფორ-გერონტთა ერთობლივმა საბჭომ კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღო: ანაქსანდრიდესს ნება დართეს ორი ცოლი ყოლოდა და ორი სახლი ჰქონოდა. მეორე ქორწინებიდან მას ერთადერთი შვილი კლეომენესი ეყოლა, ხოლო მალე პირველმა ცოლმა ზედიზედ სამი შვილი გააჩინა: დორიევსი, ლეონიდესი და კლეომროტოსი (Herod., V, 41). ანაქსანდრიდესის გარდაცვალების შემდეგ, ლაკედემონელებმა მეფედ აკურთხეს ეფორთა რჩეული კლეომენესი, რაც სპარტის საშინაო პოლიტიკაზე ეფორების გავლენის ზრდის მაჩვენებელია.

ეფორების გავლენა სპარტის საგარეო პოლიტიკური კურსის ორიენტაციაზეც შეინიშნება. ძვ. წ. VII-VI სს-ის მიჯნაზე სპარტის საგარეო პოლიტიკას თუ მეფეები განკარგავდნენ და ქვეყანასაც აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური კონტაქტები აკავშირებდა, უკვე ძვ. წ. VI ს-ის შუა ხანებიდან ეფორატის გაძლიერებისა და, შესაბამისად, საგარეო პოლიტიკის სფეროში მისი აქტიური ჩარევის შედეგად სპარტის აღმოსავლური პოლიტიკა მკვეთრად შეიცვალა. ამიერიდან სპარტამ აღმოსავლეთ ეგეიდაზე ყოველგვარი ინტერესი დაკარგა და მხოლოდ პელოპონესში პოზიციების განმტკიცებით შემოიფარგლა, რასაც ეფორატი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

სამეფო ხელისუფლებასა და ეფორთა კოლეგიას შორის კონფრონტაციას ადგილი ჰქონდა ასევე ძვ. წ. IV-III სს-ის მიჯნაზე, როდესაც მეფე პავსანიასი, არისტოტელეს ცნობით, შეეცადა ეფორიის გაუქმებას (Pol., V, I, 1301b), მაგრამ პავსანიასმა ეს ვერ მოახერხა.

სპარტის მართვის სისტემაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა სამხედრო ელემენტი, ვინაიდან სპარტანული სოციუმი მილიტარიზებული იყო.

მეომარი სპარტიატების თავყრილობას აპელა წარმოადგენდა. მრავალრიცხოვანი სამეთაურო კორპუსი ოპტიმალურად იყო ორგანიზებული და სპარტის პოლიტიკურ ცხოვრებაზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენდა. ერთ-ერთ უმაღლეს მაგისტრატად ნავარქოსის თანამდებობა ითვლებოდა. ის სპარტის ფლოტს მეთაურობდა. ნავარქოსის თანამდებობა მუდმივი არ იყო. არისტოტელე ნავარქოსს მეორე მეფეს უწოდებდა და სპარტელი მეფეების კონკურენტად მიაჩნდა. აღსანიშნავია, რომ ისევე როგორც მეფეები, ასევე ნავარქოსებიც ეფორატების კონტროლქვეშ იმყოფებოდნენ. მაგალითად, ლისანდრე, პლუტარქეს სიტყვით, „ბერძენთა შორის ძლევამოსილი სარდალი, მთელი საბერძნეთის გამგებელი, ეფორთა მითითებებს ზედმიწევნით ასრულებდა“ (Lysandres. X).

სპარტის სახმელეთო არმიის სამეთაურო კორპუსი მრავალრიცხოვანი იყო. მის შემადგენლობაში შედიოდა ქვედანაყოფების მეთაურები: პოლემარხოსები, რომლებიც მორებს, 500-900 კაციან სამხედრო შენაერთებს მეთაურობდნენ, ლოხაგოსები, 150-200 მეომრისაგან დაკომპლექტებული ლოხოსების მეთაურები, პენტეკოსტეროსები 25-30 ენომატიების სარდლები. პოლემარხოსები მეფის მხევალნი და მისი სამხედრო საბჭოს წევრები იყვნენ. ისინი მეფესთან ერთად სადილობდნენ და მსხვერპლშეწირვასაც ესწრებოდნენ. მეფის მხევლებად ითვლებოდნენ ასევე რჩეული მეომრებიც, რომლებიც ადიუტანტების ფუნქციას ასრულებდნენ. მეფის მხევლებს წარმოადგენდნენ აგრეთვე მკითხავები, ექიმები, ფლეიტისტები.

მეფეს არმიის მართვაში დახმარებას უწევდნენ სპეციალური თანამდებობის პირები: ელანოდიკოსები – მოსამართლენი, ლაფიროპოლები, რომლებიც ალაფს ანაწილებდნენ, სამხედრო ფინანსებს განსაკუთრებული ხაზინადარი განაგებდა, მეფის სიცოცხლის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა 300 კაციანი მხედართა რაზმი. მრავალრიცხოვან სამეთაურო კორპუსს აპელაში ირჩევდნენ მეფის წარდგინებით. სპარტელ მხედართმთავართა შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავათ ჰარმისტასებს – ლაკონიკისა და ახლომდებარე კუნძულების გარნიზონების მეთაურებს.

სპარტის პოლისური მართვის სისტემა მთლიანობაში სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების სიმბიოზს წარმოადგენდა, სადაც სპარტანელ ოლიგარქოსებს აბალანსებდა სამხედრო-სამეთაურო კორპუსი მეფეების მეთაურობით, რომლებსაც გერუსია და ეფორატი ანგარიშს უწევდა.

უჩვეულო იყო სპარტანული ადმინისტრაციის მართვის სტილი და, საერთოდ, სახელმწიფო პოლიტიკაც: ხელისუფლება ექსპორტ-იმპორტს კრძალავდა. სპარტიატებისათვის ხელოსნობა სამარცხვინო საქმედ ითვლებოდა. ამით მხოლოდ პერიეკები უნდა ყოფილიყვნენ დაკავებულნი. სპარტის კანონმდებლის ლიკურგოსის კანონებით იკრძალებოდა ფუფუნების საგნების შეძენა, სრულასაკოვან მამაკაცებს საერთო სასადილოში – სისისტიაში უნდა ესადილათ, ერთნაირი ტანსაცმელი ჩაეცვათ. ამით სახელმწიფომ ჩაკლა თავის მოქალაქეებში ყოველგვარი სწრაფვა ინდივიდუალური გამდიდრებისაკენ და სპარტელთა ყურადღება კონსოლიდაციასა და მათი სიქველის სულისკვეთებით აღზრდაზე გადაიტანა. ამგვარმა პოლიტიკამ სპარტა პიროვნულობის სრულ უგულებელყოფამდე, მოქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაზე პოლისის განუსაზღვრელი კონტროლისა და მისი აპარატის ფუნქციონირებაზე, მოქალაქეთა მუდმივი მეთვალყურეობის დაწესებამდე მიიყვანა.

ელინისტურ ეპოქაში სპარტის, ათენისა და, საერთოდ, მთელ ელინურ სამყაროში პოლისური მართვის სისტემა, მისი პრინციპები არსებითად შეიცვალა. პოლისმა უწინდელი პრინციპები – ელევთერია (პოლიტიკური დამოუკიდებლობა), ავტონომია (თვითმმართველობა), ავტარკია (ეკონომიკური დამოუკიდებლობა) დაკარგა და ელინისტური სახელმწიფოების მონარქებს დაექვემდებარა. მაგრამ პოლისური მართვის სისტემა ტრადიციული კონტინუიტეტის ძირითად ელემენტებს მაინც ინარჩუნებდა. ასევე კვლავინდებურად ფუნქციონირებდა სახალხო კრება, ბულე, ეფორებისა თუ არქონტთა კოლეგია, მაგრამ ამ ორგანოების სამოხელეო აპარატს თავიანთი ქმედებები სამეფო ადმინისტრაციასთან უნდა შეეთანხმებინა. ამიერიდან პოლისს აღარ შეეძლო მოქალაქეთა უფლებების დაცვაზე ეზრუნა, მათი კეთილდღეობა უზრუნველეყო. პოლისის მოქალაქე ინდივიდუალისტი გახდა და პირად საქმეებს სამეფო ადმინისტრაციასთან აგვარებდა, თუმცა პოლისური მართვის ფორმები ელინისტურ ეპოქაშიც უცვლელი რჩებოდა. ისინი გარკვეული სახით ელინისტურმა სახელმწიფოებმაც შეინარჩუნეს, მაგრამ მათი მართვის ორგანიზაცია პოლისური და აღმოსავლური დესპოტიის ელემენტების სიმბიოზს წარმოადგენდა. ამის თვალსაჩინო ილუსტრაციაა პტოლემაიოსების ეგვიპტისა და სელევკიდების სახელმწიფოს მართვის სისტემები.

პტოლემაიოსების ეგვიპტის სახელმწიფოს მეთაური მეფე იყო, რომელსაც ძველი ეგვიპტის ფარაონების მსგავსად აღმერთებდნენ. მეფე მთელი მიწების მესაკუთრე და სიმდიდრის განმკარგულებელი იყო. ის განუსაზღვრელ ძალაუფლებას ფლობდა და უმაღლეს მსაჯულად ითვლებოდა.

პტოლეომაიოსებმა არა მარტო შეინარჩუნეს ტრადიციული სახელმწიფო აპარატი, არამედ ის გაზარდეს კიდეც. მეფის უახლოეს გარემოცვას შეადგენდნენ მისი ნათესავები და მეგობრები, რომლებიც რანგებად იყოფოდნენ. მათი წრიდან ინიშნებოდნენ ცენტრალური უწყებების ხელძღვანელები, მთავარსარდლები. განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო საფინანსო უწყება, რომელიც სხვადასხვა პროფილის მოხელეებისაგან შედგებოდა. საფინანსო უწყებას დიოიკეტესი – უმაღლესი ხაზინადარი განაგებდა. ცენტრალური მართვის აპარატის მაღალი თანამდებობები ბერძენ-მაკედონელებს ეკავათ.

საოლქო მოხელეების შტატი განაგებდა ნომებს, რომლებიც ეგვიპტის მსხვილ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს წარმოადგენდა. ნომების სათავეში იდგნენ სტრატეგოსები, რომლებიც სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებს ახორციელებდნენ და ნომარქოსები, რომლებიც სამოქალაქო საქმეებს განაგებდნენ. საოლქო მართვის სისტემაში მნიშვნელოვანი იყო სანომო ფინანსების განმკარგულებელი – ეკონომი და მეფის მწერალი, რომლებიც სტრატეგოსებისა და ნომარქოსების თანაშემწეები იყვნენ. ნომები, თავის მხრივ, მცირე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად – ტოპებად (რეგიონებად) და კომებად (სოფლებად) იყოფა. მათ ხელმძღვანელობდნენ დაბალი რანგის მოხელეები, რომლებიც ზემდგომი ორგანოების ინსტრუქციების შემსრულებლები იყვნენ. ბერძნული ტიპის ქალაქებში – ნავკრატისში, პტოლემაიდასა და ალექსანდრიაში მართვის ზოგიერთი არჩევითი ორგანოები (კულტის ორგანიზაციისათვის, გიმნასიონების მართვისათვის, სამოქალაქო სასამართლო პროცედურების განხილვისათვის და სხვ.) არსებობდა, რაც დესპოტურ სახელმწიფოში უმთავრეს პრივილეგიად ითვლებოდა. პტოლემაიოსებს არც შეუქმნიათ სახელისუფლებო აპარატის ისეთი შტოები, როგორიც საკუთრივ ეგვიპტეში იყო. ისინი აქ აგზავნიდნენ კომისრებს, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აკონტროლებდნენ.

პტოლემაიოსების სახელმწიფო ჩვეულებრივი ძველეგვიპტური დესპოტიის ტიპის ქვეყნად მაინც არ ჩაითვლება. ეგვიპტური ტრადიციული ნორმების შენარჩუნებასთან ერთად, პტოლეომაიოსები ეგვიპტეში ფართოდ ნერგავდნენ ბერძნულ სამართლებრივ პრინციპებს, აშენებდნენ მრავალრიცხოვან გიმნასიონებს, სადაც მკვიდრი ელინები თავიანთ ბავშვებს ბერძნული ტრადიციებით ზრდიდნენ.

ეგვიპტის სამფლობელოებში პტოლემაიოსები ბერძნული ტიპის მრავალრიცხოვან ქალაქებს აარსებდნენ და მათ თვითმმართველობას უნარჩუნებდნენ. ასე რომ, პტოლემაიოსები პოლისური ტრადიციების ერთგულნი რჩებოდნენ და მათ შენარჩუნებაზე განსაკუთრებით ზრუნავდნენ.

რაც შეეხება სელევკიდების სახელმწიფოს, მისი მეთაური იყო მეფე. იგი ქვეყანას შეუზღუდავად, აბსოლუტურად განაგებდა. ის ითვლებოდა არა მარტო სამოქალაქო ადმინისტრაციის მეთაურად, არამედ არმიის მთავარსარდლად და უმაღლეს მოსამართლედ. სელევკიდების დინასტიის ფუძემდებლის – სელევკოს I-ის აზრით, ყოველთვის სიმართლეა ის, რაც მეფემ დაადგინა. სელევკიდების დინასტიის სამეფო ხელისუფლებას ჰქონდა შემდეგი სამართლებრივი უფლებები: 1. დაპყრობის უფლება, 2. ხელისუფლების მემკვიდრეობითი დაცვის პრინციპი. სელევკიდების მეფეებს აღმერთებდნენ. მათი ღვთაებრიობის ორი ფორმა არსებობდა: პირველი, ძველ ბერძნულ ქალაქებს უფლება ჰქონდათ მეფეები, „ნებაყოფლობითი“ წესით, ღმერთებად

ელიარებინათ; მეორე, სახელმწიფოს დანარჩენ ტერიტორიაზე სამეფო კულტი ადმინისტრაციული წესით ინერგებოდა. ანტიოქოს III დროიდან მეფის მეუღლესაც აღმერთებდნენ. მეფეები მოიხსენიებოდნენ ეპითეტებით: „სოტერი“ (მხსნელი), დიკაიოსი (სამართლიანი), ევერგეტი (კეთილმოყვარე) და სხვა; რაც მათ ღვთაებრიობაზე მიუთითებდა.

სელევკიდების სახელმწიფოში არსებობდა საკმაოდ განვითარებული ბიუროკრატიული სისტემა, თუმცა ის ეგვიპტისაგან განსხვავებით ნაკლებად მასშტაბური იყო. გიგანტურ სახელმწიფოში შეუძლებელი იყო ყოვლისმომცველი ადმინისტრაციული კონტროლის განხორციელება. მთელი რიგი ადგილობრივი პოლიტიკური წარმონაქმნები (ცალკეული ტომები, ბერძნული პოლისები, სატაძრო თემები) საშინაო საქმეებში ფართო ავტონომიით სარგებლობდა.

სახელმწიფოს უმაღლეს მოხელედ ითვლებოდა „საქმის მწარმოებელი“, პრემიერ-მინისტრის მსგავსი, რომელიც სამეფო კანცელარიას განაგებდა. იგი ასევე საფინანსო და საგადასახადო კონტროლიორი იყო. მეფის უახლოეს გარემოცვას შეადგენდნენ „ნათესავები“ და „მეგობრები“. ეს ტერმინები პირდაპირი მნიშვნელობით კი არ უნდა გვესმოდეს, არამედ სამეფო კარის ტიტულებს წარმოადგენდა. „მეგობრები“, თავის მხრივ, იყოფოდნენ უბრალოდ „მეგობრებად“, „საპატიო სტუმრებად“, „პირველ და ყველაზე საპატიო მეგობრებად“. სწორედ „ნათესავებისა“ და „მეგობრების“ წრიდან ნიშნავდა მეფე ცენტრალური და ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელებს, ასევე არმიის მეთაურებსაც. სელევკიდების სამეფო სატრაპიებად იყო დაყოფილი და, აპიანეს გადმოცემით, სატრაპიების რაოდენობა 72 აღწევდა. აქემენიდებისა და ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის სატრაპიებთან შედარებით სელევკიდების სატრაპიების ფართობი მცირე იყო. სატრაპიები თავის მხრივ ეპარქიებად, ხოლო ეს უკანასკნელი ჰიპარქიებად იყოფოდა. სატრაპი, ანტიოქოს III ადმინისტრაციული რეფორმის შემდეგ, სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფალი იყო. საფინანსო უწყება დამოუკიდებელი იყო და მისი მოხელეები სატრაპებს არ ემორჩილებოდნენ. ისინი უშუალოდ სამეფო ხელისუფლებას ექვემდებარებოდნენ. სახელმწიფოს ეფექტურად მართვისათვის შეიქმნა ნაცვალთა ინსტიტუტი. ნაცვლები განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდნენ. ზოგჯერ მათ თანამმართველობისა და მეფის ტიტულის ტარების უფლება ჰქონდათ. ნაცვალთა ინსტიტუტს ნეგატიური შედეგები ახლდა და ზოგჯერ სეპარატისტულ ტენდენციებს ამჟღავნებდა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა არმიის მართვას. მისი რაოდენობა 60-62 ათას ქვეითსა და 4-5 ათას კავალერიას ითვლიდა. არმიის ხერხემალს წარმოადგენდა ფალანგა, რომელშიც ბერძენ-მაკედონელები მსახურობდნენ. ფალანგის ნაწილს შეადგენდა ქვეითი გვარდია, ე.წ. არგიროსპიდენი (ე. ი. ვერცხლის ფარებიანი მეომრები), რომლებიც კარგად გაწრთვნილ და ბრძოლისუნარიან სამხედრო შენაერთებს წარმოადგენდნენ. ლაშქრობების დროს ისინი ავანგარდში იდგნენ. სწორედ მათი წრიდან ინიშნებოდნენ სელევკიდების არმიის უმაღლესი სამეთაურო კორპუსის მეთაურები. კავალერიის ძირითად ნაწილს შეადგენდნენ კატაფრაკტარები, მძიმედ აღჭურვილი მეომრები, ზოგჯერ ცხენებსაც ჯავშნით ფარავდნენ. კავალერიის შემადგენლობაში ჩართული იყო გვარდიის ნაწილი – აგემები. მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საბრძოლო სპილოები. არმიის ძირითად ბირთვს შეადგენდნენ ბერძენ-მაკედონელები, რომლებიც სამხედრო კოლონიებში – კატოიკიებსა და პოლისებში სახ-

ლობდნენ. პტოლემაიოსების ეგვიპტისაგან განსხვავებით სელევკიდების არმიაში უმნიშვნელო როლს ასრულებდნენ მოქირავნეები და მკვიდრი მოსახლეობა.

სელევკიდების სახელმწიფოს ძირითადი სამხედრო ცენტრი იყო ქალაქი აპამეა ჩრდილოეთ სირიაში. აქ დაბანაკებული იყო არმიის მნიშვნელოვანი სამხედრო შენაერთები, აქვე იყო სამხედრო სკოლები, სადაც ახალწვეულებს ასწავლიდნენ. სამხედრო ფლოტი შედარებით უმნიშვნელო როლს ასრულებდა. მისი ძირითადი საბაზო ადგილი სელევკია იყო.

ამრიგად, შედარებით უფრო სრულყოფილი და გამართული ჩანს ათენის მართვის სისტემა, ვიდრე სპარტისა, რომელსაც ამ მხრივ მთელი მისი არსებობის მანძილზე რაიმე ცვლილებები არ განუცდია, მაგრამ, ზოგადად, პოლისური მართვის სისტემა ქაოტური და რუდიმენტული იყო. პოლისური ადმინისტრაცია დემოსისაგან გამიჯნული არ ყოფილა. სახელმწიფო სამსახური არაკვალიფიციური კადრებით იყო დაკომპლექტებული, მართვის იერარქიულ სისტემაში მკვეთრი დეფინიცია არ შეინიშნებოდა. პოლისის ადმინისტრატორები სასამართლო, ადმინისტრაციულ და ზოგჯერ სამხედრო ხელისუფლებასაც ერთდროულად ითავსებდნენ. საქალაქო თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციაც არ ჩანს გამიჯნული; სახელმწიფო აპარატის ფუნქცია ძირითადად საზოგადოებრივი წესრიგის დაცვით და გადასახადების ამოღებით შემოიფარგლებოდა.

VIII. პოლისური კონტაქტები

ბერძნული პოლისი დახურულ, ჩაკეტილ სივრცეს წარმოადგენდა. თითოეული პოლისი თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა, თითოეულ მათგანს სპეციფიკური ცხოვრების წესი ჰქონდა. მათ შორის ხშირი იყო კონფრონტაცია, რომელიც მეტწილად სამხედრო კონფლიქტებში გადადიოდა. დაპირისპირება ძირითადად საზღვრების, სავაჭრო კონკურენციისა თუ განსხვავებული პოლიტიკური მართვის სისტემების არსებობის ინტერესების შეუთავსებლობის გამო ხდებოდა. ასეთი კონფლიქტების სიმპტომები პოლისური სისტემის ფორმირების დროიდანვე შეინიშნება, რის შესახებაც ჯერ კიდევ ჰომეროსი მიანიშნებდა. მის გენიალურ პოემაში „ილიადაში" აღწერილია პილოსისა და ელიდას შორის კონფლიქტური სიტუაციის ეპიზოდები. ტროას ომის გმირი, პილოსის მეფე, ბრძენი მოხუცი ნესტორი თანამებრძოლებს მოუთხრობდა ახალგაზრდობის წლებში გამოჩენილ მამაცობაზე. ნესტორი 20 წლის იყო, როდესაც ის მცირე რაზმით თავს დასხმია მეზობელ ელიდას და იქიდან საქონლის ჯოგი გაუტაცია, ხოლო როდესაც ამის საპასუხოდ ელიდელები პილოსში შეჭრილან, მათი წინამძღოლი ნესტორს მოუკლავს და ელიდური არმიაც ქვეყნიდან გაუძევებია.

წერილობით წყაროებში ამ კონფლიქტების შესახებ არაერთი ფაქტია დადასტურებული. ასე მაგალითად, ძველი ავტორების ცნობებით, მეგარელები სახიფათო კონკურენტებად მიიჩნევდნენ მილეტელებსა და ათენელებს. განსაკუთრებით დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ ათენთან, რადგანაც მათი ტერიტორიები ერთმანეთს ესაზღვრებოდა და ნავსადგურებიც ერთ ყურეში იყო განლაგებული; მტრული ურთიერთობა ჰქონდათ მეგარელებს კორინთელებთან, რომლებიც მათ სამხრეთიდან ემეზობლებოდნენ. კორინთელები იბრძოდნენ კორინთოს ყურეში ნავსადგურების ერთპიროვნული სარგებლობისათვის. მეგარელებიც ამავე ყურეში პორტებს განკარგავდნენ. ასე რომ, მეგარელები ინარჩუნებდნენ საზღვაო გზას, რომელიც დასავლეთის კოლონიებს უკავშირდებოდა, რაც კორინთელებს აღიზიანებდათ.

დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ათენსა და კორინთოს, რომლებიც სიცილიაში გავლენის სფეროების მოპოვებისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ. განსაკუთრებით მწვავე და მუდამ მტრული ურთიერთობა აკავშირებდა ათენსა და სპარტას, რომლებიც ბერძნულ სამყაროში ჰეგემონიისათვის ერთმანეთს ებრძოდნენ. მოგვიანებით ეს მარადიული კონფლიქტი ძვ. წ. V-ს-ის 30-იან წლებში დიდ ომში, ე.წ. „პელოპონესის ომში" გადაიზარდა.

პ ე ლ ო პ ო ნ ე ს ი ს ო მ ი. ეს ომი თავისი მასშტაბებით უნიკალური იყო. ამ ომში თითქმის მთელი ბერძნული სამყარო ჩაერთო. დიდი ბერძენი ისტორიკოსი თუკიდიდე ამ უჩვეულო და უცნაური ომის მიზეზად ათენის გაძლიერებას ასახელებდა. „ნამდვილი მიზეზი, თუმცა სიტყვით ყველაზე უფრო მეტად დაფარული, წერდა თუკიდიდე, იმაში მდგომარეობს, ჩემი აზრით, რომ ათენელებმა თავისი გაძლიერებით ლაკედემონელებში შიში აღძრეს და ამით აიძულეს ისინი დაეწყოთ ომი" (Hist., I, 23, 5).

პელოპონესის ომის მიზეზის თუკიდიდესეული განმარტება ზოგადად მართებულია, მაგრამ კონკრეტულად ის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მიზეზებით იყო გამოწვეული. ეკონომიკურ სფეროში ათენისა და მისი მოკავშირე პოლისების

ზრუნვის საგანს წარმოადგენდა წარმოების ინტენსიფიკაცია, სასაქონლო მეურნეობა, ვაჭრობის განვითარება, ხოლო სპარტა და მისი მოკავშირე პოლისები კი პირიქით, სოფლის მეურნეობაში ნატურალურ წარმოებაზე იყო ორიენტირებული. ეკონომიკის ინტენსიფიკაციით დაინტერესებულნი იყვნენ მემამულეები და მდიდარი მრენველები, რომლებიც ათენის საზღვაო კავშირებიდან სარგებელს იღებდნენ მაშინ, როცა კონსერვატიული აგრარული წრეები, რომლებიც ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებით შემოიფარგლებოდნენ, მხარს უჭერდნენ პელოპონესის კავშირს და სპარტას.

ათენსა და სპარტას შორის დაპირისპირება განსაკუთრებით მწვავე იყო პოლიტიკურ სფეროში, რაც მათი განსხვავებული მმართველობის ფორმებმა განაპირობეს. ათენი ელადის დემოკრატიის ფლაგმანად ითვლებოდა, ხოლო სპარტა ტიპურ ოლიგარქიულ პოლისს წარმოადგენდა.

ძვ. წ. V ს-ის მეორე ნახევარში ათენის დაუძინებელი და შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყო კორინთო, რაც ამ ორ მეგაპოლისთა შორის მწვავე სავაჭრო კონკურენციის მოტივით აიხსნება. კორინთო ბალკანეთის საბერძნეთის მსხვილ სავაჭრო-სამრეწველო ცენტრად ითვლებოდა და ცხოველი ინტერესი გააჩნდა „დიდ საბერძნეთში". აქ კორინთელებს შემოჰქონდათ მრავალრიცხოვანი ხელოსნური ნაწარმი, ხოლო სანაცვლოდ „დიდი საბერძნეთიდან" ძირითადად მარცვლეულს ეზიდებოდნენ. სამხრეთ იტალიისა და სიცილიის დიდი ბაზრის ხელში ჩაგდებით ათენიც დაინტერესდა და ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯებიც გადადგა. კორინთო კატეგორიულად მოითხოვდა ათენის სამხედრო ძალების განადგურებას. კორინთოს ამგვარი მოთხოვნის შესრულებაზე სპარტა თავს იკავებდა, ვინაიდან ათენის ძლიერ შეიარაღებულ ძალებთან ბრძოლა რთული იქნებოდა. მაგრამ, როდესაც კორინთომ პელოპონესის კავშირის დატოვება გადაწყვიტა, მაშინ სპარტა იძულებული გახდა ათენისათვის ომი გამოეცხადებინა.

ძვ. წ. V ს-ის 30 წლების ბოლოს აღნიშნულმა წინააღმდეგობებმა აპოგეას მიაღწია. ამგვარ დაძაბულ სიტუაციაში მცირეოდენი საბაბიც კი საკმარისი იყო, რათა სამხედრო ქმედებები დაწყებულიყო. პელოპონესის ომი სამმა ფაქტორმა დააჩქარა. პირველი ფაქტორი დაკავშირებული იყო ძვ. წ. 435-433 წწ. კერკირასა და ეპიდამნოსში დემოკრატებსა და ოლიგარქოსებს შორის გაჩაღებული სამოქალაქო ომთან. ამ კონფლიქტში კორინთო და მეგარა აქტიურად ჩაერთო, ვინაიდან მეომარმა ჯგუფებმა შესაბამისად როგორც ერთ, ასევე მეორე პოლისს დახმარებისათვის მიმართეს. კორინთო მაშინვე ჩაერთო ეპიდამნოსისა და კერკირას პოლიტიკურ ბრძოლაში, რაც კანონზომიერად აღიქვეს, ვინაიდან ორივე მათგანი კორინთოს კოლონია იყო. ათენის გადაწყვეტილება, რომ მათაც მიეღოთ ამ კონფლიქტში მონაწილეობა კორინთომ და სპარტამ უკანონოდ აღიქვეს.

მეორე საბაბი ე.წ. „მეგარის ფსეფიზმს" უკავშირდება. მეგარა თავიდან ათენის საზღვაო ალიანსში შედიოდა, მაგრამ მან კავშირი დატოვა და ლაკედემონელებს მიემხრო, თუმცა ათენის ალიანსის წევრებთან სავაჭრო ურთიერთობას აგრძელებდა. ძვ. წ. 432 წ. ათენის სახალხო კრებამ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც მეგარელ ვაჭრებს ალიანსის წევრ პოლისებთან ურთიერთობა აეკრძალათ. ამგვარმა სანქციამ მეგარის ეკონომიკა ჩამოშალა. მეგარა ათენის დაუძინებელი მტერი გახდა.

მესამე ფაქტორი კორინთოს მიერ ათენის საზღვაო კავშირიდან პოტიდეას გაყვანის პროვოცირება იყო. კორინთო შეეცადა ქალკიდიკის ნახევარკუძულის პოლისი

პოტიდეა ათენის ალიანსისაგან ჩამოეშორებინა, მაგრამ ათენმა ამ მცდელობის აღსაკვეთად სოლიდური სამხედრო შენაერთები გააგზავნა. დაპირისპირებული მხარეები დარწმუნდნენ, რომ სადავო საკითხები მშვიდობიანად ვერ გადაწყდებოდა. ომი გარდაუვალი გახდა.

ათენი და სპარტა სოლიდურ სამხედრო-ეკონომიკურ პოტენციალს ფლობდნენ: სპარტელთა არმია 60 ათას ჰოპლიტს და 300 ხომალდს ითვლიდა, ხოლო ათენის შეიარაღებული ძალები კარგად აღჭურვილი 400 ტრიერისაგან, 32 ათასი ჰოპლიტისა და 1200 მხედრობისაგან შედგებოდა. მეომარ მხარეებს სამხედრო ქმედებების წარმოების განსხვავებული გეგმები ჰქონდათ. ათენელი სტრატეგოსების გეგმის თანახმად, საომარი ოპერაციები ძირითადად ზღვაზე უნდა განხორციელებულიყო, სპარტელი სარდლების შეხედულებით კი ხმელეთზე.

პელოპონესის ომი ორ პერიოდად იყოფა: პირველი – ე.წ. არხიდამოსის ომი (ძვ. წ. 431-421 წწ.), მეორე – სიცილიის ექსპედიცია და დეკელიის ომი (ძვ. წ. 415-404 წწ.).

ძვ. წ. 431 წლის ზაფხულში პელოპონესის არმია არხიდამოსის სარდლობით ატიკაში შეიჭრა და მისი აოხრება დაიწყო. ისინი ყველაფერს ანადგურებდნენ, რათა ათენელები ბრძოლის ველზე გამოეწვიათ, მაგრამ ამას ვერ მიაღწიეს. არხიდამოსმა ატიკა დატოვა და ბეოტიაში გადავიდა. ერთი წლის შემდეგ სპარტელთა ლაშქრობა განმეორდა. ამჯერად ატიკის რბევა ერთ თვეს გაგრძელდა; ქვეყნის დიდი ნაწილი გაჩანაგდა. მომდევნო წლებში ძვ. წ. 427 წლამდე სპარტელები რეგულარულად არბევდნენ ატიკას. ათენის არმიამ კვლავ ლოდინის პოლიტიკა ამჯობინა. ათენი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ქალაქი ლტოლვილებს ვერ იტევდა, უმრავლესობა ღია ცის ქვეშ ცხოვრობდა. ძვ. წ. 430 წ. ხალხით გადაჭედილ ქალაქში შავმა ჭირმა იფეთქა. ეპიდემია ძვ. წ. 426 წლამდე მძვინვარებდა და მან მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეინირა. პერიკლეც შავი ჭირით გარდაიცვალა.

ათენის მძიმე მდგომარეობით ისარგებლეს სპარტელებმა და ათენის საზღვაო კავშირის დაშლას შეეცადნენ. მათი წაქეზებით პოტიდეამ ალიანსი დატოვა. ათენელებს ლესბოსიც განუდგა. ძვ. წ. 427 წ. ათენელებმა ლესბოსზე 1000 მიტილენელი არისტოკრატი სიკვდილით დასაჯეს. ძვ. წ. 429 წ. ათენელებმა პოტიდეაც დაიკავეს.

ათენში სერიოზული სიძნელეების გადალახვა ომის მომხრეთა და მოწინააღმდეგე პარტიებს შორის მწვავე დაპირისპირების ვითარებაში მიმდინარეობდა. პირველ მათგანს რადიკალური დემორკატიის ლიდერი კლეონი მეთაურობდა, მეორეს ზომიერი დემოკრატი ნიკიასი. სახალხო კრებაზე კლეონის პარტიამ გაიმარჯვა.

ძვ. წ. 426 წლიდან სტრატეგიულ ინიციატივას ათენი დაეუფლა. მან სპარტის წინააღმდეგ აქტიური სამხედრო კამპანია დაიწყო და თვალსაჩინო წარმატებებსაც მიაღწია. ძვ. წ. 425 წ. დემოსთენემ პილოსი დაიკავა. სპარტა შეეცადა პილოსის დაბრუნებას, მაგრამ უშედეგოდ. ძვ. წ. 424 წ. ათენელებმა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი კუნძული კითერა დაიპყრეს. სპარტამ ზავი ითხოვა, მაგრამ ათენმა ის არ მიიღო. ამ დროს სპარტის სარდალმა ბრასიდემ ბრძოლის ახალი გეგმა შეიმუშავა. ამ გეგმის თანახმად, სპარტას ლაშქრობა თრაკიის სანაპიროზე უნდა განეხორციელებინა. ძვ. წ. 424 წ. ბრასიდე შეუდგა დასახული სამოქმედო გეგმის შესრულებას. მან თრაკიის მთავარი ქალაქი ამფიპოლისი დაიკავა და თრაკიის სანაპიროზე სპარტამ პოზიციები განიმტკიცა. ძვ. წ. 422 წ. ათენის ფლოტი კლეონის სარდლობით შეეცადა

ამფიპოლისის დაბრუნებას, მაგრამ დამარცხდა. ბრძოლაში დაიღუპა ორივე სარდალი ბრასიდე და კლეონი.

კლეონის გარდაცვალების შემდეგ ათენის დემოკრატიის მეთაური ხდება ნიკიასი, რომელიც სპარტასთან დაზავების მომხრე იყო. ძვ. წ. 421 წ. სპარტასა და ათენს შორის დაიდო ზავი. ათენის დელეგაციას ხელმძღვანელობდა ნიკიასი. ხელშეკრულება ნიკიასის ზავის სახელწოდებითაა ცნობილი. საზავო პირობების თანახმად, ომამდელი „status quo" აღდგა: ერთმანეთს დაუბრუნეს მიტაცებული ტერიტორიები, სამხედრო ტყვეები. მიუხედავად ამისა, ზავის პირობებით არც ერთი მხარე არ იყო კმაყოფილი. ორივე მათგანი ახალი ომისათვის ემზადებოდა და შესაფერის მომენტს ეძებდა.

ახალი, მეორე ომი ძვ. წ. 415 წ. დაიწყო და მისი ინიციატორი ათენი იყო. მაისის ბოლოს ათენის ფლოტი სიცილიაში სალაშქროდ გამზადებული იყო. ექსპედიციის მეთაურობა ალკიბიადეს, ლამახოსსა და ნიკიასს დაეკისრათ. ათენის ესკადრამ ალყა შემოარტყა სირაკუზას, მაგრამ ის წარუმატებელი აღმოჩნდა. ალყაშემორტყმული პოლისის დასახმარელად სპარტამ ძლიერი სამხედრო შენაერთები გაგზავნა. ძვ. წ. 413 წ. ათენის არმიამ ხმელეთსა და ზღვაზე სრული ფიასკო განიცადა. ათენელები ალყაში აღმოჩნდნენ და სპარტელებს დანებდნენ.

სპარტელებმა დაატყვევეს ნიკიასი და დემოსთენე, რომლებიც სიკვდილით დასაჯეს. გადარჩენილი ჰოპლიტების დიდი ნაწილი მონებად გაყიდეს.

სიცილიაში ათენის საზღვაო და სახმელეთო არმიის დამარცხება ნამდვილი კატასტროფა იყო; მან პელოპონესის ომში გარდამტეხი მომენტის როლი შეასრულა. ათენის იმპერიის პრესტიჟი ბერძნულ სამყაროში მკვეთრად დაეცა. სიცილიური კამპანიის კატასტროფის შემდეგ, სტრატეგიულ ინიციატივას სპარტა დაეუფლა. სპარტაში ომის ეფექტური წარმოებისათვის შემუშავდა ორიგინალური გეგმა, რომლის თანამხადაც ათენიდან 22 კმ-ით დაშორებული სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სიმაგრე დეკელეია უნდა დაეკავებინათ. ძვ. წ. 413 წ. სპარტელებმა დეკელეია დაიკავეს და აქ ჩააყენეს სამხედრო შენაერთები, რომლებიც პერმანენტულად თავს ესხმოდნენ ატიკის მოსახლეობას და ანადგურებდნენ. ათენი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. საზღვაო ალიანსის დაშლაც დაიწყო: ძვ. წ. 412 წ. ათენს ქიოსი აუჯანყდა. მას იონიურმა პოლისებმა კლაზომენემ, ერეტრიამ, თეოსმა და მილეტმა მიბაძეს. ძვ. წ. 411 წ. ათენს მთელი იონია განუდგა.

ძვ. წ. 411 წლიდან ათენის მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა. აბიდოსა და კიზიკოსთან ბრძოლაში ათენის ფლოტმა სპარტელები სასტიკად დაამარცხა. მაგრამ მალე ათენი კვლავ უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდა. ძვ. წ. 405 წ. ეგოსპოტამოსთან სპარტელებმა, ლისანდრეს მეთაურობით, ათენელები გაანადგურეს და ძვ. წ. 404 წ. ლისანდრე ათენში მარშით შევიდა, ათენი დაეცა. სპარტამ ათენელებს მკაცრი ზავის პირობები შესთავაზა: დაშლილად ცხადდებოდა ათენის საზღვაო ალიანსი, ანულირებული უნდა ყოფილიყო ათენის სამხედრო ფლოტი და თავდაცვითი სისტემა, დამარცხებულ მხარეს დიდი კონტრიბუცია უნდა გადაეხადა, ათენში ხელისუფლება ოლიგარქოსებს უნდა გადასცემოდა. ათენმა გამარჯვებული სპარტის მოთხოვნები დააკმაყოფილა. ასე რომ, 27 წლიანი ომი სპარტის გამარჯვებით დამთავრდა და ის ბერძნული სამყაროს ჰეგემონი გახდა, ხოლო ათენი ელადის მეორეხარისხოვან პოლისის რანგამდე ჩამოქვეითდა.

სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები. პოლისური კონფლიქტები მუდმივი, პერმამენტული ხასიათისა როდი იყო. დროის სხვადასხვა მონაკვეთში პოლისებს შორის ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტებიც არსებობდა. ამ მხრივ ფრიად მნიშვნელოვანი და საინტერესო ცნობებია დაცული ძვ. წ. V ს-ის დიდი ბერძენი კომედიოგრაფის არისტოფანეს თხზულებებში. არისტოფანეს კომედიებში წარმოდგენილია იმპორტული პროდუქციის საკმაოდ გრძელი სია, სადაც ჩამოთვლილია ის საგნები, რომლებიც ათენის ბაზარზე იყიდებოდა: ქიოსური ("ქალები სახალხო კრებაზე" 1139) და თასოსური ღვინო ("პლუტოსი", 1021), სიცილიური ყველი ("ბაყაყები", 1269), როდოსული ზეთი ("ლისისტრატე, 944), მეგარული ლაბადები და სანდლები ("პლუტოსი", 983), ლაკონიკური ჩექმები და ბოქლომები ("ქალები სახალხო კრებაზე", 74), მილეტური ქსოვილები და ხალიჩები ("ბაყაყები", 544), ბეოტიური ხალიჩები ("პლუტოსი", 874).

მართალია, ყოველივე ეს არასრული სიაა იმპორტული პროდუქციისა, რომელიც ათენის ბაზარზე იყო წარმოდგენილი, მაგრამ აღნიშნული ცნობები მკაფიო ილუსტრაციაა კლასიკურ ეპოქაში ათენსა და დანარჩენ ბერძნულ პოლისებს შორის მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტებისა, რასაც დამატებით მოწმობს არისტოფანეს ერთ-ერთი კომედიის ("ახარნანიანები") გმირის სიტყვები: „ის რაც ათენში არ არის, ბეოტიაშია" (900). ძველი ავტორები კარგად აცნობიერებდნენ თუ რა სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ათენისათვის გარე სამყაროსთან მის სავაჭრო ურთიერთობებს. მაგალითად, ფესვდოქსენოფონტის თანახმად, ათენში ძირითადი საარსებო ნედლეული ზღვის გაღმიდან შემოჰქონდათ (Pol., II, 12). არისტოფანეს თხზულებებიდან ისიც ირკვევა, რომ დიდი კომედიოგრაფისთვის ომის ანტითეზა პოლისთა შორის ვაჭრობაა, რომელიც მუდამ ინტენსიური უნდა ყოფილიყო.

ძვ. წ. V-IV სს-ში ათენის პოლის-სახელმწიფოს მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები აკავშირებდა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისა და სიცილიის პოლისებთან, საიდანაც დიდი რაოდენობით მარცვლეული შემოჰქონდათ. დემოსთენე აღნიშნავდა, რომ ბოსფორის სამეფოდან ათენში ყოველწლიურად 400 ათასი მედიმნის მარცვლეული შემოჰქონდათ (Dem., XX, 31-32). რაც შეეხება ათენურ ექსპორტს ძირითადად ის ზეთისხილითა და კერამიკული ნაწარმით შემოიფარგლებოდა. ათენური ნატიფი კერამიკული პროდუქცია – შავლაკიანი, წითელფიგურული თუ შავფიგურული კანთაროსები, არიბალოსები, სკიფოსები, კილიკები და სხვ. ხმელთაშუაზღვისპირეთისა და შავიზღვისპირეთის სანაპიროებზე მრავალრიცხოვანი სახითაა წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ ათენის საგარეო ვაჭრობის ბალანსი პასიური იყო, ექსპორტი იმპორტს ვერ ფარავდა. სამაგიეროდ საგარეო ვაჭრობის აქტიური ბალანსით გამოირჩეოდნენ ისეთი მეგაპოლისები, როგორებიც იყო როდოსი, ქიოსი, კოსი, დელოსი და სხვ., ამ ცენტრების ამფორებით მოფენილია ხმელთაშუაზღვისპირეთისა და შავიზღვისპირეთის სანაპიროები. ქიოსური, კოსური თუ როდოსული ამფორების ფრაგმენტები მრავლადაა წარმოდგენილი კოლხეთის როგორც ზღვისპირა, ასევე შიდა რეგიონებში.

ძვ. წ. V ს-ის დასასრულიდან IV ს-ის მეორე ნახევრამდე პოლისური კონტაქტები ინტენსიური ხდება, რაც ხელს უწყობდა ურთიერთობათა მარეგულირებელი ინსტიტუტების ფორმირებასა და მათ განვითარებას. ფ. ედკოკი და დ. მოსლი მართებულად მიანიშნებდნენ, რომ ადრეულ პერიოდში თუკი მეზობელ პოლისებს შორის მხოლოდ

ურთიერთობათა რეგულირების საკითხი იდგა, მაშინ სამხედრო-პოლიტიკური ალიანსების ფორმირების დროიდან დიპლომატიური ქმედებათა არეალი გაფართოვდა, ხოლო მათი პროცედურა კი გართულდა (Adcock, Mosley, 1975, გვ. 121). ამავე დროს, ურთიერთობათა ნორმების გარკვეული ინტენსიფიკაციის ტენდენციები შეინიშნებოდა, თანაც ზოგიერთი ტრადიციული საერთაშორისო ინსტიტუტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ამის თვალსაჩინო ილუსტრაციას წარმოადგენს „პროქსენია", სტუმართმოყვარეობის თანაზიარი წესი, რამაც ძვ. წ. IV ს-ში პოლისთა სავაჭრო-ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური კონტაქტები გააფართოვა.

სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის წევრი პოლისები ახორციელებდნენ ისოპოლიტიას, მოქალაქეთა უფლებების გაცვლა-გამოცვლის წესებს ერთმანეთს უთანხმებდნენ. კოალიციის წევრთა შორის სავაჭრო კავშირების ინტენსიფიკაციამ ტრადიციული συμβολαί-ის, კერძო პირებისა და პოლისებს შორის შეთანხმების წესის ტრანსფორმაცია მოითხოვა. ამგვარი შეთანხმებები ალიანსის პარტნიორებს შორის მარეგულირებელ ფუნქციას ასრულებდა. ძვ. წ. IV ს-ში ალიანსის წევრები ხშირად მიმართავდნენ არბიტრაჟს, თუმცა ეს წესი ელინიზმის ეპოქაში საგრძნობლად განვითარდა.

ხანგრძლივი ომები, კოალიციების ფორმირებები და მათი დაშლა, პოლისების პოლიტიკური ორიენტაციის ცვლილებები პოლისური კავშირების ახალი ფორმების დადგენას მოითხოვდა. ამგვარი წესების რიცხვს უნდა განეკუთვნოს ნეიტრალიტეტის კონცეფცია, რითაც იყო დაინტერესებული მიკრო და საშუალო დონის პოლისები. მასთან ახლოს იდგა „სიმახია", სამხედრო დახმარების გაწევის ერთგვარი პრაქტიკა, რომლის თანახმადაც ცალკეულ პოლისებს შეეძლოთ უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალები თავიანთ ტერიტორიაზე გაეტარებინათ ანდა ერთ-ერთი პოლისისთვის დახმარება გაეწიათ.

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა κοινὴ εἰρήνη-ს პანელინური მშვიდობის იდეა, რომელიც ელინურ სამყაროში მშვიდობის დამყარებას ითვალისწინებდა. ამასთან დაკავშირებით, συνθῆκαι-ს ის ომისა და ზავის შესახებ შეთანხმების საკითხი დადგა; საგრძნობლად გაიზარდა ანტალკიდეს ზავის მსგავსი მრავალმხრივი შეთანხმებების როლი. დადგინდა პოლისთა შორის ურთიერთობების სამართლებრივი პრინციპები; გაირკვა ალიანსის ჰეგემონიისა და რიგითი წევრების უფლება-მოვალეობანი. მიუხედავად ამგვარი პოზიტიური შეთანხმებებისა თუ პოლისთა შორის სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტების ინტენსივობისა, ძვ. წ. IV ს-ში მეგა ალიანსების ჰეგემონებს შორის კონფრონტაცია საბოლოოდ არ აღმოფხვრილა და პერიოდულად კვლავ გრძელდებოდა.

პელოპონესის ომში სპარტის გამარჯვებისა და ათენის საზღვაო ალიანსის განადგურების შემდეგ, ძვ. წ. IV ს-ის პირველ ნახევარში ბალკანეთის საბერძნეთში სამხედრო-პოლიტიკური ვითარება არსებითად შეიცვალა. ამიერიდან ეგეოსის აუზში ჰეგემონი სპარტა ხდება. სპარტას ელინურ სამყაროში თავისი პოლიტიკური მეწინავეობის უზრუნველყოფისათვის, ბერძნული პოლისების მიმართ გარკვეული პოლიტიკური დოქტრინა უნდა შეემუშავებინა, თუმცა სპარტას პოლიტიკური ლიდერობის გამოცდილება არ ჰქონდა და ამიტომაც ის მხოლოდ სამხედრო ძალის პრინციპების ერთგული რჩებოდა. ამგვარი სწორხაზოვანი და უსისტემო პოლიტიკა მისივე მოკავშირეების, მათ შორის, კორინთოსა და თებეს უკმაყოფილებას იწვევდა.

პელოპონესის ომის ბოლო წლებში, სპარტელებმა ბერძნული პოლისების „თავისუფლებისა და ავტონომიის“ მიმზიდველი კონცეფცია უარყვეს და პოლისების საშინაო საქმეში აქტიურად ჩაერივნენ. ძვ. წ. 404 წლის პირველივე თვეების შემდეგ სპარტის ნავარხოსმა ლისანდრემ, სპარტელებისგან „განთავისუფლებულ“ პოლისებში ოლიგარქიული, პროსპარტული დეკარხიების რეჟიმი დაამყარა. მათი ძალაუფლების უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის პოლისებში სამხედრო შენაერთები ჩააყენა. ზოგიერთმა პოლისმა, როდესაც სპარტელთა ამგვარი ქმედებები გააპროტესტა, მათ წინააღმდეგ სპარტის ადმინისტრაციამ უკიდურეს სადამსჯელო მეთოდებს მიმართა. ასე მაგალითად, დემოკრატიული ელიდა სპარტის დიქტატს არ დაემორჩილა და მას სპარტელებმა კარგი გაკვეთილიც ჩაუტარეს. პელოპონესის კავშირის მრავალრიცხოვანი საჯარისო შენაერთები ორი წლის განმავლობაში არბევდნენ ელიდის ტერიტორიას. მათ არ დაინდეს ოლიმპიის წმინდა ადგილები და სახელგანთქმული გიმნასიონები, სადაც ოლიმპიური თამაშების მონაწილეები ვარჯიშობდნენ. ელიდელებმა სპარტელთა კაბალური პირობები მიიღეს. სპარტელებმა სამხრეთ თესალიის ქალაქი ჰერაკლეაც გაანადგურეს. დიოდორე სიცილიელის ცნობით სპარტელებმა ჰერაკლეელები შეკრიბეს და ალყა შემოარტყეს, აჯანყებულთა მეთაურები შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს.

მოკავშირე პოლისების საშინაო საქმეში უხეში ჩარევის შედეგი ის იყო, რომ კორინთომ და თებემ სპარტელთა სადამსჯელო ექსპედიციებში თავიანთი სამხედრო შენაერთების გაგზავნაზე უარი თქვეს. აღნიშნულ პოლისებში ანტისპარტანული განწყობილება ძლიერდებოდა.

სპარტამ დამარცხებულ ათენში ვერ შეძლო პოზიციების განმტკიცება. ძვ. წ. 404 წ. საზავო ხელშეკრულების გაფორმებისთანავე სპარტელთა მხარდაჭერით ათენში ოლიგარქიული „ოცდაათის“ ტირანია დამყარდა და დემოკრატების მიმართ მკაცრი ტერორიც დაიწყო, რამაც მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია. ათენელების უკმაყოფილებით ისარგებლეს დევნილმა დემოკრატებმა ყოფილი სტრატეგოსის თრასიბულეს მეთაურობით და „ოცდაათის“ ტირანიის მმართველობა დაამხეს. ძვ. წ. 403 წ. ათენში კვლავ ტრადიციული დემოკრატიული წესრიგი აღდგა. დემოკრატიულმა ინსტიტუტებმა ფუნქციონირება განაახლეს. ჰელიაეიას უფლებამოსილება გაიზარდა. აღდგა ჯამაგირის სისტემა 500 საბჭოში, ჰელიაეიასა და სახალხო კრებაში მონაწილეობისათვის. ათენში ანტისპარტული განწყობა ძლიერდებოდა. ბალკანეთის საბერძნეთში სიტუაციის გაუარესების კომპენსირებას სპარტა მცირე აზიაში თავისი ზეგავლენის გაძლიერების ხარჯზე შეეცადა. ამავე დროს, სპარტამ პელოპონესის ომის მიწურულს სპარსეთისადმი მისი ოდიოზური პოლიტიკური კურსის შეცვლაც გადაწყვიტა. პელოპონესის ომის ბოლო თვეებში სპარტა, ფაქტობრივად, დათანხმდა, რომ მცირე აზიის მრავალი პოლისი სპარსეთის მეფისათვის გადაეცა. ამჯერად პელოპონესის ომში გამარჯვების შემდეგ სპარტა შეეცადა ესარგებლა სპარსეთის ტახტისათვის არტაქსერქსე II და კიროს III შორის გაჩაღებული ბრძოლით და მცირე აზიის პოლისები დაებრუნებინა. სპარსეთის ტახტისათვის ბრძოლის დროს სპარტამ მხარი დაუჭირა მეფისწულ კიროსს, რომელიც მცირე აზიის გამგებელი იყო. სპარტამ თავი მოუყარა 10 ათასიან მოქირავნეთა არმიას კლეოხარეს მეთაურობით და ირანში გაგზავნა. მაგრამ ძვ. წ. 401 წ. კუნაკსოსთან ბრძოლაში კიროსი იღუპება. ბერძნული სამხედ-

რო შენაერთები იძულებულნი გახდნენ შავიზღვისპირეთისკენ გაჭრილიყვნენ და ზემო მესოპოტამიისა და მცირე აზიის გავლით ბიზანტიონში დაბრუნებულიყვნენ.

კიროსის დაღუპვით სპარტის ოცნებები ჩაიფუშა. მან ვერ მოახერხა დასავლეთ მცირე აზიაში პოლიტიკური უპირატესობის მოპოვება, პირიქით სპარსეთის ახალი მეფის არტაქსერქსე II-ის (404-358) და სპარტას შორის ურთიერთობა ძალზე გამწვავდა. ასეთ სიტუაციაში სპარტამ გადაწყვიტა სამხედრო ოპერაციები დაეწყო დასავლეთ მცირე აზიაში, სადაც გადასროლილ იქნა კიდეც 10 ათასიანი ჰოპლიტი და ძლიერი სამხედრო ფლოტი სპარტის მეფის აგესილაოს დიდის მეთაურობით. სპარტასა და სპარსეთს შორის ომი (399-394) თავიდან სპარტელთა უპირატესობით წარიმართა. ძვ. წ. 495 წ. სარდისთან ბრძოლაში აგესილაოსმა სპარსელთა საკმაოდ ძლიერი სამხედრო კორპუსი სასტიკად დაამარცხა და მცირე აზიის ცენტრალურ და ჩრდილო-დასავლეთის სპარსულ სამფლობელოებსაც დაემუქრა.

მიუხედავად ამისა, სპარსეთ-სპარტის ომი მთლიანობაში ამ უკანასკნელისათვის წარუმატებელი აღმოჩნდა. სპარტელებისაგან განთავისუფლებულ მცირე აზიის პოლისებში აგესილაოსი ცდილობდა მისთვის ხელსაყრელი წესრიგის აღიარებას და მათ საშინაო საქმეებში უხეშად ერეოდა, რაც სპარტელთა განმათავისუფლებელ მისიას ჩრდილს აყენებდა. სპარსელი სატრაპები კი პირიქით, ფულს არ იშურებდნენ და მცირე აზიის პოლისებს ავტონომიის შენარჩუნებასაც პირდებოდნენ, რათა მათში ანტისპარტული მოძრაობა გაეღვივებინათ.

სპარსულმა ოქრომ და აგიტაციამ კონტინენტურ საბერძნეთში გაჭრა. სპარსელებმა ათენის, კორინთოს, არგოსის, თებეს გავლენიანი პოლიტიკოსები მოისყიდეს და ანტისპარტულად განაწყვეს. შედგა ძლიერი ანტისპარტული კოალიცია, რომელშიც ათენი, კორინთო, არგოსი, თებე და სხვა პოლისები შედიოდნენ. სპარტამ სამხედრო ქმედებები დაიწყო. სპარტელები ცდილობდნენ თავიანთი მოწინააღმდეგეების გაერთიანება არ დაეშვათ და ისინი ცალ-ცალკე გაენადგურებინათ. პირველი დარტყმა ბეოტიის კავშირს მიაყენეს. ძვ. წ. 395 წ. სპარტელებმა ბეოტიაში გააგზავნეს ორი ძლიერი კორპუსი, რომელსაც პელოპონესის ომის გმირი, გამოცდილი ლისანდრე სარდლობდა. მაგრამ ამ კორპუსების სარდლობის შეუთანხმებელი მოქმედებების შედეგად, გალიარტთან ბრძოლაში ერთ-ერთი კორპუსთაგანი განადგურებულ იქნა, ხოლო მისი მეთაური ლისანდრე დაიღუპა. მეორე კორპუსმა კი სამარცხვინოდ უკან დაიხია. გალიარტთან დამარცხების შემდეგ, ძვ. წ. 395 წ. შეიქმნა ძლიერი ანტისპარტანული კოალიცია, სადაც ათენი, კორინთო, არგოსი, ევბეა და დასავლეთ საბერძნეთის მთელი რიგი პოლისები შევიდნენ. მოკავშირეებმა გადაწყვიტეს სპარტაში გაელაშქრათ და ის თავისივე ბუნაგში გაენადგურებინათ. მოკავშირეთა არმია სამხრეთ კორინთოში, ნემეასთან ახლოს დაბანაკდა. სპარტა მტრის გარემოცვაში აღმოჩნდა და მისი მდგომარეობა გაუარესდა. სპარტელებმა მოკავშირეთა არმიის დაყოვნებით ისარგებლეს და მათი დამარცხება შეძლეს. სპარტელებმა სიკიონი დაიკავეს, ხოლო ბეოტიაში, ქალაქ ხერონეასთან თავიანთი მოწინააღმდეგეებიც დაამარცხეს, თუმცა სპარტელებმა მოკავშირეთა არმიის სრული განადგურება ვერ შეძლეს.

ძვ. წ. 394 წელსვე კნიდოსთან სპარსელებმა სპარტის ფლოტი გაანადგურეს. ამ ბრძოლის შემდეგ სპარტამ მცირე აზიის პოლისები კვლავ დაკარგა. სპარტის მძიმე მდგომარეობით ისარგებლა ათენმა: სპარსელთა ფინანსური დახმარებისა და საკუთარი რესურსების მობილიზების წყალობით ათენისა და პირეუსის თავდაცვითი სისტემა

აღადგინა და ახალი ფლოტიც შექმნა. ათენი ეგეოსის ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებისა და მომიჯნავე კუნძულებზე თავისი გავლენის აღდგენას შეუდგა. ათენის ესკადრამ სრუტეების სავაჭრო გზებზე კონტროლი დაანესა. ბიზანტიონში ისევ აღდგა ათენის საბაჟო, საიდანაც ათენელები აქ შემომსვლელი სავაჭრო გემებისაგან 10% გადასახადს იღებდნენ. არსებითად ეს ათენის საზღვაო ალიანსის აღდგენას ნიშნავდა.

აღსანიშნავია, რომ პოლისურ დაპირისპირებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა ფინანსური უზრუნველყოფის პრობლემა. ამ მხრივ საბერძნეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში სპარსეთის როლი ძლიერდება, რომელიც დიდძალ ფინანსურ სახსრებს ფლობდა.

სპარსული დიპლომატიის ძირითადი ამოცანა ბერძნული პოლისების დასუსტება იყო. ირანი ყველა მექანიზმს იყენებდა, რათა ბერძნული პოლისების გაერთიანება არ დაეშვა და მათ შორის სამხედრო კონფლიქტების პროვოცირებას ახდენდა. სპარსელები ანტისპარტულ კოალიციას ძლიერი სპარტის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ უბიძგებდა. მაგრამ როგორც კი სპარტა დაუძლურდებოდა, ხოლო მისი მოწინააღმდეგეები (განსაკუთრებით ათენი) გაძლიერდებოდნენ სპარსელები პოზიციას იცვლიდნენ. ამჯერად ფინანსური დახმარება და დიპლომატიური მხარდაჭერა სპარტას აღმოუჩინეს.

სამხედრო მოქმედებები გაჭიანურდა და მეომარი მხარეები ისე დასუსტდნენ, რომ სპარსელები ბერძნულ პოლისებს სერიოზულ მოწინააღმდეგეებად უკვე არ აღიქვამდნენ. ამიტომაც სპარსელთა მეფემ ორივე მხარეს სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებაში შუამავლის როლი შესთავაზა, რასაც მეომარი მხარეები დათანხმდნენ. ძვ. წ. 387 წ. დაპირისპირებულ მხარეებს შორის ზავიც დაიდო, როელიც ისტორიაში ანტალკიდეს ანუ „სამეფო ზავის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ამ ზავით მცირე აზიის პოლისები კვლავ სპარსელთა მფლობელობაში აღმოჩნდა; ამასთან, საზავო ხელშეკრულებით, პელოპონესის კავშირის გარდა, დანარჩენი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსები გაუქმდა. ელინთათვის ამ სამარცხვინო ზავის პირობების შესრულება სპარტას დაეკისრა, რაც ფაქტობრივად საბერძნეთში სპარსელების ინტერესების დაცვას ნიშნავდა. ამ პერიოდში საბერძნეთში სპარტა კვლავ ჰეგემონი ხდება. ის ჩვეულ პოლიტიკურ კურსს არ ღალატობდა და წინანდებურად ბერძნულ პოლისებში ოლიგარქიულ რეჟიმებს ამკვიდრებდა, სამხედრო შენაერთებს განათავსებდა, დემოკრატიულ ქალაქებს ანგარიშს უსწორებდა. ასე მაგალითად, სპარტელებმა გაანადგურეს დემოკრატიული მანტინეა და ფილიუნტი.

ძვ. წ. 382 წ. სპარტელებმა მუხანათურად აიღეს თებე, რამაც საბერძნეთში საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია, რადგანაც თებელები ანტალკიდეს ზავის პირობებს კეთილსინდისიერად იცავდნენ. ანტისპარტული განწყობილება საბერძნეთში ძლიერდებოდა. ამასობაში ძალებს იკრებდა ათენი.

1. პოლისური სამხედრო-პოლიტიკური ალიანსები

პელოპონესის კავშირი. ელინურ სამყაროში ის პირველი დიდი სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანება იყო, რომელიც ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარში შეიქმნა. თავდაპირველად აღნიშნულ ალიანსში პელოპონესის ზოგიერთი პოლისი შედიოდა. ძვ.წ. V ს-ის შუა ხანებში კავშირის შემადგენლობაში ჩაერთო პელოპონესის თითქმის ყვე-

ლა პოლისი, ჩრდილოეთ საბერძნეთის მთელი რიგი პოლისები, მათ შორის ძლიერი თებე, ფოკიდის, დორიდისა და ლევკადის მცირე პოლისები. კავშირის ჰეგემონი სპარტა იყო. სპარტა და მოკავშირე სახელმწიფოთა დიდი ნაწილი აგრარული ტიპის პოლისებს განეკუთვნებოდა. ვაჭრობა და ხელოსნობა სუსტად იყო განვითარებული. კავშირის წევრ პოლისებში გაბატონებული იყო არქაული საზოგადოებრივი ურთიერთობის ნორმები, ოლიგარქიული მართვის სისტემა. ალიანსის წევრთა შორის ისეთი ძლიერი სავაჭრო-სახელოსნო ტიპის პოლისები, როგორიც კორინთო, მეგარა და სიკიონი იყო დინამიკური და ინტენსიური ეკონომიკით გამოირჩეოდა. პოლის-სახელმწიფოები ერთგვარად ავსებდა აგრარულ პოლისებს და მთლიანობაში პელოპონესის კავშირის სამხედრო-პოლიტიკურ პოტენციალს ამაღლებდა.

მრავალრიცხოვანი და კარგად გაწვრთნილ ჰოპლიტებს, რომლებსაც კავშირისათვის აგრარული პოლისები აგზავნიდა, ემატებოდა კორინთოსა და მეგარის ტიპის მდიდარი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების საკმაოდ ძლიერი ფლოტი და სოლიდური ფულადი სახსრები.

კავშირში მრავალრიცხოვანი აგრარული პოლისებისა და სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების არსებობამ პელოპონესის კავშირის სტრუქტურის სუსტი ცენტრალიზაცია გამოიწვია. ალიანსში შემავალი პოლის-სახელმწიფოები დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა. კავშირში არ ფუნქციონირებდა საერთო ადმინისტრაცია, რომელსაც შეეძლო მოკავშირე სახელმწიფოების შინაურ საქმეებში ჩარეულიყო; საერთო ხაზინა არ არსებობდა. ალიანსის წევრები კავშირის საჭიროებისთვის რეგულარულ საწევროს არ იხდიდნენ. მოკავშირეების ძირითად მოვალეობას შეადგენდა საგარეო პოლიტიკის კოორდინირება და სამხედრო ქმედებებში ერთობლივი მონაწილეობა. ამისათვის კი თითოეული პოლისი ვალდებული იყო გარკვეული რაოდენობის მხედრობა გამოეყვანა.

პელოპონესის კავშირის უმაღლესი ორგანო იყო მოკავშირეთა საერთო კრება, რომელიც სპარტაში იკრიბებოდა სპარტელი ეფორების თავმჯდომარეობით. კრების გადაწყვეტილება აპელას ანუ სპარტის სახალხო კრებას უნდა დაედასტურებინა. მოკავშირეთა არმიას სპარტელი მეფეები მეთაურობდნენ, ხოლო გაერთიანებულ ფლოტს სპარტელი ნავარხოსები. თითოეულ პოლისს ერთი ხმის უფლება ჰქონდა, რაც საშუალებას აძლევდა სპარტას მისთვის მისაღები გადაწყვეტილების მიღებისთვის მიეღწია. ალიანსში გაწევრიანება ნებაყოფილობითი იყო, ასევე კავშირის დატოვებაც თავისუფლად შეეძლოთ. მაგალითად, პელოპონესის კავშირში ზოგჯერ შედიოდა და მერე ტოვებდა კორინთო, მეგარა, თებე, აქეის მთელი რიგი პოლისები, მაგრამ სპარტას მათ მიმართ სამხედრო ძალა არ გამოუყენებია. მოკავშირეთა მიმართ რბილი დამოკიდებულება, მათი ავტონომიისა და თავისუფლებისადმი პატივისცემა ხელს უწყობდა პელოპონესის კავშირის პოზიციების სიმტკიცეს. პელოპონესის კავშირმა 200 წელი იარსება. კავშირის სამხედრო-პოლიტიკური პოტენციალის რაციონალური გამოყენებით სპარტა საბერძნეთში უძლიერესი სახელმწიფო გახდა. ის ძვ. წ. V-IV სს-ში ბერძნულ სამყაროში გადამწყვეტ როლს ასრულებდა. სპარტა ყველგან პროარისტოკრატიულ დაჯგუფებებს უჭერდა მხარს. ის ბერძნული ოლიგარქიული სისტემის ბურჯი იყო.

ათენის პირველი საზღვაო კავშირი. ძვ. წ. V ს-ში პელოპონესის კავშირს დაუპირისპირდა მეორე სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანება ათენის პირველი საზღვაო

კავშირის სახით. მისი მეთაური სახელმწიფო ათენი იყო. ათენის საზღვაო კავშირი შეიქმნა იმ ბერძენთა გაერთიანების ბაზაზე, რომლებიც იბრძოდნენ სპარსელების წინააღმდეგ მცირე აზიისა და ეგეოსის ზღვის კუნძულების პოლისების აქემენიანთა ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის. მაგრამ ბერძენ-სპარსელთა ომის დასასრულს ათენის საზღვაო კავშირი გასცდა სამხედრო კავშირის ჩარჩოებს და გადაიზარდა განსაკუთრებულ პოლიტიკურ გაერთიანებაში, რომლის ინტერესის სფეროში ფართო სოციალურ-ეკონომიკური და აქტიური საგარეო პოლიტიკის განხორციელების ამოცანები შედიოდა.

ათენის საზღვაო კავშირის ისტორიაში შეიძლება ორი პერიოდი გამოიყოს: პირველი – დელოსის სიმახიის პერიოდი (ძვ. წ. 478-455), როდესაც მოკავშირეთა წინაშე სპარსელთა მიერ ანექსირებული მცირე აზიისა და ეგეოსის ზღვის სანაპიროების პოლისების განთავისუფლება დადგა. მეორე – ალიანსში ათენის პოლიტიკური ბატონობის პერიოდი, როდესაც დელოსის სიმახია ათენის არხედ ანუ იმპერიად გარდაიქმნა.

ათენის საზღვაო კავშირი მუდმივად ახალი წევრებით ივსებოდა და ძვ. წ. V ს-ის 30-იან წლებში საბერძნეთში ერთ-ერთ მსხვილ პოლიტიკურ გაერთიანებად გადაიქცა. ათენის საზღვაო კავშირი 200 პოლისისგან შედგებოდა და ერცელ ტერიტორიას მოიცავდა. ათენის მოკავშირეთა აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდა ზღვისპირა პოლისები, რომლებიც გამოირჩეოდა ინტენსიური ეკონომიკური დონით, განვითარებული ხელოსნობითა და აქტიური სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტებით გარე სამყაროსთან. ალიანსის წევრებში მართვის დემოკრატიული სტრუქტურები ფუნქციონირებდა.

ათენის საზღვაო კავშირი, პელოპონესისაგან განსხვავებით, მართვის რთული სისტემისაგან შედგებოდა. ალიანსში მუდმივად ფუნქციონირებდა ერთიანი საფინანსო სისტემა, რომელშიც იგულისხმებოდა საერთო ხაზინა, რომელიც ყოველწლიური საწევრო შენატანებით – ფოროსით ივსებოდა. ფოროსის რაოდენობა განისაზღვრებოდა იმით თუ როგორი ეკონომიკური შესაძლებლობები გააჩნდა ამა თუ იმ პოლისს. მდიდარი და დიდი პოლისები უფრო მეტ თანხას იხდიდნენ, ვიდრე მცირე ცენტრები. მთლიანობაში ფოროსის რაოდენობა 450-დან 600 ვერცხლის ტალანტამდე მერყეობდა. ასე რომ, კავშირის ხაზინაში ყოველწლიურად 12-15 ტონა ლითონის ვალუტა შედიოდა.

ფოროსის რაოდენობა ყოველ 4 წელიწადში ერთხელ გადაიხედებოდა და ზუსტი თანხა ათენის ჰელიაეიაში მტკიცდებოდა. კავშირის ხაზინა ათენში, პართენონის ტაძარში ინახებოდა. ფოროსის შეგროვებისათვის კავშირის მთელი ტერიტორია ხუთ ოლქად დაიყო. თითოეულ ოლქში ფოროსის რეგულარულ შემოტანას აკონტროლებდა განსაკუთრებული მეთვალყურე – ეპისკოპოსი და მისი ორი თანაშემწე. კავშირის წევრები ფოროსს დროზე თუ არ შემოიტანდნენ, მაშინ ისინი ჯარიმდებოდნენ. კავშირის არსებობის პირველ პერიოდში შეგროვილი თანხა მოკავშირეთა ფლოტისა და მოლაშქრეთა შენახვისათვის გამოიყენებოდა. პირველ ხანებში საერთო ხაზინის განმკარგულებელი დელოსი იყო, მაგრამ ძვ. წ. 454 წ ხაზინის დელოსიდან ათენში გადატანის შემდეგ ფოროსის განმკარგულებელი ათენის ჰელიაეია გახდა. ამიერიდან შეგროვილი თანხა მხოლოდ ათენის ჰოპლიტებისა და ფლოტის შენახვისთვის იხარჯებოდა. ათენი მას თავისი შეხედულებისამებრ განკარგავდა. მეტიც, ძვ.წ. 427 წ. როდესაც

სამხედრო ოპერაციების ჩატარებისათვის დამატებითი სახსრები იყო საჭირო, ათენმა თვითნებურად გაზარდა ფოროსის რაოდენობა და ის უკვე 1300 ტალანტი გახდა.

ათენის საზღვაო კავშირის ორგანიზაციული სტრუქტურის ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს კავშირის ერთიანი ეკონომიკური სისტემის შექმნის მცდელობა. ამგვარი ეკონომიკური გაერთიანების შექმნა ნაკარნახევი იყო ძვ. წ. V ს-ის საბერძნეთის სამეურნეო განვითარებით. იმ დროს საბერძნეთი ეკონომიკური აღმავლობის გზაზე იდგა: განვითარდა ხელოსნური წარმოება, გაფართოვდა სავაჭრო კონტაქტების არეალი, სამონეტო მიმოქცევა. ათენის საზღვაო კავშირში ის პოლისები შედიოდა, რომლებიც დაინტერესებული იყო ხელოსნური ნაწარმისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაცვლა-გამოცვლით. ეკონომიკური კავშირების განმტკიცების მიზნით მოხდა ზომის, წონის, სამონეტო სისტემის უნიფიცირება. ანგარიშიანობას საფუძვლად დაერთო ათენური სტანდარტები.

ათენი მოკავშირე პოლისებში დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებაზე ზრუნავდა, რაც სხვადასხვა ფორმით გამოიხატებოდა: იქმნებოდა საამისო პირობები სავაჭრო-სახელოსნო წრეებისა და მოქალაქეთა საშუალო ფენის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. აღნიშნული სოციალური ფენები პოლისების პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. აქ დემოკრატიული ორგანოების, განსაკუთრებით კი სახალხო კრების როლი მნიშვნელოვანწილად გაიზარდა. აუცილებლობის შემთხვევაში ათენი მოკავშირე პოლისებში დემოკრატიულ წრეებს სამხედრო დახმარებასაც უწევდა.ამგვარი სამხედრო ჩარევის მაგალითია ძვ. წ. 440 წ. სამოსში განვითარებული მოვლენები.სამოსი, როგორც მსხვილი და მდიდარი კუნძული, ათენის ალიანსის განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდა – ის ფოროსს არ იხდიდა. გარდა ამისა, აქ ოლიგარქიული მართვის სისტემა არსებობდა. ხელსაყრელი მომენტი როგორც კი დადგა, ათენის დემოკრატიის ლიდერმა პერიკლემ სამხედრო გზით დაამხო ოლიგარქია და დემოკრატიული მართვის სისტემა დაამკვიდრა.

ათენის ენერგიულ პოლიტიკას, რომელიც მიმართული იყო დემოკრატიული წესრიგის განმტკიცებისკენ, თან მოჰყვა მრავალრიცხოვან პოლისებში სახელმწიფო მართვის უნიფიკაცია, ხოლო საბოლოო ჯამში მისი გარკვეული ცენტრალიზაცია.

ათენის საზღვაო კავშირის პოზიციების განმტკიცებისა და თვით ათენის საშინაო პრობლემის გადაჭრის მიზნით, ათენის ხელისუფლებამ დაიწყო ე.წ. კლერუხიების დასახლება მოკავშირე პოლისებში. კლერუხიებს უწოდებდნენ ათენის ღარიბი სოციალური ფენის მოქალაქეებს, რომლებსაც მოკავშირე პოლისების ნაყოფიერ ტერიტორიაზე მიწები დაურიგდათ. აქ ისინი მყარ მეურნეობას ქმნიდნენ და შეძლებულ მიწათმოქმედებად გადაიქცნენ. ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით, კლერუხიები პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ისინი მოკავშირე პოლისებში ათენის ხელისუფალთა მყარ დასაყრდენს წარმოადგენდნენ. ათენელი კლერუხები განსახლდნენ მოკავშირეთა მრავალ ქალაქში: ევბეაზე, სამოსში, ნაქსოსში, ლემნოსში, იმბროსში, ანდროსში და სხვაგან. ძვ. წ. V ს-ში ათენმა მოკავშირე პოლისებში 10 000 კლერუხი დაასახლეს. ათენიდან კლერუხების განსახლებამ მოკავშირე პოლისებში ხელი შეუნყო თვით ათენში ვითარების სტაბილიზაციას.

ათენი იყო არა მარტო ამ დიდი გაერთიანების ჰეგემონი, არამედ ალიანსის დედაქალაქი, სადაც თავს იყრიდნენ მოკავშირე პოლისთა წარმომადგენლები ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სასამართლო საქმეების მოსაგვარებლად. კავშირის დედაქა-

ლაქად ათენის გამოცხადება ნიშნავდა ცალკეული პოლისების გაერთიანებიდან ათენის იმპერიად გარდაქმნას, ახალი ტიპის ფედერალური სახელმწიფოს შექმნას, რომელიც ადრეული ბერძნული სამყაროსათვის ძალზე უჩვეულო და უცნობი იყო. ათენის საზღვაო კავშირმა პროგრესული როლი შეასრულა ბერძნული სამყაროს შემდგომი განვითარების საქმეში. არა მარტო ათენი, არამედ კავშირის რიგითი პოლისების ინტერესს წარმოადგენდა ამ გაერთიანების არსებობა, ვინაიდან კავშირის წევრობა ხელს უწყობდა მათ ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას, დემოკრატიული წესრიგის განმტკიცებას და გაძლიერებას. მაგრამ ყველა მოკავშირე პოლისი როდი ურიგდებოდა ათენის ჰეგემონიას. ათენის წინააღმდეგ არაერთხელ აჯანყებულან პოლისები – სამოსი, ლესბოსი, თასოსი, ნაქსოსი.

ალიანსის მდიდარი რესურსების ხელში ჩაგდებით, ათენი ბერძნულ სამყაროში აქტიური საგარეო პილიტიკის გატარების გზას დაადგა. ამ მხრივ, მას რამდენიმე მიზანი ამოძრავებდა: 1. კავშირის გაფართოება ალიანსში ეგეოსის აუზის ახალი ქალაქების ჩართვის გზით. 2. ათენის პოლიტიკური გავლენის გაძლიერება დიდ საბერძნეთში, სამხრეთ იტალიასა და სიცილიაში. 3. შავიზღვისპირეთში დამკვიდრება. 4. პელოპონესის კავშირის იზოლაცია.

ათენის დიდი წარმატება იყო კავშირში კუნძულ ეგინას ჩართვა. ათენმა მეგობრული ურთიერთობა დაამყარა სპარტის ტრადიციულ მეტოქესთან – არგოსთან და თესალიის ქალაქებთან, რითაც ეგეოსის აუზში პოზიციები განიმტკიცა; პერიკლეს დროს ათენმა პოლიტიკური გავლენა განიმტკიცა შავიზღვისპირეთის ქალაქებშიც. ათენის კავშირის შემადგენლობაში აღმოჩნდნენ სინოპე, ამისო, აპოლონია, ნიმფეონი, ოლბია; ათენი გარკვეულ წარმატებებს აღწევს სამხრეთ იტალიასა და სიცილიაში. ათენმა სამხრეთ იტალიაში დააარსა ახალშენი თურია, რომელიც ათენის დასაყრდენი უნდა გამხდარიყო აღნიშნულ რეგიონში.

ათენის გააქტიურება დასავლეთის მიმართულებით კორინთოსათვის საშიში იყო და მთლიანობაში პელოპონესის კავშირსაც ძლიერ დარტყმას აყენებდა, რასაც სპარტა და კორინთო ვერ ურიგდებოდნენ. სპარტასა და კორინთოს გადამწყვეტი ზომები უნდა მიეღოთ, რათა ათენის ინიციატივას წინ აღდგომოდნენ. პელოპონესელები ეძებდნენ გზას ათენის იმპერიის დასუსტებისთვის: ისინი მოკავშირეთა შორის მხარს უჭერდნენ ოლიგარქოსებს, პოლისებს აქეზებდნენ, რათა მათ ათენის კავშირი დაეტოვებინათ. სპარტელებმა შეძლეს მეგარელთა გადმობირება. მეგარამ ათენის ალიანსი დატოვა. იგივე გზას დაადგა პოტიდეაც, ამასთანავე სპარტამ ჩრდილოეთ საბერძნეთში პოზიციები გაიმაგრა: ბეოტიის, ფოკიდის და ლევკადის პოლისები პელოპონესის კავშირის შემადგენლობაში შევიდნენ. მიუხედავად ამისა, ათენის საზღვაო კავშირი კვლავ ძლიერ გაერთიანებად რჩებოდა. პელოპონესელები დარწმუნდნენ, რომ დიპლომატიური და პოლიტიკური მეთოდებით, ისინი ათენის აგრესიას ვერ შეაჩერებდნენ.

ათენის მეორე საზღვაო კავშირი. ანტალკიდეს ზავის შემდეგ ათენს ლემნოსი, იმბროსი, სკიროსი და ბიზანტიონი დაუბრუნდა. ძვ. წ. IV ს-ის 80-იან წლებში ათენელებმა კონტაქტები დაამყარეს მდიდარ ქიოსთან. ძვ. წ. 378 წლისთვის ეს კონტაქტები ოფიციალურად სიმახიის სახით გაფორმდა და საბერძნეთის პოლიტიკურ რუკაზე ახალი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი – ათენის მეორე საზღვაო კავშირი გაჩნდა. ეს გაერთიანებაც წინანდებურად სპარტის წინააღმდეგ იყო გამიზნული. ის თავისი წყობითა და სტრუქტურით პირველი გაერთიანებისაგან არსებითად განსხვავდებო-

და. ათენი ვალდებულებას კისრულობდა, რომ მოკავშირე პოლისების საქმეებში არ ჩაერეოდა, მათ სახელმწიფოებრივ წყობასაც პატივისცემით მოეკიდებოდა. გარდა ამისა, ათენს უფლება არ ჰქონდა მოკავშირე პოლისების ტერიტორიის მიტაცებისა და იქ ათენელი კლერუხების დასახლებისა. ალიანსის უმაღლეს ორგანოდ ითვლებოდა სინედრიონი, მოკავშირეთა საერთო კრება, რომელიც ათენში იკრიბებოდა. კრებაზე ხმის უფლება თითოეულ პოლისს ჰქონდა. სინედრიონი ათენის სახალხო კრებასთან ერთად კავშირის მიმდინარე საკითხებს წყვეტდა. ავადსახსენებელი ფოროსის მაგივრად საწევროების გადახდის ნებაყოფლობითი სისტემა დაწესდა. ასე რომ, ათენის მეორე საზღვაო კავშირი წარმოადგენდა სუვერენული პოლისების ფედერაციულ გაერთიანებას, რომლის სტრუქტურაც ათენის დიქტატს გამორიცხავდა. სწორედ ამიტომ ძვ. წ. 378 წ. სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმებისთანავე მას ეგეოსის ზღვის სანაპიროებისა და კუნძულების ათეულობით პოლისი შეუერთდა.

მთლიანობაში სამხედრო-პოლიტიკურ კავშირში 70 პოლისი შედიოდა. ეს იყო ძვ. წ. IV ს-ის მსხვილი სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანება, თუმცა არც ისეთი ძლიერი, როგორიც ათენის პირველი საზღვაო კავშირი, რომელიც 200 პოლისს აერთიანებდა. ათენმა სამოკავშირეო საწევროების სახსრებით 100 ტრიერიანი ფლოტი შექმნა, თავისი არმიის რიგები მოქირავნეებით შეავსო და კონტინენტურ საბერძნეთში მნიშვნელოვანი ძალა გახდა. სპარტა ცდილობდა ათენის გაძლიერებას წინ აღდგომოდა. ძვ. წ. 376 წ. ათენის რეამინირებული ფლოტის წინააღმდეგ სპარტამ ძლიერი საზღვაო ესკადრა გაგზავნა, მაგრამ ნაქსოსთან ბრძოლაში სპარტელები სასტიკად დამარცხდნენ. ამ გამარჯვების შემდეგ ათენის ფლოტი ეგეოსის ზღვის ბატონ-პატრონი გახდა და ალიანსს კეფალენია, კერკირა და აკარნანიის პოლისები შეუერთდა. მიუხედავად ამისა, ათენმა აქტიური ექსპანსიონისტური პოლიტიკის გაგრძელება ვერ შეძლო, რადგან მისი ფინანსური ბაზა მაინც მწირი იყო. სპარტასაც ომის წარმოებისათვის საამისო პირობები არ აღმოაჩნდა. ძვ. წ. 371 წ. მეომარმა მხარეებმა საზავო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. ამ ზავის თანახმად, სპარტამ ათენის მეორე საზღვაო კავშირი ოფიციალურად აღიარა.

ძვ. წ. 362 წ. პელოპონესის კავშირის დაშლისა და ბეოტიის დასუსტების შემდეგ, ერთადერთ მსხვილ სამხედრო-პოლიტიკურ გაერთიანებად საბერძნეთში ძვ. წ. IV ს. 60-50-იან წლებში ათენის მეორე საზღვაო კავშირი რჩებოდა. ამჯერად ათენს სერიოზული მოწინააღმდეგე არ ჰყავდა და მისი ადმინისტრაცია კვლავ იმპერიულ პოლიტიკას მიუბრუნდა. მოკავშირე სამოსის, სესტასა და პოტიდეას ტერიტორიებზე რამდენიმე ათასი ათენელი კლერუხები დაასახლეს; ათენელები მოკავშირეებისაგან სანევროების რაოდენობის გაზრდას მოითხოვდნენ, ამიტომ მოკავშირეთა მთელი რიგი სარჩელები ათენის სასამართლოს გადაეცა.

ათენი საგარეო პოლიტიკური კურსის გააქტიურებას შეეცადა, ფლოტი აღადგინეს და ის უკვე 250 ტრიერს ითვლიდა. სამხედრო ფლოტი ეგეოსის ზღვის სხვადასხვა რეგიონში გაიგზავნა. ფლოტის ეკიპაჟის შენახვა კოლოსალურ სახსრებს მოითხოვდა, რაც ათენს, ფაქტობრივად, არ გააჩნდა. ასეთ პირობებში ზოგიერთი ათენელი სტრატეგოსი მოსახლეობის ძარცვას შეუდგა, რამაც მოკავშირეთა უკმაყოფილება გამოიწვია. ათენის იმპერიული პოლიტიკისადმი მოკავშირეთა პროტესტი მალე ე.წ. „მოკავშირეთა ომში“ (357-356 წწ.) გადაიზარდა. ათენის გავლენიანმა მოკავშირეებმა – ხიოსმა, როდოსმა, კოსმა, ბიზანტიონმა და სხვა პოლისებმა სამხედრო ძალების გაერ-

თიანება მოახერხეს, 100 ტრიერიან ძლიერ ფლოტს მოუყარეს თავი და ათენის წინააღმდეგ საბრძოლო ქმედებები დაიწყეს. საბრძოლო ოპერაციები ძირითადად სრუტეებში მიმდინარეობდა, ვინაიდან აქ გადიოდა ათენისათვის სასიცოხლო მნიშვნელობის სავაჭრო გზა შავიზღვისპირეთში. ორი წლის განმავლობაში ათენი ცდილობდა მეამბოხე მოკავშირეთა დამორჩილებას, მაგრამ დამარცხდა. ათენი იძულებული გახდა მოკავშირე პოლისთა ავტონომია ეცნო. ათენის მეორე საზღვაო კავშირმა ფაქტობრივად არსებობა შეწყვიტა. ოფიციალურად ის ძვ. წ. 338 წ. დაიშალა.

ათენის მეორე საზღვაო კავშირის რღვევის შემდეგ განადგურდა ბერძნული პოლისების უკანასკნელი მსხვილი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი, რომლის ფარგლებში შესაძლებელი იყო მშვიდობის უზრუნველყოფა და ეკონომიკურ-კულტურული განვითარება.

ბეოტიის კავშირი. ათენის მეორე საზღვაო კავშირის ფორმირების თანადროულად აღდგა ანტალკიდესეული ზავის პირობებით დაშლილი ბეოტიის კავშირი, ბალკანეთის საბერძნეთის ერთ-ერთი უძლიერესი პოლისის თებეს მეთაურობით. ძვ. წ. 379 წ. თებეს ოლიგარქიული რეჟიმი დაემხო და ხელისუფლების სათავეში პელოპიდასისა და ეპამინონდასის დემოკრატიული დაჯგუფება მოვიდა. ბეოტიის კავშირი მის ყველა პოლისს აერთიანებდა. ალიანსს მართავდა საერთო საბჭო, რომელიც ტერიტორიული ოლქებისა და 11 მაგისტრატ-ბეოტარხებისაგან შედგებოდა. ეს უკანასკნელნი ერთდროულად უმაღლესი სამოქალაქო მაგისტრები და სამხედრო მთავარსარდლები იყვნენ. თებეში მოკავშირეთა სახალხო კრების სხდომები იმართებოდა. ბეოტიის კავშირის ადმინისტრაციამ ძლიერი სამხედრო მანქანა შექმნა. ამ სამხედრო ორგანიზაციის საფუძველი, განსხვავებით დანარჩენი ბერძნული პოლისებისაგან, მოქირავნეები კი არ იყვნენ, არამედ ჰოპლიტებისაგან დაკომპლექტებული სახალხო მოლაშქრენი. მათ ზურგს უმაგრებდა კავალერია, რომელიც საბერძნეთში საუკეთესოდ ითვლებოდა. რჩეული მეომრებისაგან შედგებოდა ე.წ. „საღვთო რაზმი", რომელიც კარგად იყო შეიარაღებული და გაწრთვნილი.

რეამინირებული ბეოტიის კავშირი საკმაოდ დიდ სამხედრო ძალას წარმოადგენდა და სპარტის სერიოზული მოწინააღმდეგე გახდა. ძვ. წ. 378-377 წწ-ში პელოპონესის მრავალრიცხოვანი არმია აგესილაოსის მეთაურობით ბეოტიაში ორჯერ შეიჭრა, მაგრამ თებელთა ძლევა ვერ მოახერხა. ამის შემდეგ, სპარტა იძულებული გახდა თებესათვის თავი დაენებებინა, ვინაიდან სპარტელებს ათენის მეორე საზღვაო კავშირის სახით ახალი მეტოქე გამოუჩნდა და ორივე ფრონტზე საბრძოლო ოპერაციების ჩატარებას ის ვერ შეძლებდა. მაგრამ ძვ. წ. 371 წ. ათენთან სამშვიდობო ხელშეკრულება როგორც კი გააფორმა, სპარტა შეუდგა ბეოტიის საკითხის გადაჭრას.

ძვ. წ. 371 წ. სპარტის 10 ათასიანი რჩეული არმია ბეოტიაში შეიჭრა. ბრძოლა ქალაქ ლევკტრასთან შედგა. ბეოტიელთა არმიის შესანიშნავმა მთავარსარდალმა ეპამინონდასმა უჩვეულო ტაქტიკა აირჩია. მან არმია სოლისებურად განალაგა. მარცხენა ფრთა ცენტრისა და მარჯვენა ფრთის შეთხელების ხარჯზე გააძლიერა. გარდა ამისა, მარცხენა ფრთაზე „საღვთო რაზმი" გადაისროლა. ამგვარი ტაქტიკა სპარტელებისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ბეოტიელთა მარცხენა ფრთამ იოლად დაამარცხა სპარტელთა მარჯვენა ფლანგი და მოწინააღმდეგის ცენტრს შეუტია. სპარტელები დამარცხდნენ.

ლევკტრასთან ბრძოლა ეპამინონდასის მხედართმთავრული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშად ითვლება. მან პირველად ბერძნულ სამხედრო ხელოვნებაში მანამდე სრულიად უცნობი ბრძოლის წარმოების ახლებური პრინციპები შეიმუშავა, რომელიც ერთი საბრძოლო ხაზის გაძლიერებასა და მოწინააღმდეგის ფრონტის ეფექტიან გარღვევაში მდგომარეობდა.

ლევკტრასთან ბრძოლაში სპარტელთა დამარცხებას სერიოზული შედეგები მოჰყვა: ბეოტიის კავშირის პოლიტიკური მნიშვნელობა ძალზე გაიზარდა. კავშირის შემადგენლობაში ევბეის, ფოკიდის, ეტოლიისა და შუა საბერძნეთის მრავალი პოლისი შევიდა. პელოპონესში ანტისპარტული განწყობა ძლიერდებოდა.

სპარტის პოლიტიკური ძლიერების საბოლოო დაძლევის მიზნით, ბეოტიელებმა პელოპონესი არაერთგზის დალაშქრეს. ბეოტიელთა ექსპანსიას შორსმიმავალი მიზნები ამოძრავებდა. თებელები ცდილობდნენ პელოპონესში ანტისპარტანული მოძრაობა გაეაქტიურებინათ და პელოპონესის კავშირი დაეშალათ. ეს მიზნები მიღწეულ იქნა: ბეოტიელებისაგან ბლოკირებულმა სპარტამ განდგომილი მოკავშირეების მიმართ რაიმე ქმედებების განხორციელება ვერ შეძლო. პელოპონესის კავშირი დატოვა მესენიამ, სადაც სპარტიატების მატერიალური კეთილდღეობის წყარო ჰოპლიტური მეურნეობა ფუნქციონირებდა.

არკადიის მიკროპოლისები არკადიის კავშირში გაერთიანდა. მისი ცენტრი მეგაპოლისი გახდა. პელოპონესის პოლისების ეს გაერთიანება, რომელიც მანამდე პელოპონესის ალიანსში შედიოდა, ამჯერად სპარტას დაუპირისპირდა. პელოპონესის კავშირი, რომელიც ორი საუკუნე არსებობდა, დაშლის პირას იდგა. მეტიც, თვით სპარტასაც განადგურება ემუქრებოდა. სპარტას ძალისხმევის მობილიზება დასჭირდა, რათა გადარჩენილიყო. სპარტელებმა გადაწყვიტეს გაძლიერების გზაზე მდგარი ბეოტიისა და ათენს შორის დაპირისპირებით ესარგებლათ. ათენელებს და თესალიელებსაც თებეს ჰეგემონია არ სურდათ და ამიტომ სპარტის სრულ განადგურებას არ დაუშვებდნენ. ასეთ რთულ და გადამწყვეტ ბრძოლაში სპარსეთიც ჩაერია. მათი დახმარებით სპარტამ ბეოტიელების ნეიტრალიზება შეძლო. სპარტამ მოქნილი დიპლომატიით არკადიის კავშირში გაერთიანებული სამხრეთისა და ჩრდილოეთის პოლისებს შორის დაპირისპირებაც მოახერხა.

სპარტელებმა არმიის რიგები ჰილოტებით შეავსეს და გააძლიერეს. ბეოტიელებს სპარსელთა ძლიერების აღდგენა არ უნდა დაეშვათ. ძვ. წ. 362 წ. ეპამინონდასის მეთაურობით 30 ათასიანი ჰოპლიტებისა და 3 ათასიანი კავალერიით ბეოტიელები პელოპონესში შეიჭრნენ. ბრძოლა ქალაქ მანტინეასთან მოხდა, რომელიც საბერძნეთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო შეუპოვარი და სისხლისმღვრელი ომი იყო. სპარტელები, რომლებიც 1/3-ით ნაკლები იყვნენ, ვიდრე ბეოტიელები გმირულად იბრძოდნენ, მაგრამ დამარცხდნენ. ბეოტიელებს ეს გამარჯვება საკმაოდ ძვირად დაუჯდათ. მრავალი მეომარი დაკარგეს, ბრძოლაში ეპამინონდასიც დაიღუპა. ბეოტიელები იმდენად იყვნენ დაუძლურებულნი, რომ წარმატების განვითარებაზე არც ფიქრობდნენ. ისინი იძულებულნი გახდნენ პელოპონესი დაეტოვებინათ და სამხედრო-პოლიტიკური აქტიურობაც შეენელებინათ. ბეოტიის კავშირი ფუნქციონირებას განაგრძობდა, მაგრამ მას შუა საბერძნეთის მრავალი პოლისი განუდგა და საერთობერძნულ პოლიტიკაში მისი როლიც შემცირდა.

სპარტამ მასირებულ დარტყმებს გაუძლო, მაგრამ მისი ალიანსი დაიშალა და ამიერიდან ის პელოპონესის ჩვეულებრივი, მეორეხარისხოვანი პოლისი გახდა.

პელოპონესის, ბეოტიისა და ათენის მეორე საზღვაო ალიანსების დაშლის შემდეგ, ძვ. წ. IV ს-ის შუა ხანებში, ბალკანეთის საბერძნეთი სხვადასხვა სიდიდის მრავალრიცხოვანი პოლისებისაგან შედგებოდა და ნებისმიერ მომენტში შეიძლებოდა მათ შორის სამხედრო კონფლიქტი გაჩაღებულიყო. საბერძნეთში არსებული პოლიტიკური ქაოსით მარჯვედ სარგებლობდა სპარსეთის მეფე და მისი მცირეაზიელი სატრაპები, რომლებიც პოლისების საქმეებში აქტიურად ერეოდნენ, რაც გავლენიანი ბერძენი პოლიტიკოსების შეშფოთებას ინვევდა. ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევრის საბერძნეთის სიტუაციას ნათლად აღწერდა ბერძენი ორატორი ისოკრატე: „მეკობრეები ზღვას დაეპატრონენ, მოქირავნეებმა ქალაქები დაიკავეს, ხოლო მოქალაქეები იმის მაგივრად, რომ თავიანთი სამშობლოს მტრებს შეებრძოლონ, ერთმანეთში ომობენ“ (IV, 37 1).

ბერძენი მოაზროვნეები საყოველთაო კრიზისისაგან თავის დაღწევის ოპტიმალურ გზებს ეძებდნენ. როგორც აღინიშნა, პლატონი და არისტოტელე პოლისებს შიდა სტრუქტურების სერიოზული რეფორმების გატარებისაკენ მოუწოდებნენ. განსხვავებული მოსაზრებაც არსებობდა. ასე მაგალითად, ისოკრატეს მიხედვით, კრიზისული ვითარების დაძლევა საბერძნეთის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებით იყო შესაძელებელი. აგრეთვე ამ ფუნქციის შესრულება მხოლოდ მაკედონიას ძალუძდა, ვინაიდან ძვ. წ. IV ს-ის შუა ხანებში სწორედ ის იყო ყველაზე განვითარებული, ძლიერი და კეთილმოწყობილი სახელმწიფო, რომელიც საბერძნეთში ჰეგემონიაზე პრეტენზიას აცხადებდა.

პოლისური სისტემის კრიზისის მიუხედავად, ელინისტურ ეპოქაშიც კი პოლისი მაინც ინარჩუნებდა ისტორიული კონტინუიტეტის არსებით ელემენტებს, რომლებსაც საფუძველი კლასიკურ პერიოდში ჩაეყარა. ამის ერთ-ერთ მკაფიო ილუსტრაციას აქეისა და ეტოლიის კავშირები ნარმოადგენდა.

აქეისა და ეტოლიის ალიანსები. ეტოლიის კავშირი ჯერ კიდევ კლასიკურ ეპოქაში, დაახლოებით ძვ. წ. 367 წ. ჩამოყალიბდა, მაგრამ ის ამ დროს ჩვეულებრივი ტომობრივი გაერთიანება იყო, ვინაიდან ეტოლია ელადის ჩამორჩენილ მხარედ ითვლებოდა. კავშირის ცენტრი იყო სოფელი თერგა, სადაც საერთოეტოლიური სალოცავი მდებარეობდა. ეტოლიელები ცენტრალური საბერძნეთის მნიშვნელოვან ნაწილს აკონტროლებდნენ. მათ დაქვემდებარებაში დელფოსიც აღმოჩნდა. საბერძნეთში კელტების შემოსევის დროს ეტოლიელებმა დელფოსის შენარჩუნება შეძლეს, რითაც მათი პრესტიჟი ამაღლდა. კავშირის შემადგენლობაში ბეოტია და თესალიის ზოგიერთი პოლისი შევიდა.

ეტოლიის კავშირში ჩართული იყო საკუთრივ ეტოლია, საბერძნეთის ცენტრალური რეგიონები და მრავალრიცხოვანი პოლისები. ალიანსმა პოლისებს „ასილია“ უბოძა, ე.ი. გარანტია იმისა, რომ მათი ტერიტორიები ეტოლიელი მეკობრეების ძარცვის ობიექტი არ გახდებოდა, სამაგიეროდ ეტოლიელები ამ პოლისებისაგან გარკვეულ პრივილეგიებს მიიღებდნენ.

კავშირის უმაღლესი ორგანო სახალხო კრება იყო და წელიწადში ორჯერ იკრიბებოდა. ექსტრემალურ სიტუაციაში საგანგებო სხდომებს იწვევდნენ. სახალხო კრებაზე საკავშირო კანონმდებლობის, ომისა და ზავის საკითხები განიხილებოდა. სა-

ხალხო კრების მუშაობაში ეტოლიის ყველა მოქალაქე მონაწილეობდა. კავშირის ერთ-ერთი მთავარი ორგანო იყო ასევე ბულე, რომელიც სატომო ტერიტორიებისა და პოლისების წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. ბულე თავდაპირველად 550 წევრს ითვლიდა, მოგვიანებით – 1000-ს. აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური იყო სტრატეგოსი, მეორე მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა ჰიპარქოსი, შემდეგ მდივანი და შვიდი ხაზინადარი. აღნიშნულ მაგისტრატებს ყოველწლიურად სახალხო კრება ირჩევდა.

სახალხო კრებისა და ბულეს რეგულარული სხდომების ჩატარება პრაქტიკულად ვერ ხერხდებოდა. ამიტომ შეიქმნა აპოკლეტოსების სპეციალური კომისია, რომელსაც კავშირის ყოველდღიური საქმიანობის ხელმძღვანელობა დაეკისრა. კომისია მნიშვნელოვან უფლებამოსილებას ფლობდა. მას შეეძლო უცხოეთის სახელმწიფოებთან მოლაპარაკებები დამოუკიდებლად ეწარმოებინა, არმიისათვის ბრძანებები გაეცა. კომისიის სხდომები მუდამ დახურულად მიმდინარეობდა. ეტოლიაში მალე დემოკრატიული მმართველობა ოლიგარქიულმა რეჟიმმა შეცვალა. პარალელურად სოციალური დიფერენციაციის პროცესი მიმდინარეობდა ძვ. წ. III ს-ის ბოლოს ღარიბ მოვალეთა რიცხვი ძალზე გაიზარდა. სტრატეგოსმა სკოპასმა ვალების გაუქმება გადაწყვიტა, მაგრამ მდიდარი მოქალაქეებისაგან წინააღმდეგობას წაანყდა და იძულებული გახდა ეტოლიიდან გაქცეულიყო.

აქეის კავშირი ჯერ კიდევ კლასიკურ ეპოქაში შეიქმნა, მაგრამ დიადოხოსების ომის დროს დაიშალა. კავშირი ძვ. წ. 281-280 წწ-ში კვლავ აღდგა. თავდაპირველად მის ძირითად ბირთვს წარმოადგენდა აქაია, რომელიც ჩრდილოეთ პელოპონესის ჩამორჩენილი მხარე იყო. ძვ. წ. III ს-ში, აქეის კავშირის ძლიერების პერიოდში, მისი წევრები ისეთი მსხვილი პოლისები გახდა, როგორებიც იყო არგოსი, კორინთო, სიკიონი, მეგარა და მეგაპოლისი. კავშირის საზღვრების გაფართოება მაკედონიასა და პელოპონესის ტირანულ რეჟიმთან ბრძოლის ფონზე მიმდინარეობდა. ძვ. წ. 275 წ. ეგიონის მოქალაქეებმა მაკედონიის გარნიზონი გააძევეს და კავშირში შევიდნენ. ეგიონი აქეის კავშირის დედაქალაქი გახდა. ძვ. წ. 251 წ. აქეის კავშირმა სიკიონი დაიკავა, ხოლო 243 წ. აკროკორინთოსი და მეგარა. ძვ. წ. 229 წ. არგოსი დაიპყრეს. აქეის კავშირში, გარდა სპარტისა, მთელი პელოპონესი იქნა ჩართული.

აქეის კავშირის უმაღლესი ორგანო სინოდი ანუ სახალხო კრება იყო. აქ განიხილებოდა ომისა და ზავის საკითხები, ირჩეოდა მაგისტრატები. მთავარ ორგანოს წარმოადგენდა ბულე, რომელიც რამდენიმე ათეული წევრისაგან შედგებოდა. ის პროპორციული პრინციპით კომპლექტდებოდა. აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურად ითვლებოდა სტრატეგოსი, რომელსაც ერთი წლით ირჩევდნენ. მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ ასევე ნავარხოსი, მდივანი, დემიურგების ათკაციანი კოლეგია, რომელიც საგარეო პოლიტიკის საკითხებს განაგებდა.

დიდი ბერძენი ისტორიკოსი და აქეის კავშირის პატრიოტი პოლიბიოსი ხსენებულ ალიანსს წარმოგვიდგენს, როგორც თავისუფლებისა და დემოკრატიის სიმბოლოდ, მაგრამ სინამდვილეში კავშირი პელოპონესის ქალაქების შეძლებული ფენების ინტერესების დამცველი იყო. ღარიბ მოქალაქეებს სახალხო კრებაში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ. დემიურგების საბჭო და მაღალი თანამდებობის პირები ზოგჯერ საიდუმლოდ თათბირობდნენ.

სახალხო კრების რეგულარული სხდომების გამართვა შეუძლებელი გახდა და მან, ფაქტობრივად, ფუნქციონირება შენყვიტა. მხოლოდ საგანგებო სინკლიტებს, სხდომებს იწვევდნენ. კავშირის მაგისტრატებს ბულე ირჩევდა.

აქეის კავშირი საკმაოდ უჩვეულო სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანება იყო. აქ მუდამ შეინიშნებოდა კავშირის წევრ პოლისთა შორის ხან განცალკევების და ზოგჯერ ერთიანობის ტენდენციები. ერთობის ტენდენცია მჟღავნდებოდა იმაში, რომ ცალკეული პოლისის მოქალაქეები საკავშირო მოქალაქეებადაც ითვლებოდნენ. მთელ რიგ პოლისებში საკავშირო არმიის შენაერთები იდგა, კავშირის ტერიტორია ადმინისტრაციულ რეგიონებად დაიყო, ფუნქციონირებდა საკავშირო ხაზინა და ერთიანი სამონეტო სისტემა, ამავე დროს განცალკევების ტენდენციაც საკმაოდ ძლიერი იყო. კავშირში შემავალი ძველი პოლისები ავტონომიას ინარჩუნებდა. ინდივიდუალური პოლისების მოქალაქეობის სტატუსიც შენარჩუნებულ იქნა. პოლისის მოქალაქეს სხვა მოკავშირე პოლისში ქორწინებისა და მიწის ნაკვეთის შეძენის უფლება ჰქონდა, მაგრამ პოლიტიკური პრივილიგიებით არ სარგებლობდა. კავშირის არმია ჩვეულებრივი პოლისური სახალხო ლაშქრისაგან შედგებოდა; ზოგიერთი პოლისი საკუთარ მონეტასაც ჭრიდა; ამასთან, მრავალი პოლისი, განსაკუთრებით კრიტიკულ მომენტში, დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა.

აქეის კავშირი, მიუხედავად სამხედრო ძლიერებისა, როგორც ჩანს, დუნე, არამყარ გაერთიანებად რჩებოდა. კავშირის დუალისტურმა პოლიტიკამ ის მწვავე კრიზისის ზღვრამდე მიიყვანა. მაგრამ ამ უკანასკნელებისაგან განსხვავებით ელინისტური პერიოდის ალიანსებს ჰეგემონი პოლისი არ ჰყავდა და კავშირის წევრები ავტონომიით სარგებლობდნენ. ამრიგად, ელინისტური ეპოქის სამხედრო-პოლიტიკური ალიანსები სტრუქტურულად კლასიკური ეპოქის კავშირების იდენტურ გაერთიანებებს წარმოადგენდა. დაბოლოს, კლასიკური ხანისა და ელინისტური ეპოქის სამხედრო-პოლიტიკურმა კავშირებმა ვერ შეძლეს ბერძნულ პოლისებში ვითარების სტაბილიზირება, პოლისთა შორის ომების შეჩერება და, რაც მთავარია, მათ საბერძნეთის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაცია ვერ მოახერხეს.

პოლისური დაპირისპირებები კიდევ უფრო გამწვავდა ძვ. წ. III-II სს-ში, როდესაც სპარტა, აგისისა და კლეომენის წარმატებული რეფორმების გატარების შემდეგ, კვლავ გაძლიერდა და საბერძნეთში ჰეგემონიის აღდგენას შეეცადა. ძვ. წ. 228 წ. სპარტის მეფემ კლეომენემ ათენის კავშირის საჯარისო შენაერთები სასტიკად დაამარცხა. ამის შემდეგაც კლეომენემ აქეელებს არაერთი დამარცხება აგემა. გადაწყდა, რომ სპარტა და აქეის კავშირი გაერთიანებულიყო და კავშირის სტრატეგოსად კლეომენე აერჩიათ. მაგრამ აქეის კავშირის უცვლელმა მეთაურმა არატემ მაკედონელებს ნება დართო კავშირის სტრატეგიულ პუნქტებში გარნიზონები ჩაეყენებინათ, რითაც მთელი საბერძნეთი მაკედონიის კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა. არატეს ასეთმა ქმედებამ მოკავშირეთა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. ეს მოხერხებულად გამოიყენა კლეომენემ და აქეის კავშირს ძლიერი დარტყმაც მიაყენა. მან არგოსი და კორინთო დაიკავა, მაგრამ პელოპონესში მაკედონელთა არმიის გამოჩენამ სიტუაცია მკვეთრად შეცვალა. მაკედონელებმა არგოსი და კორინთო კვლავ დაიბრუნეს.

კლეომენეს პოლიტიკამ პელოპონესის პოლისების ღარიბ მოსახლეობას იმედები გაუცრუა და სწორედ ამან შეიწირა კიდეც საბოლოოდ მეფე-რეფორმატორი. საქმე იმაშია, რომ კლეომენესეული რეფორმის მიზანი არსებითად იყო სპარტის სამხედრო

მანქანის გაძლიერება და მისი ჰეგემონიის აღდგენა საბერძნეთში ან პელოპონესში მაინც, თუმცა სპარტის პოლიტიკამ პელოპონესში ზოგიერთი პოლისის მოსახლეობის გამოღვიძება გამოიწვია. ღარიბი მოქალაქეები ოცნებობდნენ სპარტის მსგავსად რეფორმების გატარებაზე და ამიტომ კლეომენეს მიემხრნენ. მაგრამ, როგორც არგოსის მაგალითმა უჩვენა, კლეომენე არ ცდილობდა ანალოგიური რეფორმების გატარებას, რის გამოც მან ხალხის მასების მხარდაჭერა დაკარგა.

კლეომენე პტოლემაიოსების დახმარების იმედად რჩებოდა. ეგვიპტე მაკედონელების საპირისპიროდ აქეის კავშირს უჭერდა მხარს, მაგრამ მაკედონიასთან აქეის კავშირმა სპარტა პტოლემაიოსების მოკავშირედ გახადა. ეგვიპტის დახმარება სპარტისადმი უმნიშვნელო იყო, რადგან პტოლემაიოსი ანტიგონესთან საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდა და მას სპარტა მაკედონიაზე ზეწოლისათვის სჭირდებოდა. უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილმა კლეომენემ 2000 ჰილოტის განთავისუფლებისათვის აღებული თანხა არმიის შევსებასა და გადაიარაღებას მოახმარა, მაგრამ მასების კომპენსირება მაინც ვერ მოხერხდა და კლეომენემ ბრძოლის მეთოდები შეცვალა. მან ჯერ მეგალოპოლისი გაანადგურა, ხოლო შემდეგ, როგორც პლუტარქე აღნიშნავდა: „ააოხრა და უმოწყალოდ გაძარცვა არგოსი", რამაც პელოპონესის მოსახლეობა კიდევ უფრო აღაშფოთა. ეპიზოდურმა თავდასხმებმა შედეგი რომ ვერ გამოიღო, კლეომენემ გადაწყვიტა მაკედონელებთან გენერალურ ბრძოლაში ეცადა ბედი, მაგრამ ძვ. წ. 221 წ. სალასიასთან ბრძოლაში კლეომენე მაკედონელებთან დამარცხდა. სპარტელთა მეფე ეგვიპტეში გაიქცა. აქ მან პტოლემაიოსის წინააღმდეგ შეთქმულებაში მიიღო მონაწილეობა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ანტიგონემ სპარტა დაიკავა და კლეომენეს რეფორმები გააუქმა. სპარტაში მაკედონური გარნიზონი ჩადგა, სპარტა ჩართულ იქნა ახალ ელინურ კავშირში, სადაც აქაიაც შევიდა. კავშირის ჰეგემონი მაკედონიის მეფე გახდა.

ძვ. წ. 206 წ. სპარტის მეფე ნაბისი გახდა. ნაბისის პოლიტიკის მიზანიც სპარტის ძლიერების აღდგენა და პელოპონესში მისი ჰეგემონობის დამყარება იყო. ნაბისმა შეუდარებელი დიპლომატიური და სამხედრო თვისებები გამოავლინა. თავდაპირველად ნაბისი რომაელებს დაუზავდა, მაგრამ მოგვიანებით რომაელებმა მხარი დაუჭირეს აქეის კავშირს და ნაბისი დაამარცხეს: ძვ. წ. 192 წ. ნაბისი მუხანათურად მოკლეს.

დაბოლოს, კლეომენესა და ნაბისის მცდელობა სპარტაში „ლიკურგოსისეული წყობის" რესტავრაციისა ახალ ვითარებაში აშკარა ანაქრონიზმი იყო. ძვ. წ. 146 წლიდან სპარტა რომის პროვინცია გახდა.

IX. პოლისური სისტემის კრიზისი

ძვ. წ. IV საუკუნიდან ელინური პოლისის ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება. ერთ დროს ჰარმონიული, დინამიკური და პროგრესული პოლისური სისტემა ღრმა კრიზისში აღმოჩნდა. ეს პროცესი ათენში მკაფიოდ შეიმჩნეოდა. როგორც აღინიშნა, ძვ. წ. V ს-ის შუა ხანებში ატიკური მრეწველობის ძირითადი სფერო ხელოსნობა იყო. ამავე დროს ტრანსფორმირდება საწარმოო ურთიერთობათა ხასიათიც. მცირე საწარმოები კონკურენციას ვერ უძლებს და კოტრდება. სამაგიეროდ მსხვილი ერგასტერიონების როლი თანდათანობით იზრდება. არისტოფანეს დროს ათენში თუ მცირე მეწარმეები ჯერ კიდევ საკმაოდ მრავალრიცხოვანი სახით იყვნენ წარმოდგენილნი, V ს-ის დასასრულისათვის მათი რიცხვი მკვეთრად მცირდება. ნიშანდობლივია, რომ ძვ. წ. V-IV სს-ში ათენის გავლენიანი პოლიტიკოსები და კულტურის მოღვაწენი მსხვილი ერგასტერიონების მფლობელები იყვნენ: კლეონს ტყავეულის სახელოსნო ჰქონდა (Ar., Eq., 44), ჰიპერბოლეს – ჭრაქების (Ar., Pax., 690), სოფოკლეს მამას – ლითონსადნობის (Vita Soph., 126), ლისიასს – ფარების სახელოსნო (Lgs., Orr., XII, 8; 19), ისოკრატეს მამას – ფლეიტების (Zos., 253, 1), დემოსთენეს – საბრძოლო იარაღების სახელოსნო (Dem., Orr., XXVII, 9, 816).

კლასიკურ პერიოდში თუ მიწის ყიდვა-გაყიდვა კანონით შეზღუდული იყო, უკვე ძვ. წ. IV ს-ში, სასაქონლო ურთიერთობის განვითარების შედეგად, ეს პროცესი ინტენსიური ხდება. მრავალი მიწის მესაკუთრე კარგავს ან არენდით გასცემს საკუთარ მიწის ნაკვეთს და შემოსავლის წყაროს ქალაქში ეძებს. მათი მიწის ნაკვეთები ან კრედიტორების განკარგულებაში გადადიოდა, ან ჩალის ფასად იყიდებოდა. გამონთავისუფლებული ტერიტორიები სპეკულაციის ობიექტი ხდებოდა. მცირე და მსხვილ მეურნეობებს შორის კონკურენცია მიწების კონცენტრაციით დამთავრდა. ნაყოფიერი მიწების დიდი ნაწილი მესაკუთრეთა მცირე ჯგუფის ხელში აღმოჩნდა, რამაც ატიკის მოსახლეობის საშუალო ფენის, ძევგიტური მეურნეობის რიცხვი მკვეთრად შეამცირა. ძევგიტების ფენა, რომელიც კლასიკურ პერიოდში ჰოპლიტური არმიის ძირითად კონტინგენტს შეადგენდა, ძვ. წ. IV ს-ში 5 ათას კაცს არ აღემატებოდა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ათენის გავლენიანი პოლიტიკოსები ძევგიტების 3 ათას კაცამდე შემცირებას მოითხოვდნენ. უმიწოდ დარჩენილ მოქალაქეთა რიცხვი კონსერვატიულ სპარტაში კატასტროფულად გაიზარდა. აქ მიწისმფლობელი სპარტელების რაოდენობა ძვ. წ. V ს-ში 5 ათასამდე შემცირდა, ხოლო IV ს-ში 1,5 ათასამდე დავიდა. ანალოგიური პროცესები მიმდინარეობდა ასევე ბეოტიაში, თესალიაში და საბერძნეთის დანარჩენ პოლისებშიც. საშუალო ფენის შემცირების, მისი გაკოტრების შედეგად ერთ დროს მყარი და მონოლითური სამოქალაქო საზოგადოება დაირღვა და საბოლოოდ ჩამოიშალა კიდეც, რამაც პოლისური სისტემის კრიზისი საგრძნობლად გააღრმავა.

პოლისური სისტემის კრიზისის თანამედროვე არისტოტელე მიანიშნებდა, რომ „პოლისი, რომელიც უფრო საშუალო ფენას ემყარებოდა, ვიდრე მდიდრებს დემოკრატიას უახლოვდება და ის უფრო მყარია" (Pol., II, 373, 9). თანამედროვე დემოკრატიულ ქვეყნებშიც სახელმწიფო უპირატესად საშუალო ფენას ემყარება, ვინაიდან

მის გარეშე სამოქალაქო საზოგადოება ვერ შედგება. აქედან გამომდინარე, პოლისური სისტემის კრიზისის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად სწორედ საშუალო ფენის დეგრადაცია მიგვაჩნია.

ძვ. წ. IV საუკუნიდან ატიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხასიათიც შეიცვალა: მარცვლეული კულტურა ადგილს უთმობს პერიფერიულ სოფლის მეურნეობის ტიპურ დარგებს – მევენახეობას, მებაღეობასა და ზეთისხილის წარმოებას. სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციამ გლეხობის ექსპროპრიაციის პროცესი დააჩქარა. ანალოგიური პროცესები მიმდინარეობდა ასევე კორინთოში, მეგარაში, სიკიონში და მათი მსგავსი სავაჭრო-სამრეწველო ტიპის პოლისებში.

ძვ. წ. V ს-ის დასასრულამდე აღნიშნული პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობდა და შეუმჩნეველიც კი იყო, ხოლო პელოპონესის ომმა ატიკელი გლეხობის პაუპერიზაციის პროცესი კიდევ უფრო გააღრმავა. ხანგრძლივმა, 27 წლიანმა ომმა სამეურნეო ცხოვრების ნორმალური რიტმი დაარღვია, გლეხობა მიწას მოსწყდა, სავარგულები გაანადგურა და მოქალაქეთა დიდმა ნაწილმა მიწა დაკარგა. განსაკუთრებით მწვავედ მიმდინარეობდა ეს პროცესი ატიკაში. პელოპონესის ომის პირველივე წლებში ატიკელი გლეხობა იძულებული გახდა საკარმიდამო ნაკვეთი მიეტოვებინა და ქალაქში გახიზნულიყო. ძვ. წ. 430 წლიდან ლაკელემონელთა თავდასხმები ატიკაში თითქმის ყოველ წელს მეორდებოდა, მაგრამ როდესაც ათენელები სპარტელებს სპაქტერიასთან ბრძოლაში დატყვევებული თანაქალაქელების სიკვდილით დასჯით დაემუქრნენ, მაშინ სპარტელები იძულებულნი გახდნენ ასეთი შესევები დროებით შეეწყვიტათ. ამის შემდეგ ქალაქში თავშეფარებულ გლეხობას სოფელში დაბრუნების შესაძლებლობა მიეცა, მაგრამ ბევრმა მათგანმა დანგრეული მეურნეობის აღდგენა ვერ შეძლო და მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ატიკელი გლეხების გაკოტრების პროცესი პელოპონესის ომის მეორე ნახევარშიც გაგრძელდა. დეკელეიაში პოზიციების გამაგრების შემდეგ სპარტელებმა ატიკის აოხრება გააგრძელეს. საერთოდ კი ამ უცნაურმა ომმა ათენის პოლისის კოლოსალური მატერიალურ-ტექნიკური სახსრები და ხალხთა რესურსი შეიწირა. ათენმა ომის პირველივე წლებში ათი ათასი ტალანტი დახარჯა, რასაც ის მთელი ორი ათეული წლის განმავლობაში აგროვებდა; შავი ჭირის ეპიდემიისაგან ათენის მოსახლეობის მეოთხედი დაიღუპა. დელიასის ბრძოლაში ათენელებმა სამი ათასი მეომარი დაკარგეს, ხოლო სიცილიაში 10 ათასი ჰოპლიტი და 30 ათასი მენიჩბე, მსუბუქად შეიარაღებული მეომარი და მეზღვაური დაიღუპა.

მეტოიკოსები ათენელი ღარიბი და საშუალო შეძლების მოსახლეობის გაკოტრებით მდიდრდებოდნენ, რომლებიც მართალია მოქალაქეობის უფლებებით არ სარგებლობდნენ, მაგრამ ერგასტერიონებისა და ტრაპეზების მფლობელები იყვნენ. ზოგიერთი მათგანი მინის მესაკუთრეც გახდა, რამაც პოლისის ტრადიციული ეკონომიკური პრინციპები დაარღვია. ისინი ათენის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ, თუმცა მეტოიკოსთა აქტივობამ პოლისური სტრუქტურების დეფორმაცია გამოიწვია.

აღნიშნულმა პროცესებმა არსებითად შეცვალა ათენის სახელმწიფო პოლიტიკა. არქაულ და კლასიკურ პერიოდში თუ ათენის პოლის-სახელმწიფოს განაგებდნენ მიწისმესაკუთრე „ზომიერი“ დემოკრატები, ძვ. წ. IV საუკუნიდან ხელისუფლების სათავეში არამიწისმესაკუთრე, მდიდარი მეწარმეებისა და ვაჭრებისაგან დაკომპლექტე-

ბული „რადიკალი“ დემოკრატები აღმოჩნდნენ. ცხადია, ეს ფენა ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებას ხელს შეუწყობდა, ვინაიდან მისთვის ეს შემოსავლის ძირითადი წყარო იყო. ამიერიდან პოლისი, რომელიც ტრადიციულად მიწისმფლობელი მოქალაქეების ცენტრს წარმოადგენდა, ხელოსნებსა და ვაჭრებს იზიდავდა. პოლისის სტრუქტურა. მრეწველობასა და ფულად-სასაქონლო სისტემას შეეგუა. წარმოებასა და ვაჭრობის სფეროში ათენის მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი იყო დასაქმებული. ნიშანდობლივია, რომ პერიკლემდე ათენის გავლენიანი პოლიტიკოსები მიწისმფლობელები იყვნენ, ხოლო მოგვიანებით მრეწველები. რასაკვირველია, აღნიშნული პროცესები პოლისის ბედზე სერიოზულ ზეგავლენას ახდენდა და მისი ტრადიციული სტრუქტურების დეფორმაციას ინვევდა.

პელოპონესის ომის დასასრულს პოლისური სისტემის კრიზისმა კონსერვატიული სპარტაც მოიცვა, თუმცა აქ ეს პროცესი განსხვავებული გზით წარიმართა. მართალია, სპარტელები სამეწარმეო საქმიანობაში პირადად არ იყვნენ ჩართულნი, მაგრამ მიწების კონცენტრაციისა და მოქალაქეთა მასიური გაღატაკების პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობდა. სპარტაში მიწისმუშაკთა მოწყვეტა თავიანთი მამულისაგან კატასტროფული შედეგებით არ დასრულებულა, როგორც ამას ატიკაში ჰქონდა ადგილი, რადგანაც მინას ამუშავებდნენ ჰილოტები, რომლებსაც პირადი მეურნეობა გააჩნდათ და მათ საქმიანობაში სპარტიატები არ ერეოდნენ. პელოპონესის ომს ასევე სპარტისთვის სერიოზული ზიანი არ მიუყენებია. მართალია, ომის პირველ წლებში ათენელები რეგულარულად თავს ესხმოდნენ სპარტის სანაპიროებს და მისი მდიდარი პროვინცია მესენიაც ათენელების პერმანენტული ლაშქრობებისას საკმაოდ დაზარალდა, მაგრამ ათენთან შედარებით სპარტას ომმა ნაკლები ზიანი მიაყენა.

ძვ. წ. IV საუკუნიდან სპარტის ტრადიციული ცხოვრების რიტმი დაირღვა და აქ ფულად-სასაქონლო ურთიერთობის პროცესი დაიწყო, რაც სპარტის ეკონომიკისათვის სრულიად უჩვეულო იყო. სპარტაში გაჩნდა ახალი, მანამდე უცნობი ოლიგარქიულ-პლუტოკრატიული ელიტა, რომელთა ხელში დიდი ქონება აღმოჩნდა. პელოპონესის ომის ბოლო წლებში ელიტა ლისანდრეს მეთაურობით ხელში იგდებს ძალაუფლებას და მას ომის დამთავრებამდე ინარჩუნებს. ლისანდრე სპარტაში რადიკალური რეფორმების გატარებას შეეცადა. მისი ძირითადი მიზანი მეფობის გაუქმება იყო (Arist., Pol., V, I, 1301^{B}). ლისანდრეს პოლიტიკაში, ეფიქრობთ, შერწყმული იყო სპარტის ინტერესების დაცვა და პირადი ძალაუფლების უზრუნველყოფის ტენდენციები, რაც ტრადიციული სპარტანული პოლიტიკით და ავტორიტარიზმით იყო განპირობებული. ლისანდრეს როლი სპარტის იმპერიის ფორმირებაში მნიშვნელოვანია და ის ამ გამოჩენილი პოლიტიკოსის ავტორიტეტს ეფუძნებოდა. კონსერვატიულ სპარტას არ აღმოაჩნდა უნარი სტრუქტურულ-ორგანიზაციული ამოცანები გადაეწყვიტა და მისი ჰეგემონია, რომელიც სამხედრო ძალას ემყარებოდა კრახისათვის იყო განწირული. ლისანდრეს მცდელობა სპარტის ადმინისტრაციის კონსერვატიული ძალების წინააღმდეგობას წააწყდა და მარცხით დასრულდა. ლისანდრეს მემკვიდრე აგისელაოსი კი ექსპანსიონისტური და კონსერვატიული პოლიტიკური კურსის ერთდროულად გატარებას შეუდგა, რასაც ვითარების გარკვეული სტაბილიზაცია მოჰყვა, მაგრამ კრიზისი მაინც ვერ შეაჩერა. კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდა მას შემდეგ, როდესაც ძვ. წ. 400 წ. ეფორმა ეპიდატესმა სპეციალური კანონი გამოსცა, რომელმაც მოქალაქეებს

უძრავი ქონების გასხვისებისა და მემკვიდრეობით გადაცემის ნება დართო. რეფორმებმა მოქალაქეთა ერთი ჯგუფის გაკოტრების პროცესი სწრაფად განავითარა.

კერძო საკუთრების გადანაწილებამ სოციალური კონფლიქტი გამოიწვია. მმართველი ოლიგარქოსების წინააღმდეგ სხვადასხვა სოციალური ძალები გაერთიანდნენ. ესენი იყვნენ მდიდარი, მაგრამ უუფლებო პერიეკოსები, გაკოტრებული სპარტიატები, ჰიპომეიონოსები და ჰილოტები. ძვ. წ. 399 წ. ხდება კინადონისის შეთქმულება, რომელიც მარცხით დასრულდა. ამავე დროს, პავსანიას II-მ წარმოადგინა რეფორმების პროექტი, რომელსაც კლეროსების თანასწორად გადანაწილების ტრადიციული პრინციპი უნდა აღედგინა, მაგრამ ამგვარმა აქტებმა სპარტანული სოციუმის სოციალური გრადაციის, მისი დაშლის პროცესი მაინც ვერ შეაჩერა. ეს პროცესი ძვ. წ. IV ს-შიც გაგრძელდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც სპარტამ ჰეგემონია დაკარგა ელადაში.

აღსანიშნავია, რომ სპარტაში მიწების კონცენტრაციისა და ფულად-სასაქონლო ურთიერთობების პროცესი გვიან დაიწყო, ვიდრე ათენში, მაგრამ ის უფრო ინტენსიურად წარიმართა, ვინაიდან ათენში თუ აღნიშნული პროცესი ეტაპობრივად ვითარდებოდა, სპარტაში კი ერთდროულად მოხდა. მიუხედავად ამისა, სპარტის კონსერვატიულმა ეკონომიკურმა სისტემამ განვითარებულ ფულად-სასაქონლო ურთიერთობასთან ინტეგრირება და ადაპტირება ვერ შეძლო, რამაც სპარტაში ძვ. წ. IV საუკუნიდან მწვავე ხასიათის ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია. ამავე დროს, სპარტაში სოციალური კონფრონტაციაც გამწვავდა. ძვ. წ. III ს-ში სპარტა სოციალური მოძრაობების, გვიანდელი ტირანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი ხდება. ამის მკაფიო ილუსტრაციაა სპარტის მეფე-რეფორმატორების აგისისა და კლეომენეს მოძრაობა ანდა მახანიდესისა და ნაბისის ტირანია, რომლებიც სპარტაში, უპირატესად, სოციალური ვითარების ნორმალიზებას ითვალისწინებდნენ. მიუხედავად ამგვარი მცდელობებისა, სპარტაში რთული სოციალური მდგომარეობის რეგულირება მაინც ვერ მოხერხდა და მოგვიანებით, ოქტავიანე ავგუსტუსის დროს, ეს პროცესი აქ ელევთეროლაკონიის ლიგის ფორმირებით დასრულდა.

მწვავე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი მხოლოდ ათენისა და სპარტისათვის როდი იყო დამახასიათებელი. ის საერთობერძნული მოვლენა იყო. თითქმის ანალოგიური პროცესები მიმდინარეობდა ელინური სამყაროს დანარჩენ პოლისებში. ძვ. წ. 392 წ. კორინთოში არისტოკრატებმა დაიკავეს პოლისის ციტადელი აკროკორინთო, მაგრამ დემოსმა ისინი ქალაქიდან გამოაძევა. არისტოკრატთა ნაწილი სპარტაში გაიქცა. ხალხმა დიდებულთა ხოცვა-ულეტა დაიწყო. ქსენოფონტის ცნობით – „ერთი ფეხზე მდგომი დაიღუპა, მეორე მჯდომარე, მესამე თეატრში. არისტოკრატთა ერთი ნაწილი ღვთაებათა ქანდაკებებს ამოეფარა, მეორენი საკურთხევლებს, მაგრამ სადაც კი წაასწრებდნენ იქვე კლავდნენ" (Hist., III, 375); ძვ. წ. 370 წ. არგოსში ღარიბი მოქალაქეები დიდგვაროვნების წინააღმდეგ აჯანყდნენ და 1200 კაცი დახოცეს, მათი ქონება კი გაინაწილეს.

სოციალურმა კონფრონტაციამ და პელოპონესის ომმა ბერძნული პოლისები გაღარიბებული, დანგრეული დატოვა. ამასთან დაკავშირებით, პლატონი წერდა: „თითოეულ პოლისში არის ორი ურთიერთმტრული პოლისი – ერთი ღარიბების, მეორე მდიდრების, რომლებიც ერთმანეთს ხოცავენ" (Pol., IV, 215).

ძვ. წ. IV საუკუნიდან გარკვეული სიახლეები შეინიშნება ფულად-სასაქონლო მეურნეობაში. არქაულ და კლასიკურ პერიოდში პოლისი თუ ფულად-სასაქონლო მეურნეობის განვითარებას ამუხრუჭებდა, აღნიშნული საუკუნიდან საბერძნეთში ბრინჯაოს მონეტების ფართოდ გავრცელებამ ფულადი მიმოქცევის ინტენსიფიკაცია გამოიწვია. ფულად-სასაქონლო ოპერაციამ მთელი საბერძნეთი მოიცვა. ამ პროცესმა ელადის სოციალურ განვითარებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა. ფულად-სასაქონლო მეურნეობის განვითარებამ ხელი შეუწყო მცირე მეწარმეთა ემანსიპაციას. ფული, მინისმესაკუთრეობასთან ერთად, გამდიდრების პრესტიჟული ფორმა ხდება. მეტიც, მრავალი მინისმესაკუთრე მიწას ყიდდა, რათა ნაღდი ფული ჰქონოდა: გადასახადებისაგან ან სამოქალაქო ომის დროს ფულის გადამალვა ადვილად შეიძლებოდა; ხშირად ხდებოდა მისი გასესხება, საიდანაც მაღალ პროცენტებს იღებდნენ; მემკვიდრეებს შორის ქონების განაწილებაც გაადვილდა და ა.შ. ძვ. წ. IV ს-ში ბევრი მოქალაქე გამდიდრდა, რომლებიც საკმაოდ დიდ კაპიტალს ფლობდნენ, ხოლო ძვ. წ. V ს-ში ასეთები ერთეულები იყვნენ. ამჯერად მდიდართა რიცხვს შეადგენდნენ არა მარტო წარჩინებული მოქალაქენი, არამედ მეტოიკოსები, ქსენონები, რომლებიც ვაჭრობითა და ხელოსნობით იყვნენ დაკავებულნი.

სწრაფად გამდიდრების ოდიოზური წყარო პურის სპეკულაცია იყო. სავაჭრო-სამრეწველო მეგაპოლისებში, როგორსაც ათენი, კორინთო, მეგარა წარმოადგენდა, ხორბლის მარაგი საკმარისი არ იყო. ის ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან ან სიცილიიდან შემოჰქონდათ. მაგრამ მარცვლეულის ტრანსპორტირება რთულ საქმეს წარმოადგენდა და მისი მომარაგება პერიოდულად ფერხდებოდა, რაც პურის ფასის ზრდას, მის სპეკულაციას იწვევდა. ამით მრავალმა ხელმოცარულმა, ურიცხვმა მოვაჭრეებმა მოითბეს ხელი და საკმაოდ დიდძალი ქონება დააგროვეს. პოლისურმა ადმინისტრაციამ ამგვარი მაქინაციების წინააღმდეგ არაერთი მექანიზმი აამუშავა, თუმცა პურის სპეკულაცია მაინც ვერ აღმოფხვრა.

ფულად-სასაქონლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია, ვაჭარ-ხელოსანთა ბაზარზე ორიენტაცია და მიწების კონცენტრაცია პოლისური იდეოლოგიის ტრადიციულ ღირებულებებს ანგრევდა, პოლისურ სისტემაზე საქალაქო ორგანიზაციის ზეგავლენას აძლიერებდა. სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი, რომელიც მიწას მოწყდა, უპირატესად, საქალაქო საქმეების მოგვარებით იყო დაკავებული. საქალაქო ორგანიზაცია პოლისურ სტრუქტურებზე გავლენას სახალხო კრების მეშვეობითაც ახდენდა. სახალხო კრების დიდი ნაწილი ხომ ვაჭარ-ხელოსნებისაგან შედგებოდნენ, რომლებსაც თავიანთი კონკრეტული ინტერესები გააჩნდათ და ამიტომ აქ ერთი ფრაქციის სახით იყვნენ წარმოდგენილნი, რაც სამოქალაქო საზოგადოების ჰომოგენურ პრინციპებს ძირს უთხრიდა. ყოველივე ზემოაღნიშნული პროცესები, ბუნებრივია, ტრადიციული პოლისური სისტემის დეფორმაციას, მის რღვევას იწვევდა.

ძვ. წ. IV საუკუნიდან ნოვაციები ელინური არმიის ორგანიზებაშიც შეინიშნებოდა. კლასიკურ პერიოდში თუ ბერძნული სამხედრო ორგანიზაციის ბირთვი სახალხო ლაშქარი იყო, რომელიც თვითეკიპირებული მძიმედ შეიარაღებული ჰოპლიტებისაგან შედგებოდა ძვ. წ. IV ს-ში უკვე მისი როლი მცირდება, სამაგიეროდ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მოქირავნეთა სამხედრო შენაერთებს. ისინი პროფესიონალი მეომრებისაგან შედგებოდნენ, სხვადასხვა პოლისის მოქალაქენი იყვნენ და სამხედრო სამსახურისათვის ჯამაგირი ეძლეოდათ. ისინი უცხო პოლისების ინტერე-

სებს იცავდნენ, სხვების სასარგებლოდ თავიანთ სიცოცხლეს სწირავდნენ, მაგრამ გაწეული სამსახურისათვის სოლიდურ თანხებს იღებდნენ. ელინურ სამყაროში მოქირავნეობის ინსტიტუტის ფართოდ დანერგვა მოქალაქეთა ფართო მასის გაკოტრებითა და ჰოპლიტური ლაშქრის დაკომპლექტების სირთულეებით როდი იყო განპირობებული. ძვ. წ. IV ს-ში მრავალრიცხოვანმა ომებმა სახალხო ლაშქრის სუსტი მხარეები გამოავლინა. სახალხო მოლაშქრეები, რომლებიც პერიოდულად იკრიბებოდნენ, საკმარისად კვალიფიციურად არ იყვნენ გაწრთვნილები და, ამავე დროს, დისციპლინითაც არ გამოირჩეოდნენ. მოქირავნეები კი საკმაოდ კარგად გაწრთვნილი, დისციპლინირებული და პროფესიონალი მეომრები იყვნენ. დაქირავებული მეომრები მობილობითაც გამოირჩეოდნენ და მათი სწრაფად გადასროლა შორეულ რეგიონებში პრობლემას არ წარმოადგენდა. ამავე დროს, მოქირავნეები შიდა პოლისურ დებატებსა და ურთიერთდაპირისპირებაში ნეიტრალიტეტს იცავდნენ.

აღსანიშნავია, რომ საბერძნეთში მოქირავნეების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებისათვის სპეციალური ბაზრობებიც იმართებოდა. ისინი მდიდარ მყიდველებს თავიანთ სამსახურს სთავაზობდნენ. ამგვარ ბაზრობებზე ასეულობით მოქირავნეთა რაზმების ყიდვა შეიძლებოდა. მოქირავნეთა ბაზრობები ელადის თითქმის ყველა პოლისში ფუნქციონირებდა, მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით არკადიის, კორინთოს, ფოკიდისა და თესალიის პოლისების ბაზრობები გამოირჩეოდა.

ასე რომ, ძვ. წ. IV საუკუნიდან ელინური არმია ძირითადად დაქირავებული მეომრებით ჩანს დაკომპლექტებული, ხოლო სახალხო ლაშქრის, როგორც პოლისური სამხედრო ორგანიზაციის საფუძვლის როლი, მისი მნიშვნელობა დაცემულ-დაქვეითებულია, რაც, თავის მხრივ, პოლისური სისტემის სერიოზული კრიზისის მიმანიშნებელია.

პოლისური სისტემის კრიზისის ერთ-ერთი არსებითი მიზეზთაგანი, ჩვენი აზრით, პოლისური ადმინისტრაციული სტრუქტურების გაუმართაობა და არასრულყოფილება იყო. მართალია, ამ მხრივ, ის ძვ. წ. VI-V სს-ში შედარებით დახვეწილი ჩანს, მაგრამ ძვ. წ. IV ს-ში კვლავ რუდიმენტული რჩებოდა. პოლისურმა ადმინისტრაციამ, ვერ შეძლო სოციუმისათვის შეეთავაზებინა ახალი, ორიგინალური და, ამავე დროს, ოპტიმალური მართვის სიტემა. ის წინანდებურად დემოსისაგან გამიჯნული არ იყო და სახალხო ხელისუფლების გადმონაშთებიც საბოლოოდ ვერ აღმოფხვრა. გარდა ამისა, ძვ. წ. IV ს-შიც სახელმწიფო სამსახური დაბალკვალიფიციური კადრებით იყო დაკომპლექტებული. ფაქტობრივად, ის მმართველ კასტას არ წარმოადგენდა. მას სპეციალური მომზადება და კორპორატიული ინტერესებიც არ გააჩნდა. მართვის იერარქიული სტრუქტურა მკვეთრად დეფინიცირებული არ იყო. პოლისის ადმინისტრატორები სასამართლო, ადმინისტრაციულ და ზოგჯერ სამხედრო ხელისუფლებასაც ერთდროულად ითავსებდნენ. საჯარო მოხელეები გადაწყვეტილებებს თვითნებურად იღებდნენ; საქალაქო თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენცია მკვეთრად გამიჯნული არ იყო; ადმინისტრირება სუსტად ჩანდა უნიფიცირებული; სახელმწიფო აპარატის ფუნქცია, უპირატესად, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვით და გადასახადების ამოღებით შემოიფარგლებოდა. ცხადია, ყოველივე ეს ადმინისტრაციული საქმიანობის ეფექტიან ფუნქციონირებას აფერხებდა და, შესაბამისად, პოლისური სისტემის კრიზისულ სიტუაციასაც ამძაფრებდა.

ელინისტური პერიოდიდან საერთობერძნული კრიზისის მიზეზებს ახალი ელემენტებიც დაემატა. ძვ. წ. VI-IV სს-ში ელადა ხმელთაშუაზღვისპირეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურის ცენტრად ითვლებოდა, მაგრამ ელინისტური ეპოქიდან ის ჰეგემონიას კარგავს. ამჯერად ანტიკური სამყაროს ეკონომიკური და კულტურის ცენტრმა დასავლეთიდან აღმოსავლეთში გადმოინაცვლა. კონტინენტური საბერძნეთის ერთ დროს განვითარებული ძველი პოლისები აღმოსავლეთის ახლად დაარსებულმა და მზარდმა ქალაქებმა – ალექსანდრიამ, ანტიოქიამ და სელევკიამ დაჩრდილეს. ელადის პოლისების ეკონომიკაზე კატასტროფული გავლენა იქონია ხმელთაშუაზღვისპირეთში მიმდინარე ხელოსნური წარმოების დეცენტრალიზაციამ. ამიერიდან ანტიკური სამყაროს მთელ რიგ რეგიონებში ხელოსნური ნარმოების ახალი, მრავალრიცხოვანი ცენტრები აღმოცენდა.

ძვ. წ. III ს-ის დასასრულიდან კი ელადის პოლისები ანტიკური სამყაროს რიგითი პოლისების რანგამდე ჩამოქვეითდა. მართალია, მაკედონიამ მოახერხა ელინური პოლისების კრიზისის შეჩერება, მაგრამ ეს დროებითი იყო. მალე, ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლის შემდეგ, მან ახალი ძალით იფეთქა. პოლისის გავლენიანი პოლიტიკოსები და არისტოკრატები ხსნას გაძლიერების გზაზე მდგომი რომის რესპუბლიკის მფარველობაში ეძებდნენ.

კრიზისული ეპოქის თანამედროვე ცნობილი ბერძენი სწავლულები, რომლებსაც კრიზისის მიზეზების შესახებ ოდნავი მინიშნებაც კი არა აქვთ, პოლისურ ადმინისტრაციას მისგან თავის დაღწევის მექანიზმებს სთავაზობდნენ. ასე მაგალითად, არისტოფანეს კრიზისიდან თავის დაღწევის ერთადერთ გზად კერძო საკუთრების გაუქმება და ქონების განსაზოგადოება ესახებოდა; პლატონი იდეალური პოლის-სახელმწიფოს მოწყობას სთავაზობდა. მას პოლისის გადარჩენისა და მისი ხელმეორედ აღზევების საშუალებად მოსახლეობის რანჟირების პრინციპი მიაჩნდა. აგრეთვე, პოლისის მოსახლეობა სამ კასტად უნდა დაყოფილიყო: ფილოსოფოს მმართველთა, მეომართა და დემოსთა კატეგორიად. პირველი მათგანის მოვალეობა კანონების შექმნა, პოლისის მართვა-გამგეობა უნდა ყოფილიყო; მეორის პოლისის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მესამე ფენის მოვალეობა შრომა და ფილოსოფოს მმართველთა მომსახურება უნდა ყოფილიყო. არისტოტელეს პოლისური სისტემის გაჯანსაღების ძირითად პირობად საშუალო ფენის რეამინირება მიაჩნდა. არისტოტელეს პოლისის მმართველობის საუკეთესო ფორმად ზომიერი დემოკრატია ესახებოდა, ე.წ. „პოლიტია“, სადაც მდიდარ და საშუალო შეძლების ფენებს ყველა უფლებით უნდა ესარგებლათ. თვით პოლისის ფართობი, ზღვის სანაპიროზე უნდა ყოფილიყო გამოყოფილი და მისი მოსახლეობა, მრავალრიცხოვანი არ უნდა ყოფილიყო. ამგვარად მოწყობილ პოლისში იქნებოდა სიმშვიდე, ბედნიერი ცხოვრება და მყარი პოლისური წყობა.

დიდი ბერძენი ორატორის ისოკრატეს მტკიცებით სპარსეთის იმპერიის დაპყრობა და მისი სიმდიდრის დაუფლება პოლისებს არსებული კრიზისის დაძლევაში დაეხმარებოდა, ბერძნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება ბოლოს მოუღებდა შინაგან კონფრონტაციას და ერთიანი პოლიტიკური მენტალობაც შეიქმნებოდა. ბერძენი სწავლულების ამგვარი ერთობ ოპტიმალური რეცეპტები თუ პროექტები უტოპიური და განუხორციელებელი დარჩა, ვინაიდან პოლისურმა სისტემამ დროს ვერ გაუძლო, მან შესაძლებლობები ამონურა და ძვ. წ. IV ს-ში ღრმა კრიზისში აღმოჩნდა.

X. პოლისი და იმპერია

1. აქემენიდები და პოლისები

ბერძენ-სპარსელთა ომი. ბერძენ-სპარსელებს მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური, სამხედრო-პოლიტიკური და კულტურული კონტაქტები აკავშირებდათ. ეს ურთიერთობანი უპირატესად სამხედრო დაპირისპირებით შემოიფარგლებოდა. სამხედრო კონფლიქტები განსაკუთრებით ინტენსიური აქემენიანთა ეპოქაში ხდება, რომელიც დიდ ბერძნულ-სპარსულ ომში გადაიზარდა. ბერძენ-სპარსელთა ომი, რომელიც ნახევარი საუკუნე მიმდინარეობდა, მასშტაბური დაპირისპირება იყო დასავლური და აღმოსავლური სამყაროსი, ორი განსხვავებული ცივილიზაციის კონფლიქტი, რომელიც დღესაც გრძელდება.

ბერძენ-სპარსელთა ომი ძვ. წ. 500 წ. მცირე აზიის პოლისების აჯანყებით დაიწყო. სპარსელებმა იონიური პოლისები ჯერ კიდევ ძვ. წ. VI ს-ის 40-30 წლებში, ათენის ტირანის ჰიპიასის დროს დაიმორჩილეს. თავდაპირველად სპარსელები მცირე აზიის პოლისების პოლიტიკურ ცხოვრებაში ნაკლებად ერეოდნენ და ხელს უწყობდნენ კიდეც მათ სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტების გაღრმავებას გარე სამყაროსთან. დარიოს I დროს კი ვითარება კარდინალურად შეიცვალა. დარიოსისეული იმპერიის მართვის ცენტრალიზებული სისტემა პოლისების საშინაო საქმეებში მუდმივად ჩარევას მოითხოვდა. მცირე აზიის მრავალ პოლისში ხელისუფლება გადაეცათ სპარსელთა მიერ დანიშნულ ტირანებს, რომლებიც მცირე აზიის სატრაპს ემორჩილებოდნენ. პოლისებს საკმაოდ მძიმე ხარკის გადახდა დაეკისრათ. დარიოსმა უპირატესობა ფინიკიელ კომერსანტებს მიანიჭა, რამაც პოლისების ეკონომიკა ძალზე დააზარალა. მცირე აზიის პოლისები აჯანყებისთვის მოემზადა.

სპარსელების წინააღმდეგ პირველად მცირე აზიის მეგაპოლისი მილეტი აჯანყდა. აჯანყებულებს სათავეში მილეტის ტირანი არისტაგორე ჩაუდგა. მან ტირანის მანტია მოიხსნა და მილეტის ტრადიციული პოლისური ინსტიტუტები აღადგინა. მილეტს იონიის სხვა პოლისებმაც მიბაძეს. აჯანყებულმა პოლისებმა სპარსელების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის წარმართვისათვის სამხედრო კავშირი შეკრეს და დახმარებისათვის თავიანთ მეტროპოლისებს და ბალკანეთის საბერძნეთის სხვა პოლისებს მიმართეს. მაგრამ მათ მხოლოდ ათენი და ერეტრია გამოეხმაურა. ათენელებმა აჯანყებული იონიური პოლისების დასახმარებლად 20 სამხედრო ხომალდი გაგზავნეს, ხოლო ერეტრიელებმა ხუთი გემი.

ძვ. წ. 498 წ. აჯანყებულმა ბერძნებმა ალყა შემოარტყეს ქალაქ სარდს, რომელიც მცირე აზიის სატრაპის რეზიდენცია იყო. ქალაქი დაანგრიეს, თუმცა მისი აკროპოლისის აღება ვერ შეძლეს. მომდევნო წელს მოკავშირე ბერძენთა არმიამ კვიპროსთან ფინიკიური ესკადრა გაანადგურა.

აჯანყების ტალღა იზრდებოდა და მცირე აზიაში სპარსელთა ჰეგემონობას სერიოზული საფრთხე დაემუქრა. დარიოსმა გადაწყვიტა გადამწყვეტი ზომებისათვის მიემართა. მცირე აზიაში სპარსელებმა დამატებითი სამხედრო კონტინგენტი გადმოისროლეს. სპარსელებმა თავდაპირველად კვიპროსისა და მცირე აზიის სამხრეთის

პოლისები დაიკავეს, შემდეგ შავიზღვისპირეთის სრუტეების აჯანყებული პოლისები – ბიზანტიონი, ხალკედონი, აბიდოსი, ლამპასაკოსი და სხვ; ძვ. წ. 495 წ. სპარსელებმა მოკავშირეთა ფლოტი ეფესოსთან გაანადგურეს და მილეტს ალყა შემოარტყეს. ძვ. წ. 494 წ. მილეტი დაეცა და მიწასთან გასწორდა. სპარსელებმა მალე სხვა პოლისებიც დაიმორჩილეს და წინააღმდეგობაც საბოლოოდ შეწყდა.

მცირეაზიური პოლისების აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, დარიოს I-მა გადაწყვიტა ბალკანეთის საბერძნეთში გაელაშქრა. მან მცირე აზიაში თავი მოუყარა საკმაოდ მრავალრიცხოვან საექსპედიციო კორპუსს, რომელიც 30 ათასი მეომრის და 600 ხომალდისაგან შედგებოდა. არმიის მეთაურად მეფის სიძე, გამოცდილი სარდალი და დიპლომატი მარდონიოსი დაინიშნა. სპარსული არმიის მრავალრიცხოვნობის მიუხედავად მას, როგორც ყოველთვის, აკლდა ორგანიზება და მთავარსარდლის როლი სუსტად იგრძნობოდა. არმია ეთნიკურადაც ჭრელი იყო და ყველა თავისივე შეიარაღებით და სპეციფიკური წესებით იბრძოდა.

ძვ. წ. 492 წ. სპარსელებმა ჰელესპონტი გადალახეს და ეგეოსის ჩრდილოეთ სანაპიროების ოკუპაცია დაიწყეს. სპარსელებმა მოახერხეს თასოსის, ზღვისპირა ბერძნული პოლისებისა და თრაკიული ტომების დამორჩილება. მაკედონია უბრძოლველად დანებდა. მაგრამ ათონის კონცხთან ძლიერი შტორმის შედეგად სპარსული ფლოტი განადგურდა. ჰეროდოტეს ცნობით 300 ხომალდი და 20 ათასი მეომარი დაიღუპა. მარდონიოსი იძულებული გახდა მცირე აზიაში დაბრუნებულიყო. იგი მალე მთავარსარდლობიდან გადააყენეს.

პირველი ლაშქრობის წარუმატებლობას დარიოსის პროგრამაში კორექტივები არ შეუტანია და ის საბერძნეთის ხელახალი დალაშქვრისათვის ემზადებოდა. დაკომპლექტდა 20 ათასიანი რჩეული არმია. მთავარსარდლებად გამოცდილი დატისი და არტაფერნე დაინიშნენ. მათი მრჩეველი იყო ათენის ყოფილი ტირანი პიპიასი, რომელსაც ათენში თავისი მომხრეები ჰყავდა.

სამხედრო კამპანიის დაწყებამდე, სპარსელებმა ბალკანეთის საბერძნეთის პოლისებში დესპანები გააგზავნეს „მინისა და წყლის" მოთხოვნით, რაც მათ უპირობო კაპიტულაციას ნიშნავდა. სპარსელთა ამ მოთხოვნას დაემორჩილა ეგინა, თესალია და ბეოტია, ხოლო არგოსმა ნეიტრალური პოზიცია დაიკავა, მაგრამ სპარტამ და ათენმა სპარსელთა ულტიმატუმი კატეგორიულად უარყო. სპარტელებმა ელჩები ჭაში ჩაყარეს, ათენელებმა კი უფსკრულში გადაჩეხეს. ომი გარდაუვალი იყო. სპარსელებმა არ დააყოვნეს. დატისმა და არტეფერნემ არმია ევბეაზე გადასხეს; ერეტრია დაიკავეს და მინასთან გაასწორეს. ევბეას დამორჩილების შემდეგ სპარსელები ატიკაში შეიჭრნენ და მოღალატე ჰიპიასის რჩევით, ათენიდან 42 კმ-ის დაშორებით, მარათონის ველზე დაბანაკდნენ.

ათენელებმა დახმარებისათვის სპარტას მიმართეს, მაგრამ სპარტანელებმა დახმარება ათენელებს რელიგიური დღესასწაულის დამთავრების შემდეგ აღუთქვეს. ათენის მდგომარეობა უკიდურესად გართულდა. ის მხოლოდ საკუთარი ძალებით უნდა შებმოდა მტერს. ათენელ სტრატეგოსთა შორის ცხარე დებატები გაიმართა საბრძოლო ოპერაციების წარმართვის შესახებ. სტრატეგოსთა ერთი ჯგუფი პასიური ტაქტიკის მომხრე იყო და წინადადებას აყენებდა ათენი დაეცვათ. მეორე ჯგუფი კატეგორიულად მოითხოვდა ბრძოლის გამართვას. ამგვარი ტაქტიკის ინიციატორი იყო მილტიადე, რომელმაც კარგად იცოდა სპარსელთა სამხედრო ორგანიზაციის ძლიერი

და სუსტი მხარე. გაიმარჯვა მილტიადეს გუნდმა. სტრატეგოსთა კონსილიუმმა კი არმიის სარდლობა მილტიადეს მიანდო და ათენელები მარათონისკენ დაიძრნენ. ბრძოლა ძვ. წ. 490 წლის 13 სექტემბერს მარათონის ველზე შედგა. მარათონის ველი 9 კმ. სიგრძის და 3 კმ. სიგანის ჭაობიანი ადგილი იყო. ბერძენთა არმია 11 ათასს მეომარს ითვლიდა, სპარსელთა არმია კი 30-35 ათასი მეომრისაგან შედგებოდა. ბერძნული ფალანგები, როგორც წესი, ფრონტალურად 1000 კაციან რაზმებად ეწყობოდა, ხოლო სიღრმეში რვა მწკრივად. მილტიადემ ბერძენთა ტრადიციული სამწყობრო სისტემა დაარღვია და არმიის ცენტრში რიგები შეამცირა, რათა ფალანგები ველის ბორცვებს მიბჯენოდა, რაც ბერძნებს ალყის საშიშროებისა და სპარსული კავალერიის იერიშებისაგან დაიცავდა. ასე რომ, ბერძენთა მთავარი ძალა ფლანგებზე იყო კონცენტრირებული. სპარსელები შეტევას ცენტრში ელოდნენ. სპარსულ მოიერიშეთა ნეიტრალიზების მიზნით, ბერძნებმა მოწინააღმდეგესთან მიახლოების ბოლო 100 მეტრი სირბილით გადალახეს. ბრძოლა მილტიადეს გეგმით წარიმართა: სპარსულმა კავალერიამ ვერ შეძლო ფალანგები ალყაში მოექცია და პრაქტიკულად ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია. მართალია, სპარსელებმა ათენელთა შეთხელებული ცენტრი შეაკვიწროვეს და უკან დაახევინეს, მაგრამ ბერძნებმა ფლანგებზე სპარსელები უკუაქციეს, შემოტრიალდნენ და მოწინააღმდეგის ცენტრს შეუტიეს. სამივე მხრიდან მარწუხების ალყაში მოქცეული სპარსელები პანიკაში ჩავარდნენ და გაიქცნენ. მარათონის ველი სპარსელთა სასაკლაოდ იქცა. ჰეროდოტეს გადმოცემით ბრძოლაში დაიღუპა 6400 სპარსელი და 192 ბერძენი (V, 7, 8). ბრძოლის დასრულებისთანავე მეომრებმა ათენში გააგზავნეს პროფესიონალი მორბენალი პითიდიტესი, რომელსაც მოქალაქეებისათვის უნდა ემცნო მტერზე გამარჯვების ამბავი. პითიდიტესმა შეუსვენებლად გაირბინა 42 კმ და ათენელებს ამცნო: „ნიკე", გამარჯვება და სულიც განუტევა.

მარათონის ველზე ბერძენთა გამარჯვებას უდიდესი მორალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. დასავლეთის ისტორიაში მარათონის ბრძოლა გარდამტეხი იყო. ბერძნების დამარცხება ისტორიის მსვლელობას შეცვლიდა; რომ არა მარათონი ბერძენთა შემდგომი ცივილიზაცია არ გვექნებოდა, მაგრამ დასავლეთი გადარჩა. მარათონის ველზე საბოლოოდ დაიმსხვრა მითი სპარსელთა უძლეველობის შესახებ. ამის შემდეგ, სპარსეთის იმპერიაში აჯანყებები დაიწყო. ძვ. წ. 486 წ. ეგვიპტე და ბაბილონი აჯანყდა. დარიოსის მემკვიდრე ქსერქსემ საბერძნეთში ახალი ლაშქრობა დროებით გადადო, რათა სათანადოდ მომზადებულიყო. ძვ. წ. 481 წ. სამხედრო მზადებაც დასრულდა. ბერძნებიც ომისათვის ემზადებოდნენ. ძვ. წ. 481 წ. ბალკანეთის საბერძნეთში პოლისთა შორის კონფრონტაცია შეწყდა და კორინთოში 31 პოლისს შორის სამხედრო კავშირი გაფორმდა. ალიანსის სახმელეთო და საზღვაო ძალების მთავარსარდლებად სპარტელი მეფეები აირჩიეს. ათენში სამხედრო ქმედებების პროგრამის შესახებ ცხარე დებატები გაიმართა. ათენის გავლენიანი პოლიტიკოსების ერთმა ნაწილმა, თემისტოკლეს მეთაურობით, წარმოადგინა ე.წ. საზღვაო პროგრამა, რომლის თანახმადაც ბერძნებს ბრძოლები სპარსელებთან ზღვაზე უნდა ეწარმოებინათ. მეორენი, არისტიდეს მეთაურობით, სახმელეთო ომის მომხრენი იყვნენ. ათენის სახალხო კრებამ თემისტოკლეს პროგრამა მოიწონა. არისტიდე კი ოსტრაკისმოსით გააძევეს.

ძვ. წ. 480 წ. სპარსელთა 200 ათასიანი სახმელეთო და 1200-იანმა საზღვაო ძალებმა ქსერქსეს მეთაურობით ჰელესპონტი გადალახეს და ელადისაკენ დაიძრნენ.

ბერძენთა სტრატეგოსებმა გადანყვიტეს თესალიიდან შუა საბერძნეთში გადასასვლელი ვიწრო გზის – თერმოპილეს ხეობა ჩაეკეტათ და მტერი შეეჩერებინათ. სპარტამ ხეობის დასაცავად 300 სპარტელი და 7 ათასკაციანი ჰოპლიტი გაგზავნა მეფე ლეონიდესის მეთაურობით. სპარსელებმა თერმოპოლეს მიმართულებით მასირებული შეტევა წამოიწყეს. ბერძენი მეომრები ოთხი დღის განმავლობაში იგერიებდნენ თავდასხმას. სპარსელებმა სერიოზული დანაკარგი განიცადეს. ქსერქსემ ბრძოლაში ჩართო ე.წ. „უკვდავები", სახელგანთქმული გვარდია, მაგრამ უშედეგოდ. საბოლოოდ ქსერქსე იხსნა მოღალატე თესალიელმა, ვინმე ეპიალტემ, რომელმაც მას დაუცველი ბილიკები უჩვენა. სპარსელებმა გადალახეს დაბრკოლება და თერმოპილეს ხეობის დამცველების ზურგში აღმოჩნდნენ. ლეონიდესმა ჩათვალა, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა. მან მეომრების დიდი ნაწილი დაითხოვა. ბრძოლის ველზე მხოლოდ 300 სპარტელი დარჩა, რომელთაც უკანდახევა კანონით ეკრძალებოდათ. გმირული წინააღმდეგობის მიუხედავად ყველა სპარტელი დაიღუპა. მოგვიანებით, სპარტელთა საძმო საფლავზე ელინებმა ძეგლი აღმართეს მჯდომარე ლომის გამოსახულებით. მის პოსტამენტზე ამოტვიფრული იყო პოეტ სიმონიდეს სიტყვები: „ჰე უცხოელო, ამცნე სპარტელებს, რომ ჩვენ აქ განვისვენებთ, კანონმორჩილნი".

თერმოპილეს ხეობის გადალახვის შემდეგ, სპარსელებმა შუა საბერძნეთი ნანგრევებად აქციეს. ატიკა გაძარცვეს, ათენი დაანგრიეს და გადანვეს. მიუხედავად ამისა, ბერძნებმა ძირითადი სამხედრო ძალები მაინც შეინარჩუნეს. თემისტოკლეს გადაწყვეტილებით ელინების ფლოტი კუნძულ სალამინთან დადგა და სპარსეთის ფლოტს დაელოდა. ბრძოლა ძვ. წ. 480 წ. 28 სექტემბერს გაიმართა. სპარსელები სასტიკად დამარცხდნენ. ქსერქსემ საბერძნეთი დატოვა და აზიაში გადავიდა. საბერძნეთში დაბანაკებული არმიის სარდლობა გადასცა მარდონიოსს, რომელსაც ომი ნაგებულად არ მიაჩნდა. სპარსელთა 70 ათას კაციანი არმია პლატეასთან იდგა. ელინები სპარტელი პავსანიასის მეთაურობით პლატეასაკენ დაიძრნენ. პლატეას ბრძოლა ძვ. წ. 479 წ. გაიმართა და ბერძნულმა ფლოტმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, ბრძოლაში დაიღუპა სპარსელთა მთავარსარდალი მარდონიოსი. იმავე წელს ბერძნებმა ლეონტიხიდესა და ქსანტიპეს სარდლობით მიკალეს კონცხთან გაანადგურეს სპარსული ფლოტი. პლატეასა და მიკალეს ბრძოლების შემდეგ, სტრატეგიულ ინიციატივას ელინები დაეუფლნენ. ბერძნებმა სპარსელთა მასირებული თავდასხმები მოიგერიეს, ელადა სპარსული სამხედრო შენაერთებისაგან „განმინდეს" და შეტევაზე გადავიდნენ. ელინებმა ბრწყინვალე გამარჯვებათა სერიის შემდეგ მიზნად დაისახეს სპარსელთა ბატონობისაგან მცირე აზიის პოლისების განთავისუფლება.

ძვ. წ. V ს-ის 70-იან წლებში ბერძნებმა კიმონის სარდლობით დაიკავეს ეგეოსის ზღვის კუნძულები და კარიის პოლისები, აიღეს ქალაქი ბიზანტიონი, პოზიციები გაიმაგრეს თრაკიის სანაპიროზე. სპარსელებმა საპასუხოდ მრავალრიცხოვან სახმელეთო და საზღვაო ძალებს მოუყარეს თავი. ბრძოლა გაიმართა ძვ. წ. 469 წ. მდ. ევრიმედონტისთან. ბერძნებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს.

ბერძენთა გამარჯვებამ ევრიმედონტისთან სპარსეთის ჰეგემონია აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში შეარყია. მდგომარეობას დინასტიური ბრძოლებიც ართულებდა. ძვ. წ. 465 წ. შეთქმულებმა ქსერქსე მოკლეს და ტახტზე მისი უმცროსი შვილი არტაქსერქსე ავიდა. დაძაბული სიტუაციით ისარგებლეს ეგვიპტის სეპარატისტულმა ძალებმა და სპარსელებს აუჯანყდნენ. ათენელებმა მხარი დაუჭირეს აჯანყებულებს.

ძვ. წ. 459 წ. ათენის კარგად აღჭურვილი სახმელეთო და საზღვაო ძალების ესკადრა აჯანყებული ეგვიპტელების დასახმარებლად დაიძრა. ათენელთა ესკადრა მდ. ნილოსის შესართავში შევიდა და მალე მემფისიც დაიკავა, მაგრამ ძვ. წ. 455-454 წწ-ში სპარსელთა არმიამ ათენელები დაამარცხა. სპარსელებმა ეგვიპტე დაიბრუნეს და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში პოზიციები გაიმყარეს, მაგრამ კიმონმა კვლავ ახალი საექსპედიციო არმია შეადგინა. ძვ. წ. 450-449 წწ-ში ბერძენ-სპარსელთა ომი კუნძულ კვიპროსზე განახლდა. კიმონმა კვიპროსის მრავალი ქალაქის დაკავება შეძლო, მაგრამ იგი მოულოდნელად გარდაიცვალა და ათენის ესკადრაც უკან გაიწვიეს. ათენის გავლენიანი პოლიტიკოსები დარწმუნდნენ, რომ საომარი ქმედებების გაგრძელებას აზრი ეკარგებოდა და სპარსეთთან ზავის დადება გადაწყვიტეს. ძვ. წ. 449 წ. სპარსელებთან ზავის გასაფორმებლად ათენელებმა კვიპროსზე არისტიდეს ბიძაშვილი და კიმონის ახლო ნათესავი კალიასი გააგზავნეს. კალიასის ზავის პირობებმა ბერძენ-სპარსელთა ნახევარსაუკუნოვან ომს წერტილი დაუსვა და ბერძენთა გამარჯვება განამტკიცა. სპარსეთის მეფე მცირე აზიის ბერძნული პოლისების დამოუკიდებლობას აღიარებდა. სპარსელებს ეკრძალებოდათ მათ წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების ჩატარება და ეგეოსის ზღვაში სამხედრო ფლოტის შეყვანა. ზავის თანახმად ბერძნები აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთისა და ეგვიპტის საშინაო საქმეებში არ უნდა ჩარეულიყვნენ.

ბერძენ-სპარსელთა ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომი ბერძნების სრული გამარჯვებით დასრულდა. ომმა ცხადყო, რომ პოლისური სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა უფრო სიცოცხლისუნარიანი, მოწინავე, პროგრესული აღმოჩნდა, ვიდრე სპარსული უსისტემო გრანდიოზული იმპერია. ელინთა გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ასევე წამყვან ბერძნულ პოლისებს შორის სამხედრო ოპერაციების კოორდინირება, მოქალაქეთა კონსოლიდაცია. ელინთა სამხედრო ძალები რიცხვობრივად და შეიარაღებით სპარსელებს ჩამოუვარდებოდნენ, მაგრამ სამხედრო ორგანიზაციის მხრივ მათ აღემატებოდნენ. კარგად განრთვნილი ფალანგა, ელინთა სტრატეგია და ტაქტიკა უფრო დახვეწილი იყო, ვიდრე სპარსთა ქაოტური სამწყობრო სისტემა. ბერძნები თავიანთ სამშობლოს, სიწმინდეებს, მამა-პაპათა მამულს იცავდნენ, ხოლო სპარსული არმიის მეომრებს იძულებით მიერეკებოდნენ.

სპარსეთის გრანდიოზულ იმპერიაზე გამარჯვებამ ძველ ბერძენთა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაზე პროგრესული ზეგავლენა იქონია. მან ასევე განსაზღვრა დასავლური ცივილიზაციის შემდგომი ბედი.

სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული კონტაქტები. კაცობრიობის ისტორიაში აქემენიდების სახელმწიფო პირველი მსოფლიო იმპერია იყო, რომელიც მრავალი ხალხის კულტურული ტრადიციებისადმი განსაკუთრებულ ტოლერანტობას და კეთილგანწყობას იჩენდა.მან გრანდიოზულ ტერიტორიაზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში შედარებითი მშვიდობა უზრუნველყო. აქემენიდებმა საერთაშორისო ვაჭრობისა და ხალხთა შორის კულტურული კონტაქტების განვითარებისთვის საამისო პირობები შექმნეს.

ბერძნულ-სპარსული მრავალსაუკუნოვანი კონფლიქტების მიუხედავად, დროის სხვადასხვა მონაკვეთში, მათ შორის, მშვიდობიანი, ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული კონტაქტები არსებობდა.

სპარსეთში სხვადასხვა მიზეზებით, საკმაოდ ბევრი ბერძენი ცხოვრობდა და საქმიანობდა. ელინელმა ექიმებმა, მეცნიერებმა და ხელოვანებმა ირანის საზოგადოების ზედა ფენების კულტურაში გარკვეული წვლილი შეიტანეს. უწინარეს ყოვლისა, სპარსელი მეფეები ბერძენ ოსტატებს ხალისით იყენებდნენ და მათი ნატიფი შემოქმედებით აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. მაგალითად, ქსერქსემ ათენიდან სუზაში ჰარმოდიასისა და არისტოგიტონის ქანდაკებები წაიღო. დარიოს I-ის და ქსერქსეს კარზე ფოკეელი მოქანდაკე ტელეფანე მოღვაწეობდა. პერსეპოლისის მრავალი არქიტექტურული ძეგლი ტიპური ბერძნული ხელოვნების ნიმუში იყო. მცირეაზიელი ელინები პერსეპოლისში ქანდაკებებს ძერწავდნენ, თუმცა მეფის ნება-სურვილით მათ ბერძნული და აღმოსავლური სტილი უნდა შეეხამებინათ. პერსეპოლისის ქანდაკებებიც ბერძენ ოსტატთა მიერ იყო შექმნილი. ბერძენმა ოსტატმა პერსეპოლისში დარიოს I-ის ქანდაკების საფეხურზე გამოსახა ორი წეროსანი ელინელის პორტრეტი. ეს ნახატები შესრულებულია მანამდე, ვიდრე რელიეფს შეღებავდნენ. პერსეპოლისში აღმოჩენილია ასევე მარმარილოსგან დამზადებული ქალის ქანდაკება, რომელიც ტიპური ბერძნული სტილით იყო შესრულებული. თავდაცვითი კედლების წყობაში დადასტურებულია ბერძნულწარწერიანი ფილები, ასევე ათენის ღვთაებრივი ფრინველის ბუსგამოსახულებიანი მონეტების ანაბეჭდები. როგორც ჩანს, ეს პერსეპოლისში მცხოვრები ვიღაც ბერძნის საბეჭდავი უნდა ყოფილიყო. ძვ. წ. IV ს-ის პირველ ნახევარში ირანში მცხოვრები ბერძენი ოსტატების მიერაა დამზადებული ჭრილა ქვები, რომლებიც მართალია ბერძნული სტილითაა შესრულებული, მაგრამ სპარსული მხატვრული ტრადიციების გავლენაც შესამჩნევია. ბერძენმა მხატვრებმა შექმნეს ცნობილი სატრაპების ტისაფერნეს და ფარნაბაზეს პორტრეტები, მაგრამ პერსეპოლისის არქიტექტურული ძეგლების შექმნაში ბერძენ ოსტატთა როლი არცთუ ისე მნიშვნელოვანი იყო. ბერძნული არქიტექტურული ფორმები პერსეპოლისში მრავალრიცხოვანი არ იყო და მუდამ აღმოსავლურ კომპოზიციებს ემორჩილებოდა. პერსეპოლისის სამშენებლო ტექსტებში იონიელი ხელოსნები საკმაოდ იშვიათად იხსენიებიან. ისინი განსაკუთრებულ როლს არ ასრულებდნენ და პრივილეგირებული მდგომარეობაც არ ეკავათ. ესენი იყვნენ უბრალო ქვის მთლელები, რომლებსაც არ ჰქონდათ შესაძლებლობა აქემენიდური ხელოვნების სტილსა და კონცეფციებზე ზეგავლენა მოეხდინათ.

აქემენიდების სამეფო კარზე არაერთი ბერძენი ექიმი მოღვაწეობდა: კროტონელი დემოკედე დარიოს I-ის პირადი ექიმი იყო, კოსელი აპოლოდორე არტაქსერქსე I-ს მკურნალობდა, ხოლო კნიდოსელი კტესიასი და მენდელი პოლიკლეტე არტაქსერქსე II-ს. ჰეროდოტეს გადმოცემით, დარიოს I ნადირობისას ფეხი იღრძო და მეფის კარზე მყოფმა ცნობილმა ეგვიპტელმა ექიმებმა მისი განკურნება ვერ შეძლეს. მაშინ მეფეს მიჰგვარეს მონა დემოკედე, რომელმაც ის მოარჩინა. ამისათვის დარიოსის ცოლებმა ის უხვად დაასაჩუქრეს და სუზაში დიდი სახლიც უბოძეს.

სამშობლოდან გამოქცეული სპარტის მეფე დემარატე ქსერქსეს სასახლეში ცხოვრობდა და მეფის ახლობლად ითვლებოდა. ირანში გაქცეული სახელგანთქმული ათენელი თემისტოკლე სპარსელ ქალზე დაქორწინდა, სპარსული წერა-კითხვა კარგად შეისწავლა და სპარსელებს თარჯიმნის გარეშე ესაუბრებოდა. თემისტოკლე მეფესთან ერთად ნადირობდა, სასახლის შინაურ საქმეებშიც ერეოდა და თვით მეფის დედასთან ახლო ურთიერთობის ნებაც მიეცა; მეფის ბრძანებით მან იქაურ მოგვთა

მოძღვრებაც კი შეისწავლა (პლუტარქე, თემისტოკლე, 29). პლუტარქე მოგვითხრობს, რომ „მომდევნო ხანების მეფეთა დროს, რომელთა განმავლობაშიც სპარსელებს მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა ჰქონდათ ბერძნებთან, როცა კი ვინმე ბერძენი ვაჟკაცი დასჭირდებოდათ, მას წერილობით უთვლიდნენ, რომ მეფესთან თემისტოკლეზე უფრო მეტი პატივით იქნებოდა მიღებული“ (თემისტოკლე, 29).

ათენელი მილტიადეს შვილს, რომელიც ირანში ცხოვრობდა, დარიოს I საჩუქრად გადასცა სახლი, მამული. ის სპარსელ ქალზე დაქორწინდა. მათი შვილები კი სპარსებად აღიარეს. მაკედონიის მეფის ალქსანდრეს (ძვ.წ. Vს დასაწყისი) და სპარსელს გაჰყვა ცოლად, თუმცა ყველა ელინი ბედის ნებიერი როდი იყო. ვინმე ტიმოკრეონტი, რომელიც ბედნიერებას სპარსეთში ეძებდა, მეფის მასხარა გახდა. აქვე უზრუნველი ცხოვრება მოიპოვეს კრეტელმა მოცეკავე ზენონმა და სხვა ბერძენმა მოცეკვავეებმაც.

სპარსთა სატრაპიების კარზე მრავალი ბერძენი თარჯიმნადაც მუშაობდა. მაგალითად, ქსენოფონტი საუბრობს მრავალ ელინზე, რომლებიც ტისაფერნეს ადმინისტრაციაში საქმიანობდა. მცირე აზიის სატრაპი კიროს უმცროსი ბერძნულ ენას ცუდად ფლობდა. ის ბერძნულ კულტურას იცნობდა და ერთ-ერთ თავის მოსამსახურე ბერძენ ქალს პერიკლეს ცოლის – ასპასიას სახელი უწოდა (პლუტარქე, პერიკლე, 24); ხილიარხი არტაბაზეს ერთ-ერთი მოსამსახურე ქალი ერეტრიელი იყო. ის დაეხმარა თემისტოკლეს მეფეს შეხვედროდა (პლუტარქე თემისტოკლე, 27).

ჯერ კიდევ ბერძენ-სპარსელთა ომის დროს, აქემენიანთა არმიაში ელინურად მოსაუბრე სპარსელი მეომრები მსახურობდნენ. დარიოს III ბერძნულად არცთუ ისე ცუდად ლაპარაკობდა და თავის ბერძენ მოქირავნეებს თარჯიმნის გარეშე ესაუბრებოდა. წარჩინებული სპარსის არტაბაზეს ქალიშვილმა ელინური განათლება მიიღო და სახელგანთქმულ მხედართმთავარს მემნონს მისთხოვდა. ერთ-ერთმა სპარსმა ათენის აკადემიის მუზეუმს შეწირა ქანდაკება, რომელსაც ასე წააწერა: „სპარსმა მითრიდატემ, როდობატის ძემ მუზეუმს ეს ქანდაკება მიუძღვნა, სილანისის ნამუშევარი.“

ბერძნები, რომლებიც ირანში ხანგრძლივად ცხოვრობდნენ, თავიანთ თანამემამულეებს სპარსთა ზნე-ჩვეულებებს, ყოფას, ეპოსსა და მათ რელიგიურ წარმოდგენებს აცნობდნენ. მაგალითად, კტესიასთან შემორჩენილია ზოგიერთი ირანული გადმოცემა, რომელიც დაწვრილებით ჩვენთვის ცნობილი გახდა ფირდოუსის „შაჰ-ნამედან.“

ბერძენთა ფილოსოფიურ სისტემაზე გარკვეული ზეგავლენა იქონია ზოროასტრიზმმა, რომელიც პლატონის, არისტოტელესა და პლუტარქესათვის იყო ცნობილი. თუ დიოგენე ლაერტელის ცნობებს ვირწმუნებთ (IX,34), დემოკრიტესათვის ნაცნობი იყო ირანელი მაგების მოძღვრება. ზოგიერთი სპარსი საბერძნეთში ცხოვრობდა და ელინური კულტურით საზრდოობდა. ძვ.წ. V-IV სს-ში მცირე აზიაში სპარსულ ყოფაზე ზეგავლენა შეიმჩნეოდა. კერძოდ, დასკილიისა და დარსის ირანელ სატრაპთა რეზიდენციები იონიური სტილით იყო ნაგები. სპარსელი სატრაპები და სხვა სახელმწიფო მოხელეები ბერძნულ ტანისამოსს ატარებდნენ, ხოლო ბერძნული ენა საყოველთაო გახდა.

მცირეაზიელ ბერძნებზე, თავის მხრივ, სპარსული გავლენაც შესამჩნევი იყო. პლუტარქეს ცნობით, ეფესოში სპარსული წეს-ჩვეულებების დამკვიდრებით, მას „სრული ბარბარიზაცია“ ემუქრებოდა (ლისანდრე, 3). კაპადოკიაში ირანული კოლონიები არსებობდა. აქვე აღმოჩენილი რელიეფები სპარსული არქიტექტურისა და ხელოვნების ელემენტების გავრცელებას ადასტურებს.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ბერძენთა გარკვეული ნაწილი აქემენიანთა იმპერიის სამხედრო სამსახურში იყო ჩამდგარი.

სპარსულ არმიაში მრავალი ბერძენი დაქირავებული მეომარი მსახურობდა. ბერძენი მოქირავნეები როგორც შეიარაღების, ასევე სტრატეგიულ-ტაქტიკური თვალსაზრისით საუკეთესო მეომრებად ითვლებოდნენ. ქსენოფონტი წერდა, რომ ძვ. წ. IV ს-ის დასაწყისში სპარსებს ელინების გარეშე არასდროს უომიათ, ვინაიდან მათი სამხედრო საქმე დაბალ დონეზე იდგა (Hist., 761, 8).

ბერძენ მოქირავნეებს ჯამაგირს ვერცხლისა და ოქროს მონეტებით უხდიდნენ. ქსენოფონტის ცნობით, მოქირავნეები ბაზარზე პირველი მოხმარების საგნებს ყიდულობდნენ. ათენაიოსის თანახმად კი ელინელი მოქარავნეები სამეფო რეზიდენციებში ცხოვრობდნენ და საკვებს სამეფო სამზარეულოდან იღებდნენ.

ბერძნები აქემენიანთა უკიდეგანო იმპერიის სხვადასხვა პროვინციებში ცხოვრობდნენ და საქმიანობდნენ. აქემენიდურ ბაბილონში ბერძენთა ყოფნის შესახებ ლურსმულ ტექსტებში პირდაპირი მინიშნებები არ მოიპოვება, თუმცა არქეოლოგიური მონაცემები ამას ადასტურებს. ბაბილონის საცხოვრებელ სახლებსა და ტაძრებში დადასტურებულია კრემაციის შემთხვევები, რაც ბაბილონელებისათვის უცხო იყო და ბერძნული დაკრძალვის წესს უკავშირდება. ბაბილონურ ფირფიტებზე შემორჩენილია ძვ. წ. V-IV სს-ის ბერძნული საბეჭდავებისა და მონეტების ტვიფრები, რომლებიც ბაბილონში ელინთა ყოფნაზე მიუთითებს. მაგრამ აქემენიდების ეპოქის დასასრულამდე ბაბილონელებზე ბერძნული კულტურის ზეგავლენა უმნიშველო იყო.

ბერძენთა კვალი აქემენიანთა იმპერიის უდიდეს პროვინციაში – ეგვიპტეში ჯერ კიდევ ძვ. წ. VIII ს-ში დასტურდება, როდესაც ბერძენმა კოლონისტებმა, ფარაონების ხელშეწყობით, ნავკრატისი დააარსეს. ეგვიპტის ფარაონები ელინელ კოლონისტებს ყოველმხრივ ეხმარებოდნენ, ვინაიდან მოახალშენენი ეგვიპტის არმიას დაქირავებული მეომრებით ამარაგებდნენ.

მოგვიანებით აქემენიდების დროს ბერძენთა რიცხვი ეგვიპტეში საკმაოდ გაიზარდა. ჰეროდოტეს ცნობით, როდესაც კამბისესი ლაშქრობდა ეგვიპტეზე მას შეუერთდა ბევრი ელინი – ზოგიერთები სავაჭროდ, სხვები სალაშქროდ და ზოგიც ამ ქვეყნის სანახავად (III, 139); ეგვიპტურ ტექსტებში საუბარია „უცხო ქვეყნების მცხოვრებლებზე," რომლებიც ეგვიპტეში კამბისესთან ერთად ჩამოვიდნენ და იქ დასახლდნენ. ბერძენთა დაინტერესება აღმოსავლეთისადმი მნიშვნელოვნად გაიზარდა ძვ. წ. V ს-ის დასაწყისში. ათენში ხშირად უჩვენებდნენ ფრინიხის პიესას „ეგვიპტელები".

ეგვიპტეში, ელეფანტინზე, მემფისში, თებეში, ჰერმოპოლისსა და სხვა ქალაქებში ადგილობრივი მოსახლეობის გარდა ცხოვრობდნენ ფინიკიელები, კილიკიელები, იუდეველები, სპარსები, ბერძნები და სხვა. ისინი ერთდროულად თაყვანს სცემდნენ თავის და უცხო ღმერთებს, სახელებსაც იცვლიდნენ ანდა თავის საკუთარ სახელთან ერთად ეგვიპტურ სახელებსაც ირქმევდნენ.

აქემენიდები ბერძნული პანთეონისადმი ტოლერანტობას იჩენდნენ, რათა მსოფლიო ბატონობის გზაზე დამატებითი სიძნელეები არ შექმნოდათ. ჰეროდოტეს ცნობით, მარდონიოსმა პლატეასთან ბრძოლის წინ „ელინთა წესისამებრ" ბერძნულ ღმერთებს მსხვერპლი შესწირა (IX, 37-38). ცნობილია, რომ ქსერქსემ საბერძნეთში ლაშქრობის დროს იმ პოლისების ტაძრები დაანგრია, რომლებიც მას წინააღმდეგობას უწევდა, თუმცა ქსერქსემ სპარსთა მხარეზე მებრძოლი ათენელები შეკრიბა და

მათ უბრძანა აკროპოლისზე ბერძენი ღმერთებისთვის მსხვერპლი შეეწირათ (VIII, 54). ასევე, სპარსმა მხედართმთავარმა დატისმა, რომელიც ლესბოსზე იმყოფებოდა „მეფის ბრძანებით" აპოლონსა და არტემიდეს თაყვანი სცა და მათ საკურთხევლებზეც მსხვერპლი შესწირა (VI, 97). ამგვარად მოიქცნენ ეგვიპტეში მყოფი ბერძენი სარდლები, რომლებიც ამონისთვის ლოცულობდნენ (Plut., Gimon, 17).

ზემოთ აღნიშნულ ფაქტებს შეიძლება სხვა სარწმუნო ცნობები დაემატოს. მაგალითად, ქსერქსემ მცირე აზიაში ათენა ილიონელს მსხვერპლი შესწირა (Herod., VII, 43). კიროს უმცროსს ბერძენი ნინასწარმეტყველი ჰყავდა (Xen., Anab., V, 4, 16-18). სტრაბონის მტკიცებით სპარსელები მათდამი დაქვემდებარებული ხალხების ღმერთებს თაყვანს სცემდნენ (XI, 13, 9). მაგალითად, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ისინი უცხო ღმერთებს აღიარებდნენ (Diod., VIII, 2). ირანელი მეგაბაზესი ეფესოში არტემიდეს ტაძრის ქურუმი იყო (Xenop., Anab., V, 3, 6); ტროადაში ათენას ტაძრის წინ ფრიგიის სატრაპის არიობარზანესის ქანდაკება იყო აღმართული (Diod., XVII, 17, 6).

მარდონიოსი და ქსერქსე, რომლებიც საბერძნეთში იმყოფებოდნენ, მიიჩნევდნენ, რომ აქაური ქვეყნის ზეციური გამგებელი იყო ელინური და არა ირანული ღვთაებები, რომლებიც უცხო ქვეყანაში სპარსებს ვერ დაეხმარებოდნენ. ამგვარი მიზეზით ეგვიპტეში მცხოვრები ბერძნებიც ამონს ამ ქვეყნის ყოვლისშემძლე ღმერთად მიჩნევდნენ. არტაქსერქსე II-ის დროს ძველირანული ანახიტა იკონოგრაფიულად არტემიდას უტოლდებოდა. პერსეპოლისის ტაძრის ნანგრევებში აღმოჩნდა სავოტივო წარწერები, სადაც ანახიტა არტემიდესთანაა გაიგივებული, აპოლონი და ჰელიოსი მითრასთან, ზევსი აპურამაზდასთან, მითრა კი აპოლონთან.

სპარსელთა მიერ ბერძნული და სხვა უცხო ღმერთების თაყვანისცემის ფაქტი, ერთი შეხედვით, შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, მაგრამ ძველი რელიგიები დოგმატური არ იყო და სხვა ხალხთა სარწმუნოების მიმართ ტოლერანტული ჩანს. ძველ აღმოსავლეთში რელიგიური შემწყნარებლობის მიზეზები არა მარტო პოლიტიკურ და მორალურ მოტივაციებში მდგომარეობდა, არამედ ცრუმორწმუნეობის, სპეციფიკური ერესების, რასობრივი სიძულვილის არაარსებობით იყო განპირობებული. ამიტომ ის პირები, რომლებიც სხვადასხვა გარემოებათა გამო უცხო ქვეყნებში ცხოვრობდნენ, თაყვანს სცემდნენ როგორც ამ ქვეყნების, ასევე თავიანთ ღმერთებს.

აქემენიდები მათდამი დამორჩილებულ ხალხთა კულტურულ, სამართლებრივ და ადმინისტრაციულ გამოცდილებას იყენებდნენ. სპარსულ ადმინისტრაციას სახელმწიფო მართვაში დაქვემდებარებული ხალხებიც ჰყავდა ჩართული. იონიურ პოლისებში ისევე როგორც ბაბილონსა და ეგვიპტეში მოსამართლენი, კანცელარიის გამგებლები, ქალაქების თავები, ნომარხოსები, გადასახადის ამკრეფნი, სამუშაოთა მწარმოებლები იყვნენ ბერძნები, ბაბილონელები, ეგვიპტელები, იუდეველები და ა.შ.

აქემენიდები პროსპარსული ორიენტაციის ელინურ პოლისებს და კერძო პირებს სპეციალურ ტიტულებს ანიჭებდნენ და პირად მფლობელობაში ქალაქებსაც უკანონებდნენ. ასე მაგალითად, ქსერქსემ თებელები სპარსი მეფეების კეთილმოსურნეებად აღიარა, დანარჩენი ბერძნების წინააღმდეგ მათი დახმარების გამო, ხოლო აკანფეელებს, სარწყავი არხის გაყვანის დროს დახმარების გაწევისთვის, „სამეფო სტუმართმოყვარის" ტიტული უბოძა, აბდერელებს კი სპარსული საჯარისო ფორმირებების გულთბილი მიღებისთვის „მოკავშირის" ტიტული უბოძა (Herod., V, 120. VII, 116; Diod., XVII, 14, 2).

მეფის „კეთილმოსურნეთა“ სიაში ირიცხებოდნენ ასევე უცხოელი პირები, რომლებსაც მეფე სოფლებითა და ქალაქებითაც ასაჩუქრებდა. მაგალითად, თემისტოკლეს ქსერქსესგან რამდენიმე ქალაქი – მაგნესია, ლამპსაკოსი, პერკოტესა და პალესკეპსისი ებოძა პურის, ღვინის, სანოვაგისა და ტანისამოსისთვის (პლუტარქე, თემისტოკლე, 29).

სპარტელთა ლტოლვილმა მეფემ დემარატემ, საბერძნეთის დალაშქვრაში მონაწილეობისათვის, ქსერქსესგან პირად მფლობელობაში თევფრანიისა და ალისარნიის ქალაქები მიიღო. ერიტრიელ ძმებს გონგილიასა და გორგონიას, სპარსოფილობის გამო სამშობლოდან მოკვეთილებს, ტროადაში ირანის მეფემ ოთხი ქალაქი უსახსოვრა (Xen., Anab., VII, 8,8); მილეტის ტირან ჰისტიასს, რომელმაც დარიოს I-ს დიდი სამსახური გაუწია, თრაკიაში მირკინის რეგიონი გადაეცა (Herod., V, 11). ათენელთა ცნობილ სტრატეგოსს, მოღალატე ალკიბიადეს სპარსმა სატრაპმა ფარნაბაზემ ფრიგიაში სამოსახლო აჩუქა (Xen., Hell., III 1, 6). კიროს II-მ კიზიკოსელ პიტარხეს მცირე აზიაში შვიდი ქალაქი გადასცა. თუკიდიდეს ცნობით ქსერქსემ მადლობა გადაუხადა სპარტის მეფე პავსანიასს, რომელიც ფარულად ეხმარებოდა სპარსელებს, განეული სამსახურისთვის და აცნობა, რომ „ირანის მეფის ვალში“ ის დიდ წყალობას მიიღებდა (Hist., I, 129, 3). აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ქალაქები და სოფლები სამშობლოს მოღალატე ბერძნებს სრულ მფლობელობაში როდი გადაეცემოდათ, არამედ მათ განკარგულებაში მხოლოდ ამ ცენტრების შემოსავლები რჩებოდათ.

აქემენიდები თავიანთ მოკავშირეებსა და უცხოელ ელჩებს ძვირფასი საგნებით ასაჩუქრებდნენ. მაგალითად, ელიანუსის ცნობით, სპარსეთის მეფემ, მასთან ვიზიტად მყოფ ელჩებს ბაბილონური ვერცხლის ტალანტი, ერთ ტალანტად ღირებული ვერცხლის ჭურჭელი, სამაჯურები, სპარსული მახვილები და მიდიური ტანსაცმელი უსახსოვრა (Var., I, 22); არტაქსერქსე II-მ, ათენაიოსის ცნობით, ვინმე ერთ ბერძენს ვერცხლის ფეხებიანი სანოლი, ვერცხლისავე ტახტი, მოოქროვილი ქოლგა, ოქროს ლანგრები, თასები და სპარსული ხალიჩები უსახსოვრა (Deipnosoph., II, 480-491).

სპარსელები მონეტებს ძირითადად იყენებდნენ ბერძნებთან კომერციული გაცვლისათვის და დაქირავებული მეომრების ანაზღაურებისათვის.

იმ დროს, როდესაც საბერძნეთში ოქრო ვერცხლზე ათჯერ მეტად ძვირი იყო, სპარსეთის იმპერიაში ეს თანაფარდობა უდრიდა 1/3., მაგრამ იაფფასიანი ვერცხლის პოლიტიკას სამეფო ხაზინისთვის უარყოფითი შედეგები უნდა მოპყოლოდა, რადგანაც სპარსეთის იმპერიაში ბერძნებს შეეძლოთ ვერცხლის ზოდები ეყიდათ და საბერძნეთში მისგან მონეტები მოეჭრათ, ხოლო შემდეგ ვერცხლის მონეტების რეალიზება მოეხდინათ სპარსეთის იმპერიაში. ამიტომ აქემენიდებმა საკუთარი, სრულფასოვანი ვერცხლის მონეტების მოჭრა დაიწყეს. ეს მონეტები უფრო მძიმე იყო ატიკურ დრაქმებზე. ამით ისინი შეეცადნენ ბერძნული ვერცხლის ფულისთვის კონკურენცია გაეწიათ. როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა სუზა დაიკავა, სამეფო საგანძურში ზოდების სახით 40000 ტალანტი და 9000 მონეტა აღმოჩნდა (Curt., V, 2, 11; Diod., XVII, 7). გარდა ამისა, მაკედონელებმა ისოსში მიისაკუთრეს 3000 ტალანტის კეთილშობილი ლითონი, ბაბილონში – 20000, პასარგადში – 6000, ეკბატანში –12000, პერსეპოლისში – 120000, სარდეში – 2000, დამასკოში – 3000, არბელში – 3500 (Curt., V, 6, 10). სპარსეთის იმპერიის არსებობის დასასრულს მის საგანძურში 235630 (7 მლნ. კგ) ტალანტის ოქრო-ვერცხლი ინახებოდა.

ამრიგად, სახელმწიფო გადასახადების სახით შემოსული ფული მრავალი ათეული წლის მანძილზე სამეფო ხაზინაში ინახებოდა. ისინი მიმოქცევიდან ამოიღეს და მხოლოდ მცირედი ნაწილი დაქირავებული მეომრებისა და ადმინისტრაციის შენახვისთვის გამოიყენებოდა. ამიტომ ვაჭრობისთვის მონეტები არ იყო საკმარისი. ეს კი ფულად-სასაქონლო მეურნეობის განვითარებას აფერხებდა და ამიტომ აუცილებელი იყო ნატურალური მეურნეობის შენარჩუნება.

ბერძნებს საკუთრივ სპარსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები თითქოს არ ჰქონდათ, ვინაიდან აქ, როგორც აღინიშნა, ფულად-სასაქონლო მეურნეობა სუსტად იყო განვითარებული. ჰეროდოტე (I, 53) და სტრაბონი (XV, 3, 19) აღნიშნავდნენ რომ სპარსელებს ბაზარი არ ჰქონდათ, რადგან ისინი არც ყიდულობდნენ და არც ყიდიდნენ. სამაგიეროდ ბერძნულ პოლისებს სპარსეთის იმპერიაში შემავალ ზოგიერთ ქვეყნებთან თუ ქალაქებთან მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი აკავშირებდათ. კონტინენტური საბერძნეთის პოლისებში ეგვიპტიდან მარცვლეული, სელი და პაპირუსი იგზავნებოდა, ხოლო საბერძნეთიდან ეგვიპტეში ღვინო და ზეთისხილი. თავდაპირველად ეგვიპტესთან ბერძენთა სავაჭრო ურთიერთობა ქალაქ ნავკრატისით შემოიფარგლებოდა. შემდეგში, ჰეროდოტეს ცნობით, ეგვიპტის ბაზრებზე ელინები ვაჭრობდნენ (II, 39). ბერძნებმა თანდათანობით ეგეოსის ზღვის აუზიდან ფინიკიელი ვაჭრები განდევნეს და სხვა რეგიონებშიც მათ წარმატებით უწევდნენ კონკურენციას. ამას მოწმობს ბერძნული მონეტების ფართოდ გავრცელების ფაქტი თანამედროვე ავღანეთიდან ეგვიპტემდე. ძვ. წ. VI ს-ის ათენური მონეტები აღმოჩენილია ზანგეზურაში (სომხეთის სამხრეთ ნაწილი), ძვ. წ. V ს-ის მილეტის მონეტები არინბერდში, ბერძნული ტორევტიკის ნიმუშები დასავლეთ სომხეთში, რაც საბერძნეთთან და მცირე აზიასთან მათ სავაჭრო კავშირებზე მიუთითებს.

კონტინენტური საბერძნეთიდან აღმოსავლეთის ქვეყნებში გაჰქონდათ ზეთისხილი, ღვინო და კერამიკული ნაწარმი. მაგალითად, ათენური ვაზები აღმოჩენილია არა მარტო შავიზღვისპირეთში, არამედ აქემენიანთა იმპერიის დედაქალაქში. ატიკური და როდოსული კერამიკული ნაწარმი დადასტურებულია ასევე იერუსალიმში. ბერძნების სავაჭრო ურთიერთობას ბაბილონთან მოწმობს ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევრის ათენური კერამიკული ნაწარმის ბაბილონში აღმოჩენის ფაქტი. აქვე დაფიქსირებულია ძვ. წ. V-IV სს-ის ატიკური ჭრაქებიც (Wetzel, 1944, გვ. 45-68).

ძვ. წ. VI ს.-ში მცირე აზიაში ვაჭრობის თვალსაზრისით არსებითი ცვლილებები მოხდა. იონიელთა აჯანყების შემდეგ, როდესაც სპარსელებმა მსხვილი სავაჭრო-სახელოსნო ქალაქი მილეტი დაანგრიეს, ბერძნულ სამყაროში წამყვან როლს ათენი და კორინთო ასრულებდა.

სპარსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი ზოგიერთი ქვეყნიდან ბერძნებმა არაერთი მეცნიერული მიღწევები შეითვისეს. ძველი ბერძნები აღნიშნავდნენ, რომ მათ აღმოსავლეთის ხალხისაგან ბევრი რამ ისწავლეს. ბერძნებს მიაჩნდათ, რომ ეგვიპტელებისგან გეომეტრია აითვისეს. პითაგორამ ეგვიპტეში იმოგზაურა და იქ ეგვიპტურ მათემატიკას გაეცნო. დემოკრიტემ კი ეგვიპტეში ხუთი წელი დაჰყო და აქაური მეცნიერება შეისწავლა. ეგვიპტელი ექიმების დაკვირვებები ჰიპოკრატეს კორპუსში იქნა ჩართული. ჰეროდოტე წერს, რომ ასტრონომიაში ბერძნების მასწავლებლები ბაბილონელები იყვნენ (II, 109). ბაბილონელი ასტრონომების ნაშრომები (კერძოდ კიდინისა) ბერძნულ ენაზე ითარგმნა. ბერძნული ასტრონომიული მეცნიერების

განვითარებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ბაბილონელი მეცნიერის ბეროსის მიერ დაარსებულმა სკოლამ კოსში ძვ. წ. 270 წ; გადმოცემის თანახმად, ვინმე ირანელმა პლატონს ზოროასტრიზმის მოძღვრება გააცნო, ხოლო კალისთენემ, არისტოტელეს ბიძამ ათენში ბაბილონური ასტრონომიული თხზულებები ჩამოიტანა. ბერძნები კარგად იცნობდნენ ბაბილონურ მათემატიკას, რომელიც ადრეული აღორძინების ეპოქის დონეს არ ჩამოუვარდებოდა. ფინიკიელებისაგან კი ბერძნებმა დამწერლობა გადმოიღეს და შემდეგში დახვეწეს კიდეც.

2. ალექსანდრე მაკედონელი და პოლისები

ალექსანდრე მაკედონელისა და პოლის-სახელმწიფოების ურთიერთობის შესახებ წერილობითი წყაროები საკმაოდ მწირია. ძველი ავტორები ელინურ პოლისებს მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა კონტექსტში იხსენიებენ. ეს გასაგებიცააა. მათი მიზანი ხომ ალექსანდრე მაკედონელის ტრიუმფალურ ლაშქრობათა აღწერა იყო. ამდენად, ალექსანდრეს მრავალმხრივი ურთიერთობანი პოლისებთან ანტიკური მწერლების თვალსაწიერის მიღმა რჩებოდა.

როგორც ცნობლია, ძვ. წ. 338 წ. კორინთოს კავშირის შექმნა პოლისების „ελευθερία καί αὐτονομία" – „თავისუფლებისა და ავტონომიის" დასასრულის დასაწყისი იყო. პოლისები მაკედონიის ჰეგემონობით კორინთოს ალიანსში გაერთიანდნენ. მიუხედავად ამისა, ფილიპე II, პლუტარქეს სიტყვით, „ელადის სრული დამონება და მოთვინიერება მაინც ვერ შეძლო" (ალექსანდრე, 11). კავშირის მიღმა სპარტა და კრეტა რჩებოდა. ვითარება არც ალექსანდრეს მეფობის პირველ წლებში შეცვლილა. მართალია, პოლისებმა ალექსანდრე ალიანსის ჰეგემონ-ავტოკრატად აღიარეს, მაგრამ მთელი რიგი პოლისები ანტიმაკედონურად იყო განწყობილი. განსაკუთრებით აქტიურობდნენ თებელები, რომლებმაც კადმოსში მაკედონელთა გარნიზონს ალყა შემოარტყეს. მათ ათენელებმა, არკადიელებმა და ელეიელებმაც სოლიდარობა გამოუცხადეს.

მაკედონელი დიდებულები ალექსანდრეს ურჩევდნენ საბერძნეთზე ძალა არ გამოეყენებინა. მაგრამ ალექსანდრეს კარგად ესმოდა, რომ ასეთი ექსტრემალური სიტუაციის დროს დაყოვნება კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა. მან მყისვე არმია თერმოპილეზე გადაისროლა და თებეს ალყა შემოარტყა. წინააღმდეგობის მიუხედავად ქალაქი აიღო და მიწასთან გაასწორა. ელინები ფიქრობდნენ, რომ ათენიც თებეს ბედს გაიზიარებდა, თუმცა ალექსანდრემ ამგვარი ქმედებისაგან თავი შეიკავა. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა: ათენს ძლიერი ფლოტი ჰყავდა და მზად იყო მაკედონელებთან ბოლომდე ებრძოლა; ათენის სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალი ალექსანდრეს აღმოსავლური კამპანიის სამსახურში უნდა ჩამდგარიყო; ამავე დროს, ათენი ელინური სამყაროს ცენტრი, პოლისური თავისუფლების ფლაგმანი იყო და მისი განადგურება ელინთა საყოველთაო მღელვარებას გამოიწვევდა.

ათენთან ფილიპეს დროინდელი „status quo" შენარჩუნდა: ალექსანდრემ ათენს წინანდებურად ზღვისპირა პოლისები – ლემნოსი, იმბროსი, სკიროსი, სამოსი და დელოსი დაუტოვა. სამაგიეროდ ათენი ალიანსის შემადგენლობაში რჩებოდა.

რაც შეეხება სპარტას, მასთან ალექსანდრეს ურთიერთობა, ისევე როგორც ფილიპე II-ის დროს, კვლავ რთული იყო. სპარტელები კორინთოს ალიანსში გაწევრიანებაზე უარს ამბობდნენ. ალექსანდრე კიდევ ერთხელ შეეცადა, რათა სპარტელები დაეყოლებინა. არიანეს ცნობით მაკედონიის მეფე გაემგზავრა პელოპონესში, სადაც პელოპონესელ ელინთა კრება მოიწვია და მათ თხოვნით მიმართა, რათა სპარსელთა წინააღმდეგ ლაშქრობის მეთაურობის უფლებამოსილება მიენიჭებინათ (Арр., Anab., I, 1, 2). მისი თხოვნა პელოპონესის თითქმის ყველა პოლისმა დააკმაყოფილა გარდა სპარტელებისა, რომელთა პასუხი ერთმნიშვნელოვანი იყო: „სპარტელებს წინაპრებმა უანდერძეს, რომ სხვის კვალს კი არ უნდა გაჰყოლოდნენ, არამედ წინამძღოლები თვითონვე უნდა ყოფილიყვნენ" (Арр., Anab., I, 10, 6). სპარტელთა პასუხი სავსებით აშკარა და გასაგებია. ისინი მკაცრად იცავდნენ ადრე შემუშავებულ პოლიტიკას, თუმცა კორინთოს ალიანსის წევრობაზე უარი ნიშნავდა მესენიის ფორმალური დამოუკიდებლობის აღიარებას და მოსაზღვრე ტერიტორიების დაკარგვას. მიუხედავად ამისა, სპარტა მაინც ღიად ამჟღავნებდა ჰეგემონურ მისწრაფებებს. არსობრივად ეს იყო ერთიანი პოლიტიკის ორი ასპექტი. ალექსანდრეს სპარტის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციები არ დაუწყია, რადგანაც სპარტას კორინთოს ალიანსის წევრებისათვის „საფრთხობელას" როლი უნდა შეესრულებინა, რაც მათ აიძულებდა ერთად ყოფლიყვნენ. გარდა ამისა, სპარტას მაკედონიისათვის არანაირი საბაბი არ მიუცია, რომ ალექსანდრეს მასზე მკაცრი სანქციები დაეწესებინა. ამიტომაც ალექსანდრე იძულებული გახდა პელოპონესში არსებული სიტუაცია შეენარჩუნებინა, თუმცა, არიანეს ცნობით, ალექსანდრეს მიაჩნდა, რომ სპარტელები საღი აზრისაგან შორს იყვნენ (Anab., I, 7, 4).

სპარტას ალექსანდრეს მიერ ჩრდილოეთ საბერძნეთის პოლისებისა და თებეს ანექსიაზე რეაგირება არ მოუხდენია. ამ მოვლენებისადმი მან პასიური პოზიცია დაიკავა, თუმცა ის მაკედონიასთან ომისათვის აქტიურად ემზადებოდა. ალექსანდრემ პელოპონესის გაკონტროლება და სპარტასთან ურთიერთობის მოგვარება ანტიპატრეს დააკისრა, ხოლო თვითონ კი აღმოსავლეთში სალაშქროდ გაემართა.

ალექსანდრე მაკედონელის აღმოსავლური ლაშქრობები მცირე აზიის პოლისების შემოერთებით დაიწყო, რაც ალექსანდრესა და ელინური პოლისების ურთიერთობათა ისტორიაში მეორე ეტაპადაა მიჩნეული (Маринович, 1980, გვ. 44). მკვლევართა აზრით, ალექსანდრემ მცირე აზიაში სამოცზე მეტი ქალაქი აიღო (Bickerman, 1934, გვ. 358). პირველი ქალაქი, რომელიც ალექსანდრემ დაიკავა სახელგანთქმული ილიონი (ტროა) იყო. ფლავიუს არიანეს ცნობით ალექსანდრემ ილიონი უბრძოლველად დაიკავა და მას „თავისუფლება" უბოძა. ალექსანდრეს წინააღმდეგობის გარეშე დამორჩილდნენ აგრეთვე პატარა ქალაქები – პრიაპი, პინარი, კსანთი, პატარი; ასევე მაგნესიისა და ტრალის მოქალაქეებმა ალექსანდრეს თავიანთი ქალაქები გადასცეს (Арр., Anab., I, 24, 4). ფასელიტის ელჩები ეახლნენ ალექსანდრეს, ოქროს გვირგვინი მიართვეს და მეგობრობა სთხოვეს. მათ ლიკიის ქალაქებმაც მიბაძეს (Арр., Anab., I, 26, 2); ალექსანდრემ უბრძოლველად დაიკავა ეფესოც. აქ ოლიგარქია გააუქმა და ხელისუფლება დემოკრატებს გადასცა. ქალაქს „თავისუფლება" მიანიჭა.

ზოგიერთი ქალაქი კი ალექსანდრემ, არიანეს ცნობით, წინააღმდეგობის გარეშე დაიკავა: დაკსილია და ლიკიის ოცდაათი პატარა ქალაქი დანებდა (Арр., Anab., I, 17, 2). პლუტარქე გადმოგვცემს, რომ გრანიკოსთან გამარჯვების შემდეგ ალექსანდრემ

სარდი და სხვა ქალაქებიც შემოიერთა (ალექსანდრე XVII); ალექსანდრემ მხოლოდ რამდენიმე ქალაქი დაიკავა ბრძოლით. მას სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია მილეტმა, რომელსაც, არიანეს ცნობით, ძირითადად მოქირავნეები იცავდნენ, თუმცა საბრძოლო ოპერაციებში მილეტელებიც მონაწილეობდნენ. არიანე მათ სპარსელთა „მეგობრებსა" და „მოკავშირეებს" უწოდებდა (Anab., I, 18, 3-5). სპარსელების მხარეზე იბრძოდა ქალაქი ზელა (Anab, I, 17, 2). ქალაქი სოლიც სპარსელებთან ერთად მაკედონელების წინააღმდეგ იბრძოდა, რის გამოც ალექსანდრემ მას დიდი ჯარიმა დააკისრა. ქალაქში სამხედრო შენაერთები ჩააყენა და დემოკრატიული მმართველობა აღადგინა. ალექსანდრემ ბრძოლით აიღო მცირე აზიის ცნობილი ქალაქი ჰალიკარნასი, რომელმაც მაკედონელებს დიდი წინააღმდეგობა გაუწია. ქალაქიდან ოლიგარქოსები და სპარსული სამხედრო შენაერთები განდევნა და მისი მართვა დემოკრატებს გადასცა (Arr., Anab., I, 20, 3).

როგორც ჩანს, მცირე აზიის მთელი რიგი ქალაქები ალექსანდრეს დანებდნენ, ზოგიერთი მათგანი კი მან ბრძოლით აიღო.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ალექსანდრე და ფილიპე II, რომლებიც ბალკანეთის პოლისებში ოლიგარქიულ რეჟიმს ამკვიდრებდნენ, ალექსანდრემ მცირე აზიის პოლისებში დემოკრატიული სისტემა აღადგინა. ამგვარი ტრანსფორმაცია მცირე აზიის ქალაქებში არსებული პოლიტიკური პროცესებით უნდა აიხსნას. ალექსანდრეს აღმოსავლური კამპანიისას მცირე აზიის პოლისებში მწვავე დაპირისპირება მიმდინარეობდა პრომაკედონურ დემოკრატებსა და სპარსოფილური ორიენტაციის ოლიგარქოსებს შორის. პოლისების მართვის სადავეები კი ოლიგარქოსებს ეკავათ.

მთელ რიგ ქალაქებში სპარსული გარნიზონები იყო დისლოცირებული. ეს საჯარისო შენაერთები ბერძენი დაქირავებული მეომრებისაგან შედგებოდა, რომლებიც მაკედონელებს სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდნენ. ასე რომ, ელინური პოლისების საგარეო ორიენტაცია განპირობებული იყო ერთი მხრივ, სპარსული სამხედრო შენაერთების ყოფნა-არყოფნით, ხოლო მეორე მხრივ, დაპირისპირებული მხარეების – დემოკრატებისა და ოლიგარქოსების ძალთა თანაფარდობით.

ძნელია ახლა გადაჭრით ითქვას იმის შესახებ, თუ რა ფაქტორებმა შეასრულეს გადამწყვეტი როლი ამა თუ იმ ქალაქის ბედზე. ძველი ავტორები აღნიშნულ საკითხზე მწირ ინფორმაციას გვანვდიან. ასე მაგალითად, არიანეს ცნობით, დაკისილია პარმენიონმა მას შემდეგ დაიკავა, როდესაც სპარსულმა გარნიზონმა ქალაქი დატოვა (I, 17, 2); ჰიპარნია ალექსანდრემ პირველი იერიშისთანავე აიღო (I, 24, 4).

მაკედონელებს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია მილეტმა, რომელსაც ძირითადად დაქირავებული მეომრები იცავდნენ, თუმცა საბრძოლო ოპერაციებში მილეტელებიც მონაწილეობდნენ. ჰალიკარნასი „მრავალმა დაქირავებულმა და სპარსელმა მეომარმა დატოვა" (Arr., Anab, I, 20, 3). მათ შორის იყვნენ მილეტიდან გამოქცეული დაქირავებული მეომრები და სპარსელები (Diod, XVII, 23, 4); რაც შეეხება ტრალს, თავიდანვე ალექსანდრეს უბრძოლველად ნებდებოდა, მაგრამ შემდეგ, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, მაკედონელებმა ტრალი მინასთან გაასწორეს. იგივე ბედი გაიზიარა სოლიმაც, რომელიც სპარსელებს მიემხრო. ზელამაც ასევე სპარსელების მხარე დაიჭირა, რისთვისაც კიდეც დაისაჯა; რაც შეეხება ეფესოს, ალექსანდრეს აღმოსავლურ ლაშქრობამდე, მას ოლიგარქოსები განაგებდნენ. მაგრამ მათი ხელისუფლება არამყარი იყო. გრანიკოსთან ალექსანდრეს გამარჯვების შემდეგ, ქალაქში დემოკრატებსა და

ოლიგარქოსებს შორის დაპირისპირება გამძაფრდა. ოლიგარქოსების ბატონობას სერიოზული საფრთხე დაემუქრა. ამიტომ, როდესაც სპარსული სამხედრო შენაერთები ეფესოსთან გამოჩნდნენ, პროსპარსული ორიენტაციის ოლიგარქოსებმა მათ ქალაქის კარიბჭე გაუღეს. ეფესოში დემოკრატების დევნა დაიწყო, მაგრამ რამდენიმე დღეში სპარსელებმა ქალაქი დატოვეს. ალექსანდრემ ეფესო უბრძოლველად დაიკავა. მან ოლიგარქიული მმართველობა დაამხო და დემოკრატია აღადგინა.

როგორც ჩანს, მაკედონელებს წინააღმდეგობას, უპირატესად, მცირე აზიის პოლისების სპარსული სამხედრო შენაერთები და დაქირავებული მეომრები უწევდნენ, მაგრამ მათთან ერთად არანაკლებ როლს ასრულებდნენ პოლისების პროსპარსული ორიენტაციის ოლიგარქოსები, რომლებიც ქალაქების მართვის სადავეებს ფლობდნენ. მოგვიანებით ალექანდრემ ისინი დემოკრატებით ჩაანაცვლა, ხოლო პოლისები კორინთოს კავშირში არ ჩაურთავს. მათი პროტექტორობა ალკიმაქეს დააკისრა. ალექსანდრეს მცირე აზიის პოლისებისათვის ახალი, ორიგინალური, ორივე მხარისათვის მისაღები კომპრომისული და ოპტიმალური მართვის სისტემა არ შეუთავაზებია, რადგანაც მას ამისათვის არც დრო ჰქონდა და საამისო მართვის მექანიზმებსაც ვერ ფლობდა. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან მაკედონია, ტრადიციულად, ფილიპე II-ის და ალექსანდრე დიდის ეპოქაშიც პატრიარქალურ-მონარქიული პრინციპებით იმართებოდა. ალექსანდრე ვერც იარაღის ძალით შეძლებდა დიდხანს პოლისების შენარჩუნებას. ამიტომაც იგი იმპერიის სისტემაში პოლისების ჩართვას პანელინიზმის ეგიდითა და პოლისების ტრადიციული, აპრობირებული მართვის ორგანიზაციის შენარჩუნებით შეეცადა (თოდუა, 2008, გვ. 16).

მართლაც, პოლისური მართვის სისტემა უცვლელი დარჩა. ათენში, როდოსში, მილეტში, კორინთოსა და დანარჩენ პოლისებში ნინანდებურად ბულე, ეკლესია, არეოპაგი და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურები ფუნქციონირებდა. თუმცა, აღნიშნული სისტემის არსებითი კომპონენტები – „თავისუფლება და ავტონომია“ არსობრივად დამოუკიდებლობის დროინდელ „თავისუფლებასა და ავტონომიას“ არ შეესაბამებოდა. მასში ელინთა ოდინდელი თავისუფალი სამოქალაქო და პოლიტიკური ბრძოლის უფლებები როდი იგულისხმებოდა. მან ახალი პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა. ამ ახალი პოლიტიკური სისტემის ძირითად პრინციპს კი ელადაში მყარი მშვიდობა და სრული წესრიგი შეადგენდა. ამდენად, ელინები შესაფერის მომენტს ეძებდნენ ელინური პოლისების ტრადიციული სტატუსის რესტავრაციისათვის. ეს კი მაშინ იყო შესაძლებელი, თუ ალექსანდრეს სამხედრო კამპანიის წარმატებული სერიები ოდნავ მაინც შეფერხდებოდა. ამ მხრივ, ელინებს თითქოსდა სახარბიელო სიტუაცია შეექმნათ, როდესაც ძვ. წ. 331 წ. ალექსანდრეს სტრატეგოსმა – ზოპირიონმა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში სრული ფიასკო განიცადა. თრაკიის მეფისნაცვალი მემნონი კი ალექსანდრეს განუდგა. ამავე დროს, სპარტის მეფემ აგის III პელოპონესში დისლოცირებული მაკედონური სამხედრო შენაერთები გაანადგურა და ელინურ პოლისებს თავისუფლების „დაცვისაკენ“ მოუწოდა (Diod., XVII, 48, 1). ამ მოწოდებას ზოგიერთი პოლისი აღფრთოვანებით შეხვდა. სპარტელებს აქეის, ელიდისა და არკადიის პოლისებმა მხარი არ დაუჭირეს. განზე მეგალოპოლისი და პელენაც დარჩა.

ათენმა სპარტელებს მხარი არ დაუჭირა, რაც, ვფიქრობ, განპირობებული იყო არა იმდენად სპარტისა და ათენის მრავალსაუკუნოვანი დაპირისპირებით, არამედ ეკონომიკური მოტივაციით: აღმოსავლეთში ალექსანდრეს გრანდიოზული სამხედრო

კამპანია მნიშვნელოვან მატერიალურ რესურსებს მოითხოვდა. ალექსანდრეს არმია პროვიანტს ანექსირებული ტერიტორიებიდან იღებდა. საბრძოლო იარაღით კი ძირითადად ათენიდან მარაგდებოდა, რამაც ათენის ბიუჯეტი საგრძნობლად გაზარდა. ნიშანდობლივია, რომ მაკედონიის დაუძინებელმა მტერმა დემოსთენემ სპარტისა და მაკედონიის ბრძოლაში ნეიტრალური პოზიცია დაიკავა და ალექსანდრეს ღვთაებრივი პატივიც მიაგო. დემოსთენე ათენის სავაჭრო-სამრეწველო წრის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. დემოსთენე ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ბიზნესით იყო დაკავებული და ათენში მსხვილ საწარმოებს, მათ შორის, იარაღის საწარმოს ფლობდა (Perlman, 1963, გვ, 78-80). ათენის სავაჭრო-სამრეწველო წრე აღმოსავლური ლაშქრობებიდან დიდ მოგებას ნახულობდა. საერთოდ, ათენისადმი ალექსანდრეს ტოლერანტული პოლიტიკაც არა მარტო ათენის დიდებული წარსულითა და ელინური კულტურის განვითარებაში მისი დიდი წვლილით იყო განპირობებული, არამედ ალექსანდრე უფრო მეტად ათენის განვითარებული ხელოსნური წარმოებით, ძლიერი სავაჭრო-სატრანსპორტო და სამხედრო ფლოტით იყო დაინტერესებული. ელადის დანარჩენი სახელოსნო ცენტრებიც, სადაც მოქმედი არმიისათვის იარაღი მზადდებოდა, მაკედონიისადმი ლოიალურად იყო განწყობილი.

როგორც აღინიშნა, ალექსანდრეს აღმოსავლური ლაშქრობების პირველ ეტაპზე, მცირე აზიის ელინური პოლისები სპარსელთა ბატონობისაგან თავისუფლდებოდა და იქ ოლიგარქიულ-ტირანული რეჟიმები დემოკრატიული ინსტიტუტებით იცვლებოდა. მრავალ მათგანს „თავისუფლება“ და „ავტონომიაც“ შეუნარჩუნდა, თუმცა ისინი კლასიკური ეპოქის ცნებებისაგან არსობრივად განსხვავდებოდა. აღნიშნული პერიოდის სუვერენულ პოლისებში კანონმდებლობით იკრძალებოდა ხარკის გადახდა და უცხო ქვეყნის სამხედრო შენაერთების ყოფნა. ალექსანდრე პოლისებში გარნიზონებს ხშირად ტოვებდა; მართალია მან პოლისები ფოროსისაგან, ხარკისაგან გაანთავისუფლა, მაგრამ მათ „სინტაქსისი“, საწევროების გადახდა დააკისრა. ხარკის მაგივრად საწევროები, პრინციპში, სიტყვების გადათამაშებაა და ალექსანდრეს ამგვარი ქმედება რეალურად „თავისუფლების“ ტრადიციულ ნორმებს ეწინააღმდეგობოდა. ცხადია, პოლისებს მხოლოდ დეკორატიული „თავისუფლება“ შერჩათ.

ძვ. წ. 331 წლიდან აღმოსავლური ლაშქრობების დასრულებისა და მსოფლიო იმპერიის ფორმირების შემდეგ ალექსანდრეს დამოკიდებულება პოლისებისადმი კარდინალურად შეიცვალა. ამიერიდან ელინური პოლისების თავისუფლებასა და ავტონომიას განსაკუთრებული საფრთხე დაემუქრა და მისი წარმოდგენით პოლისურმა სისტემამ თავისი შესაძლებლობები ამოწურა. ამიერიდან ის „ახალი მსოფლიო წესრიგის“ კონტექსტში ვერ თავსდებოდა და პოლისები ალექსანდრეს ნება-სურვილს უნდა დამორჩილებოდა. ასეთმა პოლიტიკამ მკაფიო ასახვა პოვა ძვ. წ. 324 წლის ალექსანდრეს ერთ-ერთ განკარგულებაში, რომლის თანახმადაც საბერძნეთის პოლისებში კრიმინალების გარდა ყველა დევნილი უნდა დაბრუნებულიყო. ამავე დროს, ანტიპატრეს დაევალა სამხედრო ძალა გამოეყენებინა იმ პოლისების მიმართ, რომლებიც დევნილთა მიღებაზე უარს იტყოდა (Diod., XVIII, 8, 4). ალექსანდრეს ეს აქტი კორინთოს კონგრესის დადგენილების დარღვევა იყო. როგორც ჩანს, ის აქტიურად ჩაერია პოლისის საშინაო საქმეში, რაც, თავისთავად, პოლისების „თავისუფლებისა“ და „ავტონომიის“ პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა.

ცხადია, მეფის განკარგულება პოლისებში სოციალურ წინააღმდეგობას გაამწვავებდა. საბერძნეთში პოლიტიკური სიტუაცია დაიძაბა. ათენში, რომელსაც სამოსიდან კლერუხების გასახლება ემუქრებოდა, სახალხო კრებაზე ცხარე დებატები გაჩაღდა. სწორედ ამ დროს პირეუსში გამოჩნდა ალექსანდრეს მთავარი ხაზინადარი ჰარპალე, რომელმაც ხაზინის ძარცვისათვის სასჯელს თავი აარიდა და ათენში ნავიდა. იგი შეეცადა ათენელები ალექსანდრეს წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება, მაგრამ ისინი ჰარპალეს ავანტიურას არ აჰყოლიან და პრობლემის მშვიდობიანად გადაწყვეტის გზა არჩიეს. ათენის სახალხო კრების გადწყვეტილებით, აღნიშნული საკითხის მოგვარებისათვის, ათენელებს ალექსანდრესთან ელჩები უნდა გაეგზავნათ. მაგრამ ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ ათენელთა პოზიცია და, საერთოდ, პოლიტიკური სიტუაცია საბერძნეთში მკვეთრად შეიცვალა.

საბერძნეთში, განსაკუთრებით კი ათენში, ანტიმაკედონური მოძრაობის ახალი ტალღა აგორდა. ათენის სახალხო კრებაზე უმრავლესობას შეადგენდნენ ანტიმაკედონური დაჯგუფებები ჰიპერიდეს მეთაურობით (Dem., XVIII, 248); 500 საბჭომ მოლაპარაკებები დაიწყო ალექსანდრეს ლაშქრობებში მონაწილე, დაქირავებული მეომრების მეთაურთან – ლეოსგენე ათენელთან, რომელიც, ამ დროს, 8 ათასიანი სამხედრო შენაერთებით ტენარის კონცხთან (პელოპონესი) იდგა. ათენელებმა ბერძნულ პოლისებს მოუწოდეს ომი დაეწყოთ ელადის განთავისუფლებისათვის. ათენის ამ მონოდებას ეოლიამ, ფოკიდამ, ლოკრიდამ, თესალიისა და პელოპონესის ზოგიერთმა პოლისებმა მხარი დაუჭირეს; ლეოსფენეს მთავარსარდლობით ათენელებისა და მოკავშირეთა არმიამ ანტიპატრეს არმიის დამარცხება შეძლო და ქალაქ ლამიას ალყა შემოარტყა. ამ გამარჯვების შემდეგ, აჯანყებულებს არგოსი და კორინთოც მიემხრო. მაგრამ კრატერის წარმატებული იერიშის შედეგად ძალთა თანაფარდობა მაკედონიის სასარგებლოდ შეიცვალა. ბერძნული ფლოტი კუნძულ ამორგოსთან განადგურებულ იქნა. ბერძნებმა წინააღმდეგობა შეწყვიტეს. ანტიპატრე დამარცხებულებს სასტიკად გაუსწორდა. ყველაზე მეტად ათენელები დაისაჯნენ: ქალაქს დიდძალი კონტრიბუცია დაუწესეს, მუნიხიაში მაკედონური გარნიზონი ჩადგა, სამოსში დევნილები დააბრუნეს, დემოკრატიული სისტემა გაუქმდა, პოლიტიკური ლიდერები სიკვდილით დასაჯეს, თორმეტი ათასმა ათენელმა მოქალაქეობა დაკარგა და მათი ნაწილი ანტიპატრემ თრაკიაში გადაასახლა.

ამრიგად, ალექსანდრეს ეპოქაში და დიადოხოსების დროსაც პოლისები მაკედონელთა იმპერიის სისტემაში იყო ჩართული. ელინურმა პოლისებმა „ახალი მსოფლიო წესრიგის" პირობებში პოლისის კლასიკური პრინციპები – „ელევთერია", „ავტონომია", „ავტარკია" საბოლოოდ დაკარგეს, მაგრამ პოლისური სისტემა ტრადიციული კონტინუიტეტის ძირითად ელემენტებს მაინც ინარჩუნებდა.

3. ელინისტური იმპერიები და პოლისები

პტოლემაიოსების ეგვიპტე და პოლისები. პტოლემაიოსების ეგვიპტე ტიპური ელინისტური იმპერია იყო. ძვ. წ. III ს-ში მის შემადგენლობაში შედიოდა საკუთრივ ეგვიპტე, აფრიკა, სინაი, პალესტინა, ფინიკია, სამხრეთ სირია. მასვე ეკუთვნოდა მცირე აზიის სამხრეთი, სამხრეთ-დასავლეთი და დასავლეთი რეგიონები, ასევე კვიპროსი.

პტოლემაიოსების ეგვიპტის დედაქალაქი იყო ალექსანდრია, რომელიც ძვ. წ. 332 წ. ალექსანდრე მაკედონელმა დააარსა და პტოლემაიოსების დროს ელინისტური სამყაროს მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა.

პტოლემაიოსების პოლიტიკა, ახალი ბერძნული ტიპის პოლისების დაარსებასთან დაკავშირებით, ელინისტური სახელმწიფოების (სელევკიდების სირია, მაკედონია, საბერძნეთი და სხვ.) მმართველების პოლიტიკისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა. ელინისტური სახელმწიფოების მმართველები ბერძნული ტიპის პოლისების მშენებლობას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ. ამგვარ პოლიტიკას პტოლემაიოსებიც მიმართავდნენ არა საკუთრივ ეგვიპტის ტერიტორიაზე, არამედ მათ მიერ ანექსირებულ ქვეყნებში, სადაც 30-ზე მეტი ბერძნული ტიპის პოლისები დააარსეს, რომლებსაც თვითმმართველობის უფლება მიანიჭეს, მაგრამ თვით ეგვიპტეში კი მხოლოდ ერთი ბერძნული პოლისი – პტოლემაიდა დააარსეს. პტოლემაიდის გარდა, ბერძნული ტიპის ქალაქი იყო ალექსანდრია, ასევე ნავკრატისი, რომელიც ბერძენმა კოლონისტებმა ჯერ კიდევ ძვ. წ. წ. VII სში დააარსეს.

აღნიშნული პოლისების გარდა, ნილოსის დაბლობზე არსებობდა მრავალრიცხოვანი ფარაონისდროინელი ადგილობრივი ქალაქები, რომლებიც სამეფო ადმინისტრაციას ექვემდებარებოდა. ნომების, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ცენტრები ადგილობრივი ქალაქები იყო. ასეთი ნომები 40 ერთეულს აღწევდა. ამ ქალაქებში თავმოყრილი იყო მრავალრიცხოვანი სახელოსნოები, სადაც ფერადი მინები, სელის, შალის, ბამბის ქსოვილები, პაპირუსები, კერამიკის, ბრინჯაოს, რკინისა და სპილენძის ნაწარმი მზადდებოდა. ეგვიპტის ქალაქებში სამეფო ხელისუფლება მიწათმოქმედთა და ხელოსანთა საქმიანობას მთლიანად აკონტროლებდა და არეგულირებდა. თუმცა ხელისუფალთაგან დაშვებული იყო სხვადასხვა პროფესიის ხელოსანთა პროფესიული გაერთიანებები, კავშირები (დაახლოებით დღევანდელი პროფკავშირების მსგავსი).

პტოლემაიოსებისდროინდელ მრავალრიცხოვან ქალაქთა შორის გამორჩეული ადგილი მაინც ალექსანდრიას ეკავა. ძვ. წ. III-II სს-ში ის ხმელთაშუაზღვისპირეთის მსხვილი სანავსადგურო და სავაჭრო ცენტრი გახდა. ზღვაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ალექსანდრიაში ააგეს სახელგანთქმული შუქურა, რომლის სიმაღლე 120 მ-ს აღწევდა და ღამით მისი სხივის დანახვა 60 კმ-ს მანძილზე შეიძლებოდა.

ბერძნული ტიპის პოლისებში – ალექსანდრიაში, ნავკრატისსა და პტოლემაიდაში მმართველობის ზოგიერთი არჩევითი ორგანოები, კერძოდ კულტის ორგანიზაციის, გიმნასიონების მართვა, სასამართლო და სხვ. არსებობდა, რაც პტოლემაიოსთა დესპოტურ სახელმწიფოში განსაკუთრებულ პრივილეგიად ითვლებოდა. ასევე ეგვიპტის იმპერიის ქალაქებში ადგილობრივი ტრადიციების პარალელურად ფართოდ ნერგავდნენ პოლისური სისტემის ნორმებს აგრეთვე აშენებდნენ მრავალრიცხოვან გიმნასიონებს, სადაც მკვიდრი ელინები თავიანთ ბავშვებს ბერძნული ტრადიციებით ზრდიდნენ.

ანექსირებულ ქვეყნებში ბერძნული ტიპის პოლისების დააარსებით პტოლემაიოსები ჩანდნენ არა როგორც აღმოსავლელი დესპოტები, არამედ მონარქები, რომლებიც პოლისურ ტრადიციებს პატივს სცემდნენ.

პტოლემაიოსები საგარეო პოლიტიკის სფეროში მხარს უჭერდნენ ბალკანეთის ბერძნული პოლისების ბრძოლას მაკედონელთა წინააღმდეგ, რამაც განაპირობა ეგვიპტის წინააღმდეგ მაკედონიისა და სელევკიდების გაერთიანება. მათ შორის ხანგრძლივმა დაპირისპირებამ ეგვიპტის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი თანდათანობით დაასუსტა და საბოლოოდ ამოწურა. ამას ზედ დაერთო ეგვიპტის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გაუარესება, რასაც ძვ. წ. II ს-ის დასაწყისიდან პტოლემაიოსების იმპერიის დაკნინება მოჰყვა. ამით ისარგებლა რომის სახელმწიფომ და ძვ. წ. 30 წ. ეგვიპტე რომის ლეგიონებმა დაიპყრეს. ამიერიდან ეგვიპტე რომის იმპერიის შემადგენელი ნაწილი გახდა.

სელევკიდების სახელმწიფო და პოლისები. სელევკიდების იმპერიის საზღვრები გადაჭიმული იყო მცირე აზიიდან ინდოეთამდე და ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის უდიდეს ნაწილს მოიცავდა. სახელმწიფოს ეთნიკური შემადგენლობა ჭრელი იყო. მის შემადგენლობაში შედიოდნენ პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად მკვეთრად განსხვავებული ხალხები. სახელმწიფოს სახელწოდება ანტიკურ წყაროებში განსაზღვრული არ არის. ის მოხსენიებულია როგორც „სელევკიდების სახელმწიფო". სელევკიდების სამეფოს დედაქალაქი ანტიოქია მდებარეობდა სირიაში. ამის გამო, აზიაში არსებული სახელმწიფოს სახელწოდებად დამკვიდრდა სირია.

სელევკიდების იმპერია ძალისმიერი გზით შეიქმნა. საომარი ოპერაციების შედეგებით განისაზღვრებოდა ამა თუ იმ პოლისის სტატუსი. დაპყრობილი პოლისების ბედი მეფის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. სელევკიდების მეფეს შეეძლო ოკუპირებული პოლისები გაესხვისებია, გაეყიდა, მათი საზღვრები და კონსტიტუცია შეეცვალა ანდა საერთოდ გაენადგურებინა (Ps., Heraclit. Epistol, 8; Liv., XXXVII, 53, 13; Diod., XXXIII, 5, 1). აღსანიშნავია, რომ ამგვარი აქტი უკანონოდ არ ითვლებოდა. დელფოსის ერთ-ერთი დეკრეტის თანახმად, სელევკოსმა სმირნელებს კუთვნილი ტერიტორიები დაუბრუნა (OGIS, 228, 8); ანტიოქოს III იონიური პოლისების კონსტიტუცია შეცვალა და მკვიდრ მოსახლეობას მოქალაქის უფლებები აღუდგინა (Jos., Antt., XII, 125).

სელევკიდებმა ზოგიერთ პოლისს უნინდელი სტატუსიც აღუდგინეს. ასე მაგალითად, სტრაბონის ცნობით, სელევკიდებმა ტირასის ავტონომია აღიარეს, ხოლო შემდეგ მათი ეს გადაწყვეტილება რომაელებმა დაადასტურეს (Strabo, XVI, 2, 23); სელევკოს II სმირნას დემოკრატია და ავტონომია აღუდგინა (OGIS, 229, 65).

სელევკიდების იმპერიაში ზოგიერთი ქალაქი „თავისუფლებითაც" სარგებლობდა, მაგრამ ის სახელმწიფოს მეთაურის დასტურით გაიცემოდა. ქალაქ პრიენას, რომელიც ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმახეს დროს „ავტონომიური" იყო და ძვ. წ. 281 წლიდან სელევკიდების დაქვემდებარებაში აღმოჩნდა, „თავისუფლება" მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ, ანტიოქოს I წყალობით აღუდგა. სამთავრობო დეკრეტების მონაცემებით ქალაქი ერიტრია ანტიოქოს I დროს „თავისუფალი" იყო, მისი გარდაცვალების შემდეგ, ერიტრიელებმა თხოვნით მიმართეს ანტიოქოს II-ს მათი „ავტონომია" დაედასტურებინა. იონიური პოლისების დელეგაციამ ანტიოქოს II სთხოვა, რომ ფედერალურ პოლისებს ესარგებლათ თავისუფლებითა და დემოკრატიით და ისინი საკუთარი კანონებით ემართათ" (OGIS, 222). ამგვარი მოთხოვნები იმას როდი ნიშნავს, რომ ამ პოლისებს მანამდე თავისუფლების სტატუსი დაკარგული ჰქონდათ. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური წესით ხდებოდა შუა საუკუნეების ქალა-

ქების ქარტიის განახლება. სელევკიდები ზოგჯერ იურიდიულად დამოუკიდებელ ქალაქებთანაც აფორმებდნენ ხელშეკრულებას.

ძვ. წ. 248 წ. ანტიოქოს III „მეგობრობისა“ და „მოკავშირის“ ხელშეკრულება გაფორმა კრეტის ქალაქ ლიტისთან, ხოლო 192 წ. როდოსთან (Liv., XXXIII, 20, 7). სელევკიდები ბერძნულ პოლისებთან მეტნილად ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმებაზე უარს ამბობდნენ. მაგალითად, ანტიოქოს III საერთაშორისო აქტით არ ცნო სმირნას, ლამპსაკოსისა და ტრიადის ალექსანდრიის ავტონომია, თუმცა მათ შეპირდა, რომ „წყალობის სახით“ თავისუფლებას უბოძებდა (Pol., XVIII, 51, 9). მაგრამ, ყველა შემოთხვევაში, ბერძნული პოლისებისათვის სელევკიდებისაგან ბოძებული თავისუფლება და ავტონომია ნომინალური იყო, ვინაიდან პოლისი უშუალოდ მონარქს ექვემდებარებოდა. მეფე კანონით მიწის სრულუფლებიან მესაკუთრედ ითვლებოდა, რადგანაც ის „შუბით იყო დაპყრობილი“ (Pol., XVIII, 51, 4). პოლისის მოქალაქეს ტერიტორია დროებით მფლობელობაში სახელმწიფოსაგან ეძლეოდა. სამაგიეროდ პოლისი ვალდებული იყო მეფისათვის სამხედრო დახმარება გაეწია (Кошеленко, 1979, გვ. 231). ამაში ჩანს ელინისტურ და კლასიკურ პოლისებს შორის პრინციპული განსხვავება. პოლისისა და სამეფო ხელისუფლების ზემოთ აღნიშნულ დამოკიდებულებაში პოლისისა და „კატოიკიის“, ასევე სამხედრო ტიპის კოლონიების სტრუქტურული მსგავსებაც შეინიშნება. როგორც ცნობილია, კატოიკიები ვეტერანი ჯარისკაცების დასახლებას წარმოადგენდა და მათი მოსახლეობა ძირითადად ბერძენ-მაკედონელებისაგან შედგებოდა.

სელევკიდების ძირითადი დასაყრდენი კატოიკიები იყო და იმ რეგიონებში წარმოიქმნა, სადაც სამეფო ხელისუფლება სტაბილურობით არ გამოირჩეოდა. მაგალითად, მცირე აზიაში, სადაც სახალხო მღელვარებებს მუდმივად ჰქონდა ადგილი, ბერძენ-მაკედონელთა სამხედრო-სამეურნეო დასახლებების პოლისებად გარდაქმნას საკმაო დრო დასჭირდა. აღმოსავლეთში პირიქით, სტაბილური პოლიტიკური ვითარების შედეგად, სამხედრო კოლონიები დროის მცირე მონაკვეთში პოლისებად გადაიქცა. სელევკოს I და პირველი ორი ანტიოქოსის მმართველობის დროს სელევკიდების იმპერიაში 70-ზე მეტი კატოიკია დაარსდა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სელევკია-ტრალი, ნისა, მეანდრეს ანტიოქია, ლაოდიკეა, სტრატონიკეა, ანტიოქია-ალაბანდა და სხვ., სამხედრო კოლონიები დაარსდა სირიაში, ფინიკიაში, პალესტინაში, მესოპოტამიაში, ბაბილონში, ე. ი. პრაქტიკულად იმპერიის უმთავრეს რეგიონებში, სადაც პოლისების დიდი ნაწილი სახმედრო კოლონიებისაგან წარმოიქმნა.

კატოიკიების დაარსების დროს, ელინური პოლისების მსგავსად, სხვადასხვა ფაქტორებს ითვალისწინებდნენ. მათგან არსებითი იყო ბუნებრივი გამაგრებანი, ნოყიერი ნიადაგი, წყლით მომარაგება, მკვიდრ მოსახლეობასთან დამოკიდებულება. კატოიკიები ჩვეულებრივ ითვლებოდა ცენტრალურ დასახლებად, სადაც საფრთხის შემთხვევაში მკვიდრ მოსახლეობასაც შეეძლო თავი შეეფარებინა. სამხედრო კოლონისტები ხშირ შემთხვევაში მკვიდრი მოსახლეობის სოფლებისა და ქალაქების სიახლოვეს სახლდებოდნენ. სამხედრო კოლონიებისა და მკვიდრი მოსახლეობის, სოფლისა თუ ქალაქის გაერთიანების შედეგად, კატოიკიები პოლისებად გარდაიქმნებოდა. კოლონიებისაგან განსხვავებით, პოლისები განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდა. პოლისის სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობდა, რომ თითოეული მისი მოქალაქე პოლისის სოციუმის კუთვნილ ტერიტორიაზე საკუთარ კლეროსებს ფლობდა.

კოლონიებში კი კლერუხების პირველი ნაკადი საუკეთესო მიწებს, ხოლო მოგვიანებით ჩამოსული კოლონისტები უხარისხო მიწებს ფლობდნენ ანდა ზოგიერთი მათგანი ფაქტობრივად უმიწოდ რჩებოდა.

ელინიზმის ეპოქაში, როგორც ცნობილია, მიწის სრულუფლებიან და ერთადერთ მესაკუთრედ მეფე ითვლებოდა. ამდენად, ელინისტური კანონმდებლობის თანახმად, ელინისტური აღმოსავლეთის ზესახელმწიფოებში კატოიკიების მფლობელობაში არსებული მიწების გასხვისება აკრძალული იყო. მესაკუთრეების გარდაცვალების შემდეგ მიწა მეფეს უბრუნდებოდა.

ძვ. წ. III საუკუნიდან სელევკიდების ძირითადი დასაყრდენი ხდება არა კატოიკიები პოლისებში, არამედ თვით პოლისები. ამ მხრივ, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს „პოლისური მიწის“ კატეგორია „სამეფო ტერიტორიისაგან“, სადაც სამხედრო-სამეურნეო დასახლებები სოციალურ-ეკონომიკურ და სამხედრო-ადმინისტრაციულ ცენტრებს წარმოადგენდა. კატოიკიების პოლისებად ტრანსფორმირების შემდეგ სამხედრო შენაერთები არ იყო იზოლირებული და, ამდენად, მეომრები პოლისების ერთიანი სოციუმის წევრები ხდებოდნენ. ამავე დროს, მათი კლეროსები პოლისური სოციუმის ნადელების ერთიანი სისტემის შემადგენელი ელემენტი იყო.

ელინისტური სახელმწიფოს სისტემაში პოლისი ტრადიციულად პოლისად რჩებოდა, მაგრამ, ამავე დროს, საკუთრების წესის სფეროში სერიოზულ ცვლილებებს განიცდის: სოციუმზე ანუ პოლისზე მაღლა დგას მესაკუთრე, „უზენაესი მიწისმფლობელი“ – მეფე. კოლექტივის საკუთრება პირობითია, მონარქისაგან ბოძებული ტერიტორიის სანაცვლოდ პოლისი ვალდებულია მეფის სამხედრო სამსახურში ჩადგეს.

როგორც აღინიშნა, სელევკიდების პოლიტიკა ახალი ბერძნული ტიპის პოლისების დაარსებასთან დაკავშირებით მკვეთრად განსხვავდებოდა პტოლემაიოსებისაგან. სელევკიდები მრავალრიცხოვან პოლისებს აარსებდნენ. ძველი ავტორების ცნობებით, სელევკიდებმა იმპერიაში დაახლოებით 70 პოლისი დააარსეს. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, პოლისების მშენებლობა „მმართველი დინასტიის“ პოლიტიკური მოტივაციით იყო განპირობებული. ის ითვალისწინებდა „ბარბაროს ხალხთა“ შორის ელინური კულტურის გავრცელებას (Бикерман, 1985, გვ. 128) მაგრამ წერილობითი წყაროების სკრუპულოზურად შესწავლამ გვიჩვენა, რომ ქალაქმშენებლობის გააქტიურების მიზეზი პრაქტიკული დანიშნულებისა ყოფილა. დაპყრობილ ტერიტორიებზე პოლისები იქმნებოდა, როგორც სელევკიდების ხელისუფალთა დასაყრდენი პუნქტები. საკითხი არა მარტო იმაში, მდგომარეობდა რომ პოლისები თავდაცვითი ნაგებობებით მაგრდებოდა და სამეფო გარნიზონებს ინახავდა, არამედ სამოქალაქო საზოგადოება დინასტიასთან მჭიდროდ იყო დაკავშრებული. პოლისი მეფის ნება-სურვილით იქმნებოდა და მისთვის მიწა-წყალი გამოიყოფოდა. ტერიტორია კლეროსებად, ნაკვეთებად იყოფოდა და მოქალაქეთა შორის ნაწილდებოდა. მიწის ნაკვეთი პოლისის მოქალაქეებს დროებით მფლობელობაში გადაეცემოდა. თუ მოქალაქეს მემკვიდრე არ ჰყავდა მისი კლეროსები მეფეს უბრუნდებოდა.

პოლისები სელევკიდების მიერვე შექმნილი კატოიკიებისაგან თვისობრივად განსხვავდებოდა. ეს განსხვავება, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატებოდა იმაში, რომ პოლისი ფართო ავტონომიით სარგებლობდა, ვიდრე კოლონია. გარდა ამისა, პოლისი სატრაპს არ ემორჩილებოდა და თავის საქმეებს უშუალოდ მეფესთან აგვარებდა. პოლისებში ფუნქციონირებდა სახალხო კრება, საბჭო, მაგისტრატურის სისტემა. განსა-

კუთრებულ როლს ახალგაზრდობის აღზრდის მაგისტრატურები ასრულებდა. სამოქალაქო საზოგადოება ცდილობდა ახალგაზრდები ბერძნული ტრადიციებით აღეზარდათ.

არქეოლოგიური მონაცემებით, მთელი რიგი ბერძნული პოლისები – დურა-ევროპოსი, სელევკია, აი-ხანუმი, ძირითადად, ელინურ პოლისებად რჩებოდა. სელევკიდების მიერ დაარსებული მრავალი ბერძნული პოლისები, მსხვილ საქალაქო ცენტრებად გადაიქცა. მათი მოსახლეობა შედგებოდა არა მარტო ბერძენ-მაკედონელებისაგან, არამედ მკვიდრი მოსახლეობისაგანაც, თუმცა მკვიდრი მოსახლეობა მოქალაქეთა უფლებებით არ სარგებლობდა. პოლისის მოქალაქეებად მხოლოდ ბერძენ-მაკედონელები ითვლებოდნენ. ასე მაგალითად, ძვ. წ. 219 წლისათვის სელევკიასა და პიერიის 30 ათასი მცხოვრებიდან მოქალაქეობა 6 ათას კაცს ჰქონდა; ანტიოქიაში კი 10 ათასს. ახალი პოლისების დაარსება სელევკიდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო. სელევკიდები ცდილობდნენ მცირე აზიისა და მატერიკული საბერძნეთის პოლისების მოსახლეობა მოეზიდათ. ცნობილია, რომ ანტიოქიაში ათენის, არგოსის, ეტოლიის, ევბეის, კრეტის მოქალაქეები გადასახლდნენ. ამგვარი პოლიტიკა ანტიოქოს IV-მდე გაგრძელდა.

სელევკიდების იმპერიაში ბერძნული პოლისები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა. სახელმწიფოს სტრუქტურაში პოლისის მოქალაქეებს პრივილეგირებული ადგილი ეკავათ. ცნობილია, რომ მეფე პოლისის მოქალაქეობას ანიჭებდა თავის გადამდგარ მხედართმთავრებს და მოხელეებს. პოლისი საკუთრივ, თავისი ტერიტორიების გარდა, მკვიდრი მოსახლეობის ვრცელ ტერიტორიასაც აკონტროლებდა. ამ ტერიტორიების ექსპლოატაცია პოლისის მოქალაქეთა კეთილდღეობის საწინდარი იყო. ეს სახელმწიფოსათვის სასარგებლო იყო, ვინაიდან პოლისი თავის თავზე იღებდა სახელმწიფოს გარკვეულ ფუნქციას მკვიდრი მოსახლეობის კონტროლზე, გადასახადების აკრეფაზე და ა.შ. სელევკიდების სახელმწიფო და ბერძნული პოლისები მკვიდრი მოსახლეობის ექსპლოატაციაში მოკავშირეები იყვნენ. ასე რომ, ბერძნული პოლისები სახელმწიფოს საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მთელ რიგ პოლისებს უფლება ჰქონდა მოეჭრათ ბრინჯაოს მონეტები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი სახელმწიფოს ბაზარზე ცირკულირებდა.

განსხვავებულ როლს ასრულებდა მცირე აზიის ძველი პოლისები, რომლებიც სელევკიდების სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა. ეს პოლისები სელევკიდებთან ისე ორგანულად არ იყო დაკავშირებული, როგორც ახალი პოლისები. მცირე აზიის ძველი პოლისები სელევკიდების მოკავშირეებად ითვლებოდა; მცირე აზიის პოლისები სელევკიდებს, პტოლემაიოსებს, მაკედონიასა და პერგამონსაც იზიდავდა. ამ სახელმწიფოების დაპირისპირება მცირე აზიის პოლისებს მანევრირების საშუალებას აძლევდა, რათა გარკვეული დოზით ავტონომია შეენარჩუნებინა.

როგორც ცნობილია, ელინისტურ აღმოსავლეთში ინტენსიურად გრძელდებოდა ბერძნული პოლისის ფორმასთან მიახლოებული სხვადასხვა ტიპის საქალაქო თემების განვითარების პროცესი. ეს პროცესი სწრაფი ტემპით წარიმართა ფინიკიის ქალაქებში, რომლებმაც აღმოსავლური ბერძნული პოლისების დამახასიათებელი ნიშნები შეიძინეს. მათი ელინიზაცია ისეთი სრული და ჩამოყალიბებული იყო, რომ ფინიკიის მოქალაქეები ოლიმპიურ შეჯიბრებებშიც კი დაუშვეს. სწორედ ეს ქალაქები ამარაგებდა სელევკიდების ფლოტს ძირითადი კადრებით.

რამდენადმე განსხვავებული ხასიათისა იყო ბაბილონის სამოქალაქო-სატაძრო თემები – ურუქი, ბაბილონი, ნიპური, ბორსიპა და ა. შ. ელინისტური ეპოქის დასაწყისში, ბაბილონში სატაძრო ღვთისმსახურებისა და საერთო დიდებულთა წრისაგან შეიქმნა ერთიანი თემი, რომელიც წერილობით წყაროებში „ქალაქად" ანდა „ტაძრის ხალხის ქალაქად" იწოდებოდა. სამოქალაქო-სატაძრო თემის ძირითად წევრებს შეადგენდნენ კერძო პირები, რომლებიც ტაძრებისგან არ იყვნენ დამოკიდებულნი, მაგრამ მათთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი. კავშირის მთავარი ფორმა იყო სატაძრო მეურნეობიდან დოვლათის მიღება. ამ ტიპის ქალაქებს თვითმმართველობა ჰქონდათ, რომელსაც სელევკიდების მეფე სცნობდა და მის მიერ იყო სანქცირებული. არსებობდა კრება, რომლის თავმჯდომარე ეკონომი იყო. კრება ქონებრივ საკითხებს წყვეტდა, ანესებდა ჯარიმებს და სხვ. სელევკიდების მეფეები ქალაქებს ჩუქნიდნენ მინებს, ტაძრებში ძღვენი მიჰქონდათ.

თემის წევრებთან ერთად, საკუთრივ ქალაქში და მის მიერ კუთვნილ ტერიტორიაზე, ცხოვრობდა ხალხი, რომლებიც თემის წევრებად არ ითვლებოდნენ. ის შედგებოდა არასრულფასოვანი თავისუფალი ხალხისაგან, მონებისაგან და ნახევრად დამოკიდებული მიწათმომქმედებისაგან. უფლებებითა და პრივილეგიებით მხოლოდ თემის წევრები სარგებლობდნენ.

სელევკიდების სახელმწიფოს სტრუქტურაში ბაბილონის სატაძრო-სამოქალაქო თემს თავისებური ადგილი ეკავა. კერძო საკუთრების თვალსაზრისით, თემი შედარებით უფრო პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვიდრე სელევკიდების პოლისი. ცენტრალური მთავრობა თემის მიწაზე საკუთრების უფლებას სცნობდა მაშინ, როცა პოლისი მიწისმფლობელობის უფლებით სარგებლობდა. სელევკიდების სახელმწიფო აპარატში ბაბილონელები საერთოდ არ იყვნენ წარმოდგენილნი. პრაქტიკულად ყველა თანამდებობა ბერძენ-მაკედონელებს ეკავათ. ბაბილონის თემი სელევკიდების იმპერიის პოლიტიკურ სტრუქტურაში არ იყო ჩართული. სწორედ ეს განასხვავებს სელევკიდურ პოლისს ბაბილონის სამოქალაქო-სატაძრო თემისაგან.

ანტიგონიდების მაკედონია და პოლისები. მაკედონია ელინისტური სამყაროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო იყო. თუმცა მისი სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი შედარებით უფრო მწირი იყო, ვიდრე პტოლემაიოსებისა და სელევკიდებისა. ამიტომაც მაკედონიას არ ძალუძდა საბერძნეთი მუდმივად გაეკონტროლებინა. მაკედონიის სამხედრო შენაერთები დისლოცირებული იყო მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებში – კორინთოში, ხალკიდაში, ევბეასა და სხვაგან. განსაკუთრებით ღირებული იყო კორინთო, რომელიც პელოპონესიდან ცენტრალურ საბერძნეთში მიმავალ გზას აკონტროლებდა. სანამ კორინთო მაკედონიის ხელში იყო, საბერძნეთი გაერთიანებას ვერ შეძლებდა.

ბერძნული პოლისების უმრავლესობა მაკედონიისადმი მტრულად იყო განწყობილი. სიტუაციას ამძაფრებდა პტოლემაიოსების ინტრიგები, რომელიც მაკედონიის დასუსტებისკენ იყო მიმართული. ამიტომაც პტოლემაიოსები მაკედონელთა მტრებს ფინანსურად ეხმარებოდნენ. ძვ. წ. III ს-დან საბერძნეთის საშინაო საქმეებში აქტიურად ერეოდა რომი, რომელიც მოხერხებულად იყენებდა „ელინთა თავისუფლების" იდეას მაკედონიის პოზიციების დასუსტებისათვის.

მაკედონიის პოლიტიკა ბერძნული პოლისების მიმართ სოციალური მოტივაციით განისაზღვრებოდა. თავდაპირველად მაკედონია გამოდიოდა მდიდარი, რადიკა-

ლური რეფორმების მომხრე პოლისების მხარდასაჭერად. მოგვიანებით, როდესაც რომი აქტიურად ჩაერთო საბერძნეთის საქმეებში, რომაელების მოწინააღმდეგენი პოლისების დემოკრატიული და რადიკალური წრეები გახდნენ. ასეთ სიტუაციაში მაკედონია იძულებული გახდა ამ ძალებს დაკავშირებოდა.

დიადოხოსების ომის შედეგად, მაკედონია კრიზისში იმყოფებოდა. ბრძოლისუნარიანი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი აღმოსავლეთში გადასახლდა. მაკედონიის ტერიტორიაზე მიმდინარე ხშირმა ომებმა და გალატების შემოსევებმა ქვეყნის ეკონომიკას მძიმე დაღი დაასვა. ახალმა მეფემ – ანტიგონე გონატმა, მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის; მაკედონიის მესვეურები ხელს უწყობდნენ ქალაქების აღორძინებას. ახალი ქალაქების უმრავლესობა დაარსდა კასანდრეს დროს. ანტიგონიდების ეპოქაში ქალაქების მშენებლობის პროცესი ინტენსიურად გაგრძელდა. ქალაქები სამეფო ადმინისტრაციის კონტროლქვეშ იმყოფებოდა. მათ მეფის წარმომადგენელი – ეპისტატოსები განაგებდნენ, თუმცა საშინაო საქმეში ავტონომიით სარგებლობდნენ. მაკედონიის ძველ ქალაქებსაც კი თვითმმართველობა ებოძათ. მაკედონიის მეფეები ქალაქთა აღორძინების მიზნით ცდილობდნენ, რომ საქალაქო მიწები არ გაუკაცრიელებულიყო. ამ მხრივ ნიშანდობლივია ფილიპე V-ის წერილი ქალაქ ლარისისადმი, სადაც მეფე აღნიშნავს, რომ ქალაქს ომის გამო დასჭირდა მოქალაქეები. ამიტომაც ის სთავაზობდა ქალაქში მცხოვრებ თესალიელებს და, საერთოდ, ელინებს მოქალაქეობას. ეს იქნებოდა ქალაქისათვის სასარგებლო, ვინაიდან მიწა უკეთ დამუშავდებოდა. ქალაქებს გადასახადები დაუწესეს. ამიტომაც სამეფო ხაზინა დაინტერესებული იყო ქალაქების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებით. არქეოლოგიური მონაცემებით, ამ დროს, მაკედონიის ქალაქები აღმავლობის გზაზე იდგა. არქეოლოგიურად კარგადაა შესწავლილი მაკედონიის დედაქალაქი პელა. ელინისტურ ეპოქაში ქალაქის ფართობი 2X1,5 კმ-ს შეადგენდა. სამხერთით ის ციხესიმაგრით იყო დაცული, სადაც განთავსებული იყო სამეფო განძი. აკროპოლისი ბორცვზე მდებარეობდა ძველი სამეფო სასახლითა და ათენა ალკიდემეს ტაძრითურთ. საკუთრივ ქალაქი რეგულარული დაგეგმარების იყო. ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში გამოვლენილ საცხოვრებელ და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებს ერთი ან რამდენიმე პერისტილური კარები ჰქონდა. ზოგიერთ ნაგებობათა იატაკებს მოზაიკური პანო ამშვენებდა. ერთ-ერთ ასეთ სცენაში გადმოცემულია ისტორიული სიუჟეტი – ალექსანდრე მაკედონელისა და კრატერის ლომებზე ნადირობა.

მაკედონიის მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა თესალონიკა, რომელსაც ასევე რეგულარული დაგეგმარება ჰქონდა. ქალაქის გარშემო ნეკროპოლისი იყო. მის სამარხეულ ინვენტარში დაფიქსირდა მრავალრიცხოვანი და მდიდრული მასალა, რომელიც მაკედონელ დიდებულთა სიმდიდრეზე მიუთითებს.

ძვ. წ. III ს-დან მაკედონიის საშინაო საქმეში აქტიურად ჩაერია რომი, რომელთანაც მაკედონიას არაერთი ბრძოლა მოუხდა. საბოლოოდ, ძვ. წ. 169 წ. პიდნასთან ბრძოლაში რომაელებმა სასტიკად დაამარცხეს მაკედონელები, რის შემდეგაც მაკედონიის ერთიანმა სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა.

ამრიგად, ელინისტური პოლისი კლასიკურისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ის უკვე თავისუფალ რესპუბლიკას არ წარმოადგენდა. ელინისტური პოლისი რჩებოდა მხოლოდ საქალაქო თემად, რომელიც მართალია ავტონომიას და გარკვეულ პრივილეგიებსაც ფლობდა, მაგრამ მთლიანობაში ცენტრალური ხელისუფლებიდან კონ-

ტროლდებოდა. ახალი პოლისების დაარსებისა და ძველი საქალაქო ცენტრების პოლისებად ტრანსფორმირების პროცესი თითქმის ყველა ელინისტურ სახელმწიფოში მიმდინარეობდა, თუმცა ის ინტენსიურად ნარიმართა ეკონომიკურად დანინაურებულ ისეთ რეგიონებში, როგორებიც იყო მესოპოტამია, სირია და მცირე აზია. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ ახალი პოლისების დაარსებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა სამხედრო კოლონიების იმ ნაწილმა, რომელიც ხელსაყრელ სავაჭრო გზაჯვარედინზე მდებარეობდა. ადგილობრივი ზედაფენა ხალისით იღებდა პოლისურ ორგანიზაციას და მასთან დაკავშირებულ ელემენტებს – ბერძნულ წეს-ჩვეულებებს, სამართალსა თუ კულტურული ტრადიციების ნორმებს, ვინაიდან პოლისის მოქალაქეობა მათ პრივილეგიებს უზრუნველყოფდა. პოლისები ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიას, – ხორას დაუპირისპირეს. ხორას ცნებაში ჩვეულებრივ იგულისხმებოდა სასოფლო და საქალაქო დასახლებები, რომლებიც პოლისურად არ იყო ორგანიზებული. პოლისის პრივილეგირებული მდგომარეობა შესაძლებლობას აძლევდა მის მოქალაქეებს ხორას მოსახლეობის ექსპლოატაციაში მიეღო მონაწილეობა.

4. რომი და პოლისები

ძვ. წ. III ს-ის მეორე ნახევრიდან, მეორე პუნიკური ომის ტრიუმფალურად დასრულების შემდეგ, რომი პოლისების საშინაო საქმეებში აქტიურად ჩაერია. ილირიელების დამარცხების შემდეგ, რომაელებმა ბალკანეთის ნახევარკუნძულის დასავლეთის რეგიონის ბერძნულ ქალაქებში პოზიციები განიმტკიცეს. მათი ნავსადგურები ადრიატიკის ზღვაში რომაული ფლოტის სადისლოკაციო პუნქტები გახდა.

ძვ. წ. 201 წ. პერგამონმა, როდოსმა, ბიზანტიონმა, ათენმა და სხვა ბერძნულმა პოლისებმა მაკედონიის მეფის ფილიპე V-ის წინააღმდეგ დამხარებისათვის რომს მიმართეს. ძვ. წ. 200 წ. რომაული სამხედრო შენაერთები საბერძნეთში გადასხდნენ და მაკედონიისაკენ დაიძრნენ. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა თესალიაში, კინოსკეფალოსთან, სადაც რომაელებმა მაკედონელები სასტიკად დაამარცხეს. საზავო ხელშეკრულებით ფილიპე V-ს ბერძნული ქალაქების თავისუფლება უნდა ეღიარებინა, მაგრამ ეს მისთვის დიდი დარტყმა იყო. ძვ. წ. 196 წ. ისთმურ თამაშებზე ოფიციალურად გამოცხადდა, რომ რომის სენატი და არმიის მთავარასარდალი ტიტუს კვინკვიციუს ფლამინინუსი ბერძნულ ქალაქებს თავისუფლებას ანიჭებდა. ამ განცხადებამ მთელს ელადაში საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია. მაკედონიასთან მშვიდობა მიღწეულ იქნა, მაგრამ ძვ. წ. 194 წლამდე რომაული არმია მაინც საბერძნეთში რჩებოდა. კორინთოში, ხალკიდასა და დემეტრიადაში რომაული სამხედრო შენაერთები ჩადგნენ. ტიტუს ფლამინინუსი და რომიდან ჩამოსული კომისია საბერძნეთის საქმეების მოწესრიგებას შეუდგა. ზოგიერთი პოლისების საზღვრები ხელახლა განისაზღვრა, რომაელებმა თესალიის პოლისებში ტიმოკრატიული მმართველობა დაამყარეს, თესალიის ლიგა აქეური კავშირის სახით მოეწყო. რომაელთა ამ ღონისძიებებმა ბერძნებს დაანახეს, რომ რომაელთაგან ბოძებული თავისუფლება დეკლარაციული ხასიათისა იყო და ერთი ბატონი მეორეთი შეიცვალა. თუმცა, პოლისების არისტოკრატიული ზედაფენა რომაელებს უჭერდა მხარს და თავიანთი ინტერესების დამცველებად მიაჩნდათ. რომაელებმა მათ იმედები მალე გაუმართლეს. აქეური დიდკაცობის თხოვნით,

ტიტუს ფლამინინუსმა ომი გამოუცხადა სპარტის ტირანს – ნაბისს, რომლის რადიკალური ხასიათის სოციალური რეფორმები არგოსსა და მიკენში გავრცელდა. ძვ. წ. 195 წ. ნაბისი დამარცხდა. სპარტას სამფლობელოები ჩამოერთვა და 500 ტალანტის კონტრიბუციის გადახდა დაეკისრა. გარდა ამისა, საბერძნეთის მრავალი პოლისი რომაელი ლეგიონერების მიერ გაიძარცვა და გაპარტახდა.

რომის ლეგიონების ესპანეთში საბრძოლო ოპერაციისას სელევკიდების მეფემ ანტიოქოს III მცირე აზიის სამხრეთ და დასავლეთ სანაპიროს პოლისები დაიკავა. ამავე დროს, მან დაიქვემდებარა პროპონტიდისა და ჰელესპონტის ელინური პოლისები. ამით ის ხმელთაშუაზღვისპირეთის სრუტეების ბატონ-პატრონი გახდა, რასაც პერგამონი და როდოსი ვერ ეგუებოდა. ძვ. წ. 197 წ. როდოსმა ანტიოქოს III-ს ომი გამოუცხადა და დახმარებისათვის რომაელებს მიმართა. მაგრამ რომაელებმა პირდაპირი ჩარევისაგან თავი შეიკავეს, რადგან საბერძნეთში ომი ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დასრულებული და ახალ ომში ჩაბმას მოერიდნენ, თუმცა ანტიოქოსისაგან მოითხოვეს ბერძნული ქალაქების დატოვება. ეს მოთხოვნა ანტიოქოსმა არ მიიღო. ბერძნების კეთილგანწყობილების მოსაპოვებლად ანტიოქოსმა საბერძნეთში დიპლომატიურ მანევრირებას მიმართა, რათა სახალხო მასა რომაელების წინააღმდეგ აეჯანყებინა, რასაც გარკვეულწილად მიაღწია კიდეც, მაგრამ ბერძნული პოლისების ზედაფენა რომაელების ერთგული რჩებოდა. ათენში პოლისის ზედაფენამ სწორედ რომაელების მხარდაჭერით შეძლო სახალხო მოძრაობის ჩახშობა. ანტიოქოს III საბერძნეთში მხოლოდ ეტოლიის კავშირისა და პატარა ქალაქების გადმობირება შეძლო. ემზადებოდა რა ანტიოქოს III ომისათვის, რომაელებმა როდოსთან და პერგამონთან ტრადიციული კავშირი აღადგინეს.

ძვ. წ. 190 წ. მაგნესიასთან რომაელებსა და ანტიოქოს III შორის გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა. რომაელებმა გაიმარჯვეს. ანტიოქოსის არმია თითქმის განადგურდა. რომაელებმა ანტიოქოსის მცირე აზიური სამფლობელოების დიდი ნაწილი პერგამონსა და როდოსს გადასცეს. პერგამონს ასევე გადაეცა ანტიოქოსის მიერ მიტაცებული ევროპული ტერიტორიები, რის შემდეგაც პერგამონი დიდი და ძლიერი სახელმწიფო გახდა. რომის პოლიტიკა პერგამონის გაძლიერებისათვის რეალურად მაკედონიის წინააღმდეგ იყო მიმართული.

მაგნესიასთან ბრძოლის შემდეგ, ანტიოქოსის მოკავშირე ეტოლიის კავშირთან ომი გაგრძელდა. ეტოლიელები შეუპოვრად იბრძოდნენ, მაგრამ როდესაც მათ წინააღმდგ ეპიროტებმა, ილირიელებმა და აქეის კავშირმა გაილაშქრეს ეტოლია დაეცა. ის გაიძარცვა და განადგურდა. მისი ტერიტორია საგრძნობლად შემცირდა. ამიერიდან ეტოლიამ პოლიტიკური მნიშვნელობა დაკარგა.

ეტოლიის განადგურებამ, აქეის კავშირზე რომაელთა მფარველობამ და ბერძნული პოლისების საშინაო საქმეებში აქტიურმა ჩარევამ საბერძნეთში ანტირომაული მოძრაობა გააძლიერა. ზოგიერთ პოლისში აჯანყებებსაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ რომაელებმა ის ადვილად ჩაახშეს, რადგანაც ბერძნული ელიტა რომაელებს თანაუგრძნობდა და მათ მოკავშირედ რჩებოდა.

ძვ. წ. 170 წ. რომის აღმოსავლური პოლიტიკის ცენტრში კვლავ მაკედონიასთან ურთიერთობის საკითხი დადგა. მეორე მაკედონურ ომში, დამარცხების მიუხედავად, მაკედონიის მეფე ფილიპე V-მ აღადგინა თავისი სამხედრო მანქანა და დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარებას შეეცადა. მაკედონიის ასეთ გაძლიერებას რომაე-

ლები წინ აღუდგნენ. ძვ. წ. 169 წ. რომაულმა არმიამ, ლუციუს ემილიუს პაულიუსის მეთაურობით, მაკედონიის წინააღმდეგ საბრძოლო ქმედებები დაიწყო. ძვ. წ. 168 წ. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა პიდნაში, სადაც რომაელებმა გაიმარჯვეს. მაკედონელების განადგურების შემდეგ, რომაელებმა მაკედონიის მოკავშირე ეპირელები დაამარცხეს და მათი ქალაქები მიწასთან გაასწორეს.

მაკედონიის ერთიანი სახელმწიფოს განადგურების შემდეგ, რომის აღმოსავლური პოლიტიკა მკვეთრად შეიცვალა. ამიერიდან რომაელებს როდოსულ-პერგამონული კავშირის შენარჩუნება და ამ სახელმწიფოების შემდგომი გაძლიერებისათვის ხელის შეწყობა მიზანშეწონილად არ მიაჩნდათ. პირიქით, რომის ადმინისტრაცია მათი დასუსტებით იყო დაინტერესებული. პერგამონის პროტექტორობაში მყოფი გალატია რომაელებმა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადეს, პაფლაგონიაც პერგამონს ჩამოაშორეს და „თავისუფლება“ უბოძეს. პერგამონის მუდმივ კონკურენტებთან – პონტოს ჰერაკლეასთან და ბითვინიასთან რომაელებმა სამოკავშირეო ხელშეკრულება გააფორმეს.

კიდევ უფრო მკაცრი იყო რომის პოლიტიკა როდოსის მიმართ. მესამე მაკედონურმა ომმა როდოსის ვაჭრობას დიდი ზარალი მიაყენა; ფაქტობრივად შეწყდა როდოსის ეკონომიკური კონტაქტები აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთთან. როდოსელებმა არაერთხელ გააფრთიხილეს რომაელები, რომ ომს თუ არ შეწყვეტდნენ, მაშინ ისინი რომს დაუპირისპირდებოდნენ. როდოსელებმა კრეტელებთან სამხედრო კავშირი შეკრეს, მაგრამ მაკედონელებზე რომაელთა გამარჯვების შემდეგ როდოსელებმა რომის სენატს პატიება და კავშირი სთხოვეს. რომაელებმა ეს მომენტი გამოიყენეს. როდოსელებს მცირე აზიური სამფლობელოები ჩამოართვეს და „რომაელი ხალხის მეგობრისა და მოკავშირის“ ტიტული უბოძეს, რაც სინამდვილეში როდოსის რომზე დამოკიდებულ სახელმწიფოდ გადაქცევას ნიშნავდა.

როდოსის ეკონომიკური ინტერესების საპირისპიროდ, დელოსი – „თავისუფალ“ ნავსადგურად, პორტო-ფრანკოდ გამოცხადდა. დელოსი ეგეოსის ზღვის მთავარი საპორტო ცენტრი, მონათვაჭრობის პუნქტი გახდა.

ანექსირებულ პოლისებში რომაელთა სრულმა ბატონ-პატრონობამ საბერძნეთსა და მაკედონიაში ანტირომაული მოძრაობა გააქტიურა. ამ მოძრაობის ეპიცენტრი მაკედონია იყო. ძვ. წ. 149 წ. მაკედონელები აჯანყდნენ, მაგრამ მალე რომაელებმა შეძლეს მისი ჩაქრობა. ძვ. წ. 148 წ. მაკედონია რომის პროვინციად გამოცხადდა, მის შემადგენლობაში აღმოჩნდა ეპირი, ბერძნული პოლისები აპოლონია, დირარხია (ახლანდელი დურესი) და იონიის ზღვის კუნძულები. მაკედონიის აჯანყებას უკვალოდ არ ჩაუვლია. მიუხედავად მარცხისა, ბერძნულ პოლისებში ვითარება კიდევ უფრო გამწვავდა. ამით ისარგებლა რომაელთა მფარველობაში მყოფმა აქეის კავშირმა და თავისი ტერიტორიის გაფართოებას შეეცადა. ძვ. წ. 148 წ. აქეის კავშირს მოსთხოვეს უარი ეთქვა ალიანსში არა მარტო სპარტის გაწევრიანებაზე, არამედ დანარჩენი პოლისების განთავისუფლებაზე, რომლებიც მათ მეორე მაკედონური ომის შემდეგ მიიტაცეს. აქეის კავშირის მეთაურებმა, რომლებიც თავიანთ სამხედრო პოტენციალში ზედმეტად იყვნენ დარწმუნებულნი, რომს ომი გამოუცხადეს; ძვ. წ. 146 წ. ისთმოსთან ბრძოლაში აქეის კავშირმა სრული ფიასკო განიცადა. რომის კონსულმა ლუციუს მუმიუსმა აიღო და მიწასთან გაასწორა აქეის კავშირის მნიშვნელოვანი ცენტრი მდიდარი პოლისი კორინთო, ამასთან მისი მოქალაქეები მონებად გამოაცხადეს და გაყიდეს კიდეც. ასე განადგურ-

და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში რომაელ-იტალიელი ვაჭრების ძლიერი კონკურენტი. აქეის კავშირი და დანარჩენი ბერძნული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსები გაუქმებულ იქნა, ელინური პოლისები მაკედონიის რომაულ ნაცვლებს დაექვემდებარა. რომაელებმა პოლისებში ერთგვაროვანი პოლისური ოლიგარქოსები დანიშნეს. მხოლოდ ათენი და სპარტა ინარჩუნებდა ნომინალურ დამოუკიდებლობას. ათენის მართვის ცენტრი არეოპაგი გახდა, სპარტისა კი გერუსია.

მუმიუსის ლეგიონერებმა პოლისები თითქმის გაანადგურეს. მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მატერიალური კულტურის ძეგლები რომში გაზიდეს და ნაწილობრივ მოსპეს. კორინთოს ტაძრებიდან გამოყრილი უდიდესი მხატვრების ტილოებზე, პოლიბიოსის ცნობით რომაელი ჯარისკაცები კამათელს თამაშობდნენ.

ელინური პოლისები თავისუფლებისა და ავტონომიის დაკარგვას არ შერიგებია. ისინი მუდამ შესაფერის მომენტს ეძებდნენ რომის ბატონობისაგან თავდახსნისათვის. ერთ-ერთი ასეთი მომენტი მაშინ დადგა, როდესაც ძვ. წ. 87 წ. პონტოს მეფემ მითრიდატე ევპატორმა საბერძნეთში ლაშქრობისას პოლისებს „თავისუფლების" აღდგენა აღუთქვა.

როგორც ცნობილია, „მითრიდატეს ომების" დაწყებამდე ათენი რომის მხარეზე იყო, მაგრამ ომის დაწყებისთანავე ათენელებმა რომაელებს მოულოდნელად ზურგი შეაქციეს. ათენის ლტოლვა მითრიდატესაკენ, რომელიც ერთ-ერთ საინტერესო და სადავო საკითხად რჩება სამეცნიერო ლიტერატურაში, სხვადასხვა მიზეზებით აიხსნება (Моммзен, 1937, გვ. 272). ამ მიზეზთა შორის, უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია მითრიდატეს წარმატებები მცირე აზიაში და სამხრეთ შავიზღვისპირეთის სანაპიროებზე, რომლებმაც დიდი ზეგავლენა მოახდინეს ათენელებზე. მათ თვალში პონტოს მეფე რომაელთა მძიმე უღლისაგან დაჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელს წარმოადგენდა. გარდა ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტიც, რომ ჯერ კიდევ ძვ. წ. III საუკუნიდან პონტოს მეფეებსა და ათენს შორის მეგობრული დამოკიდებულება სუფევდა. ამ ურთიერთობის საუკეთესო გამომხატველია მითრიდატე I-ის მიერ აკადემოსის მუზეებისადმი პატივისცემის ნიშნად აგებული პლატონის ქანდაკება. ევპატორი თავად დიდად იყო გატაცებული ელინური კულტურით.

ამ შეხედულების დამადასტურებელ საბუთად უნდა ჩაითვალოს კუნძულ დელოსზე გადარჩენილი მითრიდატეს ძეგლი, რომელიც მადლიერმა ქალაქმა „მზრუნველ" მეფეს აღუმართა. კვარცხლბეკის წინა მხარეზე მოთავსებულია შემდეგი წარწერა: „მეფე მითრიდატ ევპატორისა დიონისესი, მეფე მითრიდატ ევერგეტის ძისა, ქურუმმა ჰელიანაქსმა, ასკლეპიოდორის ძემ, ათენელმა აღუშენა მისი სიმამაცისა და ათენელი ხალხისადმი უცვლელი კეთილგანწყობისათვის". თავის მხრივ, ათენის კავშირს მითრიდატესათვის ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. პონტოს სამეფოს მეთაური თავისი პოლიტიკური გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა ათენისა და შავიზღვისპირეთის ქვეყნებს შორის ვაჭრობის განვითარებას, რომელიც ხელს შეუწყობდა პონტოს სამეფოს ეკონომიკურ ძლიერებას. გარდა ამისა, მითრიდატეს ათენთან ურთიერთობით დაინტერესება განპირობებული იყო პოლიტიკური მოტივითაც. ძველი დიდების დაკარგვის მიუხედავად ათენს ბერძნულ სამყაროში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. ამიტომ მასთან მეგობრულ დამოკიდებულებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მითრიდატეს ავტორიტეტის განმტკიცებისათვის საბერძნეთში. მითრიდატე იმედოვნებდა რომ ათენი, რომე-

ლიც ხელსაყრელ სტრატეგიულ ადგილზე მდებარეობდა, რომის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად გამოეყენებინა. ამრიგად, ზემოთ ნათქვამიდან კარგად ჩანს, თუ რაში მდგომარეობდა „ელინური კულტურის დამცველისა და განთავისუფლების დროშით მებრძოლი" მითრიდატე ევპატორის ნამდვილი პოლიტიკის არსი ათენში.

მას შემდეგ, რაც მითრიდატეს ხელში აღმოჩნდა მთელი შავიზღვისპირეთი და მცირე აზია, მეფე დაუყოვნებლივ შეუდგა ეგეოსის არქიპელაგზე თავისი ჯარების გადასხმას. ეგეოსის ბევრი კუნძული და საბერძნეთის ქალაქები – ერეტრია, ქალკედონი, ევბეა მითრიდატე ევპატორმა უბრძოლველად დაიმორჩილა. ჯერჯერობით მას უმკლავდებოდა მხოლოდ როდოსი, რომელიც რომაელთა მოკავშირე იყო. მითრიდატემ როდოსელების წინააღმდეგ გამოცდილი სარდლის პელოპიდეს მეთაურობით დიდი არმია გაგზავნა, მეორე სარდალი არქელაოსი კი ბალკანეთის ნახევარკუნძულისაკენ დაიძრა. ამ უკანასკნელმა ბალკანეთზე გადასვლამდე კუნძული დელოსი აიღო და ათენელებს გადასცა. საბოლოოდ მითრიდატეს ტრიუმფალური სვლა ბალკანეთზე ათენის დამორჩილებით დაგვირგვინდა. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა თუ როგორ და რა გზით დაიმორჩილა მითრიდატემ ათენელები. როგორც ცნობილია, ძვ. წ. 91-90 წლებში ათენში პოლიტიკური ბრძოლა გამწვავდა. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ოლიგარქიული მმართველობის პოლიტიკის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამდა. ახ. წ. 89 წ. ათენში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა; ოლიგარქიული მმართველობა დაემხო. ჩვენი აზრით, ათენში მომხდარი დემოკრატიული გადატრიალება პონტოს მეფემ განახორციელა. მართალია, მითრიდატე ამ დროს ათენიდან შორს იმყოფებოდა, მაგრამ მას ქალაქში ჰყავდა თავისი მომხრეები რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ დემოსის ბრძოლას და ის სრულ გამარჯვებამდე მიიყვანეს.

პონტოს მეფემ ათენელთა გამგებლად თავისი მეგობარი არისტიონი დანიშნა. ეპიკურელი ფილოსოფოსის ათენის მმართველად გამოცხადების შემდეგ იგი შეუდგა მითრიდატესადმი აღთქმული პირობის განხორციელებას. არისტიონის უპირველესი ამოცანა იყო პონტოს მეფის მხარეზე ათენელთა გადმობირება და საბერძნეთის დედაქალაქიდან რომაელების განდევნა. მან აღნიშნული ამოცანები წარმატებით შეასრულა. მომავალმა ტირანმა შეძლო დაერწმუნებინა ათენელები, რომ ამ უკანასკნელთა ევპატორის მხარეზე გადასვლის შემთხვევაში გააუქმებდა მძიმე სავალო გადასახადებს და დემოკრატიულ წყობილებას აღადგენდა. არისტიონის დაპირებებით აღტაცებული ხალხის უმრავლესობამ მითრიდატეს მხარი დაუჭირა. ამრიგად, ათენში არისტიონის „ტირანია" დამყარდა, რომელიც პონტოს მეფის უმაღლეს ხელისუფლებას ემორჩილებოდა. ათენის მიყოლებით საბერძნეთის დანარჩენი ქალაქები და ოლქები – ხერონეა, პირეუსი, პელოპონესი, ბეოტია მითრიდატეს დაემორჩილა.

ამრიგად, ერთი ძლიერი დარტყმით გაქრა რომაული ბატონობის „ბასტიონი" საბერძნეთში. ამიტომ საეჭვო არ არის, რომ პონტოურმა საფრთხემ რომში დიდი შეშფოთება გამოიწვია. „რომის ხელისუფალნი შიშით ძრწოდნენ პონტოელი გვირგვინოსნის წინაშე" (florusi, X, 3, 9). მაგრამ, მიუხედავად ამისა, რომაელებს ჯერჯერობით არ ეცალათ მითრიდატესადმი ანგარიშის გასასწორებლად, ვინაიდან რომში მძვინვარებდა ბრძოლები მარიუსელთა და სულანელთა შორის. იმ დროს, როდესაც რომში ვითარება დაიძაბა, არისტიონი ათენში თავის მიზანმიმართულ პოლიტიკას აწარმოებდა. პონტოს არმიიდან გამოყოფილი ორიათასიანი მეომრით მან თანაქალაქელებს საშინელი რისხვა და უბედურება დაატეხა თავს. რომაელების მომხრე არისკოტრატიის ნაწილი გაანად-

გურა. ზოგი ამოხოცა, ზოგიც მითრიდატეს გაუგზავნა საბოლოო განჩინების გამოსატანად. ამიტომ ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობა იძულებული გახდა ამისოში გაქცეულიყო (პლუტარქე, ლუკულუსი, 19). ამრიგად, მითრიდატეს ბატონობის მოკლე პერიოდი ათენში რეპრესიებითა და დესპოტიზმით აღინიშნა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პონტოს მეფის რეჟიმმა შეაშფოთა და მის წინააღმდეგ აამხედრა ადგილობრივი წარჩინებული მოქალაქეები. ათენის მოსახლეობის პოზიციამ მითრიდატეს ძალაუფლებისადმი განსაკუთრებით იჩინა თავი სულას მიერ საბერძნეთში ლაშქრობის დროს.

მას შემდეგ, რაც სულამ მარიუსელებზე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, ძვ. წ. 86 წ. იგი ბალკანეთისაკენ გაემართა მითრიდატესთან საომრად. შიშით შეპყრობილი მოსახლეობა სულას მხარეზე გადავიდა. ბეოტიის დედაქალაქის თებეს აღების შემდეგ ის ატიკას მიუახლოვდა. აქ მან ჯარი ორ ნაწილად გაყო. ერთი გაგზავნა ათენისაკენ, სადაც გამაგრებული იყო ხალხის საძულველი ტირანი – არისტიონი, ხოლო თვითონ სულა არმიის მეორე ნაწილით გაეშურა პირეუსისაკენ. პირეუსში გამაგრებული პონტოელები მედგრად იცავდნენ თავს. სულა იძულებული შეიქმნა იერიშებზე დროებით ხელი აეღო. სულას მდგომარეობა სავსებით უიმედო ჩანდა, მაგრამ უახლოესმა ამბებმა ცხადყვეს, რომ პონტოს მეფის ძალა საბერძნეთში არცთუ ისე დიდი იყო. მთელი მისი ორგანიზაცია დამყარებული იყო მერყეევსა და სუსტ საფუძველზე. მითრიდატეს ხელქვეითი რეგიონების მოსახლეობამ იწყო დრტვინვა და ჩივილი სასტიკ გადასახადებსა და ბეგარაზე მაშინ, როდესაც შეძლებული ფენები მითრიდატეს შიშით მზად იყვნენ სულას მხარეზე გადასულიყვნენ. სულამ გამოიყენა რა მოსახლეობის წარჩინებული ფენების მხარდაჭერა და მათგან მიიღო ფულადი თანხები, კვლავ გააჩაღა იერიშები ათენსა და პირეუსზე.

სულა განსაკუთრებით აძლიერებდა ათენის ალყას სპეციალურად გამოყოფილი საჯარისო შენაერთებით. შიმშილისაგან დაუძლურებული ათენელი მოქალაქენი რომაელებთან ზავის დადებას მოითხოვდნენ. არისტიონი იძულებული გახდა დათანხმებულიყო და ელჩები გაეგზავნა სულასათვის, მაგრამ არისტიონის დიპლომატიური მანევრირება, რომელიც სულასთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას ითვალისწინებდა, მარცხით დამთავრდა. რომაელი სარდალი კვლავ განაგრძობდა ქალაქის ალყას, რათა იქიდან ვერავის მოეხერხებინა გაქცევა (App., 38). ძვ. წ. 86 წ. 1 მარტს რომაელთა არმიის გააფთრებული იერიშების შემდეგ ათენი დაეცა. ძვ. წ. 86 წ. ათენის ისტორიაში მნიშვნელოვანი გარდატეხის ხანა იყო. დამპყრობლებმა საშინელ ხოცვაულეტას მიჰყვეს ხელი. სულამ მრავალი ათენელი მოქალაქე და, მათ შორის, არისტიონი სიკვდილით დასაჯა. ათენს სრული დაღუპვა მოელოდა, მაგრამ სულას თანამგრძნობი ათენელი ოლიგარქოსების თხოვნით ათენის მცხოვრებლებს სიცოცხლე შეუნარჩუნეს მათი შესანიშნავი ქალაქის დიადი წარსულის პატივისცემის ნიშნად.

რომაელთა წარმატებებმა საბერძნეთში მითრიდატეს ახლად წარმოქმნილ იმპერიაში ნგრევა შეიტანა. მართალია, ათენის მოსახლეობამ მხარი დაუჭირა მას რომაელების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ მითრიდატე, რომელშიც გაერთიანებული იყო ელინური კულტურისა და თავისუფლების, აღმოსავლური დესპოტიზმის და ფანატიკური რეაქციის თვისებები, მაინც სასტიკ მმართველად რჩებოდა. როგორც ჩანს, ათენელები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ მძიმე რომაულ უღელთან შედარებით

მითრიდატე უფრო „ნაკლები ბოროტება“ იყო, ვარაუდში შეცდნენ. ახლა მათ კარგად დაინახეს, თუ რას ნიშნავდა უცხოელ უღელთა ცვალებადობა.

სულას მიერ ათენის აღების შემდეგ რომის ხელისუფალთა პოზიცია ათენის მიმართ შეიცვალა. რომის სენატმა ბერძენთა გულის მოსაგებად მსოფლიო მნიშვნელობის ნავსაყუდელი დელოსი ათენელებს გადასცა. გარდა ამისა, რომაელებმა ათენელებს ავტონომია და თავისუფლება მიანიჭეს. ხელისუფლების სათავეში ატიკუსის მოსვლით ათენი ორი ათეული წლის განმავლობაში დროებით დამშვიდდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ათენის სახელმწიფო უფსკრულისაკენ მიექანებოდა. „მითრიდატეს ომებმა“ გამანადგურებელი ზეგავლენა მოახდინა ქვეყნის სოციალურ განვითარებაზე. თითქმის მთელი საბერძნეთი ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა მოიცვა. ძვ. წ. 86 წ. ათენის დაცემით საბოლოოდ დასრულდა ელინური ცივილიზაციის კერა.

რომის რესპუბლიკის პერიოდში ელადის პოლისები თუ მაკედონიის პროკონსულს ექვემდებარებოდა და მათ მისი ლეგატი განკარგავდა, იმპერიის პერიოდიდან კი შეიქმნა აქეის პროვინცია, რომელსაც სენატი განაგებდა. მას პრეტორიანული რანგის სენატორები მართავდნენ. აქეის პროკონსულები ცდილობდნენ პროვინციის პოლისებისადმი ყურადღება გამოეჩინათ. მათი ძირითადი ფუნქცია „თავისუფალი“ პოლისების ფინანსებზე ზედამხედველობა იყო. აქეაში სენატის ადმინისტრაციასთან ერთად ფუნქციონირებდა იმპერატორის მხედართა ადმინისტრაცია, რომელიც პროკურატორებით იყვნენ წარმოდგენილნი. ახ. წ. I-II სს-ში აქეის პოლისებს კურატორები განაგებდნენ. ისინი ძირითადად საქალაქო ფინანსებს აკონტროლებდნენ. აქეის პოლისების საშინაო საქმეს ზოგჯერ იმპერატორიც განკარგავდა. ამ მხრივ, განსაკუთრებით ადრიანე აქტიურობდა. მან არაერთი საკანონმდებლო აქტი გამოსცა, რომელიც აქეის პოლისების სამეურნეო ცხოვრებას ეხებოდა. ასეთი იყო ბრძანება ათენიდან ზეთისხილის ექსპორტის თუ ელევსინში თევზეულის ბაზრობის მოწესრიგების შესახებ და ა.შ.

რომაული ადმინისტრაცია აქეის პოლისებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებდა სამხედრო თვალსაზრისით და აქ მუდმივი რომაული სამხედრო შენაერთებიც არ იდგა. ექსტრემალური სიტუაციის დროს რომაელი ხელისუფალნი სპეციალურ ქვედანაყოფებს აგზავნიდნენ.

აქეის პროვინცია იმართებოდა კორინთოდან, რომელიც ადრე იმპერიის ხანაში კვლავ ელადის მნიშვნელოვან სავაჭრო-სამრეწველო და ადმინისტრაციულ ცენტრად რჩებოდა. აღნიშნულ პერიოდში ელინური სამყაროს კულტურული ცენტრის ფუნქციას ათენი აგრძელებდა, რომელიც ისევ მრავალ უცხოელს იზიდავდა. აქ უმაღლესი განათლების მისაღებად მრავალი რომაელი ჩამოდიოდა. მათ რიცხვს განეკუთვნებოდა ტიტუს ალბინუსი, 104 წლის პრეტორი, რომელიც ეპიკურეისტი იყო, ასევე პომპონიუს ატიკუსი, რომელიც ათენში 20 წელი ცხოვრობდა; ათენში რამდენიმე წელი ცხოვრობდა და სწავლობდა ციცერონის შვილი; აქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მრავალი რომაელი სენატორი; რომაელებთან ერთად ათენში ხანგრძლივად ცხოვრობდნენ ასევე აღმოსავლეთის ელინისტური პოლისების დიდებულები. ზოგიერთმა მათგანმა ათენის მოქალაქეობა მიიღო და მაგისტრატებიც კი გახდნენ. მაგალითად, ნიკომედიელი ცნობილი მწერალი და პოლიტიკოსი ფლავიუს არიანე ათენის არქონტი და ბულეს წევრი იყო (I, II-III^2, 2, 1773), ხოლო ეფესელი რიტორი ლოლიანუსი სტრატეგოსი გახდა (Phil., VS, I, 23).

ათენში ჩამოსულთა რიცხვი მას შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა, როდესაც ადრიანესა და მარკუს ავრელიუსის დროს აქ დაარსდა რიტორიკისა და ფილოსოფიის კათედრები. მართალია, ათენის ყველა სტუმარი პოლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში არ მონაწილეობდა, მაგრამ მათი სოციალური როლი საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. ათენი ამ მხრივ აღემატებოდა არა მარტო აქეის პოლისებს, არამედ რომის იმპერიის მრავალ ქალაქს.

ათენის ტრადიციები იმპერიულ სისტემაში გავლენას ახდენდა. მის პოლიტიკურ მდგომარეობაზე ელინისტური პოლისების მუნიციპალური ზედაფენა რომაული ადმინისტრაციის ძირითად დასაყრდენს ნარმოადგენდა იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში. ათენი კი, როგორც ელინურობის იდეური მეტროპოლისი, მუდამ საიმპერატორო ხელისუფლების განსაკუთრებული ყურადღებით და მზრუნველობით სარგებლობდა. ათენის კეთილმოწყობის საქმეში განსაკუთრებული წვლილი ადრიანეს მიუძღვის. სწორედ, მის დროს ათენი პანელინური ორგანიზაციის ცენტრი ხდება. იმპერიის სისტემაში ათენი სამოკავშირეო ქალაქის სტატუსით სარგებლობდა.

რესპუბლიკის ეპოქის ბოლო ფაზაში ათენი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მაგრამ იმპერიის დროიდან მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა: რომის აღმოსავლური პოლიტიკის სისტემაში ათენის განსაკუთრებული როლი და მისი დიდებული წარსული მრავალ ევერგეტს იზიდავდა. მათ შორის იყვნენ როგორც იმპერატორები და იმპერიული ზედაფენის გავლენიანი წარმომადგენლები, ასევე რომზე დამოკიდებული ქვეყნების მეფეები. მაგალითად, იუდეის მეფე ჰეროდემ დააჯილდოვა ათენი და ლაკედემონი. ეპიდავროსში თრაკიის მეფე კოტისმა პორტიკი აღმართა; მეფეებს რომაელი სენატორები ეჯიბრებოდნენ. პავსანიასის ცნობით, მისმა თანამედროვე სენატორმა ანტონინუსმა კოტისის პორტიკი განაახლა, ხოლო მელოსელმა ევერგეტმა ლუციუს კორნელიუს დომიციანემ ათენში მრავალი ნაგებობანი ააშენა (III, 25, 7). იმპერიის პერიოდში მიმდინარეობდა საბერძნეთისა და რომის კულტურული სინკრეტიზაციის პროცესი, ხოლო ათენი იმპერიის კულტურის ცენტრად ითვლებოდა.

ადრეიმპერიის ხანაში ათენის სოციალურ-ეკონომიკურ და მმართველობის სისტემაში გარკვეული სიახლეები შეინიშნება. ატიკაში კერძომესაკუთრეობის ტრადიციული პოლისური ფორმა კვლავ აგრძელებდა არსებობას. აქ არ იყო ექსტერიტორიული საიმპერატორო მამულები თუ სალტუხები. რამაელი პროკურატორები იმპერატორისაგან ბოძებულ მიწებს, მკვიდრი მუშახელის სიმცირის გამო, სისტემატურად ყიდდნენ. ასე რომ, მიწის ნაკვეთები კერძო პირების ხელში აღმოჩნდა. ატიკის ტერიტორია ცალკეულ პოლისებს შორის იყო დანაწილებული. ამ ტერიტორიის დიდ ნაწილს პოლისის მოქალაქეები ფლობდნენ, საზოგადოებრივი მიწის ნაწილი კი დაუმუშავებელი რჩებოდა.

როგორც ჩანს, ატიკის მიწისმესაკუთრეობის ტრადიციული ფორმა შეცვლილია. მიწის დიდი ნაწილი ინდივიდების ხელშია კონცენტრირებული და, შესაბამისად, მსხვილი მიწათმფლობელობაა პრიორიტეტული, რაც კლასიკური ეპოქის ატიკისათვის უჩვეულო იყო. მდიდარი ატიკელი მიწათმფლობელები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ქალაქთან და ისინი მეტწილად აქ ცხოვრობდნენ. ანალოგიური პროცესი შეინიშნებოდა ფოკიდასა და ბეოტიაში, სადაც ცალკეული პირების ხელში მიწის კონცენტრაცია არნახულ მასშტაბებს აღწევს.

რაც შეეხება ათენის სავაჭრო-სამრეწველო კომპლექსს, ის კრიზისს განიცდის. ათენური ტეტრადრაქმები და სტატერები, რომლებიც ოდესღაც ელინური სამყაროს ფულად-სასაქონლო სისტემაში დომინირებდა, ადგილს უთმობს რომაულ საიმპერატორო მონეტებს; ათენის ხელოსნური წარმოებაც დაკნინებული ჩანს. იმპერიის ეპოქაში ფაქტობრივად შეწყდა ერთ დროს მთელ ელინურ სამყაროში ნატიფი კერამიკისა და ლითონდამუშავების წარმოება. სამთამადნო მრეწველობაც დაქვეითებული ჩანს, რადგანაც, სტრაბონის სიტყვით, „ათენის ლავრეიონის ვერცხლის საბადოების მარაგი ამოიწურა და ლითონს ძველი ნარჩენებისაგან ადნობდნენ" (X, 1, 9, 447). ათენის ეკონომიკური სისტემის ჩამოშლა იმითაც იყო განპირობებული, რომ იმპერიის ეპოქაში ხელოსნური წარმოების ცენტრებმა ათენიდან და, საერთოდ, ელადიდან ანტიკური სამყაროს პერიფერიებში, ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ქალაქებში გადაინაცვლეს. წარმოების დეცენტრალიზაციის გარდა, ათენის ეკონომიკის მდგომარეობა იტალიკური ნაწარმის კონკურენციამაც გაართულა. ჯერ კიდევ ძვ. წ. I ს-ში იტალიკური პროდუქციის იმპორტი ელადაში შესამჩნევი იყო. მეტიც, იტალიკურმა იმპორტმა ადგილობრივი ნაწარმი ბაზრიდან განდევნა. სანათების დამზადებაც კი, რომელიც ელადაში საკმაოდ წარმატებული იყო, იტალიკურ ჭრაქებს კონკურენციას ვერ უწევდა. იტალიკურმა სანათებმა ადგილობრივი ბაზრიდან გამოდევნა სახელგანთქმული ათენური თუ კორინთული ჭრაქები. ყოველივე ეს აშკარად მიუთითებს, თუ რამდენად დაქვეითდა ათენის და, საერთოდ, ელინური მრეწველობა, რომელიც ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა. აღნიშნული პერიოდის ათენში წარმატებით მხოლოდ შუბების წარმოება ფუნქციონირებდა.

ათენის ეკონომიკას ახ. წ. II ს-ში ადრიანესა და ჰეროდე ატიკუსის მსგავსი მეცენატების ინიციატივით გაჩაღებულმა ინტენსიურმა მშენებლობებმაც ვერ უშველა. რიგითი მოქალაქეები სიღარიბეში ცხოვრობდნენ. სამაგიეროდ ათენის ახალი არისტოკრატია მდიდრდებოდა და ძლიერდებოდა. ზოგიერთი ათენელი არისტოკრატი იმპერიის სამთავრობო სტრუქტურებში მაღალ თანამდებობებსაც იკავებდნენ. მაგალითად, ზემოხსენებული ფლავიუს არიანე რომის სენატორი და კაპადოკიის ლეგატი იყო. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩეოდა ტიბერიუს კლავდიუს ჰიპარქოსის გვარი, რომლის ოთხი მოდგმა სენატორთა წოდებას ეკუთვნოდა, ხოლო მისი მემკვიდრეები სხვადასხვა დროს კონსულები იყვნენ. ტიბერიუს კლავდიუსის შვილი ჰეროდე ატიკუსი ტრაიანეს დროს კონსული გახდა, ხოლო მისი შვილიშვილი, ცნობილი სოფისტი, ტიბერიუს კლავდიუს ატიკუს ჰეროდე 134 წელს კონსული იყო; ამ უკანასკნელის ვაჟიშვილი ტიბერიუს კლავდიუს აპიუს ატილიუსი ანტონინე პიუსის დროს ათენის არქონტად და კონსულად აირჩიეს. აღნიშნული ოჯახის წევრები ახ. წ. II-სის ახალი არისტოკრატიის ტიპური წარმომადგენლებია, რომლებიც ძველ რომაულ-იტალიურ ზედაფენას შეენაცვლნენ და მომდევნო ხანის მოვლენებში განსაკუთრებული როლი შეასრულეს. სწორედ ამ ფენის ხელში იყო თავმოყრილი ათენის პოლისის მართვის საადავეები.

დაბოლოს, ათენში არსებობდა ასევე ინტელიგენციის გარკვეული ფენა: მასწავლებლები, ექიმები, სოფისტები, კინიკოსები, მხატვრები, მსახიობები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ენიჭებოდათ. კულტურის გამოჩენილი მოღვაწენი (ფლავიუს არიანეს, ლოლიანუსის ან იულიუს თეოდოტოსის მსგავსი ადამიანები) შეძლებულნი იყვნენ და მუნიციპალურ ზედაფენას განეკუთვნებოდნენ.

რაც შეეხება ათენის მართვის სისტემას, ის ძირითადად ტრადიციულ პოლისურ კონტინუიტეტს ინარჩუნებდა. ათენის სოციუმი წინანდებურად იყოფოდა ფილეებად და ფრატრიებად, რომლებიც გარკვეულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს ახორციელებდნენ. იმპერიის ეპოქაში ათენს ნომინალურად ბულე და დემოსი განაგებდა. ახ. წ. 128-129 წწ.-ში ბულე 600 მოქალაქისაგან შედგებოდა. სასამართლო სფეროში დემოსი განსაკუთრებულ უფლებებს ფლობდა, ვიდრე ბულე. საფინანსო საკითხებს დემოსი და ბულე ერთობლივად წყვეტდა. იმპერიის ეპოქაში არეოპაგის მნიშვნელობა კვლავ გაიზარდა. მის კომპეტენციაში შედიოდა არა მარტო სასამართლო, არამედ პოლიტიკური საკითხები. ათენურ დეკრეტებში ბულე და დემოსი თანასწორუფლებიან ორგანოდ გვევლინება. არსებითად არაეოპაგი ახალი, ძლიერი სახელისუფლებო ორგანო ხდება. არეოპაგი ყოფილი არქონტებისაგან შედგებოდა და ოლიგარქოსების საყრდენ ძალას წარმოადგენდა.

ათენის მაგისტრატთა შორის პრესტიჟულად ითვლებოდა არქონტებისა და აგორანომოსების თანამდებობები. არქონტების რიცხვი წინანდებურად ცხრა კაცისაგან შედგებოდა და მათი ფუნქციები არსებითად იგივე რჩებოდა. არქონტების მნიშვნელობა კლასიკური პერიოდისაგან განსხვავებით იმპერიის ხანაში რამდენადმე გაიზარდა, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ ძვ. წ. V-IV სს-ის არქონტებთან შედარებით იმ პერიოდის არქონტთა სიაში მათი სახელები ხშირად ფიგურირებს. არქონტი-ეპონომი ფორმალურად პოლისის გამგებლად ითვლებოდა. ამავე დროს, ის არანაკლებ საპატიო თანამდებობად მიიჩნეოდა, ვიდრე რომაული მაგისტრატურის სხვა ორგანოების ხელმძღვანელები. ახ. წ. II ს-ის მრავალი გავლენიანი და გამოჩენილი პოლიტიკოსები, მათ შორის, იმპერატორები და სენატორები ათენის არქონტები გახდნენ. ასეთები იყვნენ იმპერატორი დომიციანე და იმპერატორი ადრიანე, ისტორიკოსი და პოლიტიკოსი ფლავიუს არიანე, ცნობილი სოფისტი და სენატორი ტიბერიუს ფლავიუს ატიკუსი და სხვ. ახ. წ. III ს-ის არქონტებიდან აღსანიშნავია ისტორიკოსი დეკსიპე, ასევე ტიტუს ფლავიუს მონდონა, რომელიც არქონტად სამჯერ აირჩიეს.

აგორანომოსის თანამდებობას პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა და ის ვაჭრობას კურირებდა. სტრატეგოსის თანამდებობა წინანდებურად ავტორიტეტული იყო, თუმცა კლასიკურ ეპოქასთან შედარებით მან მნიშვნელობა დაკარგა. ამის მიზეზი იყო ის, რომ სტრატეგოსის ადრეული ფუნქცია, ომისა და დიპლომატიის საკითხები იმპერიის პერიოდში მექანიკურად მოიხსნა. ამიერიდან სტრატეგოსს მხოლოდ რეკრუტირების ორგანიზების ფუნქცია დაეკისრა. სამხედრო მაგისტრატურათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ჰიპარქოსის თანამდებობას. განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდნენ ასევე ეფებების ორგანიზაციას, რომელსაც არა იმდენად სამხედრო, არამედ პოლიტიკური დატვირთვა უფრო ჰქონდა, ვინაიდან ეფებების რიგებში გაწევრიანება მოქალაქეობის სტატუსის მინიჭებას ნიშნავდა (IG, II-III^2, 3, 1, 3733).

დაბოლოს, საქალაქო კულტი, რომელიც პოლისური კულტის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა, გარკვეულ ცვლილებებს განიცდის: მოქალაქეები კვლავინდებურად თაყვანს სცემდნენ ქალაქის მთავარ ღვთაებას ათენას, მაგრამ სეპტიმიუს სევერუსის დროს რომაელებმა ის იულია დომნასთან გააიგივეს და ათენა პოლემარქოსის დღესასწაულზე მსხვერპლს მასაც სწირავდნენ.

ატიკაში ათენის გარდა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა პირეუსსა და ელევსინს, რომლებიც ათენის პოლის-სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ დამოუკიდებელი პოლისები არ იყო. ისინი თემებს წარმოადგენდა და შესაბამისი თვითმართველობით სარგებლობდა. პირეუსის საპორტო ნაგებობები სულამ დაანგრია, მაგრამ მიუხედავად ამისა ის მაინც განაგრძობდა ფუნქციონირებას. იმპერიის ეპოქაში მისი მნიშვნელობა კვლავ გაიზარდა, თუმცა ნავსადგურს ძირითადად მეტოიკოსები დაეუფლნენ. ჰეროდეს ატიკუსისადმი მიძღვნილ წარწერაში დაფიქსირებული 27 პირეუსელი კომერსანტიდან მხოლოდ 16 იყო ათენელი მოქალაქე (SIG, II³, 856), რაც იმის მიმანიშნებელია, რომ იმპერიის პერიოდშიც პირეუსმა სავაჭრო ცენტრის ოდინდელი მნიშვნელობა მაინც ვერ დაიბრუნა.

რაც შეეხება ელევსინს, ის კვლავ ელადის მნიშვნელოვანი რელიგიური ცენტრის ფუნქციას აგრძელებდა. ელევსინური მისტერიები ბერძნულ-რომაულ სამყაროში პოპულარულობით სარგებლობდა, თუმცა ელევსინი ათენის პოლისის შემადგენლობაში შედიოდა და, შესაბამისად, მისი ტაძარი, როგორც წარწერებიდან ჩანს, ფაქტობრივად ათენელი არისტოკრატების მფლობელობაში იყო (AE, III, 134).

რომის იმპერიის სისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა პანელინური სატაძრო პოლისები – ოლიმპია, დელფოსი და ეპიდავროსი, რომლებმაც პოპულარობა შეინარჩუნეს. მართალია ეს პოლისებიც, კლასიკურ და ელინისტურ პერიოდებთან შედარებით, დაცემულ-დაქვეითებული იყო, მაგრამ მათი დიდებული წარსული მრავალრიცხოვან მლოცველებსა და ტურისტებს იზიდავდა. განსაკუთრებით სახელგანთქმული იყო ოლიმპია. ოლიმპიური თამაშები წინანდებურად ელინური სამყაროს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა, ოლიმპიადაზე გამარჯვება კი უდიდეს პატივად ითვლებოდა. აქეის პროვინციის პოლისების მრავალი დიდებული ოლიმპიას ხშირად სტუმრობდა. ოლიმპიას არანაკლებ ყურადღებას უთმობდნენ რომაელები. ამის დასტურია ოლიმპიაში აღმოჩენილი სენატორებისა თუ იმპერატორებისადმი მიძღვნილი მრავალრიცხოვანი წარწერები (AZ, XXXVII, 136, 266).

ოლიმპიასთან შედარებით არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფებოდა დელფოსი. მართალია ის კვლავ იზიდავდა მრავალრიცხოვან უცხოელებს, მაგრამ ძველი დიდება დელფოსის ორაკულისა, რომელიც ელადის საზოგადოებრივი აზრის განმსაზღვრელი იყო, სამუდამოდ ჩაქრა. მიუხედავად ამისა, იმპერიის ეპოქაში დელფოსს პატივისცემით და განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდნენ. ცნობილია, რომ ადრიანე და ანტონინე პიუსი დელფოსის არქონტები იყვნენ (SIG², II, 848). რომის იმპერიის სისტემაში დელფოსს „Civitas liberas"-ის სტატუსი ჰქონდა. რომაელები განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებონენ ასევე ეპიდავროსს. იმპერიის ეპოქაში, განსაკუთრებით კი ახ. წ. II ს-ში ეპიდავროსში ინტენსიური მშენებლობა მიმდინარეობდა. ეპიდავროსული ასკლეპიოსის კულტი პოპულარობით სარგებლობდა. მის წარწერებში მოხსენიებულია ლაკედემონელი არისტოკრატი გაიუს იულიუს ლაკონა აქეის ბრწყინვალე კონსულარი და არისტოკრატი გნეიუს კლავდიუს ლეონტიე, (AE., III, 76), საღვთო ხელისუფლების მრჩეველი ვინმე ბასა (CIG, I, 1167). იმპერიის ეპოქაში ეპიდავროსი „მოკავშირე" პოლისის სტატუსს ფლობდა.

აქეის პროვინციის დანარჩენი პოლისები უმნიშვნელო როლს ასრულებდა და რეგიონალური მნიშვნელობა ჰქონდა. პელოპონესის პოლისებიდან, ოლიმპიისა და ეპიდავროსის გარდა, გამოირჩეოდა სპარტა, რომელიც, სტრაბონის ცნობით, იმპე-

რიის ეპოქაში ლაკონიკის ერთადერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან პოლისად ითვლებოდა (VIII, 5, 5, 365). რესპუბლიკის დროს სპარტა ე.ნ. „თავისუფალი ქალაქი" გახდა. ამ პერიოდის წარწერებში ის ათენის, აქეის, ბეოტიისა და თესალიის ალიანსების გვერდით იხსენიებოდა, როგორც ერთ-ერთი ელინური პოლისი, რომელიც მაკედონიის გამგებელს ექვემდებარებოდა. სპარტა „თავისუფალი ქალაქის" სტატუსს იმპერიის ეპოქაშიც ინარჩუნებდა. ავგუსტუსის დროს იუდეის მეფემ ჰეროდემ ლაკედემონს ათენთან ერთად დიდი ძღვენი უბოძა. სპარტის პოლიტიკურმა სისტემამ კლასიკურ პერიოდთან შედარებით გარკვეული ცვლილებები განიცადა, მაგრამ პროვინციის დანარჩენ პოლისთა შორის ის ტრადიციულად სახელმწიფოებრივი წყობის ელემენტების თავისებურებებით გამოირჩეოდა, თუმცა ამგვარი სპეციფიკურობა ფორმალური ხასიათისა იყო. სპარტაში არსებითად არისტოკრატია ჰეგემონობდა. აქ იმპერიის პერიოდის დასაწყისშივე დამყარდა არისტოკრატიული ტირანიის მსგავსი წყობა. ამგვარი პრინციპით, ავგუსტუსის დროს, სპარტას მართავდა გაიუს იულიუს ევრიკლე, ტიბერიუსის დროს გაიუს იულიუს ლაკონი. მოგიანებით ევრიკლეს მოდგმა დიდი გავლენით სარგებლობდა. ადრიანეს დროს ლაკონას შვილიშვილი გაიუს იულიუს ლაკონა სპარტის პატრონომოს-ეპონიმი გახდა (AE, III, 21). სპარტანულ არისტოკრატიას ელადის დანარჩენი პოლისების ზედაფენასთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. ერთ-ერთ წარწერაში მოხსენიებულია „ეფებოსი ატიკუსის შვილი ჰეროდე" (CIG, I, 1256). როგორც ამ წარწერიდან ჩანს, ატიკუსის ოჯახის ერთ-ერთ წევრს სპარტაში პატრონომოსის თანამდებობა ეკავა. ელადის დანარჩენი პოლისების ზედაფენების მსგავსად, ანტონინუსების მმართველობის დროს, სპარტის არისტოკრატიამ სენატშიც შეაღწია. ზოგიერთი მათგანი პრეტორიც გახდა (Dig., XXXVI, I, 23).

პელოპონესის დანარჩენი პოლისებიდან აღსანიშნავია ასევე მესენა, რომლის მოქალაქეთა ერთი ნაწილი, როგორც წარწერები გვაუწყებენ, „სენატორული წოდების" წევრები იყვნენ (CIG, I, 1133). არგოლიდის პოლისებიდან იმპერიის ეპოქაში გამოირჩეოდა არგოსი, მაგრამ ეპიდავროსთან შედარებით ის მხოლოდ რეგიონულ მნიშვნელობას ინარჩუნებდა. იმპერიის ხანაში არკადიის ერთ დროს სახელგანთქმული პოლისი – მეგალოპოლისი, სტრაბონისა (VIII, 5, 38) და პავსანიასის (X, 2, 5) ცნობებით, დაცარიელებული იყო. არკადიის დაცემულ-დაქვეითებული პოლისთაგან გამორჩეული ადგილი მხოლოდ ტეგეას ეკავა.

რაც შეეხება შუა საბერძნეთის პოლისებს, მათი ვითარება პელოპონესის პოლის-სახელმწიფოების მდგომარეობას მოგვაგონებდა. მეგარიდაში წინანდებურ მნიშვნელობას ინარჩუნებდა კლასიკური პერიოდის ელადის ერთ-ერთი მეგაპოლისი – მეგარა, რომელიც რესპუბლიკის ხანის დასასრულს ღრმა კრიზისში იმყოფებოდა, მაგრამ ადრეიმპერიის წლებში მისი მნიშვნელობა კვლავ გაიზარდა. ადრიანეს დროს, როგორც წარწერებიდან ირკვევა, მეგარაში ძველი დორიული ფილეები კვლავ ფუნქციონირებდა (IG, VII, 70, 73). სახელგანთქმული მეგაპოლისი – თებე, პავსანიასის ცნობით, რიგით დასახლებად გადაიქცა (XI, 3, 5). სამაგიეროდ, იმპერიის ხანაში დაწინაურდა ისეთი მეორეხარისხოვანი პოლისები, როგორიც იყო ხერონეა, თესპია, პლატეა, ლაბადეა და სხვ.

იმპერიის პერიოდში არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა ასევე მაკედონიის ელინისტური ეპოქის მნიშვნელოვანი პოლისების დიდი ნაწილი. ფილიპესა და ალექსანდრესეული მაკედონიის სამეფოს დედაქალაქი პელა რიგითი ქალაქის რანგამდეა ჩამოქვეითებული, სამაგიეროდ დაწინაურებული ჩანდა თესალონიკა (სტრაბონის ცნობით) მაკედონიის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლისი (XII, 8, 33). იმპერიის ხანაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა დიდრარხია, ფილიპია და კასანდრია, რომლებიც ტრანსბალკანურ სტრატეგიულ და სავაჭრო გზაჯვარედინზე მდებარეობდა. დიდრარხია ადრიატიკის სანაპიროზე იყო განლაგებული, ფილიპია მაკედონიისა და თრაკიის საზღვარზე, კასანდრია თრაკიის სანაპიროზე სტრატეგიული პუნქტი იყო. მაკედონიის პოლისებს შორის განცალკევებით იდგა თესალიის თემები, რომლებიც მაკედონურ პოლისთა ლიგის შემადგენლობაში არ შედიოდა. მათ ჰქონდათ ავტონომიური გაერთიანებები, რომელთა ცენტრი ლარისა იყო. თესალიის ცალკეულ პოლისებს შორის აღსანიშნავია დემეტრიადა, რომელიც მრავალ თესალიურ პოლისებს აერთიანებდა ასევე ჰიპატია და ფარსალე, რომლებიც თესალიის მეგაპოლისებად ითვლებოდა.

რომის იმპერიისათვის მაკედონიის პოლისების ეკონომიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონდა. მაკედონიის ქალაქების ხელოსნური ნაწარმი ადგილობრივი ბაზრისათვის იყო ორიენტირებული. მაკედონიის მრწეველობის არც ერთი დარგი, გარდა სამთამადნო წარმოებისა, საერთოიმპერიული მნიშვნელობისა არ იყო. მაკედონიის პოლისების ეკონომიკურ სისტემაში შედარებით უფრო დიდ როლს ვაჭრობა ასრულებდა. შიდა სავაჭრო ოპერაციები შეზღუდული ჩანს, სამაგიეროდ საგარეო ვაჭრობა ინტენსიურ ხასიათს იძენდა.

აღსანიშნავია, რომ მაკედონიის მთელ რიგ პოლისებში ფულად-სასაქონლო მეურნეობა და მევახშეობა სუსტად იყო განვითარებული. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდა მეგაპოლისები, რომელთა შორის გამოირჩეოდა თესალონიკა, რომელიც მსხვილი სატრანზიტო ცენტრის ფუნქციას ასრულებდა.

ამრიგად, ადრეული იმპერიის სისტემაში ელადის პოლისების დიდი ნაწილი, ათენის, კორინთოსა და მათი მსგავსი მეგაპოლისების გამოკლებით, არსებით როლს ვერ ასრულებდა და მათი მნიშვნელობა საბერძნეთის ფარგლებს არ გასცილებია. ერთ დროს ცნობილი და სახელგანთქმული პოლისების აბსოლუტური უმრავლესობა გაღარიბდა და გაუკაცრიელდა. ამგვარი პოლისების მოქალაქეთა ერთი ჯგუფი მცირე წარმოებით იყო დაკავებული, მეორე ნაწილი კი უღარიბესი მასისაგან შედგებოდა, რომელიც „ევერგესიების", პოლის-სახელმწიფოს შემწეობების ხარჯზე ცხოვრობდა.

გვიანრომაულ ხანაში კი პოლისების როლი და ფუნქცია რადიკალურად იცვლება. ადრეიმპერიის ხანაში პოლისები თუ რომანიზაციის ცენტრი იყო და პოლისური წესი ძირითადად უცვლელი რჩებოდა, დომინანტის ეპოქაში პოლისმა ეს თვისებები საბოლოოდ დაკარგა. მისი სოციალური და ეთნიკური სტრუქტურა, მუნიციპალიზმის ხასიათი ტრანსფორმირდა. რომაული ადმინისტრაცია შეეცადა სოციუმი გარდაექმნა, ის თავის დასაყრდენს ელინისტური მონარქიებისა თუ აღმოსავლური დესპოტიების ნორმებში, მათ პრინციპებში ეძებდა. წერილობით წყაროებში გვიანრომაული ეპოქის სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის შესახებ ცნობები თითქმის არ მოი-

პოვება, მაგრამ ის რაც ჩვენამდეა მოღწეული ადასტურებს, რომ პოლისებში სამშენებლო სამუშაოები უპირატესად კერძო პირებისა და იმპერატორების ხარჯზე ხორციელდებოდა; წინანდებური არჩევითი საქალაქო მაგისტრატურები მემკვიდრეობითი გახდა.

დიოკლეტიანეს დროიდან პოლისური იდეოლოგიისა და სულიერი ცხოვრების სფეროში ორი განსხვავებული ტენდენციები შეიმჩნეოდა. პოლისის მოქალაქეთა ერთი ნაწილი ტრადიციული რომაული ღვთაებების, ნორმების და წეს-ჩვეულებების ერთგული რჩებოდა. მოქალაქეთა მეორე ნაწილი, რომელიც ქრისტიანებისაგან შედგებოდა უწინდელი სამყაროს ღირებულებებს უარყოფდნენ, იმპერატორს ღმერთად არ აღიარებდნენ. ორივე მათგანი ერთი და იმავე პოლისის მოქალაქენი იყვნენ და სოციუმის კონსოლიდაციაზე, მის პროგრესზე უნდა ეზრუნათ. მაგრამ თუ რომაული ტრადიციების ერთგული მოქალაქეები პოლისზე, მის საზოგადოებრივ ნაგებობებსა და ტაძრებზე ზრუნავდნენ, ქრისტიანებისათვის ყოველივე ამას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

Summary

The history of ancient Greece in essence is history of polisies. On ruins of the Mycenaean bureaucratic monarchy, In VIII-VII centuries BC in ancient Greece has arisen a primitive rural community. The polis which for Ancient Greek authors represents a society of citizens was the political centre of a community. In VI century BC the city is born. Two opposite tendencies start to express the polis and a city: a city-centre industrial manufacture, the polis-association of farmers.

The developed polis to oppose to the further development of craft. In a number of the Greek polisies the laws limiting the rights of citizenship for people, occupied with craft work were passed, or to citizens in general forbade to be engaged in craft. The structure of polis braked development of commodity-money relations as from reference sphere considerable money resources were constantly withdrawn. Development of commodity-money relations, a market role led to deformations most systems of polis.

Basis of economy of the polis is agriculture. Commodity relations, a trading exchange of a steel of one of bases of all economic life of the polis. The policy economy opened the big possibilities for development of commodity relations, and so, accumulation of riches, occurrences of large estates in a countryside and the big craft workshops in a city.

The social structure of polisies assumed existence of three basic classes: the Ruling class, free small manufacturers, slaves and dependent workers of the most various categories.

Proprietors of the big workshops, solid sums of money concerned the state class large the land owner. The basic part of the population of the policy from free small workshops, their role in the polis was small.

The civil collective including full citizens, the aboriginals owning a hereditary earthen site, taking part in state the management was a kernel of social structure of the antique policy. Arrived on a residence from other Greek polisies, could not be a part of citizens and made special estate Metics, not citizens. Ground area loss could lead to disfranchisement.

Possession of the ground area was considered as the main guarantee of performance by the citizen of the duties before the polis. The prosperous farmer who carefully conducts the economy was considered as the worthy citizen average, jealously carries out all civil duties.

From the point of view of the government, the antique polis had the republican device. The Supreme power belonged to national meeting which consisted basically of all full citizens. The national meeting operated the polis in common and Council and the officials selected for one year. Constant machinery of state did not exist. Repeated re-election for the same post was not supposed.

In polisies all system of cultural wealth, was generated by components which acted a personal liberty of the person, the option of employment, the right on defined material maintenance also.

The common features described above most are peculiar to some extent to each polis, however among set of the Greek policies it is possible to allocate two basic types: the polis agrarian, with a poor development of trade and crafts and, as a rule, the oligarchy state. The sample of this kind is Sparta, which in the middle of VI century BC has definitively developed as the policy and had more perfect military and political organization of a society, than other Greek policies during the same period. The originality Spartan structures oh polis was defined by extremely high role of the state which carried out the direct control over an everyday life of citizens. Stability and relative stability of a Spartan mode which within two centuries has not undergone essential changes was a consequence of

it. However such system has led to full isolation from an external world, prompt cultural decline was result of that. Other type represented a society and the state and big industrial productions and commodity-money relations, the democratic device. Most a vivid example of such policy are Athens where in V-IV centuries BC capitalist the relation takes root.

During the period from the end V to the middle of IV century BC intensity of foreign policy communications of policies has increased in Greece. The increase in number of contacts between policies promoted formation and development of institutes regulating relations. At the same time was outlined the tendency to certain unification of norms of dialogue, and existing institutes some for a long time have got new value.

The polis became such form of ancient society and the state in which frameworks in VIII-IV centuries BC have been created favorable conditions for development of rational economy, dynamical public relations, political establishments, the brilliant Greek culture, rendered huge value on world civilization development.

However the ancient polis as the historical form has settled the internal potentialities to the middle of IV century BC and has entered the crisis period. Introduction of commodity economy, concentration of riches on one pole and an destisution on other, falling of a role of a civil home guard and distribution of mercenaries, growth social confrontations undermined unity of a civil society.

During the period Hellenistic and the Roman epoch the ancient polis though kept the important elements of historical traditions, but cotton velvet loses independence and as a whole is under the control of the central power.

ლიტერატურა:

არისტოტელე. პოლიტიკა I–II, თბ., 1995-1996.

გორდეზიანი რ., ბერძნული ცივილიზაცია, I, თბ., 1988.

გორდეზიანი ლ., ძველი ისტორიის ნარკვევები, თბ., 2009.

თოდუა თ., რომაული სამყარო და კოლხეთი. თბ., 2003.

თოდუა თ., ანტიკური პოლისის ფორმირების პროცესი. პროტოპოლისი. საისტორიო ვერტიკალები, 11, 2007.

თოდუა თ., ალექსანდრე მაკედონელი და პოლისები (იმპერიისა და პოლისის ურთიერთობისათვის). კულტურულ-საისტორიო ძიებანი, 17, 2010.

თოდუა თ., ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის მართვის სისტემა. საისტორიო ვერტიკალები, 15, 2008.

ლომოური ნ., კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია. თბ., 1962.

ლორთქიფანიძე ოთ., ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბ., 1966.

პლატონი, სახელმწიფო. თბ., 2003.

ქავთარია გ., ძველი საბერძნეთი, თბ., 2005.

პლუტარქე. რჩეული ბიოგრაფიები. თბ., I, 1975, II, 1987.

Андреев Ю., Раннегреческий полис. М., 1976.

Андреев Ю., Спарта как тип полиса. – Античная Греция, I, М., 1983.

Андреев В., Размеры земельных участков в Аттике IV в. до н. э. – Вестник древней истории, 2, 1959.

Андреев В., Цена земли в Аттике IV в. до н. э. – Вестник древней истории, 2, 1960.

Андреев В., Аграрные отношения в Аттике в V–IV вв., до н. э. – Античная Греция, I М., 1983.

Античная Греция, т. I-II, 1983.

Бикерман Э., Государство Селевкидов, М., 1985.

Блавитский В., Кошеленко Г., Кругликова И., Полис и миграция Греков. – Проблемы Греческой колонизации северного и восточного Причерноморья, Тб., 1979.

Валлон А., История рабства в античном мире. М., 1941.

Глускина Л., Проблемы социально-экономической истории Афин IV в. до н. э., Л., 1975.

Глускина Л., Афинские метеки в борьбе за восстановление демократии в конце V в. до н. э. – Вестник древней истории, 2, 1958.

Глускина Л., Аренда земли в Аттике IV в. до н. э. – Вестник древней истории, 2, 1968.

Доватур А., Политика и Политии Аристотеля. М-Л., 1965.

Капогросси Колоньези Л., Античний город-государство: Интерпретация и некоторые проблемы. – Вестник древней истории, 4, 2009.

Кошеленко Г., Полис и город: к постановке проблемы. – Вестник древней истории, 1, 1980.

Кошеленко Г., Древнегреческий полис. – Античная Греция, I, М., 1983.

Кошеленко Г., Полис на эллинистическом востоке, М., 1979.

Куторга М., Собранные сочинения., т. 1, СПб, 1894.

Кузнецов В., Строители Эрехтейона. – Вестник древней истории. 4, 1990.

Кондратюк М., Теорикон. – Вестник древней истории. 1. 1989.

Липин В., Греческая колонизация Северного Причерноморья. Киев, 1966.

Маринович Л., Греческое наемничество IV в. до н. э. и кризис полиса. М., 1975.

Моммзен Т., История Рима, 2, М., 1937.

Маринович Л., Александр Македонский и полисы Малой Азии. – Вестник древней истории, 2, 1980.

Надь Г., Греческая мифология и поэтика. М., 2002.

Нильссон М., Греческая народная религия. М., 1998.

Фролов Э., Греческие тираны (IV в. до н. э.). Л., 1972.

Фюстель де Куланж Н., Гражданская община древнего мира. СПб., 1906.

Хабихт Х., Афины. История города в эллинистическую эпоху. М., 1999.

Шахермайр Ф., Александр Македонский, М., 1984.

Шелов Д., Античный мир в северном Причерноморье. М., 1956.

Яйленко В., Архаическая Греция. – Античная Греция, I. 1983, 150.

Туманс Х., К идее государства в архаической Греции. – Вестник древней истории, 2, 2006.

Adcock F., Mosley D., Diplomacy in ancient Greek. London, 1975.

Andrewes A., The Greek turants. N. Y., 1963.

Andrewes A., Eunomia. – Classical Qaurterly. 32, 1938.

Audring G., Zur wirtschaftlichen und sozialen lage der attischem bauern im aufgehenden. Berlin, 1977.

Asheri D., Il caso di Aithiopos: regola e eccerione? – Parola del Passato, 1974.

Austin M., Vidal – Naquet P., Economic and social history of ancient Greece. Berkeley, 1977.

Bengston H., Griechische Geschichte. München, 1969.

Beloch K., Griechische Geschichte, I, Berlin, 1926.

Bicknell P., Whom did Kleisthenes enfranchise. – Parola del dassato, 124, 1969.

Bicknell P., Athenian Politics and gencalogy. – Historia, 23, 1974.

Bickerman E., Alexandre les grand et le villes d' Asie. – Revue des etudes grecques, XLVII. 1934.

Boardman J., The Greeks overseas. London, 1973.

Cooper A., The family farm in Ancient Greece. – The classical Journal, 78, 1977.

Cook T., The Greeks in Ionia and the east. london, 1962.

Chrimes K., Ancient Sparta. Manchester, 1952.

Dawkins R., The sanctuary of Artemic Orthia at Sparta, London, 1929.

Desborugh V., Protogeometric pottery. Oxford, 1962.

Ehrenberg V., Polis und imperium. Zürich, 1965.

Ehrenberg V., Der Gesetzgeber von Sparta. Berlin, 1927.

Ehrenberg V., The Greek state. L., 1969.

Ehrenberg V.. Origins of democracy. – Historia, 1, 1950.

Ellis J., Philip II and Macedonian imperialism. N. Y., 1976.

Jones A., Sparta. Oxford, 1967.

Finley M., Sparta. N. Y., 1975.

Finley M., Studies in land and credit in ancient Athens. 500-200 B.C., New Jersey, 1952.

Fine J., Horoi. Studies in Mortgage, real security and land tenure in ancient Athens. – Hesperia, IX, 1951.

Forrest W., History of Sparta. 950-192 B. C. L., 1968.

Gomme A., The population of Athens in the fifth and fourth centuries B.C. Oxford, 1933.

Jones A., Athenian democracy, Oxford, 1957.

Hind J., Greeks at Phasis and the ransoming of shipwrecked sailors. – Вестник древней истории, 4, 2009.

Hammond M., The city in the Ancient world. Cambridge, 1972.

Kelly Th., A history of Argos to 500 B. C. Minneapolis, 1976.

Luce J., The Polis in Homer and Hesiod. Dublin, 1978.

Lauffer S., Die bergwerksklaven von Laureion. Wiesbaden, 1955.

Meyer Ed., Geschichte des lacrtums. Stuttgart-Berlin, Bd., III, 1937.

Meiggs R., The Athenian empire. Oxford, 1972.

Michell H., Sparta, Cambridge, 1952.

Mosse C., Athens in decline. 404-86 B. C. London, 1973.

Padgug R., Classes and society in classical Greece. – Arethusa, VIII, 1, 1975.

Perlman S., The politicians in the Athenian democracy of the fourth century B. C. – Athenaeum, XLI, 1963.

Pecirka J., The crisis of Athenian Polis in the fourth century B.C. – Eirene, XIV, 1976.

Pecirka J., Homestead farms in hellenistic Hellas. Paris, 1973.

Randall R., The Erechtheum workman. – American Journal of Archaelogy, 57, 1953.

Snodgrass A., Dark ages of Grece. Edinburgh, 1971.

Starr Ch., The economic and social growth of early Greece. 800-500 B.C., N. Y., 1977.

Thomlinson R., Urban structure: The social and spatial character of cities. N. Y., 1965.

Toynbee A., Some problems of Greek history. Oxford, 1969.

Ure P., The origin of tyranny. N. Y., 1962.

Vallet G., La cite et son territore dans les colonies gresques d' occident. – La citta eil suo territorio. Napoli, 1960.

Wetzel F., Babylon zur zeit Herodots. – Zeitschruft für Assyriologie, 48, 1944.

Will E., Trois vouarts de siecle de recherches sur l' economie antique. – Annales, 9, 1, 1954.

Whitehead D., The ideology of the Athenian Metic. Cambridge, 1977.

ტაბულები

ტაბულების აღწერილობა

I. ათენის სქემატური გეგმა.

II. ათენის აგორა.

III. ათენის სატაძრო კომპლექსი. 1. პართენონი. 2. ერეხთეიონი.

IV. 1. ათენური ამფორა ძვ. წ. V ს. 2. ათენური კრატერი ძვ. წ. V ს.

V. 1. სპარტის სქემატური გეგმა. 2. სპარტის აკროპოლისი.

VI. 1. სპარტანელი ქალის ბრინჯაოს ქანდაკება დაახლ., ძვ. წ. 500 წ. 2. ლაკონიკური ამფორა ძვ. წ. VII ს-ის დასასრული. 3. ბრინჯაოს ლაკონიკური კრატერი დაახლ., ძვ. წ. 530 წ.

VII. 1. მილეტის სქემატური გეგმა. 2. კორინთოს სქემატური გეგმა.

VIII. 1. მილეტის ამფითეატრი. 2. მილეტური მონეტა.

IX. 1. კორინთული ამფორა ძვ. წ. VI ს. 2. კორინთული კრატერი ძვ. წ. VIს.



1



2





1



2

IV

1

2



1



2

1

2

3



1



2



1



2



1

2

საძიებელი

პირთა საძიებელი

აგესილაოსი 150, 157
აგისი III 73
აგათოკლე 128, 129, 201-205
ადრიანე 81, 200
ათენა 29, 35, 38, 59, 61, 71, 178, 203
ათენაიოსი 177, 179
აკურგალი ე. 14
ალექსანდრე მაკედონელი 11, 12, 13, 21, 60, 64, 69, 77, 83, 141, 169, 181, 182, 188, 193
ალკეოსი 9, 30, 77, 125
ალკიბიადე 11, 71, 116, 117, 126, 146, 179
ალკიფრონე 121
ალკიმაქე 184
ამონი 178
ამინტა I 84
ანაკრეონტი 38
ანტიგონე 73, 162, 193
ანტიგონე გონატი 193
ანტონინე პიუსი 202, 204
ანტიპატრე 182, 185, 186
ანტალკიდე 81, 148, 151, 155, 157
ანაქსანდრიდესი 137, 138
ანდრეევი ვ. 21, 116
ანდრეევი ი. 21
ანაქსიმანდრე 78, 79
ანაქსიმენე 78
ანტიოქოსი I 72, 188
ანტიოქოსი II 188
ანტიოქოსი III 141, 195
ანტიოქოსი IV 191
ანახიტა 178
ანტონინუსი 201, 205
აპიანე 11, 141
აპოლოდორე 175
აპოლონი 14, 38, 61, 65, 70, 72, 73, 75, 76, 124, 155, 178
არქილოქე 9, 26, 27, 28, 29, 51, 123
არისტოფანე 9, 10, 17, 19, 42, 92, 94, 96, 97, 98, 116-121, 147, 163
არისტოტელე 10, 15, 30, 32, 36, 39, 40, 45, 52, 55, 57, 60, 68, 70, 73, 74, 94, 96, 98, 99, 103, 104, 109, 111, 112, 114, 123, 125, 126, 130, 132, 137, 138, 159, 163, 169, 176, 181
არისტიდე 11, 41, 42, 135, 172, 174
არტაქსერქსე II 149, 150, 173, 175, 178, 179
არტემიდე 75, 178
არტემიზიასი I 77
არტემიზია 77
არხინოსი 106, 108
არიობარზანესი 178
არხიდამოსი 145
არატე 161
არისტაგორე 170
არტაფერნე 171
არისტიონი 198, 199
არქელაოსი 198
არხიტე ტარენტელი 77
ასპასია 66, 176
ასკლეპიოსი 71, 204
ასკლეპიოდორი 197
ატალოსი II 14
ატილიუსი 200, 202- 205
ატიკუსი 200
აუდრინგი გ. 119
აფროდიტე 72
აპურამაზდა 178, 179

ბაბელონი ე 12
ბაკხიადები 70
ბასა 204
ბეკი ა. 11, 15, 120
ბელინჯერი ე. 12
ბელოხი ი. 16, 110, 120
ბეროსი 181
ბიუხერი კ. 15
ბიკნელი გ. 40, 104
ბლავატსკი ვ. 21
ბოლტუნოვა ა. 55
ბორდმანი ჯ. 18
ბრასიდე 145, 146
ბრაშინსკი ი. 55
ბურუე ე. 12

გაბრიელი ა. 14
გაიდუკევიჩი ვ. 21
გამყრელიძე გ. 22
გარდნერი ჰ. 12
გაიუს იულიუს ლაკონა 204, 205
გაიუს იულიუს ევრიკლე 205
გაიუს იულიუს ცეზარი 79
გელონი 70
გლოტცი გ. 17
გლუსკინა ლ. 21
გნეიუს კლავდიუს ლეონტიე 204
გორგიასი 118
გოლენკო კ. 13
გომი ა. 18, 108, 110, 115
გორდეზიანი რ. 21, 102
გორდეზიანი ლ. 21
გორგიასი 118
გროტი ჯ. 17
გრეჰემი გ. 19

დარიოსი I 170, 171, 172, 175, 176, 179
დარიოსი III 179
დატისი 171, 178

დემოსთენე 10, 11, 101, 115, 120, 121, 122, 131, 145, 146, 147, 163, 185
დეგინოკრატე 69
დევისონი ვ 19
დესანკტისი გ. 20
დემოკედე 175
დემარატე 175, 179
დემოკრიტე 176, 180
დეკსიპე 203
დიოდორე სიცილიელი 10, 76, 149
დიონი 127
დიონისე 16, 38, 58, 78, 80, 128, 129, 197
დიონისე II 128
დიონ კასიუსი 11
დიურბახი ფ. 12
დიონისოდორი 105
დიონისოს ჰალიკარნასელი 116
დიონისე I 127
დიოკლეტიანე 207
დიოგენე ლაერტელი 176
დომიციანე 201, 203
დრაკონტი 88
დუნდუა გ 13, 55
დუნდუა თ. 13

ედკოკი ფ. 147
ედვარდსი კ. 12
ევფილეტესი 117
ევანგელოსი 117, 118
ევბულე 131
ევფრონე 127
ეთიოპესი 51
ელიანუსი 179
ემპედოკლე 69
ეპიალტე 173
ეპიდატესი 165
ეპამინონდასი 157, 158
ერენბერგი ვ. 15, 16, 19, 47, 108, 110, 120
ერატოსთენე 72
ესიმედე 29
ესქინე 10
ეფიალტე 42, 135
ეფორე 10, 165

ვალონი ა. 115
ვალმენონი ნ. 12
ვესტი ე. 12
ვესტერმანი უ. 18
ვილია ე. 85
ვილამოვიც-მელენდორფი უ. 15
ვინოგრადოვი ი. 21
ვორონოვი ი. 55
ვუდჰედი ვ. 11
ვუდჰაუზი ვ. 17

ზალევკოსი 88
ზენონი 176
ზევსი 29,38, 61, 70, 72, 80, 179
ზოპირიონი 83184
ზოგრაფი ა. 13

თალესი 78
თემისტოკლე 11, 41, 42, 43, 60, 97, 135, 172, 173, 175, 176, 179
თეოგნიდე 9, 27
თესევსი 35
თეოფრასტე 44, 84, 111
თეოდოროსი 86
თოდუა თ. 81
თრასიბულე 78, 106, 107, 149
თუკიდიდე 9, 30, 106, 111, 121, 135, 143, 179
თუკიდიდე ალეპოკელი 135

იასონი 126, 129
ინაძე მ. 22
ისოკრატე 10, 93, 159, 163, 169
ისხომახოსი 121
იურეი პ. 18, 101
იუნონა 69
იულია დომნა 203
იქტინე 59

კაპანაძე დ. 13
კარიშკოვსკი პ. 13
კარშტედტი უ. 15, 16
კავენიაკი ე. 16, 17
კალიმახე 72
კადმოსი 78, 181
კალიასი 174
კამბისესი 177
კალისთენე 181
კასანდრე 193, 206
კეფისიდორესი 95
კეფისოფონტი 131
კვირკველია გ. 55
კიროსი II 179
კიმონი 41, 117, 135, 173, 174
კიპსელოსი 27, 70, 124
კინადონისი 166
კიროს უმცროსი 176, 178
კიდინი 180
კლეომენესი 45, 138, 161, 162, 166
კლეარხოსი 80, 126
კალიკრატე, 59
კლისთენე 38-41, 47, 103-105, 124, 133
კლეონი 40, 118, 119, 145, 146, 163
კლეონეტესი 118
კლეოხარესი 149
კლეომროტოსი 138
კოდროსი 130, 131
კოტისი 21, 201

კონონი 73
კონსტანტინე I 79
კოშელენკო გ. 21
კრუაზე ა. 17
კრეზოსი 73
კრატერი 62, 90, 186, 193
კრეი კ. 12
კუკი ჯ. 14, 27, 97
კურციუს რუფუსი 11
კუტორგა მ. 104
კტესიასი 175,176

ლაპინი ვ. 21
ლატონი 75, 76
ლამახოსი 146
ლეონიდესი 138, 173
ლეოსფენე 186
ლეოფილე 123
ლეოსგენე ათენელი 186
ლისიასი 10, 95, 108, 111, 121, 163
ლიკურგოსი 11, 29, 44-47, 64, 65, 67, 92, 131, 137, 139, 162
ლიკოფრონი 126
ლისანდრე 126, 138, 146, 149, 150, 165, 176
ლინფორტი ჯ. 17
ლიჩელი ვ. 21
ლისიპე 74
ლიგდამიდე 77
ლისიმახე 73, 188
ლომოური ნ. 22
ლორთქიფანიძე გ 22, 55
ლორთქიფანიძე ოთ. 55
ლონეი მ. 12, 59
ლოლიანუსი 200, 202
ლუციუს ემილიუს პაულიუსი 196
ლუციუს მუმიუსი 70,196
ლუციუს კორნელიუს დომიციანე 201

მაიერი ედ. 15, 16, 110, 120
მაკგრეგორი მ. 12
მარინოვიჩი ლ. 21
მარდონიოსი 171,173, 177, 178
მავსოლი 77, 78
მატიე კ. 104
მახანიდესი 166
მარკუს ავრელიუსი 201
მერიტო ბ. 12
მეიგზი რ. 19
მელანხრე 125
მენანდრე 118
მემნონი 176, 184
მეგაბაზესი 178
მიულერი კ. 15
მილტიადესი 172, 176
მიტფორდი უ. 17
მიჩელი ხ. 20
მიქელაძე თ. 22, 55
მითრიდატე I 176, 197, 198, 199, 200
მითრიდატე VI ევპატორი 76, 176, 197, 198, 199, 200
მირსილი 125
მითრა 178
მოსლი დ. 147, 148
მორკხოლმი ო. 12

ნადი გ.31
ნაბისი 162, 166, 195
ნესტორი 25, 26, 143
ნიკე-აპტეროსი 59
ნიკეასი 111
ნილსონი მ. 31

ოდისევსი 70
ოლლო მ. 14
ომოლი ტ. 14
ორსი პ. 13
ოქტავიანე ავგუსტუსი 166

პავსანიასი 11, 30, 79, 138, 173, 179, 201, 205
პავსანიასი II 166
პახომოვი ე. 13
პასიონი 121
პარმენიონი 183
პერიკლე 11, 16, 42, 43, 59, 60, 66, 92, 93, 97, 100, 104, 105, 106, 117, 118, 119, 131, 133, 135, 136, 145, 154, 155, 165, 176
პელმანი რ 16, 120
პერიანდროსი 70, 124
პერსე 27, 75, 175, 178
პელოპიდე 157,198
პინდარე 26, 27
პისისტრატე 38, 43, 60, 114, 135
პიტაკოსი 125
პიფოლაიდე 127
პითიდიტესი 172
პითაგორა 180
პლატონი 10, 30, 32, 42, 63, 68, 94, 96, 116, 118, 120, 128, 159, 166, 169, 176,181, 197
პლუტარქე 11, 29, 30, 41, 42, 44, 46, 59, 63-67, 92, 97, 98, 103, 114, 117, 118, 119, 133, 135, 136, 138, 162, 176, 179, 181,182, 199
პლინიუსი 82
პოლიბიოსი10, 160, 197
პომპეუს ტროგუსი 11
პოსეიდონი 14, 57, 71
პოლიდორე 126
პოლიფრონე 126
პოლემარხოსი,108, 138
პოლიკლეტე 175
პომპონიუს ატიკუსი 200

პსამეტიხოსი 124

რიჩარდსონი რ. 14
რიოკოსი 86
რობერი ლ. 12
რობინსონი დ. 14
რუსელი პ. 12, 198

სანიკიძე ლ. 21
საფო 77
სატიროსი 80, 82
სელტმანი კ. 12
სელევკოსი I 140, 188, 189
სელევკოსი II 188
სენ-კრუა ჯ. 19
სერაპისი 69, 83
სეპტიმიუს სევერუსი 203
სიზიფე 70
სისიფოს მელიტელი 105
სიმიასი 111
სიმონიდე 38, 173
სკილესისი 83
სკოპასი 160
სოლონი 9, 11, 17, 27, 30, 33, 36, 37, 98, 40, 42, 43, 47, 66, 103, 114, 118, 133, 134, 135
სოსტრატესი 117
სოკრატე 10, 64, 93, 112, 133, 159, 163, 169
სოსისტრატე 95
სოფოკლე 163
სტარი ჯ. 35
სტრაბონი 11, 39, 71, 75, 76, 78, 79, 82, 178, 202, 204, 205, 206
სტრეპსიადე 121
სულა 199, 200, 202, 204

ტარასი 49, 74, 77, 80, 86
ტელეფანე 175
ტესიკლოსი 115
ტიტუს ლივიუსი 11
ტისაფერნე 175, 176
ტიმოკრეონტი 176
ტიბერიუსი 202, 203, 205
ტიტუს ალბინუსი 200
ტიბერიუს კლავდიუსი 202
ტიტუს კვინკვიციუს ფლამინინუსი 194
ტიბერიუს კლავდიუს აპიუსი 202
ტიბერიუს ფლავიუს ატიკუსი 203
ტიტუს ფლავიუს მონდონა 203
ტომპსონი მ. 12
ტუმანსი ხ. 31
ტოდი მ. 12
ტრაიანე 202

ფარნაკე I 81
ფარნაკე II 79
ფარნელა მ. 17
ფაინი ჯ. 18
ფალაროსი 69
ფარნაბაზე 175, 179
ფალეკრე პეანიელი101
ფერაბინო მ. 20
ფერონი 69
ფენიპე 119
ფილიპე II მაკედონელი 14, 79, 127
ფინლი მ. 18, 20, 46, 48, 99, 120
ფიდიასი 59, 72
ფიდონი 70,124, 125
ფიუსტელ დე კულანჟი ნ. 16, 31
ფილოკრატე 122
ფილომედა 127
ფილიპე V 193, 194, 195
ფლავიუს არიანე 11, 182, 200, 202, 203
ფრიმენი კ. 17
ფროსტი ფ. 19, 65, 102
ფრენჩი ა. 19
ფორესტი ვ. 20
ფრანკოტი ა. 21
ფროლოვი ე. 21
ფრინიხოსი 107
ფრონისოსი 121
ფსევდო-ქსენოფონტი10

ქავთარია გ. 21
ქსენოფონტი 79, 99, 106, 118, 121, 137, 147, 166, 176, 177
ქსერქსე 149, 150, 172, 173, 175, 177, 178,179
ქსანტიპე 173

შელოვი ბ. 13, 21
შვარცი უ. 20, 21

ჩრაიმსი კ. 20

ციცერონი 61, 76, 200

ნერეთელი ალ. 21

ხაკსლი ჯ. 20
ხარესი 74
ხაბიხთი ჰ. 20
ხარონდი 88
ხილონი 47, 137

ჯოუნსი ა. 18, 19
ჯეფერი ლ. 11

ჰარპერი ჯ. 19
ჰანიბალი 77
ჰარდოდიასი 175
ჰარპალე 186
ჰეკატე 9, 59, 78
ჰერმოკრატე 95
ჰეროდე 9, 41, 45, 46, 53, 77, 78, 83, 93, 124, 177, 201, 202

ჰელიოსი 60, 74, 178
ჰეროდოტე 9, 41, 45, 46, 51, 53, 77, 78, 83, 93, 124, 137, 171, 172, 175, 177, 180, 212
ჰერაკლე 52, 69, 72, 79, 80, 81, 82, 83, 84, 91, 149, 196
ჰერცოგი რ. 71
ჰესიოდე 9, 26, 27, 28
ჰეკატეოს მილეტელი 9, 113, 123
ჰელანიკე მიტილენელი 9
ჰესტია 31
ჰედი ბ. 11, 12
ჰერა 24, 25, 52, 72
ჰილი დ. 12
ჰიპოდამოს მილეტელი 60
ჰიერონი I 73
ჰიერონ სირაკუზელი 73, 76
ჰიგნეტი მ. 104
ჰიპონიოკესი 111
ჰიპერბოლესი 163
ჰიპოკრატე 180
ჰიპიასი 60, 171, 170
ჰისტიასი 179
ჰიპერიდე 10, 115, 186
ჰომეროსი 9, 25, 26, 34, 38, 68, 86, 113, 143

Андреев Ю.47, 116, 117, 118
Андреев В. 47, 116, 117, 118

Бикерман Э. 190

Валлон А. 95, 115

Глускина Л. 107, 109, 115

Доватур А. 104

Кондртюк М. 132
Кощеленко Г. 29
Куторга М. 104
Кузнецов В. 101

Лапин В. 51

Маринович Л. 182
Моммзен Т. 197

Надь Г. 31
Нилъссон М. 31

Туманс Х. 31

Фюстель де Куланж Н. 31

Шелов Д. 50

Яйленко В. 52

Adcock F.148
Andrewes A. 47
Audring G. 119, 120
Asheri D. 51

Beloch K. 40, 110
Boardman J. 23, 46
Bicknell E. 40, 41, 104
Bengston H. 43
Bickerman E. 182

Cook T. 28,98
Cooper A. 114

Dawkins R. 46
Desborugh V. 23

Ehrenberg V. 29,41,47, 108, 110

Finley M. 46, 48, 95, 99
Frost F. 19, 19, 102

Haxley G. 46
Hammond M. 29
Hignett J. 104

Jones,A,43, 47, 101

Kelly Th. 24

Lauffer S. 98,111
Luce J. 25

Michell H. 46
Mosley D. 148

Oliva P. 47

Padgug,R,109
Pecirka J. 116
Perlman S. 185

Randall R. 101, 105
Snodgrass A. 23
Starr Ch. 27, 29, 34, 35, 49

Toynbee A. 47

Ure P. 40

Vallet G. 52

Whitehead D. 103, 109
Will E. 85

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

აბიდოსი 69, 78, 171
ადრიატიკის ზღვა 194
ავსტრია 20, 110
ათენი 10-24, 29, 30, 33, 35-48, 57, 58, 59, 60, 68, 70-83, 87, 89, 90, 92, 185
აი-ხანუმი 191
აკრა 52
აკარნანია 156
აკრაგანტუმი 51, 54, 61, 63,
აკროკორინთოსი 160
ალექსანდრია 16, 60, 61,69, 74, 76, 140, 169, 187, 189
ალ-მინა 54
ამფიპოლისი 70, 145, 146
ამისო 13, 55, 78, 79, 156
ამორგოსი 186
ანტიოქია 60, 169, 188, 189, 191
ანტიოქია-ალაბანდა 189
ანდროსი 70, 78, 124, 154
აპულია 53
აპამეა 142
აპოლონია 13, 14, 38, 55, 61, 65, 70, 72, 73, 75, 76, 79, 80, 124, 155, 178, 196
არბელი 179
არინბერდი 180
არგოსი 23, 24, 25, 28, 38, 45, 70, 95, 124, 125, 150, 155, 160-162, 166, 171, 186, 191, 195, 205
არგოლიდა 77,93, 124, 205
არკადია 71, 73, 88, 158, 168, 181, 184, 205
ატიკა 21, 29, 33-35, 39, 89, 97, 115-122, 145, 164, 165, 171, 173, 180, 199, 201, 204
აქეა 200
აფრიკა 129, 49, 69, 72, 186
აშშ 12, 16, 110,

ბაბილონი 54, 172, 177, 178, 179, 180, 181, 189, 192
ბალკანეთი 11, 55, 70, 80, 89
ბიზანტიონი 55, 79, 126, 150, 151, 155, 156, 171, 173, 194
ბიჭვინთა 80, 82
ბითვინია 79, 196
ბელგია 20
ბეოტია 70, 145, 147, 150, 157, 159, 163, 171, 198, 204
ბერლინი 16
ბერეზანი 51, 53
ბერბატოსი 24
ბოსფორი 13, 21, 71, 79, 80, 82, 115, 147
ბორისთენე 52, 53
ბოსფორის სამეფო 21, 79, 80, 82, 115, 147
ბოდრუმი 77
ბორსიპა 192
ბულგარეთი 79

გალატია 71, 196
გალიარტი 150
გიენოსი 55
გერმანია 15, 16, 110
გელა 51, 53, 54, 69, 70
გორგიპია 74
გრანიკოსი 182, 183

დაფნე 54
დამასკო 179
დაკსილია 182, 183
დელოსი 12-14, 24, 75, 76, 147, 153, 181, 196, 197, 198, 200
დელფოსი 12-14, 30, 61, 68, 124, 127, 130, 137, 159, 188, 204
დელიასი 164
დეკელეია 121, 146,164
დემეტრიადა 194, 206
დირარხია 196
დიოსკურია 55
დიდი ბრიტანეთი 11, 17
დორიდა 152
დორილეონი 55
დურა-ევროპოსი 72, 191

ეგვიპტე 50, 54, 69, 70, 74, 75, 93, 110, 139, 140, 141, 142, 178, 180
ეგინა 15, 35, 70, 86, 124, 155, 171
ეგოსპოტამოსი 146
ეგეოსი 23, 24, 37, 75, 81,83, 86, 99, 125, 148, 151, 153, 155, 156, 171, 173, 174, 180, 196, 198
ეგიონი 160
ევბეა 89, 150, 154, 171, 192, 198
ევრიმედონტისი 173
ევფრატი 72
ევროტასი 43
ეკბატანი 98, 179
ელიდა 25, 35, 72, 143, 149
ელადა 10, 11, 14, 16, 17, 33, 34, 35, 39, 47, 50, 67, 69, 82, 85, 98, 123, 144, 146, 159, 166-168, 169, 172, 173, 181, 184-186, 194, 200, 202, 204, 205, 206
ელეფანტინი 177
ემპორიონი 49, 54, 55, 70, 71
ეოლია 71, 186
ეპიდავროსი 58, 124, 201, 204
ეპირი 24, 196

ერეგლი 79
ერეტრია 146,170, 171, 176
ესპანეთი 54, 110, 195
ეტოლია 158
ეფესო 13, 73, 171,176, 178, 182, 183, 184
ეშერა 80

ვარნა 83

ზაკროსი 23
ზელა 183

თასოსი 14, 29, 84, 119, 147, 155, 171
თეოდოსია 55
თებე 98, 126, 127, 128, 148, 149, 150, 151, 152, 157, 158, 177, 181, 182, 199, 205
თესალია 52, 70, 87, 88, 91, 126, 127, 149, 158, 159, 163, 168, 171, 173, 186, 193, 194, 205, 206
თერა 72, 127
თეოსი 146
თესპია 205
თესალონია 193, 206
თრაკია 70, 73, 79, 145, 173, 179, 184, 186, 201, 206
თურია 155

იერუსალიმი 180
ილიონი 71, 178, 182
იმბროსი 38, 133, 154, 155, 181
ინგლისი 11, 12,15, 17, 18, 19, 115
იონია 27, 28, 30, 33, 34, 38, 41, 55, 61, 64, 71, 78, 81, 146, 170, 176, 178, 180
ისტროსი 55
ისთმოსი 70,196
იტალია 13-17, 20, 28, 34, 50, 53, 54, 59, 73, 77, 128, 144, 155, 197, 202

კართაგენი 69, 71, 76, 128, 129
კადმოსი 78, 181
კატანე 54
კაპადოკია 176, 202
კასანდრია 206
კალატისი 55, 80, 83, 84
კალხედონი 71
კატანა 54, 88
კარია 78, 173
კასმენა 52
კამარინა 52
კითერა 125, 145
კინოსკეფალოსი 194
კიზიკოსი 49, 55, 71, 146, 179
კიმერიკონი 55
კირენა 28, 50, 51, 54, 55, 72
კერასუნტი 55, 81
კეფალენია 156
კერკირა 70, 90, 144, 156
კერკინიტისი 55
კლაზომენე 146
კნიდოსი 61, 72, 77, 150, 175
კნოსო 23
კოტიორა 55, 81
კოლოფონი 27, 54, 73, 74
კოსი 71, 84, 119
კორინთო 12, 14, 16, 24, 27, 35, 38, 45, 46, 51, 53, 54, 57, 70, 75, 76, 86, 87, 89, 90, 94, 99, 100, 124-127, 128, 143, 144, 148, 149, 150, 152, 155, 160, 161, 164, 166, 167, 168, 172, 180, 181, 182, 184, 185, 186, 192, 194, 196, 197, 200, 202, 206
კოლხეთი 21, 22, 55, 77, 79, 81, 147
კონსტანტინოპოლი 79
კროტონი 50, 54, 128, 175
კრეტა 12, 14, 23, 24, 68, 91, 181
კსანთი 182
კუნაკსოსი 149
კუმე 50, 54, 73

ლაკედემონი 10, 45, 47, 93, 100, 137, 138, 143,
ლამია 186
ლარისა 193, 206
ლაკონიკა 43, 44, 45, 47, 70, 89, 125, 139, 147, 205
ლამპსაკოსი 189,170,178, 179
ლაბადეა 205
ლაოდიკეა 189
ლევკტრა 71, 157, 158
ლემნოსი 38, 154, 155, 181
ლეონტინი 53, 54
ლევკანდოსი 23
ლერნე 23, 24
ლევკადა 152, 155
ლესბოსი 71, 77, 145, 155, 178
ლიბია 54
ლიტი 189
ლიდია 73, 77, 86, 93, 124, 127, 184, 205
ლიკია 182
ლონდონი 16
ლოკრიდა 186
ლოკრა 88

მანტინეა 73, 158
მანგალია 84
მაკედონია 71, 73, 75, 76, 84, 126, 159, 160, 161, 162, 169, 171, 176, 181, 182, 184, 185-188, 191, 192, 193, 194, 195, 196, 197, 205, 206
მასალია 51, 54, 71
მარსელი 54, 71
მაროკო 77
მარათონი 172, 173

მაგნესია 179,182, 195
მეგარა 179, 182, 195,
მესემბრია 55, 80, 83
მესენა 205
მეგაპოლისი 60, 71, 86, 90, 99, 100, 123, 144, 147, 158, 167, 170, 205, 206
მესენია 43, 46, 47, 158, 165, 182
მეტაპონტუმი 51, 54
მეზია 83
მექსიკა 110
მენდე 119, 175
მემფისი 174,177
მესოპოტამია 150, 189, 194
მეანდრეს ანტიოქია 189
მილეტი 9, 14, 21, 27, 35, 51, 55, 57, 60, 61, 69, 70, 71, 78, 79, 81, 83, 87, 89, 94, 98, 99, 100, 143, 146, 147, 170, 171, 179, 180, 183
მიკენი 23, 25, 33, 70, 71, 77, 124
მირმეკიონი 52, 55
მიკალე 78, 173
მილესა 54
მუნიხია 106,186
მცირე აზია 13, 80, 126, 149, 150, 170, 171, 176, 178, 179, 180, 182, 189, 194, 197, 198

ნავპილისი 25
ნავკრატისი 51, 54, 140, 177, 180, 187
ნავპავტოსი 52
ნაქსოსი 27, 38, 54, 154, 155
ნესებრი 83
ნემეა 150
ნილოსი 69, 174, 187
ნიმფეონი 55, 82, 155
ნიპური 192
ნისა 189

ოდესოსი 55, 83
ოლიმპია 12, 61, 72, 204
ოლინთოსი 14, 59, 77
ოლბია 74, 82, 83, 155
ორქომენი 15
ოჩამჩირე 80

პანოპეა 30, 57
პარიზი 16, 54
პაროსი 28, 29, 123
პართია 72
პატრეა 52
პაფლაგონია 196
პანტალიკონი 52
პანტიკაპეონი 21, 55, 78, 82
პარუტინო 82
პანგეა 38, 89
პასარგადი 179
პატარი 182
პელოპონესი 9, 19, 33, 43, 48, 70, 73, 74, 78, 81, 95, 106, 107, 115-126, 128, 143-146, 148, 149, 150, 151, 152, 153, 155, 156, 157, 158
პერსეპოლისი 175, 176
პესტუმი 54
პერინთოსი
პელენა 184
პელა 33, 36, 193, 198, 206
პერგამონი 14, 61, 195, 196193
პიდნა 193, 196
პირეუსი 29, 60, 112, 115, 119, 133, 150, 198, 199, 204
პილოსი 23, 25, 143, 145
პითეკუსა 54
პინარი 182
პლატეა 173, 177, 205
პოტიდეა 70, 144, 145, 155, 156
პონტოს სამეფო 79, 81, 82, 83, 197
პროპონტიდა 55, 71, 195
პრიაპი 182
პრიენა 188
პტოლემაიდა 140, 118,187

რეგიუმი 54, 128
რომი 11, 15, 18, 69, 71, 73, 74, 75, 77, 78, 79, 82, 84, 129, 132, 169, 188, 195
რონა 71
როდოსი 14, 54, 74, 75, 77, 84
რუმინეთი 84

საბერძნეთი 9-12, 15-17, 23- 25, 33, 43, 48, 54, 55, 58, 61, 64, 70, 75, 77, 85, 87, 89, 95, 96, 99, 125, 126, 138, 144, 150-152, 155, 157, 158, 159, 161, 163, 167, 169-171, 173, 179, 180, 182, 185, 187, 191
სარდი 150, 170
საგუნტი 54, 79
სამსუნი 79
საფრანგეთი 15, 54
სალამინი 74, 173
სალასია 162
სევასტოპოლისი 82
სელინუნტი 51, 54
სესტა 92, 146, 151, 156, 177
სელევკია 142
სელევკია-ტრალი 60, 72, 139, 140, 141, 142, 169, 187-189, 190, 191, 192, 195
სიკიონი 98, 99, 100, 124, 125, 126, 127, 150, 160, 164
სინოპე 13, 14, 55, 78, 80, 81, 155
სიცილია 10, 13, 16, 28, 51, 52, 53, 54, 146, 149, 155, 164, 167
სირაკუზი 51, 52, 54, 61, 70, 76, 95, 99, 128

სიროსი 28
სირია 27, 54,
სიბარისი 26, 27, 52, 53, 54, 76
სინაი 186
სკიროსი 133, 181
სმირნა 14, 188
სოხუმი 80
სომხეთი 180
სოლი 183
სუზა 79, 175
სუკასი 54
სპარტა 9, 11, 16, 20, 43, 47, 67, 124, 151, 155
სპაქტერია 164
სტრატონიკეა 189

ტამანი 55
ტარენტუმი 29, 49, 52, 53, 54, 61, 77
ტავრიდა 80
ტერანის კონცხი 186
ტემეა 205
ტირასი 55, 188
ტირინთოსი 23, 24, 25
ტირიტაკა 53, 55
ტროა 25, 59, 71, 143, 178, 179, 182
ტრიადი 189
ტრალი 182, 183, 189
ტრაპეზუნტი 13, 55, 81, 82
ტრაპიზონი 81
ტორე მორდილიოსი 53
ტომისი 55

ურუქი 192

ფანაგორია 49, 55, 82
ფაიუმი 74
ფაროსი 61, 69
ფარსალე 206
ფასელიტი 182
ფასისი 22, 55, 167
ფეოდოსია 80, 82
ფესტოსი 23
ფინოკიტო 52
ფილიპია 206
ფინიკია 54, 76, 170, 177, 180, 186, 189, 191
ფილეოსი 106
ფილიუნტი 151
ფოკეა 54, 71, 78, 175
ფოკიდა 127, 186, 201

ქიოსი 71, 77, 94, 95, 146 147, 155
ქალკიდა 54, 73, 77, 144
ქერჩი 82
ქობულეთ-ფიჭვნარი 53

ხერონეა 30, 70, 79, 150, 198, 205
ხერსონესი 50, 55, 80, 82

ყირიმი 55, 80, 82

ძანკლე 54

ჰალიკარნასი 77, 116, 183
ჰელესპონტი 69, 172, 195
ჰერაკლეა 52, 69, 72, 79, 80, 149
ჰერმონასა 55, 82
ჰერმოპოლისი 177
ჰიმერა 51, 69
ჰისიასი 125
ჰიპარნია 183
ჰიპატია 206

შემოკლებათა განმარტება

AE-Archaologisch-Epigraphische

AZ-Archaologisch Zeitschrifte

CIG-Corpus Inscriptionum Graecarum

IG-Inscriptiones Graecae

OGIS-Orientis Graeci inscriptiones selectae

SIG-Sylloge inscriptionum Graecarum

რედაქტორი მარინე გიორგობიანი

გარეკანის დიზაინი თინათინ ჩირინაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა ეკატერინე თეთრაშვილი

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi 0179
Tel 995 (32) 225 14 32
www.press.tsu.ge